

ჯონ სტაინბეკი

ზამთარი ჩვენი მღელვარებისა

ნაწილი პირველი

თავი პირველი

როცა აპრილის მშვენიერმა ოქროს დილამ მერი ჰოული გააღვიძა, ქალი ქმრისკენ გადაბრუნდა და ნახა, რომ მას ნეკა თითებით პირი გაეჭიმა - ცოლს ბაყაყივით ეჭყანებოდა.

– რას მაიმუნობ, ითენ! - უთხრა ქალმა, - ისევ შენი კომიკური ნიჭი გინდა გამომამუღავნო?

– ცოლად არ გამომყვები, ქალბატონო თავუნია?

– ჯერ არ გაგიღვიძია და უკვე დაიწყე შენებური?

– დრო მიდის... ხომ ხედავ, რა დილა გათენებულა!

– აკი ვთქვი. დაიწყო თავისებური. აღარც კი გახსოვს, რომ დღეს წითელი პარასკევია?

კაცმა ყრუდ დაიბუხუნა: – ბინძური რომაელები გოლგოთასთან გაწკაპულან.

– ღმერთს ნუ ჰგმობ. დღეს თერთმეტი საათისთვის მარულო დუქანს არ დაგაკეტინებს?

– ჩემო ძვირფასო ყვავილო, მარულო ხომ კათოლიკე და ჩერჩეტი იტალიელია. დღეს, ალბათ, სათოფეზედაც არ მომეკარება. შესვენებაზე დავკეტავ, შუალამისას, და სანამ დასჯას არ მორჩებიან, არც გავაღებ.

– რა პილიგრიმივით ლაპარაკობ. არ ვარგა ასე.

– კარგი ერთი, ჭია-მაია, ეს დედაჩემის მხრიდან გამომყვა. მეკობრეებმა იციან ხოლმე ასე. ნამდვილი დასჯა კი იყო.

– სადაური მეკობრეები არიან! აკი ჩემი წინაპრები ვეშაპებზე მონადირენი იყვნენ და - საკონტინენტო კონგრესია თუ რაღაცა - იმისი საბუთებიც ჰქონდათ!

– ისინი რომ ცეცხლს უშენდნენ, იმ გემზე მეკობრეებად მიაჩნდათ. და რომელი ჯარისკაცებიც დასჯას ეძახდნენ ამას.

– ხომ ხედავ, როგორ გავაცოფე. მიყვარს თავის გასულელებას რომ მოჰყვები.

– ვარ კიდევ სულელი. ვისაც გინდა, ჰკითხე.

– სულ ასე ამირევ ხოლმე დავთრებს. სრული უფლება კი გაქვს იამაყო - ერთ ოჯახში პილიგრიმებიც გყოლიათ და ვეშაპებზე მონადირე გემის კაპიტნებიც.

– იმათ თუ აქვთ?

– ვერ გავიგე, რას მეუბნები.

– ჩემს დიდ წინაპრებს თუ აქვთ-მეთქი საამაყო, რომ მათი უბადრუკი შთამომავალი მედუქნედ ჰყავს ვიღაც ოხერ იტალიელს სწორედ იმ ქალაქში, სადაც თვითონ ბატონ-პატრონები იყვნენ?

– სადაური მედუქნე ხარ, გამგეს უფრო ჰგავხარ - ანგარიშს შენ აწარმოებ, ბანკში შენ შეგაქვს ფული და საქონელსაც შენ უკვეთ ხოლმე.

– მართალი ხარ. თან დუქანსაც მე ვგვი, ნაგავიც მე გამაქვს, მარულოს ფეხქვეშ ვეგები... კატა რომ ვიყო, თავგებსაც დავუჭერდი.

ქალმა ხელი მოხვია.

– მოდი, მართლა ვისულელოთ, - უთხრა მან, - ოღონდ ამ წითელ პარასკევს ნუ იგინები. მე შენ მიყვარხარ.

– ასეა, - თქვა კაცმა ცოტა ხნის შემდეგ, - ვისაც უნდა გამოელაპარაკო, ბოლოს ამას გეტყვის. ოღონდ ნუ გგონია, რომ ეს ცოლშვილიან კაცთან დედიშობილა წოლის უფლებასაც გაძლევდეს.

– ბავშვებზე მინდოდა ახლა რაღაც მეთქვა.

– ციხეში ჩასვებს?

– ისევ აურია. ჯობს, თვითონ გითხრან.

– შენ რატომ არ...

– მარჯი იანგ-ჰანტს დღეს კიდევ უნდა ვაკითხვინო.

– წიგნი? ვინ არის ეს მარჯი იანგ-ჰანტი, ყველანი რომ მოხიბლა...

– იცი რა გითხრა - ჰკვიანი რომ ვიყო... ნათქვამია, კაცი რომ თავს იკატუნებს, თითქოს ვერც კი ამჩნევდეს ლამაზ გოგოს...

- ოჰო! მაგასაც თუ გოგოს ეძახი! ორი ქმარი გამოუცვლია.
 - მეორე მოუკვდა.
 - საუზმე მინდა. და შენც გჯერა ეს სისულელე?
 - ძმაზე რაც მირჩია, ამიხდა. ვინმე ძალიან ძვირფასიო, ასე მითხრა.
 - ვინმე ჩემი ძალიან ახლობელი და ძვირფასი კაი პანდურს მიიღებს, ახლავე საუზმე თუ არ...
 - მივდივარ... ერბოკვერცხი?
 - მე მგონი. ნეტავ ვინ დაარქვა წითელი პარასკევი? რა აქვს წითელი და კარგი?
 - ეჰ, რა კაცი ხარ! - უთხრა ქალმა, - ღლაბუცისათვის გაჩენილხარ.
- ყავა უკვე გამზადებული დახვდა, თეფშით ერბოკვერცხი და შემწვარი პურიც იქვე იდო. როცა ითენ აღენ ჰოული სასადილო ნიშში შეძვრა, ფანჯრის გვერდით.
- დიდებულ გუნებაზე ვარ, - თქვა მან, - მაინც რატომ ეძახიან დიდ წითელ პარასკევს?
 - გაზაფხულია, - გამოსძახა ფილაქურასთან მდგარმა ქალმა.
 - გაზაფხულის პარასკევი?
 - გაზაფხულის ხურვება. ეს რა ამბავია, ბავშვები ადგნენ უკვე?
 - ადგნენ, როგორ არა! უქნარა ნაბიჭვრები. უნდა წამოყარო და კარგად აუხურო გვერდები.
 - რომ წამოგივლის, შენ თვითონვე არ იცი, რას ბოდავ. შესვენების დროს - თორმეტიდან სამამდე, - არ მოხვალ შინ?
 - არა მგონია.
 - რატომ?
 - ქალებს შევიტყუებ, იქნებ ის შენი მარჯი შევიტყუო.
 - გეყოფა, ითენ. ასე ნუ ლაპარაკობ. მარჯი ნამდვილი მეგობარია, პერანგს გაიხდის და შენ მოგცემს.
 - ოჰ? აცვია მერე პერანგი?
 - ისევ პილიგრიმივით მოჰყვა.

– სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ის შენი მარჯი ნათესავად მერგება. მასაც მეკობრის სისხლი აქვს.

– ოჰ! კიდევ დაიწყო. აჰა, სია, - გულის ჯიბეში ქაღალდი ჩაუდო, - ბევრი მოგეჩვენება, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ აღდგომის კვირა მიიწურა... ოციოდე კვერცხიც გამოაყოლე, არ დაგავიწყდეს. დაგავიანდება.

– ვიცი. დიდი ამბავი, ოცდახუთცენტნიანი მუშტარი თუ დავუკარგე მარულოს, ოცი კვერცხი რად გინდა?

– შესაღებად. ალენი და მერი-ელენი შემეხვეწნენ. წადი, რაღას უცდი.

– მივდივარ, ჩემო ჭიამაია... მაგრამ ზემოთ არ ავირბინო, ტყავი არ გავაპრო იმ შენ ალენსა და ელენს?

– სულ გააფუჭე ბავშვები, ით, თვითონაც ხომ ატყობ!

– მშვიდობით, სახელმწიფოს ბურჯო, - უთხრა კაცმა, ბადის კარი გაიჯახუნა და ოქროთი შეფერილ მწვანე დილას შეერია.

თავის კოპწია ძველებურ სახლს გამოხედა - მამის სახლს, დიდი პაპის სახლს; ადამის[1] სტილზე მოჩუქურთმებული შენობა თეთრად შეეღებათ, სადარბაზო კარს ზემოთ, ნახევარწრედ, მარაოსებრი სარკმელი ჰქონდა დატანებული და სახურავსაც „ქვრივის ბილიკი“ გასდევდა; ღრმად იყო ჩამჯდარი მწვანე ბაღში, ირგვლივ ასწლოვანი სქელი, წელის სიმსხო იასამნები შემოხვეოდა, რომელთაც კვირტები დასკდომაზე ჰქონდათ: თელის ქუჩიდან თელებს კენწეროები გადმოეხარათ და ერთმანეთს შეერთებოდნენ, ახალშეფოთლილები მოყვითალოდ ელავდნენ. მზემ ბანკის შენობიდან აკრიფა სხივები და გაზის ქარხნის ვერცხლისფერ კოშკს დააფრქვია. ჰაერში ძველი ნავსადგურიდან მონაბერი მარილისა და იოდის სუნი დადგა.

ადრიანი დილით თელის ქუჩაზე ერთადერთი სულიერი გამოსულიყო - მისტერ ბეიკერის წითელი სეტერი; წითლა ბეიკერი. ღირსეული სიდინჯით მიჰყვებოდა ქუჩას და თელის ხეებზე სავიზიტო ბარათებს დიდი გულმოდგინებით ყნოსავდა.

– დილა მშვიდობისა, სერ. მე ითენ ალენ ჰოული გახლავართ. ჩვენ უკვე შევხვდით ერთმანეთს, აი, ფისი-ფისი რომ მოვითავეთ.

წითლა ბეიკერი შედგა და მისალმებაზე ღინღლა კუდის ნელი ქიციანით უპასუხა.

– აგერ, ჩემს სახლს ვათვალიერებდი, - თქვა ითენმა, - სცოდნიათ ძველად სახლის აგება!

წითლამ თავი გვერდზე მიღრიცა და უკანა ფეხი ერთი-ორჯერ დაუდევრად ჩამოისვა ფერდებზე.

– ან კი რატომ არ ეცოდინებოდათ? ფული იმათ ემოვებოდათ, ვემაპის ქონი - შვიდ ზღვაში მოგროვებული, და სპერმაცეტი. იცი, რა არის სპერმაცეტი?

წითლამ ამოიხვნეშა.

– გატყობ, არ იცი. კაშალოტის თავის ტვინიდან გამოწურული ზეთი - გამჭვირვალე და სასიამოვნო, ვარდის სუნი დაჰკრავს. „მოზი დიკი“ წაიკითხე, ქუცუნა, ჩემი რჩევა იქნება.

სეტერმა ფეხი ასწია და ზედ ქუჩის პირთან ცხენების მისაბმელ თუჯის ბოძს მიუშვირა. ითენმა გზა განაგრძო და უკანმოუხედავად გამოსძახა წითლა ბეიკერს: – მერე შენი მოსაზრებაც დამიწერე ამ წიგნზე. შენ უნდა ასწავლო ჩემს ბიჭს. „სპერმაცეტსაც“ კი ვერ დაგიწერს სწორად... ვერც სხვა რამეს.

ითენ ალენ ჰოულის ძველებური სახლიდან ორიოდ კვარტალს გაივლი და თელის ქუჩა ირიბად ერთვის მთავარ მაგისტრალს. ჯერ ერთი კვარტალიც არ გაევლო, რომ ელგარების სახლის წინ, ახალამოწვერილ ბალახზე, ინგლისური ავაზაკი ბელურების გუნდს დიდი ჩხუბი გაემართა; კი არ თამაშობდნენ - გამწარებით იბრძოდნენ; მიწაზე აგორებდნენ ერთმანეთს, თვალებს თხრიდნენ, გაცოფებულებს ისეთი ჭყვილი აეტეხათ, რომ ითენიც ვერ შენიშნეს. იგი შედგა და ყურება დაუწყო.

„ჩიტებსაც თუ ტკბილად სძინავთ პაწაწინა ბუდეში, - თქვა ითენმა, - ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრება, ველარ ვპოვეთ ნუგეში“. დაჰმაც ამას ჰქვია! ამ მშვენიერ დილასაც ვერ მორიგებულხართ, ყმაწვილებო, ერთმანეთში? ნეტავ რა ღირსი იყავით, თქვე ნაბიჭვრებო, რომ წმინდა ფრანცისი თავს გევლებოდათ. ქმა!.. - შეუტია და ფეხი მოუქნია. ბელურები ფრთების შხუილით წამოიშალნენ და ცაში აიჭრნენ; გაუსაპნავი კარივით აწრიპინდნენ და თავიანთი მწარე უკმაყოფილება ამითლა გამოხატეს, - იცი, რას გეტყვით, - მიაძახა მათ ითენმა, - შუადღის ჟამს მზე დაბნელდება, მიწას წყვდიადი დააწვება და თქვენ შიში მოგიცავთ, - ისევ ტროტუარზე გადავიდა და გზა განაგრძო.

მეორე კვარტალში ფილიპსების ძველი სახლი იდგა, სადაც ახლა პანსიონი გაეხსნათ. სადარბაზო კარიდან პირველი ნაციონალური ბანკის ადგილობრივი განყოფილების მოლარე ჯოი მორფი გამოვიდა. კბილი მოიჩიჩქნა, ჟილეტი გაისწორა და ითენს გასძახა: – სწორედ თქვენთან უნდა შემომეველო, მისტერ ჰოული.

– რატომ ეძახიან დღევანდელ დღეს წითელ პარასკევს?

– ეს ლათინურიდან მოდის, - მიუგო ჯოიმ, - წითლიუს, წითლისიუს, წითლიუმ. სინამდვილეში კი სამაგლობას ნიშნავს.

ჯოი ცხენსა ჰგავდა და გაცინებაც ცხენს მიუგავდა - ზედა ჩამოგრძელებულ ტუჩს აქაჩავდა და დიდ, კვადრატულ კბილებს გადმოყრიდა. ჯოზეფ პატრიკს მორფი, ჯოი მორფი, ჯოი-ბოი, ანდა უბრალოდ „მორფი“ სულ რამდენიმე წლის ჩამოსული იყო

ნიუ-ბეიტაუნში, მაგრამ მთელი ქალაქი იცნობდა. ხუმარა კაცი იყო, ოღონდ თვითონ ისე იხუმრებდა, ჰოკეის მოთამაშესავით ერთი კუნთი არ შეერხეოდა სახეზე. სხვის ხუმრობაზე კი წარამარა იკრიჭებოდა, თუნდაც ათასჯერ ჰქონოდა მოსმენილი. ჭკუის კოლოფი იყო ეს მორფი, ყველაფერი იცოდა, რაც კი ქვეყანაზე ხდებოდა - მაფიით დაწყებული და მაუნტბატენით გათავებული, მაგრამ იცოდა ხოლმე ახალი ამბების მოყოლა, თითქოს თვითონ კი არ ჰყვება - სხვასა ჰკითხავსო. ასეთი ტონის წყალობით მას ყოვლისმცოდნე კაცის თავდაჯერებულობა აღარა ჰქონდა, მსმენელებს კი ისეთი გრძნობა ეუფლებოდათ, თითქოს მისი ამბის მონაწილენი ყოფილიყვნენ, და სხვებს შემდეგ ისე უამბობდნენ, როგორც საკუთარ ამბავს. საოცარი კაცი იყო ჯოი - აზარტული მოთამაშე (მაგრამ კაციშვილი არ მოსწრებია, ოდესმე სანადლეო დაედოს ვინმესთან), კარგი ბუღალტერი და შესანიშნავი მოლარე. მისტერ ბეიკერი - პირველი ნაციონალური ბანკის დირექტორი - ისე ენდობოდა, რომ თავის საქმეს მას აკეთებინებდა. მთელ ქალაქში ყველასთან პირადი ნაცნობობა ჰქონდა ჯოის, მაგრამ სახელით არავის მიმართავდა. ითენი - მისტერ ჰოული იყო მისთვის. მარჯი-იანგ ჰანტი - მისის იანგ-ჰანტი, მიუხედავად იმისა, რომ ხმა დადიოდა, ლოგინში ერთად წვანანო. უცოლშვილო და უთვისტომო კაცი იყო, ფილიპსების სახლში ორი ოთახი ეჭირა, საკუთარი სააბაზანოთი. საჭმელს უმთავრესად რესტორან „მთავარ ანძაში“ შეექცეოდა. მის ნამსახურობას კარგად იცნობდა მისტერ ბეიკერიცა და მთელი გამგეობაც, ბანკში მისი წარსული სამსახური სავსებით უმწიკვლო იყო. მაგრამ ჯოი-ბოი ისე ჰყვებოდა ხოლმე სხვის თავგადასავალს, უნებურად იფიქრებდი, ეს თვითონ ჯოის ხომ არ გადახდომია თავსო, და თუ მართლაც ასე იყო, მაშინ კაი გამოქეცილი ვაჟბატონიც ბრძანებულა. თავმდაბლობის გამო ხალხს კიდევ უფრო უყვარდა იგი. ფრჩხილები მუდამ სუფთა ჰქონდა, ტანსაცმელი კოხტად და ლაზათიანად ადგა, გაქათქათებული პერანგი და გაპრიალებული ფეხსაცმელი ეცვა.

დინჯად დაუყვნენ ორივენი თელის ქუჩას, მთავარი მაგისტრალისაკენ.

– სულ ეს მინდა გკითხო და მავიწყდება, ადმირალი ჰოული ხომ არაფერი ყოფილა შენი?

– ადმირალ ჰოლსში ხომ არ გეშლებათ? - კითხვა შეუბრუნა ითენმა, - კაპიტნები ბევრი გვყოლია გვარში, მაგრამ ადმირალი არ გამიგონია.

– ვიცი. პაპათქვენი ვეშაპებზე მონადირე გემის კაპიტანი ყოფილა. ალბათ, ამას ვფიქრობდი და ადმირალში ამერია.

– ამისთანა ქალაქში ლეგენდებს რა გამოლევს, - თქვა ითენმა, - იმასაც კი ამბობენ, თითქოს მამაჩემის წინაპრები მეკობრეები ყოფილიყვნენ, ხოლო დედაჩემისა - „მეიფლაუერს“ მოჰყოლოდნენ ამერიკაში.

– ითენ ალენი[2]? - ჰკითხა ჯოიმ, - ღმერთო ჩემო... ისიც ნათესავად გერგებათ?

– ადვილი შესაძლებელია. ნამდვილად ასე იქნება, - მიუგო ითენმა, -რა მშვენიერი დღეა!.. გინახავთ ამაზე უფრო მშვენიერი დღე. რას მეძებდით, რა უნდა გეთქვათ?

– ჰო, მართლა. თქვენ, მგონი, თორმეტიდან სამამდე უნდა კეტავდეთ მაღაზიას. იქნებ ორი სენდვიჩი მომიმზადოთ თორმეტის ნახევრისათვის. შემოვირბენ და წამოვიღებ. ერთი ბოთლი რძეც.

– ბანკი არ იკეტება?

– ბანკი იკეტება. მე - არა. საწყალი ჯოი იქ უნდა ეგდოს, დავთრებზე მიჯაჭვული. ამისთანა უქმე დღეებში ძალი და კატა სულ ბანკში გამორბის, ხელში ჩეკომარჯვებული.

– ვერც კი წარმომიდგენია, - თქვა ითენმა.

– რა ბრძანებაა! აღდგომა, ომში დაღუპულთა ხსოვნის დღე, ოთხი ივლისი, შრომის დღე... ერთი სიტყვით, ყველა დიდი დღესასწაულის წინ. ბანკის გაქურდვა რომ გადავწყვიტო, უსათუოდ დიდი უქმეების წინა დღეებში ვიზამ, ფული კეცა-კეცად აწყვია, წამლებს ელოდება.

– თქვენსობას გაუქურდავთ?

– არა. ერთი მეგობარი მყავს, ორჯერ გაქურდეს.

– რაო, როგორ მოხდაო?

– საშინლად დავეთდიო. რასაც მიბრძანებდნენ, ყველაფერს ვაკეთებდიო. ძირს გავიშოტე და - წაიღეთ, რამდენიც გენებოთ. ფული დაზღვეული იყო, შენ ჩემი გეკითხაო.

– როცა დავეკეტავ, სენდვიჩებს მაშინ მოგიტანთ. უკანა კარზე დაგიკაკუნებთ, რის სენდვიჩი გინდათ?

– ნუ შეწუხდებით, მისტერ ჰოული. ქუჩის გადმორბენას რა დიდი რამე უნდა... ერთი ლორით იყოს, მეორე ყველით, ჭვავის პურზე. სალათა და მაიონეზი. იქნებ ერთი ბოთლი რძეც მომიტანდეს, და მერე კოკა-კოლა.

– მშვენიერი სალიამი გვაქვს - მარულო რას არ გააჩენს.

– არა, მადლობელი ვარ. როგორა სწევს ეს ერთი კაცი მაფიობას?

– მე მგონი, არა უშავს რა.

– რას იზამ - ძალიანაც რომ არ გიყვარდეს აქ ჩამოთესლებული იტალიელები, ამისთანა კაცს მაინც უნდა სცე პატივი: ორთვალაზე მოვაჭრე მეწვრილმანე, აგერ, რა

ქონების პატრონი გახდა. ჭკვიანი კაცია. ხალხმა რომ იცოდეს რამდენი დააგროვა!.. თუმცა მე არ უნდა ვამბობდე ამას. ბანკის თანამშრომლებს სიჩუმე მართებთ.

– თქვენ არაფერი გითქვამთ.

ამასობაში ისინი მიადგნენ კუთხეს, სადაც თელის ქუჩა მთავარ ქუჩას უერთდება. უნებურად შედგნენ, მობრუნდნენ და ძველი სასტუმროს მოვარდისფრო ნანგრევებს შეხედეს. ამ სასტუმროს ადგილზე ახლა ვულვორთის ახალი მაღაზიის აგებას აპირებდნენ. ყვითლად შეღებილი ბულდოზური და ვეებერთელა ამწე - ზედ გამობმული რკინის დიდი მნგრეველი ბურთი მდუმარედ იდგნენ, როგორც დილაადრიან მსხვერპლის მოლოდინში განაბული მხეცები.

– რამდენს შევხედავ, იმდენი მომინდება, - თქვა ჯოიმ, - ამოვკრა ფეხი ამ რკინის ბურთს და მთელი კედელი ჩამოვანგრიო.

– რაც მე საფრანგეთში ნგრევა მინახავს!

– ჰო! თქვენი სახელი ხომ ობელისკზეა ამოკვეთილი, სანაპიროსთან.

– მერე არ დაიჭირეს ის ქურდები, თქვენს მეგობარს რომ დაესხნენ? - ითენი დარწმუნებული იყო, რომ ეს მეგობარი თვით ჯოი იყო. ამას ვინ არ მიხვდებოდა.

– იცოცხლე. თავგებივით გაძაგრეს. მადლობა ღმერთს, უჭკუო ხალხია ეს ქურდები. აბა ჯოი-ბოის რომ დააწერინო წიგნი ბანკის გამქურდველთა სახელმძღვანელოდ, პოლიცია თავის დღეში ვერ აღმოაჩენს ქურდს.

ითენს გაეცინა.

– საიდან გაიგეთ ამდენი რამე?

– პირველწყაროებიდან, მისტერ ითენ. გაზეთებს ვკითხულობ და ეს არის. თანაც ერთ ბიჭს ვიცნობდი, პოლიციაში მუშაობდა. გინდათ, ორდოლარიან ლექციას წაგიკითხავთ?

– სამოცდათხუთმეტცენტისანი იყოს - მაღაზია უნდა გავაღო.

– ქალბატონებო და ბატონებო, - დაიწყო ჯოიმ, დღეს ჩვენ... არა, თქვენ დააკვირდით! როგორ გაებმებიან ხოლმე ბანკის მძარცველები? პირველი - აღრიცხვაზე ჰყავთ ძველი ნასამართლობისათვის. მეორე - ნადავლის გაყოფის დროს ჩხუბი მოუვათ და ვინმე წამოეგება. მესამე - ქალები. ქალებს რას შეეღვევიან!.. და ეს მეოთხესაც უკავშირდება - ფულის ფლანგვას მოჰყვებიან. კარგად უთვალთვალე ამისთანებს და ჩაავლებ კიდეც.

– თქვენი მეთოდი მაინც რა არის, ბატონო პროფესორო?

– ბევრი არაფერი. თავის დღეში არ იფიქრო ბანკის გაქურდვა, ადრე თუ შენიშნული იყავი, ან აღრიცხვაზე თუ ხარ აყვანილი რამე საქმის გამო. არავის არ გაენდო - მარტო უნდა გააკეთო ყველაფერი და მერე კრინტიც არ დასძრა. ქალები უნდა დაივიწყო. ფულს ხელი არ ახლო. იქნებ წლობითაც მოგიხდეს გადანახვა. მერე, მიზეზს, რომ იშოვი - ეს ფული საიდან ჩაგივარდა - გამოიტან და ცოტ-ცოტას დააბანდე. დახარჯვით არ დახარჯავ.

– რომ იცნონ უცებ ეს მძარცველი?

– სახეს თუ დაიფარავს და ხმას არ ამოიგებს, ვინ უნდა იცნოს? მოწმეების ჩვენება თუ წაგიკითხავთ როდესმე? ნამდვილი ყვეყნები არიან. რამდენჯერ უთქვამს იმ ჩემს ნაცნობ პოლიციელს: ამას რომ ჩააყენებდნენ თურმე ეჭვმიტანილთა მწკრივში, დაზარალებული სულ მას ადებდა ხელს. თვალები დამთხარეთ, თუ ეგ არ იყოსო. აჰა, შენი სამოცდათხუთმეტცენტიანი ლექცია.

– ჩემზე იყოს.

– სენდვიჩებში გამიქვითეთ, - უთხრა ჯოიმ.

მთავარი მაგისტრალი გადაჭრეს და პატარა ქუჩაზე გავიდნენ, რომელიც მეორე მხრიდან ირიბად ერთვოდა მაგისტრალს. ჯოი უკანა კარიდან შევიდა პირველ ნაციონალურ ბანკში, ითენმა კი მარულოს მაღაზია გააღო - ხილითა და სხვა წვრილმანი საქონლით სავაჭრო, რომელიც ბანკის პირდაპირ იდგა, ქუჩის მეორე მხარეს.

– ლორი და ყველი? - გასძახა მან.

– ჭვავის პურზე... სალათი და მაიონეზიც.

რკინის ლარტყულით აჭედილი, დამტვერილი პატარა სარკმელი კიდეც უფრო ამკრთალებდა ისედაც მკრთალ შუქს, რომელიც მაღაზიის საწყობში ვიწრო ქუჩიდან ატანდა. ითენი ერთ ხანს დაყოვნდა ამ ჩაბნელებულ ოთახში, სადაც ჭერამდე ჩამწკრივებული თაროები გამოტენილი იყო მუყაოსა და ფიცრის ყუთებით. ყუთებში ხილის, ბოსტნეულის, თევზის, ხორცის კონსერვები და ყველი ეწყო. დაყნოსვა სინჯა - ამ ფქვილისა თუ გამხმარი მუხუდოსა და ლობიოს, აშმორებული ყველისა და ძეხვის, შებოლილი ლორისა და ბეკონის, დამწნილებული კომბოსტოს, სალათისა და ჭარხლის, კარს უკან ვერცხლისფერ სანაგვე ყუთებში ჩამპალი სალათისა და ჭარხლის ფოთლების სუნში თავის სუნი ხომ არ ურევიაო. როცა დარწმუნდა, თავის სუნი არსაიდან მცემსო, უკანა კარი კვლავ გააღო და ხუფდაცული სანაგვე ყუთები ქუჩაში გააგორა. ნაცრისფერმა კატამ დააპირა მაღაზიაში შემოვარდნა, მაგრამ ითენმა გააგდო.

– ვერ მოგართვეს, - უთხრა მან კატას, - კატებისთვის ღმერთს თავგები და ვირთავები გაუჩენია, შენ კი ძეხვი მოგდომებია. მოუსვი! მოუსვი-მეთქი, შენ

გეუბნებიან! - კართან ჩაცუცქული კატა მოვარდისფრო თათებს ილოკავდა, მაგრამ მეორედ რომ უთხრეს, „მოუსვიო“, წამოდგა, კუდი აპრიხა და ბანკის უკან მესერს გადაეწო. - ჯადო ჰქონია ამ სიტყვას, - თქვა ითენმა ხმამაღლა. საწყობში შემობრუნდა და კარი მიიკეტა.

გაიარა მტვრიანი საწყობი და მაღაზიის კარისკენ გაემართა, მაგრამ უცებ საპირფარეშოს ავზიდან წყლის წანწკარი შემოესმა. ფირფიცრის კარი შეაღო, სინათლე ჩართო და წყალი ჩამოუშვა. მერე საწყობში გამავალ ფართო კარს გაჰკრა ხელი, - რომელსაც მავთულის ბადის პატარა სარკმელი ჰქონდა დატანებული, - ფეხის ჰვინტით ხის სოლი გამოაცოცა და კარს შეუყენა.

დიდი ვიტრინების ფარდებიდან შემოსული სინათლე მაღაზიაში მწვანედ ირეკლებოდა. აქაც ჭერამდე აეყვანათ თაროები და ზედ კოხტად დაელაგებინათ პრიალა თუნუქისა და მინის კონსერვები - მშვენიერი ბიბლიოთეკა კუჭისათვის. ერთ მხარეს დახლი იდგა, იქვე სალარო. ქალაღდის პარკები, კანაფის შულო, და ეს დიდებული, უქანგავი ლითონითა და თეთრი ემალთ მოპირკეთებული დიდი მაცივარი, რომელშიაც კომპრესორი თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა. ითენმა ამომრთველი გაატკაცუნა და ვიტრინებში ჩალაგებულ ჩაციებულ ლორებს, ყველს, ძეხვებს, ბიფშტექსებსა და დაბეგვილ კატლეტებს ცივი, მოცისფრო ნეონის შუქი გადაედვარა, მაღაზიაში ერთბაშად ისეთი სინათლე დადგა, როგორც შარტრის ტამარში არის ხოლმე. ითენს ეამა და თვალი შვებით გადაავლო ტომატის კონსერვების საორღანო მილებს, ზეთისა და მდოგვის ქილების კაპელებს, სარდინების ასობით ოვალურ საფლავებს...

– Unimum et unimorum, - დუდუნით გააგრძელა ლიტანიის კილოზე, Uni unimore quod uniburg in omnium unim, domine ahhhhhmen, - დააბოლოვა მან და თითქოს ცოლის გაკიცხვა შემოესმა. „რა სისულელეა! არ იქნება, რომ ვინმეს გული არ ატკინო. ყველაფერი კი არ უნდა გააბიაბრუო“.

საბაყლო დუქნის ნოქარი - მარულოს საბაყლო დუქნისა - რომელსაც ცოლი და ორი საყვარელი შვილი ჰყავს, როდის არის ხოლმე მარტო, როდის შეუძლია მარტოდმარტო დარჩეს? დღისით - მყიდველები, საღამოზე, - ცოლი და შვილები; ღამით - ცოლი, დღისით - მყიდველები, საღამოზე - ცოლი და შვილები.

– სააბაზანოლა დარჩა... - ხმამაღლა თქვა ითენმა, და ახლავე, სანამ რაბს გავხსნიდე. ოჰ, ეულო, წყეულო, მყრალი და ბრალი, ბითურ-მითურო დროო - ულაზათ-უმარიფათო დროო. - ახლა ვიღასა ვტკენ გულს, ჩემო შაქარზე უტკებსო? - მიმართა მან ცოლს, - აქ ხომ არავინ არის, არც გულსატკენი და არც გასაბიაბრუებელი! მხოლოდ მე ვარ და ჩემი „უნიმუმ უნიმორუმი“, სანამ ამ ოხერ კარს გავაღებდე.

დახლის უჯრიდან, ზედ სალაროს გვერდით, სუფთა წინსაფარი ამოიღო, გაშალა, თასმები გაუსწორა, ვიწრო წელზე აიფარა, თასმები წინ გამოიტანა და ისევ უკან გაატარა, მერე ორივე ხელის ცეცებით შეიკრა ზურგზე .

წინსაფარი გრძელი იყო, წვივებზე სცემდა. ხელები თასივით მომუჭა, მაღლა ასწია და წარმოთქვა: – ყური მომაპყარით, თქვენ, მსხლის კონსერვებო, მწნილებო და მუჟუჟებო!.. „და ვითარცა განსთენა, ზრახვაი ჰყუეს ყოველთა მღუდელთ-მთავართა და მოხუცებულთა ერისათა“... ვითარცა განსთენა! ადრე კი შეუდგნენ საქმეს ეს დედლები! ერთი წუთიც არ დაჰკარგეს უქმად. მერე რაო? „ხოლო მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქვეყანა“... ეს იქნებ ჩვენი თორმეტი საათი იყოს... „დაბნელდა ყოველი ქვეყანა... ვიდრე მეცხრე ჟამამდე“. საკვირველია, როგორ მახსოვს! ღმერთო დიდებულო, რამდენ ხანს აწამეს... რა საშინლად გააგრძელეს. - ხელი ჩამოუშვა და გაკვირვებით გადახედა დატვირთულ თაროებს, თითქოს პასუხს მათგან მოელოდა. - აღარაფერს მეუბნები, მერი, ჩემო ფუნთუშა? შენც იერუსალიმელი ასული ხომ არა ხარ? „ნუ ჰსტირთ ჩემ ზედა. - თქვა მან, - არამედ თავთა თქუენთა ჰსტიროდეთ და შვილთა თქუენთა... რამეთუ უკეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყოფენ, ხმელსა მას რაიმე ეყოს?“ ახლაც კი გულს მიწურავს. პაპიდა დებორა ვერც კი წარმოიდგენდა, ასე თუ ჩამრჩებოდა გულში. ჯერ არ არის მეექვსე საათი... ჯერ არა.

ვიტრინის მწვანე ფარდები ასწია და განაგრძო: – შემოდი, დღეო! - მერე წინა კარებიც გააღო, - შემობრძანდი, ქვეყანავ! - რკინის ლარტყულით გამაგრებული კარი გახსნა და გამოაღო. დილის მზე ქვაფენილს ეალერსებოდა, და ეს არც იყო უჩვეულო, რადგან აპრილში მზე სწორედ იქ ამოდის, სადაც მთავარი ქუჩა ზღვის უბეს ერთვის. ითენი გამობრუნდა და საპირფარეშოდან ცოცხი გამოიტანა, რათა ტროტუარი დაეგავა.

დღე, - მთელი დღე, დილიდან საღამომდე, - ერთნაირი როდია; ათასნაირად იცვლება ხოლმე. იცვლება არა მარტო მზის შუბის ტარზე ასვლით ან დასავლეთისაკენ გადახრით, არამედ მთელი თავისი ქსოვილით, ფერებითა და მნიშვნელობით, წელიწადის დროთა ნაირ-ნაირი ცვლილებებით; ყველაფერი მოქმედებს - სიცხე იქნება თუ სიცივე, ქარი თუ სიწყნარე, საამო სურნელი თუ შხამი ბალახისა, კვირტისა, ფოთლისა, სიცივე ყინულისა თუ შავად გატიტვლებული ტოტებისა. იცვლება დღე და მასთან ერთად იცვლებიან მისი ქვეშევრდომებიც - მწერები და ფრინველები, კატები და ძაღლები, პეპლები და ადამიანები.

ითენ აღენ ჰყოლის წყნარი, ნისლიანი და შინაგანი განცდების შემცველი დღე იწურებოდა. ეს კაცი, რომელიც ხელის თანაბარი მოძრაობით გვიდა დილაობით ტროტუარს, არაფრით არ ჰგავდა იმას, ვინც ქადაგებას უკითხავდა ხოლმე კონსერვებს, არც Unimum unimorum-ს და თვით იმ „ბითურ- მითურ“ კაცსაც კი. ცოცხით მოაგროვებდა პაპიროსის ნამწვებს, ქაღალდებს, რაშიაც საღეჭი რეზინებია გახვეული, ხიდან ჩამოცვენულ დამსკდარ კვირტებს, მტვერს, და წყლის არხთან მიხვეტდა, საიდანაც მერე მენაგვეებს უნდა წაეღოთ ვერცხლისფერი საბარგო მანქანით.

მისტერ ბეიკერი ღირსეულად მოემართებოდა შინიდან - ნეკერჩხლის ქუჩაზე მდებარე სახლიდან - პირველი ნაციონალური ბანკის წითელი აგურით ნაგები შენობისაკენ. და თუ მისი ნაბიჯები თანაბარი სიგრძისა არ იყო, აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს ძველი ცრურწმენით მოსდიოდა, რათა დედის აჩრდილზე ფეხი არ დაედგა და მისი ხერხემალი გადატეხისაგან ეხსნა.

– დილა მშვიდობისა, მისტერ ბეიკერ, - უთხრა ითენმა და ცოცხი მოარიდა, რათა ბანკირისთვის კოხტა სარკის შარვალზე მტვერი არ შეეყარა.

– დილა მშვიდობისა, ითენ. კეთილი დილა ნუ მოგეშალოთ.

– კეთილი დილა, - გაიმეორა ითენმა, - გაზაფხული დაგვიდგა, მისტერ ბეიკერ, თხუნელა ამჯერადაც მართალი გამოდგა.

– ნამდვილად, ნამდვილად, - მისტერ ბეიკერი ცოტა ხანს გაჩუმდა, - რამდენი ხანია რაღაც მინდა გითხრათ, ითენ. თქვენმა ცოლისძმამ რომ ფული უანდერძა თქვენს მეუღლეს... ხუთიათასზე მეტია მგონი, არა?

– გადასახადების დარიცხვით ექვსიათას ხუთასი გახლავთ, - მიუგო ითენმა.

– და ამდენი ფული ტყუილუბრალოდ დევს ბანკში. უნდა დააბანდოთ. სწორედ ამაზე მინდა მოგელაპარაკოთ. ფული უნდა ამოქმედო.

– ექვსი ათას ხუთასმა დოლარმა რა უნდა გააკეთოს, სერ, შავი დღისთვის თუ შეინახავს კაცი.

– უქმად დადებული ფული არა მწამს, ითენ.

– რატომ, ესეც საქმეა - დევს და ელოდება.

ბანკირს ხმაში ყინული ჩაედვარა.

– არ მესმის. - ხმაზე ეტყობოდა, ჩინებულად ესმოდა, მაგრამ ეს შენიშვნა სისულელედ მოეჩვენა, მისმა ტონმა ითენს უჩხვლიტა, ჩხვლეტის სიმწარემ კი სიცრუე წარმოშვა.

ცოცხმა ნახევარწრე შემოხაზა ტროტუარზე.

– ეს ფული ხომ დროებით ხელმოსათბობად დაუტოვეს მერის. მე თუ რამე მომივიდა, იმ შემთხვევაში.

– მაშინ ნაწილი უნდა აიღოთ, და თავი დაიზღვიოთ.

– მაგრამ ეს ხომ დროებით აქვს გადმოცემული, სერ. მერის ძმის ფულია. დედამისი ისევ ცოცხალია. ჯერ არც აპირებს სიკვდილს.

– მესმის. მოხუცი ხალხი ხშირად ტვირთად იქცევა ხოლმე.

– და ფულსაც ხშირად ასხედან, - სიცრუე რომ თქვა ითენმა, ბანკირს გადახედა და შენიშნა, რომ საყელოს ქვემოდან მისტერ ბეიკერს სიწითლე მოაწვა, - ხომ იცით, როგორ ხდება ხოლმე, სერ. ვაითუ დავაბანდო მერის ფული და ერთბაშად დავკარგო, როგორც ჩემი საკუთარი დავკარგე, ან როგორც მამაჩემი გაკოტრდა.

– წყალი ერთ ადგილას ხომ არა დგას, ითენ... წყალი ერთ ადგილას ხომ არა დგას. ვიცი, რომ გაკოტრდით ერთხელ, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ახალი შესაძლებლობანი გაჩნდა.

– შესაძლებლობანი მაშინაც ბევრი მქონდა, მისტერ ბეიკერ. ჭკუა არ მქონდა იმდენი, თორემ შესაძლებლობანი იცოცხლე! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს მაღაზია ომის დამთავრებისთანავე გავხსენი. ნახევარი კვარტალი უძრავი ქონება გავყიდე საქონლის შესაძენად - ჩემი უკანასკნელი ქონება.

– ვიცი, ითენ. ჩემს ბანკში არა გაქვს ანგარიში! როგორც ექიმმა იცის თქვენი პულსის ამბავი, ისევე მე - თქვენი ანგარიშისა.

– როგორ არ გეცოდინებათ. ორი წელიწადიც აღარ დამცალდა - ერთიანად გავკოტრდი. სახლილა დამრჩა, თორემ დანარჩენი ყველაფერი ვალებში წავიდა.

– თქვენ კი ნუ იბრალეხთ ყველაფერს. ჯარიდან ახალი დაბრუნებული იყავით... გამოცდილება გაკლდათ. ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ საშინელი კრიზისის დროს მოგიხდათ საქმეზე ხელის მოკიდება. ჩვენ გავიძახით შეფერხება იყო, თორემ გახურებული დეპრესია იყო. გაქნილი ხალხიც კი გაცურდა.

– მე გაცურებაც ვერ მოვახერხე - პირდაპირ ფსკერზე დავეშვი. ისტორიაში ჯერაც არ მომხდარა, ჰოულის გვარიდან გამოსული კაცი ვიღაც იტალიელს ედგეს დახლში ნოქრად.

– ეს მართლაც ვერ გამიგია, ითენ. მარცხი ვის არ მოსვლია, მაგრამ ამნაირი გულისგატეხა პირველად მესმის. ასეთ ოჯახშიშვილს, შემღებულს, ნასწავლს... ეტყობა, საბოლოოდ დამაბუნებულხართ, თუ ფიქრობთ, რომ საშველი აღარ არის. ასე რამ გაგზნიქათ, ითენ? გაგზნიქათ და ველარც გამართულხართ.

ითენმა შედავება დააპირა - შენ რა გესმის, თავის დღეში ასეთი რამე არ გამოგიცდია და რას გაიგებო... მაგრამ ამის ნაცვლად ცოცხით ერთად დაახვავა სიგარეტების ნაწიწები და საღეჭი რეზინების ქალაღები, არხისკენ გახვეტა.

– კაცს ერთბაშად ვერ დაასამარებ. მე ის მინდა ვთქვა, რომ რა გინდ დიდი გასაჭირი შეხვდეს ადამიანს, მაინც შეებრძოლება და გაუმკლავდება. ერთადერთი, ეროზია სპობს კაცს. უფსკრულისაკენ ჰკრავს ხოლმე ხელს. თანდათანობით მოიცავს შიში. მეც მეშინია. ლონგ აილენდის ელექტროკომპანია სინათლეს გამოძირთავს. ცოლს

ტანსაცმელი სჭირდება, ბავშვებს - ფეხსაცმელი და გართობა. სწავლაც რომ ვერ დავამთავრებინო? ახლა ყოველთვიური ხარჯიც, ექიმი, კბილები, ნუშისებური ჯირკვლების ამოკვეთა... ვთქვათ, უცებ ავად გავხდი და ამ ოხერი ტროტუარის დაგვა ვერ შევძელი! ამას თქვენ რას გაიგებთ. ნელ-ნელა გსპობს ხოლმე. სულ გამოგიხრავს გულ-გვამს. მაცივრის მომავალი თვის გადასახადზე თუ ვიფიქრებ, თორემ მეტი აღარ შემიძლია. მძულს ეს ჩემი სამსახური და თან კი მეშინია არ დავკარგო. ამას თქვენ რას გაიგებთ?

– მერის დედა?

– აკი გითხარით. მაგრად აზის ფულს. ასევე მოკვდება - ფულზე მჯდომარე.

– მაგას ვერ წარმოვიდგენდი. ღარიბი ოჯახის შვილი მეგონა მერი. მაგრამ ავად რომ გახდები, ცხადია, წამლები გინდა, იქნებ ოპერაციაც დაგჭირდეს ან ელექტროშოკი. ჩვენი წინაპრები მამაცი ხალხი იყო. ეს ხომ შენც იცი. არავის დააჩაგვრინებდნენ თავს. ახლა ყველაფერი შეიცვალა. ისეთი შესაძლებლობანი გაჩნდა, ჩვენს წინაპრებს არც მოელანდებოდათ, მაგრამ უცხოელები სარგებლობენ ამით. გაგვისწრეს უცხოელებმა. გაიღვიძეთ, ითენ!

– მაცივარს რა ვუყო?

– წაიღონ, თუკი ვერაფერს ვუშველით.

– მერი? ბავშვები?

– დაივიწყეთ ცოტა ხნით. ამ ორმოდან რომ ამოძვრებით, კიდევ უფრო შეგიყვარებენ. ზედმეტი ზრუნვითა და თავის შეწუხებით ვერაფერს უშველით.

– მერის ფული?

– უნდა გარისკოთ, თუნდა სულ დაიკარგოს. კეთილ რჩევას თუ ათხოვებთ ყურს და ფრთხილად მოიქცევით, არაფერსაც არ დაკარგავთ. რისკი სულაც არ ნიშნავს დაკარგვას. ჩვენი წინაპრები მუდამ წევდნენ გონივრულ რისკს, მაგრამ ერთხელაც არ წაუგიათ. გადაწყვიტე, მაგრად შეგანჯღრიოთ, ითენ. თქვენ სულაც არა სცემთ პატივს ძველ კაპიტან ჰოულის სახელს. ნუთუ არაფერს გავალებთ მისი ხსოვნა? იყო დრო, რომ მასა და მამაჩემს ეკუთვნოდა „ბელ-ადერი“ - ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი ხომალდი უკანასკნელ დროს აგებულ ვეშაპებზე მონადირე ხომალდთა შორის. გამოფხიზლდით, ითენ. „ბელ-ადერიც“ ბევრ რამეს გავალებთ, მის წინაშეც ვალდებული ხართ. მაცივრის გადასახადი და მთელი საფინანსო კომპანია ფეხზე დაიკიდეთ.

ითენმა ცოცხის წვერით გამოათრია გაჯიუტებული ცელოფანის ნაგლეჯი და ნაგავს შეუერთა.

– „ბელ-ადერი“ ზედ წყალხაზზე დაიწვა, სერ, - წყნარად თქვა მან.

- ვიცი, მაგრამ რა წავაგეთ? არაფერი.
- დაზღვეული იყო და იმიტომ.
- რა თქმა უნდა.
- მე კი არ ვყოფილვარ დაზღვეული. სახლილა შევინარჩუნე და მორჩა.
- აღარ დაივიწყებთ ამას? რაც მოხდა - მოხდა, წუწუნის აღარას გარგებთ. გული უნდა გაიმაგროთ. გაზედულად მოჰკიდოთ საქმეს ხელი. იმიტომაც გეუბნებით, მერის ფული დააბანდეთ-მეთქი. მინდა დაგეხმაროთ, ითენ.
- მაღლობელი ვარ, სერ.
- ეს წინსაფარი უნდა მოგადროთ. კაპიტან ჰოულის ხსოვნა გავალებთ ამას. თვალებს არ დაუჯერებდა, ასე რომ დაენახეთ.
- მეც ასე მგონია.
- ასე უნდა. ამ წინსაფარს მოგადრობთ.
- მერი და ბავშვები რომ არ იყვნენ...
- ეგეც დაივიწყეთ. აკი გეუბნებით - მათივე კეთილდღეობისთვის-მეთქი. მალე ამ ჩვენს ნიუ-ბეიტაუნში საინტერესო რაღაცეები დაიწყება. თქვენც შეგიძლიათ მიიღოთ მონაწილეობა.
- მაღლობელი ვარ, სერ.
- ჯერ კარგად მოვიფიქრო.
- მისტერ მორფიმ სენდვიჩები დამიკვეთა - ბანკი რომ დაიკეტება შუადღისას, მე მაინც უნდა ვიმუშაო. თქვენც ხომ არ მოგიტანოთ?
- არა, მაღლობელი ვარ. ჯოისთვის მაქვს საქმე მინდობილი. კარგი კაცია. მიწის ნაკვეთებს უნდა გადავხედო. აქვე, სამმართველოში, რა თქმა უნდა. თორმეტიდან სამამდე იქ სიწყნარე და მყუდროებაა. იქნებ თქვენთვისაც შევარჩიო რამე. მალე მოვილაპარაკოთ ამაზე. ნახვამდის. - გრძელი ნაბიჯი გადადგა. გახეთქილ ტროტუარს ფეხი აარიდა, ქუჩა გადაჭრა და პირველი ნაციონალური ბანკის კარისკენ გაემართა. ითენი ღიმილით მიაცილებდა.
- ითენი მალე მორჩა დაგვას, რადგან ხალხმა იწყო სამსახურისაკენ დენა. შესასვლელში ხონჩებით ახალი ხილი გამოდგა. მერე, როცა ხალხი შეთხელდა, და ითენი დარწმუნდა, რომ მაღაზიის წინ არავინ მიდიოდა, თაროდან სამი კონსერვი გადმოიღო - თაროში ხელი შეყო და ფულის პატარა ჩაყანგებული ჩანთა გამოათრია. კონსერვის ქილები ისევ თავის ადგილზე დააწყო, სალარო გამოაღო და თითი

დააჭირა აპარატის ფუჭ ღილაკს, რომელსაც აწერია - „არ იყიდება“ - დოლარიანები, ოცდოლარიანები, ათიანები და ხუთიანები ცალ-ცალკე დაალაგა, პატარა ბორბლებქვეშ. სალაროს წინა ნაწილში კი, მუხის პაწაწინა უჯრებში ასევე ცალ-ცალკე დაალაგა მონეტები - ორმოცდაათცენტისიანები, ოცდახუთიანები, ათიანები, ხუთიანები და თითო პენიანები. მერე ისევ მიკეტა უჯრა. მყიდველები კანტიკუნტად შემოდოდნენ - ბავშვები თითო კვერი პურისა და რძისთვის გამოეგზავნათ, ზოგს ყავა დავიწყებოდა და გირვანქა ყავა მიჰქონდა - უმთავრესად გოგონები იყვნენ, ახალგაზვიძებულებს თმის დავარცხნა ვერც კი მოესწროთ.

მაღაზიაში მარჯი იანგ-ჰანტი შემოვიდა - ორაგულისფერ სვიტერში მკერდი უტიფრად წამოზურცვოდა. ტვიდის ქვედაკაბა მიმზიდველად შემოტმასვოდა თეძოებზე, ამაყი უკანალიც მოეყოლებინა. მაგრამ მხოლოდ თვალებში, მარჯის თაფლისფერ, ბეც თვალებში, ხედავდა ითენი იმას, რისი დანახვაც მის ცოლს არანაირად არ შეეძლო, რადგან ცოლების თანდასწრებით არასოდეს ჩანს ამისთანა რამეები, ეს იყო ქორი, მტაცებელი, შარვლებზე მონადირე არტემიდა. „თვალები აქეთ-იქით გაურბისო“, - ასე იტყოდა ხოლმე ძველი კაპიტანი ჰოული ამნაირ გამოხედვაზე. ხმაც თვალების შესაფერი ჰქონდა - მზრდღვინავი, ხავერდოვანი ხმა, რაც ცოლებთან ხელადვე მინაზებულ, ნდობის აღმძვრელ კუჭკუჭად გადაიქცეოდა.

– გამარჯობა, ით - თქვა მარჯიმ, - რა საპიკნიკო დღეა!

– გამარჯობა. სანამდღოს ჩამოვალ - უყავოდ დარჩებოდით!

– მართლაც თუ გამოიცნობთ, რომ უსელტეროდ დავრჩი, მაშინ ერთ კილომეტრზე არ მოგეკარებით.

– წუხელ მაგრად გადაგიკრავთ.

– არც ისე. ვილაც სავაჭრო აგენტი იყო. ერთი რომ დაიქოქა, აღარ გაჩერდა. ქმარგაყრილი ქალებისა არავის ეშინია. პორტფელი სულ სარეკლამო საქონლით ჰქონდა გამოტენილი. მათგან თქვენ, მგონი, კომივოიაჟორებს ეძახით. იქნებ იცნობთ კიდევ. გვარი აღარც კი მახსოვს - ბიგერია თუ ბოგერი. „ბ. ბ. დ. და დ“-ს ფირმის აგენტია. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ თქვენთან შემოვლასაც აპირებს.

– ჩვენ თითქმის სულ ვეილანდებისგან ვყიდულობთ საქონელს.

– ეს მისტერ ბეიკერი ახლა, ალბათ, თავის საქმეზე დაჩიქრიქებს, თუ ჩემსავით არა აქვს გამოყოლილი წუხანდელი. ერთ ჭიქა წყალს ვერ მომაწოდებთ, ბარემ აქვე გავხსნი სელტერს.

ითენი საწყობში გავიდა და მუყაოს ჭიქით წყალი გამოუტანა. ქალმა სამი აბი ჩაყარა ჭიქაში და აშიშინებას დაუცადა.

– თქვენ გაგიმარჯოთ, - თქვა და გადაჰკრა, - აბა, ჭინკებო! ჩქარა მიშველეთ!

– გავიგე, რომ დღეს მერის უნდა უმკითხაო.

– ღმერთო! კინალამ არ დამავიწყდა. მაგ საქმესაც უნდა მივხედო. ბარემ ჩემი ბედიც გამომეძებნა.

– მერის ძალიან უყვარს ამისთანა რამეები. მართლა იგი მკითხაობა?

– რა ბევრი რამე მაგას უნდა? ჯერ უნდა დააფქვევინო ხალხს - ქალებს, რა თქმა უნდა - თავიანთი თავგადასავალი, მერე კი მოსდგე და შენ თვითონ უამბო... გულთამხილველი ეგონები.

– შავტუხა, მაღალ ბიჭებსაც უმკითხავებთ ხოლმე?

– რაღა თქმა უნდა. ეჰ, მამაკაცის გულების წაკითხვაც რომ შემემძლოს, ამდენი შეცდომაც აღარ მომივიდოდა. იმიტომ იყო, ორჯერ მაგრად რომ დავიწვი პირი.

– პირველი ქმარი მოგიკვდათ მგონი, არა?

– არა, მეორე. ღმერთმა ულხინოს იმ ძაღლის გაგ... თუმცა მოვეშვათ. ღმერთმა აცხონოს.

ითენი დიდი ამბით მიესალმა მაღაზიაში შემოსულ მოხუც მისის ეზიზინსკის და სცადა რაც შეიძლება გაეჭიანურებინა ასი გრამი კარაქის აწონვა, ერთი-ორი სიტყვით ამინდიც კი შეაქო. მაგრამ მოსულიერებული მარჯი იანგ-ჰანტი წასვლას აღარ ფიქრობდა, ღიმილით ათვალთქვებდა ოქროს ეტიკეტთან პაშტეტის ქილებსა და სალაროს უკან ჩამწკრივებულ ხიზილალის პაწაწინა კოლოფებს.

– ჰა? - თქვა მარჯიმ, როცა დედაბერი მაღაზიიდან წაფრატუნდა პოლონურის დუდღუნით.

– რა ჰა?

– რაღაც გამახსენდა... მამაკაცებისათვისაც ისევე რომ შემემძლოს მკითხაობა, როგორც ქალებს ვუმკითხავებ, მაშინ აბრის გამოკვრაც კი შემემძლებოდა. რატომ არ მასწავლით, ით, კაცების ხასიათს?

– საკმაოდ იცით. იქნებ საკმაოზე მეტადაც.

– კარგით ერთი, ხუმრობაც აღარ გესმით?

– ახლავე დავიწყოთ?

– სადამოს აჯობებს.

– კეთილი, - უთხრა ითენმა, მთელი ჯგუფი შეგროვდება. მერი, თქვენ და ორი ბავშვი. თემა: მამაკაცები - მათი სისუსტე და უჭკუობა, და როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს.

მარჯის ყურადღებაც არ მიუქცევია მისი ტონისათვის.

– ზოგჯერ ხომ გვიანობამდე გაგიგრძელდებათ მუშაობა?... თვიური ანგარიშებით თუ ათასწარი ამისთანები?

– როგორ არა. შინ მიმაქვს სამუშაო.

ქალმა ხელები მაღლა ასწია და ათივე თითი თმაში შეაცურა.

– რატომ? - ჰკითხა მან.

– რატომ და იმიტომ, რომ ზოგჯერ ბატიც აღარ ბატობს.

– ხომ ხედავთ, რამდენი რამე შეგიძლიათ მასწავლოთ.

ითენმა თქვა: – „და ოდეს განჰკიცხეს იგი, განსძარცუეს მას ძოწეული იგი და შეჰმოსეს თვისივე სამოსელი, და განიყუანეს იგი, რათა ჯუარს აცუან. და პაჰრაკად წარიყუანეს თანა-წარმავალი სვიმონ ვინმე კვირინელი... რათა აღიღოს ჯუარი მისი. და მოიყუანეს იგი გოლგოთასა, ადგილსა, რომელ არს გამოთარგმანებით თხემისა ადგილი“.

– კარგი, თუ ღმერთი გწამს!

– დიახ, დიახ, სწორედ ასე იყო...

– ნეტა თუ მოგეხსენებათ, რომ ძალღიშვილი ბრძანდებით.

– ო, როგორ არა, იერუსალიმის ასულო.

ქალმა უცებ გაიღიმა.

– იცი, რა უნდა ვქნა? ერთ კაცსაც უნდა ვუმკითხო ამ დილას, სულ თავბედი ვაწყევლინო. თქვენ დიდი ვინმე გახდებით. იცით თუ არა? რასაც ხელს შეახებთ, წამსვე ოქროდ იქცევა, ხალხის წინამძღოლო! - სწრაფად მივიდა კართან, მოიხედა და გაიჰყანა, - ვნახოთ, თუ გამართლდა. მშვიდობით, მაცხოვარო. - რა უცნაური ხმა აქვს ხოლმე ქუსლების ტყაპუნს ტროტუარზე, როცა გაბრაზებული მიდიან.

ათი საათისათვის ყველაფერი შეიცვალა. ბანკის დიდი მინის კარები ყურთამდე გაიღო და ხალხმა ნიაღვარივით იწყო დენა ფულისთვის. იქიდან გამოსულები მარულოს მაღაზიაში შედიოდნენ და სააღდგომო ნაირ-ნაირი საჭმელები გამოჰქონდათ. ითენი ექვს საათამდე ისე იყო გაფაციცებული, როგორც საზღვაო თხილამურებზე შემდგარი კაცი.

გაბრაზებულმა სახანძრო ზარმა კომპიდან ექვსის დაწყება ამცნო ქალაქს. სანოვაგით პირგამოტენილი მყიდველები თანდათანობით შეთხელდნენ. ითენმა ხილის მოძრავი ვიტრინა მაღაზიაში შეიტანა, ქუჩის კარები მიკეტა და არა სხვა რამ მიზეზით, - გარდა იმისა რომ ქვეყანაზე და მის სულშიაც სიბნელე ჩამოწვა, - მძიმე, მწვანე ფარდები ჩამოუშვა. ახლა მაღაზიაშიაც ჩამოწვა სიბნელე. დახლში შევიდა, ჭვავის პური დაჭრა სქლად და ოთხ ნაჭერს ბლომად კარაქი წაუსვა. მერე მაცივრის კარი გამოაღო და ორი ნაჭერი შვეიცარიული ყველი და ლორის სამი ნაჭერი გამოიღო.

– ყველი და სალათი, - თქვა მან, - ყველი და სალათი სამჯერ დღეში, ვინც ცოლს შეირთავს, იცხოვროს ტყეში. - ქილიდან მაიონეზი ამოიღო და ზედა ნაჭერ პურს წასცხო, მერე ქვედა ნაჭერს დაადო და ნაჭრებს შორის გამოჩრილი ლორი და სალათი შემოჭრა, შემოასწორა. მერე რძე გამოიტანა მუყაოს ქილით, რომელიც გასანთლულ ქაღალდში იყო გახვეული. წვიპად მოჰკიდა ხელი ქაღალდს და გახსნა დააპირა; ამ დროს, კლიტის ჭუჭრუტანაში გასაღებმა გაიჩხაკუნა და შემოვიდა მარულო - დათვივით ჩაფსკვნილი და ისეთი მსხვილი, რომ ხელები ტანთან შედარებით მოკლე გერგენებოდათ. ქუდი კეფაზე დაეკოსებინა და ქვეშ ისეთი ჯაგარა, ლითონისფერი ქოჩორი მოუჩანდა, გეგონებოდა შლაპის ქვეშ კეპი ახურავსო. ნამძინარევი ცბიერი თვალები ნამიანი ჰქონდა, წინა კბილების ოქროს გვირგვინებმა მაცივრის შუქზე გაიელვა. შარვლის ორი ზემოთა ღილი გახსნოდა და თბილი, ნაცრისფერი საცვალი მოუჩანდა. კოტიტა ცერები ღიპზე მომდგარ შარვლის სარტყელში ჩაეყო და თვალების ჭუტვით სიბნელეს ეჩვეოდა.

– დილა მშვიდობისა, მისტერ მარულო. თუმცა ეგერ შუადღეც გავიდა.

– გამარჯობა, ბიჭუნო. ძალიან კი დაგიჩქარებია დაკეტვა.

– მთელი ქალაქი დაიკეტა. მე თქვენ წირვაზე მეგულეობდით.

– დღეს წირვა არ არის. ერთადერთი დღეა მთელ წელიწადში, როცა არა სწირავენ ხოლმე.

– მართლა? არ ვიცოდი. ხომ არაფერს დამავალბებ?

კოტიტა ხელები რამდენჯერმე გაიშალა და მოიხარა იდაყვებში.

– მკლავები მტეხს, ბიჭუნო. ართრიტი! სულ უფრო და უფრო მაწუხებს.

– არაფერი ეშველება?

– რა არ ვცადე - ცხელი სათბურებიო, ზვიგენის ქონი, აბები... მაინც მტეხს. კაციშვილი არ გვაწუხებს, ჩაკეტილი ვართ. იქნებ მოვილაპარაკოთ, ჰა, ბიჭუნო? - კვლავ გაიელვებს კბილებმა.

– ცუდი ხომ არაფერი მომხდარა?

– ცუდი? რა უნდა მომხდარიყო?

– იქნებ ცოტა ხანს დამიცადოთ. ბანკში გადავირბენ. მისტერ მორფიმ სენდვიჩები მთხოვა.

– ყოჩად, მარჯვე ბიჭი ხარ. კარგი მომსახურება იცი. ასე უნდა. ითენი საწყობიდან გავიდა, ქუჩა გადაჭრა, ბანკს განის კარიდან მიადგა და დააკაკუნა. რძე და სენდვიჩები მიუტანა ჯოის.

– მაღლობელი ვარ. თქვენ რატომ შეწუხდით.

– სამსახურია. მარულომ ასე მითხრა.

– ორი კოკა-კოლაც შემიდგით მაცივარში. კარგი? ამ ციფრებმა პირიც გამიშრეს.

ითენი მაღაზიაში დაბრუნდა - მარულო სანაგვე ყუთს ათვალიერებდა.

– სად უნდა მომელაპარაკოთ, მისტერ მარულო?

– აქვე დავიწყოთ, ბიჭუნა, - სანაგვე ყუთიდან კალნაბის ფოთლები ამოქექა, - ძალიან ბევრს აყოლებ.

– ხომ უნდა გავასუფთაო?

კალნაბი წონით გადის. ნაგავს ფული კი არ უნდა გააყოლო. ერთ ჭკვიან ბერძენს ვიცნობ - ბარე ოცამდე რესტორანი აქვს გახსნილი. იმან იცის ხოლმე თქმა: ყველაზე დიდი საიდუმლოება ის არის, სანაგვე ყუთები ხშირ-ხშირად დაათვალიერეო. რასაც გადაყრი - იმას ვეღარ გაჰყიდო. ჭკვიანი კაცია.

– დიახ, მისტერ მარულო, - გულმოსულობის დასაფარავად ითენი მაღაზიაში შევიდა. მარულო მას შეჰყვა - ხელებს კვლავ შლიდა და კეცავდა ნიდაყვებში.

– ბოსტნეულს ხომ ასხურებ წყალს, როგორც გასწავლე?

– როგორ არა.

მარულომ დახლიდან სალათის კონა აიღო.

– შემჭკნარა.

– რა ჯანდაბა უნდა ვუყო, მარულო? კიდევ წყალი დავასხა? ისედაც სანახევროდ წყალია.

– წყალი გააცოცხლებს, გაახალისებს, პეწს მისცემს. შენ გგონია ამდენი არ მესმის! მე პატარა ორთვალათი დავიწყე, უბრალო ორთვალათი. რა გამომეპარება! უნდა ისწავლო, საქმე, ყმაწვილო, თორემ, ფეხს წაიმტვრევ. ახლა ხორცი - ძალიან ბევრს უხდი ყასბებს.

– ქვეყანას ყურები გამოვუჭედეთ - პირველი ხარისხის ხორცი გვაქვსო.

– პირველია თუ მეორე, ვინა გყავს მაგის გამგები! ზედ ხომ აწერია, და მორჩა. ახლა კი ყური მიგდე - მოვალეებმა სული ამოგვხადეს. ვინც თხუთმეტამდე არ გაასწორებს ანგარიშს, ნურაფერს მისცემ.

– როგორ იქნება. ოცი წელიწადია ჩვენი მუშტარია ხალხი.

– მე დამიჯერე, ყმაწვილო, ვულვორთის მაღაზიები ხუთი ცენტის საქონელსაც კი არ ანდობენ ნისიად თვით ჯონი როკფელერს.

– ჩვენი მუშტრები საიმედო ხალხია. ყოველ შემთხვევაში, უმეტესობა.

– საიმედო რას ქვია? ფულს გვიჩერებენ. ვულვორთის მაღაზიები ვაგონობით საქონელს ყიდულობენ. ჩვენ ვერ ვახერხებთ ამას. უნდა ისწავლო, ყმაწვილო. კარგი ხალხია - რა მეთქმის. მაგრამ ფულიც კარგია. აგერ ყუთშიაც რამდენი ნაჭერი გდია.

– ცარიელი ქონი და ტყავია.

– წინასწარ რომ სწონიდე და მერე აცლიდე ქონსა და ტყავს, ვინ მამამადლი! ჯერ თავოო, ხომ გაგიგონია. შენ თუ არ გახსოვს შენი თავი, სხვას ვის გაახსენდები! უნდა ისწავლო, ყმაწვილო. - კბილებს ახლა აღარ გაუელვია, რადგან ტუჩები პაწაწინა მახესავით ჰქონდა მოკუმული.

უცებ ისე აენტო გაგულისებული ითენი, რომ თვითონვე გაუკვირდა.

– მე ყალთაბანდი არა ვარ, მარულო.

– ვინ არის ყალთაბანდი? ეს ვაჭრობაა და თუ ვაჭრობ, როგორც წესი და რიგია, ისე უნდა ივაჭრო. შენ რა გგონია - მისტერ ბეიკერი თავის ფულსაც აძლევს ხალხს?!

ამან მთლად გააცოფა ითენი.

– იცით, რა გითხრათ, - შესძახა მან, - ჰოულები აქ მეთვრამეტე საუკუნიდან ცხოვრობენ. თქვენ უცხოელი ხართ. ეს არც გაინტერესებთ. ჩვენ მუდამ კეთილი ურთიერთობა გვქონდა მეზობლებთან და პატიოსნებისათვის ერთხელაც არ გვიღალატნია. იმას თუ ფიქრობთ, რომ სიცილიიდან ჩამოსული კაცი ყველაფერს უკუღმა შეატრიალებთ, ძალიან ცდებით. იქნებ სხვისთვის გინდათ ეს ჩემი ადგილი - სიამოვნებით. ახლავე. ამ წუთშივე. და ცხვირს მოგამტვრევთ, კიდევ თუ გაგიბედავთ ბიჭუნას დამახება...

ახლა უკვე ყველა კბილი აუელვარდა მარულოს.

– კარგი. კარგი. გეყოფა. ნუ გაგიჟდი. მე შენთვის სიკეთე მინდა.

– ბიჭუნას ნუ მეძახით. ორასი წელიწადია ჩემი გვარი აქა ცხოვრობს. - თვითონვე ბალღურად მოეჩვენა ეს სიტყვები და წამსვე გაგულისებამაც გადაუარა.

– ინგლისური კარგად არ მეხერხება. შენ, ეტყობა, ძალიან აგდებულად უყურებ მარულოს გვარს, სულელი იტალიელი გგონია - უოპი და დეიგოუ[3] არა, ჩემი genitori[4]... ჩემი გვარი ბარე ორი-სამი ათასი წლისაა. მარულოები რომაელები ვართ. ვალერიუს მაქსიმუსსა ვყავართ მოხსენიებულნი. ორასი წელი რა დიდი ამბავია!

– თქვენ უცხოელი ხართ.

– ორასი წლის წინათ თქვენც უცხოელები იყავით.

ითენს სავსებით მოუღება გული და უცებ ისეთი რამე შენიშნა, რამაც ადამიანი შეიძლება გარესამყაროს რეალობაში დააეჭვოს. მან შენიშნა, რომ ეს ემიგრანტი, ვიღაც გადამთიელი, ხილის ვაჭარი ერთბაშად შეცვლილიყო - ხედავდა მისი შუბლის გუმბათს, მოკაუჭებულ ცხვირს, ღრმად ჩამჯდარ მძვინვარე და უშიშარ თვალებს, დაძარღვულ კისერზე შემდგარ თავს, და სიამაყეს, ისეთ ღრმასა და თავდაჯერებულ სიამაყეს, რასაც თავისუფლად შეუძლია თავმდაბლობის როლი გაითამაშოს. ისეთი აღმოჩენა იყო ეს, რამაც შეიძლება ადამიანს გაკვირვებისაგან თავზარი დასცეს: თუკი ეს აქამდე ვერ შევნიშნე, მაშ, ვინ იცის, რამდენი რამ გამომრჩენია შეუმჩნეველი ცხოვრებაშიო.

– რაში გჭირდება ასეთი ლაპარაკი! - უთხრა მან წყნარად.

– ვაჭრობა ასე უნდა. მე შენ ვაჭრობას გასწავლი. სამოცდარვა წლისა ვარ. ცოლი მყავდა - მომიკვდა. აგერ ართრიტიც დამეტაკა, საშინლად მაწამებს. მიხდა, ვაჭრობა გასწავლო. იქნებ არ შეგიძლია. ყველას კი არ შეუძლია ამის სწავლა. იმიტომაც კოტრდებიან.

– რაკი ერთხელ გავკოტრდი, აღარ უნდა მომეშვათ?!

– რა ბრძანებაა. განა მაგას ვამბობ. მე სწორედ იმას ვცდილობ, კარგად შეგასწავლო ვაჭრობა, რომ მეტად აღარ გაკოტრდე.

– მადლობა ღმერთს, გასაკოტრებელი აღარაფერია, ჩემი სავაჭრო არა მაქვს.

– შენ ჯერ ბიჭუნა ხარ.

– მოიხედეთ, მარულო, - უთხრა ითენმა, - ბოლოს და ბოლოს, ამ მაღაზიაში ხომ ყველაფერს მე ვაკეთებ. ანგარიშს მე ვაწარმოებ, ბანკიდან ფული მე გამომაქვს, საქონელს მე ვუკვეთავ. ვცდილობ, მუშტრები შევიწარმოო. სხვებისგან ჩვენკენ გადმოვიბირო. მეტი რაღა უნდა ვქნა?

– მართალი ხარ... ზოგი რამე მართლაც შეისწავლე. უკვე აღარა ხარ ბიჭი. ცოფდები, ბიჭუნას რომ დაგიძახებ. მაგრამ რა დაგიძახო? ყველას ბიჭს ვეძახი ხოლმე.

- სცადეთ და ჩემი ნამდვილი სახელი დამიძახეთ.
- შინაურული ვერ გამოვა. „ბიჭუნა“ უფრო შინაურულია.
- სამაგიეროდ, პატივისცემა არ გამოდის.
- პატივისცემა შინაურული არ არის.

ითენს გაეცინა.

– იტალიელს რომ უდგებარ ნოქრად, ღირსეულადაც უნდა გეჭიროს თავი... ცოლის ხატრით, შვილების ხატრით. ხომ ასეა?

– ეს ხომ მოჩვენებითი იქნება.

– რა თქმა უნდა. აბა ნამდვილად ღირსეული რომ ვიყო, ამაზე არც ვიფიქრებდი. ლამის დამავიწყდეს, სიკვდილის წინ რა მითხრა მამაჩემმა. განათლებულ და თავის თავში დაჯერებულ ადამიანს აგრერიგად არაფერი ეწყინებაო. „ძალის გაგდებულ“ მარტო იმას თუ ეწყინება, ვინც დედის პატიოსნებაშია დაეჭვებული, თორემ ალბერტ აინშტაინს რითი უნდა აწყენინო. მაშინ ცოცხალი იყო აინშტაინი. ასე რომ, მიძახეთ ბიჭუნა, სანამ მოგწყინდებოდეთ.

– ხომ ხედავ, რომ „ბიჭუნა“ უფრო მეგობრული გამოდის.

– აგრე იყოს. საქმეზე რაღა უნდა გეთქვათ, რას ვერ ვაკეთებ?

– საქმე - ფულია. ფული და მეგობრობა კი შორიშორ დგანან. იცი რა, ბიჭუნა, შენ იქნებ ძალიან მეგობრულადა ხარ, ძალიან შინაურულად... ფული მეგობარს არ ეძებს, ფული ფულს ეძებს.

– სისულელეა, მარულო. რამდენ საქმოსანს ვიცნობ - კარგი მეგობრებიც არიან და პატიოსანი ხალხიც.

– თუ საქმეს არ ეხება, დიახაც არიან. ამას შენ თვითონვე მიხვდები, მაგრამ გვიანდა იქნება. ახლა კარგად უძღვები საქმეს, ბიჭუნა. მაგრამ შენი საკუთარი რომ გახდეს, მეგობრობით იქნებ დაღუპო. მე, როგორც მოწაფეს, ისე გასწავლი. მშვიდობით ბიჭუნა. - მარულომ მკლავები ნიდაყვებში მოხარა, სწრაფად გავიდა ქუჩაში და კარი მიუჯახუნა, და ითენმა იგრძნო, როგორ ჩამოწვა სიბნელე ქვეყანაზე.

კარზე ვილაცამ მაგრად დააკაკუნა. ითენმა ფარდა გადასწია და გასძახა: – სამამდე ვისვენებთ.

– შემომიშვით, რაღაც უნდა გითხრათ.

უცნობი მაინც შემოვიდა - ხმელ-ხმელი, მარად ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავისდღეში ახალგაზრდა არ ყოფილა, კობტად გამოწკეპილი, თავზე გადაგლესილი პრიალა თმა, მხიარული და მოუსვენარი თვალები.

– მარულო?

– დიახ. გადაღმა ტროტუარზე ვიდექი.

ითენმა ქათქათა ხელებზე დახედა. არათითზე ოქროს ბეჭედში ჩასმული დიდი „კატის თვალი“ შენიშნა.

უცნობმა მისი მზერა დაიჭირა.

– ჯიბგირი არ გეგონოთ, - თქვა მან, - წუხელ ერთ თქვენს მეგობარს შევხვდი.

– ჰა?

– მისის იანგ-ჰანტს. მარჯი იანგ-ჰანტს.

– ო-ო!

ითენმა იგრძნო, რა გაფაციცებული ყნოსვით ცდილობდა ეს უცნობი კაცი ისეთი ხელჩასაჭიდებელი ადგილის მოძებნას, საიდანაც შემდეგ კავშირის გაბმა იქნებოდა შესაძლებელი.

– დიდებული ქალია. ცაში აგიყვანათ. იმიტომაც ვიფიქრე... მე ბიგერსი გახლავართ. „ბ. ბ. დ. და დ.“ -ს აგენტი ვარ და ეს ქალაქიც ჩემს სააგენტოში შემოდის.

– ჩვენ ვეილანდისაგან მოგვაქვს საქონელი.

– ვიცი. იმიტომაც მოვედი. ვიფიქრე, იქნებ ცოტათი მაინც გააფართოოს ვაჭრობის სფერო-მეთქი. ამ ქალაქში ჯერ ახლები ვართ, მაგრამ სწრაფად ვმკვიდრდებით, და ფეხის უკეთ მოსაკიდებლად ცოტ-ცოტა შეღავათებსაც ვაძლევთ ჩვენს კლიენტებს. იქნებ თქვენც გესარგებლათ ამით.

– მარულოს უნდა მოელაპარაკოთ. მუდამ ვეილანდისგან იღებს საქონელს.

– საქონელს ხომ თქვენ თვითონ უკვეთთ? - ხმისთვის არ დაუწევია, მაგრამ საიდუმლო ნოტები კი გაჩნდა მის კილოში.

– დიახ, მე ვუკვეთავ. მარულოს ართრიტი აწუხებს, ხომ იცით, თან სხვა საქმეც ბევრი აქვს.

– ცოტათი დავუკლებდით ფასებს.

– მე მგონი, იმათაც დაუკლეს მარულოს, რამდენიც კი შეიძლებოდა. ჯობს, მას მოელაპარაკოთ.

– სწორედ ეს არ მინდოდა. მე იმას მინდა მოველაპარაკო, ვინც უშუალოდ უკვეთს ხოლმე საქონელს - ესე იგი, თქვენ.

– მე უბრალო ნოქარი ვარ.

– სამაგიეროდ, საქონელს თქვენ უკვეთავთ, ბატონო ჰოული. შემოდია ხუთი პროცენტი დაგიკლოთ.

– არა მგონია, მარულომ უარი გითხრათ, თუ ისეთივე ხარისხის საქონელი იქნება.

– მაინც ვერ გამიგეთ. მარულოსთან რა მესაქმება? ამ ხუთ პროცენტს ხელზე მიიღებთ - არც ქვითარი, არც ანგარიში, არც არავითარი დაქვითვები. ტკიცინა მწვანე ფურცლები ჩემი ხელიდან თქვენს ხელში გადმოვა, თქვენი ხელიდან კი - თქვენს ჯიბეში.

– მარულოს რატომ ვერ დაუკლებთ?

– საერთო ფასებს ვერ დავარღვევთ.

– კეთილი. ვთქვათ მივიღე ეს ხუთი პროცენტი და მარულოს გადავეცი!

– ეტყობა, ჩემსავით ვერ იცნობთ მაგათ. ეს ფული რომ მარულოს მისცეთ, თვითონ რამდენსღა ჩაიჯიბავდაო, მაშინვე ამას იფიქრებს. ვერც გავამტყუნებ.

ითენმა ხმას დაუწია: – თქვენ გინდათ, ის კაცი მომატყუებინოთ, ვისთანაც მე ვმუშაობ.

– მოტყუება რა მოსატანია! ის კაცი არაფერს კარგავს, თქვენ კი ფულს აკეთებთ. ფულის გაკეთების უფლება ვის წაურთმევია. მარჯიმ მითხრა თქვენზე, ძალიან მარჯვეაო.

– ჰოი, რა სიბნელეა! - თქვა ითენმა.

– სულაც არა. ფარდები გაქვთ ჩამოშვებული და ეგ არის. - დაყნოსვამ საშიშროება აგრძნობინა. თავსაც ასე მოსდის ხოლმე, როცა სათაგურის მავთულისა და ყველის ერთმანეთში არეული სუნი სცემს. - იცით, რა გითხრათ, - უთხრა ბიგერსმა, - მაინც იფიქრეთ და აწონ-დაწონეთ. იქნებ ჭკუაში დაგიჯდეთ და ჩვენც დაგვიკვეთოთ ზოგი რამ. მეორე ჩამოსვლაზე კიდევ შემოგივლით. ყოველ ორ კვირაში აქა ვარ ხოლმე, აჰა, ჩემი ბარათიც.

ითენმა არ გაუწოდა ხელი. ბიგერსმა ბარათი დახლზე დადო.

– ამ სამახსოვრო ნივთებსაც ახალ შეძენილ მეგობრებს ვუტოვებთ ხოლმე: - პიჯაკის გარეთა ჯიბიდან საფულე ამოიღო - ძვირფასი და კოხტა საფულე, ისიც დახლზე დადო, ბარათის გვერდით, თეთრ ფაიფურზე, - დიდებული რამეა. შოფრობის ნებართვისთვისაც არის ადგილი და საკლებო ბარათისთვისაც.

ითენი ხმას არ იღებდა.

– ორ კვირაში ისევ შემოგივლით, - თქვა ბიგერსმა, - მოიფიქრეთ. მე ნამდვილად მოვალ. მარჯისთან პაემანი მაქვს დათქმული, დიდებული ქალია. - პასუხი რომ ვერ მიიღო, ისევ განაგრძო: - მე თვითონ გავაღებ. ნახვამდის. - მერე უცებ ითენთან მივიდა, - სისულელეს თავი დაანებეთ. ყველა ასე შვრება, - უთხრა მან, - სუყველა! - და სწრაფად გავიდა მაღაზიიდან, კარი სწრაფად გაიხურა.

ბნელ სიჩუმეში ითენს მაცივრის ტრანსფორმატორის ნელი გუგუნე ესმოდა. მძიმედ მოტრიალდა და მრავალსართულიან თაროებზე ჩამწკრივებულ მსმენელებს მიუბრუნდა.

– მე თქვენ მეგობრები მეგონეთ! თითიც არ გაანძრით ჩემთვის. აი, თქვე ორგულო ხამანწკებო, ორგულო მწნილებო, ორგულო ნამცხვრის ფქვილო. მორჩა აღარავითარ Unimus-ს თქვენ აღარ მოისმენთ. ნეტა წმინდა ფრანცისი რას იტყოდა, ძაღლს რომ ეკბინა მისთვის, ან ჩიტს დაესკინტლა თავზე?! ნეტა რას იტყოდა: „გმაღლობ შენ, ბატონო ძაღლო, grazie tanto, ქალბატონო ჩიტუნია“. - უკანა კარზე ბრაზუნე, ჯახუნე და ტკაცუნე გაისმა, და ითენიც იქითკენ გაეშურა დუდლუნით.

– როცა გააღებ, უფრო მოსვენებული ხარ ამ მუშტრებისაგან.

ჯოი მორფი შემობარბაცდა, ხელი ყელთან მიეტანა.

– იწამეთ ღმერთი, - ამოიკვნესა მან, - მიშველეთ... პეპსი-კოლა მაინც გამოიმეტეთ, თორემ მოვკვდი, გამიშრა ხახა. ასე რატომ ჩაგიბნელებიათ? თუ თვალებმაც მიღალატეს?

– ფარდები ჩამოვუშვი. მოწყურებულ ბანკირებს გუნება უნდა გავუფუჭო.

მაცივართან მივიდა, დაჭირხლული ბოთლი გამოიღო, საცობი მოხსნა და მეორე ბოთლის გამოსაღებად დაიხარა.

– მეც დავლევ.

ჯოი-ბოი განათებულ დახლზე გადაწვა და ნახევარი ბოთლი სულმოუთქმელად გამოსცალა.

– ეჰე! - წამოძახა მან, - ვიღაცას ხაზინა დარჩენია.

დახლიდან საფულე აიღო.

– ეს „ბ. ბ. და დ. დ.“-ს აგენტის მცირედი ძღვენია. ჩვენს გადაბირებას ცდილობს - უნდა, რომ ზოგი რამე მათგან ვიყიდოთ.

– ტყუილუბრალოდ არ გამოიდებდა თავს. თხილის ნაჭუჭი კი არ გეგონოს - ძვირფასი რამეა. თან თქვენი ინიციალებიც ამოუკვეთია ზედ, ოქროთი.

– მართლა?

– არ გინახავთ?

– ეს წუთია გავიდა.

ჯოიმ ტკაცუნით გახსნა ტყავის საფულე და ცელოფანის გამჭვირვალე ჯიბეები ჩაათვალიერა.

– ახლავე უნდა შეხვიდეთ რომელიმე კლუბში, - უთხრა მან. მერე უკანა ჯიბე გახსნა, - ეს კი მწამს! - სალოკი თითითა და არათითით ჯიბიდან ოცდოლარიანი ამოაცოცა. - შეტევაზე რომ გადმოდიოდნენ, ამას კი ვგრძნობდი, მაგრამ ტანკებს თუ დასძრავდნენ, ეს არ მეგონა. ამისთანა სამახსოვროს, მართლაც, რა დაგავიწყებს.

– ეგეც შიგ იყო?

– აბა, მე ჩავდე?

– ჯოი, რაღაც უნდა გითხრათ. ამ ვაჟბატონმა ხუთი პროცენტი შემომთავაზა, ყოველ გარიგებაში, რასაც მათ დავუკვეთავთ.

– ყოჩად! როგორც იქნა გამდიდრებულხართ. ტყუილუბრალოდ არ შეგპირდებოდათ. მაშ, კოკა-კოლას ჩამოდით. დღეს თქვენი დღეობაა!

– ნუთუ მირჩევთ, დავთანხმდე და...

– რატომაც არა. თუკი ფასს არ მოუმატებენ. არც არავინ იზარალებს.

– მარულოს ნურც გააგებინებ, თორემ ეგონება, მეტს იღებო.

– მართალიც უთქვამს. რა მოგივიდათ, ჰოული? სულ წახვედით ხელიდან! სინათლის ბრალი თუა! ერთიანად გამწვანდით. მეც ასე მწვანე ვჩანვარ? უარის თქმას ხომ არ აპირებთ?

– ცოტას გაწყდა, პანლური არ ამოვკარი.

– აბა რა! თქვენგან სხვას რას უნდა მოელოდე - თქვენგან და დინოზავრებისაგან?!

– ყველა ასე შვრებაო, მითხრა.

– ყველას ასე არ გაუღიმებს ბედი. იღბლიანი კაცი ყოფილხართ.

– უსინდისობა გამოდის.

– ვითომ რატომ? ვის რა უშავდება? ან კანონს რითი ეწინააღმდეგება?

– მაშ, თქვენ დათანხმდებოდით!

– დათანხმდებოდითო? დავიჩოქებდი და ხვეწნას დავუწყებდი. მე იმისთანა საქმეში ვარ, სადაც ყველა ჭუჭრუტანა დაგმანულია. სულ უმნიშვნელო გადახვევაც კი ბანკში, თუ თვითონვე არა ხარ მმართველი, კანონის დარღვევაა. თქვენი კი ვერაფერი გამიგია. ნეტა რას ზოზინობთ: თქვენი ალფიოსათვის რომ წაგელიტათ, კიდევ ჰო - მთლად წესიერად ვერ მოქცეულა-მეთქი, ვიტყვოდი, მაგრამ თქვენ ხომ არაფერი უწესობა არ ჩაგიდენიათ. თქვენ იმათ სცემთ პატივს, ისინი - თქვენ. თანაც ტვიცინა მწვანე პატივს გცემენ. ნუ გაგიჟდით! ცოლ-შვილის პატრონი ხართ, ბავშვების გაზრდა ახლა უფრო იაფი ხომ არ გგონიათ!

– ნეტა, ახლა მომშორდებოდეთ.

ჯოი მორფიმ ცარიელი ბოთლი დახლზე ბრახუნით დადო.

– მისტერ ჰოული... უკაცრავად, მისტერ ითენ ალენ ჰოული, - ცივად თქვა მან, - თქვენ თუ გგონიათ, რომ უსინდისობის ჩადენა შემძლია, ან თქვენ გაქეზებით საამისოდ... მაშინ ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ.

ჯოი მედიდურად გაემართა საწყობის კარისაკენ.

– მაგას კი არ გეუბნებით. განა მაგას ვამბობ. ღმერთმანი, არა, ჯოი. დღეს ზედიზედ ორი ისეთი ამბავი შემხვდა!.. თანაც... რა დღესასწაულია, რა საშინელი დღესასწაული!

მორფი შედგა.

– ჰა, რა სთქვი? აჰ. ვიცი, ვიცი. გასაგებია. ხომ გჯერათ, რომ ვიცი?

– ყოველ წელიწადს, ბავშვობიდან მოკიდებული, სულ უარესი და უარესი... იმიტომ, რომ... იქნებ იმიტომ, რომ, რაც დრო გადის, მეტს ვგებულობ და მესმის ეს მარტოობის სიტყვები „Lama sabach thani“.

– ვიცი, ითენ, განა არ ვიცი. მაგრამ თითქმის მორჩა უკვე... თითქმის მორჩა, ითენ. გეშველებათ. ოღონდ ჩემი ფეხის ბრახუნს ნულარ გაიხსენებთ, კარგი?

და რკინის სახანძრო ზარმა ამჯერად მხოლოდ ერთჯერ დაიგუგუნა.

– მორჩა, - თქვა ჯოი-ბოიმ, - გათავდა... გაისამდე, - ჩუმად გავიდა საწყობიდან და ჩუმადვე გაიხურა კარი.

ითენმა ფარდები ასწია და კვლავ გააღო მაღაზია, მაგრამ დიდი ვაჭრობა აღარ ყოფილა - რამდენიმე ბოთლი რძე და პური ბავშვებმა წაიღეს, ბატკნის დაბეგვილი ხორცი და მუხუდოს კონსერვი - მისის მირჩერმა, ვახშმად. ქუჩაში კაცის ჭაჭანება აღარ იყო. ექვსის ნახევრიდან ექვსამდე, სანამ ითენი მაღაზიას ალაგებდა დასაკეტად, კაციშვილი არ გამოჩენილა. დაკეტა მაღაზია, ქუჩაში გამოვიდა, და ახლალა გაახსენდა, რომ შინ რაღაცეები უნდა წაეღო. ისევ შებრუნდა, ორ ჩანთაში

ჩაალაგა ყველაფერი და კვლავ დაკეტა. სანაპიროზე გასვლა მოუნდა, ნაცრისფერი ტალღების დანახვა, ნავსადგურის სვეტებს შორის რომ ირხევინა; ზღვის წყლით გაჟღენთილი ჰაერის შესუნთქვა... მოუნდა გამოლაპარაკებოდა ტივტივაზე თოლიას, რომელსაც ნისკარტი ქარისთვის მიუშვერია. ერთი პოეტი ქალის ლექსი გაახსენდა, რომელიც თოლიას სპირალისებური სრიალით აღფრთოვანებულს დაეწერა დიდი ხნის წინათ. ლექსი ასე იწყებოდა: „ოი, ფრინველო, ბედნიერო - ნეტა, რას თრთიხარ?“ მაგრამ ამის გარკვევა მაინც ვერ მოახერხა პოეტმა ქალმა, ალბათ, არც ძალიან გამოუდგია თავი.

სეირნობის გუნება სადღესასწაულო სანოვაგით გამოტენილმა ჩანთებმა გაუფუჭა. ისევ მთავარ ქუჩას გაჰყვა, თავჩაქინდრული, მერე თელის ქუჩაზე გავიდა და ჰოულების ძველი სახლისკენ გასწია.

თავი მეორე

მერი ღუმელს მოშორდა და ქმარს სანოვაგით სავსე ერთი დიდი ჩანთა გამოართვა.

– იმდენი რამე მაქვს სათქმელი შენთვის, ველარ მომითმენია.

ქმარმა აკოცა და ქალმა ერთბაშად იგრძნო მისი მშრალი ტუჩები.

– რა მოგივიდა? - ჰკითხა ცოლმა.

– ცოტათი დავიღალე.

– აკი სამი საათი გქონდა დაკეტილი.

– საქმეს რა გამოლევს.

– რას მოიღუშე?

– დღეა მოღუშული.

– დიდებული დღე იყო. ჯერ დაიცა, ზოგი რამე გაიგე!

– ბავშვები რა იქნენ?

– ზემოთ არიან, რადიოს უსმენენ. იმათაც აქვთ რაღაც სათქმელი.

– ცუდი რამე?

– ნეტა, საიდან მოიგონებ?

– მე თვითონაც არ ვიცი.

– ავად ხომ არა ხარ?

– კარგი, ერთი...

– იმისთანა სასიხარულო რამე უნდა გითხრა... ჯერ ვისადილოთ. მაშინ ნახე, პირს როგორ დააღებ.

ალენი და მერი-ელენი კიბეზე ჩამოზრიალდნენ და სამზარეულოში შეცვივდნენ.

– მოსულა! - შესძახეს მათ.

– მამი, „პიკსი“ არა გაქვს მაღაზიაში?

– შენ ალბათ კორნფლეკსი გინდა, ალენ.

– მოიტანე რა, ცოტა. მაგ ყუთებიდან ვაკეთებთ ხოლმე მიკი-მაუსის ნიღაბს.

– რაღა დროს შენი მიკი-მაუსია!

ელენმა თქვა: – კოლოფის ხუფი უნდა გაგზავნო, ატცენტინიც დაუმატო და მიიღებ რაღაც სათამაშოს - მუცლით მეზღაპრეობისათვის რომ გამოადგება კაცს, და - ხმარების წესსაც. ეს წუთია, რადიოში მოვისმინეთ.

მერიმ თქვა: – მამასაც უთხარით, რას აპირებთ.

– კონკურსში უნდა ჩავებათ - „მე მიყვარს ამერიკა“. პირველი პრემია - ვაშინგტონში წასვლა, პრეზიდენტთან შეხვედრა... მშობლებთან ერთად... და კიდევ ათასნაირი პრემია.

– დიდებულია, - მიუგო ითენმა, - მერე? რა არის მაგისტვის საჭირო?

– ჰერსტის გაზეთის ოინებია, - შესძახა ელენმა, - მთელ ქვეყანას მოსდეს. თხზულება უნდა შეადგინო - რად გიყვარს ამერიკა. ვინც გაიმარჯვებს, ტელევიზორში გამოიყვანენ.

– დიდებულია, - თქვა ალენმა, - ვაშინგტონში წასვლაზე რას იტყვი - სასტუმრო, თეატრები, პრეზიდენტთან შეხვედრა და თასი რამე! ჰა, არ არის დიდებული?! რას იტყვი?

– მერე სკოლა რას იტყვის?

– ეს ზაფხულში იქნება. ოთხ ივლისს აცხადებენ ხოლმე გამარჯვებულებს.

– კარგად ყოფილა საქმე. მაგრამ მართლა ამერიკა გიყვართ, თუ ჯილდოები?

- კარგი, მამა, - უთხრა მერიმ - ნუ ჩაუშხამებ ამ ბავშვებს.
 - მე მინდა, ნამდვილი კორნფლეკსი თაგვის ნიღბისგან განვასხვავო... მაგათ სულ აურდაურიეს ყველაფერი.
 - მამი, რას იტყვი, სად უნდა მოვძებნოთ?
 - რა უნდა მოძებნო?
 - რაც სხვადასხვა ხალხს უთქვამს...
 - შენს დიდ პაპას ჰქონდა მშვენიერი წიგნები. სხვენზე ყრია.
 - რა წიგნები?
 - ო, ლინკოლნის სიტყვები, დანიელ უებსტერისა, ჰენრი კლეის... თოროსაც იქ ნახავ და უოტ უიტმენსაც, ემერსონს... მარკ ტვენსაც. სულ სხვენზე ყრია.
 - შენ წაგიკითხავს, მამა?
 - შენი დიდი პაპა ჩემი პაპა იყო. მიკითხავდა ხოლმე შიგადაშიგ...
 - იქნებ თხზულების შედგენაში მოგვეხმარო.
 - მაშინ ხომ თქვენი აღარ გამოვა!
 - კარგი, - უთხრა ალენმა, - პიკსის მოტანა ხომ არ დაგავიწყდება? ბოლოს და ბოლოს, რკინაა შიგ და ბევრი სასარგებლო რამე.
 - ვეცდები.
 - კინოში წასვლა შეიძლება?
 - აკი საადღგომო კვერცხების შეღებვას აპირებთ. უკვე იხარშება. ნასადილევს პარმალზე შეღებეთ, თუ გინდათ, - უთხრა მერიმ.
 - შეიძლება სხვენზე ავიდეთ წიგნების სანახავად?
 - ოღონდ შუქის ჩაქრობა არ დაგავიწყდეთ. ერთხელ მთელი კვირა ენთო. შენ დატოვე, ითენ.
- ბავშვები რომ წავიდნენ, მერიმ ჰკითხა: – არ გიხარია, კონკურსში რომ ჩაებმებიან?
- რა თქმა უნდა. კარგად თუ გააკეთებენ.
 - ერთი სული მაქვს, სანამ გეტყოდე... დღეს მარჯიმ მიმარჩიელა... სამჯერ გაშალა კარტი - ჩემს დღეში ამისთანა არაფერი მინახავსო. სამჯერ! მე თვითონ ვხედავდი, რა კარტი მოსდიოდა.

– ოჰ, ღმერთო!

– ჯერ მომისმინე და დაეჭვებით მერე ამოიოხრე. შენ მუდამ მაღალ-მაღალ შავტუხა უცხოელებზე მასხრობ ხოლმე... აბა, თუ გამოიცნობ, რა მითხრა. აბა, სინჯე!

– მერი, გაფრთხილებ, რომ...

– მაფრთხილებ? შენ არც კი გესმის. ჩემი სიმდიდრე შენა ხარ.

ქმარმა რაღაც უხეში, მწარე სიტყვები წაიდუღლუნა.

– რაო?

– დიდი ვერაფერი სიმდიდრეა-მეთქი, - უთხრა ქმარმა.

– ეს შენა გგონია ასე, კარტი სულ სხვა რამეს ამბობს. სამჯერ გაშალა.

– კარტი რაღას ამბობს?

– კარტს რა გამოეპარება, - მოუგო მერიმ, - ხომ მე გამიშალა, მაგრამ სულ შენზე კი გამოვიდა. ერთ-ერთი ყველაზე საპატიო კაცი გახდები ქალაქში... მე მითქვამს - ყველაზე საპატიო კაცი. დიდი ხანიც არ მოუნდება. სულ მალე მოხდება ეს. რამდენი კარგი კარტი არ გადმოიღო, სულ ფული და ფული გადმოდიოდა. ნახე, რა მდიდარი იქნები!

– ჩემო საყვარელო, - უთხრა ქმარმა, - მე შენ გამიფრთხილებიხარ.

– სარფიან საქმეზე უნდა დააბანდო ფული...

– რა ფული?

– ჩემი ძმის ფული!

– არა! - შესძახა ქმარმა, - ხელსაც არ ვახლებ. შენი ფულია და შენს სახელზევე დარჩება. ეს შენ თვითონ მოიგონე, თუ...

– მარჯის კრინტიც არ დაუძრავს. არც კარტში ამომსვლია ასე. ივლისშივე დააბანდებ ამ ფულს, და მოგებას მოგებაზე ნახავ, ზედიზედ. კარგი არ იქნება? მთელი შენი სიმდიდრე ითენიაო, ასე მითხრა. ერთბაშად გამდიდრდება და იქნებ მაგისტანა საპატიო კაცი ქალაქში მეორე არ იყოსო.

– ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია. ნეტა ვინ ეკითხება.

– ითენ!

– ნეტა თუ ფიქრობ მაინც, რაებს აკეთებს? ან შენ თვითონ რას აკეთებ, იმას თუ უფიქრდები?!

– მე იმას ვფიქრობ, რომ კარგი ცოლი ვარ, ის ქალი კიდევ კარგი მეგობარია. ჩხუბს ვერიდები - არ მინდა ბავშვებმა გაიგონონ. მარჯი იანგ-ჰანტისთანა მეგობარი მე ჯერ არა მყოლია. ისიც ვიცი, რომ შენ არ გიყვარს ის ქალი. იმიტომ, რომ მუდამ ასეა - ჩემს მეგობრებზე ეჭვიანობ... აი, რას ვფიქრობ, მართალი თუ გინდა. დღეს სწორედ გახარებული ვიყავი და უსათუოდ უნდა ჩამაშხამო! ასე როგორ იქნება!

ბრაზისა და იმედგაცრუებისგან სახე წითელი ლაქებით დაეფარა მერის. ერთბაშად შურისძიების გრძნობამ მოიცვა: ცხადში შეკოწიწებული ზმანება ასე ხელადვე დაუფუშეს.

– როგორ არხეინად წამოჭიმულხართ, ბატონო ჭკუის კოლოფო, და ხალხს ერთი ბეწოთიც აღარ ინდობთ! იქნებ მარჯის ოინები გგონია?! არაფერიც - მე თვითონ მოვჭერი სამივეჯერ კარტი... მაგრამ თუნდაც მარჯის საქმე იყოს, ამას ხომ მეგობრობითა და ცოტაოდენი დახმარების სურვილით გააკეთებდა? ჰა, რას იტყვით, ბატონო ჭკუის კოლოფო? რაღას უცდი, ბარემ მოძებნე რამე ბინძური მიზეზი!

– ნეტავ კი მართლა მიმაგნებინა, - მიუგო ქმარმა, - რაღაც მავნე ოინებია. ქმარი მაგას არ ჰყავს, საქმე მაგას არა აქვს... რაღაც ბოროტი ოინებია.

– რომელ ბოროტებაზე ლაპარაკობ... ცხვირ-პირში რომ შემოგეფეთოს ბოროტება, მაშინაც კი ვერაფერს გაუგებ. შენ რა იცი, მარჯი რა დღეშია. რომ იცოდე, ამ ქალაქში რამდენი ვაჟბატონი ბრძანდება, გასაქანს რომ არ აძლევს, დიდ-დიდი ხალხი, ცოლშვილიანები... დასდევენ და აღარ ეშვებიან... საძაგლობაა! ზოგჯერ ისეთ დღეში ჩავარდება, რომ აღარც კი იცის, როგორ დაუსხლტეს. ამიტომაც სჭირდება ჩემი სიახლოვე, ქალთან მეგობრობა. ეჰ, რამდენი რამე გაუნდვია ჩემთვის - ისეთი კაცები, რომ შენ არც კი დაიჯერებ. ზოგს ხალხში ისე უჭირავს თავი, თითქოს სულაც არ მოსწონდეს, ჩუმ-ჩუმად კი მოსვენებას არ აძლევს, ტელეფონით ურეკავს, პაემანს უნიშნავს. ფარისევლები! მაღალ ზნეობას ქადაგებენ, საქმით კი ამისთანა რამეს სჩადიან. და კიდევ ბოროტ ოინებზე ლაპარაკობ!

– იმასაც გეტყოდა, ვინ დამდევსო.

– არა, არ უთქვამს. ესეც მისი კაიქალობის ნიშანია. ხომ ამდენ ბოროტებას იტანს, თავად მაინც არავის უკეთებს ბოროტს. ეს კი მითხრა - ერთი ისეთი კაცია, შენს დღეში ვერ დაიჯერებო. რომ გაიგო, იმ წუთში თმა გაგითეთრდებაო.

ითენმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და მერე გაგრძელებული ხვნეშით ამოუშვა.

– ნეტავ გამაგებინა, ვინ არის, - განაგრძო მერიმ, - ვიღაც ჩვენი ახლობელი კი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ, ალბათ, ვერც წარმოვიდგენთ, ვინ არის.

– საქმე საქმეზე რომ მივიდეს, უსათუოდ იტყვის, - მშვიდად თქვა ითენმა.

– მხოლოდ მაშინ, თუ აიძულებ. თვითონვე თქვა ასე: ან ღირსების დაცვა რომ დამჭირდესო... ან პატიოსნებაო... შენ მაინც ვინ გგონია?

– მგონი, ვხვდები.

– ვითომ? ვინ?

– მე.

მერიმ პირი დაალო.

– ფუჰ! ტუტუცი! მაინც ასეა- ერთი წუთი რომ მოგაშორო თვალი, ხელადვე გამომიჭერ. თუმცა ცხვირის ჩამოშვებას ისევ ეს სჯობს.

– სეირიც ამას ჰქვია! ქმარი ცოლს გამოუტყდება, შენს გულითად მეგობართან შეეცოდეო, ცოლი კი სასაცილოდ იგდება.

– ეს არ არის წესიერი ლაპარაკი.

– ქმარს, ალბათ, შორს უნდა დაეჭირა ეს. მაშინ უფრო აღირსებდა ცოლი ეჭვის გამოძვლავნებას. ჩემო საყვარელო, თუკი რამე წმინდა გამაჩნია, ყველაფერს ვფიცავ, რომ მარჯი იანგ-ჰანტთან არც სიტყვით, არც საქმით არ შემიცოდავს. ახლა გჯერა ჩემი ღალატი?

– შენი?

– მაშ, ისე გამოდის რომ არც კარგი ვარ, არც სასურველი... ერთი სიტყვით, ღმერთს არ ვუქნივარ.

– ხუმრობა მიყვარს, შენც კარგად იცი... მაგრამ ეს ვერაფერი სახუმაროა. სულ გადააქოთებენ ბავშვები იმ სკივრებს! არაფერს თავის ადგილზე არ დადებენ.

– ერთხელ კიდევ უნდა ვცადო, ჩემო მშვენიერო ცოლო, ვილაც ქალი, რომლის ინიციალებია მ. ი. ჰ. გასაქანს აღარ მამღევს, ირგვლივ სულ მახეები დამიგო, მაგრამ რატომ - მის გარდა, კაცმა არ იცის. დიდი საშიშროების წინაშე ვდგავარ, რომ იმ მახეებში არ გავება.

– რატომ შენს ბედზე არ დაფიქრდები. ივლისიო, კარტმა მითხრა... სამჯერ გამიმეორა... ჩემი თვალით ვნახე. ფულიანი გახდები. თავსაყრელი ფული გექნება, რატომ ამაზე არ ფიქრობ?

– ასე გიყვარს ფული, ყურცქვიტა?

– ფული გიყვარსო? ვერ გავიგე, რას მეუბნები.

– ნუთუ, ისე ხარ გამწარებული ფულზე, რომ აღარც მარჩიელობას ერიდები, არც მისნობას, არც ჯადოქრობას და არც სხვა ბნელ საქმეს?

– პირველი ხომ შენ იყავი! შენი წამოწყებულია. ამ ლამაზ-ლამაზი სიტყვებით ვერ დაფარავ შენს დანაშაულს. ფული თუ მიყვარს? არა ფული არ მიყვარს, მაგრამ არც ამდენი გაჭირვება მიყვარს. მეც მესიამოვნება ცოტა თავაწეულმა ვიარო ქალაქში. ვერაფერი სასიამოვნოა, სულ დაჩაგრულს ვხედავდე ჩემს ბავშვებს მხოლოდ იმის გამო, რომ ხეირიანად... რომ სხვებივით ვერ ჩაუცვამთ. მეც მინდა ცოტა უფრო მაღლა ავწიო თავი.

– მერე ფული სადაური ბიჯგი ნახე?

– ფული დამცინავ ღიმილს ჩამორეცხავს იმ შენს წმინდა მეგობრებს.

– ჰოულის დაცინვა ჯერ არავის გაუბედავს.

– ასე გეგონოს! შენ ვერაფერს ამჩნევ.

– ალბათ, იმიტომ, რომ არ ვაკვირდები.

– გინდა, სულ მომიღო ბოლო მაგ შენი წმინდა ჰოულის გვართ?

– არა, ჩემო ძვირფასო. ამისთანა იარაღი უკვე აღარ არის გასავალში.

– კიდევ კარგი, რომ მაგას მაინც მიმხვდარხარ. ჩვენს ქალაქში - და სხვა ქალაქებშიაც - ნოქარი ჰოული უბრალო ნოქარია და სხვა არაფერი.

– კაცს რომ ცხოვრებამ არ გაუმართლოს, უნდა გაკიცხო?

– არა. რა ბრძანებაა! ლაფიდან ამოსვლას რომ აღარ ცდილობ, იმისთვის გკიცხავ. ეს მოძველებული და ყბადაღებული კუდაბზიკობა რომ არ გიშლიდეს ხელს, აქამდე ამოძვრებოდი. ყველა შენ დაგცინის. რაღა უფულო აზნაური და რაღა მაწანწალა!.. - შემთხვევით წამოსცდა ეს სიტყვა და დარცხვენილი მაშინვე გაჩუმდა.

– რა გაეწყობა, - თქვა ითენმა, - მაგრამ კაი გაკვეთილი კი მასწავლე... ბარე სამი გაკვეთილი ერთბაშად, ჩემო ყურცქვიტა. სამი რამისა არასოდეს სჯერათ - სიმართლისა, იმისა, რაც შესაძლებელია მოხდეს, და იმისიც, რაც სავსებით ლოგიკურია. ახლა უკვე ვიცი, სად უნდა ვიშოვო ფული, რომ ისევ წაღმა შევიბრუნო ჩემი ცხოვრება.

– სად უნდა იშოვო?

– ბანკს გავძარცვავ.

ღუმელის თაროზე რეგულატორის ზარმა წყვეტილად გაიწვრიალა.

მერიმ ქმარს უთხრა: – წადი, ბავშვებს დაუძახე, სადილი უკვე მზადაა. სინათლე ჩააქრონ.

და ქმრის ნაბიჯებს მიუგდო ყური.

თავი მესამე

ჩემი ცოლი, ჩემი მერი, ისე ხელად იძინებს, თითქოს საკუჭნაოს კარი მიგეხუროს, და მორჩა. რამდენჯერ შურით დაგვკვირვებია. ჯერ დაიკლაკნება მისი მშვენიერი სხეული საბანში, თითქოს აბრეშუმის პარკში უნდა გაეხვიოსო. მერე ერთს ამოიხვნივებს და თვალები უკვე დახუჭული აქვს, უშფოთველ ტუჩებზე კი ძველი ბერძენი ღმერთების ბრძნული და რაღაც შორეული ღიმილი დასთამაშებს. მთელი ღამე იღიმება ძილში, სუნთქვა ყელში ებჯინება ხოლმე, მაგრამ არ ხვრინავს - კნუტივით კრუტუნებს. ერთბაშად სიცხე აუწევს, მეც კი ვგრძნობ გვერდით, ლოგინში, მისი სხეულის სიმბურვალეს, მერე ხელაღვე გაუვლის და თითქოს სადღაც შორს წავა. არ ვიცი, სად. რომ ჰკითხო, სიზმრებს არ ვნახულობო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ნახულობს. არ აწუხებს, ალბათ, ის სიზმრები, ან ისე მაგრად აწუხებს, რომ სანამ არ გაიღვიძებს, ავიწყდება კიდეც. ძილი უყვარს და ადვილადაც იძინებს. ნეტავ მეც ასე ვიყო. მე მუდამ ვებრძვი ხოლმე ძილს, რაც უნდა თვალები მებლიტებოდეს.

მე თვითონ მიფიქრია, რატომ ხდება ასე: ჩემი მერი დარწმუნებულია, რომ მუდამ ცოცხალი იქნება, რომ ამ ქვეყნიდან ისევე უდრტვინველად გადავა მეორე სიცოცხლეში, როგორი ძილითაც იღვიძებს ხოლმე. ამას მთელი თავისი სხეულით გრძნობს და ღრმად დარწმუნებული, აღარც კი უფიქრდება, როგორც სუნთქვას არ ვუფიქრდებით. ასე რომ, აღარსად ეჩქარება - ძილის დროც აქვს, მოსვენებისაც და არსებობისგან ცოტა ხნით გამოთიშვისაც.

მე სულ სხვანაირად მომდის. მე ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი იმის შეგრძნება, რომ ადრე იქნება თუ გვიან, უსათუოდ უნდა მოგვკვდე და ამიტომაც ვებრძვი ძილს, თუმცა თან ერთი სული მაქვს, სანამ დავიძინებდე. რას არ მოვიგონებ ხოლმე, რომ მალე დამეძინოს. ჩემი დაძინება ერთი ტანჯვა და წამებაა. ამას კარგად ვგრძნობ, რადგან ზოგჯერ მომხდარა, იმავე წუთში გამომღვიძებია და თავი მაგრად ნაცემი მგონებია. რომ დავიძინებ, მერეც ვერ ვისვენებ. ისევ დღიური საზრუნავი მაწუხებს, ოღონდ უფრო სულელურად მეჩვენება და თავი რქებასხმულ და ცხოველების ნიღაბაკრულ მოცეკვავე ადამიანთა ფერხულში ჩაბმულად წარმომიდგენია.

ძილით მერიზე გაცილებით ნაკლები მძინავს. ის მიმტკიცებს, მე ბევრი ძილი მჭირდებაო, და მეც ვეთანხმები, რომ მე არ მჭირდება ამდენი ძილი, თუმცა გულში

ასე როდი ვფიქრობ. ყოველ სხეულში განსაზღვრული რაოდენობითაა დაგროვილი სასიცოცხლო ენერგია, რაც, რა თქმა უნდა, საკვებით ივსება. ზოგი მალე ხარჯავს ამ ენერგიას, იმ ბავშვის მსგავსად, რომელიც ერთბაშად შესანსლავს თავის შაქარყინულს, სხვები კი დინჯად შემოახსნიან ქაღალდს. მუდამ აღმოჩნდება ხოლმე პატარა გოგონა, რომელიც თავის შაქარყინულს დაზოგვით ჭამს და როცა ღორმუცელებს დიდი ხანია შეუსანსლავთ თავიანთი წილი, მას მაინც რჩება სასუსნავი. ჩემი მერი, ალბათ, ჩემზე გაცილებით დიდხანს იცოცხლებს. შემდეგისათვის დაზოგავს თავის სიცოცხლეს. აბა, დააკვირდით: ქალების უმრავლესობა მამაკაცებზე უფრო დიდხანს ცოცხლობს.

წითელი პარასკევი მუდამ ამაწრიალებს ხოლმე. ჯერ კიდევ ბავშვობაშიაც მომეწურებოდა გული, როცა წარმოვიდგენდი, როგორ ყველამ მიატოვა ჯვარცმული, თვით წამების გამო კი იმდენად არ მეცოდებოდა. აქამდე გამომყვა ის სევდა, გულში მათეს სიტყვებით ჩაწერილი, რომელსაც ახალიზგლისელი პაპიდა დებორა ცივი და მშრალი ხმით მიკითხავდა.

წელს განსაკუთრებით მომეძალა სევდა, უნებურად საკუთარ თავზე გადმოგვაქვს, თითქოს ჩვენ თვითონ ვიყოთ იმ დღეში ჩავარდნილი. დღეს მარულომ გადამიხსნა გული და პირველად გავიგე საქმოსნობის მთელი საიდუმლო. ცოტა ხნის შემდეგ კი პირველი ქრთამი შემომამლიეს. სასაცილო კია, ამ ხნის კაცი რომ ვამბობ ამას, მაგრამ ამისთანა შემთხვევა სხვა არ მახსოვს. ახლა ეს მარჯი იანგ-ჰანტი! ნეტავ ბოროტი სულია? რას გადამეკიდა? აკი რაღაცას შემპირდა და დამემუქრა, თუ ბედს არ დაემორჩილე, ცუდად წაგივა საქმეო. კაცმა ნეტავ თვითონ უნდა იფიქროს თავისი ცხოვრების მოწყობაზე, თუ ისე მიჰყვეს, როგორც მოუვა?

რამდენი ღამე გამითენებია თეთრად და ჩემი მერის კრუტუნის მისმენია. დიდხანს თუ ჩაატერდი სიბნელეს, თვალწინ წითელი ლაქები აგიცეკვდება და დრო უსამველოდ გაჭიანურდება. მერის ისე უყვარს ძილი, რომ მუდამ იმის ცდაში ვარ, სიმშვიდე არ დავურღვიო, თუნდაც კანს ელექტროდენი მიწვავდეს. გამოვძვრები თუ არა ლოგინიდან, ხელად იღვიძებს. შეწუხდება ხოლმე. იმიტომ, რომ უძილობას მუდამ ავადმყოფობას მიაწერს და ავად ვგონივარ.

იმ ღამეს აღარც ლოგინში მიდგებოდა გული და, საერთოდ, არც შინ. მერი მშვიდად კრუტუნებდა და მის სახეზე იმ არქაულ ღიმილს ვხედავდი. იქნებ სიზმარში ბედმა გაუღიმა და ნახა, რა ფულის ხვეტა მელოდა. ამაყი ქალი გახლავთ.

უცნაურია როგორ სჯერა კაცს, რომ რაიმე ამოჩემებულ ადგილას უფრო კარგად შეუძლია ფიქრი. მეც მაქვს ამოჩემებული ასეთი ადგილი. რამდენი ხანია მაქვს, თუმცა ფიქრით სულაც არ ვფიქრობ იქ, უფრო გრძნობებსა და განცდებს ვეძლევი, მოგონებები გამიტაცებს ხოლმე. ეს არის ჩემი მყუდრო ნავსაყუდელი – ალბათ, ყველას აქვს ასეთი ადგილი, მაგრამ არასოდეს გამიგონია, ვინმეს ეთქვას, თავისუფალი მოძრაობით ისე არ გააღვიძებ მძინარეს როგორც ზედმეტი

სიფრთხილითა და ფეხის წვერებზე სიარულით. ამას გარდა, დარწმუნებული ვარ, რომ მიძინარე ხალხი სხვის ფიქრთა დენას წვდება და იგებს. საკუთარ თავს დავუწყე დარწმუნება, საპირფარეშოში გასვლა მჭირდება-მეთქი, ხოლო როცა დავარწმუნე, ავდექი და გამოვედი. იქიდან კი ფეხაკრეფით ჩავიარე კიბე, ტანსაცმელი თან ჩავატანე და სამზარეულოში ჩავიცვი.

მერი მეუბნება, შენ სხვათა ისეთი მწუხარება გტკენს გულს, რაც სინამდვილეში სულაც არ არსებობსო. იქნებ ასეც იყოს, მაგრამ უცებ მართლაც წარმოვიდგინე ერთი სავარაუდო სცენა – მერის გაუღვიძია, ჩემს ძებნაში მთელი სახლი დაუვლია და ახლა სანახევროდ ჩაბნელებულ სამზარეულოში შევიდა, საშინლად შეწუხებული. მე წვრილმანი ხარჯების დავთარს ფურცელი მოვახიე და დავწერე: „ჩემო საყვარელო – შინ არ დამიდგა გული. ქუჩაში გავიარე. მალე დავბრუნდები“. ქაღალდი, მგონი, სამზარეულო მაგიდაზე დავდე, შუაში – სინათლეს რომ აანთებს მერი, მაშინვე თვალში ეცემა.

მერე სამზარეულოს უკანა კარი გამოვირე და ჰაერი შევისუნთქე. ციოდა, ნიავს ჭირხლის სურნელი შემოჰქონდა. პალტოში გავეხვიე და ყურებზე მეზღვაურის ნაქსოვი ქუდი ჩამოვიფხატე. სამზარეულოს ელექტროსაათმა დაიგუგუნა. სამს თხუთმეტი აკლდა. თერთმეტიდან მოკიდებული, მთელი ოთხი საათი ვწოლილვარ სიბნელეში და წითელი ლაქების ცეკვისათვის მიცქერია.

ჩვენი ნიუ-ბეიტაუნი კოპწია ქალაქია, ძველი ქალაქი, მთელ ამერიკაში ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელსაც სამართლიანად აქვს დამსახურებული ნამდვილი ქალაქის სახელი. დარწმუნებული ვარ, მისი დამფუძნებლები და ჩემი წინაპრები იმ მოუსვენარ, თავზე ხელაღებულ, მუხანათ და დაუნდობელ მეზღვაურთა შვილები იყვნენ, ვისგანაც ელისაბედის მეფობის დროს ევროპას თავი მოძულებული ჰქონდა, კრომველის დროს დასავლეთ ინდოეთი თავის საკუთრებად მიაჩნდათ, მერე კი ტახტზე დაბრუნებულ ჩარლზ სტიუარტის სიგელმომარჯვებულებმა ჩრდილო სანაპიროებზე დაიბუდეს. მარჯვედ შეახამეს ერთმანეთთან მეკობრეობა და პურიტანიზმი, თუმცა, უფრო ღრმად თუ ჩასწვდები, ეს ორი რამე დიდად არც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ვერც ერთი და ვერც მეორე წინააღმდეგობას ვერ იტანს და სხვის დოვლათზე ორივეს ერთნაირი სიხარბით უჭირავს თვალი. შეკავშირების შემდეგ მათ გამოიყვანეს გამძლე და მაგარი მაიმუნების ჯიში. ეს ყველაფერი მამაჩემისგან გამიგონია. მამაჩემი ძალიან გატაცებული იყო წინაპრების ამბებით. მაგრამ რომ ვაკვირდები, წინაპრებით ასე გატაცებული ხალხი ყველაზე ნაკლებად ემსგავსება თავის წინაპრებს. კეთილშობილი კაცი იყო მამაჩემი, რბილი, ნაკითხი, მაგრამ მოქარაფშუტო, თუმცა ზოგჯერ მაინც გადაჰკრავდა სიბრძნის ნაპერწკლები. მოდგა და ყველაფერი დაკარგა ამ მარტოხელა კაცმა - მიწა, ფული, ძალაუფლება, მომავალი... ერთი სიტყვით, რაც კი ჰოულებსა და ალენებს ასეულწლოებით დაეგროვებინათ, ყველაფერს წირვა გამოუყვანა, გარდა სახელისა. და მეტი, კაცმა რომ თქვას, არც არაფერი აინტერესებდა. როგორც თვითონ უყვარდა ხოლმე თქმა, „საგვარეულო გაკვეთილებს“ მამლევდა. იმიტომაც ვიცი წინაპრების

ამბავი ასე კარგად. და ნოქრადაც, ალბათ, იმიტომ ვუდგავარ ვიღაც სიცილიელს სწორედ იმ უბანში, რომელიც ძველად ჰოულების საკუთრება იყო. ნეტავ შემემძლოს, ასე ახლოს არ მივიტანო გულთან ეს ამბავი. განა კრიზისმა და მძიმე წლებმა აღგვავა და გაგვანადგურა.

ნიუ-ბეიტაუნი ლამაზი ქალაქია-მეთქი, რომ ვახსენე, იმან მომაგონა ეს ყველაფერი. მარცხნივ აღარ გავყოლივარ თელის ქუჩას, მარჯვნივ შევუხვით და სწრაფად გავედი პორლოკზე. პორლოკის ქუჩა კი თითქმის პარალელურად მიჰყვება მთავარ მაგისტრალს. ჩვენი ჩასუქებული კონსტებლი - „ქონდარა უილი“ - ახლა, ალბათ, პოლიციის მანქანაში ყვინთავს, მთავარ ქუჩაზე, და სულაც არ მეხალისება მასთან მუსაიფში გავატარო ეს ღამე. „რამ გამოგიყვანა, ით, ამ შუალამისას? კაი ნაჭერს ჩაავლე სადმე?“ სწყინდება ხოლმე „ქონდარა უილის“ და გამოლაპარაკება უყვარს, მერე კი სხვას უამბობს შენთან ნალაპარაკევს. ბევრი ბინძური ჭორი გაუვრცელეს უილის ამ მოწყენილობის გამო. დღის მორიგე კონსტებლი სტონოულ ჯექსონ სმითია. შერქმეული არ გეგონოთ, ნათლობის სახელია - სტონოულ[5] ჯექსონი - და ამითვე გამოირჩევა იგი სხვა სმითებისაგან, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ქალაქის პოლიციელები ერთმანეთის სავსებით საწინააღმდეგო ხასიათისანი არიან. სტონი სმითი ისეთი კაცია, რომ ჰკითხო, დღეს რა დღეაო, ვერასდიდებით ვერ ათქმევინებ, თუ სასამართლოში არ მიიყვანე და ფიცი არ მიაღებინე. სმითი ქალაქის მთავარი პოლიციელია და მთელი სულითა და გულითაც ემსახურება ამ საქმეს, გაფაციცებით ადევნებს თვალყურს უახლეს მეთოდებს, ვაშინგტონში გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეციალური სკოლაც კი დაამთავრა. ნამდვილი პოლიციელია - მაღალ-მაღალი, უენო, თვალები ლითონივით უელავს... რამე ბოროტმოქმედება თუ განგიზრახავთ, მაგ მთავარ პოლიციელს უთუოდ უნდა მოერიდოთ.

ეს ამბები იმიტომ გამახსენდა, რომ სწორედ იმ ქონდარა უილის ავარიდე თავი და პორლოკ-სტრიტისკენ შევუხვით. რაც ნიუ-ბეიტაუნში ლამაზი სახლებია, სულ პორლოკზე დგას. საქმე ის არის, რომ მეცხრამეტის დასაწყისში ასზე მეტი ვეშაპებზე სანადირო გემი ჰქონიათ აქ. წავიდოდნენ სანადიროდ ანტრაქტიკასა და ჩინეთის ზღვებში, ერთი-ორი წლის შემდეგ კი ვეშაპის ქონით დატვირთულები და გამდიდრებულები უკანვე ბრუნდებოდნენ. უცხოეთის ნავსადგურებიდან თან მოჰქონდათ როგორც უცხო ნივთები, ისე უცხო იდეები. ამიტომაცაა, რომ პორლოკის სახლებში ამდენ ჩინურ ნივთს ხედავთ. იმ გემების პატრონ-კაპიტანთაგან ბევრს კარგი გემოვნებაც ჰქონდა. ფულიც ხომ ბლომად მოეძვეებოდათ და სახლების ასაშენებლად ხუროთმოძღვრები ინგლისიდან მოჰყავდათ ხოლმე. ამიტომაცაა, რომ პორლოკ-სტრიტზე სულ ადამისა და კლასიციზმის სტილის სახლებს ხვდებით. ინგლისში მაშინ ასეთი მოდა იყო გამეფებული, ოღონდ ნახევარწრედ გამოჭრილი სარკმლებისა და ბერძნული კოლონების გვერდით, სახურავებზე, ე. წ. „ქვრივის ბილიკებს“ მაინც ტოვებდნენ. ეს იმ მიზნით, რომ ოჯახის ერთგული და ქმრების მოსიყვარულე ცოლები ასულიყვნენ და ეთვალთვალებინათ, გემები როდის დაბრუნდებიანო. ვინ იცის, ზოგი იქნებ უთვალთვალებდა კიდეც. ჰოულები,

აგრეთვე ფილიპსები, ელგარები და ბეიკერები, ყველაზე ძველები არიან. ისინი სულ თელის ქუჩაზე ცხოვრობენ და სახლებიც, ეგრეთ წოდებული, ადრეულამერიკული უდგათ - წოწოლა სახურავი და გემის ყავრებით შეფიცრული კედლები. ასეთივეა ჩემი სახლიც, ჰოულების ძველებური სახლი. ეს ბუმბერაზი თელებიც სახლების ხნისანი არიან.

პორლოკ-სტრიტზე კვლავ გაზის ფარნები შემორჩენილა, ოღონდ მათში ახალი ელექტრონათურებია ჩადგმული. ზაფხულობით ტურისტები ჩამოდიან, რათა არქიტექტურითა და, როგორც თვითონ ემახიან, ჩვენი ქალაქის „სიძველეთა მომხიბლაობით“ დატკბნენ. რატომ მაინცდამაინც ძველს უნდა ჰქონდეს მომხიბლაობა?!

ადარ მახსოვს, ვერმონტელი ალენები ჰოულებს როგორ დაუნათესავდნენ. ისე კი, რეკოლუციის დამთავრებისთანავე მოხდა ეს. ამის შემოწმება ძნელი არ იქნებოდა. სხვენზე უსათუოდ ეგდება რამე საბუთი. მერი საშინლად გაბეზრდა ჰოულების ისტორიით, ამიტომ ჩემთვის სავსებით გასაგები იყო, რატომ მთხოვა მამაჩემის სიკვდილის შემდეგ, ეს ქალაქები სხვენზე დავალაგოთო. სხვისი საგვარეულო ისტორია მომაბეზრებელია. მერი ნიუ-ბეიტაუნის მკვიდრიც კი არ არის. წარმოშობით ირლანდიელია, ოღონდ არაკათოლიკე. ამას მუდამ საგანგებოდ იტყვის ხოლმე. ულსტერის გვარის ვარო, თავი მოაქვს. ბოსტონიდან ჩამოვიდა.

თუმცა არა - კი არ ჩამოვიდა, მე ჩამოვიყვანე ბოსტონიდან. ახლაც კი ვხედავ ჩვენს თავს, და იქნებ უფრო თვალნათლივაც, ვიდრე მაშინ: ორი დღით შვებულებაში ჩამოსული განერვიულებული და დამფრთხალი უმცროსი ლეიტენანტი ჰოული და ნაზი, დაწვებშეფაკლული სურნელოვანო საყვარელი გოგონა, რომელიც ომისა და თავისივე სინორჩის წყალობით სამჯერაც უფრო საყვარელი და ლამაზი ჩანს. რა სერიოზულები ვიყავით, რა უღმერთოდ სერიოზულები! მე მოსაკლავად ვარ განწირული, ის კი მზად არის მთელი სიცოცხლე ერთგულად შესწიროს დაღუპული გმირის ხსოვნას. ასეთივე განწყობილებით იყვნენ მაშინ მილიონობით მწვანემუნდირიანები და ჩითისკაბიანები. და აქაც ყველაფერი სულ იოლად შეიძლებოდა დამთავრებულიყო: ტრადიციული წერილი - „ძვირფასო ჯონ“... და მორჩა. მაგრამ ამ გოგონამ მართლაც იშვიათი ერთგულება გამოიჩინა თავისი გმირი მეომრის მიმართ. ყველგან თან დამდევდა მისი წერილები - კობტად გამოყვანილი მრგვალი ასოები, იისფერი მელანი, ცისფერი ქალაქი... მთელი ასეული ცნობდა ამ წერილებს და რატომღაც ყველას გულთან მიჰქონდა ჩემი სიხარული. კიდევ რომ არ მდომოდა მერის შერთვა, მისი სიმტკიცე და ერთგულება მაიძულებდა, ანგარიში გამეწია ხალხში საუკუნეობრივი ოცნებისათვის, რაც ტურფა და ერთგულ ქალებზე აქვთ შექმნილი.

არც შემდეგ შეცვლილა მერი, როცა იძულებული გახდა თავის ირლანდიურ-ბოსტონურ მამულს მოშორებოდა და ჰოულების ძველებურ სახლში გადმოსულიყო, თელის ქუჩაზე. ვერაფერმა გატეხა - ვერც ჩემი საქმეების სულ უფრო და უფრო

უკუღმართად წასვლამ, ვერც ბავშვების გაჩენამ, ვერც ჩემმა ამდენი ხნის ნოქრობამ. დიდი მოთმინების პატრონია - ამას ახლა აშკარად ვხედავ, მაგრამ იმასაც ვატყობ, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოთმინების ფიალაც ევსება. უწინ ერთხელაც არ შემინიშნავს, თავისი სურვილები გამოემჟღავნებინოს, რადგან ჩემი მერისათვის უცხო გახლავთ დაცინვაცა და ზიზღნარევი საყვედურებიც. გასაჭირისათვის ერთხელაც არ მოუხრია ქედი. და ახლაც ამიტომ გახდა მისი ნაღველი შესამჩნევი, რომ წინათ სულ არ შემინიშნავს, დაჩვეული არ ვიყავი. რა ფიქრები არ მოგივა ხოლმე კაცს თავში, როცა ღამით ქუჩაში მიდიხარ და დაჭირხლულ გზაზე შენივე ფეხის ჭრაჭუნს გესმის!

ხალხისათვის თავის არიდება გამთენიისას, ნიუ-ბეიტაუნის ქუჩებში, სულაც არ არის საჭირო. მარტო ქონდარა უილი თუ წაიოხუნჯებს, თორემ დანარჩენები, დილის სამ საათზეც რომ მნახონ სანაპიროსკენ მიმავალი, სათევზაოდ მიდისო, იფიქრებენ, და ყურადღებასაც არ მომაქცევენ. ჩვენს ხალხს სულ ნაირ-ნაირი მოსაზრება აქვს თევზაობის საკითხებზე, ხოლო ზოგიერთ მოსაზრებას ისე საიდუმლოდ ინახავს, როგორც საოჯახო რეცეპტს - და დიდ პატივსაც სცემს ამისთანა რამეებს.

ჭირხლით დაფარული გაზონები და ტროტუარები ისე ბრწყინავდნენ ქუჩის ფარნების სინათლეზე, გეგონებოდათ, აღმასის მილიონობით პაწაწკინტელა ნატეხები მოუბნევიათო. ასეთ ჭირხლზე გამოკვეთილად აჩნდება ხოლმე ნაკვალევი, მაგრამ ახლა წინ არავითარი ნაფეხური არ ჩანდა. ბავშვობიდან დამჩემდა - ასე გაქათქათებულ ყინულსა თუ თოვლში რომ გამოვალ, უცნაურად ამიტოვდება ხოლმე გული. თითქოს რაღაც ახალი სამყაროს კარი შეგეღოს, ისეთი სიხარული მოგიცავს; თითქოს ახალი, სპეტაკი, შეურყენელი და შეუბილწავი რამ აღმოგეჩინოს. ღამის განუყრელ მოგზაურებს - კატებს - ვერაფრად ეპიტნავენათ ჭირხლზე სიარული. მახსოვს, ერთხელ სანაძლეოდ ამისთანა ყინულზე გავიარე ფეხშიშველამ და ტერფები ისე ამეწვა, თითქოს ცეცხლში ჩამედგას. ახლა კი თბილი წინდები და კალოშები მეცვა და არხეინად ვსერავდი ამ შეუბღალავ სიქათქათეს.

იმ ადგილას, სადაც პორლოკი ტორკის ჭრის, ზედ ველოსიპედების ქარხანასთან, ჰიკის ქუჩაზე, ქათქათა ჭირხლი ვიღაც ჩლახუნით მავალ კაცს დაესერა. ვინ იქნებოდა, თუ არ დენი ტეილორი, მოუსვენარი და დაუდეგარი არსება, რომელსაც სულ სადღაც მიუწევს გული და იქ რომ მიჩლახუნდება, იქაც ვეღარ მოუსვენია. დენი - ქალაქის ლოთი. მგონი, ყველა ქალაქს ჰყავს ასეთი ვინმე. დენი ტეილორი! რამდენი ქალაქელი გადააკანტურებს ხოლმე თავს მის დანახვაზე - ძველი გვარიშვილი, კარგი ოჯახიდან გამოსული, გვარის უკანასკნელი ნაშიერი, ნასწავლი! მგონი, რაღაც შეემთხვა, არა, სამხედრო-საზღვაო აკადემიაში? მას მერე ვერ იქნა და ვეღარ გამართა წელი. თავს ილუპავს ლოთობით და ძალიან სამწუხაროცაა, რადგან დენი ნამდვილი ჯენტლმენია. სირცხვილია, ღვინის ფულისთვის კაცმა იმათხოვროს! კიდევ კარგი, მშობლები ვეღარ მოესწრნენ ამ შერცხვენას. ხელად არ დაიხოცებოდნენ?! თუმცა დაიხოცნენ და ეგ არის. ასეთი ლაპარაკი იციან ნიუ-ბეიტაუნში.

რამდენს დავინახავ დენის, იმდენი გული ჩამწყდება ხოლმე. ასე მგონია, რამე დავაშავე-მეთქი. უნდა დავხმარებოდი. განა არ ვცადე, მაგრამ ვინ გაგიკარა. ძმასავით შეზრდილები ვიყავით. ტოლები ვართ და ერთად გავიზარდეთ, წონაც ერთი გვქონდა და ღონეც. იქნებ ჩემი დანაშაულიც ეს იყოს - ძმას ყური უნდა ნუგდო, მე კი ვერაფერი ვუშველე. მაგრამ რაც უნდა იმართლო თავი, ეს ისეთი საქმეა, სინდისის ქენჯნას ვერაფერს მოუხერხებ. ტეილორიც ისეთივე ძველი გვარია, როგორც ჰოული, გინდა ბეიკერი ან რომელიც გინდა სხვა. არ მახსოვს, ბავშვობაში რამე პიკნიკი, ცირკი, თამაში, შობის დღესასწაული, რომ დენი გვერდიდან მომშორებოდას, მარჯვენა ხელივით განუყრელი იყო. სასწავლებელშიაც რომ ერთად მივებარებინეთ, იქნებ არაფერიც არ მომხდარიყო. მე ჰარვარდს გავემგზავრე - ენები შევისწავლე, ჰუმანიტარულ საგნებს დავეწაფე, ჩავწვდი იმ ძველს, მშვენიერსა და უცნობს, ისეთი სიბრძნე შევიძინე, რაც ამ საბაკალეო დუქანში არაფრად მარგია. და სულ იმას ვნატრობდი, ნეტავ დენიც ჩემთან იყოს-მეთქი ამ მიმზიდველსა და მომხიბლავ ასპარეზზე. მაგრამ დენი საზღვაო საქმემ გაიტაცა. ჯერ კიდევ ბავშვები ვიყავით, მისი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში წასვლა რომ გადაწყდა და მოგვარდა. რამდენ ახალ კონგრესმენს აირჩევდნენ, მამამისი სულ ამას ეჩიჩინებოდა.

სამი წელიწადი გამორჩეული სტუდენტი იყო, მერე კი ადგნენ და გამორიცხეს. ამბობენ, მშობლებიც ამან გადაიყოლაო. დენი კი ნამდვილად ამას გადაჰყვა. მას აქეთ სულ ასე დაწანწალებს ღამღამობით - გაუბედურებული და ბოლომოდებული - და თითო ჭიქის დასალევად ფულს თხოულობს. წყალწაღებულიაო, ამაზე იტყვიან ინგლისელები. დაყიალებს ასე ღამღამობით, გათენებას ქუჩაში ხვდება, გამოვა მარტოკა და საცოდავად დაჩლახუნობს. ფულს რომ შეგეხვეწება „ტვინის შესაჭიკჭიკებლად“, მისი თვალები თითქოს პატიებას გთხოვენ, რადგან თვითონვე ვერ უპატიებია თავისი თავისთვის. ძილით ერთ საცოდავ ქოხში სძინავს, ზღვის პირას, სადაც უიღბურები ერთ დროს გემებს აგებდნენ. დავიხარე და ნაფეხურებს დავაკვირდი - შინიდან მოდის თუ ბრუნდება-მეთქი. ეტყობოდა, ქალაქში გამოსულიყო და ყოველ მოსახვევეში შეიძლებოდა გადავყროდი. ქონდარა უილი არ დააკავებს და არ ჩასვამს. ან კი რა აზრი აქვს?

სანამ ლოგინიდან გამოვძვრებოდი, უკვე ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავი - საალალბედოდ არ გამოვსულვარ, ადრევე ვხედავდი იმ ადგილს, მცემდა მისი დამახასიათებელი სუნი. ძველი ნავსადგური ახლა უპატრონოდაა მიგდებული. რაც ახალი ზვირთსაქცევი ააშენეს და ჯებირი აღმართეს, ძველი რეიდი, რომელსაც ეშვივით ამოზიდული სამების მეჩეჩი იცავდა, კაცს აღარ ახსოვს, სულ სილითა და ლამით ამოივსო. ვეღარც ნავსაშენ ფიცარნაგებს ნახავთ იქ, ვეღარც საქონლით გამოტენილ საწყობებს. სადაც უწინ მეკასრეების მთელი თაობები ფუსფუსებდნენ და ვეშაპის ქონისთვის კასრებს ამზადებდნენ, სადაც გრძლად გაჭიმულ ნავსაბმელებს ვეშაპებზე მონადირე გემების უცნაური ფიგურებით გამოჩუქურთმებული ბუმპრიტები გადმოჰყურებდნენ, ახლა ვეღარაფერს ნახავ. ჩვეულებრივ, სამანძიანი

დიდრონი ხომალდები იყო, უკანა ანძაზე ოთხკუთხა აფრები ჰქონდათ აღმართული, არავითარ ავდარს არ ეპუებოდა და დიდხანს ძლებდა.

აქამდე შემომრჩა ერთი ლითონის გრავიურა, რომელზეც გემებით გატენილი ძველი ნავსადგურია გამოსახული. რამდენიმე გამოხუნებული დაგეროტიპიც შემონახულა, მაგრამ რაში მჭირდება! ის ნავსადგურიც მკაფიოდ მიდგას თვალწინ და ის გემებიც. პაპაჩემი მოიმარჯვებდა ხოლმე ნარვალის რქისგან გაკეთებულ ჯოხს და დიდი გულმოდგინებით მიხატავდა ყველაფერ ამას სილაზე. გამწარებით მიტენიდა თავში საზღვაო ტერმინებს და თითოეული ტერმინის ჩამოთვლაზე თავის ჯოხს ხიმინჯის ნაჭერს ჩამოჰკრავდა ხოლმე. ეს ხიმინჯი ოდესღაც ჰოულების ნავსაბმელის ნაწილს წარმოადგენდა. შეუპოვარი კაცი იყო პაპაჩემი, თეთრი ბაკენბარდები ჰქონდა. ისე მიყვარდა, რომ პირდაპირ ვიტანჯებოდი ამ სიყვარულით.

აბა, - ისე რიხიანად გადმომძახებდა ხიდიდან, რომ მეგაფონი არც კი იყო საჭირო, - გემის აღჭურვილობა ჩამომითვალე, ოღონდ ხმამაღლა. ჩიფჩიფს ვერ ვიტან.

მეც მოვდგებოდი და ვღრიალებდი, პაპაჩემი კი ყოველი ტერმინის თქმაზე ნარვალის ჯოხს ჩამოჰკრავდა.

– ბომ-კლივერი, - ვღრიალებდი მე (ბახ!), - პატარა კლივერი (ბახ!).

– ხმამაღლა! რას ჩიფჩიფებ!

– ფორ-ტრიუმსელი, ფორ-ბომ-ბრამსელი, ფორ-ბრამსელი, ზედა ბრამსელი, ქვედა ბრამსელი... - და ყოველ სიტყვაზე - ბახ და ბახ!

– გროტი! ხმამაღლა!

– გროტ-ტრიუმსელი, - ბახ!

მაგრამ რაც უფრო სიბერეში შედიოდა, იღლებოდა ხოლმე.

– რას ჩააცივდი მაგ გროტებს, - დამიყვირებდა, - იალქნებზე გადადი. დაიწყე!

– ახლავე, სერ! კრიუს-ტრიუმსელი, კრიუს-ბრამსელი, კრიუს-ბრამსტაკსელი, ბეგინ-რეი.

– მერე!

– შპანკერი!

– რითია აღკაზმული?

– ბუმითა და გაფით, სერ.

– ბახ-ბახ-ბახ, - გაისმოდა ნარვალის ჯოხის ხმა.

ყურს რომ დააკლდა, ყველას უსაყვედურებდა, რას ჩიფჩიფებთო.

თუ სიმართლეს ამბობ, ან - კიდეც რომ არ იყოს სიმართლე, თუ გგონია, სიმართლეს ვამბობო, ხმამაღლა თქვი, - იღრიალებდა ხოლმე პაპაჩემი.

სმენამ კი უღალატა სიცოცხლის დასასრულს მოხუც კაპიტანს, მაგრამ მახსოვრობა ერთი ბეწოთიც არ დაჰკარგვია. ერთს არ დაფიქრდებოდა, ისე გეტყოდა ყოველი გემის ტონაჟსა და სისწრაფეს, რომელიც ოდესმე ნიუ-ბეიტაუნის ნავსადგურში შემოსულა. გეტყოდა, რა ტვირთი მოიტანა, მერე როგორ გაინაწილეს ეს საქონელი. საკვირველი კი იყო, რადგან ვეშაპმჭერის ოქროს დღეებს არც პაპაჩემი მოსწრებია. ნავთს - „წუნწუნს“ ეძახდა, ხოლო ნავთის ლამპას - „აყროლებულ წუნწუნს“. ელექტრონის გამოჩენას გულგრილად შეხვდა, ან იქნებ მაშინ უკვე მოგონებებით სულდგმულობდა. მისი სიკვდილი ელდად არ მცემია. ამაშიაც ისე გამომწვრთნა, როგორც გემების აღკაზმულობაში. მომზადებული ვიყავი სულიერადაც და გარეგნულადაც.

ლამითა და სილით ამოვსებული ძველი ნავსადგურის მარჯვნივ, ზედ ჰოულების ნავსაბმელთან, ქვის ფუნდამენტი ისევ შემორჩენილა. ზღვის მიქცევის დროს სულ ტიტვლდება ეს ადგილი, ხოლო ტალღები რომ მოაწყდება, ღრმად ნაგებ ქვაყრილს ეტყლაშუნება. იქიდან ათიოდე ფუტზე პატარა თაღოვანი გასასვლელია - სიგანით ოთხამდე ფუტი, სიმაღლეც ოთხი და სიღრმე - ხუთი ფუტი. ვინ იცის, ოდესღაც იქნებ სადრენაჟო მილი ერთვოდა ამ გასასვლელს. ახლა მიწის მხარე ქვის ნატეხებითა და სილითაა ამოვსებული. სწორედ ეს არის ჩემი თავშესაფარი, ამოჩემებული ადგილი, რაც ყველას სჭირდება. იქ რომ შეხვალ, კაციშვილი ვერ დაგინახავს, თუ ზღვის მხრიდან არ მოგადგა ვინმე. ძველი ნავსადგური ახლა აღარავის ახსოვს, აქა-იქ პატარა ქოხმახებს თულა შენიშნავთ - ეს ხამანწკების მძებნელთ მოუწყვიათ. მაგრამ ზამთრობით ამ ქოხებსაც არავინ ეკარება. თანაც, ხამანწკების მძებნელები წყნარი ხალხია, ცნობისმოყვარეობას არ იჩენენ. დღე ისე დაღამდება, ერთ სიტყვას ვერ დააცდენინებ - წელში მოიკაკვებიან, თვალს მიწას მიაშტერებენ და ისე დადიან.

სწორედ იქით გავემართე. ჯარში წასვლის წინა ღამე იქ გავათენე თეთრად, მერისთან დაქორწინების წინაღამეც. და ელენი რომ იზადებოდა, იმ ღამის ერთი ნაწილიც იქვე გავატარე - მერის ძალიან გაუჭირდა. გული მომთხოვს ხოლმე იქ წასვლას. შევალ, ჩამოვჯდები, ვისმენ პატარა ტალღების ტყლაშუნს და სამების მეჩერის დაკბილულ ქვებს გავყურებ. ლოგინში რომ ვიწევი, მოცეკვავე წითელ ლაქებში არეული მომეჩვენა ეს ყველაფერი და გულმა აქეთ გამომიწია. დიდი ცვლილებები როცა ხდება ჩემს ცხოვრებაში, მაშინ მომიწევს აქეთ გული, დიდი ცვლილებები როცა ხდება.

აქედან, ნაპირისავე გასწვრივ, საუთ-დევონი იწყება და იქაურობა ქუჩის ფარნებითაა განათებული. ეს სულ კეთილი ხალხის საქმეა, შეყვარებულებს უფრთხილდებიან -

ფათერაკს არ გადაეყარონო, და ისინიც იძულებული ხდებიან, სადმე სხვაგან წავიდნენ. მუნიციპალიტეტის წესდების მიხედვით, ქონდარა უილის ევალეზა ყოველ საათში ჩაიაროს და დაათვალიეროს იქაურობა. ახლა კაცის ჭაჭანებას ვერ ნახავდით - კაცის ჭაჭანებას! გასაკვირიც კია - მეთევზეები აქ მუდამ ირევან: ზოგი სათევზაოდ მიდის, ზოგი უკან ბრუნდება, ზოგი ახლა თევზაობს. გავიარე სამირკველი, ხვრელში გავძვერი და ჩემს პატარა გამოქვაბულში შევედი. ჩამოჯდომაც ვერ მოვასწარი, რომ ქონდარა უილის მანქანის თუხთუხი გავიგონე. უკვე მეორეჯერ ავცდი ამაღამ მასთან ლაპარაკს.

ალბათ, მოუხერხებელიც ჩანს და სულელურიც ქვის ნიშში თვალეზაფხურა ბუდასავით ფეხმორთხმით ჯდომა, მაგრამ როგორღაც შევეწყვე ამ ქვას, თუ ქვა შემეწყო მე!... იქნებ დიდხნობით ამ ქვაზე ყოფნამ ჩემს საჯდომს თავისებური ფორმა მისცა. რაც შეეხება იმას, რომ აქ ჯდომა სულელური ჩანს, ეს ოდნავადაც არ მადარდება. ზოგჯერ რაც უფრო სულელურ რამეს აკეთებ, მით მეტად ერთობი, ბავშვებისა არ იყოს - ძეგლობანას რომ თამაშობენ და სიცილით მუცელზე იფხრიწებიან. სისულელე ზოგჯერ ერთფეროვანი ცხოვრების წესს შეგვაცვლევინებს და ახლებურ ცხოვრებას დაგვაწყებინებს. რამეზე აღელვებული რომ ვარ, სისულელეს მოვყვები ხოლმე, რომ ჩემს ძვირფას არსებასაც არ გადაედოს ჩემი აღელვება. კარგადაც ვახერხებ, აქამდე ერთხელაც არ შეუმჩნევია ჩემი სულიერი მდგომარეობა; ყოველ შემთხვევაში, მე არ შემინიშნავს, რამე შეეტყოს. რამდენი რამე არ ვიცი ჩემი მერისა. უპირველესად კი ის არ ვიცი, ჩემზე რას ფიქრობს და რა აზრისაა. არა მგონია, მაგალითად, ჩემი ამოჩემებული ადგილის ამბავი იცოდეს. ან კი საიდან ეცოდინება? მე ერთი სიტყვაც არავისთან დამცდენია. ჩემს გონებაშიაც კი არ შემირქმევია სახელი ამ ადგილისთვის, არც რამე რიტუალი მომიგონია და არც არაფერი. უბრალოდ, ეს არის ადგილი, სადაც ათას რამეს ვუფიქრდები. სხვა ადამიანებისა ან კი რა გვესმის ჩვენ. უკეთეს შემთხვევაში, ვვარაუდობთ, რომ სხვებიც ჩვენ გვევანან. ვზივარ აგერ ჩემს ამოჩემებულ ადგილას, ქარს მოფარებული, ვხედავ, როგორ ეხლებიან ჩვენი მცველი ფარნებით მკრთალად განათებულ ნაპირს შავი ცისგან ჩამუქებული ტალღები და ვფიქრობ, ნეტავ სხვებსაც თუ აქვთ ასეთი ამოჩემებული ადგილი, ან თუ სჭირდებათ, ან იქნებ საჭიროებას გრძნობენ, მაგრამ ვერ უპოვიათ. ხშირად შემინიშნავს ხალხისთვის თვალეზაში რაღაცნაირი გამომეტყველება, მწევარდადევნებული გაშმაგებული ნადირის გამომეტყველება, თითქოს მყუდრო, საიდუმლო ყურეს ეძებდნენ, სადაც აფორიაქებულ სულს დაიმშვიდებენ და განმარტოებულნი, მშვიდად აწონიან თავიანთ ყოფას. რაღა თქმა უნდა, მეც ბევრი თეორია მსმენია, თითქოს სიკვდილს ჩვენ თვითონ ვესწრაფოდეთ და გული კვლავ უკან გვეწოდეს, დედის საშოსკენ... იქნებ მართალიც იყოს, ვინმეს მართლაც მოსდიოდას ასე, ჩემზე კი ეს არ ითქმის, თუ ძალიან არ გავიადვილებთ საქმეს და ძნელი ამოცანის გადაწყვეტას იოლად არ მოვინდომებთ. მე რომ მკითხონ, იმ შენს ამოჩემებულ ადგილას რას აკეთებო, „ჩემს ყოფას“ ვაფასებ-მეთქი, - ვუპასუხებ. სხვამ იქნებ თქვას, ვლოცულობო, და ისიც თავისებურად მართალი იყოს. არა მგონია, ეს უბრალო ფიქრი იყოს. თვალსაჩინოდ რომ ვცადოთ ამის

წარმოდგენა, მე შევადარებდი სასიამოვნო ნიავეში სველი ზეწრის ფრიალსა და გაშრობას, როცა იგი თანდათანობით იტკიცება და თეთრდება. ჩემთვის მუდამ სასარგებლოა ხოლმე იქ გატარებული დრო, აღარ დავემებ - კარგია ეს თუ ცუდი.

ათასი რამ დამიგროვდა ასაწონ-დასაწონი და გასათვალისწინებელი, ისინი ჩემ წინაშე ხტოდნენ და როგორც ბავშვები გაკვეთილზე, ხელს მიწევდნენ, ყურადღება მომაქციეო. მაგრამ უცებ ძრავიანი ნავის ნელი გუგუნის მომესმა. სათევზაო კარჭაპი იყო. მისი მბჟუტავი სინათლე სამხრეთისაკენ მიცოცავდა, სამების მეჩჩეების გადაღმა. ერთბაშად ყველაფერი გადამავიწყდა და სანამ მეჩჩეს არ ჩაუარა და მშვიდობიანად გავლის ნიშნად მწვანე და წითელი შუქი არ შევნიშნე, აღარც მომგონებია სხვა რამე. მხოლოდ ადგილობრივ კარჭაპს შეეძლო ასე ადვილად ეპოვა შესასვლელი ნავსაყუდელში. მერე კარჭაპის ღუზა ჩაუშვეს და ნაპირისაკენ ორი კაცი დაიძრა პატარა ნავით. ტალღები ნაპირის სილას მოეტყლაშუნა, დამფრთხალი თოლიები, ერთი პირობა, წამოიშალნენ და ისევ დაემუნენ ტივტივებზე.

პირველი: მერიზე უდა ვიფიქრო, ჩემს ძვირფას მერიზე, რომელსაც ახლა მშვიდად სძინავს და ტუჩებზე გამოუცნობი ღიმილი დასთამაშებს. არ მინდოდა, გამეღვიძებინა და შემეწუხებინა. მაგრამ, კიდეც რომ გააღვიძო, განა გაგრძნობინებს რამეს? არა მგონია. მე ასე მეჩვენება, რომ მერი ბევრ რამეს არ მეუბნება, თუმცა თავი ისე უჭირავს, თითქოს ყველაფერს მეუბნებოდეს. ახლა გამდიდრების საქმეს მივხედოთ. მერის თვითონ სჭირდება ეს სიმდიდრე თუ ჩემთვის უნდა? იმას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ეს მოჩვენებითი სიმდიდრეა, გაურკვეველი მიზეზებით მარჯი იანგ-ჰანტის მოგონილი. მოჩვენებითი სიმდიდრე არაფრით ჩამოუვარდება ნამდვილს, ის კი არა და, იქნებ ყველა სიმდიდრეც ცოტად თუ ბევრად მოჩვენებითი იყოს. ფულის გაკეთება ყველა გონიერ ადამიანს შეუძლია, თუკი ამას გაიხდის მიზნად. სინამდვილეში, ყველაზე უფრო კაცს სჭირდება ქალები, კარგი ჩაცმა-დახურვა და სხვებისგან პატივისცემა. სწორედ ეს უბნევს თავგზას. დიდ ფინანსისტებს, თავიანთი საქმის ხელოვანებს, - მორგანს, მაგალითად, გინდა როკფელერს, - თავგზას ვერ აუბნევ. მათ ფული უნდოდათ, მხოლოდ ფული, და ხვეტდნენ კიდეც. სულ სხვა საქმეა, მერე ამ ფულით რას აკეთებდნენ. მე კი მუდამ ასე მეჩვენება, რომ ისინი თვითონვე ფრთხებოდნენ თავიანთივე გამოწვეული სულით და მერე ცდილობენ მისგანვე გამოესყიდათ თავი.

მეორე: ფულიო, მერი რომ ამბობს, ამით მას წარმოდგენილი აქვს ახალი ფარდები, ბავშვების კარგად აღზრდა, თავის ცოტა უფრო მაღლა დაჭერა და, - ბარემ პირდაპირ ვთქვათ - ისიც, რომ ჩემი კი არ ერცხვინებოდეს, არამედ ეამაყებოდეს. გაბრაზებული, თვითონვე გამომიტყდა ამაში და მართალიც არის.

მესამე: მე თუ მჭირდება ფული? არა, რა ბრძანებაა. თუმცა ეს ნოქრობა არაფრად მეპიტნავება. ჯარში კაპიტნობას მივაღწიე, მაგრამ ისიც ვიცი, რას უნდა ვუმაღლოდე. ოჯახიშვილობას და იმას, რომ კარგი წრიდან ვიყავი გამოსული. განა ჩემი ლამაზი თვალები მოეწონათ. კარგი ოფიცერი კი დავდექი, კარგი ოფიცერი,

მაგრამ მბრძანებლობის მოყვარული რომ ვყოფილიყავი და სხვების ჩემს სურვილზე ახტუნავება მყვარებოდა, ჯარში დავრჩებოდი და აქამდე პოლკოვნიკობასაც მივალწევდი. მაგრამ არ დავრჩი. ერთი სული მქონდა, სანამ იქიდან წამოვიდოდი. ნათქვამია, კარგ მეომარს ბრძოლა აინტერესებს და არა ომიო. ეს უკვე სამოქალაქო ხალხის საქმეა.

მეოთხე: მარულომ კარგად ამიხსნა საქმოსნობის მთელი არსი: ეს ფულის კეთებაა. ჯოი მორფიმაც პირდაპირ მითხრა ეს, მისტერ ბეიკერმაც, იმ კომივოიაჟორმაც. ყველამ დაუფარავად ამიხსნა. რატომ მირევს ეს გულს, თითქოს ლაყე კვერცხი გადამეყლაპოს? ნუთუ ასეთი კარგი ვარ? ან ასეთი კეთილი, ან სიმართლის მიმდევარი? არა მგონია. მაშ, მეტისმეტად ამაყი ვარ? სიამაყე მართლაც არ მაკლია. იქნებ ზარმაცი ვარ და ზედმეტი სიზარმაცის გამო ვერიდები საქმეში ჩაბმას? ბევრს სჭირს ასეთი უმოქმედო სიკეთე, რაც, ფაქტობრივად, სიზარმაცეს ნიშნავს - როცა თავის შეწუხებასა და მღელვარებას გაუბრუნებს, ხელის განძრევას ერიდები.

მუდამ ასეა ხოლმე - ჯერ სინათლე სად არის და ჰაერში კი უკვე განთიადის სურნელი ტრიალებს. ახლაც ასე მოხდა: დილის ნიავი დაიდრა. დასავლეთით, ჰორიზონტზე, ახალი ვარსკვლავი თუ პლანეტა გამოჩნდა. წესით, უნდა ვიცოდე, რა ვარსკვლავია ან რა პლანეტა, მაგრამ არ ვიცი. იმ მოჩვენებით გარიჟრაჟზე ქარი ძლიერდება და უფრო აცივდება ხოლმე. სულ ასე იცის, ესე იგი, ჩემი შინ წასვლის დრო მოსულა. მეტისმეტად დაიგვიანა იმ ვარსკვლავმა, დიდხანს ციმციმი არ უწერია, დღე მოუსწრებს. ნათქვამია, ვარსკვლავები კი არ მბრძანებლობენ, წარმართავენო. გამიგონია, რამდენი სერიოზული ფინანსისტი მისულა ასტროლოგებთან საბირჟო ოპერაციების საქმეზე რჩევისთვის. ბირჟაზე ფასების აწევასაც უწყობენ ნეტავ ხელს? ნუთუ „ამერიკან ტელეგრაფ ენდ ტელეფონის“ კომპანიაც ვარსკვლავებს ემორჩილება? ჩემი ბედი სულაც არ არის დაკავშირებული იმ შორეულ ვარსკვლავთან, გაცვეთილსა და გაცრეცილ კარტზე ჰკიდია, რომელსაც ვიღაც უსაქმური, ბოროტი დედაკაცი ჩითავს ხელში და თან გაშლის დროსაც გატყუებს. კარტი რაღას შვრება - მბრძანებლობს თუ წარმართავს? განა კარტმა არ მიყო, შუალამისას რომ წამომადლო და აქეთ გამომაქანა? განა კარტის საქმე არ არის, რომ სულაც არ მინდა ფიქრი დ მაინც საძულველ საქმეზე ვფიქრობ?! მეტი რაღა გინდა? ნეტავ საქმოსნობასაც თუ შემეყვარებენ, რაც მუდამ უცხო იყო ჩემთვის? იმას თუ მომანდომებენ, რაც გულით არა მწაღია? არსებობენ მჭამელები და შეჭმელები. ეს სიბრძნე უსათუოდ უნდა გახსოვდეს, როცა საქმეს იწყებ. ვითომ მჭამელები შეჭმელებზე უფრო უზნეო ხალხია? ბოლოს და ბოლოს, ყველანი შეჭმელები არ გავხდებით?! ყველას მიწა არ გვშთანთქავს?! ყველაზე გულქვა და ყველაზე გაიძვერებიც კი ვერ გაეცევიან.

კლემ-ჰილზე რამდენი ხანია ყვირიან მამლები, მესმის კიდევაც და არც მესმის. აქ დარჩენა მომიწია - აქედან მზის ამოსვლის დანახვა.

წედან ვამბობდი, ამ ამოჩემებულ ადგილთან დაკავშირებული არავითარი რიტუალი არა მაქვს-მეთქი, მაგრამ არ არის მთლად მართალი. რამდენს აქ მოვალ, ჩემს წარმოდგენაში ძველ ნავსადგურს გავაცოცხლებ ხოლმე და ამით ვტკბები - დოკები, საწყობები, ანძების ტყეები, გაშლილი აფრები. შევყურებ ჩემს წინაპრებს, ჩემს საკუთარ სისხლს - ყმაწვილები გემბანზე გამოშლილან, უფრო მოზრდილები ქანდარაზე არიან, მოხუცები - ხიდზე. ვის დაესიზმრებოდა მაშინ მედისონ-ავენიუ ან კალნაბისთვის ზედმეტი ფოთლების მოცილება! კაცური კაცი ღირსებით ამაყობდა, მოხდენილობით. თავისუფლად სუნთქავდა ადამიანი.

ამას მამაჩემი ამბობს, ქარაფშუტა კაცი. ძველი კაპიტანი კი იგონებს დავლის განაწილებაზე ჩხუბს, ათასგვარ ყალთაბანდობას, რათა მეტი რამე ირგუნონ, ყოველი ფიცრისა და კილსონის ეჭვით შეთვალაიერებას, საჩივრებს, კაცის კვლას... ქალების გამო? დიდებისთვის თუ ისე, უბრალო ხუმტურით? არაფერიც. ფულის გამო. იშვიათად მომხდარა, პირველივე მგზავრობის შემდეგ არ გათიშულიყვნენ ამხანაგები და ამის შემდეგ ბოლო აღარ ჰქონოდა შულსა და მტრობას. ასე რომ, მერე და მერე ამ ჩხუბის თავდაპირველი მიზეზიც კი ავიწყდებოდათ.

ერთი მწარე ამბავი ვერასდიდებით ვერ დაევიწყებინა მოხუც კაპიტან ჰოულის; ვერა და ვერ მიეტევებინა ერთი დანაშაული. რამდენჯერ უამბია ჩემთვის, როცა ძველი ნავსადგურის ნაპირას ვიდექით ან ვისხედით. სულ იქ არ ვიყავით - ისიც და მეც! მახსოვს, როგორ გაიშვერდა ნარვალის ჯოხს.

სამების მეჩემის მესამე შვერილს შეხედე, - მეტყოდა ხოლმე, - ხედავ? იქიდან პორტის კონცხამდე გაავლე ხაზი; იგულისხმე, რომ ზღვის მოქცევაა. გაავლე? ჰოდა, მანდედან ნახევარი კაბელის მანძილზეა... ყოველ შემთხვევაში, მისი კილი.

„ბერ ადერი?“

„ბერ ადერი“.

ჩვენი გემი.

ჰო. საზიარო გემი. ღუზაჩაშვეებული იყო, როცა დაიწვა წყალხაზზე. ვერ დავიჯერებ, შემთხვევით მომხდარიყოს.

მაშ, დაწვეს, სერ?

ნამდვილად.

მერე... მერე მაგას იზამდით თქვენ?

მე ვერ ვიზამდი.

ვინ დაწვა?

არ ვიცი.

მაინც რად უნდა დაეწვათ?

დაზღვევის ამბავია.

მაშინაც ასე იყო?

ასე იყო.

რაიმე განსხვავება ხომ უნდა იყოს?

განსხვავება მხოლოდ ცალკეულ ადამიანშია, მხოლოდ ცალკეულ ადამიანში. მთელი ძალა ცალკე ადამიანია. უმისოდ არაფერი გაკეთდება.

მამაჩემისგან გამიგონია, მას შემდეგ თურმე ხმა არ გაუცია კაპიტან ბეიკერისთვის, მაგრამ იმის შვილი - ბანკირი ბეიკერი - სულაც არ შეუძულებია. როგორც გემისათვის ცეცხლის წამკიდებელი არ ყოფილა, ისევე სხვა ამისთანა უსამართლობასაც ვერ იზამდა პაპაჩემი.

ღმერთო დიდებულო, ახლა შინისკენ უნდა გავეშურო. და მართლაც გავეშურე. თითქმის სირბილით წავედი. მთავარ ქუჩას ისე მივადექი, არაფერზე მიფიქრია. ჯერ კიდევ საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ ზღვის დასალიერთან ნათელი ზოლი გაჩნდა და ტალღებსაც ლითონის მორუხო ფერი გადაეკრა. ომის მემორიალს შემოვუარე და ფოსტას გავცედი.

ერთ-ერთი სახლის შესასვლელში, ვხედავ, დენი ტეილორი დგას. ამას ადრევე ვგრძნობდი. ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია, გაცრეცილი პალტოს საყელო წამოუწევია და ყურებზეც ძველი სანადირო ქუდი ჩამოუფხატავს. სიცივისა და ავადმყოფობისაგან სახეზე მოლურჯო-მორუხო ფერი დასდებია.

ით, - მომამახა, - შენი შეწუხება არ მინდოდა. ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ ტვინის შეჭიკჭიკება მინდა. ძალიან რომ არ მიჭირდეს, ხომ იცი, არ შეგაწუხებდი.

ვიცი. არა, საიდან მეცოდინება, მაგრამ მჯერა, - დოლარიანი ჩავუდე ხელში, გეყოფა?

ტუჩები აუთრთოლდა, ბავშვებს რომ აუთრთოლდებათ ხოლმე ტირილის წინ.

გმადლობ, იოთ, - მითხრა მან, - მეყოფა... მთელ დღეს გამოვიზოგავ... იქნებ ღამითაც მეყოს.

ამის გაფიქრებაზე უფრო გამოცოცხლდა.

დენი... დაანებე თავის ამას. შენ გგონია, დამავიწყდა? შენ ხომ ჩემი ძმა იყავი დენი. ახლაც ძმა ხარ. რასაც კი მეტყვი, უკან არ დავიხევ, ოღონდ როგორმე დაგეხმარო.

გაცრეცილ ლოყებზე სიწითლემ გადაჰკრა. ხელში ფული შეატრიალა - თითქოს უკვე გადაეკრას პირველი ყლუპი ტვინის შესაჭიკჭიკებლად. მერე ცივი და გაბოროტებული თვალები შემომანათა.

ჯერ ერთი, ვის რაში ეკითხება, მე რას ვაკეთებ. მეორეც, შენ თვითონ რისი პატრონი ხარ, ით? რაღა მე და რაღა შენ.

ჯერ მომისმინე, დენი.

რატომ უნდა მოგისმინო? მართალი თუ გინდა, მე შენზე უფრო კარგად ვარ. თავი ქუდში მაქვს. სოფელი არ გაგონდება? ჩვენი ეზო?

სახლს რომ ცეცხლი წაეკიდა? დამალობანას რომ ვთამაშობდით სარდაფში?

კარგად გხსომებია. ის ახლაც ჩემია.

დენი, გაყიდე ის ეზო და ახალი ცხოვრება დაიწყე.

რატომ უნდა გავყიდო. ცოტ-ცოტას ყოველწლიურად აჭრიან ხოლმე გადასახადების დასაფარავად, მაგრამ ის დიდი მდელო ისევ ჩემია.

რატომ არ გინდა გაყიდო?

იმიტომ, რომ ის მიწა მე თვითონ ვარ. დანიელ ტეილორი. სანამ ის მიწა ჩემია, უბატონოდ კაცი ხმას ვერ გამცემს. ვერავითარი ნაბუშარი და ძაღლის გაგდებული ვერ დამაკარებს ხელს. გასაგებია?

მომისმინე, დენი...

არ მოგისმენ, შენ თუ გგონია, ეს ერთი დოლარი ქადაგების უფლებასაც გაძლევს, აჰა! უკანვე წაიღე.

შეინახე.

კარგი, შევინახავ, მაგრამ შენ არც კი გესმის, რას ამბობ. შენ არასოდეს... არასოდეს დამთვრალხარ. მე როდის გასწავლი, ლორის ნაჭერი ასე და ასე შეახვიე-მეთქი? . . ჰა, მისწავლებია ოდესმე? შენს გზას რომ გაუყვებოდე ახლა, მე აგერ ერთი ადგილი მეგულება, ფანჯარაზე დავაკაკუნებ და ტვინის შესაჭიკჭიკებელს მომცემენ. ოღონდ არ დაგავიწყდეს - შენზე კარგად მე ვარ ისევ. ნოქარს მაინც ვერ დამიძახებენ.

შებრუნდა და თავი დაკეტილი კარის წირთხლს მიადო - პატარა ბავშვი რომ მიიბრუნებს პირს და ჰგონია, მთელ ქვეყანას გავერიდებო. სანამ არ მოვშორდი, არც მობრუნებულა.

სასტუმროს წინ, თავის „შევროლეში“ შეყუჟული ქონდარა უილი შეინძრა და მანქანის მინა დაბლა დაუშვა.

დილა მშვიდობისა, - გამომძახა, - ასე ადრიან ადექი თუ დაწოლა დაგიგვიანდა?

ერთიც და მეორეც.

ეტყობა, კაი ნაჭრისთვის ჩაგივლია.

იცოცხლე, უილი, სამოთხეში მოვხვდი.

აბა, აბა, არ დაიწყო, ქუჩის კახპასთან ვიყავიო!

თავს გეფიცები.

ხელად დაგიჯერებ! სანაძლეოს ჩამოვალ, ანკესი გეჭირა ხელში და თევზაობდი. ოჯახი როგორ გყავს?

სძინავს.

მეც სიამოვნებით დავიძინებდი, ცვლას რომ ველირსებოდე.

აღარ ვუთხარი, ამ სიამოვნებას არც აქ იკლებ-მეთქი, ისე გავშორდი.

ფეხაკრეფით შევედი ეზოს კარიდან და სამზარეულოში სინათლე ავანთე. ჩემი ბარათი მაგიდაზევე დამხვდა, ოღონდ მარცხნივ. დავიფიცებ, რომ მე შუაში დავტოვე.

ყავა დავდგი და დავჯექი, ადუღებას დაველოდე. აშიშინდა თუ არა, მერიც შემოვიდა. პატარა გოგოს ჰგავს ჩემი საყვარელი მერი, როცა გაიღვიძებს. ვერაფრით იტყვი, ორი დიდი ბავშვის დედააო. ახალმოთიბული ბალახის სურნელი ასდის. ამაზე სასიამოვნო სუნი, აბა, რა იქნება ქვეყანაზე!

ამ უთენია რამ წამოგახტუნა?

ამ უთენიაო! მთელი ღამე ფეხზე ვარ. თუ არ გჯერა, ეგერ ჩემი კალოშები. ნახე, რა სველია.

სად იყავი?

ზღვის ნაპირას ერთი პატარა გამოქვაბული მაქვს, აბურძგნილო ჭუჭულო. იქ შევძვერი და ღამეს ვაკვირდებოდი.

კარგი ერთი!

ვნახე, როგორ ამოცურდა ვარსკვლავი ზღვიდან, და რაკი ჯერ პატრონი არ გასჩენია, მე დავეპატრონე - ჩვენი ვარსკვლავი იყოს-მეთქი. მერე მოვათვინიერე და საძოვარზე გავუშვი.

ნუ სულელობ. ალბათ, ეს წუთია ადექი და მეც იმიტომ გამეღვიძა.

ჩემი თუ არ გჯერა, ქონდარა უილის ჰკითხე. გზაზე გამოველაპარაკე. დენი ტელიორს ჰკითხე - დოლარიანი ვაჩუქე.

რატომ მერე? წავა და დათვრება.

ვიცი. იმიტომაც მთხოვა ფული. ჩვენი ვარსკვლავი სად დავაძინოთ, საყვარელო ჩადუნა?

რა კარგი სუნი აქვს ყავას, არა? ძალიან მიხარია, რომ ისევ შენებურად აურიე. მტრისას, ცხვირს რომ ჩამოუშვებ. სისულელე იყო იმ სიმდიდრეზე ლაპარაკი. არ გეგონოს, უბედურად ვგრძნობდე თავს.

ფიქრი ნუ გაქვს, კარტი არ შემცდარა!

არ მესმის, რაო?

არ გეხუმრები. მალე გავმდიდრდები.

შენ ვერაფერს გაგიგებს კაცი.

სიმართლის თქმა ყველაფერზე უფრო ძნელია ხოლმე. რა იქნება, ბავშვებს დავერიო, აღდგომის უქმის აღსანიშნავად? პატიოსან სიტყვას გამღლე, ძვლებს არ დავუჩიქვავ.

ჯერ პირიც არ დამიბანია, - თქვა მერიმ, - ვერასდიდებით ვერ მოვედი აზრზე, სამზარეულოში რა ბრაზუნობს-მეთქი.

ის რომ სააბაზანოში შევიდა, მე მაგიდიდან ბარათი ავიღე და ჯიბეში შევიწახე. მაინც ვერ მივმხვდარვარ. ნუთუ არაფერი ვიცით ერთმანეთისა? ვინა ხარ, რა ხარ, მერი? მერი, გესმის? რა ხარ-მეთქი, რას წარმოადგენ?

თავი მეოთხე

ის შაბათი, ეტყობოდა, სხვა დღეებს არ ჰგავდა. ნეტავ ყველა დღეს თუ აქვს დამახასიათებელი თავისებურება. ეს კი მართლაც განსხვავებული იყო. ყურში პაპიდაჩემ დებორას ჩიფჩიფი ჩამესმა „ასეა, მიიცვალა იესო. მარტო დღეს დღეს არის მკვდარი მთელს წელიწადში, სხვა დღეს არა. რაც ქვეყანაზე კაცები და ქალებია, ისინიც მკვდრები არიან დღევანდელ დღეს. იესოს ახლა ჯოჯოხეთში აწამებენ. მაგრამ ხვალაც არ არის შორს. ხვალამდე დაიცადე. ნახავ, რა მოხდება“.

კარგად ველარ მომიგონებია პაპიდა დებორა. ასეა - ვინც მუდამ ცხვირწინ გყოლია, მერე ისე გარკვევით აღარ გახსოვს. როგორც ყოველდღიურ გაზეთს, ისე მიკითხავდა სახარებას და მე მგონი, გაზეთის ამბებივით ახალი და ამაღელვებელი ეჩვენებოდა,

თითქოს განუწყვეტლივ მეორდება ყველაფერი. ყოველ აღდგომა დღეს ქრისტე მართლაც აღდგებოდა ხოლმე მკვდრეთით. ხომ მუდამ ველოდით ამას, მაგრამ მაინც უეცარ აფეთქებასავით ჩანდა. მისთვის ეს ორი ათასი წლის ამბავი როდი იყო - თითქოს ახლა ხდებოდა. და რაღაცნაირად მეც გადმომდის ეს განწყობილება.

არ მახსოვს, ოდესმე დროზე ადრე მომნდომებოდეს დუქნის გაღება. დილა ზოზინა, მომაბეზრებელი დღის დასაწყისია და მუდამ მძულს ხოლმე. მაგრამ იმ დილას გული შინ აღარ დამიდგა. ხომ სულით და გულით მიყვარს ჩემი მერი, იქნებ საკუთარ თავზე უფრო მეტადაც, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ყოველთვის ვერ ვუსმენ გულისყურით. ტანსაცმელზე ლაპარაკს რომ მოჰყვება, ან ჯანმრთელობაზე, ან სხვის ნალაპარაკებს როცა იმეორებს დიდი გატაცებითა და გზნებით, სულაც ვერ ვუსმენ. ზოგჯერ გაცხარებით შესძახებს: „ეს ხომ შენც იცი. მე თვითონ არ გითხარი! ხუთშაბათ დილას გაიმბე. გუშინდელივით მახსოვს“. ნამდვილად ასე იქნება. უსათუოდ მიამბობდა. ზოგიერთ რამეს თავიდან ბოლომდე დაწვრილებით მიამბობს ხოლმე.

იმ დილას არათუ არ ვუსმენდი - სანამ გავეცლებოდი, ერთი სული მქონდა. იქნებ მე თვითონვე მსურდა ლაპარაკი და სათქმელი კი არაფერი მქონდა, რადგან, სიმართლეს ვერ დავუკარგავ, თვითონაც არ მისმენს ხოლმე ჩემი მერი. ზოგჯერ კარგსაც შვრება. ხმაზე მაკვირდება და იმით მატყობს, როგორ ვარ, რა გუნებაზე, დაღლილი ვარ თუ მხიარული. დიდებული გამოგონებაა, რა მეთქმის. ახლა რომ ვაკვირდები, იმიტომ არ უნდა მისმენდეს, რომ მას კი არ ველაპარაკები, ჩემშივე არსებულ ვიღაც იდუმალ მსმენელს მივმართავ. კაცმა რომ თქვას, არც მერი მელაპარაკება. რა თქმა უნდა, სულ სხვაა, როცა ბავშვებს შეეხება ჩვენი საუბარი, ან რამე საჭირბოროტო საქმეს.

ხშირად მიფიქრია, როგორ სულ სხვადასხვანაირად ველაპარაკებით სხვადასხვა ხალხს. მე უმთავრესად იმათ მივმართავ, ვინც ცოცხლებში აღარ ურევია, ჩემს საკუთარ პლიმუთროკს[6], პაპიდა დებორას, ძველ კაპიტანსა და ამისთანებს. ზოგჯერ დიდი დავაც გვაქვს გამართული. მახსოვს, ერთხელ გახურებული დავისა და ჩხუბის დროს ძველ კაპიტანს შევძახე: „არ იქნება, არ გავაკეთო?“ და მანაც გარკვევით მიპასუხა: „არაფრით არ იქნება. ნუ ჩიფჩიფებ!“ განა შემედავა - დავა არასოდეს უყვარდა. ასე უნდა ქნაო, მითხრა, და მეც აღარ მიყოყმანია. არავითარი მისტიკა და იდუმალეა ამაში არ არის: ჩვენ რჩევისათვის მივმართავთ ან პატიებას ვთხოვთ ჩვენივე შინაგანი არსების ყველაზე უფრო ურყევსა და მტკიცე ნაწილს.

გულახდილი მონოლოგისათვის, რაც ასეთი ძიების თავისებური ფორმაა, ჩემი მუნჯი და ყურადღებიანი მსმენელები - კონსერვის ყუთები და ბოთლები - სწორედ რომ ზედგამოჭრილია. ასევე გამოდგებიან ძაღლები, კატები და ჩიტებიც. მე შენ გეტყვი, შემოგედავებიან თუ ენას გააჭარტალებენ.

უკვე მიდიხარ? - მკითხა მერიმ, - ნახევარი საათი კიდევ გაქვს. ასე იცის ადრე ადგომამ.

ყუთები უნდა დავალაგო, სანამ გავაღებდე, საქონელი თაროებზე გამოვაწყო. ათასი რამე უნდა გადავწყვიტო: მწნილები ჰამიდვრის წვენს როგორ მოუხდება. გარგარის კონსერვები ატამისას თუ მოურიგდება. ხომ იცი, კაბაზე ფერების შეხამებას რა მნიშვნელობა აქვს!

ყველაფერი უნდა გაამასხარაო, - მითხრა მერიმ, - მაგრამ მაინც ასე მირჩევნია, ჯუჯლუნს ისევ ეს სჯობს. კაცებმა ჯუჯლუნის მეტი რა იცით.

მართლაც რომ ადრე გამოვედი. წითლა ბეიკერი ჯერაც არ გამოსულიყო. ამ ძაღლის მიხედვით, და საერთოდ ძაღლების მიხედვით, საათი შეგიძლია გაასწორო. ნახევარ საათში გამობრძანდება და მედიდურად დაიწყებს თავის დღიურ მოგზაურობას. არც ჯოი მორფი გამოჩენილა. ბანკი ჯერ არ გაუღიათ, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ჯოი თავის მაგიდას არ უჯდეს და დავთრებს არ ჩაჰკირკიტებდეს. ქალაქი თითქმის დაცარიელებულია. აღდგომის დღეებში ხალხი სულ გაკრეფილა. აღდგომა, ოთხი ივლისი და შრომის დღე ყველაზე დიდ დღესასწაულებად ითვლება. ძალიანაც რომ არ უნდოდეთ წასვლა, ხალხი მაინც გადის ხოლმე ამ დროს ქალაქიდან. მგონი, ბელურებიც კი გაკრეფილან თელის ქუჩიდან.

სტონუოლ ჯეკსონ სმითი უკვე გამოსულიყო სამორიგეოდ. ის იყო „მთავარ ანძაში“ ფინჯანი ყავა დაელია და მე რომ დავინახე, კაფედან გამოდიოდა. ისეთი ჩამომხმარი და კაფანდარა იყო, რომ მისი რევოლვერი და ხელბორკილები უსაშველოდ დიდი მოგეჩვენებოდა. ოფიცრის ქუდი გვერდზე დაუდევრად მოეგდო და კბილებს წამახვილებული ბატის ფრთით იჩიჩქნიდა.

– ბედნიერ დღეს გისურვებ გულით, სტონი, არც საქმე გამოგლეოდეს, არც ფული.

– ჰა, - შესძახა სტონიმ, - კაციშვილი აღარ დარჩა ქალაქში, - ეტყობოდა, გული წყდებოდა, თვითონ რომ ვერ მოახერხა წასვლა.

– მკვლელობა ხომ არ მომხდარა, სტონი, ან სხვა ამისთანა თავშესაქცევი შემთხვევა?

– ყველგან სიწყნარეა, - მითხრა მან, - ვილაც ბიჭებმა ხიდს შეამსხვრიეს მანქანა, მაგრამ ჯანდაბას, თავიანთივე იყო. ხიდის შესაკეთებელს გადაახდევინებენ და მორჩა. გაიგე, ფლადჰემპტონში რომ ბანკი გაუძარცვავთ?

– არა.

– ტელევიზორში მაინც არ ნახე?

– ჯერ არ გვიყიდია ტელევიზორი. ბევრი წაიღეს?

– ცამეტი ათასიო, ასე ამბობენ. გუშინ გაუქურდავთ, ზედ დაკეტვის წინ. სამნი ყოფილან. მთელი ოთხი შტატი ფეხზე დააყენეს. უილი ახლა ქუჩა-ქუჩა დაძრწის თავის ქიციანით.

– არა უშავს, კარგად გამოიძინა.

– მაშ, არა და... მე კი სულ არ მიძინია. მთელი ღამე გარეთ ვიყავი.

– რას იტყვი, დაიჭერენ?

– ოჰ! აბა, რას იზამენ! ფულის გატაცება ვისთვის შეურჩენიათ. სადაზღვევო საზოგადოება რას მოგასვენებს, სულს არ მოგათქმევინებს.

– კარგი საქმე კია, თუ არ დაიჭირეს.

– იცოცხლე! - თქვა მან.

– სტონი, ნეტავ დენი ტეილორისთვის მიგეხედა. სახეზევე ეტყობა, მძიმე ავადმყოფია.

– დროის საქმეა - დიდხანს ვეღარ იცოცხლებს, - თქვა სტონიმ, - ახლავე წავალ. სამარცხვინო ამბავია. მერე რა მშვენიერი ბიჭია, რა ოჯახიშვილი!

– მეც ეგა მკლავს. ძალიან მიყვარს.

– ვერაფერს გააწყობ მასთან. წვიმას აპირებს, ით. უილის ჭირის დღესავით ეჯავრება დასველება.

არ მახსოვს, ოდესმე ასეთი სიამოვნებით ჩამევლოს ხეივანი. უკანა კარი გავაღე და დუქანში შევედი. კართან კატა ჩაცუცქულიყო და მელოდა. ვერ მომიგონებია ისეთი დილა, ეს ჭნავი და მიკნავლებული კატა აქ არ დამხვედროდეს კარში შესადრომად გამზადებული, და ჯერაც არ მომხდარა, ჯოხი არ მესროლოს და არ გამეგდოს. როგორც მახსოვს, ერთხელაც არ მოუხერხებია შეპარვა. ყურები ისე აქვს ჩხუბისგან დაგლეჯილი, რომ ნამდვილად ხვადია. ნუთუ მართლა ასე უცნაური ცხოველები არიან კატები! თუ, მაიმუნებივით რომ არ გვგვანან, ამიტომ გვეჩვენებიან უცნაურები. ბარე ექვსასჯერ თუ რვაასჯერ უცდია ამ კატას დუქანში შეძრომა და ერთხელაც ვერ მოუხერხებია.

– დამაცა, რა ოინი გიყო, - ვუთხარი კატას. კუდი წრედ შემოეხვია და თვითონ შიგ ჩამჯდარიყო, კუდის წვერს კი წინა თათებს შორის აქიციანებდა. ჩაბნელებულ დუქანში შევედი, თაროდან რძის კონსერვი გადმოვიღე, გავხვრიტე და რძე ფინჯანში ჩავასხი. მერე საწყობში გავედი, ფინჯანი იატაკზე დავდგი და კარი ღია დავაგდე. კატამ ჯერ მე მომაშტერა თვალი, მერე რძეს გადახედა, ბოლოს ადგა და დინჯად გაემართა, ბანკის უკანა ეზოს მესერს გადაევილო და გაუჩინარდა.

კატა გაუჩინარდა და იმავე წუთში ხეივნის ბოლოში ჯოი მორფის მოვკარი თვალი, ხელში ბანკის უკანა კარის გასაღები მოემარჯვებინა. ისე იყო გაცრეცილ-გადატეტკილი, გეგონებოდა, მთელი დამე არ უძინია.

– მისტერ ჰოულის გაუმარჯოს.

– მე მეგონა, არ ალებდით დღეს.

– მაგისტანა დღე, ეტყობა, მე არ მეღირსება. სადღაც ოცდათექვსმეტი დოლარი შემშლია. წუხელ შუალამემდე დავთრებს ვქექავდი.

– დანაკლისია?

– არა, ზედმეტი.

– მით უკეთესი.

– სულერთია. უსათუოდ უნდა ვიპოვო.

– ასეთი პატიოსანია ბანკი?

– ბანკი კია პატიოსანი, შენ ზოგიერთი ხალხისა თქვი. მთელი დღესასწაული რომ ჩამშხამდეს, მაინც უნდა ვიპოვო.

– ნეტავ მეც გამეგებოდეს რამე მაგ ფინანსებისა.

– ორი სიტყვით გადმოგცემთ მთელ ჩემს ცოდნას: ფულმა ფული იცის.

– ეგ ჩემთვის ვერაფერი შეღავათია.

– არც ჩემთვის, მაგრამ სხვა რჩევაც შემიძლია მოგცეთ.

– მაინც?

– მაინც ის, რომ მოჩქარეს მოუგვიანდესო; კიდევ ის, რომ ვინც ვაჭრობს, ჭკუაც უნდა იხმაროსო, და ერთიც - ფასი მყიდველზე ჰკიდიაო.

– ეს შემოკლებული კურსია?

– ნამდვილად. მაგრამ პირველი სიბრძნე თუ არ იქნა, არაფერიც არ გამოვა.

– ფულმა ფული იცისო?

– და ესაა, გზას რომ გვიღობავს.

– მეც ავდგები და ვისესხებ.

– ჰო, მაგრამ მაგისტვისაც კრედიტია საჭირო, კრედიტი კი იგივე ფულია.

- ვატყობ, ისევ ისა ჯობს, ჩემს დახლში დავერქო.
- ასე გამოდის. ფლადჰემპტონის ბანკის ამბავი არ გაიგეთ?
- სტონიმ მითხრა. სასაცილო კია - სწორედ გუშინ ვლაპარაკობდით ამაზე. გახსოვს?
- ერთი ნაცნობი მყავს იქ, სამნი ყოფილან - ერთი აქცენტით ლაპარაკობს თურმე, მეორე - კოჭლობს! სამნი ყოფილან. უთუოდ დაიჭერენ. იქნებ ამავე კვირაში. იქნებ ორი კვირაც მოუნდნენ.
- დიდი თავგანწირვა კია.
- რა გითხრათ. უჭკუოდ მოქცეულან. უჭკუო მოქმედებისთვის კი მუდამ ისჯებიან, ეს კანონია.
- გუშინ გაწყენინეთ.
- ნულარ გაიხსენებთ! მე თვითონ ზედმეტი წამოვაყრანტალე. მაგისი კანონიც არსებობს - ენა დაიმოკლეო. ვერ იქნა და ვერ ვისწავლე ეს კანონი. ისე, მშვენივრად ხართ.
- არ ვიცი, რანაირად. მთელი ღამე არ მიძინია.
- ავად გყავთ ვინმე?
- არა. რაღაცნაირი ღამე იყო.
- ნულარ მკითხავ...

დუქანი გამოვგავე და ფარდები ავწიე, არც კი მიმიქცევია ყურადღება, რომ ეს ჩემი საძულველი საქმე იყო. თავში სულ ჯოის კანონები მიტრიალებდა. თაროებზე ჩამწკრივებულ მეგობრებთან მქონდა კამათი და სჯა-ბაასი, იქნებ - ხმამაღლა, იქნებ - ჩუმად. ნამდვილს ვერ გეტყვით.

ძვირფასო ამხანაგებო, - მივმართე მე, - ასე ადვილი თუა ეს, რატომ ყველა ვერ ახერხებს? რატომ არის, რომ თითქმის ყველას ერთი და იგივე შეცდომა მოსდის? სულ ერთი და იგივე. ნუთუ მუდამ ავიწყდებათ რაღაც? იქნებ სულ სიკეთის ბრალი იყოს ყველაფერი, ადამიანური სიკეთე იყოს ყველაფრის მიზეზი. მარულოს დაუჟინია, ფულს გული არა აქვსო. იქნებ სწორედ ეს იყოს მიზეზი, რომ იმ ხალხის სუსტ მხარეს, რომელსაც ფულთან აქვს საქმე, სიკეთე წარმოადგენს. მაშ, ეს როგორაა, რომ უბრალო და კეთილ ადამიანებს ომში ხალხს ახოცვინებენ? ის კი შველის ცოტათი საქმეს, მტერი თუ სხვანაირია და სხვა ენაზეც ლაპარაკობს. მაგრამ სამოქალაქო ომზე რაღას იტყვით? ვთქვათ, იანკები თოთო ბავშვებს ჭამდნენ და აჯანყებულებმაც შიმშილით დახოცეს ტყვეები. ესეც ერთგვარად აიოლებს საქმეს. დამაცადეთ, თქვენც ახლავე მოგხედავთ, ჭარხლის კონსერვებო და სოკოს მწნილებო.

ვიცი, რომ თქვენც გაინტერესებთ თქვენი ამბის მოსმენა. ან ვის არ აინტერესებს. მეც თითქმის მაგ საკითხს მივადექი, ოღონდ ფრჩხილებში. თუ სულიერი სამყაროც იმავე კანონებს ემორჩილება, რასაც ნივთთა სამყარო, მაშინ ყველაფერი შედარებითი ყოფილა ამ შედარებით წუთისოფელში - ზნეობაც, ყოფაქცევაცა და ცოდვა-მადლიც. ასე უნდა იყოს. ამას ვერავინ დააღწევს თავს, თუნდაც ფრჩხილებში ვიგულისხმოთ.

თქვენ რაღა გნებავთ, მიკი მაუსის ნიღაბგამოსახულო კორნფლექსის კოლოფო, თქვენს ეტიკეტში, ათ ცენტსაც თუ დაამატებს კაცი, მუცლითმეზღაპრის აპარატს რომ მიიღებს. მე თქვენ შინ უნდა წაგაბრძანოთ, მანამდე კი მანდვე ისხედით და მისმინეთ. რაც მე მერის ხუმრობით ვუთხარი, წმინდა წყლის სიმართლეა. ჩემი წინაპრებიც - ეს დიდად პატივცემული გემთმფლობელები და კაპიტნები - მთავრობისავე ლოცვა-კურთხევით სავაჭრო ხომალდებს იტაცებდნენ რევოლუციის დროს და მას შემდეგაც, 1812 წელს. ეს დიდ სათნოებად და პატრიოტობად ჩათვალათ. მაგრამ ინგლისელებისთვის ისინი მეკობრეები იყვნენ და წართმეულის უკან დაბრუნება აღარ იცოდნენ. ასე დაგროვდა ჩვენი საგვარეულო დოვლათი, რაც შემდეგ მამაჩემმა გაანიავა. აი, საიდან გაჩნდა ის ფული, რამაც ფული იცისო. უნდა ვიამაყოთ კიდევ ამით.

ტომატის კონსერვების ყუთი გამოვიტანე, გავხსენი და კოხტა ქილები დაცარიელებულ თაროზე ჩამოვამწკრივე.

იქნებ არც კი გესმოდეთ ეს, რადგან თქვენ აქ უცხოელებივით ხართ. ფულს განა მარტო გული აკლია - პატიოსნებაც არა აქვს, არც მახსოვრობა. მაგრამ დიდხანს თუ გაიჩერებ ფულს, პატივისცემა თავისთავად მოდის. არ გეგონოთ, ფულს ვკიცხავდე. პირიქით, თაყვანს ვცემ. ბატონებო, ნება მიბოძეთ ჩვენი საზოგადოების ახალშემომატებული წევრები წარმოგიდგინოთ. აგერ, გვერდით მოვათავსებ, კეტჩუპებო. თქვენ იცით, რა მასპინძლობას გაუწევთ ამ სასენდვიჩე მწნილის კონსერვებს. ნიუ-იორკელები ბრძანდებიან. იქ იშვნენ, იქ გაიზარდნენ და იქვე დაამწნილეს. აგერ, ფულზე მქონდა სჯა-ბაასი ჩემს მეგობრებთან. შემიძლია ერთი საუკეთესო გვართაგანი გაგახსენოთ. ო, არ შეიძლება, არ იცოდეთ! მთელმა ქვეყანამ იცის. ეს ხალხი საქონლის ხორციტ ამარაგებდა ინგლისელებს მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანას ინგლისთან ჰქონდა ომი. ამით გამდიდრდნენ. მას შემდეგ ის ფულიც დიდად პატივცემული გახდა და თვითონ ხალხიც. ახლა მეორე დინასტიაც გავიხსენოთ, მათ შორის ყველაზე მსხვილი ბანკირები. ამ დინასტიის დამფუძნებელმა სამასი თოფი იყიდა არმიისაგან. უვარგისი და სახიფათო იარაღი იყო და იმიტომაც ჩალის ფასად მიჰყიდეს. მგონი, თითო ორმოცდაათ ცენტად. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ გენერალმა ფრემონმა გმირული ლაშქრობა დაიწყო დასავლეთისკენ და ამ კაცისგან თითო თოფი, ისე, რომ თვალთ არ უნახავს, ოც-ოც დოლარად შეიძინა. აღარავის უკითხავს, როგორ აუფეთქდათ ის თოფები ჯარისკაცებს ხელში. სწორედ ამას ჰქვია, ფულმა ფული იცისო. სულერთია, როგორ იშოვი ფულს. მთავარია, ჯერ იშოვო და მერე უფრო მეტი და მეტი გააკეთებინო. ცინიზმში ნუ ჩამომართმევთ. ჩვენი ბატონი და პატრონი, უძველესი რომაული

გვარის მემკვიდრე მარულო, მართალს ამბობს. ფულზე რომ მიდგება საქმე, ზნეობის ჩვეულებრივი წესები შვებულებაში მიემგზავრებიან ხოლმე. რაღა კონსერვებს გელაპარაკებით? ალბათ, იმიტომ, რომ თქვენ დარბაისელი ხალხი ხართ. ზედმეტი არაფერი წამოგცდებათ, არ ჭორიკნობთ. ფული მხოლოდ იმისთვისაა მოსაწყენი და ბინძური საგანი, ვისაც აქვს. ღარიბებისათვის ამაზე მომხიბლავი რა უნდა იყოს! მაგრამ, ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, ვინც ცხოველ ინტერესს გამოიჩენს ფულის მიმართ, ცოტათი მაინც უნდა იცოდეს მისი ბუნება, ხასიათი და თვისებები. ფული თვითმიზნურად ძალიან ცოტა ვინმეს თუ ეყვარება - ან ნამდვილი ხელოვანი უნდა იყოს მაშინ კაცი ამ საქმისა, ან ძუნწი. ხოლო ამისთანა ძუნწები, მარტო შიშის გამო რომ ძუნწობენ, კინწისკვრით უნდა გააგდო.

იატაკზე, ამასობაში, ცარიელი კოლოფების მთელი გროვა დახვავდა. საწყობში გავიტანე - მერე მივუბრუნდები, კიდევს შემოვუსწორებ და გამოვიყენებ, მყიდველს სანოვაგეს ჩავუწყობ შიგ. მარულოს სულ პირზე აკერია - „პარკებს გაუფრთხილდი, ბიჭუნო“.

კიდევ ეს „ბიჭუნო“. თუმცა უკვე აღარ მომდის გული. მინდა, რომ დამიძახოს, თუნდაც გულშიაც ასე იფიქროს. სანამ კოლოფების დალაგებაში ვიყავი გართული, წინა კარზე ვიღაცამ მაგრად დააბრაზუნა. ჩემს დიდ, ძველ ვერცხლის ქრონომეტრს დავხედე და მერწმუნეთ, პირველად ჩემს სიცოცხლეში მაღაზიის გაღება დავაგვიანე - ცხრას გადავაშორე. ათის თხუთმეტი იყო. კონსერვებთან საუბარმა შემიქცია. კარის სარკმელში მარჯი იანგ-ჰანტი შევნიშნე. არასდროს დიდი ყურადღება არ მიმიქცევია მისთვის, ხეირიანად არც კი შემიხედავს. ალბათ, ამიტომაც მოიგონა მკითხაობა, უფრო რომ დავეინტერესებინე. ასე ხელად არ უნდა შევიცვალო.

– კარი გავალე.

– ვაითუ შეგაწუხეთ.

– ისედაც დავაგვიანე.

– მართლა?

– რა თქმა უდა. ათი დაიწყო.

დექანში შემოეხეტა. კოხტად გამოპუსკული უკანალი ყოველი ფეხის გადადგმაზე უხტოდა - ერთი აღმა, ერთი დაღმა, აღმა-დაღმა. მკერდი ისე ჰქონდა ამოზვინული, რომ სხვებისთვის საჩვენებლად ზედმეტი თავის გამოღება არ სჭირდებოდა. ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა. მარჯისთანა ქალზე იცის ხოლმე ჯოი-ბოიმ თქმა, „ჩასაკვნეტიაო“. იქნებ ჩემი ბიჭი ალენიც ასე ამბობს. კაცმა რომ თქვას, ხეირიანად ახლა შევხედე პირველად. სახის ნაკვთები - სწორი, ცხვირი - მოგრძო, ტუჩებზე ისე წაუცხია პომადა, რომ უფრო სავსე უჩანს, განსაკუთრებით ქვედა. თმა მოწაბლისფრო-ყავისფრად შეუღებავს. ასეთი ფერის თმა არ არსებობს, მაგრამ

ლამაზი კია. ნიკაპი ნაზი ჰქონდა, თუმცა ღრმულიანი, სახის კუნთები - მკვრივი, ყვრიმალეები - ფართო. თვალებისთვის მეტი ყურადღება არ დაუთმია მარჯის: მოთხილისფრო-მოცისფრო-მორუხო იერი დაჰკრავდა და სინათლეზე იცვლებოდა. ისეთი სახე ჰქონდა, რაც ყველაფერს აიტანს და აუტანია კიდეც, ძალმომრეობასაც კი, სილის გაწვნასაც. თვალეები აქეთ-იქით გაურბოდა: ჯერ მე შემომანათა, მერე კონსერვებს გადახედა, მერე - ისევ მე. შევატყვე, დაკვირვებული თვალეები ჰქონდა და კარგადაც იმახსოვრებდა ნანახს.

– იმედი მაქვს, გუშინდელ საქმეზე არ შეწუხებულხართ.

გაეცინა.

– ოჰ... არა, ყოველდღე კომივოიაჟორებს ხომ არ მოგიყვანთ. ამჯერად მართლაც გამომელია ყავა.

– ასე მოსდის უმეტესობას.

– როგორ?

– პირველი ათი მყიდველი დილით უსათუოდ ყავისთვის მოდის.

– მართლა?

– ნამდვილად. ისე კომივოიაჟორისათვის მაღლობელი ვარ.

– თვითონვე მოიფიქრა.

– თქვენ შთააგონეთ. რომელი ყავა გნებავთ?

– სულერთია, რომელიც არ უნდა მოვხარშო, მაინც საძაგლობა გამომდის.

– იქნებ ზომაზე არა ყრით.

– როგორ არა, მაგრამ მაინც საძაგელი გამომდის. ყავა სულაც არ... ჩემი საქმე არ არის-მეთქი, მინდოდა მეთქვა.

– აკი თქვით კიდეც... აბა, ეს ნარევიც სცადეთ, - თაროზე ქილას მივწვდი და როცა მარჯიმ გამოსართმევად გამომიწოდა ხელი, ამ უმნიშვნელო მოძრაობაზეც კი მთელი სხეული აუთრთოლდა, აუძგერდა, კარგად შემომხედო, განაცხადა. აქა ვართო - ფეხებმა თქვეს, ჩვენცო - თედობმა განაცხადეს, მე რითი მჯობიხართო - მომრგვალებულმა მუცელმა თქვა. ყველაფერი უცხო იყო, თითქოს პირველად ვნახე. სუნთქვა შემეკრა. მერიმ იცის თქმა, ქალებს თავისი სიგნალები აქვთ, როცა დასჭირდებათ, გაუშვებენო. თუ მართლა ასეა, სიგნალიზაციის მთელი სისტემა ჰქონია მარჯის - ლაკის ფეხსაცმლის ჰვინტიდან მოკიდებული, წაბლისფერი თმის ფაფუკი კულულებით გათავებული.

- დარდი, როგორც ვატყობ, გადაგყრიათ.
 - მართლაც, რა ცუდ გუნებაზე ვიყავი გუშინ. კაცმა არ იცის, საიდან გამოტყვერება ხოლმე.
 - მაგას ვინ გაიგებს! ზოგჯერ ისე უმიზეზოდ მომეწურება გული.
 - მკითხაობა კი კარგად გამოგდით.
 - გაწყენინეთ?
 - არა. ისე, მაინტერესებს კი, როგორ აკეთებთ.
 - თქვენ ხომ არ გჯერათ ამისთანა რამეების.
 - მერე რა. ზოგიერთ რამეს პირდაპირ საოცრად მიმიხვდით, რასაც მე თვითონ ვფიქრობდი და ვაკეთებდი...
 - მაინც რას?
 - იმას, რომ დროა, ზოგი რამე შეიცვალოს.
 - თქვენ გგონიათ, კარტი განგებ ასე დავალაგე?
 - მაგას რა მნიშვნელობა აქვს. თუნდაც დაგელაგებინოთ, რამ გაიძულათ? თქვენც ამას ფიქრობდით?
- თვალეში ჩამაშტერდა, გამომცდელად, ეჭვით, გაკვირვებით.
- ჰო, - რბილად თქვა მან, - არა-მეთქი, მინდოდა მეთქვა. ჩემს დღეში არ მიფიქრია, რატომ უნდა დამელაგებინა? რის გულისთვის?
- კარში მისტერ ბეიკერმა შემოიხედა.
- დილა მშვიდობისა, მარჯი, - თქვა მან, - მე რომ გითხარით, იმაზე იფიქრეთ, ითენ?
 - როგორც არა, ვაპირებდი კიდევ მოსალაპარაკებლად მოსვლას.
 - როცა გენებოთ, ითენ.
 - სამუშაო დღეებში ვერ მოვახერხებ. მარულო იშვიათად თუ შემოიხედავს, თქვენც ხომ იცით. ხვალ შინ იქნებით?
 - წირვის შემდეგ. ეს მწამს! ოთხისთვის მოდით და მერიც წამოიყვანეთ, სანამ ქალები სააღდგომო ქუდებზე ლაპარაკს მორჩებოდნენ, ჩვენც გავილალებით და ჩვენს საქმეს...
 - ათასი რამე მაქვს საკითხავი. ჯობს, წინასწარ ჩამოვწერო.

– რაც კი მეცოდინება, არ დაგზარდებით; მაშ, ხვალამდე, მშვიდობით, მარჯი.

ის რომ გავიდა, მარჯი მომიბრუნდა.

– როგორც ვატყობ, დროს არ კარგავთ.

– იქნებ ბედს ვემორჩილები. იცით, რა ვქნათ, კიდევ გაშალეთ კარტი, ოღონდ თვალდახუჭულმა, ისე, რომ, არ შეხედოთ... და ვნახოთ, გუშინდელს თუ დაემთხვევა.

– არა! - შესძახა მან, - როგორ იქნება... მამასხარავებთ თუ მართლა დაინტერესდით?

– მე თუ მკითხავთ, რწმენას მნიშვნელობა არა აქვს, მე არაფერი მწამს, მაგალითად, ზეგრძნობიერი აღქმისა; არც ელვა მწამს, არც წყალბადის ბომბი, თვით ია და თევზის ქარავანიც კი არ მწამს... მაგრამ ხომ ნამდვილად არსებობენ. მე მოჩვენებებიც არ მწამს, მაგრამ ჩემი თვალთ მინახავს.

– ხუმრობთ.

– არა.

– თითქოს სულ სხვა ვინმე გახდით. მართალია. ალბათ, ყველას ასე მოსდის ზოგჯერ.

– რატომ მერე, ით?

– არ ვიცი. იქნებ ნოქრობა მომწყინდა.

– დროც არის.

– მართლა მოგწონთ მერი?

– რა თქმა უნდა. რატომ მეკითხებით?

– თითქოს სულ სხვა... ერთი სიტყვით, არაფრით არ ჰგავხართ ერთმანეთს.

– ვიცი, რასაც გულისხმობთ, მაგრამ მე მომწონს მერი. მიყვარს.

– მეც მიყვარს

– ზოგს ბედი სწყალობს.

– მე, მაგალითად.

– მე კიდევ მერიზე გეუბნებით. წავალ ბარემ, ჩემს სამაგელ ყავას მოვხარშავ. კარტზე კიდევ ვიფიქრებ.

– ნულარ გადადებთ. ჯობს, სანამ გაცივდებოდეს.

მარჯი ფეხსაცმლის ბაკუნით გავიდა, გამობზევილი უკანალი ისე უხტოდა, თითქოს რეზინისააო. თითქოს აქამდე არ მენახა. ალბათ, რამდენი ვინმე იქნება - მთელი დღე და მოსწრება შევეყურებ და ვერ ვხედავ. ამისი გაფიქრებაც კი დაგაფრთხობს. ისევ ფრჩხილებში ვიგულისხმობ. ორი კაცი რომ ხვდება ერთმანეთს, თითოეული, თავის წარმოდგენაში, რაღაცით ცვლის მეორეს, ასე რომ, თქვენ წინ ორი სავსებით უცნობი ადამიანი დგას. იქნებ იმის ნიშანი იყო ეს... ეჰ, რას გაუგებ. მეც კარგ ჭკუაზე ვარ - ამისთანა რამეებზე ღამე უნდა იფიქრო, როცა არ გეძინება. დროზე გაღება რომ დამავიწყდა, ამან ოდნავ შემაშინა. ეს იგივეა, მკვლელობის ადგილას რომ ცხვირსახოცი დაგრჩეს, ან სათვალე, ჩიკაგოს საქმისა არ იყოს. ეს რაღას უნდა ნიშნავდეს? რა დანაშაულია? რა მკვლელობაა?

შუადღე რომ მოვიდა, ოთხი სენდვიჩი მოვამზადე - ყველით, ლორით, სალათითა და მაიონეზით. ლორი და ყველი, ლორი და ყველი სამჯერ დღეში, ვინც ცოლს შეირთავს, იცხოვროს ტყეში. ორი სენდვიჩი და ერთი ბოთლი კოკა-კოლა წავიღე და ჯოი-ბოის შევუტანე ბანკში, უკანა კარიდან.

- მიაგენით იმ შეცდომას?
- ჯერ არა. ისე გაფაციცებით ჩავშტერებივარ, ღამის თვალეები დამეთხაროს.
- თქვენც ორშაბათისთვის გადაგედოთ.
- არ იქნება. ბანკს სიზუსტე უყვარს.
- ზოგჯერ სულ რომ არ ფიქრობ რამეზე, სწორედ მაშინ მოგაგონდება.
- ასეა. სენდვიჩებისთვის მაღლობა.

სენდვიჩს ჩახედა. სალათა და მაიონეზი თუაო, შეამოწმა.

შაბათს, აღდგომის წინადღეს, საბაყლო მაღაზიაში მუშაობა, ჩემი უავგუსტესი და უმეცარი ვაჟიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „წასული საქმეა“. მაგრამ ორი ისეთი რამ მოხდა, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სადღაც ღრმად ჩემს არსებაში დიდი ცვლილება ხდებოდა. საქმე ის არის, რომ არც გუშინ, არც გუშინწინ თუ კიდევ უფრო იქით, ისეთ რამეს არ ვიზამდი, რაც ახლა ვქენი. წარმოიდგინეთ, თითქოს შპალერებს ათვალიერებ. უცებ ერთი რგოლი გახსენი და სულ ახალი მოხატულობა იხილე.

ჯერ იყო და, მარულო შემოვიდა. ტანჯავდა პირდაპირ თავისი ართრიტი. კაი შტანგისტივით ათამაშებდა იდაყვებს ზევით-ქვევით.

- როგორაა საქმე?
- მძიმედ მიდის, ალფიო, - უწინ ერთხელაც არ დამიძახია სახელი.
- ქალაქში კაციშვილი აღარ დარჩა...

- მირჩვენია, „ბიჭუნი“ დამიძახოთ.
 - გწყინდა, მეგონა.
 - პირიქით, ძალიან მიყვარს, ალფიო.
 - სულ გაკრეფილია ხალხი, - ეტყობოდა, ისე ეწვოდა ბეჭები, თითქოს სახსრებში ცხელი სილა ჩაეყაროთ.
 - სიცილიიდან როდის ჩამოხვედით?
 - დიდი ხანია. ორმოცდაშვიდი წლის წინ.
 - და ერთხელაც არ ჩასულხართ მერე?
 - არა.
 - რატომ არ ჩახვალთ სტუმრად?
 - რაღას ჩავალ! ყველაფერი შეიცვალა.
 - მერე არ გაინტერესებთ?
 - არც ისე.
 - ნათესავთაგან აღარავინ დაგრჩათ?
 - როგორ არა - ძმა, ძმისშვილები. იმათაც გასჩენიათ შვილები.
 - როგორ არ მოგენატრათ?!
- ისე შემომხედა, როგორც მე შევხედე მარჯის - ალბათ, პირველად დამინახა.
- რა მოგივიდა, ბიჭუნი?
 - მაგ თქვენს ართრიტს რომ ვუყურებ, გული მეწურება. წარმომიდგენია, როგორ თბილა სიცილიაში. იქნებ დაგიამოთ.
- დაეჭვებით შემომხედა.
- რა დაგესიზმრა?
 - რა იყო?
 - სულ სხვაგვარი მეჩვენები.
 - ჰოო! კარგი ამბავი გავიგე.
 - ჩემგან წასვლას ხომ არ აპირებ?

- ჯერ არა. იტალიისკენ გამგზავრებას თუ გადაწყვეტთ, დაგელოდები.
 - მაინც რა გაიგე?
 - ჯერ ვერ გეტყვით. სხვანაირი საქმეა, - ხელით ჰაერი მოვხაზე.
 - ფული?
 - შეიძლება ფულიც იყოს. ამდენი სიმდიდრის პატრონი ხართ, რატომ არ გინდათ, სიცილიაში ჩახვიდეთ და ხალხს აჩვენოთ - მდიდარი ამერიკელი როგორია? ცოტათი ძვლებიც გაგითბებოდათ. მაღაზიას მე მივხედავ. ხომ მენდობით?
 - მაშ, არ მიდიხარ ჩემგან?
 - სად ჯანდაბაში უნდა წავიდე. იმდენად კი უნდა მიცნობდეთ, რომ ჩემში ეჭვი არ შეგეპაროთ. მე მაგის კაცი არა ვარ.
 - სულ სხვა გახდი, ბიჭუნი. რა მოგივიდა?
 - აკი გითხარით. წადით, ბამბინოებს გადახედეთ.
 - მე იმათ აღარ ვეკუთვნი, - მითხრა მან, - მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ სულში რაღაც ჩავაწვეთე, რაღაც მნიშვნელოვანი. დარწმუნებული ვარ, შუალამისას მოვა და სულ გადაქექავს დავთრებს. ეჭვიანი ნაბიჭვრები!
 - გასვლა ვერც კი მოასწრო, რომ გუშინდელისა არ იყოს, ბ. ბ. დ. და დ.-ს აგენტი შემოვიდა.
 - საქმეზე კი არ გეგონოთ, - მითხრა მან, - ორშაბათამდე უნდა წავიდე მონტოკს, და ვიფიქრე - შევივლი, მოვინახულებ-მეთქი.
 - კიდევ კარგი, მოხვედით, - მივუგე მე, - ეს უნდა გადმომეცა.
- საფულე გავუწოდე, ოცდოლარიანი გარეთ იყო გამოჩრილი.
- ეს ისე მოგართვით. აკი გეუბნებით, საქმეზე არ მოვსულვარ-მეთქი.
 - გამომართვით!
 - რა მოხდა?
 - ჩვენში ამას ხელშეკრულების დადებას ეძახიან, - რა მოგივიდათ, გეწყინათ?
 - სულაც არა.
 - მაშ, რა მოხდა?
 - გამომართვით! ჯერ საქმე არ გაგვირიგებია.

– იესო მაცხოვარო... ნუთუ ვეილანდსმა შემოგაძლიათ მეტი?

– არა.

– მაშ, ვინ ჯანდაბამ?

ოცდოლარიანი გულის ჯიბეში ჩავჩარე, ამოშვერილ ცხვირსახოცს უკან, – საფულეს კი ვიტოვებ, - ვუთხარი მე, - კარგი რამე ჩანს, – მეტს ვერ შეგპირდებით, უფროსებთან შეუთანხმებლად. სამშაბათამდე მაინც დამაცადეთ. დაგირეკავთ. ჰიუ ლაპარაკობსო, რომ გაიგონებთ, იცოდეთ, მე ვიქნები.

– რეკეთ, რამდენიც გენებოთ, თქვენი ფული იხარჯება.

– ხომ დამიცდით, ჰა?

– დავიცდი, - ვუთხარი მე, - თევზაობა არ გიყვართ?

– ქალებთან ერთად კი. იმ თქვენი მარჯის წაყვანა ვცადე. ჩასაკვნეტია, პირდაპირ. არ ქნა, თავი კინალამ წამაცალა. ქალებს რას გაუგებ, – რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო გაუკუღმართდნენ.

– ისე კარგად თქვით, რომ კიდევ შეგიძლიათ გაიმეოროთ, - მითხრა მან. თხუთმეტი წელიწადი იქნება, ამნაირი გამოთქმა არ გამიგონია. შეწუხებული ჩანდა, - ნუ აჩქარდებით, მანამ დაგირეკავთ, - თქვა მან, - იესო მაცხოვარო, მე მეგონა, გამოუცდელ პროვინციელ ბიჭს გადავეყარე-მეთქი.

– ჩემს პატრონს ვერ გავყიდი.

– სისულელეა. ფულის მომატება გინდათ და ეგ არის.

– თუ მართალი გნებავთ, მე ქრთამზე ვთქვი უარი.

აჰა, თუ არ შევიცვალე! ამ ვაჟბატონმა უკვე პატივისცემით დამიწყო ცქერა და ეს მომეწონა. მომეწონა კი არა და, უფრო მეტიც. ამ არამზადამ იფიქრა, ეგეც ჩემნაირი ყოფილა, ოღონდ ცოტა უფრო გაქნილიო.

დუქნის დაკეტვა რომ დავაპირე, მერიმ დამირეკა.

– ითენ, - მითხრა, - ოღონდ არ გაცოფდე...

– რა იყო, ჩემო ყვავილო?

– ხომ იცი, მარტოხელა ქალია და ვიფიქრე... მარჯი დავპატიყე სადილად.

– მერე რა მოხდა.

– არ გაცოფდი?

- რა ჯანდაბა მოგივიდა?
- ნუ ილანძლები. ხვალ აღდგომაა.
- კარგი გამახსენე. ხვალ ოთხ საათზე ბეიკერებს უნდა ვესტუმროთ და საგარეო ტანსაცმელი მოამზადე.
- სახლში უნდა ვეწვიოთ?
- ჰო, ჩაიზე.
- ჩემი სააღდგომო კოსტიუმით წამოვალ
- კარგი, ჩემო ჩადუნა.
- მარჯის დაპატიჟებისათვის ხომ არ მიზრახდები?
- მიყვარხარ, - ვუთხარი მე პასუხად. მიყვარს კიდევ. ნამდვილად მიყვარს. და მახსოვს, მაშინვე ის გავიფიქრე - რა გაიძვერა შეიძლება გახდეს კაცი.

თავი მეხუთე

ავიარე თელის ქუჩა, ღორღით მოკირწყლულ ბილიკზე შევუხვით, შევდექი და ძველ სახლს გავხედე. სულ სხვაგვარი მომეჩვენა. ვგრძნობდი, რომ ჩემი იყო. არა მერის, არა მამაჩემის, არც კაპიტნის, არამედ ჩემი. შემემლო გამეყიდა, გინდა ცეცხლი წამეკიდებინა ან ისევ ისე დამეტოვებინა.

ორი საფეხურის ავლა ძლივს მოვასწარი უკანა კიბეზე, რომ კარი გაიღო და ალენი გამოვარდა ყვირილით.

– პიკსი რა იქნა? პიკსი არ მომიტანე?

– არა, - ვუთხარი მე, მაგრამ საკვირველი ამბავი მოხდა - გულდაწყვეტიდა და გამწარებით კი არ უკვილია. არც დედამისი მოუხმია მოწმედ, ხომ ნამდვილად შემპირდაო. ერთი ამოიძახა „ოჰ“, და წყნარად გაბრუნდა.

– სადამო მშვიდობისა, - მივამახე მის ზურგს. შეჩერდა და ისე გაიმეორა „სადამო მშვიდობისაო“, თითქოს ახლახან შესწავლილი უცხო სიტყვები წარმოეთქვას.

მერი სამზარეულოში გამოვიდა.

- თმა შეგიკრეჭია, - მითხრა მან. თუ რამე ცვლილება შემატყო, ან ავადმყოფობას უნდა დააბრალოს, ან თმის შეკრეჭას.
- არა, ჩემო კიკინა, არ შემიკრეჭია.
- მე კიდევ შამფურივით ვტრიალებდი, რომ ყველაფერი მომესწრო.
- მომესწროო?
- აკი გითხარი, სადილად მარჯი გვესტუმრება-მეთქი, – ვიცი, მაგრამ ამდენი ფაცხაფუცხი რა ამბავია!
- მთელი საუკუნეა, კაციშვილი არ გვწვევია სადილზე.
- მართალი ხარ, ნამდვილად ასეა.
- შავ კოსტიუმს ჩაიცვამ?
- არა, ნაცრისფერს, ძველ დობინს.
- შავს რატომ არა?
- დაიჭმუჭნება, ხვალ ეკლესიაში ვარ წასასვლელი.
- დილით დაგიუთოვებ.
- ძველი დობინი მირჩევნია. მთელ ოლქში ერთსაც არ ექნება ასეთი მშვენიერი კოსტიუმი.
- ბავშვებო, - გასძახა მერიმ, - ხელი არაფერს ახლოთ! კარგი სერვიზი გამოვალაგე. მაშ, შავს არ ჩაიცვამ?
- არა.
- მარჯი სულ მორთულ-მოკაზმული მოვა.
- მარჯის ძალიან მოსწონს ჩემი ძველი დობინი.
- რა იცი?
- თვითონვე უთქვამს.
- თვითონ რას გეტყოდა!
- გაზეთებშიაც კი დაბეჭდა ეს ცნობა.
- ჭკვიანად იყავი. ხომ ალერსიანად მოექცევი?
- უნდა შევიყვარო.

– მე მეგონა, შავს ჩაიცვამდი... მარჯის ხათრით.

– იცი, რა გითხრა, ჩემო ყვავილო, სახლში რომ შემოვედი, ფეხებზე მეკიდა, რას ჩავიცვამდი. ამ ორ წუთში კი ისე გამიხადე საქმე, ძველი დობინის გარდა აღარაფერი მინდა.

– ჯიბრზე?

– აბა, რა გეგონა.

– ოჰ! - სწორედ ისე წამოიძახა, ალენმა რომ იცის.

– სადილად რა გვაქვს? ბარემ ყელსახვევსაც კერძის ფერს შევუხამებ.

– შემწვარი წიწილები. სუნზე ვერ ატყობ?

– ვატყობ, როგორ არა. მერი, იცი რა... - მაგრამ აღარ დავამთავრე. რა საჭიროა? ეროვნულ ინსტიქტს ვერ გასრეს. „ქათმების საბაზრო დღეს“ მოუხიბლავს. მარულოზე უფრო იაფად ყიდიან. რამდენჯერ ამიხსნია მერისთვის ამ ბაზრობის მთელი საიდუმლო: შეგიტყუებენ ბაზარში შეღავათიანი ფასებით და იქ კი ათას იმისთანა რამეს იყიდი, რასაც არავითარი შეღავათი არა აქვს, მაგრამ თვალში გეჩხირება და ყიდულობ. ყველამ იცის ეს, მაგრამ მაინც აკეთებენ.

მერისთვის გამიზნული ჩემი ლექცია ძირშივე გახმა. ახალი ითენ ალენ ჰოული ფეხდაფეხ მიჰყვება ეროვნულ გატაცებებს და რამდენადაც მოსახერხებელია, თავის სასარგებლოდ იყენებს.

– ორგულობას მაინც ვერ დამწამებ, - მითხრა მერიმ.

– ჩემო საყვარელო, ქათმების ყიდვაში ან რა სათნოება უნდა გამოამყლავნოს კაცმა და ან რა ცოდვა?

– ჩალის ფასად ჰყიდდნენ.

– ბრძნულად მოქცეულხარ - მომჭირნეობა გამოგიჩენია.

– ნუ ლაზღანდარობ.

ალენი საწოლ ოთახში მელოდა.

– შენი „ტაძრელთა“ ხმალი მინდა ვნახო. შეიძლება?

– როგორ არ შეიძლება. კარადის კუთხეშია.

მშვენივრად იცოდა, სადაც იყო. სანამ მე ტანსაცმელს გავიხდიდი, ხმალი ტყავის ქარქაშიდან ამოაძრო, პრიალა ლითონი სინათლეზე ააელვარა და სარკის წინ გაიჭიმა.

– თხზულების საქმე როგორ მიდის?

– ჰა?

– შენ, ალბათ, „ბატონო“ გინდოდა გეთქვა.

– ბატონო?

– თხზულების საქმე როგორ არის-მეთქი?

– დიდებულად.

– ამზადებ?

– მაშ.

– რაო?

– დიახ, ბატონო.

– ქუდიც ნახე, თუ გინდა, ტყავის დიდ კოლოფშია, თაროზე. ფრთა, ცოტა არ იყოს შეჰყვითლება.

საბაზანოში შევედი და ლომისთათებიან დიდ ძველებურ აბაზანაში ჩავწევი. იმხელა აბაზანებს აკეთებდნენ ძველად, შიგ არხინად გაიჭიმებოდი. ქისით ლაზათიანად ჩამოვირეცხე მარულოს დუქანიც და მთელი დღის გაწამაწიაც, მერე კი აბაზანაშივე გავიპარსე, უსარკოდ, წვერს თითებით ვსინჯავდი. ყველა დამეთანხმება, რომ ამაში არის რაღაც რომაული და დეკადენტური. თმა სარკეში დავივარცხნე. რამდენი ხანია ჩემი თავი არ დამენახა. შეგიძლია ყოველდღიურად იპარსო წვერი და საკუთარი სახე ერთხელაც არ დაინახო, მით უმეტეს, თუ ძალიან გულით არა ხარ მოწადინებული. სილამაზე გარეგნულია, თუმცა შინაგანი სილამაზეც არსებობს. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მე მეორე მირჩევნია. მახინჯი კი არ გეგონოთ - დიდად არ მეპიტნავება გარეგნული სილამაზე. ათასნაირი გამომეტყველება მივიღე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ვერც სათნოება გამოვხატე, ვერც სიამაყე, ვერც მრისხანება და ვერც იუმორი: იგივე სიფათი იყო, ოღონდ სხვადასხვანაირად ვიქყანებოდი.

საწოლ ოთახში რომ შევბრუნდი, აღენს უკვე გამოეღო და დაეხურა ფრთით შემკული ტამრელ რაინდთა ქუდი. მეც თუ ამისთანა გამოთაყვანებულ იერს მამლევს ეს ქუდი, ჯობს, ახლოს აღარ გავიკარო. ხუფმოხდილი ტყავის კოლოფი ძირს ეგდო, ხავერდის ფსკერი ისე ამოზურცვოდა, დამხობილი ჯამი გეგონებოდა.

– ნეტავ თუ გათეთრდება ეს სირაქლემის ფრთა, გამოცვლა ხომ არ დამჭირდება?

– ახალს თუ იყიდი, ეს მე დამითმე.

- რატომაც არა! ელენი რაღა იქნა? მისი წრიპინა ხმა არ მესმის.
- თხზულებას წერს - „მე მიყვარს ამერიკა“.
- შენ რატომ არ წერ?
- მე ჯერ ვფიქრობ, პიკსს აღარ მოიტან?
- ალბათ, დამავიწყდება. რატომ შენ თვითონ არ მოხვალ და არ წამოიღებ?
- მოვალ. რაღაც მინდა გკითხო... მამა.
- დიდად მასიამოვნებ.
- მთავარ ქუჩაზე მართლა ჩვენი საკუთრება იყო მთელი ორი კვარტალი?
- ჩვენი იყო.
- ვეშაპმჭერი გემებიც გყავდა?
- გყავდა.
- მერე რა იქნა?
- დავკარგეთ.
- რანაირად?
- ავიღეთ და დავკარგეთ.
- შენ ხუმრობ.
- ვერაფერი ხუმრობაა, კარგად თუ გაჰკვეთ და განსჯი...
- ჩვენ დღეს სკოლაში ბაყაყი გავკვეთეთ.
- კარგი საქმეა. თქვენთვის, რა თქმა უნდა; ბაყაყისთვის - არა. აღარ ვიცი, რომელი ყელსახვევი გავიკეთო!
- ლურჯი, - უგულოდ მითხრა ალენმა, - ჩაცმას რომ მორჩები, ზემოთ არ... სხვენზე ამოსასვლელად ვერ მოიცლი?
- თუ საჭირო საქმეა, მაგის დროსაც ვიშოვი.
- მართლა ამოხვალ?
- ამოვალ.
- მაშ, წავალ და სინათლეს ავანთებ.

– ყელსახვევს გაკვანძავ და დაგეწევი.

სხვენის შიშველ კიბეზე მისი ფეხის ტყაპუნი გაისმა.

ყელსახვევს რომ ვიკვანძავ, თუ დავფიქრდი და განსაკურებული ყურადღება მივაქციე - უსათუოდ გამიჯიუტდება, თუ მარტო თითებს მივანდე - ხელადვე გაიკვანძება. ახლაც თითები მივუშვი, მე კი ჰოულების ძველი სახლის სხვენზე ფიქრს მივეცი თავი, ჩემს საკუთარ სახლზე ფიქრს. ხარახურით გამოტენილი და აბლაბუდით გაბურდული ჩაბნელებული საკუჭნაო არ გეგონოთ ჩემი სხვენი, ხშირცხაურიან სარკმელში კარგა გვარიანად შემოდის ლავანდისფერი შუქი და ძველებურ, სქელ შუშაში რომ გახედავ, ასე გგონია, წყლის სიღრმიდან უყურებ ქვეყანას. იქ დალაგებულ წიგნებს სულაც არა აქვთ იმის შიში, ან გადაგვყრიან, ან საზღვაო სასწავლებლის ბიბლიოთეკას შეგვწირავენო. არხეინად ჩამწკრივებულან თაროებზე და ელიან, ხელმეორედ როდის აღმოგვაჩენენო. ხოლო დრომოჭმული და შალითაგაცვეთილი სავარძლები რბილიც არის და ხალვათიც. მტვრიანი ნუ გეგონებათ ჩემი სხვენი, სახლს რომ ალაგებენ, არც იმას ტოვებენ დაულაგებელს და რაკი ერთთავად დაკეტილია, მტვერი ვერსაიდან შედის. მახსოვს, ბავშვობაში წიგნის კითხვით გაბურსალებული თუ გაურკვეველი ნაღველით დატანჯული ან ნახევრად ცნობიერ ოცნებაში წასული - რაც ჩვეულებრივ განმარტოებას მოითხოვს ხოლმე, - სხვენზე ავძვრებოდი, სხეულის მოყვანილობის დიდ სავარძელში მოვიკუნტებოდი და სარკმლის მოიისფრო-ლავანდისფერ შუქს მივაშტერდებოდი. ვათვალთვლებდი ვეება ოთხკუთხა ნივნივებს, რასაც სახურავი ეყრდნობოდა, ვაკვირდებოდი, როგორ იყო ისინი ერთმანეთში ჩამჯდარი და მუხის სოგგმანებით დამაგრებული. როცა წვიმს - სულერთია, გინდა ჟუჟუნა წვიმა შრიალით მოდიოდეს და გინდა თქემს სახურავზე ტყაპანი გაუდიოდეს, - აქ განსაკუთრებით მყუდროდ ვგრძნობ თავს. ახალი წიგნები - მოციაგე შუქით ოდნავ განათებული საბავშვო წიგნები, რომელთა პატრონები დაზრდილან, დაფრენილან და გაფანტულან!.. აგერ „ენაჭარტალა“, „როლოს“ გამოცემები, უხვად დასურათებული საქმენი ღვთისა - „ცეცხლიო“, „წარღვნაო“, „მიწისძვრებიო“; გუსტავ დორეს „ჯოჯოხეთი“, სადაც სურათებში დანტეს ოთხკუთხა სტროფები აგურებივით ჩაჭედებია; ჰანს ქრისტიან ანდერსენის გულისმომწყვლევი ზღაპრები, ძალმომრეობითა და გულქვაობით სისხლის გამყინავი ძმები გრიმები, დიდებული Morte d'Arthur, რომელიც სანთელივით გაყვითლებულ და ჩამომხმარ ობრი ბერდსლის დაუსურათებია; უცნაურია - რაღა იმას ერგო ეს ბუმბერაზი მელორი[7].

რამდენჯერ მიფიქრია, რა ბრძენი იყო ჰანს ქრისტიან ანდერსენი. მეფემ ჰას გაანდო საიდუმლო და გული დაიარხენა, ველარავინ გაიგებსო. როცა საიდუმლოს ამბობ ან ამბებს ჰყვები, ისიც უნდა იფიქრო, ყურს რა კაცი გიგდებს ან ვინ გკითხულობს, რადგან ყველას ის გამოაქვს მოთხრობიდან, რაც მის გულს ეამება ან რის გამოტანასაც მოახერხებს და მერე თავისებურად მოირგებს. ზოგი ნაკუწ-ნაკუწ ნაწილებს ამოგლეჯს და დანარჩენს კი ყრის, ზოგი თავის ცრურწმენის ბადეში გაცხრილავს ხოლმე, ზოგიც თავის გუნებისად შეაფერადებს. ამბავი რომ კარგად

გაიგო და გაიშინაურო, საკუთარი გულის სიმები უნდა აღმოაჩინო შიგ. ისე სასწაულს ვერ ირწმუნებ. ალენს რომ რაიმე ვუამბო, იგივე ამბავი მერისთვის სულ სხვაგვარად უნდა ავაგო, ხოლო მარულოსთვის, თუკი მარულოსაც გავრევთ საქმეში, სულ თავდაყირა უნდა დავაყენო. ისე კი, ანდერსენის ჭას არაფერი შეედრება. ისმენს მხოლოდ, წყნარი ექო კი მაშინვე გაქრება.

ახლა რომ ვუფიქრდები, ჩვენ, ყველანი, ან უმეტესობა ჩვენგანი, მეცხრამეტე საუკუნის მეცნიერებაზე ვართ გაზრდილნი, რომელიც ყველაფრის არსებობას უარყოფდა, რასაც თვითონ ვერ ხსნიდა და ვერ ზომავდა. ჩვენგან აუხსნელი საგნები კი მაინც განაგრძობდნენ არსებობას. რა თქმა უნდა, ჩვენი ლოცვა-კურთხევის გარეშე. რასაც ვერ ვხსნით, არც გვინდა დავინახოთ, ხოლო ამასობაში საგანთა და მოვლენათა უდიდესი ნაწილი მიგდებული გვაქვს ბავშვებისთვის, გიჟებისთვის, სულელებისა და მისტიკოსებისათვის, რომელთაც თვით საგანი უფრო აინტერესებთ, ვიდრე მისი ახსნა. ამრიგად, ბევრი ძველი და სანუკვარი რამ სამყაროს სხვენზეა აზიდული, რადგან ვერც ჩვენ ირგვლივ აგვიტანია და ვერც გადასაგდებად გაგვიმეტებია.

სახურავის კოჭიდან ერთადერთი უმუქფარო ნათურაა ჩამოშვებული. ქვეშ დაგებულია ხელით გამოთლილი ფიჭვის ფიცრები, სიბრტყით ოცი გოჯი, სისქით კი - ორი. დახვავებული სკივრებისა და ყუთების სიმძიმეს კარგად იტანს; აქვე ნახავთ ქალაქებში შეფუთულ ლამპებს, ვაზებსა და ათასნაირ ფუფუნების ნივთს. ღია თაროებზე ჩამწკრივებულ წიგნებს ნათურის მკრთალი სინათლე ეცემა. ზედ წამლად ვერ ნახავთ მტვერს. ამ საქმეში ჩემი მერი უნტერ-ოფიცერივით კობტაა, ფაქიზი. მკაცრი და შეუპოვარია, დასანახავადაც ვერ იტანს მტვერს. წიგნები ზომისა და ყდის ფერის მიხედვითაა ჩამწკრივებული.

ალენი შუბლით ზედა თაროს მიყრდნობოდა და წიგნებს ზემოდან დასცქეროდა. მარჯვენა ხელი ტაძრელ რაინდთა ხმლის ვადისათვის ჩამოედო, თითქოს ჯოხს ეყრდნობაო.

– რაღაცნაირ სიმბოლურ სურათს ჰგავხარ, ბიჭო. მოდი სახელიც დავარქვათ: სიჭაბუკე, ომი და ცოდნა.

– შენთვის უნდა მეკითხა — მასალებს ნახავო, რომ მითხარი...

– რის მასალებს?

– პატრიოტულ ჰანგებს... თხზულებისათვის.

– აჰა! პატრიოტული ჰანგები. აბა, ეს მოტივი თუ გამოგადგება. „ნუთუ ისე ძვირფასია სიცოცხლე და მშვიდობაც ისე სანუკვარი, რომ მონობისა და ბორკილის ფასად შევიძინოთ? ყოვლადმღიერო, შენ დაგვიფარე ამისაგან! არ ვიცი, სხვები რას იტყვიან, მე კი მხოლოდ ერთი არჩევანი მაქვს: ან თავისუფლება ან სიკვდილი!“*

– დიდებულია! ზორბა რამეა!

- რა თქმა უნდა! მაშინ ბუმბერაზები ცხოვრობდნენ ქვეყნად.
- ნეტა მეც მაშინ მეცხოვრა. მეკობრეთა ხომალდები!.. ჰო, ბიჭო! ბახ–ბახ! აბა, მიესიეთ! ოქროთი გაჭედული დერგები, აბრეშუმ-ბრილიანტებით მორთული ქალბატონები. ნეტა, მართლაც მაშინ მეცხოვრა! ჩვენს წინაპრებშიაც ხომ ერია მეკობრეები! შენგან გამიგონია.
- ეს სულ სხვაგვარი მეკობრეობა იყო, უფრო კეთილშობილი, კაპრებს ეძახდნენ. თუმცა, არც ისე ტკბილი ცხოვრება ჰქონდათ, ალბათ, შორიდან რომ გვეჩვენება. შაშხი და გამხმარი პური. სურავანდიც იყო მაშინ გავრცელებული.
- მერე რა! მოვხვეტავდი ქვეყნის ოქროს და შინ გამოვაქანებდი. ახლა ვინ დაგანებებს ამისთანა რამეს!
- რას ამბობ... ახლა მაგაზე მეტიც ხდება, და უფრო ორგანიზებულადაც. დიპლომატიას ეძახიან ამას.
- ერთი ბიჭია ჩვენს სკოლაში, ორჯერ მიიღო სატელევიზიო ჯილდო — ერთჯერ - ორმოცდაათი დოლარი და მეორედ — ორასი. რას იტყვი?
- ალბათ ჭკვიანი ბიჭია.
- ვინაა? სულაც არა. შანსის საქმეაო. შანსი უნდა დაატრიალო. უნდა ითვალთმაქცო.
- ითვალთმაქცო?
- ჰო... ვითომ საპყარი ხარ. ანდა, ვთქვამთ, დედა გყავს სარჩენი და იძულებული გახდი ბაყაყები მოაშენო. ერთი სიტყვით, მაყურებლის გული უნდა მოიგო, რომ შენ აგირჩიონ. ერთი ჟურნალი ჰქონია, რაც ამერიკაში კონკურსები ჩატარებულა, თურმე ყველაფერი წერია შიგ. მაგისტანა ჟურნალს ვერ მიშოვი, მამა?
- ეჰ, მეკობრეობა თითქოს გადავარდა, მაგრამ მისი სული, ვატყობ, მაინც ცოცხლობს.
- ვერ გავიგე.
- მუქთად შოულობენ. ხელის გაუნძრევლად მდიდრდებიან.
- ვერ მიშოვი მაგ ჟურნალს?
- ქრთამებზე რომ სკანდალი ატყდა, იმის შემდეგ მაგისტანა ამბებს სახელი გაუტყდა.
- არაფერია! ესე იგი, არა–მეთქი, მამა. ოღონდ, ახლა ცოტა უფრო სხვანაირად აკეთებენ. კარგი კი იქნებოდა მეც წამეგლიჯა.

- ეს ხომ მართლა წაგლეჯა გამოვა!
- ფული ფულია, გინდა წაგლეჯით იშოვე და გინდა ისე.
- არა მგონია, ასე იყოს. ფული კი ფულია, მაგრამ წაგლეჯით ნაშოვნი ფული ვის შეერგება!
- რატომ, ვითომ? კანონის საწინააღმდეგო არაფერი მოხდება. ყველაზე უმდიდრესი ხალხიც კი ამერიკაში...
- ო, კარლ, შვილო ჩემო, შვილო ჩემო! კარლი საიდან მოიტანე? გამდიდრება გინდა, ალენ? ძალიან გინდა?
- მაშ, ძალიან სასიამოვნოა, მოტოციკლი რომ არა მაქვს?! ოც ბიჭს მაინც ექნება მოტოციკლი ჩვენს ქალაქში. როგორ გგონია, ძალიან კარგია, რომ მანქანაც კი არა გვაქვს სახლში, ტელევიზორზე რომ არაფერი ვთქვათ.
- მაგას მეც ძალიან ვწუხვარ. შენ არ იცი, მა, ეს რას ნიშნავს. ერთხელ კლასში თემა დავწერე, ჩემი დიდი პაპა ვეშაპებზე მონადირე გემის კაპიტანი იყო—მეთქი.
- სწორი დაგიწერია.
- კლასში კიდევ ხარხარი ატეხეს. იცი, რა შემარქვეს? ჰოული, ჰოული — ვეშაპებს მოუვლი! კარგია?
- ვერ არის კარგი საქმე.
- ვეჭილი რომ იყო, ან ბანკის მოსამსახურე, სულ სხვა იქნებოდა აგერ, ჯილდოს გავირტყამ და იცი, რას ვიზამ?
- რას იზამ?
- მანქანას გიყიდი. მოჟამულ გუნებაზე აღარ დადგები, ყველას რომ აქვს და შენ არა.
- მაღლობელი ვარ, ალენ, — ვუთხარი მე. ხახა გამიშრა.
- ეგ რა დიდი რამეა. მე ჯერ მაინც არ მომცემენ შოფრობის ნებართვას.
- ამ თაროზე ნახავ, ალენ, გამოჩენილი ადამიანების სიტყვებს. იმედი მაქვს, წაიკითხავ ზოგიერთს.
- უსათუოდ წავიკითხავ. გამომადგება.
- ნამდვილად გამოგადგება. აბა, შენ იცი.
- კიბეზე ნელა დავეშვი და ტუჩები ენით დავისველე. ალენმა მართალი თქვა. ერთიანად მოვიჟამე.

- ჩემს დიდ სავარძელში რომ ჩავჯექი, მერიმ გაზეთი მომიტანა.
- იცი, რა კარგი ხარ, ჩემო ქიცინა!
- ეს კოსტუმი მართლაც მშვენიერია.
- შენ კარგი სტრატეგია ხარ და კარგი მზარეულიც.
- ყელსახვევიც სწორედ თვალების შესაფერია.
- რაღაცას მიმაღავ, გატყობ. ნამდვილად. გინდა გავცვალოთ —შენ შენი საიდუმლო მითხარი, მე ჩემსას გეტყვი.
- თუკი არა მაქვს.
- მოიგონე!
- არ შემიძლია. კარგი ერთი, ითენ, მითხარი.
- ყურცქვიტები არ გვისმენენ?
- არა.
- დღეს მარჯი იანგ–ჰანტი იყო ჩემთან, ყავისთვის მოვედიო. მგონი, უნდა, რომ ცეცხლი მომიკიდოს.
- კარგი ერთი, თქვი.
- მკითხაობაზე ჩამოვარდა სიტყვა. ნეტა, კიდევ გავვეშალა—მეთქი, მე ვუთხარი, გვენახა, გუშინდელი კარტი თუ მოგვივა—მეთქი.
- მაგას არ ეტყოდი!
- ასე ვუთხარი. ნამდვილად საინტერესო იქნებაო.
- შენ რომ ამისთანა რამეები არ გიყვარს!
- თუ კარგია, რატომაც არ მიყვარს.
- ვითომ ამაღამ გვიმკითხავებს?
- სანაძლეოს ჩამოვალ, რომ მარტო მაგისტვის მოდის.
- კარგი ერთი! მე თვითონ მოვიპატიჟე.
- ალბათ, დაგაპატიჟებინა თავი.
- არ გიყვარს მარჯი.

– პირიქით, ძალიანაც შემიყვარდა და პატივსაც ვცემ.

– ნეტა გამაგებინა — როდის მასხრობ და სერიოზულად როდის ლაპარაკობ.

ოთახში ელენი შემოვიდა, მაგრამ ისე წყნარად, რომ ვერ შეატყობდი, მოყურადებული თუ იყო. მე კი მგონია, ყველაფერი მოისმინა. ნამდვილი ბავშვია, ბავშვური ბავშვი, უკვე ცამეტისა გახდა; როცა უნდა აჭიკჭიკდება, როცა უნდა მოიწყენს, ხან მხიარულია, ხან მგრძნობიარე; სევდიანადაც კი მოგაჩვენებს თავს, თუ დასჭირდა. ცომი რომ გაფუებას დაიწყებს, იმ ასაკშია ახლა. კაცმა არ იცის — ლამაზი გამოვა თუ უშნო. მოყრდნობა უყვარს. მომეყრდნობა ხოლმე, პირდაპირ სახეში შემომასუნთქებს, ხბოსავით ტკბილი სუნთქვა აქვს. დიდი ლაქუცა ვინმეა.

ელენი ჩემი სავარძლის სახელოს გადმოეყუდა და თავისი პატარა, თხელი მხარი მე მომაყრდნო. ვარდისფერი თითი პიჯაკის სახელოზე დამისვა და ბალნიან მაჯაზე ისე მომიალერსა, მომელიტინა კიდევ. მკლავზე ჩამოშლილი ქერა თმა ლამპის შუქზე ოქროს მტვერით უბრწყინავდა. ჰოი, რა ლაქუცაა, თუმცა რა — გოგონები სულ ასეთები არიან.

– მანიკური გაიკეთე? — ვკითხე მე.

– ბაცი ლაქით. დედა მაძლევს ნებას. შენ რა ტლანქი ფრჩხილები გაქვს.

– ვითომ?

– მაგრამ სუფთა.

– ჯაგრისით გავიწმინდე.

– ჭუჭყიან ფრჩხილებს ვერ ვიტან – ალენს რომ აქვს.

– იქნებ, საერთოდ ვერ იტან ალენს.

– მართლაც ვერ ვიტან.

– ყოჩად. რატომ არ მოკლავ?!

– რა სულელი ხარ. – ახლა ყურს უკან მომიცაცუნა ხელები. ეს ისეთი ვინმე ჩანს, რომ ალბათ უკვე დაგიყებულნი ჰყავს ბიჭები.

– შენ უკვე დაგიწყია თხზულების წერა.

– მოასწრო თქმა იმ არამზადამ?

– კარგი გამოდის?

– მშვენიერი. ძალიან კარგი. წაგაკითხებ, როცა დავამთავრებ.

- დიდ პატივს დამდებ. სადღესასწაულოდ მორთულხარ.
- ამ ძველ კაბაზე ამბობ? ახალს სახვალიოდ ვინახავ.
- კარგად მოგიფიქრებია. ეკლესიაში ბიჭებიც იქნებიან.
- ბიჭებს დასანახად ვერ ვიტან. ჭირის დღესავით მძულს.
- ვიცი, რომ გძულს. შენი დევიზია – მტრობა და შუღლი. დიდად არც მე მახატია გულზე. ახლა კი ცოტა იქით მიდექი. გაზეთი უნდა წავიკითხო.

ელენი განზე გახტა ოციანი წლების კინოვარსკვლავივით და იმ წუთშივე იძია შური.

- გამდიდრებას როდის აპირებ?
- ეჰ, იმ უბედურმა იკითხოს, ვისაც ეს გადაეკიდება. ერთს დავითრევ და გავტყეპავ–მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ სწორედ ეს უნდოდა. მომეჩვენა, წამწამებიც წათხიპნილი ჰქონდა. თვალეში იმდენი თანაგრძნობა გამოუკრთოდა, რამდენიც ავაზას შეიძლება ჰქონდეს.
- მომავალ პარასკევს, – ვუთხარი მე.
- ნეტა უფრო მალე შეიძლებოდეს. მომწყინდა ამდენი სიღარიბე, – და მაშინვე გასრიალდა ოთახიდან. არც კარზე მოყურადებას თაკილობს. მიყვარს კი, და ძალიან გასაკვირიც არის, რადგან ყველაფერი ისა სჭირს, რაც სხვისი მძულს... მაინც გაგიჟებით მიყვარს.
- ვინ წაგაკითხებს გაზეთს?! გაშლაც ვერ მოვასწარი, რომ მარჯი იანგ–ჰანტი შემოვიდა. რაღაც სხვანაირად დაეყენებინა თმა – პარიკმახერულად. მერი ალბათ გარკვეულია ამნაირ მოდებში, მე ვერ ვერკვევი.

დილით ყავისთვის გამოსული მარჯი ჩემკენ იყო მომართული დათვის ხაფანგივით, სადამოთი კი მერი ამოიღო მიზანში. ახლაც უთრთოდა თუ არა უკანალი, ეს არ შემინიშნავს. მისი კოხტა კოსტუმის ქვეშ ყველაფერი იფარებოდა. დიასახლისისათვის ყოვლად სასურველი სტუმარი გახლდათ – დახმარების ხელის გამომწოდებელი, ყურადღებიანი, მომხიბლავი, თავაზიანი, უბრალო. მე ისე მექცეოდა, თითქოს დილას აქეთ ორმოცი წელი მომმატებოდეს. საოცრები არიან ეს ქალები. აღფრთოვანებული ვარ მათი საქციელით, თუნდაც ვერ ვაგუგო, რას აკეთებენ.

მარჯი და მერი სასიამოვნო მუსაიფით გაერთნენ – „თმისთვის რა გიქნია?... „მე ძალიან მომწონს“... „ეს ფერი გხატავთ პირდაპირ: ნურც გამოიცვლით“... და ქალებისათვის ჩვეული ამისთანა უვნებელი სიტყვები, თითქოს სამახსოვრო ნიშნებს უცვლიან ერთმანეთსო. მე კი ამ დროს ქალებზე გაგონილი ყველაზე დამახასიათებელი ანეკდოტები მაგონდებოდა. ორი ქალი ხვდება ერთმანეთს.

„თმაზე რა მოგსვლია? თითქოს პარიკიაო,“ შესძახებს ერთი. „მართლაც პარიკია“, „უი, სულ არა ჰგავს, ჩემს დღეში არ ვიფიქრებდი“.

იქნებ უფრო ღრმა აზრი იმალება ამაში და ჩვენ კი ვერა ვხვდებით.

სადილზე განუწყვეტელი შეძახილები იყო: ერთი მხრივ, ქება შემწვარი წიწილებისა, მეორე მხრივ ძაგება – არც კი იჭმევასო. ელენი გულმოდგინედ ათვალთქვებდა ჩვენი სტუმრის თმის დაყენებისა და კოსმეტიკის ყოველგვარ წვრილმანებს. მაშინ მივხვდი, რა ადრე იწყებენ ხოლმე ამ გაფაციცებულ დაკვირვებას, რასაც შემდეგ, ეგრეთ წოდებული, ქალური ალლო ეწოდება. ჩემს შეხედვას გაურბოდა ელენი. გრძნობდა, რომ მომაკვდინებელი ისარი მტყორცნა და ახლა შურისგებას ელოდა. ძალიან კარგი, ჩემო გულქვა ქალიშვილო. შენ ვერც კი წარმოიდგენ, ისე სასტიკად გადაგიხდი. სულ დავივიწყებ იმ შენს სიტყვებს.

დიდებული სადილი გამოდგა, მდიდრული და უხვი, როგორც წვეულებას შეეფერება. თეფშების გორა დადგა; ამ თეფშებს საყოველღეოდ არა ვხმარობთ ხოლმე. ბოლოს ყავა შემოიტანეს, რაც აგრეთვე უჩვეულო იყო ჩვენთვის.

– ძილს არ გიფრთხობთ ყავა?

– ძილს ვერაფერი დამიფრთხობს.

– ვერც მე?

– ითენ!

ამას მოჰყვა ჩუმი, მაგრამ სამკვდრო–სასიცოცხლო ომი თეფშებისათვის.

– მეც დაგეხმარებით.

– აჰ! თქვენ სტუმარი ხართ.

– ალაგებაში მაინც დაგეხმარებით.

მერიმ ბავშვებს გადაავლო თვალი და ხიშტის სამგერებლად მოემზადა. ისინიც მიხვდნენ, რა მოელოდათ, მაგრამ რაღას იზამდნენ.

– ამას სულ ბავშვები აკეთებენ ხოლმე, – თქვა მერიმ, – უყვართ საქმე. მშვენივრადაც გამოსდით. მე თავი მომაქვს ჩემი შვილებით.

– რა კარგია, არა? ამისთანა ბავშვებს ახლა სადღა ნახავ.

– მართალი ხართ. ამაში მართლაც რომ გაგვიღიმა ბედმა.

ხელადვე შევატყვე, როგორ დაიწყო იმათმა პაწაწინა ტვინმა გამოსავლის ძებნა. ვეღარ გადაეწყვიტათ – აურზაური აეტეხათ, თავი მოეკვადმყოფებინათ თუ

ძველებური ძვირფასი თევზები დაეყარათ და დაემსხვრიათ. ეტყობა, მერიმაც შენიშნა იმათი პაწაწკინტელა ცბიერი ტვინის მოძრაობა.

– საოცარი ისაა, რომ ერთს არაფერს გატეხენ, – თქვა მერიმ, – ჭიქაც კი არ გაუტეხიათ.

– ბედნიერი ქალი ყოფილხართ! – უთხრა მარჯიმ, – ასე როგორ გამოწვრთენით?

– მე არა. ბუნებით არიან ასეთები. ხომ დაკვირვებიხართ, ზოგი დაბადებით ბოთე რომ გამოდის. ჩემს ელენს დაბადებიდანვე დაჰყვა ჭკუა და ხელის სიმარჯვე.

ბავშვებს გადავხედე, რა გუნებაზე დადგნენ–მეთქი. გაეზნენ. და ამას, ეტყობოდა, მიხვდნენ კიდევ. ახლა ისლა აინტერესებდათ – მარჯი იანგ–ჰანტი თუ მიხვდაო. თუმცა ხსნის იმედი ჯერ კიდევ არ დაეკარგათ, მე ის იმედიც გადავუწყვიტე.

– ქება–დიდების მოსმენა, რა თქმა უნდა, უყვართ, – ვთქვი მე, – მაგრამ ამ ბავშვებს ნულარ ვაყოვნებთ. მორჩნენ ბარემ საქმეს, თორემ კინოში დააგვიანდებათ.

მარჯიმ იმდენი კეთილშობილება გამოიჩინა, რომ ღიმილი შეიკავა, გაკვირვებულმა და აღფრთოვანებულმა მერიმ კი გადმომხედა. კინოში გაშვება არც უთხოვიათ.

მოზრდილი ბავშვები სადაც ჰყავთ სახლში, კიდევ რომ არ ხმაურობდნენ, იქ სიწყნარეს მაინც ვერ იგრძნობ. ჰაერი მაინც დულს მათ ირგვლივ. წავიდნენ თუ არა ისინი, სახლმა შვებით ამოისუნთქა, რაღა გასაკვირია, რომ აურზაურის გამომწვევი მოჩვენებები მუდამ იმ სახლში ბინადრობენ, სადაც მოზრდილი ბავშვები ჰყავთ.

სამნი რომ დავრჩით, ძალიან ფრთხილად დავიწყეთ იმ თემის ირგვლივ ტრიალი, რომელიც, ვიცოდით, უსათუოდ უნდა წამოჭრილიყო, შუშისკარებიან კარადასთან მივედი და შროშანის მოყვანილობის სამი მაღალი ჭიქა გამოვიღე, რომლებიც, ვინ იცის, როდის ჩამოეტანათ ინგლისიდან. სიძველისაგან ჩამუქებული და გამოხუნებული შემოწნული სურიდან რომი დავასხი.

– იამაიკური რომია, – ვთქვი მე, – ჰოულები ერთ დროს მეზღვაურები ყოფილან.

– დიდი ხნისა იქნება, – თქვა მარჯი იანგ–ჰანტმა.

– ჩვენზე და მამაჩემზედაც დიდი ხნის.

– პირდაპირ თავში ავარდება, – თქვა მერიმ, – ახლა კი ნამდვილი ქეიფია. ითენმა მარტო ქორწილსა და აღაპზე იცის ამ რომის გამოტანა. ღმერთმა კი არ გვიწყინოს, გენაცვალე, ზედ აღდგომის წინა დღეს!

– აბა, კოკა–კოლათი ზიარება ვის გაუგონია, ჩემო კარგო.

– თქვენს ქმარს პირველად ვხედავ ასე გამხიარულებულს, მერი.

– სულ თქვენი მკითხაობის საქმეა, – მიუგო მერიმ – ერთ ღამეში შეიცვალა კაცი.

რა უცნაური საფრთხობელაა ადამიანი – მთელი აპარატურა საზომი ერთეულებისა, ცხრილებისა, საანგარიშოებისა, რომელთაგან ჩვენ ძალიან ცოტას თუ ვკითხულობთ და იმასაც, ვინ იცის, არასწორად... ნაწლავებში უცებ ალი წამეკიდა და საშინელი ტკივილით ამოვარდა ზევით, გაიშალა და ნეკნებს მოაწვა. ყურებში გრიგალი დამიტრიალდა და განწირული გემივით გამაქანა, რომელსაც ანძები უკვე დამსხვრევია, სანამ აფრების დაშვებას მოასწრებდნენ. პირი გამიმწუთხდა, ოთახი შეტორტმანდა და ზემოთ აიზიდა. გამაფრთხილებელი სიგნალები გამწარებით აწივლდნენ – იუწყებოდნენ საშიშროებას, იუწყებოდნენ განადგურებას, იუწყებოდნენ უბედურებას. ერთბაშად მეტაკა ეს, როცა ჩემს ქალებს ზურგს უკან ჩავუარე, და შემადრწუნებელი ტკივილით ორად მომკაკვა. მაგრამ ხელადვე გამიარა. გავიმართე და, ვითომც არაფერიო, გავიარე, ქალებს არც გაუგიათ. მაშინ მივხვდი, რატომ სჯეროდა ძველად ხალხს სხეულში ეშმაკის ჩასახლება. ლამის მეც დავიჯერო. ჩასახლება! ერთბაშად შემოდკრება რაღაც უცხო, შენი ყოველი ნერვი გამწარებით ებრძვის და უძალიანდება, მაგრამ საბოლოოდ მარცხდები და, ნაცემ–ნაგვემი, იმასდა ცდილობ დამპყრობელს შეუთვისდე, ზავი ჩამოაგდო. ძალადობა – აი შესაფერი სიტყვა, თუკი შეგრჩა იმის თავი, რომ სარჩილავ ნათურასავით ლურჯარშიაშემოვლებული სიტყვის ჟღერას ჩაწვდე.

ჩემი ძვირფასი მერის ხმა გაისმა.

– კარგი რამის გაგონება არასოდეს არ გავნებს.

ახლა ჩემი ხმაც გამოვცადე – მტკიცედ და ძლიერად ჟღერდა.

– ცოტაოდენი იმედი, უიმედო იმედიც კი ვნებას არავის მოუტანს. – ვთქვი და სურა ისევ კარადაში შევდგი, მერე ჩემს ადგილზე გამოვბრუნდი, ნახევარი ჭიქა ძველებური, სურნელოვანი რომი დავლიე, დავჯექი, ფეხი ფეხზე გადავიდე და ხელები მუხლზე შემოვიჭდე.

– ველარაფერი გამიგია ამ კაცისა, – თქვა მერიმ, – მთელი თავისი დღე და მოსწრება მკითხაობას დასცინის, საშინლად სძულს. გაცეცხლებული ვარ.

ნერვები ქარისაგან შეტოკებულ ნაზამთრალ თივის ღერივით ამითრთოლდა, ერთმანეთზე გადაჭდობილი თითები ზედმეტი დაწოლისაგან გამითეთრდა.

– ვეცდები ავუხსნა ეს მისის იანგ–ჰანტს... მარჯის, – ვთქვი მე, – მერი კეთილშობილი, მაგრამ ღარიბი ირლანდიელის ოჯახიდან გახლავთ...

– არც იმდენად ღარიბები ვყოფილვართ.

– ხომ გესმით, ლაპარაკზეც ეტყობა.

– როცა თქვენ უკვე თქვით და...

– არა, მერი წმინდანია, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს – ბებია ჰყავდა ისეთი ღვთისმოსავი!..

მომეჩვენა, რომ ჩემი ძვირფასი მერიც რაღაც მტრულად შეიმართა. მე მაინც განვაგრძე.

– მაგრამ სულელებისა მაინც სჯეროდა, მიუხედავად იმისა, რომ სასტიკი ქრისტიანული თეოლოგია გმობს ამას.

– ეს სულ სხვა საქმეა.

– რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო. ერთნაირი თითქმის არაფერია, მაგრამ როგორ შეგიძლია დაგმო ის, რაც არ გესმის.

– უფრო ხილდით მაგას, – თქვა მერიმ, – სიტყვის მახეში არ გაგაბათ.

– ეს რა მოსატანია. მკითხაობა–მარჩიელობისა მე არაფერი გამეგება. როგორღა შემიძლია დაგვმო და არ ვირწმუნო? ვხედავ, როგორ მკითხაობენ, და მჯერა კიდევ.

– მაგისი სიმართლე რომ არა გჯერა?

– მილიონობით ხალხს ხომ სჯერა და ფულსაც კი იხდიან. ეგეც საკმარისია, რომ დაგაინტერესოს.

– მაგრამ შენ ხომ...

– დამაცადე! განა არა მჯერა – უბრალოდ, არ ვიცი. ეს სულ სხვადასხვა ცნებაა. არ ვიცი, რომელი რომელს უსწრებს წინ: ჯერ გიმკითხავებენ და მერე აგიხდება, თუ ჯერ აგიხდება და მერე გიმკითხავებენ.

– მგონი, მივხვდი, რასაც ამბობს.

– ვითომ? – მერი ნაწყენი ჩანდა.

– ესე იგი, მკითხავს წინათგრძნობა ეუბნება, რაც უნდა მოხდეს, არა? ეს გინდოდათ ხომ, გეთქვათ?

– მკითხავს, ვთქვათ, ეუბნება. კარტმა საიდანღა იცის?

– კარტი ხომ თავისით არ გაიშლება – ვიღაცამ უნდა გაშალოს, – ვთქვი მე.

– მარჯის ჩემთვის არ შემოუხედავს, მაგრამ ვატყობდი, გრძნობდა მერის მოუსვენრობას.

– იქნებ, გვეცადა, ჰა! – ვთქვი მე.

– როგორ გითხრათ, სასაცილოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ ამისთანა რამეებს გამოცდა არ სიამოვნებს, აღარაფერი გამოდის ხოლმე. მაინც ვცადოთ.

– ჭიქისთვის ხელიც არ გიხლიათ, – ორთავემ ასწიეს ჭიქები, ტუჩები შეახეს და უკანვე დადეს. მე გამოვცალე ჩემი ჭიქა და ისევ გამოვიღე სურა.

– ითენ, კიდევ გინდა, ვითომ?

– მინდა, ჩემო კარგი. – ჭიქა გავივსე, – თვალი რომ დახუჭოთ და ისე გაშალოთ კარტი?

– როგორღა წავიკითხო?

– მაშინ მე გამაშლევინეთ, ან მერის, და თქვენ წაიკითხეთ.

– კარტი მხოლოდ იმას უპასუხებს, ვინც შლისო, - ასეა ნათქვამი, მაგრამ რა ვიცი... მაინც ვცადოთ.

– კარტის გაშლას თუ ვაპირებთ, ბარემ წესებიც დავიცვათ, – თქვა მერიმ. ასე იცის ხოლმე. წესის შეცვლა არ უყვარს. ესე იგი, პატარა წესების შეცვლა არ უყვარს, დიდ ცვლილებებს კი კარგად იტანს, ვერავინ შეედრება. გაჭრილი თითი რომ დაინახოს, თავგზას დაკარგავს, გამოლადრული ყელის დანახვაზე კი, თითქოს არაფერიო, წარბსაც არ შეიხრის.

ძალიან ველავდი – ჩვენ აკი წინასწარვე შევთანხმდით, რომ კიდევ ერთხელ გვეცადა და გაგვეშალა კარტი. აკი ვუთხარი კიდევ მერის; ახლა კი ისე გამოვიდა, თითქოს ამ წუთში მოგვეფიქრებინოს.

– ამაზე ხომ დილითაც შევთანხმდით.

– დიახ, მე რომ ყავისთვის მოვედი. მთელი დღე ეს მიტრიალებდა თავში. კარტიც მოვიტანე.

– მერის ასე მოსდგამს – მტკიცე გადაწყვეტილება გაგულისებაში უნდა აურიოს, გაგულისება – ძალმომრეობაში, ძალმომრეობისა კი ეშინია ხოლმე. ლოთმა ბიძებმა შთაუნერგეს ეს შიში. სამარცხვინო კია. ახლაც ვიგრძენი, როგორ წამოუარა შიშმა.

– მოდი, ნულარ გავამასხრებთ, – ვთქვი მე, – იქნებ კაზინო გვეთამაშა.

მარჯი მიმიხვდა ეშმაკობას. ეტყობა, პირველად არ მოსდიოდა ასეთი რამე.

– როგორც გენებოთ.

– ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილია. გამდიდრება მელის. მეტი რაღა მინდა.

– ავი გითხარით, არა სჯერა–მეთქი. სულ ასე იცის – გაგაწვალე, გაგტანჯავს და მერე აღარ ვთამაშობო, გეტყვის. ლამის გამაგიჟოს ზოგჯერ.

– მე გაგიჟებ? რატომ აქამდე არ მითხარი? შენ ხომ ჩემი საყვარელი ცოლი ხარ.

უცნაურია, როგორ იგრძნობ ზოგჯერ საწინააღმდეგო მიმართულებით დაძრულ ორ ნაკადს, ერთმანეთის გადამკვეთ დენს; ყოველთვის კი არა – ზოგჯერ. მერის დიდად არ უყვარს თავის შეწუხება, რომ ყველაფერი კარგად დაალაგოს გონებაში, იქნებ ამიტომაც, ხელად აჰყვება ხოლმე შთაბეჭდილებებს. ატმოსფერო სულ უფრო და უფრო იძაბებოდა ოთახში. ვგრძნობდი, რომ მარჯის და მერის მეგობრობას ბზარი გაუჩნდა და აღარაფერი უშველიდა.

– ძალიან კი მაინტერესებს კარტით მკითხაობის ამბავი, – ვთქვი მე, – ამეებისა არაფერი გამეგება. გამიგონია, ბოშები მკითხაობენო. თქვენც ბოშა ხომ არა ხართ?

– ბოშას არავის ვიცნობ.

– მარჯის რუსული გვარი აქვს, ალიასკიდან არის, – მითხრა მარიმ.

– ახლადა მივხვდი, რატომ ჰქონდა ასე გამობერილი ყვრიმალეები.

– მე თქვენთვის არ გამინდვია, მერი, ჩემი საშინელი საიდუმლო – ალიასკაზე საიდან გავჩნდით, – უთხრა მარჯიმ.

– ადრე რუსებისა იყო ალიასკა, – ვთქვი მე, – მერე ჩვენ მოგვყიდეს.

– ჰო, მაგრამ, ის თუ იცით, რომ საპყრობილეები ჰქონდათ, ციმბირივით. ოღონდ ყველაზე საშინელი დანაშაულისათვის.

– რა დანაშაულისათვის?

– ყველაზე საშინელი დანაშაულისათვის. ჩემი პაპის დედა ჯადოქრობისთვის გადაასახლეს ალიასკაზე.

– ასეთი რა გააკეთა?

– ქარიშხალი გამოიწვია.

გამეცინა.

– მაშ, მემკვიდრეობით გადმოგყოლიათ.

– ქარიშხლის გამოწვევა?

– მკითხაობა – სულერთი არაა!

– თქვენ ხუმრობთ. ეს მართალი არ არის – უთხრა მერიმ.

– იქნებ ვხუმრობდე, მერი, მაგრამ მართალი კია. ეს იყო ყველაზე საშინელი დანაშაული, კაცის კვლაზედაც საშინელი. აქამდე შემომრჩა ჩემი დიდების ქაღალდები, ოღონდ რუსულად, რა თქმა უნდა.

– იცით რუსული?

– იქნებ ახლაც ყველაზე საშინელ დანაშაულად ითვლებოდეს ჯადოქრობა, – ვთქვი მე.

– აკი გეუბნებოდით! – თქვა მერიმ, – ხან აქეთ გახტება, ხან იქით. ვერ გაუგებ, რას ფიქრობს. წუხელ... დღეს გათენებამდე ადგა და სასეირნოდ წაბრძანდა.

– დიდი გარეწარი ვინმე ვარ, – ვთქვი მე, – პირწავარდნილი და გამოუსწორებელი არამზადა.

– მართლა მინდა, რომ მარჯიმ კარტი გაშალოს... ოღონდ შენ არ ჩაერიო. ამდენი ლაპარაკით ნუღარ გავაჭიანურებთ, თორემ ბავშვები მოგვისწრებენ და მერე ვეღარ მოვახერხებთ.

– ერთი წუთი დამიცადეთ, - ვთქვი მე. საწოლ ოთახში ავედი, ზემოთ. ხმალი ლოგინზე იდო, ქუდის კოლოფი კი იატაკზე ეგდო, ხუფმოხდილი. სააბაზანოში შევედი და უნიტაზში წყალი ჩამოვუშვი, წყლის ხმა მთელ სახლში ისმის ხოლმე. ტილო ცივ წყალში დავასველე და თვალეზე დავიდე. თავში ისე მაჭერდა რაღაც, რომ თვალეები გამოვარდნაზე მქონდა. ცივმა წყალმა დამიამა. უნიტაზზე ჩამოვჯექი და სახე ცივ ტილოში ჩავრგე. როცა გათბა, ისევ დავასველე. მერე ისევ საწოლ ოთახში შევბრუნდი, კოლოფიდან ტაძრელი რაინდების ფრთიანი მუზარადი ამოვიღე, თავზე დავიდე და კიბეზე დავეშვი.

– სულელი! – მომამახა მერიმ. გამხიარულებული და მოსვენებული ჩანდა. დამაბულობა უკვე გამქრალიყო.

– ნეტა სირაქლემას ფრთა არ გათეთრდება? – ვთქვი მე, – როგორ გაყვითლებულა!

– მე მგონი კი, მისტერ შულცსა ჰკითხეთ.

– ორშაბათს წავიღებ.

– მინდა, რომ მარჯიმ კარტი გაშალოს, – თქვა მერიმ, – ძალიან მინდა.

– ქუდი კიბის მოაჯირს ჩამოვაცვი. მთვრალ ადმირალს დაემსგავსა, თუკი შეიძლება წარმოიდგინო ასეთი რამე.

– ბანქოს მაგიდა გამოიტანე, ით. დიდი ადგილი სჭირდება.

– საკუჭნაოდან მაგიდა გამოვიტანე, გავშალე და ფეხები დავუმაგრე.

– მარჯის მაღალი სკამი უყვარს.

მივუჩოჩე სკამი.

– ჩვენ რამე უნდა გავაკეთოთ?

– გულისყური უნდა დამაბოთ, – თქვა მარჯიმ.

– რას უნდა ვუყუროთ?

– ეცადეთ, არაფერს უყუროთ. ჩანთაში მაქვს კარტი, აგერ, დივანზე.

სამარჩიელო კარტი მუდამ გაზინთული, სქელი და დაჭმუჭნული წარმომედგინა, ეს კი სუფთა იყო და პლასტმასსავით პრიალა. სათამაშო კარტზე უფრო მოგრძო და წვრილიც ჩანდა, ოღონდ ორმოცდათორმეტ ცალზე გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა. მარჯი გაჯგიმული იჯდა მაგიდასთან და დიდი ამბით შლიდა კარტს – ღია საღებავებით მოხატულ სულ სხვადასხვა ფერის სურათებს. წარწერები სულ ფრანგული ჰქონდა: l' empereur, l' ermite, le chariot, la justice, le mat, le diable[8]; მიწა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები; სხვადასხვა ფერის ხმლები, თასები, კეტები და ფული; ჩემი აზრით, denier ფულს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ სურათი ჰერალდიკურ ვარდს უფრო ჰგავდა, და ყოველი ფერის კარტსაც თავისი roi, reine და chevalier ჰყავდა. მერე რაღაც უცნაური კარტებიც შევნიშნე, საშინელი კარტები – ელვით გაპოხილი კომკი, ბედის ფერსო, სახრჩობელაზე ფეხით დაკიდებული კაცი, რასაც le pendu ეწერა, და სიკვდილი – la mort – ცელმომარჯვებული ჩონჩხი.

– საშინელი სურათებია, – ვთქვი მე, – მართლაც იმას გულისხმობენ, რაც ზედ ახატია?

– გააჩნია, როგორ განლაგდებიან. თავდაყირა თუ მოხვდნენ, მნიშვნელობაც საწინააღმდეგო ექნებათ.

– სხვადასხვანაირად თუ შეიძლება ახსნა?

– შეიძლება. გააჩნია როგორ ამოხსნი.

აილო თუ არა ხელში კარტი, მარჯი ოფიციალური გახდა. სინათლეზე კარგად დადასტურდა ის, რაც ადრევე შევნიშნე: ვიდრე ჩანდა, იმაზე უფრო ხნიერი იყო.

– სად ისწავლეთ? – ვკითხე მე.

– ბებიაჩემს ვაკვირდებოდი ხოლმე, მერე კი სტუმრად რომ წავიდოდი სადმე, კარტიც თან მიმქონდა, ალბათ ყურადღების მისაქცევად.

– თქვენ თვითონ გჯერათ?

– რა ვიცი. ზოგჯერ საოცარი რამე მოხდება ხოლმე. არ ვიცი.

– იქნებ კარტი ჩვენს ყურადღებას ამახვილებს – ერთგვარ ფსიქიკურ ვარჯიშს წარმოადგენს!

– ზოგჯერ მეც ასე მგონია. ზოგჯერ ისეთ მნიშვნელობას მივცემ კარტს, რაც ადრე არასოდეს არა ჰქონია, და მიმართლებს კიდეც. – მისი ხელები თითქოს ცოცხალ არსებებად იქცნენ – სწრაფად ურევდა და ჭრიდა, ურევდა და ჭრიდა, მერე კი მე გამომიშვირა მოსაჭრელად.

– ვისზე გავშალო?

– ითენზე, – შესძახა მერიმ, – ვნახოთ, გუშინდელს თუ დაემთხვევა.

მარჯიმ შემომხედა.

– ქერა თმა, – ჩაილაპარაკა მან, ცისფერი თვალები. ჯერ ორმოცისაც არ იქნებით!

– სწორედ ორმოცისა ვარ.

– კეტის მეფე, – დასტაში მოძებნა და გამოაძრო, – ეს თქვენ იქნებით, – გვირგვინოსანი და ტოგამოსხმული მეფე, რომელსაც ხელთ ეპყრა დიდი ცისფრად და წითლად აჭრელებული კვერთხი, ქვეშ კი წარწერა – Roi da Bâton, მაგიდაზე დადო და კვლავ აურია კარტი. მერე ჩქარ–ჩქარა ჩამოალაგა, თან კი თითქოს ღიღინით ამბობდა. ერთი ზედ ჩემს მეფეს დაადო – „ეს დამფარავი“, ერთიც ჯვარედინად – „ეს ჯვარი“, მესამე ზემოდან – „გვირგვინი“, მეოთხე ქვემოთ – „სამირკველი“. ეს წინ, ესეც უკან. – ისე დაალაგა მთელი კარტი, რომ მაგიდაზე ჯვარი გამოისახა. მერე სწრაფად დააწყო ჯვრის მარცხნივ ოთხი კარტი: „თქვენ თვითონ, თქვენი სახლი, თქვენი იმედი, თქვენი ბედ–იღბალი“. ბოლო კარტი სახრჩობელაზე თავდაყირა დაკიდებული კაცი იყო, le pendu, მაგრამ მე მაგიდის მეორე მხარს ვიჯექი და რომ შევხედე, უკულმა არ ჩანდა – პირდაპირი იყო.

– კარგი ბედი მელის.

– იქნებ ხსნაც ამან მოგიტანოთ, – თქვა მან და სალოკი თითი ქვემო ტუჩზე გადაისვა.

– ფული არ ჩანს? – იკითხა მერიმ.

– ჩანს... როგორ არა, – დაბნეულად უპასუხა მან. მერე უცებ მოხვეტა მთელი კარტი, სწრაფად აურია და ისევ გაშალა, თან კი ჩვეული ღიღინით ულოცავდა. ეტყობოდა, ცალკეულ კარტებს კი არ აკვირდებოდა, არამედ ყველას ერთბაშად.

თვალები თითქოს დანისლული და რაღაც შორეული გაუხდა.

– კარგი სეირი კია, ვფიქრობდი მე, ქალების კლუბში – და თუნდაც სხვაგან, სადაც უნდა იყოს – მთელ საღამოს დაამშვენებდა. ალბათ პითიაც ასეთი იქნებოდა – ცივი, თავშეკავებული, გამოუცნობი... თუკი მოახერხებ, რომ ხალხი სუნთქვაშეკრული და

დაძაბული ამყოფო დიდხანს, რაღაცის მოლოდინში, ალბათ ყველაფერს ირწმუნებენ; არა იმდენად მოქმედება, არამედ ტექნიკაა მთავარი, დროის გამოზომვა. ეს ქალი ტყუილუბრალოდ ფლანგავს თავის ნიჭს ვიღაც კომივოიაჟერებთან. მაგრამ ჩვენგან რა უნდა, ჩემგან რა უნდა? უცებ ისევ მოხვეტა კარტი და წითელ ბოხჩაში ჩადო, რომელზედაც ასეთი წარწერა იყო: I. Miller et Cie, Fabrique de Cartes.

– არ გამოდის, – თქვა მან, – ზოგჯერ იცის ხოლმე ასე.

– იქნებ რამე ნახეთ და თქმა გერიდებათ! – უთხრა სუნთქვაშეკრულმა მერიმ.

– აჰ, არა, თქმას რას მოვერიდები! ერთხელ, სულ პატარა გოგო რომ ვიყავი, გველი ვნახე – პერანგს იცვლიდა; დიდი, ჩხრიალა, მთის გველი. თავიდან ბოლომდე ვნახე ეს სურათი. ახლა, მაგიდას რომ დავაშტერდი, კარტი სადღაც გაქრა და ის სურათი დავინახე – გველი რომ კანს იცვლიდა; ნახევარი კანი დამტვერილი და ქეციანი ჰქონდა, ნახევარი – ახალი და პრიალა. წარმოვიდგენიათ!

– ეს ტრანსსა ჰგავს, - ვუთხარი მე, – ადრეც მოგსვლიათ?

– სამჯერ.

– არ იცით რატომ?

– არა, არ ვიცი.

– სულ გველი?

– ო, არა! სულ სხვადასხვა რამეები, ოღონდ ასეთივე სულელური.

– იქნებ, ეს ითენის ბედის შეცვლას მოასწავებდეს! - მგზნებარედ შესძახა მერიმ.

– რომელი ჩხრიალა გველი ითენია?

– ვიცი, მიგიხვდით, რისი თქმა გინდათ.

– მეც ამბურბგლა ტანში, – თქვა მარჯიმ, – ჯერ იყო და თითქოს მიყვარდა გველები, მერე კი, როცა გავიზარდე, საშინლად შევიძულე. რომ წარმოვიდგენ, ჟრუანტელი დამივლის ხოლმე ტანში. ჯობს, შინ წავიდე.

– ითენი გაგაცილებთ.

– გულშიაც ნუ გაივლებთ.

– სასიამოვნოც კი იქნება.

მარჯიმ მერის გაულიმა.

– მაგრად ჩასჭიდეთ ხელი და ნურსად გაუშვებთ, – უთხრა მან, – თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რას ნიშნავს მარტოობა.

– სისულელეა, – მიუგო მერიმ, – ერთი რომ გაანძრიოთ თითი, ხელად ქმარი გამოგიჩნდებათ.

– ეგეც მიცდია. რა ფასი აქვს. ასე იაფად შეძენილი, თვითონვე იაფი იქნება, შინ იყოლიეთ. არავინ წაგართვათ. – ხელადვე გაუყარა პალტოში ხელები. დიდი ცერემონიები არ უყვარდა. – დიდებული სადილი იყო. იმედი მაქვს, კიდევ მომიწვევთ. ვწუხვარ, რომ მკითხაობა არ გამომივიდა, ითენ.

– ხვალ ეკლესიაში ვერ გნახავთ?

– ვერა. ამაღამ მონტოკს მივემგზავრები.

– ამ სიცივესა და სინესტეში!

– დილდილაობით ზღვაზე გასვლა მიყვარს მონტოკში. ღამე მშვიდობისა.

კარის გაღება ძლივს მოვასწარი, რომ გაქრა, თითქოს ვინმე მისდევსო.

– არც კი ვიცოდი, სადმე წასვლას თუ აპირებდა ამაღამ, – თქვა მერიმ.

მეც არ შემეძლო მეთქვა, თვითონაც არ იცოდა–მეთქი.

– ითენ, რას იტყვი მაგის ამღამინდელ მკითხაობაზე?

– როდის იმკითხავა?!

– დაგავიწყდა? აკი თქვა, ფული იქნებაო, მაგრამ მაგას კი არ გეკითხები! მე მგონი, რაღაც შენიშნა და დაგვიმალა. ისეთი რაღაც ამოვიდა, რომ დააფრთხო.

– ალბათ ის გველი ჩაეჭიდა თავში.

– როგორ გგონია – არაფერს მოასწავებს ეს?

– მე საიდან უნდა ვიცოდე – მკითხაობის ოსტატი შენა ხარ, ჩემო თაფლის კვერო.

– კიდევ კარგი, რომ არ აითვალწუნე. სულ მაგის მეშინოდა.

– მე ეშმაკი ვარ, – ვუთხარი, – ჩემს გულის პასუხს ყველა კი ვერ მიხვდება.

– მე მაინც ვერ დამიმალავ. ალბათ, მეორე სეანსზედაც დარჩებიან.

– ვინ?

– ბავშვები. სულ ასე არ შვრებიან! რა ბედზე გადამირჩინე თეფშები.

– დიდი მამაძალი ვარ, – ვთქვი მე, – როცა იქნება, შენს პატიოსნებასაც მოვდგები.

თავი მეექვსე

ასე ვიცი – ერთბაშად არ გადავწყვეტ ხოლმე, გადავდებ, უფრო კარგად მოვიფიქრებ–მეთქი. მერე ერთ მშვენიერ დღეს, როცა ცოტათი მოვიცლი და დავფიქრდები, აღმოჩნდება, რომ ეს საქმე უკვე კარგად ამიწონ–დამიწონია და გადამიწყვეტია კიდევ. ალბათ, სხვებსაც ასე მოსდით, მაგრამ მე საიდან მეცოდინება. თითქოს გონების ბნელსა და დაუსახლებელ მღვიმეებში ვიღაც უსახო მსაჯულები შეყრილან და გადაუწყვეტიათ. ეს უძილო და იდუმალეზით მოცული სივრცე მე მუდამ წარმომედგინა შავ, ღრმა, დამდგარ წყლად, ერთგვარ ოჩხად, საიდანაც ზედაპირზე იშვიათად თუ რამე ამოცურდება. ანდა, იქნებ, დიდი ბიბლიოთეკა იყოს, რომელშიაც ყველაფერი ინახება, რაც კი გაჩენის დღიდან ცოცხალ მატერიას მოსვლია.

მე მგონი, ზოგიერთები უფრო ადვილად ახერხებენ იქ შესვლას – პოეტები, მაგალითად. ერთხელ, გაზეთების დამტარებლად რომ ვმუშაობდი და მალვიძარა საათი არა მქონდა, თვითონვე გამოვიმუშავე სასიგნალო ნიშნების გადაცემისა და პასუხის მიღების საშუალება. ღამით, ლოგინში რომ ვიწევი, ასე მეგონა შავი წყლის პირას ვდგავარ–მეთქი. ხელში თითქოს თეთრი ქვა მიჭირავს, მრგვალი ქვა. დავაწერ ამ ქვას კუპრით შავი ასოებით „4 საათს“, წყალში ჩავუშვებ და თან თვალს არ ვამორებ, როგორ ტრიალ–ტრიალით იძირება და უჩინარდება. კარგადაც ჭრიდა – სრულ ოთხ საათზე მეღვიძებოდა. მერე ამავე ხერხით ათი წუთით უფრო ადრეც ვიღვიძებდი – ოთხს რომ ათი აკლდა, ხუთის თხუთმეტზედაც. ერთხელაც არ უმტყუნია.

ზოგჯერ უცნაური, შემადრწუნებელი რაღაცა ამოტივტივდება ხოლმე წყლის ზედაპირზე – ზღვის გველი, ანდა დიდი სიღრმეებიდან დამრული ურჩხული.

მხოლოდ ერთი წელი იქნება გასული კი, რაც მერის ძმა დენისი მოკვდა ჩვენს სახლში, ფარისებური ჯირკვლების დაავადებით. ჯოჯოხეთურ ტანჯვაში დალია სული. მთელ სხეულს შხამად მოედო შიში და, საშინლად შეძრწუნებული, მთლად გამწარდა და გადაირია. მის კეთილ ცხენის თავის მოყვანილობის ირლანდიურ სახეს მხეცის იერი დაედო. ჩავჭიდებდი ხოლმე ხელს, ვამშვიდებდი, სიკვდილის შიშს ვუფანტავდი, და ასე გაგრძელდა მთელი კვირა, მანამ სულ მთლად არ დაებერა ფილტვები. არ მინდოდა მერის ეყურებინა, როგორა კვდებოდა. თავის დღეში არ ენახა მომაკვდავი და ვიცოდი, რომ ამნაირ სიკვდილს შეეძლო სულ გაეფუჭებინა ტკბილი მოგონება კეთილსა და სათნო ადამიანზე. ერთხელ, სასთუმალთან რომ ვუჯექი მომაკვდავს, ჩემი შავი წყლიდან უცებ ურჩხული ამოტივტივდა. ერთბაშად

შევიძულე ეს კაცი. მინდოდა მომეკლა, ყელი კბილებით გამომეღაღრა. ყბები დამეჭიმა, მგონი, კბილებიც დავკრიჭე, სანადიროდ გამოსული მგელივით.

როცა ყველაფერი გათავდა, დანაშაულის შიშით შეპყრობილმა სიკვდილის დასამოწმებლად მოსულ მოხუც ექიმ პილს გავანდე ეს ჩემი გრძნობა.

– ეს, მე მგონი, არცთუ ისე იშვიათი განცდაა, – მითხრა მან, – ბევრის სახეზე წამიკითხავს, მაგრამ ყველას არ უნდა, რომ გამოტყდეს.

– საიდან უნდა გამჩენოდა ასეთი გრძნობა? მიყვარდა ის კაცი.

– იქნებ ატავისტური მოგონების ბრალი იყოს, – მიპასუხა ექიმმა, – იმ დროიდან გამოყოლილი, როცა ჯგუფის დაჭრილი ან ავადმყოფი წევრი საშიშროებას უქადდა ხოლმე ყველას, ზოგი ცხოველები და თევზების უმრავლესობა გლეჯენ და ნთქავენ თავიანთ დაუძლურებულ მოძმეებს.

– მე ხომ ცხოველი არა ვარ... არც თევზი.

– არა, რა თქმა უნდა, არა. და იმიტომაც გეჩოთირებათ. მაგრამ მთელ არსებაში გაქვეთ გამჯდარი, მთელ არსებაში.

– კარგი კაცია ეს ექიმი პილი, გადალასლასებული ბერიკაცი. აგერ ორმოცდაათი წელიწადი იქნება, ამ ქვეყნად მოსულეებსაც გვეგებება და საიქიოსკენაც მიგვაცილებს.

მაგრამ ისევ იმ წყვილიადის სამსჯავროს დავუბრუნდეთ – იქ, ეტყობა, ისე მუშაობენ, რომ დროს არც კი უწევენ ანგარიშს. ზოგჯერ ისე შეცვლილი გეჩვენება კაცი, რომ იტყვი: „აჰ, ამას როგორ იზამდა, მაგისტანა საქმის გამკეთებელი არ არის“. ხომ არაფერი გვეშველება. იქნებ სხვა კუთხით წარმოგვიდგა, ან ზევიდან ქვევით დაწოლამ გაჭყლიტა და ფორმა შეუცვალა. ომში ხშირად შეხვდები ამისთანა რამეს – ლაჩარი უცებ გმირი ხდება, ხოლო გულოვანი ადამიანი შიშით დაიფერფლება. ან არადა, გაშლი დილის გაზეთს და წაიკითხავ, რომ ვიღაც პატიოსან და სათნო ოჯახის კაცს ცოლი და შვილები ნაჯახით დაუჩეხია. ჩემი აზრით, ადამიანი განუწყვეტელ ცვლილებას განიცდის. მაგრამ ზოგჯერ უფრო თვალშისაცემი ხდება ასეთი ცვლილება. უფრო ღრმად რომ გამეთხარა და კარგად მეძებნა, ამ ჩემი ცვლილების თესლს, ალბათ, ჩემივე დაბადების დროინდელ ან უფრო ადრინდელ ფესვებში ვნახავდი. დიდი ხანი არ არის, რომ მრავალი პატარა საგანი თუ მოვლენა შენივთდა და რაღაც დიდი თარგი შეიქნა. ათასნაირმა მოვლენამ და გამოცდილებამ თითქოს ხელი მკრეს, მიბიძგეს და ამაცდინეს ჩემს ნორმალურ გზას, თუ იმას, რასაც მე ნორმალურ გზას ვეძახი – ჩემს ნოქრობას, ცხოვრებაში გაუხარებლობას, უიმედობასა და უპერსპექტივობას, ოჯახის ჩაცმა-დახურვისა და კუჭის ამოვსების ზრუნვით ხელფეხშებორკილობას, ჩვეულებებითა და მდგომარეობით შეზღუდულობას, რაც მე მაღალ ზნეობად და სათნოებადაც კი მიმაჩნდა. ვინ იცის, იქნებ თვითკმაყოფილების

გრძნობაც დამეუფლა, რადგან თავი იმად წარმოვიდგინე, რასაც „კარგ კაცს“ ეძახიან ხოლმე.

რალა თქმა უნდა, ყველაფერი ვიცოდი, რაც ჩემს ირგვლივ ხდებოდა. სულაც არ იყო საჭირო მარულოს ახსნა–განმარტებანი. როგორ შეიძლება, ნიუ–ბეიტაუნისხელა ქალაქში ცხოვრობდე და მისი ასავალ–დასავალი არ გესმოდეს. ბევრს არც ვფიქრობდი ამეებზე. მოსამართლე დორკასი ნაცნობებს მოძრაობის წესების დარღვევის ჯარიმისაგან ათავისუფლებდა, და არც მალავდა ამას. სიკეთეს კი სიკეთით იხდიან ხოლმე. ქალაქის მერი, რომელიც „ბად სამშენებლო კომპანიის“ გამგებელიც იყო, ქალაქში კარგად ძვირად ჰყიდდა სრულიად უსარგებლო და გამოუსადეგარ საგნებს. ახალი ქუჩის მოკირწყვლას თუ დააპირებდნენ, ხელადვე გამოირკვეოდა, რომ მისტერ ბეიკერს, მარულოსა და კიდევ ექვსიოდე იმათთანა გავლენიან საქმოსნებს ჯერ კიდევ მანამდე შეეძინათ ამ ქუჩის გაყოლებაზე მდებარე უბნები, ვიდრე გეგმის გამოცხადებას მოასწრებდნენ. ამისთანა ამბები სავსებით ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ჩემთვის თითქოს სულ სხვა წესები და ჩვეულებები არსებობდა. მარულომ და მისტერ ბეიკერმა, კომივოიაჟერმა და მარჯი იანგ–ჰანტმა, აგრეთვე ჯოი მორფიმ, ყველამ თავისებურად მიბიძგეს, ხოლო თუ ერთად წარმოვიდგენთ მათ ცალკეულ ხელისკვრას, კარგა მაგარი წაბიძგება გამოვიდა, ასე რომ „საჭიროა დრო გამოვძებნო და კარგად ავწონ–დავწონო ყველაფერი“.

ჩემს საყვარელ ცოლს სახეზე არქაული ღიმილი გადაფენოდა და კრუტუნებდა. ეტყობოდა, მოსვენებითა და განცხრომით ეძინა, როგორც ყოველთვის, სიყვარულის შემდეგ, როცა სრული სიმშვიდე მოიცავს ხოლმე.

წინაღმით გარეთ ნახეტიალევს, ახლა მაინც უნდა მძინებოდა, მაგრამ არ მეძინა. დაკვირვებული ვარ, როცა ვიცი, დილით ადრე არ უნდა წამოვხტე, საღამოზე ისე ადვილად როდი დამეძინება. თვალწინ წითელი ლაქები დაცურავდნენ, ქუჩის ფარნის სინათლე თელის ხეებს ეცემოდა და შიშველი ტოტების გამოსახულება ჭერზე ნელა და მძიმედ ირწეოდა, რადგან ქუჩაში გაზაფხულის ქარი ქროდა. ფანჯარა შეღებული იყო და თეთრი ფარდები ღუზაჩაშვებული ნავის აფრებივით იბერებოდა. მერის თეთრი ფარდები უყვარს და ხშირ–ხშირად რეცხავს ხოლმე. მე რომ ვეტყვი, ამ მაქმანიანი ფარდების სიყვარულით შენს ირლანდიურ სულს ამჟღავნებ–მეთქი, მოსაჩვენებლად გამებუსხება.

მეც მშვიდად და მოსვენებულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ჩემი მერი ხელად მიეცემა ხოლმე ძილს, მე კი თვალებზე რული არ მეკარებოდა; რაკი კარგ გუნებაზე ვიყავი, მინდოდა ბარემ დავმტკბარიყავი ამ კარგი განწყობილებით. მინდოდა მეფიქრა იმ კონკურსზე, რაშიაც ჩემი ნაშეიერები აპირებდნენ მონაწილეობის მიღებას. მაგრამ ამ და სხვა ამისთანა ფიქრებს მიღმა ერთი ფიქრი ტრიალებდა – რა მომდის, რა მემართება და როგორ უნდა მოვიქცე? რალა თქმა უნდა, ეს ფიქრი ყველაზე წინ გადმოვწიე და მაშინვე მივხვდი, რომ იმ ბნელი მღვიმის მსაჯულებს ჩემი საქმე უკვე გადაეწვიტათ. მზად იყო გადაწყვეტილება – მტკიცე და გარკვეული. ეს

შეჯიბრებისათვის მზადებასა ჰგავს. როცა გამოხვალ და სტარტზე დადგები, არჩევანი აღარ არსებობს. გაისვრიან თუ არა დამბაჩას, ადგილს უნდა მოწყდე. ვგრძნობდი, რომ ახლაც მზად ვიყავი, დამბაჩის გასროლასდა ველოდი. ეტყობა, ამას ყველაზე ბოლოს მე მივხვდი. ვინც კი შემხვდა იმ დღეს, კარგად ხარო მითხრა, არასოდეს ასე არ ყოფილხარო, უფრო თავდაჯერებული და შეცვლილი ჩანხარო. კომივოიაჟერი აშკარად შეცბუნებული ჩანდა. მარულომაც რაღაც მოუსვენარი თვალებით დამიწყო ყურება. ჯოი–ბოიმ საჭიროდ ჩათვალა, ჩემივე მოქმედების გამო დაეწყო მობოდიშება. ახლა მარჯი იანგ–ჰანტიც, თავისი ჩხრიალა გველით! ალბათ, ის გამოდგა ყველაზე გამჭრიახი. ასე თუ ისე, მან პირველმა შენიშნა და აღმოაჩინა ჩემში რაღაც ისეთი, რაშიაც ჯერ მე თვითონ არ ვყოფილვარ დარწმუნებული. ამის სიმბოლო ჩხრიალა გველია. ვიგრძენი, რომ სიბნელეში ვიჭყანებოდი. მარჯიმ უძველესი ხერხი იხმარა – ღალატის მუქარა, ეს სატყუარას წყალში გადაადგებას ჰგავდა, იმის გასაგებად, თუ რა თევზი იცის იქ. მე აღარ მახსოვდა ტანსაცმლით დაფარული მისი სხეულის იდუმალი ჩურჩული, არა, თვალწინ სულ სხვა სურათი მიცოცხლდებოდა – დაკვანძული ხელის მტევნები, რაც ერთსა და იმავე დროს მის ხნოვანებასაც ამჟღავნებდა, ნერვიულობასაც და იმ გულქვაობასაც, რომელიც მაშინ იმძლავრებს, როცა ადამიანი გავლენას ჰკარგავს.

ზოგჯერ მინდა ღამეული ფიქრების არსს ჩავწვდე, ისინი სიზმრების უახლოესი ნათესავები არიან. ზოგჯერ ჩემ ნებაზე შემიძლია მათი წარმართვა, ზოგჯერ კი აიღებენ თავს, გამოვარდებიან და გაუხედნავი ცხენებივით თავაწყვეტით დაჰქრიან ჩემს სხეულზე.

დენი ტეილორი გამომეცხადა. სულაც არ მინდოდა მასზე ფიქრი და გუნების გაფუჭება, მაგრამ მაინც გამომეცხადა. იძულებული გავხდი ერთი ხერხი გამომეყენებინა, რომელიც ჩემმა სერჟანტმა მასწავლა, მაგრამ და გამოცდილმა მეომარმა. ერთხელაც არ უმტყუნია ამ ხერხს. ომის დროს როგორღაც ერთმანეთში გაითქვიფა დღე, ღამე, კიდევ დღე... ხოლო ამ მთლიანის ყოველი ცალკე ნაწილი შემადრწუნებელი საშინელებებით იყო სავსე. მაშინ, ალბათ, ვერ ვგრძნობდი მთელ იმ სატანჯველს, რადგან ერთი, ფიქრის დრო არ მექონდა და მეორეც – დაღლილობისაგან გასავათებული ვიყავი. მაგრამ დრო გადიოდა და მთელი ეს მასა – დღე, ღამე და დღე – თავიდან აღარ მშორდებოდა, ღამის ფიქრებს მიწეწავდა, ბოლოს კი იმ ავადმყოფობად მექცა, რასაც უწინ კონტუზიას ეძახდნენ, ახლა კი ნერვული შოკი შეარქვეს. როგორ ვცდილობდი, როგორმე თავიდან ამომეგდო, მაგრამ არა და არ მშორდებოდა. დღისით მადროვებდა ხოლმე, მაგრამ დაბნელებოდა თუ არა, ხელად მეტაკებოდა. ერთხელ, ვისკით შეხურებულმა, ჩემს სერჟანტს შევჩივლე. გამოცდილი და გამოწრთობილი მეომარი იყო, იმდენი ომი გადაეხადა, მკერდზე ღილების ადგილი აღარ რჩებოდა – მაიკ პულასკი, ჩიკაგოელი პოლონელი, ოღონდ იმ ცნობილი გმირისა არაფერი ყოფილა. რადგან ისიც დაკანონებულ რწმენას მისდევდა – ოფიცერთან დაძმაკაცება არ შეიძლება.

მაიკი შუბლში მომშტერებოდა და ისე მისმენდა.

– ვიცი, – თქვა მან, – ეს მეც ვიცი. მთელი უბედურება ის არის, რომ გინდა თავიდან მოიშორო ეს ფიქრი და ვერ იშორებ. ვერც მოიშორებ. პირიქით, უნდა შეხვდე.

– როგორ თუ შეხვდე?

– ადექი და შენ თვითონ სცადე, თავიდან ბოლომდე მოიგონო ყველაფერი – როგორც მოხდა, იმ თანმიმდევრობით. გეწვევა თუ არა მაგნაირი ფიქრი, თავიდან დაწყებული სულ ბოლომდე ადადგინე გონებაში. მალე თვითონვე მოსწყინდება და ჯერ ნაწილ–ნაწილ მოგშორდება, მერე კი სულაც დაგანებებს თავს.

ვცადე და მართლაც მიშველა. არ ვიცი, ექიმებმა თუ იციან ეს, მაგრამ ურიგო არ იქნება გაიგონ. გამომეცხადა თუ არა დენი ტეილორი, მაშინვე სერჟანტ მაიკის ხერხი ვიხმარე.

მახსოვს, ბავშვები რომ ვიყავით – ერთი კბილა, სიმაღლითაც ერთნაირი, წონითაც – თივა–ქერის დუქანში შევიდოდით, მთავარ ქუჩაზე, და სასწორზე შევდგებოდით. ერთ კვირაში მე გავასწრებდი ნახევარი გირვანქით, მეორეში – დენი დამეწეოდა. სულ ერთად ვიყავით – ერთად ვთევზაობდით, ერთად ვნადირობდით, ერთად ვბანაობდით და გოგოებიც საერთო გვყავდა. დენიანები შეძლებული ხალხი იყო, როგორც ნიუ-ბეიტაუნელი ყველა ძველი ოჯახი. სწორედ ის თეთრი, მაღალსვეტებიანი სახლია ტეილორებისა, პორლოკ–სტრიტზე რომ დგას. ერთ დროს სოფლადაც ჰქონდათ სახლი, ქალაქიდან სამიოდე მილის დაშორებით.

ჩვენს ქალაქს მთავორიანი ადგილები აკრავს – დაბალი ნაძვნარი, ცოტა უფრო მოზრდილი მუხნარი, ზოგან კაკალი და კედარიც მოშენებულა. ოდესღაც, ჩემამდე დიდი ხნით ადრე, უზარმაზარი მუხები ყოფილა ამ ტყეებში. ჭრიდნენ და ჭრიდნენ თურმე – იქვე ჰკრავდნენ გემებს, შორს წასვლა არ სჭირდებოდათ, მანამ სულ არ გააჩანაგეს. ერთადერთი პატარა მდელო იყო ამ მომხიბლავ გორაკებს შორის და სწორედ იქ ედგათ სახლი ტეილორებს. ეტყობა, ძველად აქ ტბა იყო, რადგან მინდორი მაგიდასავით გლუვი და სწორია, ხოლო ირგვლივ პატარ–პატარა გორაკები აქვს შემოჯარული. სამოცი წლის წინ ტეილორების სახლი გადაბუგულა, მერე აღარავის მოჰგონებია აშენება. ბავშვობაში, შევსხდებოდით დენი და მე ველოსიპედებზე და იქითკენ გავწევდით. ჩავძვრებოდით ქვის სარდაფში და ვთამაშობდით. ძველი საძირკვლის აგურისაგან მონადირის ქოხებს ვაგებდით. ეტყობოდა, დიდებული ბალები ექნებოდათ. უკან მობრუნებულნი ტყეების ბუჩქნარში მაშინაც ვამჩნევდით ძველი ხეივნების კვალსა და საზღვრებს. აქა–იქ აშკარად ჩანდა ძველი ბალუსტრადების ნანგრევები, ხოლო ერთხელ პანის ბიუსტსაც წავაწყდით. პირჩამხობილი ეგდო, რქები და წვერი მიწაში ჰქონდა ჩაფლული. ამოვიღეთ, გავწმინდეთ და ისევ კვარცხლბეკზე გამოვასკუპეთ. ერთ ხანს დიდი პატივისცემითაც ვეპყრობოდით, მაგრამ შემდეგ სიხარბემ თუ გოგოების ინტერესმა იმძლავრა და პანი გადაგვავიწყდა. ბოლოს, ურმით ფლადჰამპტონში წავაბრძანეთ ის

ჩვენი პანი და ვიღაც მეძველმანეს ხუთ დოლარად მივყიდეთ. ეტყობა, კარგი ნამუშევარი იყო, იქნებ ძველისძველიც.

დენი და მე დამეგობრებულები ვიყავით, როგორც ბიჭებს სჩვევიათ ხოლმე. მერე ის საზღვაო აკადემიაში შევიდა. რამდენიმე წელი ისე გავიდა, მხოლოდ ერთხელ ვნახე ფორმაში გამოწყობილი. ნიუ-ბეიტაუნის პატარა ქალაქია, ყველამ იცის ერთმანეთის ასავალ-დასავალი. დენის გამორიცხვის ამბავიც ყველამ გაიგო, მაგრამ სალაცხოდ არავის გაუხდია. ტეილორები გადაშენდნენ, ისევე როგორც ჰოულები. მთელი გვარიდან მელა დავრჩი და ჩემი შვილი ალენი, რაღა თქმა უნდა. მანამ მთლად არ გადაშენდნენ, დენი არ დაბრუნებულა, ხოლო როცა დაბრუნდა, უკვე გალოთებული იყო. ერთი პირობა, დავებმარები-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ არ გამიკარა. არც არავინ გაიკარა. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ახლობლები ვიყავით, ძალიან ახლობლები.

ყველაფერი გავიხსენე, რისი გახსენებაც კი შეიძლებოდა. იმ დილას რომ დოლარიანი მივეცი, არც ის დამვიწყნია.

ჩემი ასეთი შეცვლა რამდენიმე რამემ განაპირობა – საკუთარმა გრძნობებმა, გარედან დაწოლამ, მერის სურვილებმა, ალენის მოთხოვნა, ელენის გაგულისებამ, მისტერ ბეიკერის რჩევამ. მხოლოდ ბოლო წუთებში, როცა ყველაფერი მზად არის, ფიქრი სახურავს დაადგამს იმ შენს შენობას და თავის გასამართლებელ სიტყვებს გამოგიძებნის. ვთქვით, ეს ჩემი პატარა სამსახური – ნოქრობა – რასაც ბოლო აღარ უჩანს, სათნოება სულაც არ არის და მხოლოდ სიზარმაცითაა გამოწვეული?! ყოველგვარ წარმატებას გულოვნება სჭირდება. იქნებ მე ბუნებით ლაჩარი ვარ, სულ იმის მეშინია, ვაითუ სხვაგვარად გამოვიდეს-მეთქი... ერთი სიტყვით, იქნებ ზარმაცი ვარ. ვისაც კი წარმატებისათვის მიუღწევია ამ ჩვენს ქალაქში, განა ბევრი დავიდარაბა დასჭირვებია, ან განსაკუთრებული საიდუმლოებით ყოფილა მოცული. კაცმა რომ თქვას, არც ისე უსაშველოდ დიდი წარმატება ეთქმის, რადგან მოქმედების გზაზე თვითონვე იქმნიან ხოლმე ხელოვნურ ზღუდეებს. მათი დანაშაული წვრილი დანაშაულია და ამიტომ წარმატებაც წვრილი გამოსდით. ვინმე რომ ჩაუჯდეს და საფუძვლიანად გამოარკვიოს ნიუ-ბეიტაუნელ ხელისუფალთა და ფინანსისტთა საქმიანობა, კანონის ასობით დარღვევასა და ათასობით ზნეობრივ შეცოდებას აღმოაჩენს. მაგრამ სულ წვრილმანი იქნება ყველაფერი, ჯიბის ქურდობას არც ერთი არ აღემატება. მხოლოდ ერთი ნაწილი უგულვებელყვეს ათი ცნებისა, დანარჩენი არ შეუბღალავთ. როცა რომელიმე ჩვენი საქმოსანი თავის დასახულ მიზანს მიაღწევდა და საჭირო თუ სასურველ წარმატებას მოიპოვებდა, ისევ ძველ სათნოებას დაუბრუნდებოდა ხოლმე, ვითომც არაფერიო. თითქოს პერანგი გამოეცვალოს და სხვა არაფერი. ზნეობრივად არავითარ შეწუხებასა და შევიწროებას არ განიცდიდა, რადგან დარწმუნებული იყო, საწადელს ისე ეწია, არავის შეუნიშნავს. დაფიქრებულა კი რომელიმე მათგანი ამაზე? არ ვიცი. მაგრამ თუკი წვრილმან ცოდვებს აპატიებენ თავიანთივე თავს, დიდმა, ერთბაშად მამაცურად ჩადენილმა ცოდვამ რაღა დააშავა? ტანჯვა-წამებით ადამიანისათვის სულის ამორთმევა უფრო კარგია, თუ დანის ერთი მაღლიანი მოქნევით გათავება? მე, პირადად, სულაც არ მიმაჩნდა თავი დამნაშავედ,

გერმანელებს რომ ვხოცავდი. ვთქვით, ცოტა ხნით ადრე სულ დავარღვიე, რაც კანონები არსებობს, და არა რამდენიმე მათგანი. ნუთუ მიზნის მიღწევის შემდეგ ველარ აღვიდგენ მათ? ბიზნესიც ხომ ერთგვარი ომია, ეს ცხადზე უცხადესია. მაშ მშვიდობის მისაღწევად რატომ ტოტალურ ომს არ გამოაცხადებენ? მისტერ ბეიკერსა და მის მეგობრებს მამაჩემისთვის თოფი არ უსვრიათ, მაგრამ რჩევა მისცეს, ხოლო როცა მისი აშენებული შენობა დაინგრა, თავად ხელი მოითბეს. ესეც ხომ ერთგვარი მკვლელობაა! ნუთუ ის დიდი სიმდიდრე, რასაც ჩვენ თაყვანსა ვცემთ, საშინელი გულქვაობისა და სისასტიკის გამოუჩენლად დაგროვდებოდა? არა მგონია.

ვთქვით, ავდექი და დროებით სულ დავივიწყე მთელი კანონები. ვიცი, რომ დავიჭრები, ისე ამას ვერ მოვახერხებ. მაგრამ რითია ეს ჭრილობა გამუდმებული მარცხის ჭრილობებზე უარესი, რასაც მე აგერ რამდენი ხანია ვატარებ? თუ ცოცხლობ, ჭრილობებსაც ვერ მოიშორებ, ასე არ იქნება.

ჩემი გუნება მღელვარე და მოუსვენარი ფიქრებისაგან ნაგებ შენობაზე დადგმულ ფლიგელსა ჰგავდა. ასე უნდა მოხდეს, რადგან მუდამ ასე ხდება. მაგრამ ერთხელ რომ გავაღებ იმ კარს, მოვახერხებ კი მერე მის დაკეტვას? არ ვიცი და, სანამ არ ვსინჯავ, ვერც გავიგებ... მისტერ ბეიკერმა იცოდა, ნეტა? ან ოდესმე თუ უფიქრია მისტერ ბეიკერს ამაზე?.. ძველი კაპიტანი დარწმუნებული იყო, რომ ბეიკერებმა დაზღვეულობის გამო დასწვეს „ბელ-ადერი“. იქნებ სწორედ ამან და მამაჩემის გაუბედურებამ აფიქრებინა მისტერ ბეიკერს მე დამხმარებოდა! ეს არის ნეტა მისი ჭრილობები?

ჩემი ახლანდელი მდგომარეობა დიდ გემს შეიძლება შეადარო – ეწვეიან, არყევენ, ატრიალებენ, ათასი ბუქსირი დასევია და უნდათ როგორმე დასძრან. ერთი თუ დაიძრა და ტალღებს მიჰყვია, მერე თავის გზას დაადგება და ძრავებიც თავისით იმუშავებენ. შენ შუაში იდგები, კაპიტნის ბოგირზე და საკუთარ თავს ეტყვი: დიახ, ახლა კი ვიცი, საითაც მივდივარ. მაგრამ საქმე ისაა, როგორ ჩააღწევ, წყლით დაფარული მეჩჩეები სად არის, ან ამინდი რას მიმზადებს?

ერთ-ერთი საბედისწერო რიფი – ყბედობაა. ეს ვიცი. დიდების გამწარებით ძებნაში, – როგორი დიდებაც არ უნდა იყოს ეს, თუნდა სასჯელის ფასად მოპოვებული, – რამდენს გაუცია საკუთარი თავი, ვიდრე სხვა მოასწრებდა მის გაცემას. მარტო ანდერსენის ჭას თუ შეიძლება ენდოს კაცი – ანდერსენის ჭას!

ძველ კაპიტანსაც გადავძახე „მივყვე ამ დინებას, სერ? უხიფათოა? მივაღწევ ბოლომდე?“

და პირველად მოხდა, რომ ძველ კაპიტანს გარკვეული პასუხი არ მოუცია. „შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო. რაც ერთისთვის კარგია, მეორისთვის იქნებ ცუდი გამოდგეს. წინასწარ ამას ვერ განჭვრეტ“.

კი შეეძლო რამე ერჩია იმ გადამღრმვალ ბერიკაცს, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ამითაც არაფერი შეცვლილიყო. რჩევა არავის არ ეპიტნავენა - ყველას კვერის დაკვრა ურჩევნია.

თავი მეშვიდე

როცა გავიღვიძე, ჩემი ძილისგუდა მერი უკვე ამდგარიყო და გასულიყო, ყავასა და ბეკონს ამზადებდა. სუნი ლოგინში მომივიდა. მერე რა დღე იყო! აღდგომისათვის ამაზე უკეთესს, სანთლით რომ ეძებო, ვერ ნახავ – სულ მწვანე, ცისფერი და ყვითელი დღე. ოთახის ფანჯრიდან ვხედავდი, ყველაფერს ფრთა შესხმოდა და აღმდგარიყო – ბალახებს, ხეებს... მართლაც რომ შესაფერი დრო გამოუძებნიათ ამ დღესასწაულისათვის. ჩემი საშობაო ხალათი ჩავიცვი და ფეხები დაბადების დღეს ნაჩუქარ ფაჩუჩებში ჩავყავი. სააბაზანოში თმის ვაზელინი ვნახე, რომელსაც ალენი ხმარობს ხოლმე, წავითხიპნე და ისეთი გამიხდა თმა, თითქოს მაგრად შემოჭერილი რეზინის ქუდი ჩამომეფხატოს თავზე.

სააღდგომო საუზმე ნამდვილი ორგაა – სუფრაზე დახვავებული კვერცხები და მაკკატები, შეწვის დროს დაგრეხილი ლორი. მერის წამოვეპარე და აბრეშუმის კაბაში გახვეულ თემოზე მოვუთათუნე ხელი „Kyrie eleison. „

– ოჰ! – შეჰკვივლა მერიმ, – როგორ მომეპარე! – ჩემი შოტლანდიური ხალათი შეათვალიერა, – კოხტად გადგას, – მითხრა მან, – რატომ არ იცვამ ხოლმე?

– როდისღა უნდა ჩამეცვა? მქონდა მაგისი დრო?

– მართლაც ლაზათიანია.

– რატომ არ უნდა იყოს. შენი არჩეულია. ბავშვებს კიდევ სძინავთ? საჭმლის სუნმა მაინც არ გააღვიძა!

– რას ამბობ. ეზოში გავარდნენ, კვერცხებს მალავენ. ნეტა მისტერ ბეიკერს რა უნდა?

ამისთანა მოულოდნელი შეკითხვა მუდამ გამაყეყეჩებს ხოლმე.

– მისტერ ბეიკერი, მისტერ ბეიკერი. ჰო! ალბათ უნდა, რომ ცხოვრების მოწყობაში დამეხმაროს.

– უთხარი? კარტის ამბავი უთხარი?

– მაგას როგორ ვეტყვოდი, ჩემო ძვირფასო, იქნებ თავისით მიხვდა, – მერე უკვე სერიოზულად ვუთხარი, – მოიხედე, ჩემო ხაჭაპურო, ეჭვი ხომ არ გეპარება, რომ მე დიდი საქმოსნის ტვინი მაქვს?

- ვითომ რაო? – ტაფაზე მაჭკატს აბრუნებდა და ჰაერშივე გაუშემდა.
 - მისტერ ბეიკერი აღარ მეშვება – უნდა, რომ შენი ძმის ფული დავაბანდო.
 - მისტერ ბეიკერი თუკი გეუბნება...
 - რას ამბობ! მაგას როგორ ვიზამ! შენი ფულია და შენ სახელზევე უნდა დარჩეს.
 - მისტერ ბეიკერმა შენზე მეტი აღარ იცის, ძვირფასო?
 - არა მგონია. მამაჩემიც ასე ფიქრობდა. და იმიტომაცა, მარულოსთან რომ ვმუშაობ.
 - მე მაინც მგონია, რომ მისტერ ბეიკერი...
 - მე არ მენდობი, ჩემო საყვარელო?
 - როგორ თუ არ გენდობი...
 - ყველაფერში?
 - ისევ შენებური დაიწყე?
 - სერიოზულად გეუბნები... სავსებით სერიოზულად!
 - მჯერა, მაგრამ მისტერ ბეიკერზე მაინც არ უნდა დაეჭვდე. ბოლოს და ბოლოს... ის კაცი...
 - ის კაცი მისტერ ბეიკერია. ჯერ მოვუსმინოთ, რას გვეტყვის. მერე კი... ის ფული ისევ ბანკში იდოს.
- ალენი შურდულივით შემოვარდა უკანა კარიდან.
- მარულო, – იყვირა მან, – მისტერ მარულო მოვიდა. შენი ნახვა უნდა.
 - ნეტა რა დაესიზმრა? – იკითხა მერიმ.
 - სთხოვე, შემოვიდეს.
 - ვთხოვე, მაგრამ გარეთ გამოვიდესო.
 - ნეტა რა უნდა, ითენ? ხალათით ხომ არ გახვალ ამ აღდგომა დღეს?
 - ალენ, მისტერ მარულოს უთხარი, ჯერ არ ჩაუცვამს–თქო, ცოტა უფრო მოგვიანებით შემოიაროს. თუ საჩქარო საქმე აქვს და ცალკე უნდა ჩემი ნახვა, წინა კარიდან შემოვიდეს.
- ალენი მაშინვე გაქრა.
- ნეტა რა უნდა? დუქანი ხომ არ გაუქურდავთ!

ალენი ისევ შემოვარდა.

– წინა კარიდან შემოდის.

– თუ ღმერთ გწამს. საუზმე არ ჩააშხამებინო. გესმის?

გავედი, მთელი სახლი გავიარე და წინა კარი გავაღე. პარმაღზე მარულო იდგა, სააღდგომოდ საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი, მისი საუკეთესო ტანსაცმელი კი, აი, რა იყო: შავი შევიოტის კოსტიუმი თავისი ჟილეტით, ჟილეტზე დიდი ოქროს ძეწკვი საათისა; ხელში შავი შლიაპა ეჭირა და საცოდავად მილიმოდა – ძაღლს რომ გაუჯავრდები და შემოგხედავს.

– მობრძანდით.

– არა, – მითხრა მან. – ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი... გავიგე იმ ვაჟბატონს რაღაც შემოუთავაზებია.

– ჰოო?

– ისიც გავიგე, როგორ გიფრენია.

– ვინ გითხრათ?

– მაგას ვერ გეტყვი, – ისევ გამიღიმა.

– მერე? მგონი, იქითკენ უმიზნებთ, რომ უნდა დავთანხმებოდი.

ნაბიჯი წინ წამოდგა, ხელი ჩამომართვა და ერთი-ორჯერ შინაურულად მაგრად ჩამომწია.

– კარგი ბიჭი ხარ, – მითხრა მან.

– იქნებ ცოტა შემომადლია?!

– რას ბავშვობ? შენ კარგი ბიჭი ხარ. მორჩა და გათავდა. კარგი ბიჭი ხარ. – გამობერილ ჯიბეში ხელი ჩაიყო და პატარა პარკი ამოიღო. – აჰა, ჩამომართვი, – მერე ბეჭებზე ხელი მომითათუნა და, საშინლად დაბნეული, შებრუნდა და სწრაფად წავიდა. კოტიტა ფეხებს სასაცილოდ მიაჩაჩუნებდა, ჩამსხვილებული ქეჩო თეთრ გახამებულ საყელოს ზევიდან გადმოსჯდომოდა.

– რა მინდაო?

– პარკში ჩავიხედე – სააღდგომო კვერცხებივით აჭრელებული მრგვალი კანფეტები. დუქანში მთელი დიდი მინის ქილა მქონდა გამოტენილი ასეთი კანფეტებით.

– ბავშვებს საჩუქარი მოუტანა.

– მარულომ? საჩუქარი მოუტანა? რაღაც არა მჯერა.

– ნამდვილად.

– რა დაესიზმრა? როდის იყო საჩუქრები მოჰქონდა!

– ეტყობა, ძალიან ვუყვარვარ.

– ისეთი ხომ არაფერია, მე რომ არ ვიცოდე?

– იხვის ჭუჭულო, რვა მილიონი რამეა ქვეყნად, რისიც ჩვენ არაფერი გაგვეგება.

ბავშვებს სამზარეულოს კარებში გამოეყოთ თავი და შემოგვეყურებდნენ. პარკი გავუწოდე.

– აგერ, თქვენმა პატივისმცემელმა საჩუქარი მოგართვათ, ოღონდ ახლავე ნუ მივარდებით. ჯერ ისაუზმეთ.

– ეკლესიაში წასასვლელად რომ ვემზადებოდით, მერიმ თქვა.

– ნეტა გამაგებინა, რა მოხდა, რა დაესიზმრა?

– მარულოს? უნდა გამოგიტყდე, ჩემო ძვირფასო, რომ მეც ძალიან მაინტერესებს.

– ეს უბრალო კანფეტები...

– ალბათ, თავის უბრალოება უნდოდა ეჩვენებინა.

– ვერა გამიგია რა.

– ცოლი მოუკვდა. შვილი არა ჰყავს და ძირი. სიბერეში შედის, იქნებ... ვინ იცის, იქნებ მარტოობამ შეაწუხა.

– ერთხელაც არ მოსულა ჩვენთან. მანამ მარტოობა აწუხებს, შენც ადექი და ხელფასის მომატება სთხოვე. მისტერ ბეიკერთანაც არ დადის. მთლად ამაფორიაქა.

მინდვრის ყვავილივით მოვერთე – დიდებული შავი სამგლოვიარო კოსტიუმში, თეთრი პერანგი და საყელო – ისე გახამებული, რომ მზის სხივებს ირეკლავდნენ და მზესავე უბრუნებდნენ, ცისფერი წინწკლებიანი ყელსახვევი.

ამ მარჯი იანგ–ჰანტს რა მოუვიდა – ბებიამისივით ხომ არ ჯადოქრობს? ან მარულომ საიდან გაიგო ის ამბავი? ერთადერთი გზა ეს არის: მისტერ ბიგერსმა – მისის იანგ–ჰანტს, მისის იანგ–ჰანტმა კი – მარულოს! ვერ გენდობი, მარჯი იანგ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვერ გენდობი, მისის იანგ, თითქოს გონებაში წავიმღერე ეს და ბაღში გავიარე, რომ მკერდზე დასამაგრებლად რამე თეთრი ყვავილი შემერჩია. სახლის საძირკველსა და სარდაფის კარებს შორის ერთი პატარა კუთხე გვაქვს, ზამთრის მზის სხივები სულ იმ კუთხეში ეცემა ხოლმე, თან სათბური ქვაბიც იქვე ახლოს არის

და მიწას ათბობს. აქ თეთრი ყოჩივარდები ხარობს. ოდესღაც მამა-პაპათა საფლავებიდან გადმორგული სამი პაწაწინა ლომისთავა ყვავილი, ჩემთვის მოვწყვიტე გულზე დასაბნევად, და ბარე თორმეტი – ჩემი საყვარელი მერისათვის. გარშემო თავისივე მომწვანო ფოთლები შემოვუწყე და ქვემოდან ვერცხლის ქალაქი შემოვუჭირე.

– რა ლამაზია! – თქვა მერიმ, – დამაცადე, ქინძისთავს მოვძებნი და დავიბნევ.

– ეს პირველი იაა, ჩემო თეთრო ჩიტუნია, პირველი მახარობელი. მე მონად მიგულე. ქრისტე აღსდგა. რა კარგია ეს ღვთის გაჩენილი ქვეყანა!

– ჩუმად, ჩემო ძვირფასო, ამ წმინდა რამეს ნუ ამასხარავებ.

– თმისთვის რა გიქნია?

– მოგწონს?

– დიდებულია. სულ ასე დაივარცხნე ხოლმე.

– ვაითუ არ მოეწონოს–მეთქი, მეშინოდა. ვერც კი შენიშნავსო, - მარჯი მეუბნებოდა. ნახე, რა ვუთხრა! – ყვავილების მთელი ვაზა დაიდგა თავზე ეოსტრეს[9] ყოველწლიური საგაზაფხულო ძღვენი. – მოგწონს?

– ძალიან.

ამის შემდეგ ნორჩი თაობის შემოწმება დაიწყო: ყურები, ცხვირი, ფეხსაცმელები. მაგრად გვიძალიანდებოდნენ, მაგრამ მაინც გაფაციცებით შევამოწმეთ. ალენს ისე გადაეგლისა თმა ვაზელინით, რომ თვალების დახამხამებაც აღარ შეეძლო. ფეხსაცმლის ქუსლები გაუწმენდავი დარჩენოდა, სამაგიეროდ თმა დაემუშავებინა გულმოდგინედ, ქოჩრის ერთი სვრელი წამოელო და გამობურცულ შუბლზე ტალღასავით დაეწყო.

ელენი ნამდვილი გოგონაა. ყველაფერი კობტად და კოპწიად ადგას. მე ისევ ვცადე ბედი.

– ელენ, – ვუთხარი, – თმისთვის რა გიქნია, სულ სხვანაირად დაგივარცხნია. გიხდება კი. შენ არ მოგწონს, მერი გენაცვალე?

– ო! ელენმა უკვე კობტაობა დაიწყო.

ჩვენი პროცესია დაიძრა და თელის ქუჩას დაუყვა. მერე პორლოკზე გავედით, სადაც ეკლესია დგას, ჩვენი ძველი თეთრსამრეკლოიანი ეკლესია. მთლიანად ქრისტოფერ რენისგან[10] გადმოღებული. შევუერთდით საერთო მდინარეს და ახლა ქალებს საშუალება მიეცათ ერთმანეთის შლიაპის ცქერით ესიამოვნათ.

– სააღდგომო შლიაპის ფასონი მოვიგონე, – ვთქვი მე, – ოქროს ეკლებისაგან შეკრული სადა გვირგვინი და წინ ნამდვილი ბადახშის თვლები.

– ითენ! – გამიჯავრდა მერი, – ვინმემ რომ ყური მოკრას!

– თუმცა დიდი გასავალი არ ექნება ამ ფასონს.

– სამაგელი კაცი ხარ, – მითხრა მერიმ.

მართლაც რომ სამაგელი ვარ. სამაგელზე უარესიც. მაგრამ უცებ თავში გამიელვა – მისტერ ბეიკერს რომ თმის ვარცხნილობა მოვუწონო, ნეტა რას იტყვის–მეთქი.

ჩვენი ოჯახის ნაკადული სხვა ნაკადულებს შეუერთდა, ღირსეულ მისაღმებებს ღირსეულადვე ვუპასუხებდით ხოლმე, და მერე ამ მდინარემ წმიდა თომას მომალლო ეპისკოპალურ ეკლესიაში იწყო დენა.

– როცა დრო მოვა, და საჭირო გახდება ჩემს ვაჟიშვილს ცხოვრების მთელი საიდუმლო გავაცნო, – რაც მან, ეჭვი არ მეპარება, უკვე მშვენივრად იცის, – არ უნდა დავივიწყო და ქალის თმის ვარცხნილობაზეც უნდა ვუთხრა რამე. თმის ქება თუ კარგად შეითვისა, ყველაფერს მიაღწევს, რასაც კი მისი ავხორცული გული მოიწადინებს. უნდა კარგად გავაფრთხილო: რაც უნდა, ის უქნას ქალს – ჭიტლაყი ამოჰკრას, სცემოს, წააქციოს, ხელი ჰკრას – ოღონდ თმას ნუ აუწეწავს, ამას ნურასდიდებით ნუ იზამს. ეს თუ შეიგნო, მეფე გახდება.

ბეიკერები სწორედ ჩვენ წინ ადიოდნენ კიბის საფეხურებზე და მოწიწებით მივესალმეთ ერთმანეთს.

– იმედი მაქვს, ჩაიზე გვეწვევით.

– გმადლობთ. უსათუოდ. ქრისტე აღსდგა!

– ეს ალენია? რამხელა გაზრდილა! მერი–ელენიც როგორ შეცვლილა. ისე აშოლტილან, თვალსაც ვეღარ უწვდენ კაცი.

რა ძვირფასია ეკლესია, სადაც გაზრდილხარ და დაკაცებულხარ. ყოველი კუთხე და კუნჭული, ყოველი იდუმალი სურნელი ვიცი წმიდა თომას ეკლესიისა. ამ ემბაზში მომნათლეს, აი იქ პირველი ზიარება მივიღე, ამ მწკრივში, ღმერთმა უწყის, რამდენი ხანია ჰოულების საგვარეულო ზის, – ცარიელი სიტყვები კი არ გეგონოთ! ეტყობა, მტკიცედ ჩაინერგეს ღვთისმოსაობა, რადგან ყოველი ჩემი შეცოდება დიდებულად მახსოვს, ასეთი შეცოდებანი კი ბლომად ჩამიდენია. მე მგონი, ყველა ადგილს მივაგნებ, სადაც ლურსმნით მაქვს ამოფხაჭნილი ჩემი ინიციალები. როცა დენი ტეილორი და მე ლოცვანზე ქინძისთავით ერთ ბინძურ სიტყვას ვწერდით, უცებ მისტერ უილერმა ჩაგვავლო და მკაცრად დაგვსაჯეს. მერე იძულებული გახდნენ ფურცელ–ფურცელ გაესინჯათ მთელი ლოცვანები და ფსალმუნები, კიდევ არ ჰქონდეთ რამე მიწერილიო.

ერთხელ, იმ სკამზე, მედავითნის საწიგნის მახლობლად, საშინელი ამბავი დატრიალდა. მაშინ ეკლესიაში ვმსახურობდი, ხელში ჯვარი მეჭირა და წვრილა ხმით ვგალობდი. იმ დღეს ეპისკოპოსი სწირავდა ჩვენთან, სასიამოვნო ბერიკაცი, რომელსაც ერთი ღერი თმა აღარ შერჩენოდა, თავი მოხარშულ ხახვს მიუგავდა, თუმცა მე პირადად წმიდა შარავანდად მეჩვენებოდა. გალობა რომ შეწყდა, ექსტაზში შესულმა და გაბრუებულმა, ჯვარი ადგილზე დავასვენე და ის კი დამავიწყდა, რომ სპილენძის სამაგრით გადამეკეტა. მეორე დამოდღვრების შემდეგ ჯვარი წამოვიდა და, ჩემდა სავალალოდ, პირდაპირ იმ წმიდა მოტველილ თავს არ დაეცა! ეპისკოპოსი მაშინვე ნაჯახით თავგაპობილ ძროხასავით გაიშხლართა და მეც დავკარგე ჩემი სამსახური – პატარა ბიჭს გადააბარეს, გვარად ჰილს, რომელსაც მეტსახელად აქოთებულს ეძახდნენ და რომელიც გალობაში ოდნავადაც კი ვერ შემედრებოდა. ახლა იგი ანთროპოლოგია, სადღაც დასავლეთის შტატებში მუშაობს. მაშინ დავრწმუნდი, რომ ცარიელა განზრახვას – კეთილი იქნება თუ ბოროტი – არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყველაფერი ბედსა და იღბალზე, თუ რაღაც სხვაზეა დამოკიდებული.

წირვა მოვისმინეთ და ბოლოს პირდაპირ გამოგვიცხადეს, ქრისტე ჭემმარიტად აღსდგაო. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. სულ ასე მომდის ხოლმე, ამ სიტყვების გაგონებაზე. სასოებით მივიღე ზიარება. ალენსა და მერი–ელენს ჯერ კიდევ არ მიეღოთ კონფირმაცია და ვეღარ მოესვენათ, ისე წრიალებდნენ, რომ საჭირო გახდა თვალების ისრით გაექვავებინათ ადგილზე: მერიმ თუ დაიბღვირა, ყმაწვილური თავგასულობის ჯავშანსაც კი გახვრეტს.

მერე მზის გულზე გამოვედით, შეიქნა ხელისჩამორთმევა და მისალმება, ხელისჩამორთმევა და მილოცვა. ეკლესიაში შესვლის წინ ხომ მივესალმეთ ერთმანეთს, ახლა განმეორებით ვუსურვეთ ყოველივე კარგი და კეთილი, და ესეც თითქოს წირვის გაგრძელება იყო, იმ დაუსრულებელი წირვისა, რითაც ჩვენი თავაზიანობა გვინდა გამოვხატოთ, და რაც ფარულ მუდარასაც შეიცავს ხოლმე – მეც შემამჩნიე და პატივი მეციო.

- დილა მშვიდობისა. როგორა ბრძანდებით, დღესასწაულს როგორ ატარებთ?
- გმადლობთ, ძალიან კარგად. დედათქვენი როგორ ბრძანდება?
- მომიხუცდა... მომიხუცდა... რა სიკეთე ყრია სიბერეში! თქვენს მოკითხვას გადავცემ.

სიტყვები თავისთავად კი არაფერს ნიშნავს, მაგრამ გრძნობას გამოხატავს. ფიქრი განსაზღვრავს ჩვენს მოქმედებას თუ გრძნობები? და ფიქრი ზოგჯერ იქნებ ხელს გვიწყობს, შესრულებაში გვშველის?! ჩვენს პატარა პროცესიას, ამ მზიან ქუჩაში, მისტერ ბეიკერი მიუძღოდა, და ძალიან ფრთხილობდა, დახეთქილ ტროტუარში ფეხი არ ჩავარდნოდა. დედამისს, რომელიც ამ ოცი წლის წინ გარდაიცვალა, შეეძლო მოსვენებით წოლილიყო საფლავში. მის გვერდით ამელია მიბაკუნობდა, ქალბატონი

ბეიკერი, და ცდილობდა ქმრის არათანაბარი ნაბიჯისათვის აეწყო ფეხი, – პატარა, ქროდათვალეზა ჩიტი, ოღონდ ხელზე გამოკვებილი ჩიტი.

ჩემი ბიჭი ალენი დას მიჰყვებოდა გვერდით, მაგრამ ერთსაც და მეორესაც თავი ისე ეჭირათ, თითქოს სულაც არ იცნობდნენ ერთმანეთს. მე მგონი, ელენს ეზიზღება ძმა, ალენს კი, თავის მხრით, სძულს ელენი. იქნებ ბოლომდეც ასე გაგრძელდეს, მანამ თავიანთი გრძნობების დაფარვას შეეჩვეოდნენ საალერსო სიტყვებით. მართვი ხოლმე, ჩემო დაო, ჩემო ცოლო, ყოველდღიურად საუზმე – მაგრად მოხარშული კვერცხი და მწნილი, არაქისის, კარაქისა და ჯემის სენდვიჩები, კასრის სუნდაკრული წითელი ვაშლები, და გაუშვი ამ დიდ ქვეყანაზე, რათა განაყოფიერდნენ და გამრავლდნენ.

მერიც ამას აკეთებს! ესენი კი მოდიან, მოაქვთ საუზმის პარკები, თავთავიანთ განცალკევებულ სამყაროში მიაბიჯებენ.

– წირვა არ მოგეწონა, ჩემო ძვირფასო?

– როგორ არა! წირვას რა მომაბეზრებს, მაგრამ... ზოგჯერ შენზე მეპარება ეჭვი... ნამდვილად თუ სწამს–მეთქი ღმერთი... მართლა გეუბნები. ეს შენი ლაზღანდარობა... ზოგჯერ...

– აქეთ მოსწიე სკამი, ჩემო კოკროჭინა.

– საუზმე უნდა მოვამზადო.

– საუზმის მომგონიც...

– ამას გეუბნებოდი. სულ ასე ლაზღანდარობ!

– რომელი წმინდა საქმე საუზმე ნახე. ცოტა უფრო რომ თბილოდეს, ჩაგსვამდი ნავში, ზვირთსაქცევს გავცდებოდი და ვითევზავებოდი.

– დღეს ბეიკერებთან ვართ დაპატიჟებული, ითენ. გულზე ხელი დაიდე და თქვი, გწამს მართლა ღმერთი თუ არა? ამ სულელურ სახელებს რატომ მარქმევ? არ მახსოვს ნამდვილი სახელით მოგემართოს.

– ერთი და იგივე სიტყვის განმეორებით რატომ უნდა გაგაბეზრო? მთავარი ისაა, რომ ჩემს გულში ზარივით რეკს შენი სახელი. ღმერთი თუ გწამსო? ეს რა შეკითხვაა! როდის მომხდარა, რომ ნიკიას მრწამსიდან ცალკეული ელვარე ფრაზები ამომეგლიჯოს და გაფაციცებით გამესინჯოს, როგორც ნაღმი? არა. რა საჭიროა. მაგრამ საკვირველი კია, მერი. მთელი სული და სხეული ურწმუნოებით რომ მქონდეს გამომხმარი, ამ სიტყვების მოსმენაზე: „უფალი მწყემსია ჩემი. მან მომანიჭა საძოვარი“... შიგნეულობა ამომიტრიალდებოდა, გული ამიჩქროლდებოდა და ტვინში ცეცხლი წამეკიდებოდა.

– არაფერი მესმის.

– არც მე, ჩემო კარგი გოგონი; მაშ, მოდი, აქედან დავიწყოთ: თოთო ბალლი რომ ვიყავი, – როცა ძვლები ადამიანს რბილი და მოქნილი აქვს, – ჯვრის ფორმის ეპისკოპალურ ყუთში ჩამდეს, და იქ მივიღე ასეთი ფორმა. მერე, ყუთი რომ გამოვტეხე, როგორც წიწილა გამოტეხს ხოლმე ნაჭუჭს, რაღა გასაკვირია, მეც ჯვრის მოყვანილობისა გამოვსულიყავი?! არ დაკვირვებიხარ მაინც, როგორ კვერცხივით ჩამრგვალებულები არიან წიწილები?!

– რა საშინელ რაღაცეებს მოიგონებ, ბავშვებთანაც კი არ ერიდება ასეთ ლაპარაკს.

– ახლა ისინი რას მეუბნებიან! სწორედ წუხელ მკითხა ელენმა, როდის გავმდიდრდებითო. მაგრამ არ ვუთხარი სიმართლე, არ ვუთხარი: „მალე გავმდიდრდებით, და შენ, სიღარიბის ზიდვა რომ გიჭირს ასე, სულ მალე სიმდიდრის ზიდვა გაგიჭირდება–მეთქი“. ასეც მოხდება. სიღარიბეში შურით სკდება გულზე, როცა გამდიდრდება, ნამდვილი კუდაბზიკა გახდება, ფული სწეულებას კი არ ჰკურნავს, ავადმყოფობის სიმპტომებსა სცვლის.

– შენს საკუთარ შვილებზე ამბობ ამას? ჩემზე რაღას იტყვი?

– ვიტყვი, რომ შენა ხარ ჩემი ბედნიერება, ჩემი სიყვარული, ნათელი ცხოვრების ბურუსში.

– რა მთვრალივით ლაპარაკობ? ... მართლა ხომ არ დაგიღევია?

– დავლიე.

– არაფერიც. სუნი მაშინვე მეცემოდა.

– გცემს კიდევ, ჩემო საყვარელო.

– რა გემართება? აჰა! შენც ხვდები?.. ცვლილება, საშინელი ქარიშხალი, ლამის სულ წამლეკოს. შენამდე დასუსტებული ტალღებიღა აღწევნ.

– ნუ დამაფეთე, ითენ, რა მოგივიდა – სულ გაველურდი!

– ჩემი ჯილდოები თუ გახსოვს?

– მედლები? ომში მიღებული?

– სწორედ გაველურებისა და გამხეცებისათვის მამლევდნენ მაგ ჯილდოებს. მთელ ქვეყანაზე ადამიანიშვილს ვერ შეხვდები, ჩემსავით სძულებოდეს კაცისკვლა. მაგრამ ომში ახალი ყუთი გამოიტანეს და იმ ყუთში ჩამტენეს. დრო, ყოველი წუთი, იმას მოითხოვდა, რომ კაცისმკვლელი გავმხდარიყავი, და მეც ვხოცავდი და ვხოცავდი.

– მაშინ ომიანობის დრო იყო. სამშობლო მოითხოვდა ამას.

- მუდამ რალაცნაირი დრო არის ხოლმე. უსათუოდ უნდა ემსახურო, ამასობაში კი შენი საკუთარი დრო გაგეპარება. ღმერთივით ჯარისკაცი ვიყავი – მამაცი, ჭკვიანი, მკვირცხლი და შეუბრალებელი, ნამდვილი ომიანობის დროის შესაფერისი. იქნებ ამ დროსაც კარგად შევეგუო.
- რალაც გინდა მითხრა და შორიდან უვლი.
- სამწუხაროდ, მართლაც ასეა. მე თვითონვე ვგრძნობ ჩემს სიტყვებში მობოდიშებას. მაგრამ, იმედი მაქვს, სმენა მატყუებს.
- წავალ, სუფრას გავშლი.
- ამისთანა საუზმის შემდეგ ჭამის თავი ვილას ექნება.
- მაშ, ცოტა მაინც წაიხემსე. მისის ბეიკერის შლიაპა თუ ნახე! ნამდვილად ნიუ-იორკიდან ჩამოიტანა.
- თმისთვის რა უქნია?!
- შენიშნე? მარწყვისფრად არ შეუღებავს!
- „ნათელი, ურჯულოთა განმანათლებელი და ისრაელთა სადიდებელი“.
- მარჯის რა მოელანდა, ამ ადრე გაზაფხულზე რამ წაიყვანა მონტოკს?
- დილის ნიავი უყვარს.
- რას ამბობ, შუადღემდე სძინავს. სულ ამას არ დავცინი! ან მარულოს რაში დასჭირდა ბავშვებისათვის კანფეტის მოტანა?!
- ერთმანეთს უკავშირებ ამ ორ მოვლენას? მარჯი უთენია დგება და მარულოსაც კანფეტები მოაქვს!
- ნუ სულელობ.
- არ ვსულელობ. მაგის თავი მაქვს! ერთი საიდუმლო რომ გითხრა, არავის ეტყვი?
- ისევ დაიწყე?
- არა.
- მაშინ აღვითქვამ, რომ არავის ვეტყვი.
- მე მგონი, მარულო იტალიაში აპირებს.
- რა იცი? გითხრა?

- პირდაპირ არ უთქვამს. მე თვითონ დავაკავშირე სხვადასხვა ფაქტი. მე დავაკავშირე.
- მარტო უნდა დარჩე დუქანში? აიყვანე ვინმე.
- მეც კარგად გავუძღვები.
- ყველაფერს შენ აკეთებ. აგეყვანა ვინმე დამხმარე.
- დაიხსომე – ეს მხოლოდ ვარაუდია; თანაც საიდუმლო.
- ჩემი სიტყვა სიტყვაა.
- ნართაულად მაინც წამოგცდება სადმე.
- არა, ითენ!
- იცი, შენ რა ხარ? ყვავილების გვირგვინით თავდამშვენებული პატარა საყვარელი ბაჭია!
- სამზარეულოში შენ თვითონ მოემსახურე თავს. მე წავალ და მოვირთვები.

მერი რომ გავიდა, მე სავარძელში გადავითხლაშე. ყურში იდუმალი ხმა ჩამესმა: „იყავნ სიტყვა შენი, უფალო, დაუტევე მონასა შენსა“, და, კაცი არ ვიყო, თუ მაშინვე არ ჩამძინებოდეს. კლდიდან წყვდიადში დავეშვი, პირდაპირ აქ, სასტუმრო ოთახში. იშვიათად თუ მომივა ასე. და რაკი დენი ტეილორზე ვფიქრობდი, სწორედ დენი ტეილორი დამესიზმრა. ვითომც არც ძალიან პატარები ვართ, არც ძალიან დიდები, მოჩიტულები უფრო გვეთქმის. ამომშრალი ტბის ფსკერზე დავაბოტებთ, აქვეა ძველი სახლის საძირკველი და სარდაფის ორმო. ეტყობოდა, ადრეული ზაფხული იყო, რადგან ფოთლები ძალიან სქელი ჩანდა და ბალახიც სიმძიმით იზნიქებოდა; ისეთი დღე იდგა, როცა ადამიანი თვითონვე დამძიმებულია და მოთენთილობას გრძნობს. დენი სვეტივით მაღალსა და აშოლტილ ღვიას მოეფარა. ისე ყრუდ და დამახინჯებულად მესმოდა მისი ხმა, თითქოს ბგერები წყლიდან მოდიანო. მერე უცებ მეც მასთან აღმოვჩნდი, და დენიმ ერთბაშად დნობა იწყო – დნებოდა და მოედინებოდა. ვცადე შემეკავებინა და კვლავ თავისი სახე მიმეცა, როგორც გადმოღვრილ ცემენტის ხსნარს ჩაასხამ ფორმაში, მაგრამ ვერ მოვახერხე. მთელი არსება დენისა ჩემს თითებს შორის მიძვრებოდა. სიზმარი წამიერიაო, გამიგონია. ამ სიზმარს კი ბოლო არ უჩანდა, რაც უფრო მეტს ვცდილობდი დენის შეკავებას, მით უფრო სწრაფად დნებოდა.

- მერიმ რომ გამაღვიძა, ძლივს ვსუნთქავდი.
- გაზაფხულის ხურვების პირველი ნიშანია, – მითხრა მან, – მე რომ წამოვიჩიტე, იმდენი მეძინა, რომ დედაჩემმა ექიმი გრეიდი მოიწვია. საღათას ძილი ეგონა, სინამდვილეში კი გაზაფხულზე ვიზრდებოდი და ეს იყო.

- დღის კომმარი იყო. მტერს არ ვუსურვებ ამისთანა სიზმარს.
- სულ ამ ფაციფუცის საქმეა. წადი, თმა დაივარცხნე და პირი დაიბანე. მოთენთილი ჩანხარ, გენაცვალე. ავად ხომ არა ხარ? წასვლის დროა. მთელი ორი საათი გეძინა. ალბათ დასვენება გჭირდებოდა. ნეტა ვიცოდე, მისტერ ბეიკერს რა განუზრახავს.
- გაიგებ, ჩემო ძვირფასო. ოღონდ, პირობა მომეცი, რომ ყურადღებით მოისმენ და არც ერთი სიტყვა არ გამოგეპარება.
- ცალკე მოინდომებს შენთან ლაპარაკს! საქმოსან ხალხს არ უყვარს, ქალები რომ უსმენენ.
- მამა უცხონდა! მე მინდა, რომ შენც მოისმინო.
- საქმისა მე რა გამეგება... ეს შენც ხომ იცი...
- ვიცი, მაგრამ სწორედ შენს ფულზე იქნება ლაპარაკი.
- ბეიკერებისთანა ხალხს ვერაფერს გაუგებ, თუ დაბადებიდანვე არ იცნობ. მეგობრობა სულ სხვა საქმეა. მე პირადად იმიტომ ვიცნობ, რომ ჰოულები და ბეიკერები ერთნაირი ხალხი იყო – ერთნაირი სისხლისა, ერთი ადგილიდან, საქმეც ერთი ჰქონდათ და წარსულში ბედიც თითქმის ერთნაირი აღმოაჩნდათ. ეს კი, თითქოს, გარეშე ხალხისაგან ორმოთი და გალავნით დაცულსა გვხდის. მამაჩემმა ფული დაჰკარგა. მაგრამ განა სულ გამწირეს და გამომამევეს მე იმ გალავნიდან. სანამ პირში სული მიდგას, ბეიკერებისათვის მაინც ჰოული ვარ და თავისიანი. მაგრამ ღარიბი ნათესავი ვარ. უფულო აზნაური ნელ–ნელა თავის აზნაურობასაც დაჰკარგავს. უფულოდ დარჩენილი ჩემი ბიჭი ალენი ბეიკერებისათვის უცხო შეიქნება, ხოლო მის მემკვიდრეს სულაც გარიყავენ, მის გვარსა და წარმოშობას ზედაც არ შეხედავენ. რაღა ვართ ჩვენ – უმიწაწყლო მემამულეები, უჯარო სარდლები და ფეხით მოჩინდრივე მხედრები. განწირულები ვართ. იქნებ ამიტომაც განვიცადე ასეთი ცვლილება. ფული როდი მიყვარს, ჩემს დღეშიაც არ მყვარებია. მაგრამ უფულოდ ვეღარ შევრჩები იმ კატეგორიას, სადაც ყოფნას შევეჩვიე კიდევ და თავსაც კარგად ვგრძნობ. ალბათ ჩემი გონების ბნელ კუნჭულში თავისთავად ყალიბდებოდა ეს აზრი და მერე ამოტივტივდა, არა როგორც ფიქრი, არამედ როგორც რწმენა.
- გამარჯობათ, – შემოგვეგება მისის ბეიკერი, – ძალიან გაგვახარეთ. სულ დაგვივიწყეთ, მერი. რა დიდებული დღე იყო, არა? წირვა არ მოგეწონათ? პირველად ვხედავ, მღვდელი ამისთანა საინტერესო მამაკაცი იყოს.
- ძალიან კი დაგვიძვირეთ თქვენი თავი, – თქვა მისტერ ბეიკერმა, – გუშინდელივით მახსოვს, როგორ იჯდა პაპათქვენი სწორედ ამ სავარძელში და ყვებოდა, ბინძურმა ესპანელებმა „მეინი“^[11] ჩაძირესო. აღელვებულმა მთელი ჩაი გადაისხა. თუმცა რა

ჩაი, კაპიტანი ჰოული ერთ ციციქას თუ გაურევდა რომში. მაგარი კაცი იყო, ზოგი ჩხუბისთავსაც ეძახდა.

შევატყვე, რომ მერი პირველად შეცბა, მერე კი ესიამოვნა და გულს მოეფონა. რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ მე იგი მდიდარ მემკვიდრედ შევრაცხე. ფულიანი კაცის რეპუტაცია თითქმის იმდენსავე ფასობს, რასაც თვით ფული.

– მისის ბეიკერმა ნერვული თავის ქიციინით დაგვისხა ჩაი მაგნოლიას ფურცლებსავით თხელ და გამჭვირვალე მყიფე ფინჯნებში. ყველაფერი უთრთოდა. გარდა იმ ხელისა, რომელშიც ჩაიდანნი ეჭირა.

მისტერ ბეიკერი ჩაფიქრებული იჯდა და კოვზს ურევდა.

– ვერ ვიტყვი, რა უფრო მიყვარს – თვითონ ჩაი, თუ მთელი ეს ცერემონიალი, – თქვა მან, – საერთოდ ყოველგვარი ცერემონიალი მიყვარს, სულელურიც კი.

– მგონი, ჩემთვისაც გასაგებია ეს გრძნობა, – ვუთხარი მე, – ამ დილას მოსვენებულად ვგრძნობდი თავს ეკლესიაში, იმიტომ რომ ყველაფერი ნაცნობი იყო, არავითარი მოულოდნელობა არ გვემუქრებოდა. წინასწარვე ვიცოდი, რა დროს რა უნდა ეთქვათ.

– ომის დროს, ითენ... თქვენც მოისმინეთ, ქალებო და ნახეთ ერთი, ამნაირი რამე თუ გაგიგონიათ ოდესმე... ომის დროს სამხედრო სამინისტროში გამამწესეს, მინისტრის მრჩეველად. კარგა ხანს მოგვიხდა ვაშინგტონს ყოფნა.

– ვერ ვიტანდი პირდაპირ, – ჩაურთო მისის ბეიკერმა.

– ჰოდა, ერთ დღეს ჩაიზე მოიწვიეს სტუმრები, ქვეყნის ხალხმა მოიყარა თავი, ბარე ხუთასამდე კაცმა, პირველი მანდილოსანი ხუთვარსკვლავიანი გენერლის ცოლი იყო, მეორე – გენერალ–ლეიტენანტის ცოლი. დიასახლისმა, მინისტრის მეუღლემ, ხუთვარსკვლავიან მანდილოსანს ჩაის დასხმა სთხოვა, სამვარსკვლავიანს კი – ყავისა. მაგრამ პირველმა ქალბატონმა უარი განაცხადა. „ვინ არ იცის რომ, – პირდაპირ მის სიტყვებს მოგახსენებთ, – ჩაის ყავა სჯობსო“. ამისთანა რამე გაგიგონიათ? – ჩაიხითხითა, – ბოლოს კი ისე დატრიალდა საქმე, ყველაფერს ვისკიმ აჯობა.

– ფეთიანი ქალაქია, – შენიშნა მისის ბეიკერმა, – ვერც კი მოასწრებ ხეირიანად დალაგებას, გაცნობას, შეჩვევას, რომ გტაცებენ ხელსა და სხვაგან გადაგიყვანენ.

– მერიმ გაიხსენა, ბოსტონში ყოფნის დროს როგორ მოხვდა ერთ ირლანდიურ ოჯახში: წყალს შუა ცეცხლზე ადუღებდნენ, მრგვალ კასრებში, და მერე თუნუქის ფინჯნებში ასხამდნენ.

– ჩაი კი არ გამოჰყავთ, პირდაპირ ადუღებენ, – თქვა მერიმ, – მაგისთანა ჩაით მაგიდას გააპრიალე.

ყოველ სერიოზულ საქმეს თუ მოლაპარაკებას წინ უძღვის მოსამზადებელი მუსაიფი, და რაც უფრო სერიოზულია საქმე, მით უფრო გრძელი და მსუბუქია ეს ჭიკჭიკი. ამასთან, ყოველი მოსაუბრე ვალდებულია თავის წილ ბუმბულსა თუ ჭრელა-ჭრულა ნაჭერს ჩამოვიდეს. მერისა და მისის ბეიკერს რომ არ სდომოდათ სერიოზულ საქმეში მონაწილეობის მიღება, დიდი ხანია ერთმანეთში გააბამდნენ ტკბილ მასლაათს. მისტერ ბეიკერმა კარგი ღვინით გააპოხიერა ჩვენი საუბრის ნიადაგი, ასევე მერიმაც. მერიმ. საერთოდ, ძალიან გაიხარა, ძალიან გამოცოცხლდა მასპინძლების ასეთი ყურადღებით. ახლა მისის ბეიკერსა და მე უნდა გაგველო ჩვენი წილი. ვგრძნობდი, თავაზიანობა მოითხოვდა, მე სულ ბოლოს მომეხადა ჩემი ვალი.

მისის ბეიკერის რიგი რომ დადგა, მანაც, სხვებივით ჩაით დაიწყო.

– ძველად, თუ გახსოვთ, რამდენი ხარისხის ჩაი იყო, – თქვა მან და თვალები აუციმციმდა. – თანაც, ყველა თავისი რეცეპტით აყენებდა. რა მცენარის ფოთოლი გინდა, რა ყვავილი – ყველაფრისაგან ამზადებდნენ. ახლა რა, ორად ორი ხარისხილა დარჩა – ინდური და ჩინური. ჩინურს ყოველთვის ვერც იშოვი. რას არ სვამდნენ, თუ გახსოვთ – ცირცელიო, გვირილაო, ფორთოხლის ფოთოლი და ყვავილი... კემბრიკი!...

– კემბრიკი რაღაა? – იკითხა მერიმ.

ცხელი რძე და ცხელი წყალი, სანახევროდ. ბავშვებს უყვართ. უბრალო, წყალგარეულ რძეს კი არ ჰგავს.

მისის ბეიკერმაც მოიხადა ვალი.

ჩემი ჯერი მოვიდა და გადავწყვიტე ერთი-ორი უაზრო ფრაზით ბოსტონის ჩაის სმის ისტორია[12] გამეხსენებინა. მაგრამ შენ რომ გინდა, ისე კი არ გამოგივა ყოველთვის. ისე გამოტყვერება რაღაც, რომ ნებართვას არცა გთხოვს.

– წირვის შემდეგ ცოტა წამეძინა, – მომესმა უცებ ჩემივე ხმა, – დენი ტეილორი დამესიზმრა. საშინელი სიზმარი იყო. დენი არ გახსოვთ?

– საწყალი ბიჭი, – თქვა მისტერ ბეიკერმა.

– იყო დრო, ძმაში არ გამოვერჩეოდით ერთმანეთს. მე ძმა არ მყოლია. მართლაც ძმებივით ვიყავით. მე, რა თქმა უნდა, ასე არ ვიქცევი, მაგრამ ვგრძნობ, ვალდებული ვარ დარაჯად დავუდგე ჩემს ძმა დენის.

– მერი ნაწყენი დამირჩა, მუსაიფის ქარგა რომ დავარღვიე. და ხელადვე იძია შური.

– ითენი ფულს აძლევს. არა მგონია, საჭირო იყოს. მიდის და თვრება, – თქვა მან.

– რას ამბობთ! – შესძახა მისტერ ბეიკერმა.

– ასეა თუ ისე... საშინელი სიზმარი იყო. მეც, ბოლოს და ბოლოს, რას ვაძლევ – თითო დოლარს, ისიც ათასში ერთხელ. ერთი დოლარით ანკი რა უნდა გააკეთო, დალევის მეტი?! ერთბაშად რომ ბევრი მისცე, ვინ იცის, იქნებ განიკურნოს კიდეც.

– მაგას ვინ გარისკავს! – შეეყვრა მერიმ, – გინდა ეს გიქნია და გინდა მოგიკლავს! არა, მისტერ ბეიკერ?

– საწყალი ბიჭი! – თქვა მისტერ ბეიკერმა. – მერე რა ოჯახიშვილი! გული მიკვდება, რომ შევხედავ, მაგრამ მერი მართალს ბრძანებს. ფული თუ ჩაიგდო, ღვინოში ჩაიხრჩობა.

– ისედაც არ იკლებს. მაგრამ ჩემგან დიდი საშიშროება არ ელის – რა ბევრი ფულის პატრონი მე ვარ.

– პრინციპია მთავარი, – შენიშნა მისტერ ბეიკერმა.

– მისის ბეიკერმა ქალური უღმობელოება გამოამჟღავნა.

– საავადმყოფოში უნდა მოათავსოთ და იქ მოუვლიან.

– სამივენი გავანაწყენე. ბოსტონის ჩაი მართლაც არ უნდა გადამეფიქრა.

საოცარია, რატომ გამართავს ხოლმე ადამიანის გონება თვალხუჭუნობასა და დამალობანას, როცა საჭიროა მთელი ჩვენი გულისყური გაფაციცებით დავძაბოთ და საიდუმლო ზრახვებითა და დაბრკოლებებით დანადმულ მინდორზე როგორმე უხიფათო ბილიკი მოვძებნოთ. მშვენივრად ვიცი, რას წარმოადგენს ბეიკერების სახლი და ჰოულების სახლი, მათი ბნელი კედლები და ფარდები, სამგლოვიარო ფიკუსები, რომელთაც ჯერ მზე არ უნახავთ, პორტრეტები და გრავიურები, ლოკოკინები, წარსულის მოგონებებთან დაკავშირებული ფაიფური და ხეზე კვეთილობანი – ყველაფერი ის, რაც ამ ოჯახებს რეალობისა და სიმყარის ნიშანს ადებს. სკამებს მოდის მიხედვით იცვლიან, ხოლო სკივრები, წიგნის კარადები, სასადილო და საწერი მაგიდები – მყარ წარსულთან გვაკავშირებენ. ჰოული – ოჯახზე უფრო დიდი გრძნობაა. ჰოული – თვითონ სახლია. ამიტომაც ებლაუჭებოდა საწყალი დენი ტეილორების მდელოსა და სახლს. უამისოდ ოჯახს ოჯახი აღარ ჰქვია, და მასთან ერთად მალე გვარიც გაქრება. ლაპარაკის ტონისა და ხმაში გამოვლენილი სურვილის მიხედვით, ეტყობოდა, სამმა ჩემმა თანამოსაუბრემ დენი ტეილორს ხაზი გადაუსვეს. ზოგიერთებს ალბათ სახლიც სჭირდება, საგვარეულო ისტორიაც, რათა ერთხელ კიდეც დაარწმუნონ თავი, ვცოცხლობთ და ვარსებობთ; თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა დიდი თავის დასამშვიდებელი ეს არის. დუქანში მე ერთი გაბითურებული ნოქარი ვარ, შინ – ჰოული. ასე რომ, არც მე მაქვს თავის დამშვიდების საბაზი. ბეიკერს შეუძლია ხელი გაუწოდოს ჰოულის, მაგრამ, სახლი თუ არ მექნა, მეც ხაზს გადამისვამენ. კაცი კაცითო, რომ იტყვიან, სულ ტყუილია; სახლი სახლითო, უნდა თქვან. საშინლად აღვშფოთდი, დენი ტეილორი რომ

ამომალეს ცოცხლების სიიდან, მაგრამ რას გავხდებოდი. თუმცა ამ ფიქრმა ერთბაშად გამამწარა და გამაკაჟა. ბეიკერს გადაუწყვეტია ცოტათი შეარემონტოს ჰოული, რათა მერის არარსებულ მემკვიდრეობით თვითონაც მოითბოს ხელი. ახლა კი დანადმული მინდვრის კიდეში ვდგავარ. გული საშინლად გამიქვავდა ასეთი უანგარო კეთილისმყოფელის მიმართ. მთელი არსებით დავიძაბე, გავცოფდი და საომრად შევიმართე. ამ გრძნობას კი ომის უცვლელი კანონიც მოჰყვა: თავდაცვაზედაც რომ იყო გადასული, თავი ისე მოაჩვენე, თითქოს უტევდე.

პირდაპირ ვთქვი: – მისტერ ბეიკერ, მიკიბულ–მოკიბული ლაპარაკი რა საჭიროა. თქვენ ჩემზე კარგად იცით, როგორ ნელ–ნელა, მაგრამ განუხრელად ჰკარგავდა მამაჩემი იმას, რითაც ჰოულებს სული ედგათ. მე მაშინ ომში ვიყავი. მითხარით, როგორ მოხდა?

– განზრახვა კეთილი ჰქონდა, მაგრამ განსჯით კი...

– მეც ვიცი, რომ მამაჩემი საქმის კაცი არ იყო... მაგრამ მაინც, როგორ მოხდა? ...

– ხომ იცით, რა დრო იყო. ბირჟებზე საშინელ რისკსა სწევდნენ. მამათქვენმაც ვერ მოზომა...

– მრჩეველი ხომ არავინ ჰყოლია...

– მოძველებულ იარაღებზე დააბანდა ფული. მერე დაკვეთები გააუქმეს და ყველაფერი დაიღუპა.

– თქვენ მაშინ ვაშინგტონში იყავით. იცოდით მაინც, რა დაკვეთები იყო?

– საერთო წარმოდგენა მქონდა.

– მაგრამ იმას კი გრძნობდით, რომ თქვენ თვითონ არ დაგებანდებინათ ფული!

– ჰო, მე არ დამიბანდებია.

– მამაჩემს თქვენთვის არ უკითხავს რჩევა?

– მე ვაშინგტონში ვიყავი.

– ეს ხომ იცოდით, რომ ჰოულების ქონებას აგირავებდა და იმ ფულს აბანდებდა.

– ეს ვიცოდი.

– და არ დაუშალეთ?!

– ვაშინგტონში ვიყავი.

– თქვენმა ბანკმაც არ გადაუვადა...

- ბანკი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, ითენ, თქვენც ხომ იცით ეს!
- ვიცი, როგორ არა. მაგრამ სამწუხაროა, რომ რჩევა არა გკითხათ.
- ნუ გაკიცხავ, ითენ.
- არც ვკიცხავ. უკვე ყველაფერს მივხვდი. არც არასოდეს გამიკიცხავს. ოღონდ აქამდე არ ვიცოდი, როგორ მოუვიდა.

შესავალი ნაწილი, ეტყობა, წინასწარვე ჰქონდა მომზადებული მისტერ ბეიკერს. ახლა კი, როცა ყველაფერი ჩაუფლავდა, ახალი შეტევისათვის დაუწყო ნიადაგს მოსინჯვა. ჩაახველა. ცხვირი ქალაღდის ხელსახოცით მოიწმინდა, მეორე ხელსახოცით თვალეზიც ამოიწმინდა, მესამეთი – სათვალე გაიწმინდა... ყველამ თავისებურად იცის დროს გაყვანა. ერთ კაცს ვიცნობდი, ხუთ წუთს მოანდომებდა ხოლმე ჩიბუხის გაწყობას.

როცა ხელმეორედ გაემზადა, ისევ მე დავასწარი: – მე უფლება მაქვს, დახმარება გთხოვოთ, მაგრამ რაკი თქვენ თვითონ ჩამოაგდეთ სიტყვა ჩვენი ოჯახების საქმიან ურთიერთობაზე...

– დიდებული ხალხი იყო, – თქვა მან, – ხელად მიხვდებოდნენ ხოლმე, სად რა იყო საჭირო. ნამდვილი კონსერვატორები...

– მაგრამ ბრმად კი არ მიჰყვებოდნენ თავიანთ რწმენას, სერ. თუმცა თუ რამეს ამოიჭრიდნენ გულში, გააკეთებდნენ კიდევ.

– ნამდვილად.

– თუნდაც მოწინააღმდეგის გემის ჩაძირვა გამხდარიყო საჭირო... გინდა ცეცხლის წაკიდება, არა?

– ალბათ, ჰქონდათ კიდევ ამის უფლება.

– როგორც ვიცი, 1801 წელს საგანგებო კომისიისათვის მოუხდათ პასუხის გაცემა – ვისი მიჩნევა შეიძლებოდა ნამდვილ მტრად.

– ომის შემდეგ ყოველთვის ხდება ხოლმე მოვლენათა გადაფასება.

– რა თქმა უნდა. მაგრამ ეს ისე კი არ გამიხსენებია, სიტყვის მასალად, მართალი თუ გნებავთ, მისტერ ბეიკერ, მე ჩემი მდგომარეობის აღდგენას ვცდილობ.

– ყოჩაღ, ითენ! ერთი პირობა ვიფიქრე, ჰოულები ძველებური სული დაკარგა–მეთქი.

– ალბათ, მართლაც დავკარგე. ან გამოვლინების საშუალება არ მივეცი. თქვენ შველა აღმიტყვიოთ. რითი დავიწყო?

- უბედურება ის არის, რომ კაპიტალით უნდა დავიწყოთ.
 - ვიცი. ვთქვათ, ვიშოვე ეს კაპიტალი, მერე რა უნდა ვქნა?
 - ქალები არ მოვაწყინოთ, – თქვა მან, – იქნებ კაბინეტში გავსულიყავით. ქალებისათვის ასეთი ლაპარაკი ვერაფერი საინტერესოა.
- მისის ბეიკერი წამოდგა.
- სწორედ ახლა უნდა მეთხოვა მერისათვის, საწოლი ოთახის შპალერი შემარჩევინე–მეთქი. ნიმუშები მაღლა მაქვს, მერი.
 - მე მინდოდა, მერისაც...
 - მაგრამ მერიც მათ მხარეზე დადგა. ვიცოდი, ასე მოხდებოდა.
 - სერიოზული საქმეებისა მართლაც არაფერი გამეგება, – თქვა მან, – შპალერებს კი სიამოვნებით შევარჩევ.
 - ეს საქმე ხომ შენ გეხება, ჩემო კარგო.
 - მე ყველაფერი ერთმანეთში მერევა, ითენ. ხომ იცი ჩემი ამბავი!
 - უშენოდ რომ კიდევ უფრო ამერიოს ყველაფერი!
 - შპალერები, ეტყობოდა, მისტერ ბეიკერის ოინი იყო. არა მგონია, მისი ცოლი თვითონ არჩევდეს შპალერს. არც ერთ ქალს არ მოეწონებოდა ასეთი ჩაჟამებული, გეომეტრიული ნახაზებით აჭრელებული ქაღალდები, ამ ოთახში რომ იყო გაკრული, სადაც ახლა ჩვენ ვისხედით.
 - ამრიგად, – თქვა მისტერ ბეიკერმა, როცა ქალები გავიდნენ, – მთავარია კაპიტალი, ითენ. სახლი თქვენ დაგირავებული არა გაქვთ. ადექით და დააგირავეთ.
 - მაგას არ ვიზამ.
 - ასეთი სიმტკიცისათვის პატივისცემის ღირსი ხართ, მაგრამ სხვა გზა თუკი არა გაქვთ! მერის ფული არ კმარა, თუმცა ფულმა ფული იცის.
 - არც იმ ფულს მინდა ვახლო ხელი. ჰქონდეს შავი დღისთვის.
 - მაინც საერთო ანგარიშზე გაქვთ, უსარგებლოდ.
 - ვთქვათ, გავტყდი და დაგთანხმდით, რას მთავაზობთ?
 - დაახლოებით მაინც თუ იცით, რამდენი აქვს დედამისს?
 - არ ვიცი, მაგრამ ალბათ კარგა ბლომად.

გულმოდგინედ გაიწმინდა სათვალე.

– რასაც გეტყვით, ჩვენ ორში უნდა დარჩეს.

– რა თქმა უნდა.

– მადლობა ღმერთს, ბევრი ლაპარაკი არ გიყვართ. საერთოდ ჰოულები უნო ხალხი იყო, მამათქვენს გარდა. ერთი სიტყვით, მე საქმოსანი კაცი ვარ და ვიცი, ნიუ-ბეიტაუნი გაიზრდება. საამისოდ არაფერი აკლია – არც ნავსადგური, არც უბე და არც შინაგანი წყლები. ერთი თუ დაიწყო, ვეღარაფერი შეაჩერებს. ასეთ დროს კარგი ბიზნესმენი განზე ვერ გადგება – ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისი ქალაქის განვითარებას.

– და ხეირიც ნახოს!

– თავისთავად ცხადია.

– აქამდე რატომ ვერ განვითარდა?

– არა მგონია, მაგის მიზეზი არ იცოდეთ – მუნიციპალიტეტი დახავსებული ხალხითაა სავსე. წარსულითაა სულდგმულობდნენ. პროგრესს აფერხებენ.

მუდამ მიკვირდა ხოლმე: როგორ ახერხებს ხალხი, რომ ფულის გაკეთების სურვილი ქველმოქმედების საბურველში გაახვიოს. მისტერ ბეიკერის პოზიციას რომ ეს ქველმოქმედების საბურველი მოვაცილოთ, მის ნამდვილ არსს დავინახავთ. ეს და კიდევ რამდენიმე, სულ რამდენიმე ადამიანი, ახლანდელ ქალაქის მესვეურებს დაუჭერენ მხარს, სანამ არ შეისყიდიან ან მთლიანად ხელთ არ იგდებენ მომავალი ქალაქის მთელ კეთილდღეობას. მერე პანდურს ჰკრავენ იმ შენს მუნიციპალიტეტსა და თვითონ მერს, ტახტზე პროგრესს შეასკუპებენ და მაშინ გახდება აშკარა, რომ ყოველი ქუჩა თუ შესახვევი, რითაც ეს პროგრესი შემოდის ქალაქში, მათი საკუთრება ყოფილა. წმინდა სენტიმენტალური გრძნობებით გამსჭვალულმა ბეიკერმა გადაწყვიტა საერთო ნადავლიდან ცოტა ჩემთვისაც მოეტეხა. იმას კი ვეღარ მიხვდა, წინასწარვე ჰქონდა განზრახული ჩემთვისაც გაეზიარებინა თავიანთი მოქმედების გრაფიკი, თუ შემთხვევით წამოცდა. მუნიციპალიტეტის არჩევნები შვიდ ივლისსაა დანიშნული. ამ დროისათვის შორსმჭვრეტელი ადამიანების ჯგუფი ხელში ჩაიგდებს პროგრესის საჭეს.

– არა მგონია, იყოს კაცი, ვისაც რჩევა–დარიგების მიცემა არ უყვარდეს. რაკი ცოტა ყოყმანი მაინც მეტყობოდა, ჩემი მოძღვარი სულ უფრო და უფრო აღეგზნო და დაიქოქა.

– უნდა მოვიფიქრო, სერ, – ვუთხარი მე, – რაც თქვენთვის ცხადზე უცხადესია, ჩემთვის საიდუმლოებით არის მოცული. თან მერისაც უნდა მოველაპარაკო.

– მაგ საქმეში კი, მე მგონი, ცდებით, – თქვა მან, – ძალიან გავასაქმოსნეთ ეს ჩვენი ქალები.

– ფული მაგისია.

– იმას რა აჯობებს, მოულოდნელად რომ აჩვენებ მოგებას. ქალებს ასე ურჩევნიათ.

– უმადურობაში კი ნუ ჩამომართმევთ, მისტერ ბეიკერ, მაგრამ ძალიან მძიმე კაცი ვარ. ათასჯერ უნდა ავწონ–დავწონო. მარულო რომ იტალიაში აპირებს წასვლას, არ გაგიგიათ?

– თვალები დააჭყიტა.

– სულ?

– არა, დროებით.

– დარწმუნებული ვარ, თადარიგს დაიჭერდა – რამე რომ შეემთხვეს, თქვენ დაგიტოვებთ ყველაფერს. ამ ხნის კაცია. ანდერძი აქვს?

– რა მოგახსენოთ.

– თუ მოგისიათ იტალიიდან თავისიანები, უადგილოდ დარჩებით.

ისევ გაურკვეველობის ფარის მომარჯვება გახდა საჭირო.

– იმდენი რამე მითხარით ერთბაშად, რომ დიდხანს მეყოფა საცოხნად, – ვუთხარი მე, – მაგრამ იქნებ ცოტათი მაინც მიმახვედროთ, რითი დავიწყო!

– ერთი რამე შემიძლია გითხრათ: ქალაქის განვითარება დიდად იქნება დამოკიდებული ტრანსპორტზე.

– ჩვენამდეც მალე მოაღწევს ტრანსკონტინენტალური ხაზი.

– ჯერ სად არის. ჩვენ ვინც გვჭირდება – ფულიანი და საქმოსანი ხალხი – ფრენას არჩევენ.

– და აეროდრომი არა გვაქვს, ხომ?

– კარგად მიმიხვდით.

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამაგისო ადგილიც კი არ არის, ეს გორები თუ არ გადავთხარეთ ქალაქის ირგვლივ.

– ძვირი დაჯდება. ვიზარალებთ.

– მაშ, რა უნდა ვქნათ?

- ითენ, მომიტევეთ, მაგრამ უნდა მენდოთ. ჯერ ვერ გეტყვით. ისე კი პირობას გაძლევთ, ფულს თუ იშოვით, ნამდვილად გაკეთდებით. სავსებით კონკრეტული საქმე მაქვს მხედველობაში, ოღონდ ჯერ კარგად მოფიქრება სჭირდება.
- რაღაც იმისთანა საქმე ჩანს, ალბათ არცა ვარ მაგის ღირსი.
- ძველი ოჯახები კვლავ უნდა შედუღდნენ.
- მარულოც ამ ჯგუფში შემოდის?
- რა ბრძანებაა! იმას თავისი ხალხი ჰყავს და თავისი გზა აქვს.
- კარგადაც მიაბიჯებენ ამ გზაზე, არა?
- მე ეგ არ მითქვამს.
- ალბათ, მომეყურა.
- ალბათ.
- მერის უკვე დაემთავრებინა შპალერის დათვალიერება და ოთახში შემოვიდა. ჩვენ თავაზიანად შევასრულეთ სტუმრის მოვალეობა და დინჯად გავუდექით შინის გზას.
- არც კი მოველოდი, ისე კარგად შეგვხვდნენ. რაო, რა გითხრა?
- რასაც მეუბნებოდა. შენი ფულით უნდა დავიწყო საქმეო! მაგას არ ვიზამ.
- ვიცი, რომ მე მერიდები, გენაცვალე. მაგრამ სულელი იქნები, მაგ კაცს რომ არ დაუჯერო ახლა.
- გული არ მაძლევს, მერი. რომ მოტყუვდეს, სულ ცარიელზე დარჩები.
- ითენ, იცოდე, თუ შენ არ იზამ, გამოვიტან იმ ფულს და ბეიკერს მივცემ. ნახე თუ არა.
- დამაცა, მოვიფიქრო. არ მინდა შენც გაგხვიო საქმეში.
- მე საიდან გავეხვევი? სულ საერთო ანგარიშზე გვაქვს. ხომ გახსოვს, კარტში რა ამოგივიდა!
- ღმერთო, დიდებული... კიდეც ეს კარტი!
- მე კი მჯერა და ...
- ეს შენი ფულიც რომ დავკარგო, დასანახად შემიძულე.
- არაფერიც. ჩემი დოვლათი შენა ხარ! მარჯიმ ასე მიმკითხავა.

მარჯის სიტყვა გულს დამესო; მანამ პირში სული მიდგას, არც დაგვარგავ მაგ სიტყვებსო.

– რა დროს ხუმრობაა!

– რაღა ხუმრობა გამოვა, სიმდიდრემ თუ სიღარიბის სიტკბოება ჩაგვაშხამა.

– ცოტაოდენი ფული რომ გააკეთო, ამით რა ჩაგვშხამდება. სულ ფულად ხომ არ ვიქცევით... ცოტა... რომ გვეყოს, იმდენი.

მე არაფერი მიპასუხნია.

– ჰა, რას იტყვი?

– ო, პრინცესა, – ვუთხარი მე, – სამყოფი ფული არ არსებობს. ფული ორნაირად იზომება: სულ უფულობა ანდა არასოდეს არ გყოფნის.

– არაფერიც.

– ასეა. აგერ, ის ტეხასელი მილიარდერი, ამასწინათ რომ მოკვდა! სასტუმროს ნომერში ცხოვრობდა და ერთი ჩემოდნის მეტი არაფერი ებადა. არც ანდერძი დაუტოვებია, არც მემკვიდრე... სიცოცხლეში კი ფული არ ჰყოფნიდა. რაც უფრო ბევრი გაქვს, სულ უფრო მეტი და მეტი გჭირდება.

მერიმ ირონიულად მიპასუხა: – შენ ალბათ იმასაც ცოდვად მითვლი, სასტუმრო ოთახისთვის რომ ახალ ფარდებს ვნატრობ, და ცოტა უფრო დიდ სააბაზანო ქვაბს, რათა ერთ დღეში ოთხ კაცს შეეძლოს ბანაობა და თან ჭურჭლის დარეცხვაც მოვახერხო.

– ცოდვებს კი არ გეუბნები, სულელო, მე ფაქტი გითხარი, ბუნების კანონი.

– არ გეტყობა, რომ ადამიანის ბუნებას სცემდე დიდ პატივს.

– ადამიანის ბუნებას კი არა, ჩემო მერი, ბუნებას, საერთოდ. ციყვები იმდენ თხილს იმარაგებენ, მეათედიც არ დასჭირდებათ. თრია სხვანაირია, მუცელი გახეთქვაზე აქვს და მაინც იყრის და იყრის პირში. თითქოს ტომარას სტენიდე. ახლა ჭკვიან ფუტკრებსაც შეხედე – რამდენ თაფლს აკეთებენ და თვითონ რამდენს ჭამენ!

მერი რომ დაიბნევა და ენა დაეხმება, სულ ცოფებსა ჰყრის, – როგორც რვაფეხა იპურჭყება ხოლმე მელანივით სითხეს, და ამ შავი ღრუბლის საბურველში ეხვევა.

– გულს მირევ! – შესძახა მან, – ვერ იტან, რომ კაცი ცოტა ბედნიერი იყოს!

– სულაც არა, ჩემო კარგო. მე სწორედ იმ განწირული უბედურებისა მეშინია, იმ ფათიფუთის, ყოყლოჩინობისა და შურის, რაც ფულს მოაქვს.

ქვეცნობიერად, ალბათ, მასაც ჰქონდა ამის შიში. მაშინვე მომვარდა, კარგად მოსინჯა ჩემი ყველაზე უფრო მტკივნეული ადგილი და ეკლები ჩაასო: – აჰა, ბატონო, ჯიბეგახვრეტილი ნოქარი! სიმდიდრე ცუდი საქმეაო, გვაფრთხილებს. ისე მოაქვს თავი, გეგონება, ერთი თუ იკადრა ხელის მოქნევა, მთელი დოვლათი მისი იქნება.

– იქნება კიდევ.

– რანაირად მაინც?

– ძაღლის თავიც მანდ არის დამარხული.

– არაფრის მაქნისი არა ხარ, თორემ აქამდე გააკეთებდი. ენა ხარ ცარიელი. წაიგდებ ენას და მორჩა.

იმის სურვილი, რომ ვინმეს ტკივილი მიაყენო, გულს ღვარძლით გვივსებს. ცეცხლი მომედო. შხამივით მომერია ბინძური, ცოფიანი სიტყვები. მთელი არსება სიძულვილის გრძნობით გამეჟღინთა.

– შეხედე! შეხედე! ვერა ხედავ! – შესძახა მერიმ.

– რაო? სად?

– აგერ, იმ ხეებს ჩაუქროლა და ჩვენს ეზოში შევარდა.

– რა შევარდა, მერი? მითხარი! რა მოგეჩვენა?!

ბინდბუნდში დავინახე, როგორ იღიმებოდა ქალის განუმეორებელი ღიმილით. სიბრძნეს ეძახიან ამას, მაგრამ სინამდვილეში ეს არის ყველაფრის გაგების ნიჭი, რასაც სიბრძნე სულაც არ სჭირდება.

– არაფერიც არ დაგინახავს, მერი.

– ჩხუბი დავინახე... მაგრამ გაქრა უკვე.

ხელი მოვხვიე და ჩემკენ მოვაბრუნე.

– მოდი, ცოტა გავიაროთ, შინ მისვლას მოვესწრებით.

დავუყევით ღამის გვირაბს, მაგრამ ხმა აღარ ამოგვიღია. ანკი რა საჭირო იყო.

თავი მერვე

ბავშვობაში დიდი ხალისითა და გატაცებით ვხოცავდი წვრილ-წვრილ ცხოველებს. კურდღლები, ციყვები, პაწაწინა ჩიტები, მერე და მერე გარეული იხვები და ბატები პანტაპუნტით ცვიოდნენ მიწაზე – სისხლში ათქვეფილ-ალესილი ძვალ-რბილი, ბეწვი და ბუმბული. გამწარებული ჟინით მივდევი ამ საქმეს, ისე რომ გულში არც ღვარძლსა ვგრძნობდი, არც სიძულვილს და არც დანაშაულს. ომმა ერთიანად წამართვა ხოცვის ჟინი, როგორც ბავშვს მოყირჭდება ხოლმე ტკბილეული. თოფის ხმაზე აღარ აღმომხდებოდა ხოლმე გამძაფრებული ბედნიერების ყიჟინა.

იმ გაზაფხულს ჩვენს ბაღს ორი კურდღელი შემოეჩვია, ყოველდღე მოდიოდნენ. განსაკუთრებით ჩემი მერის მიხაკი მოსწონდათ – ისე გაფცქვნიდნენ, რომ ცარიელა ღეროები რჩებოდა.

– უნდა დავხოცო, – მითხრა მერიმ.

გამოვიტანე ჩემი მცირეყალიბიანი, ერთიანად ზეთში ამოსვრილი თოფი, გამოვძებნე ხუთი ნომერი საფანტით დატენილი ვაზნები და, როცა მოსაღამოვდა, უკანა კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი, კურდღლებს დავუდარაჯდი. როგორც კი მოცანცალდნენ, ერთი გასროლით ორივე გავაგორე. მერე ეს ბუმბულა კურდღლები იასამნის ბუჩქებში დავმარხე. მუცელში რაღაც სევდისმომგვრელი ტკივილი ვიგრძენი.

სულ გადავჩვევივარ კვლასა და ხოცვას. რას არ შეეჩვევა ადამიანი: კვლას, დამარხვას, ჯალათობასაც კი. საწამებელი ძელი და მარწუხი, ერთი თუ შეეჩვიე, ჩვეულებრივი სამუშაო იარაღები გახდება.

ბავშვები რომ დაწვნენ, მერის ვუთხარი: – წავალ, ცოტას გავივლი.

– რამდენიმე დღის წინათ მერი უსათუოდ ჩამეკითხებოდა – სად მიდიხარ, რისთვის? ... ახლა ესლა მკითხა: – დაიგვიანებ?

– არა, არ დავიგვიანებ.

– მე არ დაგელოდები, მეძინება, – მითხრა მან. რაკი დაადგა რაღაც გზას, ჩემმა მერიმ, ეტყობა, გამისწრო კიდეც. მე კვლავ იმ კურდღლების საცოდაობა მწვავდა. იქნებ ბუნებრივიც იყოს – რამეს რომ გაანადგურებ, სულიერი წონასწორობის აღსადგენად ცდილობ, რაღაც ახალი შექმნა! ნუთუ ამან მომცა ბიძგი?!

ხელის ცეცებით შევედი იმ მყრალ სოროში, სადაც დენი ტეილორი ცხოვრობდა. სასთუმალთან სანთელი ენთო.

ცუდი სანახავი იყო დენი – ჩამომხმარსა და დასნეულებულს, ერთიანად გალურჯებულს, ტყვიისფერი გადაჰკრავდა. გული აგერეოდა ამ ჭუჭყიანსა და მყრალ სოროში, სადაც ბინძური საბნის ქვეშ ასევე ჭუჭყიანი ადამიანი იწვა. გახეხილი თვალები მკრთალად უელავდა. ველოდი, ბოდვას მოვისმენ-მეთქი, და

სახტად დავრჩი, როცა დენი ტეილორის ჩვეული ხმით წარმოთქმული გარკვეული სიტყვები გავიგონე.

– აქ რა გინდა, ით?

– მინდა გიშველო რამე.

– შენ თვითონ ხომ იცი, რომ ყველაფერი ფუჭი იქნება.

– კაცის ფერი აღარ გადევს.

– ვიცი. ჩემზე კარგად ვის ეცოდინება! – ხელი გადასწია და „ძველი მეტყვეის“ ბოთლი ამოაძვრინა, მესამედილა თუ იყო ჩარჩენილი შიგ, – არ დალევ?

– არ მინდა, დენი. ეს რამსიძვირე ვისკი გიყიდა!

– მეგობრები ნუ მომიშალოს ღმერთმა.

– ვინ მოგცა?

– რა შენი საქმეა, – მოსვა და ბოყინი ძლივს შეიკავა, თუმცა გაუძნელდა კი. ისევ მოვიდა ფერზე. გაიცინა. – ჩემს მეგობარს საქმეზე უნდოდა სიტყვის ჩამოგდება, მაგრამ ვერ მივართვი. როგორც კი სათქმელად მოემზადა, მაშინვე თვალები გადავკარკლე. ეტყობა, არ იცოდა, რომ მე სულ ცოტა მყოფნის. შენც საქმეზე ხომ არ მოხვედი, ით? ახლავე გადავკრავ და მივსიკვდილდები!

– ოდნავ მაინც თუ გიყვარვარ, დენი? ან ნდობა თუ გაქვს ჩემი? ჰა... ოდნავ მაინც?

– როგორ არა, მაგრამ მე ხომ ლოთი ვარ, და ლოთს ღვინო სულსაც ურჩევნია.

– ფული რომ გიშოვო, სამკურნალოდ წახვალ?

– ისე უცებ მოეგო გონს და ისე ხელად დაემსგავსა ძველ დენის, რომ ერთი პირობა, დავფეთდი კიდევ.

– კი–მეთქი, გეტყოდი, ით. მაგრამ შენ რა იცი, რა ხალხი არიან ლოთები. გამოგართმევ მაგ გულს და სასმელში დავხარჯავ.

– მეც ავდგები და პირდაპირ საავადმყოფოში შევიტან, ან სხვაგან სადმე.

– აკი ვითხარი. წავალ ერთი ამბით, კეთილი სურვილებით, და ორ–სამ დღეში უკანვე გამოვიქცევი. ლოთებზე დანდობა ვის გაუგონია. ამას შენ ვერ მიხვდები. რაც არ უნდა ვითხრა და აღვითქვა, სულ ერთია, გამოვიქცევი.

– არ გინდა, მორჩე, დენი?

– მგონი, არც უნდა მინდოდეს, მგონი, შენც უნდა იცოდე, რა მინდა ახლა მე, – ისევ ასწია ბოთლი და ისევ გამაკვირვა სასმელის ასეთმა სწრაფმა მოქმედებამ. არა მარტო ძველ დენიდ იქცა, არამედ ისე გაუმახვილდა აღქმის უნარი და გრძნობა, რომ ჩემი ფიქრების წაკითხვაც კი შესძლო.

– არ მოტყუვდე, – თქვა მან, – ცოტა ხნით გამომაცოცხლებს და ისევ მალე მომწყდება კინწი. შენ ალბათ ახლავე წახვალ და კინწის მოწყვეტას ველარ ნახავ. ახლა არც მე მჯერა, რომ ასე მოხდება. აღზნებული როცა ვარ, აღარ მგონია რამე თუ მომივა, – უცებ მისმა დანამულმა და სინათლის შუქით გაბრწყინებულმა თვალებმა ჩემს სულში ჩაიხედეს. – ითენ, – მითხრა მან, – ფულს რომ მთავაზობ სამკურნალოდ, შენ რა ფულის პატრონი ხარ. ითენ?!

– ვიშოვი. მერიმ მიიღო ძმისგან მემკვიდრეობა.

– და მე მაძლევ მაგ ფულს?

– რატომაც არა.

– მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხილებ, ლოთებს ნუ ენდობი–მეთქი?! მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ გეუბნები, მაგ ფულს გამოგართმევ და გულს გაგიხეთქავ–მეთქი?

– გულს ისედაც მიხეთქავ, დენი. სიზმარში გნახე. თითქოს ისევ შენს მამულში ვიყავით... გახსოვს?

ბოთლი აიღო და კვლავ დაუშვა

– არა, ახლა არა... მერე იყოს... ლოთს ნუ ენდობი, ითენ, ნურასდიდებით ნუ ენდობი. რაგინდ ცუდ დღეში იყოს... ვიყო... რაგინდ ლეშივით უგრძნობელი ვეგდო, ჭკუა მაინც ჩუმჩუმად მოქმედებს და მტრულ გეგმებს აწყობს. ახლა, ამ წუთას, მე ისევ ის შენი ძველი მეგობარი ვარ. მივსიკვდილდი–მეთქი, რომ გითხარი, მოგატყუე. არა, მივსიკვდილდი კი, მაგრამ ბოთლის ამბავი მშვენივრად მახსოვს...

– დაიცა, – შევაჩერე მე, – ჯერ მე მათქმევინე, თორემ ცუდს რასმე იფიქრებ ჩემზე. ბეიკერმა მოგიტანა ეს ბოთლი, არა?

– ჰო.

– და რაღაცაზე ხელი მომიწერეო!

– ჰო, მაგრამ მაშინვე მივსიკვდილდი... – ჩაახველა და კვლავ მიიტანა ბოთლი ტუჩებთან, მაგრამ სანთლის შუქზე სითხის პატარა ბუმბტი შევნიშნე – სულ ერთი ყლუპი მოსვა.

– ეგეც მინდოდა შენთვის მეკითხა, დენი. იმ ძველ მამულსა გთხოვდა?

– ჰო.

– მიკვირს, აქამდე როგორ გადავირჩა გაუყიდავი.

– მგონი, გითხარი. ის მამული რომ მეგულება, თავი ჯენტლმენი მგონია. თუმცა ჯენტლმენისა ბევრი აღარაფერი შემრჩენია.

– ნუ გაყიდი, დენი. გქონდეს.

– შენ რა გენაღვლება?! რატომ არ უნდა გავყიდო?

– იმიტომ, რომ სიამაყე დაგიშლის.

– სიამაყე სადღაა, სულ ტყუილად ვკუდაბზიკობ.

– არა, ისევა გაქვს ძველი სიამაყე. ფული რომ მთხოვე, საშინლად შეგრცხვა. ეს უკვე სიამაყეა.

– არა. ეს ოინი იყო. ლოთები მამამადლი ხალხია. შენ თვითონ შეგრცხვა, და დოლარიანიც იმიტომ მომეცი, გეგონა მე ვიყავი დარცხვენილი. ერთი ბეწოთიც არ დამირცხვენია. დალევა მინდოდა.

– ნუ გაყიდი, დენი. ძვირფასი მამულია. ბეიკერი არ შეცდება. ძვირფასი რომ არ იყოს, არც დაინტერესდებოდა.

– რა აქვს მაინც ძვირფასი?

– ერთადერთი ვაკე ადგილია ქალაქის მახლობლად, სადაც აეროდრომი შეიძლება მოაწყონ.

– მესმის.

– თუ არ გაყიდი და შეინარჩუნებ, ეს შენთვის ახალი ცხოვრების დასაწყისი იქნება, დენი. ნუ გაყიდი. წახვალ, იმკურნალებ, და რომ დაბრუნდები, ისევ ისე დაგხვდება ბუდეში კვერცხი.

– კვერცხი დაგხვდება, ბუდე – აღარა. მაგას ჯობს, გავყიდო, დავლიო... „და, როცა ქარი ტოტებს დაამსხვრევს, ბუდეც, ბარტყებიც ძირს ჩაცვივინ“... ჩახრინწული ხმით წაიმღერა და გაიცინა. – შენც მოგინდა ის მამული, ით? მაგისთვის მოხვედი?

– მე შენი მორჩენა მინდა.

– რა მჭირს მოსარჩენი?

– ყური დამიგდე, დენი. ვიღაც ვიგინდარა რომ იყო, რაც მოგესურვებოდა, იმას იზამდი. მაგრამ შენ ისეთი რამე გაქვს, რითაც ჩვენი შორსმჭვრეტელი თანამემამულენი არიან დაინტერესებულნი.

– ტეილორების მამული?! ვერ მივართვი. მეც შორსმჭვრეტელი ვარ. – ალერსიანად გადახედა ბოთლს.

– დენი, ხომ გითხარი, ერთადერთი სააეროდრომო ადგილია–მეთქი! გასაქანი არა აქვთ. ან ეს ადგილი უნდა ჩაიგდონ ხელში, ან მთები გადათხარონ, ამას კი ვერ მოახერხებენ.

– მაშინ, ხელში მყოლია და მაგრადაც გავწურავ.

– შენ გავიწყდება, დენი. ქონების პატრონი კაცი ძვირფასი ჭურჭელია. მე უკვე ყური მოვკარი: ყველაზე დიდი სიკეთე იქნება, სადმე ისეთ ადგილას მოვათავსოთ, სადაც ხეირიანად მოუვლიან და მიხედავენო.

– მაგას ვერ გაბედავენ.

– გაბედავენ და მერე როგორ... ქველმოქმედებადაც ჩათვლებათ. ხომ იცი, როგორ ხდება. ჩვენს მოსამართლეს შენც კარგად იცნობ – გადაწყვეტილებას გამოიტანს, ქონების მოვლის თავი არა აქვსო. დაგინიშნავენ ვინმე მეურვეს. მე უკვე ვხვდები, ვინც იქნება. ამ საქმეს ფული დასჭირდება, ფულისთვის კი ადგებიან და იმ შენს მამულს გაჰყიდნიან. შენ თვითონ გამოიცანი, ვინ იყიდის.

თვალები უციმციმებდა, პირი დაეღო და ისე მისმენდა. მერე თავი მოაბრუნა.

– შენ გინდა, რომ შემაშინო, ით, მაგრამ ცუდი დრო მოგინახავს. დილით უნდა მოსულიყავი, როცა გაყინული ვგდივარ და მთელი ქვეყანა მწვანე ნარწყევად მეჩვენება. ახლა რა – ამ ბოთლმა ათმაგი ძალა მომცა, – ბოთლი ხმალივით შეაქნია და სანთლის შუქზე თვალები გაუბრწყინდა, – შენთვის არ მითქვამს, ით? მახსოვს, გითხარი – ლოთები ეშმაკები არიან–მეთქი.

– მე შენ გაგაფრთხილე, რაც მოგელის.

– მართალი ხარ. გეთანხმები. მარჯვე გასროლა გამოგივიდა. მაგრამ სულაც ვერ შემაშინე, პირიქით, სულში დაბუდებული ეშმაკი გამიღვიძე. ვინც იმას ფიქრობს, ლოთები უმწეო ხალხიაო, თვითონვე გიჟი და დამთხვეულია. ლოთს ვინ შეედრება, რასაც უნდა იმას გააკეთებს. შენ გგონია, ჩხუბი არ შემიძლია? ხელები მექავება.

– ყოჩაღ! მაგას რა სჯობია.

– ვისკის ბოთლი მოიმარჯვა და დამიმიზნა, კონდახივით მიიღო მკერდზე.

– მერის ფულს მასესხებ?

– გასესხებ.

– უგარანტიოდ?

- უგარანტიოდ.
- მიუხედავად იმისა, რომ გადახდის შანსი ათასიდან ერთია?
- მაგის მიუხედავად.
- ლოთები ბინძური ხალხია, ით. ვერ გენდობი, – გამხმარი ტუჩები ენით დაისველა,
- ფულს პირდაპირ ხელში ჩამიდებ.
- როცა მეტყვი.
- აკი გითხარი, არ შეიძლება–მეთქი.
- მე მაინც მოგცემ.

კვლავ მოიყუდა სასმელი და ახლა ბოთლის ფსკერიდან დიდი ბუშტი დაიძრა. დალევას რომ მორჩა, თვალები თითქოს კიდეც უფრო გაუბრწყინდა, მაგრამ ამჯერად გველივით ცივი და ვნებადამცხრალი გაუხდა.

- ამ კვირაში შეგიძლია მომცე ის ფული?
- შემიძლია.
- ოთხშაბათს?
- ოთხშაბათს იყოს.
- ახლა არ გექნება ორი დოლარი?
- სწორედ ამდენი აღმომჩნდა: ერთი ქალაქის დოლარიანი და მონეტები – ორმოცდაათიანი, ოცდახუთიანი, ორი ათიანი, ხუთიანი და სამიც თითო პენიანი. გამოწვდილ ხელში ჩავუყარე.

ბოთლი გამოცალა და იატაკზე მოიქნია.

- ჭკუა რომ არ გქონდა, ეს თავიდანვე ვიცოდი, ით. მარტო პირველდაწყებით მკურნალობას ათასი დოლარი დასჭირდება.
- მერე რა მოხდა!
- საინტერესო თამაში გამოდის. ოღონდ ჭადრაკი კი არ არის – პოკერია. იყო დრო, პოკერს დიდებულად ვთამაშობდი... ძალიან კარგად. შენ რაზე ჩამოდიხარ ფსონს, ეს ჩემთვის გარკვეულია: ჯერ ერთი, ვალს ჩემი მამული დაფარავს; მეორეც – ათასი დოლარის ვისკი წირვას გამომიყვანს, შენ კი ჩემი მამული აეროდრომისთვის დაგრჩება.
- ეს რა სისაძაგლე მოიგონე, დენი!

– ხომ გაგაფრთხილე, სადაგელი ვარ-მეთქი!

– მაშ, არა გჯერა, რომ შენი სიკეთე მინდა?

– არა. მაგრამ შენს სიტყვაზე იყოს. შენ ჩემი ბავშვობა გახსოვს, ით. მეც მახსოვს შენი ბავშვობა. მაშინაც კი მოსამართლე გეჯდა გულში. აგრე იყოს. სულ გამიშრა პირი. ბოთლი გამოვწრუპე. წავედი. მაშ, ათასი დოლარი.

– ჰო.

– ოთხშაბათს მომცემ, ნაღდად.

– მე თვითონ მოგიტან.

– არავითარი ხელწერილი და გარანტია. ოღონდ, არ იფიქრო, ისევ ის დენი ვიყო, შენ რომ ბავშვობიდან გახსოვს. ამ ჩემმა ძმაცაცმა ერთიანად შემცვალა. აღარც სინდისი შემრჩა და აღარც პატიოსნება. გულიანი დაცინვის მეტს ჩემგან ნურაფერს ელოდები.

– მე მაინც გთხოვ, სცადო ერთი.

– შეპირებით შეგპირდები, ით. მაგრამ ლოთის შეპირებას რა ფასი აქვს. შენ ფული მომიტანე. ახლა, თუ გინდა, დარჩი აქ. რამდენ ხანსაც გენებოს. ჩემი სახლი და შენი სახლი ვის გაუყვია. მივდივარ. ოთხშაბათს გელოდები, ით. – საწოლიდან წამოდგა, საბანი კუთხეში მიაგდო და ბარბაცით გავიდა სოროდან, შარვალი გახსნილი ჰქონდა.

ერთხანს იქვე ვიჯექი, შევყურებდი, როგორ თანდათანობით ეშვებოდა სინათლე ლამბაქზე გამდნარ ქონში. ყველაფერი მართალი თქვა, გარდა ერთი რამისა, რისთვისაც მე ჩემს ფსონს ჩავდივარ. დიდად არ შეცვლილა დენი. დაიმსხვრა, მაგრამ დენი ტეილორის იერი მაინც შერჩა. მე მიყვარდა დენი და მზად ვიყავი გამეკეთებინა ის... რაც მან თვითონვე თქვა. ნამდვილად. შორიდან მისი წკრიალა ხმა მომესმა.

გაფრინდი, ჩემო ხომალდო, ჩემო ლამაზო ბელურა, გაშლილი ზღვები უფლისწულს

გადაატარე მეფურად.

რამდენიმე ხნის შემდეგ სანთელი ჩავაქრე და მთავარი ქუჩით შინისაკენ გავწიე. უილი პოლიციის მანქანაში იჯდა, არ ეძინა.

– ძალიან კი მოუხშირე სეირნობას, ით, – მითხრა მან.

– რას იზამ.

– ასეც უნდა. გაზაფხულია. ყმაწვილი კაცის გულს რა მოასვენებს.

– მერი ჩაძინებული დამხვდა. სახეზე ღიმილი გადაშლოდა. მაგრამ ლოგინში რომ შეეუცურდი, შეიღვიძა. გულგვამში ნალველი მწვავდა – ცივი, მტანჯველი ნალველი. მერი გვერდზე გადმობრუნდა და თავის თბილ სხეულზე მიმიკრა, რომელსაც თივის სურნელი ასდიოდა, და მე ერთბაშად მომინდა მერი. ვიცოდი, რომ აშლილი ნალველი თანდათანობით დამიცხრებოდა, მაგრამ ამ წუთში მერი მჭირდებოდა. არ ვიცი, გაიღვიძა თუ არა, მაგრამ მძინარეც კი გრძნობდა, რომ ახლა მე იგი მჭირდებოდა.

მერე, როცა სავსებით გამოფხიზლდა, მითხრა: – არ მოგშივდა?

– მომშივდა, მშვენიერო ელენე.

– რა გაჭამო?

– ხახვის სენდვიჩი... ორი ხახვის სენდვიჩი ჭვავის პურით.

– მაშინ მეც უნდა ვჭამო, თორემ აქ აღარ დამედგომება.

– ისე არ გინდა თუ?

– რატომაც არა.

კიბეზე დაეშვა და ცოტა ხნის შემდეგ სენდვიჩები ამოიტანა, თან მუყაოს ბოთლით რძე და ორი ჭიქა მოაყოლა.

მწარე ხახვი გამოდგა.

– ჩემო მერი, – დავიწყე მე.

– ჯერ გადაყლაპე.

– მაშინ რომ მითხარი, შენი საქმე სულ არ მაინტერესებსო, მართალია?

– დ–დიახაც...

– მაშ, იცი რა – საქმეში ვებმები, ათასი დოლარი მჭირდება.

– მისტერ ბეიკერმა რომ გითხრა, ის საქმეა?

– თითქმის. თუმცა ჩემი საკუთარი მოსაზრებაც ურევია.

– რაღას უცდი, გამოწერე ჩეკი.

– არა, ჩემო კარგო. შენ თვითონ უნდა გამოიტანო, ნალდი. ბანკში შეგიძლია თქვა, ავეჯს ან ნოხებს ვყიდულობო, ან სხვა რამე მოიგონე.

– მე რომ არაფრის ყიდვას არ ვაპირებ!

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს.
- საიდუმლოა?
- შენ თვითონ ასე ისურვე.
- ჰო... მართალი ხარ. ასე სჯობია. რა მწარე ხახვია! მისტერ ბეიკერმა მოგიწონა?
- თვითონვე დამასწრებდა, მაგრამ არაფერი გამოუვა.
- ფული როდისთვის გინდა?
- ხვალისთვის.
- აღარ შევჭამ ამ ხახვს, თორემ ვეღარ მომეკარები.
- შენ ჩემი კარგი გოგო ხარ.
- ის შენი მარულო თავიდან აღარ მშორდება.
- რატომ?
- აბა რა! სახლში მოგვადგა. კანფეტები მოიტანა.
- ღმერთის იდუმალ გზებს შენ რას გაიგებს.
- ნუ გმობ ღმერთს. ჯერ აღდგომა არ გასულა.
- როგორ თუ არ გასულა – ორის თხუთმეტია.
- ღმერთო ჩემო. აღარ დავიძინოთ?
- ეჰ, სწორედ მანდ არის დამარხული ძაღლის თავი... ეს შექსპირი გახლავს.[13]
- შენ ხომ ყველაფერი უნდა გაამასხარაო.

მაგრამ მასხრობა არ ყოფილა ეს. ნაღველი ისევ მძიმედ მაწვა გულზე და მტანჯავდა, ვერაფრით მომეშორებინა, თუმცა არც დავფიქრებულვარ ამის მიზეზებზე. ზოგჯერ თავს ვკითხავდი, ნეტავ რას ვიტანჯები—მეთქი. რას არ შეეჩვევა ადამიანი, მაგრამ ყველაფერს დრო სჭირდება. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, დენტის დამამზადებელ ფაბრიკაში ვმუშაობდი, ნიტროგლიცერინი დამქონდა ხოლმე საამქროებში. კარგ ჯამაგირსაც ვიღებდი, რადგან სახიფათო სამუშაო იყო. პირველ ხანებში ყოველ ნაბიჯს გამოზომილად ვადგამდი, მაგრამ ერთ—ორ კვირაში შევეჩვიე და ესეც ჩვეულებრივი სამსახური გახდა. რაღა შორს მივდივარ, ამ მედუქნეობასაც ხომ მშვენივრად შევეჩვიე. როცა შეჩვეული ხარ რამეს, სასიამოვნოც არის, შეუჩვეველი თუ ხარ, მაშინ პირიქით.

სიბნელეში კვლავ წითელი ლაქები ამიციმციმდა თვალწინ, და მე თვითონვე შევამოწმე ჩემი თავი იმაში, რასაც სინდისს ეძახიან, მაგრამ არავითარი ჭრილობა და ტკივილი არ მიგრძვნიდა. მერე თავს დავეკითხე – გზას რომ გადავუხვიო და მთელი ოთხმოცდაათი გრადუსით შევიცვალო მიმართულება, ამას თუ შევძლებ–მეთქი. დავრწმუნდი, რომ შევძლებდი, მაგრამ სურვილი არ მქონდა.

რაღაც ახალ განზომილებაში ვიმყოფებოდი და ამის შეგნება მატკობდა. თითქოს აქამდე უმოქმედო კუნთები აღმომჩენოდეს, ან არადა ბავშვობის სიზმარი ამხდომოდეს, და ახლა სივრცეში დავფრინავდე. ასე დამჩემდა, გონებაში აღვიდგენ ხოლმე უკვე მომხდარ შემთხვევებს, სურათებს, საუბარს და სულ ახალ–ახალ წვრილმანებს აღმოვაჩენ, რაც პირველი წარმოდგენის დროს მხედველობიდან გამომრჩენია.

მერის ეუცნაურა მარულოს მოსვლა და კანფეტების მოტანა, მერის ალღოს კი ვენდობი. მე მადლიერების გამოვლინებად მომეჩვენა ეს სტუმრობა, რაკი ცთუნებას არ ავყევი და არ ვუღალატე. მაგრამ მერის შეკითხვამ ისეთ რამეზე ჩამაფიქრა, რაც ადრე ვიცოდი, მაგრამ არ დავფიქრებოვარ. მარულო წარსულისთვის კი არ მაჯილდოებდა, არამედ მომავლისთვის უნდოდა ჩემი გულის მოგება. იქნებ რამეში გამომადგესო. და იმიტომ დაინტერესდა ჩემით, მეტი არაფერი. გავიხსენე მისი საქმიანი დარიგებანი და სიცილიაზე ჩვენი საუბარი. ზოგიერთ რამეში საკუთარი თავის რწმენა დაუკარგავს, ეტყობა ჩემი დახმარება დასჭირვებია, ჩემგან მოელის რაღაცას. ამის შემოწმება ადვილია: ისეთი რამე უნდა ვთხოვო, რაზეც ადრე უარს მეტყოდა. ახლა თუ შემიპირდა, აშკარაა რაღაცას აუფორიაქებია, დიდი გასაჭირი ადგას. მარულოს თავი გავანებე და მარჯის მივუბრუნდი. მარჯი?! გაიხსენე, როდის იყო ეს სახელი მოდაში და მიხვდები, რა ხნისაც არის. „მარჯი, ოცნებავ და სიყვარულო, მარჯი, ქვეყანა შენთვის... „

გადავითამაშე მარჯისთან შეხვედრის სცენები წითელი ლაქების ფონზე, რომლებიც ჭერზე დაცურავდნენ; ვცდილობდი ყველაფერი სინამდვილედ წარმომედგინა, ჩემით არაფერი მიმემატებინა. დიდხანს, იქნებ მთელ ორ წელიწადსაც, არსებობდა ვიღაც იანგ–ჰანტი, ჩემი ცოლის მეგობარი, რომლის ლაყბობას მე ყურშიაც არ ვუშვებდი. მერე უცებ მარჯი იანგ–ჰანტი შეიქნა ეს ქალი, სულ ბოლოს კი მხოლოდ მარჯი. ალბათ, წითელ პარასკევამდეც ბევრჯერ შემოსულა იგი ჩემს დუქანში, მაგრამ მე არ მაგონდება. იმ დღეს კი თვითონვე წარმომიდგინა საკუთარი თავი. მანამდე იქნებ მასაც ისევე არ შევუნიშნოვარ, როგორც მე არ შემინიშნავს იგი. იმ დღიდან მოკიდებული კი აღარ მშორდება – სულ თვალში მეჩხირება და გასაქანს არ მადლევს. ნეტა რა უნდა? უსაქმური დედაკაცის უბრალო ახირებაა, თუ რამე გადაუწყვეტია და იმიტომ მიტრიალებს? მომეჩვენა, რომ მან თვითონ წარმომიდგინა საკუთარი თავი, მაიძულა ყურადღება მიმექცია. მეორე მკითხაობა, თუკი რამე გამეგება, ისე მოიგონა, პატოსანი განზრახვით, ჩვეულებრივი კარტზე რჩევა უნდა ყოფილიყო, დახვეწილი, პროფესიული ფრაზები. მერე კი რაღაც მოხდა, აირ–დაირია ყველაფერი. მერის ისეთი არაფერი უთქვამს, რომ მის სიტყვებს გაელიზიანებინოს,

არც მე მითქვამს. ნეტა გველის მოჩვენების ამბავი მართალია?.. თუ ეს მართალია, მაშინ ყველაფერს ეხდება ფარდა და გასაგები ხდება. იქნებ მართლაც აქვს უჩვეულო ალლო და სხვის ფიქრებსა სწვდება! მარტო ის ფაქტიც, რომ სწორედ ჩემი მეტამორფოზის დროს გამომეცხადა, ასეთი ფიქრის საბაბს მაძლევს. თუმცა შეიძლება ესეც შემთხვევით მომხდარიყო. მაგრამ მონტოკს წასვლა რამ აფიქრებინა ასე უცებ, ან იმ კომივოიაჟერს საიდან გადაეყარა, ან მარულოს რად დაუფქვა ყველაფერი?! ისეთ ქალს არა ჰგავს, რომ შემთხვევით წამოროშოს რამე, წინასწარ მოუფიქრებლად. ერთ წიგნის კარადაში, სხვენზე, ბიოგრაფია გვაქვს... ბერინგისა? არა, ბარანოვის, ალექსანდრ ბარანოვის. რუსი იყო, ალიასკის გუბერნატორი რვაასიან წლებში. იქნებ, იქ ეწეროს – ჯადოქრობისათვის ალიასკაში თუ ასახლებდნენ. მოგონილს არა ჰგავს, ამას ვერ მოიგონებ. უნდა ვნახო. ახლავე ავალ–მეთქი, ვიფიქრე, ისე, რომ მერის არ გავაღვიძებ.

უცებ ჩვენი მუხის კიბის ჭრაჭუნი გავიგონე, კიდევ განმეორდა, კიდევ. ასე რომ, ტემპერატურის შეცვლის გამო სახლის კედლების დაწვევას არა ჰგავს ეს. ალბათ, ელენი დადის, მძინარე.

რალა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს ჩემი გოგო, მაგრამ ზოგჯერ მაშინებს, თითქოს ასეთი საზრიანი დაიბადაო – თან კი შურიანი და მოსიყვარულე. მმას მუდამ შურით უყურებს, ზოგჯერ – მეც. მე მგონი, ძალიან ადრე დაინტერესდა სექსუალური საკითხებით. მამები ალბათ მუდამ გრძნობენ ამას. ჯერ სულ პატარა გოგო იყო და მაშინაც კი ისეთ ინტერესს იჩენდა მამაკაცის სასქესო ორგანოების მიმართ, რა გვექნა აღარ ვიცოდით. მერე და მერე ერთიანად შეიჭრა მწიფობის საიდუმლოებაში. ჟურნალებში რომ ქალწულებრივ კდემამოსილებაზე წერენ დაუსრულებლივ, ჩემს გოგოს ეს ერთი ბეწოთიც არა სცხია. მისი ნერვიულობით მთელი სახლი დუღდა, კედლებს მოუსვენრობისგან ჭრაჭუნი გაუდიოდა. სადღაც წამიკითხავს, შუა საუკუნეებში თურმე ასეთი რწმენა ჰქონდათ – სქესობრივი მომწიფების დროს გოგონებს უწმინდური სული ჩაუსახლდებათო. მგონი, მართლაც ასე უნდა იყოს. ერთი პირობა ვხუმრობდით ხოლმე, ჩვენს სახლში ჭინკამ დაიბუდაო. სურათები კედლებიდან ძირს ცვიოდა, თეფშები იმსხვრეოდა, სხვენი ზანზარებდა, სარდაფში გრუხუნი იდგა. არ ვიცი, რა ხდებოდა, მაგრამ ელენს კი სულ ვუთვალთვალებდი, მის იდუმალ გამოჩენასა და გაუჩინარებას. ღამით მოხეტიალე კატას ჰგავდა. ბოლოს დავრწმუნდი, ეს გრუხუნი და მსხვრევა მისი ბრალი არა ყოფილა; მაგრამ, იმასაც მივხვდი, რომ, როცა ელენი შინ არ იყო, ასეთი რამე არა ხდებოდა. ზოგჯერ, როცა ჭინკა შემოვიდოდა სახლში, იჯდა და თვალი სივრცისთვის ჰქონდა მიშტერებული, მაგრამ შინ უსათუოდ იყო ამ დროს.

ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, ამბობდნენ, დიდი ხნის წინათ ჰოულების ძველ სახლს მოჩვენება შემოეჩვიაო – რომელიღაც ჩვენი წინაპრის, პურიტან–მეკობრის სული. მაგრამ, როგორც ამტკიცებდნენ, ეს იყო ყოვლად წესიერი მოჩვენება: დაძვრებოდა სახლში და, როგორც სულების წესია, კვნესოდა, მისი უხილავი სხეულის სიმძიმით კიბეებს ჭრაჭუნი გაუდიოდა, ვისიმე სიკვდილის მოახლოებისას კედელზე ტყაპუნს

ასტეხდა, მაგრამ ღირსეულად და წესიერად. ეს ჩვენი ჭინკა კი სულ სხვა რამე იყო – ბოროტი, ღვარძლიანი, ვერაგი და შურისმგებელი. უბრალო ნივთები როდი ეპიტნავენოდა, სულ ძვირფასებს ეტანებოდა. ბოლოს გაქრა. მე არასოდეს დამიჯერებია მისი არსებობა. ეს ჩვენი ოჯახური ხუმრობა იყო, მაგრამ ხუმრობა დაარქვი – სურათები იმსხვრეოდა და ფაიფურის ჭურჭელი იფშვნიებოდა.

ჭინკა გაქრა, და ის იყო ელენმა ძილში სიარული დაიწყო, აი როგორც ამ წუთში დადის. გავიგონე მისი ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯი, კიბეზე ეშვებოდა. იმავე წუთში ჩემმა მერიმ ამოიხვნემა და რაღაც წაიბუტბუტა. ამოიჭრა ნიავი და შეფოთლილი ტოტების ჩრდილი ჭერზე შეარხია.

ფრთხილად გამოვძვერი ლოგინიდან და ფრთხილადვე მოვისხი ხალათი, რადგან საქვეყნოდ ცნობილია, და მეც ვიცი, მთვარეულების დაფრთხობა არ შეიძლება.

ისე გამოდის, თითქოს ჩემი ქალიშვილი არ მიყვარდეს. სინამდვილეში კი მიყვარს. მიყვარს, მაგრამ ცოტათი მაშინებს, რადგან ბევრი რამე არ მესმის მისი.

კედლის გასწვრივ თუ დაჰყვები ჩვენს კიბეს, სულაც არ ჭრაჭუნებს. ეს პირველად ჩემს ბიჭობაში შევნიშნე, როცა ხვად კატასავით გვიან ვბრუნდებოდი შინ, ქალაქის ბნელი ქუჩებით. და ახლაც ვსარგებლობ ამ აღმოჩენით, როცა მერის გაღვიძებას ვერიდები. ამჯერადაც ვისარგებლე, ხელი კედელს გავაყოლე და ჩუმად დავეშვი. ქუჩიდან ფარნის მბჟუტავი შუქი შემოდის ფანჯარაში და სახლის სიბნელეში ინთქმებოდა, მაგრამ მაინც დავინახე ელენი. თითქოს თვითონვე აფრქვევდა სინათლეს, ალბათ იმიტომ, რომ თეთრი საღამური პერანგი ეცვა. სახე ჩაბნელებული ჰქონდა, მაგრამ მხრები და ხელები შუქს გამოსცემდა. მინის კარადასთან იდგა, ამ კარადაში ჩვენ საოჯახო განძეულს ვინახავთ ხოლმე, რისი ფასიც თავისთავად არაფერს წარმოადგენს – ვეშაპის ძვლისაგან და ეშვებისაგან გამოკვეთილი ვეშაპები; ნავი, მთელი თავისი ეკიპაჟით, ნიჩბებით და ჭვინტზე მდგარი მეაბჯრით; პაწაწინა მოდელი „ბელადერისა“, რომლის ტანი ბრწყინავს, ხოლო დაშვებული აფრები და ანძები გამოხუნებულან და დამტვერილან. აქვეა ჩინური ნივთებიც, ძველი კაპიტნების მიერ აღმოსავლეთიდან ჩამოტანილი, როცა მათ აქაურობა ვეშაპებისგან დასცალეს – შავი ხისა და სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი მოცინარი და დაღვრემილი ღმერთები, დინჯი და გაჭუჭყიანებული ბუდას გამოსახულებანი, ვარდისფერი კვარცისაგან, საპნის ქვისაგან და ნეფრიტისაგან – დიახ, სწორედ რომ ნეფრიტისაგან – გამოჭრილი ვარდები, კოხტა და გამჭვირვალე ჩინური ფინჯნები. ამ ნივთებში იქნებ ზოგი ძვირფასი რამეც ერია, – მაგალითად პაწაწინა ცხენები, მართალია ულაზათოდ გამოჩორკნილი, მაგრამ ცოცხალი და მკვირცხლი, – ყოველ შემთხვევაში, თუ მართლაც ურევია რამე ძვირფასი, ალბათ სრულიად შემთხვევით. აბა, ეს ძველი მეზღვაურები, ვეშაპებზე მონადირენი, კარგს და ცუდს რას გაარჩევდნენ! თუმცა ვინ იცის! იქნებ არჩევდნენ კიდევ!

ეს კარადა ჩემთვის მუდამ წმინდა ადგილი იყო – როგორც რომაელ წინაპართა ნიღბები, როგორც ლარები და პენატები, ან მთვარიდან ჩამოვარდნილი ქვა. ჩვენ მანდრაგორის ძირიც კი გვაქვს – ნამდვილი კაცუნა, ჩამოხრჩობილის თესლზე აღმოცენებული; ალიც, ნამდვილი ალი – ტანი მაიმუნის, ბოლო კი თევზისა. წლების განმავლობაში თანდათანობით დაძველდა, მოიკრუნჩხა, ნეკერები გამოუჩნდა, მაგრამ თავისი პატარა კბილებით მაინც მრისხანედ იჭყანება.

ალბათ ყველა ოჯახს აქვს თავისი თილისმა, მემკვიდრეობის გაგრძელების ნიშანი, რომელიც ყოველ მომდევნო თაობას ამხნეებს, შთააგონებს და ნუგეშს სცემს. ჩვენი ოჯახის თილისმა გახლავთ, – როგორ გითხრათ, – ბორცვის ფორმის ნახევრად გამჭვირვალე ქვა, არ ვიცი კვარცისა, არ ვიცი იასპისა; დიამეტრი – ოთხი გოჯი, სიმაღლე – ერთნახევარი. გარშემო დაუსრულებელი ხვეული ამოუკვეთიათ, ოღონდ ბოლოს ვერ უნახავ, თითქოს სადღაც გარბის. ცოცხალ არსებასა ჰგავს, მაგრამ არც თავი აქვს, არც კუდი, არც დასაწყისი და არც ბოლო. ხელის შეხებით სლიპი არ არის, ოღონდ მქისეა, როგორც ადამიანის სხეული, და მუდამ თბილი. შეგიძლია ღრმად ჩახედო, მაგრამ სულმთლად გამჭვირვალე არ არის. ალბათ, ჩინეთიდან ჩამოიტანა რომელიმე ჩემმა წინაპარმა. ნამდვილად ჯადოსნურია – შესახედადაც საამურია, ხელის შესახებადაც, და ღაწვებზე ჩამოსმაც კი სიამოვნებას გაგრძნობინებს. ეს უცნაური ჯადოსნური ქვა მინის კარადაში გვყავს გამომწყვდეული. ბავშვობაში, და მერეც, როცა წამოვიზარდე და კაცი გავხდი, ნება მქონდა შევხებოდი, ხელში ამელო... შინიდან გატანის უფლება კი არა მქონია. ქვა თითქოს ფერსაც იცვლიდა, მოყვანილობასაც, ჩვეულებასაც, და ეს ცვლილება მუდამ ჩემს არსებაში მომხდარ ცვლილებებთან იყო დაკავშირებული. ერთი პირობა, ქალის მკერდად მეჩვენებოდა, და მწვავდა საწყალ ბიჭს. მერე ადამიანის ტვინად თუ ამოცანად წარმომიდგა – რაღაც მოძრავ, დაუსაბამო და უსასრულო რადმე, საკუთარ თავში ჩაკეტილ კითხვად, რომელიც არც პასუხს მოითხოვს, არც თავი აქვს და არც ბოლო.

ძველისძველი სპილენძის კლიტით ვკეტავდით ამ კარადას და კლიტეში სპილენძისავე ბრტყელი გასაღები იყო მუდამ გაჩრილი.

ჩემს მძინარე ქალიშვილს ხელში ეჭირა ეს ჯადოსნური ბორცვი და თითებს უსვამდა, ისე ეფერებოდა, როგორც ცოცხალ არსებას. მერე თავის ჯერ კიდევ წამოუბურცავ მკერდზე მიიკრა, ღაწვებზე ჩამოისვა, ძუძუზე მიმჯდარი ლეკვივით დაყნოსა და გაბმულ კრუტუნს მოჰყვა, რაც სიამისა და სიტკბოების კრუსუნს უფრო ჰგავდა. რაღაც გამანადგურებელი ძალა იგრძნობოდა მასში. შემეშინდა – არ დაამსხვრიოს, ან სადმე არ გადამალოს–მეთქი, მაგრამ ხელადვე მივხვდი, რომ მის ხელებში ეს იქცა დედად, სატრფოდ, ბავშვად.

აღარ ვიცოდი – ისე როგორ გამეღვიძებინა, რომ არ დამეფრთხო. ანკი რატომ აღვიძებენ მთვარეულებს? იმის შიშით, რომ არაფერი დააშავონ? არასოდეს გამიგონია, ამ დღეში მყოფ ადამიანს რამე მოსვლოდეს, თუ ძალით არ გააღვიძებ. მაშ, რატომღა დავურღვიო მყუდროება?! ეს ხომ მტანჯველი და სულის ამწეწავი

კომმარი არ არის?! პირიქით, ისეთ სიტუაციასა და სიამეს განიცდის, რასაც ცხადში ვერასდობებით ვერ ეღივებოდა. რატომ ჩავაშხამო ეს სიამოვნება? ჩუმი მივბრუნდი და ჩემს დიდ სავარძელში ჩავჯექი, რა მოხდება—მეთქი.

ჩაბნელებულ ოთახში თითქოს კაშკაშა სინათლის ნაპერწკლები ჩამოიღვარა და კოლოების გუნდით დაბზრიალდა. ალბათ მეჩვენებოდა ასე. დაქანცულობისაგან თვალები ამიჭრელდა, მაგრამ ცხადად ჩანდა. ჩემი ქალიშვილი ელენი კი ნამდვილად აფრქვევდა სინათლეს – არა მარტო მისი პერანგის სიქათქათე, არამედ მისი კანიც. სახის გარჩევა ამ სიბნელეში შეუძლებელი იყო, მაგრამ მე მაინც ვხედავდი. პატარა გოგონას სახეს სულაც არ ჰგავდა, არც მოხუცისას, ეს იყო მომწიფებული, ჩამოყალიბებული ადამიანი. ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული, მიუხედავად იმისა, რომ ტუჩების მოკუმვა ჩვეულებად არა აქვს.

ცოტა ხნის შემდეგ ელენმა თილისმა თავის ადგილზევე დასდო, მინის კარი მიხურა და სპილენძის გასაღები გადაატრიალა – დაკეტა. მერე გაბრუნდა, ჩემს სავარძელს ჩაუარა და კიბეს შეჰყვა. ორი რამე აშკარად მომეჩვენა – ჯერ ერთი, გოგონასავით კი არ დადიოდა, არამედ დასრულებულ ქალს მიუგავდა სიარული, და მეორეც – სულ უფრო და უფრო ნაკლებ შუქს აფრქვევდა. იქნებ მართლაც მომეჩვენა, ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო; მესამეში კი ეჭვი არ შეიძლებოდა შემპარვოდა – კიბეს ჭრაჭუნით აღარ გაუდიოდა. ალბათ, ისიც კედლის გასწვრივ აჰყვა კიბეს, სადაც საფეხურები არც ჩივის და არც წუწუნებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეც მივყევი. ლოგინში ჩაწოლილიყო, საბანში კარგად ჩაფუთულიყო და ტკბილად ეძინა. პირით სუნთქავდა და სახე მძინარე ბავშვისა ჰქონდა.

რადაცამ მაიძულა ისევ დაბლა ჩავსულიყავი და მინის კარადა გამეღო. იმ პატარა ბორცვს მოვკიდე ხელი. ელენის სითბო კვლავ შერჩენოდა. ბავშვობაში რომ ვიცოდი, ახლაც ისე გავაყოლე სალოკი თითის წვერი დაუსრულებელ ხვეულებს და დავშვიდდი. ვიგრძენი, რომ ელენი ძალიან ახლოს იყო ჩემთან.

ნეტა ვიცოდე, ამ თილისმამ დამიახლოვა ასე – მეც და, საერთოდ, ჰოულების მთელი მოდგმა?

თავი მეცხრე

ორშაბათს ვერაგმა გაზაფხულმა მოგვერდი ქნა და პირი ზამთრისკენ იბრუნა; ამას მოჰყვა ცივი წვიმა და ნესტიანი ქარი, რამაც მეტისმეტად მინდობილი ხეების ნაზი კვირტები დაგლიჯა და ჰაერში მიმოაბნია. ავხორცი და უტიფარი ბელურები,

რომლებიც გაზონებში მრუმობდნენ, ქარაშოტმა დაფლეთილი ჩვრებივით გაიტაცა და გაფანტა, ახლა ისინი გაბრაზებული ჟღურტულით ებუზღუნებიან ამინდს.

მე სასეირნოდ გამოსულ მისტერ წითლა ბეიკერს მივესალმე, რომელსაც საბრძოლო ბაირადივით გაეშალა კუდი ქარში. ეს ჩემი ძველი ნაცნობი წვიმას ცერად გასცქეროდა. მე შევძახე: – ამიერიდან ჩვენ მხოლოდ მოსაჩვენებლად თუ შეგვიძლია ვიყოთ მეგობრები, მაგრამ, რაღა დასამალია, ჩვენი ღიმილი დაუნდობელ ბრძოლასა და ინტერესთა ჭიდილს ფარავს!.. – მეტსაც ვეტყოდი, მაგრამ იგი თავისი საქმის მოთავებასა და გადაყუდებას ეშურებოდა.

ამ დროს მორფიც გამოჩნდა. იქნებ მე მელოდებოდა. ალბათ.

– რა ჯოჯოხეთი დღეა, – თქვა მან, რეზინის თხელი საწვიმარი ხან გამოებერებოდა, ხან ფეხებზე შემოეტმასნებოდა, – გავიგე, ჩემს პატრონს სწვევიხართ.

– ჰო, რჩევა მინდოდა მეკითხა. მერე ჩაითაც გაგვიმასპინძლდნენ.

– ისე რას გამოგიშვებდათ!

– რჩევის ამბავი ხომ იცით, შენს განზრახვასაც თუ დაემთხვა, მხოლოდ მაშინ გაკმაყოფილებს.

– ეტყობა, ფულის დაბანდებას აპირებთ.

– ჩემმა მერიმ ახალი ავეჯის შეძენა გადაწყვიტა. ქალი რომ რამეს მოინდომებს, ისე მოგაჩვენებს საქმეს, თითქოს ფულის დაბანდება გადაეწყვიტოს.

– განა მარტო ქალები, – თქვა მორფმა, – მეც ასე მომდის ხოლმე.

– ფული მისია. უნდა რაღაცეები შეიძინოს.

მთავარი ქუჩის კუთხეში, რაპის სათამაშოების მაღაზიას ქარმა თუნუქის აბრა მოგლიჯა და ახლა ისეთი გრუხუნითა და ზანზარით მიაგორებდა, გეგონებოდა ავტომობილის კატასტროფა მოხდაო.

– დაიცა, ყური მოგკარი, თითქოს თქვენი პატრონი იტალიაში აპირებდეს.

– არ ვიცი. გასაკვირი ის არის, აქამდე რატომ არ წავიდა. მაგათი ოჯახები ხომ კუდი–კუდზე არიან გადაბმულები.

– ყავის დასალევად არ შევსულიყავით?

– დუქანი მაქვს დასალაგებელი. დღესასწაულების შემდეგ დილიდანვე მოაწყდება ხალხი.

– კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მისტერ ბეიკერის უახლოესმა მეგობარმა ერთი ფინჯანი ყავის დასალევად კი უნდა მოიცალოს... – ეს ისე მწარედ არ უთქვამს, როგორც ქალაღდზე შეიძლება გამოჩნდეს: უცნაური კაცი იყო, შეეძლო ყოვლად კვიმატი სიტყვები სავსებით გულუბრყვილოდ და ალერსიანად წარმოეთქვა.

– რამდენიმე წელიწადია „მთავარ ანძაში“ ყავის დასალევად არ შევსულვარ. მთელ ქალაქში ალბათ მე ვიყავი ერთადერთი გამონაკლისი. ეს ჩვეულებად, ადათად ჰქონდათ გადაქცეული – „მთავარი ანძა“ ერთგვარი კლუბი იყო. შემოვსხედით ტაბურეტებზე დახლთან და მისის ლინჩმა, რომელთანაც ერთად მე სკოლაში ვსწავლობდი, ყავა გამოგვიცურა, ისე რომ ლამბაქზე ერთი წვეთიც არ გადმოღვრილა. ფინჯნებს თითო პაწაწინა ნაღების ბოთლი ჰქონდა მიდგმული, ხოლო ქალაღდში გახვეული ორი შაქრის ნატეხი კამათლებივით გადმოგვიგორა.

– მისის ლინჩ, მისის ლინჩ! ეს „მისის“ სახელის განუყოფელ ნაწილად ექცა, თვით მის განუყრელ ნაწილადაც. და არცა მგონია, როდისმე ჩამოიშოროს. ცხვირი წლითიწლობით სულ უფრო და უფრო უწითლდება, მაგრამ არა ალკოჰოლისაგან, არამედ ფისტულისაგან.

– გამარჯობა, ითენ! – მითხრა მან, - დღეობა გაქვთ?

– ამან შემომათრია, – ვუპასუხე მე და უფრო ალერსიანად რომ გამომსვლოდა, დავძინე: „ანი“.

თავი ისე გააქნია, თითქოს რევოლვერი გაისროლესო, მერე კი, როცა მიხვდა, რა ვუთხარი, გაიღიმა და, წარმოგიდგენიათ, ისეთივე გახდა, როგორიც მეხუთე კლასში მახსოვდა, იგივე წითელი ცხვირი და ყველაფერი.

– მესიამოვნა შენი ნახვა, ითენ, – მითხრა და ცხვირი ქალაღდის ხელსახოციტ მოიწმინდა.

– გამიკვირდა, რომ გავიგე, – თქვა მორფმა. შაქრის ნატეხს ქალაღდი შემოაცალა. ფრჩხილები გაპრიალებული ჰქონდა, – აგეკვიატება თავში რაღაცა და მერე სინამდვილე გგონია, ხოლო როცა არ აღმოჩნდება ნამდვილი, უკვე გვიანდაა გადარწმუნება.

– არ მესმის, რას ამბობ!

– მგონი, მე თვითონაც არ მესმის. ქალაღდებში გახვევა რაღა ოხრობაა! არ ჯობია პირდაპირ ჩაყარონ საშაქრეში?!

– ალბათ იმიტომ, რომ ხალხმა ბევრი არ იხმაროს.

– მეც ასე მგონია. ერთ ვაჟბატონს ვიცნობდი, კარგა ხანს მარტო შაქარზე გადადიოდა. მივა ავტომატთან, ჩააგდებს ათცენტისანს, აიღებს ფინჯნით ყავას, ნახევარს მოსვამს, მერე ჩაყრის შაქარს და შეხვრეპს. შიმშილიტ მაინც არ მოკვდება კაცი.

– როგორც ყოველთვის, ახლაც თავში გამკრა, - ეს ვაჟბატონი თვით მორფი ხომ არ იყო–მეთქი – ეს ახირებული, ურჯულო, დაუბერებელი, ფრჩხილებგაპრიალებული მორფი! განათლებული კაცი ჩანდა, ლოგიკური მსჯელობა იცოდა, აზრების დალაგება. მაგრამ ენა ჰქონდა მოუხეშავი, ტლანქი, მდაბიური.

– თქვენც იმიტომ ხომ არ იგდებთ თითო ნატებს შაქარს? – ვკითხე მე.

გაიჭყანა.

– ყველას თავისი თეორია აქვს, – თქვა მან, – ყოვლად წყალწაღებული მცონარა რომ აიღო, ისიც კი შეეცდება თეორიით გაამართლოს თავისი მცონარობა. ასეთი თეორიის ძალით ზოგჯერ იქნებ საგზაო ნიშნებს არც შეხედო, კარგი გზიდან გადაუხვიო და ბადის ბილიკებით იარო. ალბათ იმიტომ ვიყბედე ამდენი იმ შენს პატრონზე.

– რამდენი ხანია შინის გარდა სხვაგან არსად დამიღევია ყავა. ვერ გამოდგა მაინცდამაინც რიგიანი. ცხელი იყო, ეს სიკეთე სჭირდა, თორემ ისე ყავის გემო არცა ჰქონია. შავი კი იყო, პერანგზე რომ გადავისხი, მერე მივხვდი ამას.

– ვერ გამიგია, საით უქცევთ.

– რაზე გამახსენდა?! ჰო, ორმოცი წელიწადია, რაც აქ ჩამოვედიო, დაუჟინია. ოცდათხუთმეტი ან ოცდაჩვიდმეტი კიდეც ჰო, ორმოცი კი არასდიდებით.

– ეტყობა, არა მაქვს მთლად ნათელი გონება.

– გამოდის, ცხრაასოცში ჩამოსულა. მაინც ვერ მიხვდით? ბანკში რომ მუშაობ, ხელად უნდა მიხვდე, რა კაციც მოდის: ჩეკს გამოგიწვდის – შენ უკვე იცი, ვინ არის. სულ მალე ეჩვევი ამას. დაფიქრება არც კი უნდა, თავისით ჩაგიჯდება თავში, თუმცა ზოგჯერ იქნებ შეცდომაც მოგივიდეს. შეიძლება, მართლაც ცხრაასოცში ჩამოვიდა. იქნებ მე მეშლება.

ყავა სულ შევხვრიპე.

– წავალ, დუქანს დავალაგებ, – ვთქვი მე.

– გამაცურეთ, – მითხრა მორფმა, – ძალიან რომ ჩამკითხოვდით, არასდიდებით არ გიპასუხებდით. მაგრამ რაკი არაფერი მკითხეთ, მე თვითონ უნდა გითხრათ. პირველი საგანგებო საემიგრაციო კანონი ოცდაერთში გამოვიდა.

– მერე რა?

– ცხრაასოცში კიდეც შეეძლო ჩამოსვლა, ოცდაერთში – არასდიდებით.

– მერე?

– გუმანი თუ არ მატყუებს, ოცდაერთს მერე იქნება ჩამოსული, არალეგალურად, და იმიტომაც ვერ მიდის შინ; საბუთი არა აქვს უკან დასაბრუნებელი.

– მაღლობა ღმერთს, ბანკში არ ვმუშაობ.

– ჩემზე კარგი ბანკირი გამოხვიდოდით. მე ყბედობა მიყვარს. მართლა თუ მიდის, მაშინ შევმცდარვარ. - - დაიცა, მეც მოვდივარ. ყავის ფულს მე ვიხდი.

– მშვიდობით, ანი, – ვუთხარი მე.

– ნუ დაგვივიწყებ, ით. სულ აღარ მოდიხარ.

– შემოვივლი.

ქუჩა რომ გადავჭერთ, მორფმა მითხრა: – მის ბრწყინვალეობას ნუ ეტყვით, ასე რომ დავინტერესდი მაგისი საემიგრაციო საქმეებით, კარგი?

– რატომ უნდა ვუთხრა?!

– მე რატომ გითხარით? ამ ყუთში რა გიდევთ?

– ტაძრულ რაინდთა ქუდი. ფრთები გაუყვითლდა. უნდა გავიგო, თეთრად შეღებვა თუ შეიძლება.

– მასონი ხართ?

– ოჯახური ტრადიციით მოგვდგამს. მანამ ჯორჯ ვაშინგტონი დიდი მაგისტრი გახდებოდა, ჰოულები უკვე მასონები იყვნენ.

– ვაშინგტონიც მასონი იყო? იქნებ მისტერ ბეიკერიც?!

– ბეიკერებსაც ოჯახურად მოსდგამთ.

ამასობაში ხეივანს მივადექით. მორფმა ბანკის უკანა კარის გასაღებს დაუწყო ჯიბეში ძებნა.

– იქნებ ამ სეიფსაც იმიტომ ვაღებთ ასეთი ამბით, მასონების ლოჟის ყრილობა გვგონია. სანთლებიც უნდა გვეჭიროს ხელში, წმიდა მღვდელმსახურებასავით არის.

– მორფ, ვუთხარი მე, – რა შეგიჯდათ დღეს თავში?! აღდგომას სულაც არ განუწმენდიხართ.

– მაგას ამ რვა დღეში ვნახავ, – თქვა მან, – მართლა გეუბნებით. ისარი რომ ცხრას მიადგება, ჩვენ ქუდმოშვლეპილები ვდგავართ წმიდათაწმიდის წინაშე. მერე მამა ბეიკერი მუხლს მოიყრის და სეიფს გააღებს, ჩვენ კი, ყველანი, მორჩილად დავხრით ხოლმე თავს მაღალი ღმერთის – ოქროს წინაშე.

– ნამდვილი გიჟი ხართ, მორფ.

– ადვილი შესაძლებელია. კლიტე კი არა – ჯანდაბაა: რითაც გინდა გააღებ, მარტო გასაღები არ ალებს, – დიდხანს აჩხაკუნა გასაღები, მერე წიხლიც მიაზილა კარს და ძლივს გააღო. ჯიბიდან ტულეტის ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და კარში ჩასჩარა.

კინაღამ ვკითხე, ღიას რომ ტოვებ, საშიში არ არის–მეთქი. შეკითხვა არც დამჭირვებია, ისე მიპასუხა: – ასე თუ არ ქენი, ვინ იცის როდის ჩაიკეტება ეს ოხერი. სეიფს რომ გახსნიან, ბეიკერი თვითონვე ამოწმებს კარს, ჩემს ეჭვებს მარულოს ნუ ეტყვით, კარგი? საიმედო კლიენტია.

– ფიქრი ნუ გაქვთ, მორფ, – დავამშვიდე და ჩემი დუქნისკენ გავემართე, თან აქეთ–იქით ვიყურებოდი, კატას ვეძებდი, რომელიც მუდამ აქ მელოდება და დუქანში შემდრომას ლამობს, მაგრამ ვერ დავინახე.

დუქანში ყველაფერი შეცვლილი მეჩვენა. ისეთი რაღაცეები შევნიშნე, რაც აქამდე ერთხელაც არ შემენიშნა, და ისეთი რამეები ვერ დავინახე, რაც მუდამ თვალში მეჩხირებოდა და გულს მიწყალებდა. ანკი რა გასაკვირია! ახალი თვალით შეხედე ქვეყანას, ანდა ახალი სათვალე გაიკეთე, და პრესტო – ახალ ქვეყანას დაინახავ.

საპირფარეშოში ონკანი იყო გაფუჭებული და წყალი განუწყვეტლივ შიშინებდა. მარულო შესაკეთებლად არ იწუხებდა თავს, რადგან წყალი არ იზომებოდა და ფეხებზე ეკიდა. დუქანში შევედი და ძველებური სასწორის პინიდან ორგირვანქიანი საწონი ავიღე. საპირფარეშოში შევიტანე და ჯაჭვზე გამობმულ მუხის ტარზე დავკიდე. წყალმა დაიჩხრიალა და ასე ჩხრიალით იწყო დენა. დუქანში შევბრუნდი და დავაყურადე, როგორ ჩხრიალ–ჩხრიალით ჩადიოდა წყალი უნიტაზში. ეს ხმა არავითარ ხმაურში არ აგერევა. საწონი ჩამოვხსენი, ისევ პინაზე დავდე და დახლში შევედი. ჩემი მრევლი თაროებზე ჩამწკრივებულიყო და მელოდებოდა. საწყლები, არსად წაესვლებოდათ. განსაკუთრებით მიკი–მაუსის ნიღაბი მომხვდა თვალში – სასაუზმე სანოვავის განყოფილებაში იღიმებოდა, ზემოდან. მაშინვე მომაგონდა, ალენს რომ შევპირდი. მოკაუჭებული ჯოხი მოვძებნე, რითაც თაროებიდან საქონელი ჩამოაქვთ ხოლმე, ერთ ყუთს გამოვდე, საწყობში გავიტანე და ჩემი პალტოს ქვეშ დავდე; დახლში რომ შევბრუნდი, მეორე მიკი–მაუსმა გამიცინა.

კონსერვებს უკან ხელი გადავყავი და ტილოს ნაცრისფერი ჩანთა გამოვიღე, რომელშიაც სალაროს ხურდა ფული მეყარა, მერე რაღაც მომაგონდა, კიდეც უფრო შორს შევაცურე ხელი და მოვაფათურე, ძველი გაზეთილი 38-ყალიბიანი რევოლვერი გამოვაძვრინე, რომელიც ვინ იცის რამდენი ხანია იქა გდია. ეს იყო მოვერცხლილი აივერ–ჯონსონი, მაგრამ ვერცხლი თითქმის სულ გადასცლოდა. სავაზნე გადავხსენი და ჩავხედე, ვაზნები სულ ჩამწვანებულიყო, ზეთით მეტისმეტად გაგლესილი სავაზნე მძიმედ ბრუნავდა. ეს სახელგატეხილი და სახიფათო იარაღი უჯრაში ჩავდე, სალაროს ქვემოთ, მერე სუფთა ხალათი ჩავიცვი და თასმები შევიკარი.

ნეტა ისეთი კაცი თუ მოიძებნება, ამა ქვეყნის ძლიერთა გადაწყვეტილებებს, განზრახვებსა და ღვაწლს არ ჩაფიქრებოდეს?! ნეტა ვიცოდე: სათნოებისა და გონივრული მისწრაფებების ნაყოფია მათი მოქმედება თუ შემთხვევის, რაიმე ოცნების, ფანტაზიის, ან ისეთი ზღაპრის, რასაც ჩვენ მუდამ ვუამბობთ ხოლმე საკუთარ თავს? მე პირადად, რამდენი ხანია გონებაში ვეთამაშები ჩემივე ფანტაზიას; ეს მაშინ დაიწყო, როცა მორფმა ბანკის წარმატებით გამარცხის ხერხები გამაცნო. ბავშვური სიამოვნებით ვიხსენებდი ამ სიტყვებს. დიდები ამაში, ჩვეულებრივ, არ გამოტყდებიან ხოლმე. ეს თამაში დუქნის ცხოვრების თამაშის შემადგენელი ნაწილი იყო: საპირფარეშოს დაზიანებული ონკანიც, ალენის მიკვი-მაუსიც და სეიფის გახსნაზე ლაპარაკიც. ახალი მომენტებიც გაჩნდა და თავისი ადგილი დაიჭირა თამაშში – მაგალითად, კარებში გაჩრილი ტუალეტის ქაღალდი. თამაში თანდათანობით ფართოვდებოდა, მაგრამ დღევანდლამდე – მხოლოდ და მხოლოდ წარმოსახვაში. ტუალეტის ჯაჭვზე საწონი ქვის დაკიდება პირველი რეალური მოქმედება იყო ამ წარმოსახვით თამაშში. ძველი რევოლვერის გამოღება – მეორე. ახლა დროის გამოანგარიშებაც დავიწყე. თამაში დაზუსტების ფაზაში შევიდა.

აქამდე შემომრჩა და თან ვატარებ ჰამილტონის დროინდელ მამისეულ დიდ ვერცხლის საათს, რომელსაც ბრტყელი ისრები და მსხვილი ციფერბლატი აქვს; დიდებული საათია, ყოველ შემთხვევაში, სიზუსტით მაინც, თუ სილამაზით არა. ამ დილით, მანამ დუქნის დაგვას შევუდგებოდი, პერანგის ჯიბეში ჩავიდე. ისე გამოვზომე დრო, რომ ცხრას ხუთი აკლდა და მე უკვე ქუჩის კარი ღია მქონდა, ტროტუარსა ვგვიდი. საოცარია, რამდენი მტკერი გროვდება ხოლმე შაბათ-კვირას, წვიმას ერთიანად დაეღბო და აეტალახებინა.

რალა მამაჩემის საათი და რალა ბანკი – ესეც საოცარი სიზუსტით მუშაობს. ცხრას რომ ხუთი აკლდა, თელის შესახვევში მისტერ ბეიკერი გამოჩნდა. ჰარი რობიტი და ედით ოლდენი, ეტყობა, მას უთვალთვალეზდნენ, მაშინვე გამოხტნენ „მთავარი ანძიდან“ და შუა გზაზე წამოეწივნენ.

– დილა მშვიდობისა, მისტერ ბეიკერ, – გავძახე მე, – გამარჯობა ედით, ჰარი, გამარჯობა!

– გამარჯობა, ითენ. უშლანგოდ დღეს ვერაფერს გახდებით.

ჩაიარეს და ბანკში შევიდნენ.

ცოცხი ქუჩის კართან მივყუდე, სასწორის პინიდან საწონი ქვა ავიდე, სალაროსთან მივედი, უჯრა გამოვალე და სწრაფ, მაგრამ წინასწარმოფიქრებულ პანტომიმას შევუდექი. მერე საწყობში გავედი, საწონი ქვა ტუალეტის ჯაჭვზე დავკიდე. წინსაფრის კალთები წამოვკრიფე და ქამარში ჩავიკეცე, საწვიმარი ჩავიცვი, განის კარებთან მივედი და ოდნავ შევალე. როცა წუთების შავი ისარი თორმეტს მიადგა, კომპის საათმა რეკვა დაიწყო, გონებაში რვა ნაბიჯი გადავთვალე, ეს ქუჩის გადასაჭრელად, მერე კიდევ ოცი ნაბიჯი. ხელებს ვამოძრავებდი და თან ვითვლიდი

– ოცი ნაბიჯი, სწრაფი, მაგრამ მოზომილი, მერე კიდევ რვა ნაბიჯი. განის კარი მოვხურე, საწვიმარი გავიხადე, წინსაფრის კალთები დავუშვი, საპირფარეოში შევედი, საწონი მოვხსენი და წყლის ჩხრიალი შევწყვიტე, იქიდან დახლში შევედი, სალაროს უჯრა გამოვადე, ქუდის კოლოფს ხუფი ავხადე, ისევ დავახურე და კანაფი შემოვახვიე; ქუჩის კარისკენ გავბრუნდი, ცოცხი ავიღე და საათს დავხედე. ორი წუთი და ოცი წამი გადაცილებოდა ცხრას. არაუშავს რა. მაგრამ ცოტა კიდევ რომ წავივარჯიშო, ორ წუთსაც არ მოვუნდები.

სანახევროდაც არ მქონდა ტროტუარი დაგვილი, როცა „მთავარი ანძიდან“ პოლიციის უფროსი სტონი გამოვიდა და ჩემკენ გამოემართა.

– დილა მშვიდობისა, ით. ნახევარი გირვანქა კარაქი მომეცით, გირვანქა ლორი, ერთი ბოთლი რძე და თორმეტი კვერცხი. ოღონდ ჩქარა. ცოლს ერთბაშად გამოლევია ყველაფერი.

– ახლავე, უფროსო. როგორ არის ქვეყნის საქმე?

ყველაფერი მოვუმზადე და ქაღალდის პარკში ჩავულაგე.

– არა უშავს, – თქვა მან, – ამ ერთი წუთის წინაც შემოვედი, მაგრამ საპირფარეოში იყავით, გავიგონე.

– იმდენი მოხარული კვერცხი ვჭამე, რომ ერთ კვირას ვერ მოვინელებ.

– ეგეც მართალია, – თქვა სტონიმ, – რას იზამ, ასეა ცხოვრება მოწყობილი.

– მაშინ, ყველაფერი რიგზეა.

წასასვლელად რომ მოემზადა, კიდევ მომიბრუნდა.

– იმ თქვენს მეგობარს რა მოუვიდა, დენი ტეილორს?

– არ ვიცი. კიდევ აურია?

– არა. გაკოხტავებულა, გასუფთავებულა. მანქანაში ვიჯექი, და მოვიდა, ხელმოწერა შემომოწმეო.

– რად უნდა?

– რა ვიცი. ორი ქაღალდი ეჭირა, მაგრამ დაკეცილი იყო და ვერ გავარჩიე.

– ორი ქაღალდი?

– ჰო, ორი. ორჯერ მოაწერა ხელი და მეც ორჯერ დავუმოწმე.

– ფხიზელი იყო?

– თითქოს. თმა შეუკრეჭია, ყელსახვევი გაუკეთებია.

– ნეტა მართლა, უფროსო!

– ღმერთმა ქნას! საწყალი ბიჭი. ყველა რაღაცას ცდილობს. წავსულვარ. – შურდულივით გავარდა. ოცი წლით უმცროსი ჰყავს ცოლი სტონის. მე ისევ ტროტუარის გვა განვაგრძე, ტალახს პირდაპირ არხში ვყრიდი.

მაღლის გუნებაზე ვიყავი. პირველად ალბათ ასე იცის.

– მუშტრები მომაწყდება–მეთქი, რომ ვთქვი, გამიმართლდა, მთელ ქალაქში თითქოს ყველას ერთბაშად გამოელა საწოლა. ხილი და ბოსტნეული ნაშუადღევამდე ვერ მოაქვთ ხოლმე. ასე რომ, საქონელი შემომაკლდა, მაგრამ რაც მქონდა, იმის გაყიდვასაც ველარ ავუდიოდი.

მარულო ათი საათისთვის მოვიდა და, საოცარია, ხელი წამომაშველა, აწონასა და გახვევაში დამეხმარა, სალაროში ჩეკებიც გამოწერა. რამდენი ხანი იქნება, ხელი არ გაუნძრევია დუქანში. შემოეხეტებოდა ხოლმე, მიიხედ–მოიხედავდა და წავიდოდა – თითქოს დიდი ლენდლორდი მყოლოდეს, შორეული მამულის დასათვალიერებლად მოსული. დღეს კი დაფაცურდა, ახლადმიღებული საქონლის ყუთები და კოლოფებიც დამახსენებინა. შეწუხებული მეჩვენა, რამდენს თავს გვერდზე მივაბრუნებდი, იმდენს შემომხედავდა და მაკვირდებოდა. ლაპარაკის დრო არა გვექონია, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ მომაშტერებდა თვალს. ქრთამზე რომ უარი ვთქვი, იმ ამბავმა ააფორიაქა–მეთქი, გავიფიქრე. მორფი იქნებ მართალი იყოს. ბევრს ასე მოსდგამს – თუ მოჰკრეს ყური, ვინმეს განსაკუთრებული პატიოსნება გამოუჩენიაო, ხელად უპატიოსნო მიზეზებს დაუწყებენ ძებნას, რამაც თითქოს პატიოსნებისათვის წააქეზა ის კაცი აბა, ისე რა გამორჩენა აქვსო! – ეს ლოგიკა გამართლებულიც არის იმ ხალხისათვის, ვისაც საკუთარი ცხოვრება პოკერის თამაშით გაუხდია. ეს რომ გავიფიქრე, გამეცინა, მაგრამ გულში, სახეზე არ დამტყობია.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა მაღაზიაში მერი შემოვიდა. ჩითის ახალ კაბაში გამოწყობილი, ერთიანად ბრწყინავდა. ლამაზი და ბედნიერი ჩანდა, ცოტა აღელვებულიც, თითქოს რაღაც სასიამოვნო, მაგრამ ამასთან სახიფათო საქმე გაეკეთებინოს – მართლაც გაუკეთებია, მანილის ქალაქის ყავისფერი კონვერტი გადმომცა.

– იქნებ დასჭირდეს–მეთქი, ვიფიქრე, – თქვა მან. მარულოს ჩიტვიით გაულიმა, – ასე იცის ხოლმე, როცა ვინმე თვალში არ მოსდის. მარულო კი თავიდანვე აითვალწუნა, არ ენდობოდა. ამის მიზეზს მე ჩემებურად ვხსნი – ცოლებს არასოდეს არ უყვართ თავიანთი ქმრების უფროსები და მდივანი ქალები.

– მადლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო, – ვუთხარი მე, – ძალიან ყურადღებიანი ქალი ხარ. სამწუხაროა, რომ ახლავე ვერ გაგასეირნებ ნილოსზე ნავით.

– როგორც ვხედავ, დრო არა გაქვს.

– შენც ყველაფერი გამოგელია?

– სუყველაფერი. აგერ სიას გიტოვებ. ალბათ, ამაღამ მომიტან, ხომ? ახლა მაგისტრის სად მოიცლი!

– შენ ოღონდ მაგრად მოხარშულ კვერცხებს ნუ მაჭმევ.

– აღარ, ჩემო კარგო. ამ წელიწადში აღარ გაჭმევ.

– პასკამაც კარგა მაგრად დამამძიმა.

– მარჯი დღეს „მთავარ ანძაში“ გვეპატიჯება სადილად. სწუხს, ერთხელაც ვერ გეცით პატივიო.

– მაგას რა სჯობია! – ვუთხარი მე.

– სახლში ვიწროდ ვარო.

– მართლა?

– მე გაცდენ.

მარულო თვალს არ აშორებდა კონვერტს, რომელიც მე ისევ ხელში მეჭირა, მერე წინსაფარში შევაცურე და შარვლის ჯიბეში ჩავიდე. მარულომ ხელად იცნო ბანკის კონვერტი და ვიგრძენი, როგორ დაიძაბა, ასე ტერიერმა იცის განაზვა, როცა ქალაქის სანაგვეზე ვირთავგას უთვალთვალეებს.

მერიმ მას უთხრა: – მადლობის თქმაც ვეღარ მოვახერხე კანფეტებისთვის, მისტერ მარულო. ბავშვებმა ძალიან გაიხარეს.

– რა სათქმელია, აღდგომა მინდოდა მომელოცა, – მიუგო მარულომ, – თქვენ უკვე საგაზაფხულოდ მორთულხართ.

– იმიტომაც გავიწუწე. გამოიდარა მეგონა, და ისევ არ დაუშვა!

– ჩემი საწვიმარი მოისხი, მერი.

– არაფრის დიდებით! შხაპუნაა, მალე გადაიღებს. შენ მუშტრებს მიხედე.

ხალხმა სულ უფრო და უფრო იმატა. მისტერ ბეიკერმა შემოიხედა, მაგრამ დიდი რიგი რომ დაინახა, გაბრუნდა.

– მოგვიანებით შემოვივლი! – გადმომძახა მან.

შუადღემდე მოდიოდა და მოდიოდა ხალხი, მერე კი, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ვაჭრობა ერთბაშად შეწყდა. საუზმის დრო იყო. ქუჩაში კაცის ჭაჭანებას ვერ ნახავდი. დადგა წუთი, როცა არავის არაფერი არ სჭირდებოდა. მე ადრევე გახსნილი რძის ბოთლი დავცალე. რასაც კი ავიღებდი დუქანში, ვინიშნავდი და მერე ჯამაგირში მექვითებოდა. მარულო საბითუმო ფასებში მითმობდა, და ეს დიდი შეღავათი იყო, თორემ ჩემი ჯამაგირი რას აგვივიდოდა.

მარულო დახლს მიაწვა და გულხელი დაიკრიფა, მაგრამ ტკივილმა წამოუარა. ჯიბეში ჩაიწყო ხელები, არც ამან უშველა.

– კიდევ კარგი, დამეხმარეთ, – ვუთხარი მე, – ამდენი ხალხი ჩემს დღეში არ მახსოვს. ანკი რა გასაკვირია, კარტოფილის სალათის ნარჩენები ვის ეყოფა.

– კარგი მომუშავე ხარ, ბიჭუნო.

– მაგასაც რომ დიდი რამე უნდა!

– არა, მუშტრის მოზიდვა იცი, ყველას უყვარხარ.

– შემეჩვია ხალხი. რამდენი ხანია აქა ვარ, – შემთხვევით ვისარგებლე და პატარა ანკესი გადავაგდე: – ერთი სული გაქვთ, ალბათ, სანამ სიცილიის ცხელი მზე გაგათბობთ. დიდი სიცხე იცის სიცილიაში. ომის დროს ვარ ნამყოფი.

მარულომ განზე გაიხედა.

– ჯერ კიდევ ვერ გადამიწყვეტია.

– რატომ?

– რამდენი ხანია წამოვედი... მთელი ორმოცი წელი... აღარავის ვიცნობ.

– ნათესავები ხომ გყავთ?

– ისინი არ მიცნობენ.

– დიდი სიამოვნებით გავატარებდი შვებულებას იტალიაში – უთოფოდ და უზურგჩანთოდ. ორმოცი წელი მართლაც დიდი დროა. რომელ წელს ჩამოხვედით?

– ცხრაასოცში... მთელი საუკუნეა.

– მორფმა, ეტყობა, ზედ ცხვირში მოარტყა. ალლოიანი ხალხია ბანკის თანამშრომლები და პოლიციელები. ახლა უფრო მოზრდილი ანკესის გადაგდება ვცადე. უჯრა გამოვადე, რევოლვერი ამოვიღე და დახლზე დავაგდე. მარულომ ხელები ზურგისკენ წაიღო.

– ეს რა არის, ბიჭუნო?

– ნებართვა უნდა აიღოთ. სალივენის კანონს ნუ ეხუმრებით.

– აქ საიდან გაჩნდა?

– სულ აქ არ იყო!

– პირველად ვხედავ. ჩემს დღეში არა მქონია რევოლვერი. შენია, ალბათ.

– ჩემი საიდანაა. ალბათ არის ვინმესი. და რაკი ამდენი ხანი აქა გდია, ნებართვაც საჭიროა. ნამდვილად არ არის თქვენი?

– პირველად ვხედავ–მეთქი, ხომ გეუბნები. არ მიყვარს იარაღი.

– საოცარია. რას ვიფიქრებდი, რომ მაფიის წევრს იარაღი არ ეყვარებოდა.

– მაფია საიდან მოიგონე! მაფიის წევრი ხომ არ გგონივარ?

მთლად გავისულელე თავი.

– მე კიდევ ყველა სიცილიელი მაფიის წევრი მგონია.

– რა სიგიჟეა! თვალითაც არ მინახავს მაფიის წევრი.

ისევ უჯრაში ჩავაგდე რევოლვერი.

– რას არ გაიგონებ კაცი! – ვთქვი მე, – მე რაღად მინდა ეს რევოლვერი. არ ჯობს, სტონის მივცე? დუქანში შემთხვევით წავაწყდი–მეთქი, ვეტყვი. მაინც ასე იყო.

– რაც გინდა, ის უყავი, – მითხრა მარულომ, – მე პირადად, ჩემ დღეში არ მინახავს. არც არის ჩემი, ანკი რაში მჭირდება.

– კარგი, გადავცემ, – ვთქვი მე.

– ათასნაირი ქალაღი და საბუთი სჭირდება სალივენის ნებართვას – პასპორტს არ უნდა ამდენი რამე.

ჩემს პატრონს საქციელი წაუხდა. ხომ წვრილმანი რამეებია, მაგრამ ეტყობა ბევრი დაგროვდა ამ ბოლო დროს.

დუქანში ნიუ–ბეიტაუნის პრინცესა, გადამღრძვალი მისს ელგარი შემოჩაჩუნდა. მისს ელგარი გამოკეტილია – ორმაგი შუშით არის მოწყვეტილი ქვეყნიერებას. ერთი დუქანი კვერცხი მოითხოვა. პატარა ბიჭი ვხსომებივარ, და თუ როდესმე გავიზრდებოდი, ეს აღარ უფიქრია. როცა ნახა – ფულის ანგარიში და ხურდის მიცემა შემძლება, ძალიან გაუკვირდა და ნასიამოვნებიც დარჩა.

– მადლობელი ვარ, ითენ, – მითხრა მან. ერთნაირი ინტერესით გადააცურა თვალი ჯერ ყავის საფეკავზე, მერე მისტერ მარულოზე და ისევ მე მომიბრუნდა: – მამაშენი რასა იქმს, ითენ?

– კარგად გახლავთ, მისს ელგარ.

– მომიკითხე, შენს გაზრდას.

– უსათუოდ, ქალბატონო, უსათუოდ.

თავისებური შეგრძნება ჰქონდა დროისა და მე აღარ გავუსწორე. ყოველ კვირასალამოს დიდი ამბით მომართავს თურმე მამაპაპისეულ კედლის საათს, თუმცა რამდენი ხანია ელექტრონზე ყოფილა გადაყვანილი ეს საათი. ნეტა მას! არა სჯობია, ისე ამოვარდე დროის ანგარიშიდან, რომ სულ დაუღამებლად გეჩვენოს დღე! დარბაისლურად დაუკრა თავი ყავის საფეკავს და გავიდა.

– უქრის არა?! – მარულომ საფეთქელთან მიიტანა ხელი.

– მაგის თვალში არაფერი იცვლება, არავის არაფერი მოსდის.

– მამაშენი ხო მოკვდა! რატომ არ უთხარი, მოკვდაო?

– სულ ერთია, ხელადვე დაავიწყდება. სულ ასე მოიკითხავს ხოლმე. ამასწინათ გამაჩერა და პაპაჩემის ამბავიც მკითხა. მეგობრობა ჰქონდათო, ამბობენ, ამ ბებრეკა თხასა და პაპაჩემს.

– უქრის, – კვლავ შენიშნა მარულომ. მაგრამ, რატომღაც, მისს ელგარის ასეთმა უცნაურმა გულმავიწყობამ მარულოს სულიერი წონასწორობა აღადგინა. კაცის გუნებას რას გაუგებ – ხან მარტივია, ხან რთული. დანამდვილებით რომ გგონია, ახლა მართალი ვარო, სწორედ მაშინ ცდები. მე როგორც ვატყობ, გამოცდილებისა და ჩვეულების მიხედვით, მარულოს დამოკიდებულება ადამიანებთან სამნაირი მიდგომით განისაზღვრება: მბრძანებლური, მლიქვნელური და საქმოსნური. ალბათ, სამივემ კარგად გაუმართლა ცხოვრებაში და ამიტომაც თვალდახუჭული ენდობა. მაგრამ ჩემთან ურთიერთობაში პირველი თანდათანობით დაკარგა.

– კარგი ბიჭი ხარ, – მითხრა მან, – ნამდვილი მეგობარი.

– ძველი კაპიტანი, პაპაჩემი, იტყოდა ხოლმე – მეგობარი თუ გინდა შეინარჩუნო, თავისდღეში არ გამოსცადო.

– ჭკვიანურია.

– ჭკვიანი კაცი იყო.

– მთელი კვირადღე სულ თავში მიტრიალებდა, ბიჭო, ეკლესიაშიც ამაზე ვფიქრობდი.

ვიცი, – ყოველ შემთხვევაში ასე მეჩვენებოდა, – რომ იმ ქრთამის ამბავი არ ასვენებდა მარულოს, და ამიტომ ბევრი წილადობილისაგან გავათავისუფლე.

– იმ გულუხვ საჩუქარზე?

– მაშა, – აღტაცებით შემომხედა, – შენც ჭკვიანი ბიჭი ხარ.

– არც ისე, თორემ საკუთარ თავს არ დავივიწყებდი.

– რამდენი ხანია ჩემთან მუშაობ... თორმეტი წელიწადი ხომ იქნება?

– საქმეც ეგაა... ამდენ ხანში კაცი უნდა შეიცვალოს, თქვენ რას იტყვით?

– ერთი ცენტრიც კი არ აგიღია... ერთი ნამცეცი არაფერი წაგიღია შინ, რომ დავთარში არ ჩაგეწეროს.

– სწორედ ამ პატიოსნებით უნდა გაგლიტოთ.

– არ გეხუმრები. ნამდვილს გეუბნები. მე ვხედავ. გამოწმებ, ვიცი.

– მედალიც უნდა დამკიდოთ გულზე.

– ყველა იპარავს – ვინ მეტს, ვინ ნაკლებს... შენ კი – არა. ვიცი.

– იქნებ დროს ვარჩევ, რომ ყველაფერი ერთბაშად წავიღო.

– ნუ ხუმრობ. მე მართალს გეუბნები.

– ალფიო, თქვენ ბრილიანტი ჩაგივარდათ ხელში. მაგრამ ძალიანაც ნუ აპრიალებთ, არ გადაიხეხოს და ყალბი არ გამოდგეს.

– არ გინდა, შეგიამხანაგო?

– რით? ჩემი ხელფასით?

– მაგასაც მოეველება.

– რაღა გამოვიდა – მაშ, ისე ვერ მოგპარავთ, თუ საკუთარი თავი არ გავძარცვე.

გულიანად გადაიხარხარა.

– ჭკვიანი ბიჭი ხარ. მაგრამ რომ არ იპარავ!

– აკი გითხარით, იქნებ ერთბაშად ვაპირებ–მეთქი.

– პატიოსანი ბიჭი ხარ.

– მეც მაგას გეუბნებით. რაც უფრო პატიოსანი ხარ, მით უფრო არ გენდობიან. ყველაზე კარგი საშუალება შენი ზრახვების დასაფარად – სიმართლის თქმაა.

– ნეტა რას ამბობ?!
– Ars est celare artem[14].

ტუჩები ააცმაცუნა – ჩენი ნათქვამი გაიმეორა და უცებ გადაიხარხარა.

– ჰა, ჰა, ჰა! Hic erat demonstrandum[15].

– ცივი კოკა–კოლა არ გინდათ?

– ამაზე მწყენს, – მუცელზე დაიდო ხელი.

– რა დროს თქვენი ავადმყოფობაა – ორმოცდაათისაც არ იქნებით.

– ორმოცდათორმეტისა ვარ. კუჭ–ნაწლავი დამიავადდა.

– მაშ, თორმეტი წლისა ჩამოსულხართ, ცხრაასოცში თუ ჩამოხვედით. ლათინურს, ეტყობა, პატარა ბავშვებსაც ასწავლიან სიცილიაში.

– მე საეკლესიო გუნდში ვგალობდი.

– მეც ვიყავი საეკლესიო გუნდში – ჯვარი მეჭირა. კოკა–კოლას დავლევე, – ვთქვი მე, – ალფიო, თქვენ თვითონ მოიგონეთ რამე, და მეც ვნახავ. მაგრამ წინასწარვე გაფრთხილებთ, ფული არა მაქვს.

– ვიზამთ რამეს.

– მექნება კი.

დიდხანს მიყურებდა, ვეღარ მომაშორა თვალი. მერე კი წყნარად ჩაილაპარაკა.

– Io, io credo[16].

– რაღაც ძალამ, და არა დიდებამ, ამიტაცა. კოკა–კოლა გავხსენი, პირზე მოვიყუდე და ამ ყავისფერი შუშის ზემოდან მარულოს გავხედე.

– კარგი ბიჭი ხარ, – მითხრა მან, ხელი ჩამომართვა და კარებისკენ გაემართა.

უცებ რაღაცამ მომიარა და გავძახე: – მხრები როგორა გაქვთ?

გაკვირვებულმა გამომხედა.

– აღარ მტკივა, – თქვა და წავიდა, თან თავისთვის ჩაილაპარაკა, – აღარ მტკივა.

ისევ მობრუნდა, აღელვებული.

– უნდა აიღო ის ფული.

– რა ფული?

– ის ხუთი პროცენტი.

– რატომ?

– უნდა აიღო. ცოტა–ცოტას შემოიტან ხოლმე საპაიოს. ოღონდ ექვსი პროცენტი მოსთხოვე.

– არა.

– მე გეუბნები, კი–მეთქი, და შენ რა „არა“ დაგიჟინია?!

– არ მჭირდება, ალფიო, რომ მჭირდებოდეს, ავიღებდი კიდეც, მაგრამ არა მჭირდება.

ამოიხვნეშა.

ნაშუადღევს მუშტარმა იკლო, მაგრამ საქმე მაინც არ გამომლევია. არ ვიცი რატომ, მაგრამ სამსა და ოთხს შორის, ოცი წუთით თუ ნახევარი საათით, სრული მყუდროება სუფევს ხოლმე. მერე ისევ დაიწყება – ახლა უკვე სამსახურიდან დაბრუნებული ხალხი და ის დიასახლისები მოაწყდებიან, რომელთაც გვიან გაახსენდებათ – სადილი არა მქონიაო.

სწორედ იმ მყუდროების წუთებში მოვიდა მისტერ ბეიკერი. დიდხანს ათვალიერებდა მინის მაცივარში ყველსა და ძეხვს, ორი ფეხათრეული მუშტრის გასვლას უცდიდა, რომელთაც ვერაფრით გადაეწყვიტათ, რისი ყიდვა ჯობდა. ამ ჯურის ხალხიც არის – აიღებენ, დასდებენ, ზოზინობენ, რჩევაში არიან, თითქოს იმედი აქვთ – საჭირო საქონელი თვითონვე გამოხტება და იყვირებს, მე მიყიდეთო.

როგორც იქნა, იყიდეს, რაც უნდოდათ, და გავიდნენ.

– ითენ, – მითხრა ბეიკერმა, – შენ თუ იცი, რომ მერიმ ათასი დოლარი გაიტანა.

– ვიცი, სერ, ადრევე მითხრა.

– რაზე სჭირდება, არ იცი?

– როგორ არა, სერ. ერთი თვეა ყურები გამომიჭედა. ქალების ამბავი ხომ იცით. ცოტა თუ გადაშორდა საღებავი ავეჯს, მორჩა, ახლის ყიდვას დაიჟინებენ, და აი იმ დღიდან მოკიდებული ის ძველი ყოვლად უვარგის ხარახურად იქცევა.

– ახლა მაგაზე ამდენი ფულის დახარჯვა სისულელეა! არა? აკი გითხარი გუშინ, რაღაც გეგმებია–მეთქი!

– რა ვქნა, სერ, მისი ფულია.

– სარისკო საქმეზე კი არ გაყრევინებ მაგ ფულს, ითენ. ისეთ რამეზე დაგაბანდებინებ, რომ სრული გარანტია გექნება. ამ ათასი დოლარით ერთი წლის განმავლობაში ავეჯსაც იყიდდა და ერთი ათასი კიდევ დარჩებოდა.

– საკუთარი ფულის დახარჯვას ხომ ვერ დავუშლი, მისტერ ბეიკერ?!

– აუხსენი მაინც. გააგებინე და გადაათქმევინე.

– ეს არც მომგონებია.

– მამაშენმაც ასე იცოდა, ითენ. მაგ წილადობილას მოეშვი. მე ფეხზე მინდა წამოგაყენო, წილადობილას თავი არა მაქვს.

– კარგი, სერ.

– თან, აქ არ უნდა აპირებდეს ავეჯის შეძენას. ჩამოივლის, შელავათიან ფასს დაეხარბება და ნაღდს ჩაუყაჭავს. რა საქონელს შეაჩეჩებენ, ეს თავისთავად გასაგებია. ადგილობრივი შეიძლება ცოტა უფრო ძვირი დაუჯდეს, მაგრამ უვარგისი რამე თუ შეაპარეს, სად წაგვივლენ! ყურს ნუ მოიყრუებ, ითენ. უკანვე შემოატანინე ფული. ან მე მომანდოს. თავის დღეში სანანებლად არ დარჩება.

– ეს ფული ძმამ დაუტოვა, სერ.

– ვიცი. ვცადე, გადავათქმევინებ–მეთქი, გასატანად რომ მოვიდა. მაგრამ თავისი ცისფერი თვალები შემომანათა – წავალ, მივიხედ–მოვიხედავო, მითხრა. ათასი დოლარი თუ არ ჩაიდო ჯიბეში, ისე აღარ მიიხედ–მოიხედავს?! იმას თუ არ ესმის, შენ მაინც უნდა იცოდე.

– ეტყობა, ამისთანა საქმეებს არა ვარ შეჩვეული, მისტერ ბეიკერ, რაც ჯვარი დავიწერეთ, ფული არ გვღირსებია.

– გირჩევ მიხედო, და რაც შეიძლება ჩქარა, თორემ გვიანლა იქნება. ხარჯვაზე ისეა გაგიყვებული ზოგიერთი ქალი, გეგონება ნარკოტიკიაო.

– მერიზე ეგ არ ითქმის, სერ – სად ჰქონდა ფული, რომ მაგისთანა რამეს შესჩვეოდა?!

– ხელად შეეჩვევა. აბა ერთი იგემოს სისხლი, იმ წუთში მკვლელი გახდება.

– მისტერ ბეიკერ, მაგას გულით ამბობთ?

– რა თქმა უნდა.

– მერისთანა მომჭირნე ცოლი არა მგონია მეორე იყოს ქვეყნად, ანკი სხვა რა გზა აქვს.

და უცებ, არ ვიცი რატომ, ქარიშხალი დაატრიალა.

– სულ გამიტყდა შენზე გული, ითენ. მართლა თუ გინდა რამეს მიაღწიო, ჯერ საკუთარ სახლში უნდა გახდე უფროსი. დაიცადეთ ცოტა ხანს, მერე იყიდეთ ავეჯი.

– მე კი დავიცდი, მაგრამ მერი არ იცდის, – უცებ თავში გამკრა „ბანკირები იქნებ რენტგენით ხედავენ ფულს, მისტერ ბეიკერმა შეიძლება ჩემი კონვერტი უკვე დაინახა ჯიბეში–მეთქი, – ვცდი, იქნებ დავარწმუნო, მისტერ ბეიკერ.

– თუ არ მოასწრო დახარჯვა! ახლა შინაა?

– რიჯკემპტონში აპირებდა წასვლას ავტობუსით.

– ღმერთო დიდებულო! სად გამოუვა წირვა ათას დოლარს!

– ფული ხომ კიდევ აქვს!

– მერე რა! უფულოდ ნაბიჯს ვერ გადადგამ.

– ფულმა ფული იცის, – წყნარად ვთქვი მე.

– საქმეც ეგ არის! ეს თუ დაივიწყე ერთი წუთით, მორჩა, დახლიდან გამოძრომას ვეღარ ეღირსები.

– სამწუხაროდ, ასე მოხდა.

– წუწუნს ისა სჯობს, ჭკუაზე მოიყვანო.

– ქალების ამბავი ხომ იცით, სერ. გუშინ რომ ლაპარაკობდით, ფული ასე და ასე კეთდებაო, იქნებ ძალიან იოლ საქმედ მოეჩვენა.

– ჰოდა, სწორ გზაზე დააყენე. უფულოდ ვერაფერს გახდები.

– კოკა–კოლას არ დალევთ, სერ?

– კარგი იქნება.

ბოთლით ვერ სვამდა, ქალაღდის ჭიქების შეკვრა გავხსენი, წყალმა ცოტათი გააგრილა; როგორც ქუხილი მიწყნარდება და შორიდან ისმის ხოლმე მინელებული გრუხუნის, ისე ყრუდ ბუტბუტებდა ახლა მისტერ ბეიკერი.

მაღაზიაში ორი ზანგი ქალი შემოვიდა, გზაჯვარედინზე რომ სახლია, იქა ცხოვრობენ. მისტერ ბეიკერი იძულებული გახდა, ერთბაშად გადაეყლაპა კოკა–კოლაცა და თავის განრისხებაც.

– უსათუოდ უნდა მოელაპარაკო! – მითხრა მან მრისხანედ და მედიდური ნაბიჯებით გავიდა მაღაზიიდან, ქუჩა გადაჭრა და შინისკენ გაემართა. ასე რა გააცოფა, ექვი ხომ არ აიღო–მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ არა მგონია. ეგ ხომ

მბრძანებლობასა და ჩვეული, და ჩვენთან რომ არ გამოუვიდა, ამან გაამწარა. გაცოფდები, აბა რა მოგივა, როცა კაცს რჩევას აძლევ და ის კიდევ ყურში არ უშვებს!

– მშვენიერი ქალები იყვნენ ეს ზანგები. მთელი კოლონია ცხოვრობს გზაჯვარედინთან, ძალიან კარგი ხალხია. ჩვენთან იშვიათად მოდიან სავაჭროდ, საკუთარი მაღაზია აქვთ, მაგრამ ზოგჯერ მაინც შემოიხედავენ, შეამოწმებენ – ძალიან ძვირი ხომ არ უჯდებათ ეს რასობრივი სოლიდარობა. ყიდვით ცოტა რამე იყიდეს, ფასები კი ყველაფრისა იკითხეს, მიზეზს მაშინვე მივხვდი. ლამაზი ქალებიც იყვნენ, მაღალი, ჩამოქნილი ფეხები! საოცარია – რა გავლენას ახდენს ხოლმე ადამიანის სხეულზე და სულზედაც ფუფუნებაში გატარებული ბავშვობა.

– დაკეტვის წინ მერის დავურეკე.

– მტრედის ბუმბულო, ცოტათი შემაგვიანდება.

– არ დაგავიწყდეს, სადილად მარჯიმ დაგვპატიჟა „მთავარ ანძაში“.

– რა დამავიწყებს!

– მაინც რამდენი ხანი დაგავიანდება?

– ნავსადგურში უნდა შევიარო ათი–თხუთმეტი წუთით, მიწახაპია ვნახო.

– რაში დაგჭირდა?

– ვიყიდი მინდა.

– ოჰ!

– თევი ჩამოვილო?

– კარგ სვიას თუ შეხვდები. სხვა რამეს ვერც იშოვი ახლა.

– კარგი... წავედი.

– აქეთ–იქით ყიალს ნულარ მოჰყვები. ხომ უნდა იბანავო, გამოიცვალო... რაც უნდა იყოს, „მთავარ ანძაში“ მივდივართ.

– კარგი, ჩემო ლამაზო, ჩემო საყვარელო. მისტერ ბეიკერმა ჯოჯოხეთი დამიტრიალა, ათასი დოლარი რად დაახარჯვინეო.

– მაგ ბებერ ბოტს ვინ ეკითხება?!

– მერი, მერი, კედლებსაც ყურები მოუსხამთ.

– იცი რა ქენი–თქო, უთხარი!..

– მაგის თავი ვინ მისცა. შტერი ჰგონიხარ.

– რაო?

– მე კიდე – დოყლაპია, დოყლაპია... შენ მაინც ხომ იცი, რა დოყლაპია ვარ.

ისე საყვარლად გადაიკისკისა, რომ სხეულში სასიამოვნო ჟრუნტელმა დამიარა.

– ჩქარა მოდი, გენაცვალე, – მითხრა მან, ჩქარა მოდი!..

კაცს რომ ამისთანა სიტყვებს გააგონებ! ყურმილი რომ დავკიდე, ერთხანს ასე ვიჯექი ტელეფონთან – მოთენთილი, მოშლილი და ბედნიერი, თუკი შეიძლება სამივე მდგომარეობა ერთბაშად განიცადოს ადამიანმა. ვცადე მომეგონებინა, როგორც ვცხოვრობდი, მანამ მერის შევხვდებოდი, მაგრამ ვერ მოვიგონე; ვცადე წარმომედგინა, უმისოდ რა ვიქნებოდი, და ვერც ეს მოვახერხე, გარდა იმისა, რომ წარმომიდგა შავ არშიაშემოვლელი გაურკვევლობა. ვიცი, რომ ადრე იქნება თუ გვიან, ყველა ტავის ეპიტაფიას წერს – „მშვიდობით, ჩარლი“.

მზე უკვე დასავლეთით გადაჭიმულ ბორცვებს ამოეფარა, მაგრამ დიდი ფუნთუშა ღრუბელი მის სხივებს ისრუტავდა და აფრქვევდა ნავსადგურს, ზვირთსაქცევს, ვრცლად გაშლილ ზღვას... თეთრი ტალღები ვარდისფრად შეიღება.

ნაპირზე მეთევზეების ნავები ეყარა. აქ ყველა მეთევზეს ვიცნობ, რაც თავი მახსოვს, სულ მათ შევყურებ. მერი მართალი გამოდგა. სვიის მეტი არაფერი ჰქონიათ. ოთხი კარგი სვია შევარჩევინე ჯო ლოგანს და მანამ გამოწელავდა, იქვე დაველოდე. ისე მარდად ფატრავდა თევზებს, გეგონებოდა დანას წყალში აცურებსო. გაზაფხულობით ერთი საერთო სალაპარაკო თემა გვაქვს ყველას – ზღვის კალმახი როდის გამოჩნდებაო? ასეთი გამოთქმაც არსებობს: „იასამანი ჰყვავისო, ზღვა კალმახებით გაივსო“. მაგრამ ამას ვერ დაეყრდნობი. რაც თავი მახსოვს, სულ ასე ხდება – ან არ გამოჩენილა ზღვის კალმახი, ან იყო და წავიდა. მერე რა თევზია! მდინარის კალმახივით სხმარტალა, სუფთა, ვერცხლივით კრიალა. სუნიც სასიამოვნო აქვს. ჯერ არ გამოჩენილა ზღვის კალმახი. ჯო ლოგანს წამლადაც არ შეხვედრია.

– მე თუ მკითხავ, ქორჭილა ყველაფერს მირჩევნია, – თქვა ჯომ, – სასაცილო კია: ქორჭილას რომ იტყვი, ზედაც არ უყურებენ, ზღვის წიწილებს რომ დაუმახებ, მუშტრებს ვერ აუდიხარ. არადა ერთი და იგივეა.

– ქალიშვილი როგორა გყავთ, ჯო?

– რა ვიცი – ხან თითქოს მოიკეთებს, მერე ისევ ჩამოჭკნება. მომსპო კაცი.

– ვერ არის კარგი საქმე, ძალიან სამწუხაროა.

– შველა მაინც შეიძლებოდეს...

– მაშა... საწყალი ბავშვი. აგერ პარკი, პირდაპირ ჩაყარე. ჩემი მოკითხვა გადაეცი, ჯო. თვალი გამიშტერა, თითქოს რაღაცას მოელოდა ჩემგან, რაიმე წამალს.

– გადავცემ, იო, – თქვა მან, – ვეტყვი.

ზვირთსაქცევის უკან მიწახაპია მანქანა მუშაობდა – უზარმაზარი ტუმბო ლაფსა და ნიჟარებს ქაჩავდა, და მერე პონტონზე გადებული მილი ნაპირზე ჰყრიდა, კუპრით გალესილი მესრის გადაღმა. მანქანაზე ორნაირი სინათლე ენთო – ღუზისა და მოძრაობისა; ამას გარდა, მაღალ კეტზე დამაგრებული ორი წითელი ბურთი იმის ნიშანი იყო, რომ მიწახაპია მუშაობდა. ყვიციანი მზარეული, რომელსაც წინსაფარი აეფარებინა და თავზე თეთრი ქუდი წამოეკოსებინა, შიშველი მკლავებით მოაჯირს დაყრდნობოდა, ტუმბოს მიერ აქოთქოთებულ წყალს ჩაშტერებოდა და დროდადრო აპურჭყებდა... ზღვიდან ქარი უბერავდა, რომელსაც ლაფის, დიდი ხნის მკვდარი მოლუსკებისა და დამპალი წყალმცენარეების სუნი მოჰქონდა, არეული დარიჩინით შეზავებულ ვაშლის ღვეხელის საამო სურნელში, რასაც მიწახაპიას ბანზე აცხოზდნენ.

პატარა იახტის აფრებმა ვარდისფრად გაიელვეს ჩამავალი მზის სხივების ანარეკლზე და ხელადვე ჩაქრნენ. მე უკან გამოვბრუნდი, ჩავუარე ძველ იახტკლუბსა და ამერიკული ლეგიონის შენობას, რომლის წინაც ყავისფრად შეღებილი ტყვიამფრქვევები გამოედგათ.

უკვე გვიან იყო, მაგრამ ნავსაბმელთან მაინც გახურებული მუშაობა ჰქონდათ – ცდილობდნენ მოესწროთ და კარს მომდგარი ზაფხულისათვის შეღებილი ნავეები დაეხვედრებინათ. უჩვეულო სიცივეებმა აქამდე გადაადებინეს ეს საქმე.

ნავსაბმელს გავცდი, სარეველათი დაფარული ნაპირი გავიარე, ნავსადგურს ჩავუარე და მძიმე ნაბიჯით დენის ქოხისაკენ გავემართე. მივდიოდი და ძველი სიმღერის ჰანგს ვუსტვენდი; ეს იმ შემთხვევისათვის, დენი თუ არ მოიწადინებდა ჩემთან შეხვედრას.

მაინც ასე მოხდა. ქოხი ცარიელი დამიხვდა, მაგრამ მე, თითქოს დამენახოს, ისე დანამდვილებით ვიცოდი, რომ სადმე აქვე იწვა, შამბნარში, და ირგვლივ მიმოყრილ დიდ მორებს ეფარებოდა. ისიც ვიცოდი, რომ, წავიდოდი თუ არა, მაშინვე გამოძვრებოდა. ამიტომ ყავისფერი კონვერტი ჯიბიდან ამოვიღე, მის ჭუჭყიან ლოგინზე დავდე და სტვენითვე გამოვბრუნდი. მხოლოდ ერთი წუთით შევწყვიტე სტვენა, რათა ხმადაბლა მეთქვა „მშვიდობით, დენი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს“, და ისევ სტვენით წამოვედი. ქუჩაში გამოვედი, პორლოკი გადმოვჭერი, დიდ სახლებს ჩავუარე, თელის ქუჩაზე გავედი და ჩემს საკუთარ სახლს – ჰოულეების სახლს მივაღდექი.

მერი ქარიშხალს ებრძოდა, დინჯად და დამშვიდებით უმკლავდებოდა მის გარშემო ატეხილ გრიგალებს, რასაც ყველაფერი დაენგრია. ფეხები ფაჩუჩებში ჩაეყო და თეთრი ნეილონის პერანგის ამარა დადიოდა. ახალდაბანილი თმა კულულებად დაეხვია და ისე ეყარა თავზე, როგორც ძეხვების დიდი მტევანი. ვეღარ მომიგონებია, უკანასკნელად როდის ვისადილეთ რესტორანში. მაგისი წელი არ მოგვდევდა და გადავეჩვიეთ. მერის დატრიალებული ქარცეცხლი ნაწილობრივ ბავშვებსაც მოედო. აჭამა, ასვა, დაბანა, რაღაცეები უბრძანა, მერე გააუქმა ეს ბრძანებები და სხვა ბრძანებით შესცვალა... სამზარეულოში საუთოებელი მაგიდა იყო გაშლილი, რაც კი ძვირფასი ტანსაცმელი მებადა, სულ დაეთოებინა და სკამების ხარიხებზე გადაეკიდებინა. ერთი წამით გამოერთობოდა ამ ფაციფუციდან მერი, საუთოებელთან მიირბენდა და ზედ გაფენილ კაბას გაუსვამდა უთოს. აღელვება ბავშვებსაც გადაედოთ – უჭირდათ ჭამა, მაგრამ ბრძანებას ვერ გადავიდოდნენ.

ხუთი ეგრეთ წოდებული საუკეთესო კოსტიუმი მაქვს – ნოქრისთვის ეგეც საკმარისია. სკამებზე იყო გადაფენილი და სათითაოდ შევებე. ყველას თავისი სახელი ჰქონდა: ლურჯს – ძველი, ყავისფერს – ჯორჯ ბრაუნი, ნაცრისფერს – დორიან გრეი, შავს – სამგლოვიარო და თავისფერს – დობინი.

– რომელი ჩავიცვა? საღამური?

– საღამური? აჰ, არა. ბანკეტზე ხომ არ მივდივართ! თანაც ორშაბათია დღეს. მე რომ მკითხო, ან ჯორჯი ან დორიანი... ჰო, დორიანი სჯობია, საბანკეტოცაა და არცაა საბანკეტო.

– წინწკლებიან ბანტ–ყელსახვევზე რას იტყვი?

– კარგი იქნება.

ელენი ჩაერია: – მამა! რაღა დროს შენი ბანტია! მოხუცდი კაცი!

– ვინ მოხუცდა? ძალიანაც ახალგაზრდა ვარ, მხიარული და თავქარიანი.

– სასაცილოდ აგიგდებენ, ყარყატს დაგიძახებენ. კიდევ კარგი, მე არ მოვდივარ.

– მეც ძალიან მიხარია. ვინ მოგახსენა მოვხუცდიო!

– მოხუცებით არ მოხუცებულხარ, მაგრამ ბანტი მაინც არ შეგფერის.

– სამაგელი პატარა დოქტრინერი ხარ და მეტი არაფერი!

– თუკი გინდა ყველამ დაგცინოს, მე რა მენალვლება.

– სწორედ ეგ მინდა. მერი, შენ არ გინდა, რომ ყველამ დამცინოს?

– მოეშვი მამაშენს, უნდა იბანაოს. პერანგი ლოგინზე დაგიდევია.

– მე თითქმის ნახევარი დავწერე... ჩემი თხოულება – „მე მიყვარს ამერიკა“, – ეს ალენმა თქვა.

– ასე უნდა. ამ ზაფხულს მუშაობას დაგაწყებინებ. მუშაობას?

– ჰო, დუქანში.

– ოჰ! – დიდი აღფრთოვანება არ გამოუმჟღავნებია.

ელენი რაღაცის სათქმელად მოემზადა, მაგრამ როცა შენიშნა, ყურადღებით მისმენენო, აღარაფერი უთქვამს. მერიმ ოთხმოცდამეხუთედ ჩამოთვალა – რა უნდა გააკეთონ ბავშვებმა ჩვენს არყოფნაში და რა არ უნდა გააკეთონ. მე ზემოთ ავედი, საბაზანოში.

სარკის წინ რომ ვიდექი და ჩემს ერთადერთ ლურჯ წინწკლებიან ყელსახვევს ვიკეთებდი, ელენი კარებს მოადგა და ქალური გესლით მომამახა: – უფრო ახალგაზრდა რომ იყო, კიდევ ჰო!

– შენმა უბედურმა ქმარმა იკითხოს, თორემ მე რა!

– უფროსი კლასელებიც აღარ იკეთებენ მაგისტანა ყელსახვევებს.

– პრემიერ-მინისტრი მაკმილანი იკეთებს.

– ეგ სულ სხვა საქმეა. მამა, წიგნიდან აწაპნა თაღლითობაა?

– გამაგებინე, რას ამბობ!

– ვთქვათ ვინმე, თუნდაც მე, რამეს ვწერ, და წიგნიდან გადმოვიღე მასალა... ამას რა ჰქვია?

– გააჩნია, როგორ გადმოიღებ.

– შენსავით არ იყოს – გამაგებინე, რას ამბობ.

– შენი არ იყოსო, გინდოდა გეთქვა, არა?

– ჰო.

– ვინმეს აზრს თუ გადმოიღებ, წინწკლებში ჩასვამ და ავტორს მიუთითებ, ამით შენს ნამუშევარსაც ღირსება და ავტორიტეტი ემატება. რაც ამერიკაში იწერება, სანახევროდ ციტატებია. ახლა მოგწონს ჩემი ყელსახვევი?

– თუ ის არ დაუსვი... წინწკლები?

– მაშინ ქურდობა იქნება, ნამდვილი ქურდობა. შენ ხომ არ ჩაგიდენია მაგისტანა რამე?

– არა.

– მაშ, რა გაწუხებს?

– ციხეში თუ ჩასვამენ მაგისტრის კაცს?

– ადვილი შესაძლებელია... ფულს თუ მიიღებ მაგ ნამუშევარში. ჯობს ერიდო მაგისტანა საქმეს, ჩემო გოგონა. ახლა რას იტყვი ჩემს ყელსახვევზე?

– აუტანელი კაცი გახდი, – მითხრა მან.

– დაბლა ჩასვლას თუ აპირებ, შეგიძლია შენს მშვენიერ ძმას გადასცე, რომ ის საცოდავი მიკი–მაუსი მოვუტანე, და სირცხვილი მაგას!

– არაფრის მოსმენა არ შეგიძლია სერიოზულად.

– ძალიან კარგადაც შემიძლია.

– არა, არ შეგიძლია. მერე ინანებ.

– მშვიდობით, ლედი. გედს გამოეთხოვე.

ელენი წაყიალდა, ეს თოთო მაცთუნებელი. მომსპობენ ეს გოგონები. ნამდვილი გოგონები არიან.

ჩემი მერი მშვენიერების განსახიერება იყო, ბრწყინავდა პირდაპირ. მთელი მისი არსება შარავანდს ასხივებდა. თელის ხეივანში რომ გავედით და ხეების თაღქვეშ გავიარეთ, მკლავში ხელი გამიყარა და, შემიძლია დავიფიცო, ქუჩის ფარნების შუქზე ჩვენი ფეხები ბარიერს მიახლოებული ჯიშინი ცხენების სიამაყითა და სილალით მიგვაქანებდა.

– რომში უნდა წაგიყვანო! ეგვიპტე მეტისმეტად პატარაა შენთვის. დიდი სამყარო გვეძახის.

მერიმ ჩაიკუჭკუჭა. მაგრამ, თავს გეფიცები, ამისთანა წაკუჭკუჭება ჩემს ქალიშვილსაც კი პატივს დასდებდა.

– უფრო ხშირად გამოვჩნდებით ხოლმე ხალხში, ჩემო ძვირფასო.

– როდის?

– როცა გავმდიდრდებით.

– ეგ როდის იქნება?

– მალე. სამეჯლისო ფეხსაცმელების ტარებას გასწავლი.

- ისე თუ გავმდიდრდებით, რომ ათდოლარიანით მოუკიდო სიგარას?
- ოციანითაც.
- მიყვარხარ.
- კარგი, ქალბატონო! ეს რა წამოგცდათ. გამაწითლეთ კაცი.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ „მთავარი ანძის“ პატრონებმა ქუჩის მხარეს თაღოვანი ფანჯრები გამოსჭრეს და პატარა ოთხკუთხა ჩარჩოებში ბოთლის მინები ჩასვეს, რათა რესტორნისათვის ნამდვილი ძველი იერი მიეცათ. მისცეს კიდეც, მაგრამ სქელი შუშები საშინლად ამახინჯებდა შიგ მსხდომთა სახეებს. ზოგს ლაყურები მოუჩანდა წინ გამოშვერილი, ზოგისა მარტო ვეებერთელა თვალი ჩანდა, მაგრამ ფანჯრის რაფებზე შედგმულ ნემსიწვერის ყუთებთან ერთად, „მთავარი ანძის“ რესტორანს ესეც სიძველის ეშხს მატებდა.

მარჯი უკვე გველოდებოდა. თავით ფეხებამდე სტუმართმოყვარე დიასახლისის განსახიერება იყო. თავისი მეგობარი გაგვაცნო, ნიუ–იორკელი მისტერ ჰარტოგი, რომელსაც სახე კვარცისაგან დასწვოდა და კბილები ისე ჰქონდა ჩაწიკწიკებული, უნებურად სიმინდის ტაროს მოგაგონებდათ. ცელოფანის ქალაქში შეხვეულსა და გამოკრულ ნივთს ჰგავდა ეს მისტერ ჰარტოგი, რასაც კი იტყოდი, ყველაფერზე მოწონების სიცილით გიპასუხებდა. საუბარში მისი მონაწილეობა ამით განისაზღვრებოდა, და მე მგონი კარგი ხერხიც ჰქონდა შერჩეული.

– გამარჯობათ, – მიესალმა მერი.

მისტერ ჰარტოგმა გაიცინა.

– ალბათ თქვენც გეცოდინებათ, რომ თქვენი მეგობარი ჯადოქარია.

მისტერ ჰარტოგმა გაიცინა. მშვენიერ გუნებაზე დავდექით.

– ფანჯარასთან დავუკვეთე მაგიდა. აგერ, იქ, – თქვა მარჯიმ.

– როგორც ვატყობ, ყვავილებიც კი დაგიკვეთიათ, მარჯი.

– ცოტათი მაინც ხომ უნდა გადავიხადო თქვენი სიკეთე, მერი.

ასე გაგრძელდა, მანამ მარჯი სკამებზე დაგვსხამდა, და შემდეგაც, მისტერ ჰარტოგი წამდაუწუმ იცინოდა. მართლაც რომ ბრწყინვალე კაცი იყო. გადავწყვიტე, ერთ სიტყვას მაინც ვათქმევინებ–მეთქი, მაგრამ უფრო მოგვიანებით.

მაგიდას სულ ქათქათი გაუდიოდა. ვერცხლეული, რომელიც სინამდვილეში სულაც არ ყოფილა ვერცხლეული, ვერცხლზე უფრო მეტად ბრწყინავდა.

– მასპინძელი მე გახლავართ, – დაიწყო მარჯიმ, – ესე იგი, უფროსიც მე ვარ. ავდექი და თქვენს დაუკითხავად მარტინი დავუკვეთე – გინდა მოგეწონოთ, გინდა არა.

მისტერ ჰარტოგმა გაიცინა.

მოგვართვეს მარტინიც, მაგრამ პატარა ჭიქებით კი არა, კაი მოზრდილი სასმისებით, როგორც ჩიტის საბანაო ჭურჭელი გინახავთ, – შიგ თითო ნაჭერი ლიმონის კანიც ეგდო. პირველმა ყლუპმა ვამპირის ნაკბენივით დაგვწვა პირი და გაგვაბუჟა, მერე კი გატკბა და რბილად და საამურად ჩავიდა ყელში.

– გავიმეოროთ, – თქვა მარჯიმ, – საჭმელი ხომ ისედაც გემრიელია აქ, მაგრამ ეს უფრო გაგვიგემრიელებს.

– სულ იმის ოცნებაში ვარ, ერთი ისეთი ბარი გავხსნა, რომ პირდაპირ მეორე მარტინით დაიწყოს კაცმა ქეიფი. იცოცხლე, გავმდიდრდები–მეთქი. ეს მე ვთქვი.

მისტერ ჰარტოგმა გაიცინა. მე ჯერ პირველი ჭიქის ლიმონს ვღეჭავდი, როცა კიდევ ოთხი მარტინი მოგვიტანეს.

მეორე მარტინის პირველივე ყლუპმა მისტერ ჰარტოგს ენა აუხსნა. დაბალი, გუგუნა ხმა ჰქონდა. ასეთი ხმა მსახიობებსა და მომღერლებსა აქვთ, აგრეთვე ისეთი საქონლის კომივოიაჟერებს, რაზედაც ხალხს გული არ მიუდის. ისე, ექიმის ხმაც შეგიძლიათ უწოდოთ.

– მისს იანგ–ჰანტისაგან გავიგე, სავაჭრო საქმიანობას ეწევით თურმე ამ ქალაქში, – თქვა მან, – მომხიბლავი ქალაქია, შეუბღალავი.

მინდოდა მეთქვა, რაში გამოიხატებოდა ჩემი სავაჭრო საქმიანობა, მაგრამ მარჯიმ დამასწრო.

– მისტერ ჰოული ამ კუთხის მომავალი ძლიერებაა, – თქვა მან.

– მართლა? მაინც რა საქმიანობას ეწევით, მისტერ ჰოული?

– ყველაფერს, – განაცხადა მარჯიმ, – სუყველაფერს, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, აშკარად არა. – თვალეები მთვრალივით უბრწყინავდა. მერის გადავხედე – იმას ახლავდა ებინდებოდა თვალეები; მაშინ დავასკვენი, რომ ჩვენს თანამესუფრეებს უჩვენოდაც ეყლურწათ ერთი–ორი, ყოველ შემთხვევაში, მარჯის მაინც.

– მისს იანგ–ჰანტმა ბრძანა და მე როგორღა უარყო, – ვთქვი მე.

მისტერ ჰარტოგმა კვლავ გაიხსენა თავისი სიცილი.

– მომხიბლავი ცოლი გყავთ. სადაც არ უნდა მიხვიდეთ, ბრძოლა სანახევროდ მოგებული გაქვთ.

– სანახევროდ კი არა – მთლიანადაც.

– ითენ, მისტერ ჰარტოგს ეგონება, თითქოს მუდამ ჩხუბი გვაქვს.

– ასეც არის, – ნახევარი ჭიქა ერთბაშად გადავკარი და თვალებში სითბო მომაწვა. ფანჯრებში ჩასმულ ბოთლის მინებს გავხედე. ერთ–ერთ მათგანს სანთლის გამოსახულება აერეკლა და თითქოს ნელ–ნელა არხევდა. იქნებ თვითშთაგონება იყო ეს, რადგან კვლავ ჩემივე ხმა მესმოდა, თითქოს საიდანღაც მოდიოდა სიტყვები. – მისს მარჯი აღმოსავლეთის ჯადოქარია. მარტინი სულაც არ არის მარტინი, საწამლაგია, – მოციმციმე შუშა კვლავ იზიდავდა ჩემს მზერას.

– ღმერთო ჩემო, მე კიდევ მუდამ ოზმად წარმომედგინა თავი. აღმოსავლეთის ჯადოქარი ხომ ბოროტი სულია?

– ნამდვილი ბოროტი სული!

– სულ ბოროტი დარჩა? არ მოლბა?

ფანჯრის მრუდე მინაში კაცი დავინახე, ქუჩის ტროტუარს მიყვებოდა. მობრეცილი ჩანდა, მაგრამ ეს კი აშკარად გავარჩიე, რომ თავი მარცხნივ გადაელრიცა და ფეხებსაც უცნაურად ხლართავდა. დენი დადის ასე. ჩემს წარმოდგენაში წამოვვარდი და დავედევნე. თელის ხეივანამდე მივდიე, მაგრამ უცებ გაუჩინარდა, ალბათ რომელიღაც სახლის უკანა ეზოში შექვრა. მე დავუყვირე: „დენი! დენი! ფული დამიბრუნე! თუ ღმერთი გწამს, დამიბრუნე, დენი! სად მიგაქვს, მოწამლულია! მე მოვწამლე!“

სიცილი მომესმა. მისტერ ჰარტოგის სიცილი იყო.

– არა, მირჩევნია, ოზმა ვიყო, – ეს მარჯიმ თქვა.

ცრემლები ხელსახოცით მოვიწმინდე და ვთქვი: – დალევით დავლევ ამას, მაგრამ თვალის დასაბანად არ გამოდგება. წვავს.

– როგორ დაგწითლებია თვალები! – მითხრა მერიმ.

ადარ მინდოდა მათთან დაბრუნება, თუმცა ჩემი საკუთარი ხმა მესმოდა, ათას რამეს ვლავობდი და ვყვებოდი; მესმოდა, როგორ მხიარულად იცინოდა ჩემი მერი, ამით მიხვდი, რომ ალბათ სასაცილო რამეებს ვყვებოდი, და მომხიბლავადაც. მაგრამ დაბრუნებით ვეღარ დავუბრუნდებოდი სუფრას. მე მგონი, მარჯი მიხვდა ამას. ფარული ინტერესით მიყურებდა, თითქოს მეკითხებოდა რაღაცას. ჯანდაბას მისი თავი. ნამდვილი კუდიანია.

არ ვიცი, რა ვჭამეთ. ალბათ თევზი ვჭამეთ, რადგან თეთრი ღვინო დამახსოვდა. ფანჯრის მინდა პროპელერივით ტრიალებდა. მერე კონიაკიც მახსოვს, ალბათ ყავა დავლიეთ... და ამით დამთავრდა ჩვენი სადილი.

გარეთ რომ გამოვედით, მერი და მისტერ ჰარტოგი დაწინაურდნენ. მარჯიმ ჰკითხა:
– სად იყავით?

– ვერ გავიგე, რას მეკითხებით?

– თქვენ ხომ სადღაც წახვედით. სუფრასთან – იჯექით მხოლოდ, და მეტი არაფერი.

– განვედ, კუდიანო!

– კარგი, ჩემო ძვირფასო, – მითხრა მან.

შინისაკენ რომ გავუხვიეთ, ვცდილობდი ხეთა ჩრდილებში მევლო. მერი მკლავზე ჩამომეკიდა, ნაბიჯი ოდნავ არეული ჰქონდა.

– რა დრო გავატარეთ! – თქვა მან, – ასე ჩემს დღეში არ მისიამოვნებია.

– კარგი დრო გავატარეთ.

– რა სტუმართმოყვარეა მარჯი! აღარ ვიცი, სამაგიერო რითი გადავუხადოთ.

– მართლაც კარგი ქალია.

– შენ, ითენ! ხუმარა რომ ხარ, ეს კი ვიცი, მაგრამ დღეს სიცილით დაგვხოცე. მისტერ წითლა ბეიკერის ამბავს რომ მოყევი, მისტერ ჰარტოგმა თქვა, ლამის მუცელზე გავიფხრიწო.

– მისტერ წითლა ბეიკერის ამბავსაც მოყევი? ნეტა რომელს? უამისობაც არ იქნებოდა. ო, დენი, დამიბრუნე ის ფული! თუ ღმერთი გწამს, დამიბრუნე!

– თეატრში ვერ იცინებს ამდენს, – მითხრა მერიმ. კარებში რომ შევდიოდით, ისე მაგრად მივიკარი, რომ შეჰკვივლა, – უი, მთვრალი ხარ, გენაცვალე. ნუ მატკინე! ბავშვებს ნუ გააღვიძებ, თუ ღმერთი გწამს.

გადაწყვეტილი მქონდა: მერი რომ დაიძინებს, შინიდან გამოვძვრები, დენისთან მივალ ქოხში, თუ არ დამიხვდა, დავძებნი, პოლიციასაც კი გამოვიყვან–მეთქი. მაგრამ არა. მე ხომ ვიცი, რომ დენი აქ აღარ იქნება. წავიდა დენი. ვიწექი სიბნელეში და ჩემს დანამულ თვალებში მოცურავე პაწაწინა წითელ და ყვითელ ლაქებსა ვჰვრეტდი. მე ხომ ვიცი, რა გავაკეთე, და დენიმაც იცის. კურდღლების დახოცვა გამახსენდა. იქნებ მხოლოდ პირველად იყოს ასე ძნელი. თვალი უნდა გავუსწორო. საქმესა და პოლიტიკაში კაცმა გზა უნდა გაიკაფოს და გაიკვლიოს, ხალხი გვერდზე მიყარ–მოყაროს, თორემ ისე სანუკვარ მწვერვალს ვერ მიაღწევს. იქ რომ ავა, სვიანიც გახდება და გულმოწყალებაც, მაგრამ ჯერ ხომ უნდა ავიდეს!

თავი მეათე

ტემპლტონის აეროდრომი ორმოციოდე მილზე მდებარეობს ნიუ-ბეიტაუნიდან, რეაქტიული თვითმფრინავი ხუთ წუთში გაივლის ამ მანძილს. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მრავლდება რეაქტიული თვითმფრინავები, თავს დაგვბზუიან სიკვდილის მთესავი კოლოების გუნდები. ნეტა მეც ჩემი ალენის მსგავსად შემეძლოს ამ თვითმფრინავებით აღფრთოვანება და მათი შეყვარება. სხვა დანიშნულებაც რომ ჰქონდეთ, იქნებ მეც შემძლებოდა, მაგრამ იმათი ერთადერთი ამოცანა ხოცვა და ჟლეტაა, ეს კი ყელში ამომივიდა. მე ვერ შევეჩვიე, ალენი კი ახერხებს მათ დანახვას, არა იქ, საიდანაც ხმა მოდის, არამედ უფრო შორს. ისეთი გრუხუნით გადალახავენ ხოლმე ხმის ბარიერს, რომ მუდამ შიში მიპყრობს, სათბობი ქვაბი ხომ არ გასკდა—მეთქი. ღამით რომ გადაიფრენენ, სიზმრებში შემომეჭრებიან და, დაფეთებით გამოღვიძებულს, მოშლილობის გრძნობა მომიცავს, თითქოს სულს წყლული გასჩენოდეს.

გათენებისას მთელმა გუნდმა გადაიქროლა და ფეხზე წამომადგო, კანკალმა ამიტანა. ალბათ, გერმანული 88-მილიმეტრიანი იარაღი დამასიზმრეს, რომელიც ფრონტზე ყველას მოგვწონდა და თან შიშით გვაკანკალებდა ხოლმე.

ვიწექი სიმწრის ოფლით გაღვარული და განთიადის ბინდბუნდში ავისმაუწყებელი თითისტარის ბზრიალივით მესმოდა შორიდან მათი თანდათანობით მიწეღებული გუგუნი. ალბათ, მთელ ქვეყანაზე ყველას ასე უსიამოვნოდ დაუვლის სხეულში ეს ჟრუანტელი, არა სულში, არამედ სწორედ სხეულში, კანქვეშ. იმდენად თვითმფრინავი კი არ იწვევს ამ შიშს, რამდენადაც ის, რისთვისაც ეს თვითმფრინავია მოწოდებული.

როცა მდგომარეობა თუ ამოცანა მეტისმეტად გართულდება, ადამიანს თავდაცვის უნარი უჩნდება – სულაც არ იფიქროს ამაზე. მაგრამ ეს ფიქრი ქვეცნობიერებაში შეიჭრება ხოლმე ღრმად და იქ დაბუდებულ მრავალ სხვა ფიქრში აირევა; ასე წარმოიშობა სულიერი მღელვარება და აფორიაქება, დანაშაულის გრძნობა და იმის ძლიერი ინსტინქტი, რომ მანამ ყველაფერი გათავებულა, რამეს მაინც წაავლო ხელი, სულ ერთია, რაც უნდა იყოს. იქნებ ფსიქოანალიტიკოსთა მთელი არმია კომპლექსებს კი არ ებრძვის, არამედ იმ საომარ პოტენციალს, რაც ერთ დღეს შეიძლება სოკოების მსგავს ღრუბლებად მოედოს ცას. ვისაც კი ვხედავ, თითქმის სუყველა განერვიულებული და აფორიაქებული მეჩვენება, ცოტათი აგზნებულ—აღტაცებულად, როგორც საახალწლო სუფრაზე შემთვრალი ხალხი. ძველი ძმობა და მეგობრობა დავიწყებას მიეცი და მეზობლის ცოლს დაუწყე კოცნა.

ჩემს საკუთარს გადავხედე. ეძინა, მაგრამ ჩვეული ღიმილი არ ეფინა სახეზე. ტუჩები თითქოს ჩამოშვებოდა და დახუჭული წამწამების ირგვლივ მოღლილობის ხაზები გასჩენოდა. ალბათ, ავადაა, ავადმყოფობის დროს მოსდის ასე. მანამ კარგადაა,

ღმერთმა ყველას მისცეს ამისთანა ცოლი, ხშირად არც ავადმყოფობს, მაგრამ როცა ავად გახდება, მტრისას!

ისევ იფეთქა რეაქტიული თვითმფრინავების ახალმა გუნდმა. ვინ იცის, ნახევარი მილიონი წელი დასჭირდა ადამიანს, მანამ ცეცხლს შეეჩვეოდა, ამ ცეცხლზე გაცილებით უფრო მძვინვარე ძალას კი, იძულებული გავხდით, სულ თხუთმეტიოდე წელიწადში შევჩვეოდით. ნეტა როდესმე თუ მოვახერხებთ ამ ძალის დამორჩილებასა და მოშინაურებას? თუ აზროვნების კანონები საგანთა და ნივთთა კანონების მსგავსია, მაშინ სულშიაც თუ ხდება ნეტა ატომის ხლეჩა? ნუთუ მეც ეს მომდის? ჩვენ, საერთოდ?

ერთი ამბავი მაგონდება, პაპიდა დებორამ მიაძმო დიდი ხნის წინათ. წარსული საუკუნის დასაწყისში ზოგი ჩემი წინაპარი კარმელიტი ყოფილა. პაპიდა დებორა მაშინ პატარა ბავშვი იყო, მაგრამ მაინც მშვენივრად ახსოვდა, როგორ ელოდნენ ქვეყნის აღსასრულს, მის მშობლებს ყველაფერი დაერიგებინათ, რაც კი რამ ებადათ, ყველაფერი, გარდა ზეწრებისა. დანიშნულ დღეს მოისხეს თურმე ეს ზეწრები და მთებში გაიხიზნენ, რათა ქვეყნის აღსასრულს იქ შეხვედროდნენ. ზეწრებში გახვეული ასობით ადამიანი ლოცულობდა და გალობდა. ღამე რომ ჩამოწვა, კიდევ უფრო უმაღლეს სიმღერას და ცეკვასაც მოჰყვნენ, ხოლო როცა დრო მოახლოვდა, ცას ვარსკვლავი მოწყდა, და თურმე საშინელი კივილი მორთეს. ახლაც კი ყურში მიდგას იმათი კნავილიო; მგლებივით ყმოდნენ, ჰიენებივით ჩხოდნენო, -იტყოდა ხოლმე პაპიდაჩემი, თუმცა თავის დღეში არ გაეგონა ჰიენის ხმა. დადგა ის საოცარი წუთიც. სუდარებში გახვეულმა ქალებმა, კაცებმა და ბავშვებმა სუნთქვა შეიკრეს. აღსასრულის წუთი კი ძალიან ნელა მოდიოდა. ბავშვებს სულ დაულურჯდათ სახე, მაგრამ ეს წუთიც გავიდა ისე, რომ არაფერი მომხდარა. ხალხი მოტყუებული დარჩა – აღთქმულ აღსასრულს ვეღარ ეღირსა. დილით მთებიდან ჩამოიძურწნენ და სოფელს მოედვნენ – გაჩუქებული ტანსაცმლისა თუ ჭურჭლეულის, ხარებისა თუ სახედრის უკანვე დაბრუნება სცადეს. მახსოვს, როგორ მეცოდებოდნენ, წარმოვიდგინე რა დღეში იქნებოდნენ.

ეს ამბავი, ალბათ, რეაქტიულმა თვითმფრინავებმა გამახსენეს – აურაცხელი ენერგიით, დროით, დაზოგილი ფულით შექმნილმა სიკვდილის მთესმა მანქანებმა. ნეტა ჩვენც მოტყუებულად ჩავთვლით თავს, თუ არასოდეს დაგვჭირდა მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება? რაკეტებს, იცოცხლე, ვუშვებთ ჰაერში, მაგრამ ბოლმისა და მღელვარებისათვის ვერაფერი მოგვიხერხებია.

ჩემმა მერიმ თვალი გაახილა.

– ითენ, – მითხრა მან, – რა ხმამაღლა ფიქრობ?! არ ვიცი, რაზე ფიქრობ, მაგრამ ხმამაღლა კი გამოგდის. ნულარ ფიქრობ, ითენ.

მინდოდა მერჩია, შენც ნულარ დალევ–მეთქი, მაგრამ საცოდავი მომეჩვენა. ხშირად ვერ მოვზომავ ხოლმე და უდროო დროს ვიხუმრებ, მაგრამ ახლა თავი შევიკავე.

- თავი გტკივა?
 - ჰო.
 - მუცელიც?
 - ჰო.
 - ყველაფერი?
 - ყველაფერი.
 - რამეს მოგიმზადებ.
 - საფლავი მომიმზადე.
 - დღეს ნუ ადგები.
 - არ შემიძლია. ბავშვები სკოლაში უნდა გავისტუმრო.
 - მე გავისტუმრებ.
 - შენ ხომ სამსახურში უნდა წახვიდე.
 - ყველაფერს მოვასწრებ, ნუ გეშინია.
- ერთი წუთის შემდეგ მითხრა.
- ითენ, მგონია, მართლა ვერ ავდგე. ძალიან ცუდად ვარ.
 - ექიმი გამოვიძახო?
 - არა.
 - მარტოკა ვერ დაგტოვებ. ელენი ვერ დარჩება?
 - აჰ! გამოცდა აქვს.
 - მარჯი იანგ–ჰანტისთვის ხომ არ დამერეკა.
 - ტელეფონი გამორთული აქვს. ცვლის მგონი.
 - მე თვითონ მივალ და ვთხოვ.
 - ხომ მოგკლა, ასე ადრე რომ გააღვიძო.
 - დავწერ და კარებში შევუცურებ.
 - არა, არ გინდა!

– რა მოხდა მერე.

– არა, არა, არ გინდა. ნუ მიხვალ.

– მარტოკა ხომ ვერ დაგტოვებ?

– სასაცილო კია, მაგრამ უკვე მოვმჯობინდი. ალბათ იმიტომ, რომ დაგიყვირე. მართლა გეუბნები, – თქვა მან და თავისი სიტყვები რომ დაედასტურებინა, ადგა და ხალათი მოისხა. მართლაც უკეთ ჩანდა.

– საოცარი ქალი ხარ, ჩემო საყვარელო.

პარსვის დროს სახე გავიკაწრე და, სასაუზმოდ რომ ჩავედი, განაჭერზე ტუალეტის ქალაღდის ნაგლეჯი მქონდა დაწებებული.

მორფი აღარ დამინახავს პარმალზე თავისი განუყრელი კბილის საჩიჩქნით, როცა მის სახლს ჩავუარე. გამეხარდა. ვერიდებოდი მის ნახვას. მაინც ავაჩქარე ფეხი, არ დამეწიოს–მეთქი.

უკანა კარი რომ გავადე, ზღურბლზე ბანკის ყავისფერი კონვერტი დავინახე. დაბეჭდილი იყო. სქელი ქალაღდისაგან აკეთებენ ბანკის კონვერტებს, ვერც კი გახევე. ჯიბის დანა ამოვიღე და გავჭერი.

ხუთცენტიანი სასკოლო ცალხაზიანი რვეულის სამი ფურცელი იდო შიგ, რბილი ფანქრით მკრთალად დაწერილი. ანდერძი: „მე, სავსებით ჯანმრთელი და საღად მოაზროვნე“... შემდეგ: „ვითვალისწინებ რა...“ მერე ხელწერილი – „ვალდებული ვარ გადავუხადო...“. ორივე ქალაღდი ხელმოწერილი იყო – გარკვევით და ფაქიზად. „ძვირფასო ით, აჰა, რაც შენ გსურდა“.

სახის კანი თითქოს კიბორჩხალის ჯავშანივით გამიმაგრდა, მძიმედ მივუგდე კარი, როგორც აკლდამის კარებს დახურავენ ხოლმე. პირველი ორი ფურცელი გულმოდგინედ დავკეცე და საფულეში ჩავდე, მესამე კი... დავჭმუჭნე, უნიტაზში ჩავუძახე და წყალი ჩამოვუშვი. კარგა ხანს ატრიალა წყალმა ქალაღდი, მერე კი ჩატენა და წაიღო.

ფეხსადგილიდან რომ გამოვედი, შევნიშნე, რომ უკანა კარი შეღებული იყო. არადა, მახსოვდა, კარგად დავკეტე. კარისკენ გავემართე, მაგრამ უცებ ფხაკუნის შემომესმა. ავიხედე – ეს ოხერი კატა სულ ზემოთა თაროზე შემძვრალა და ცდილობს თათი კედელზე ჩამოკიდებულ ლორს გამოსდოს. ცოცხს დავტაცე ხელი და ძლივძლივობით გავაგდე გარეთ. გვერდზე რომ ჩამიარა, მოვუქნიე, მაგრამ ავაცილე და ცოცხის ტარი კარებზე მივამტვრიე.

ქადაგება არ წამიკითხავს იმ დღეს კონსერვის ქილებისათვის, ტექსტი ვერ შევარჩიე. სამაგიეროდ შლანგი გამოვიტანე და დუქნის წინ ტროტუარი და არხიც ჩავრეცხე.

მერე მთელი დუქანი დავაკრიალე – ჩამტვერილ–ჩაბინძურებულ კუნჭულებსაც კი მივწვდი. ვასუფთავებდი და თან ჩემთვის ვლიღინებდი.

„აგერ შეცვალა იორკის მზემ მბრწყინავ ზაფხულად

ზამთარი ჩვენი, უთანხმობა–მღელვარებისა“. [17]

ვიცი, რომ სიმღერა არ არის ეს, მაგრამ მე მაინც ვმღეროდი.

ნაწილი მეორე

თავი მეთერთმეტე

ნიუ–ბეიტაუნს მშვენიერი მდებარეობა აქვს. მის, ერთ დროს ვრცლად გადაჭიმულ, ნავსადგურს ჩრდილო–აღმოსავლეთის ქარებისაგან ხმელეთის გასწვრივ გაწოლილი კუნძული იცავს. ქალაქის ნაპირებში უბეებია შეჭრილი, რომლებიც ზღვის მოქცევის დროს წყლით ივსებიან. ქუჩებში ხალხის სიმრავლეს ვერ იგრძნობთ და დიდი ქალაქის ფუსფუსი უცხოა ნიუ–ბეიტაუნისათვის. იმ დიდ სახლებს გარდა, რომლებიც ერთ დროს ვეშაპებზე მონადირეებს ეკუთვნოდათ, საცხოვრებელი ბინები პატარები აქვთ, თუმცა კოხტა და ლაზათიანი, მშვენიერ ხეებში ჩამჯდარი. აქ ნახავთ ათასნაირი ჯიშის მუხებს, ნეკერჩხალს, თელას, კაკალს, ალაგ–ალაგ ჩინარსაც, მაგრამ ძველი ქუჩების გაყოლებაზე დიდი ხნის წინათ დარგულ თელებს თუ არ ჩავთვლით, მაინც მუხა სჭარბობს. ისეთი მუხნარი იყო თურმე ამ ადგილებში გადაჭიმული, რომ ადგილობრივ გემთმშენებლებს შორს წასვლა არ სჭირდებოდათ – პლანშირის, კილის, კილსონისა თუ ანძების მასალა იქვე ჰქონდათ.

ხალხს, საზოგადოებას გარკვეული პერიოდები აქვს კარგადმყოფობისა თუ ავადმყოფობის, იმედისა თუ სასოწარკვეთილების, თვით სიჭაბუკისა და სიბერისაც. იყო დრო, ნიუ–ბეიტაუნისთანა რამდენიმე ქალაქი ვეშაპის ქონით მთელ დასავლეთ სამყაროს ანათებდა. ოქსფორდელი და კემბრიჯელი სტუდენტები ამერიკიდან მიწოდებული ქონის შუქზე მეცადინეობდნენ. მერე პენსილვანიაში ნავთის შადრევნებმა ამოხეთქა და იაფმა სითხემ, რასაც ნახშირის ზეთი შეარქვეს, ვეშაპის ქონი სულ განდევნა, ზღვის მონადირეებს საქმე გამოუღია. დაჩიავდა ნიუ–ბეიტაუნის, სასოწარკვეთილებამ მოიცვა, მას შემდეგ ველარც კი გამართულა წელში. მეზობელმა ქალაქებმა სხვა საქმე გაიჩინეს და მაგრადაც გაუტიეს. ნიუ–ბეიტაუნის კი, რომლის საარსებო ძალა მთლიანად ვეშაპებით ნადირობასა და ქონის წარმოებაზე

იყო დაფუძნებული, გაოგნების მორევში ჩაიფლო. ნიუ-იორკიდან დაძრულმა ხალხის ნაკადმა გველივით იცოცა და ნიუ-ბეიტაუნი გვერდზე დატოვა, თავის მოგონებებს დაუტოვა. და, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ნიუ-ბეიტაუნელები თავს იმშვიდებდნენ, ასე სჯობსო. საზაფხულოდ ჩამოსულთა ღრიანცელისაგან დაზღვეულები იყვნენ, ნეონის რეკლამები თვალებს არ უჭრელებდათ, ტურისტების ფულები აქეთ-იქით არ იპნეოდა და ტურისტთა ჯგუფები კარუსელივით არ ირეოდა. ამ მშვენიერი უბეების პირას ახალი სახლები ცოტადა აშენდა, მაგრამ გველივით დაძრული ხალხის ნაკადი კვლავ დაცოცავდა ირგვლივ და ყველა გრძნობდა, რომ, ადრე თუ გვიან, ნიუ-ბეიტაუნშიც შემოდგაფუნდებოდა. ამის მოლოდინში ნიუ-ბეიტაუნელებს თან ერთი სული ჰქონდათ, და თან ეშინოდათ კიდევ. მეზობელი ქალაქები მდიდრდებოდნენ, ტურისტების ფულით ივსებოდნენ, დუღდნენ და გადმოდიოდნენ, ახალ გამდიდრებულთა დიდებული სახლებით ელვარებდნენ. ოლდ-ბეიტაუნში მხატვრობა, კერამიკა და მამათმავლობა ჰყვავდა. ლესბოსიანელთა ტატყაფეხებიანი ნაშიერები ნოხებსა ქსოვდნენ და წვრილმან ინტრიგებს ხლართავდნენ. ნიუ-ბეიტაუნი წარსულს მისტიროდა, სვიაზე ლაპარაკობდა და მოუთმენლად მოელოდა ზღვის კალმახის გამოჩენას.

უბეებში ლელს დაედგა ფეხი და იხვი დაბუდებულიყო – თავიანთი ჭუჭულების ფლოტილია გამოჰყავდათ. ონდატრები გაფაციცებით თხრიდნენ ორმოებს და დილაობით წყალში დასხმარტალებდნენ. ზღვის ქორები თითქოს უძრავად ეკიდნენ ცაში, თევზებს უთვალთვალებდნენ და, როგორც კი შენიშნავდნენ, შურდულივით დააცხრებოდნენ; თოლიები მოლუსკების ნიჟარებს აიტაცებდნენ, აიჭრებოდნენ მაღლა, სულ მაღლა, იქიდან გადმოაგდებდნენ, დაამსხვრევდნენ და შეექცეოდნენ. ზოგჯერ წავი გაცურდებოდა წყალზე. კურდღლები ბალ-ბოსტნებს დაერეოდნენ; ნაცრისფერი ციყვები ქალაქის ქუჩებში გამოძვრებოდნენ და წვრილი ტალღებივით მოძრაობდნენ. ხობხები ფრთებს ატყლაშუნებდნენ და ყიოდნენ, ცისფერი ყანჩები ნაპირთან ახლოს გაირინდებოდნენ, თხელ წყალში, და ფეხებგამობმული რაპირებივით შეიმართებოდნენ; ღამლამობით წყლის ბულების კვილი ისმოდა, თითქოს ცოდვებით დამძიმებული სული კვნესისო.

გაზაფხული გვიან მოდის ნიუ-ბეიტაუნში, ასევე ზაფხულიც. მაგრამ როცა მოვა, თან მოაქვს ნაზი, ველური და თავისებური ხმაური, სურნელი და განცდები. ივნისის დამდეგს, როცა ყვავილებისა და ფოთლების სამყარო გაიშლება, გუშინდელი მზის ჩასვლა დღევანდელს აღარა ჰგავს. საღამოობით მწყრები მოჰყვებიან თავიანთი ქვირით-ქვირითის მღერას, ხოლო, როცა სიბნელე ჩამოწვება, ჭოტის კვილი ისმის. შეფოთლილი მუხები გაიბერებიან და თავიანთი ყვავილების მტევნებს ბალახზე აფრქვევენ. მეზობლების მაღლები ერთად შექუჩდებიან და, ბედნიერებით ატაცებულები, ტყისკენ გაინავარდებენ, ზოგჯერ მთელი კვირა იქა რჩებიან.

ივნისში ინსტინქტით ატაცებული მამაკაცი ბალახსა თიბავს, მიწაში მარცვალს აგდებს და ულმობელ ბრძოლას უცხადებს თხუნელას, კურდღლებს, ჭიანჭველას,

ხოჭოს, ფრინველს... ყველას, ვისაც კი მისი ბალის განადგურება მოუწადინებია. ქალი ვარდის დახუჭუჭებულ ფურცელს შეჰყურებს და, ნეტარებამორეული, ხშირ-ხშირად ამოიოხრებს ხოლმე, კანი მასაც ვარდის ფურცელივით უნაზდება, ხოლო თვალები მტვრიანას მიუგავს.

ივნისი მხიარული თვეა. გრილი და საამოდ თბილი, წვიმიანი და ხმაურიანი, ყველაფერი იზრდება, ყველაფერი იზრდება და ახლდება – ტკბილიც და მწარეც, მაცოცხლებელიცა და დამღუპველიც. გოგონები ტანზე ამოსხლელი შარვლებს ჩაიცვამენ. ერთმანეთს ხელს გადახვევენ და მთავარ ქუჩაზე გამოეფინებიან, პაწია რადიომიმღებები ბეჭებზე მოუგდიათ და სასიყვარულო სიმღერებს უგდებენ ყურს. სისხლადუღებულ ბიჭები კი ტანჯერის სააფთიაქო მაღაზიაში ტაბურეტებზე შემომსხდარან და თივის ღერით მუწუკების გამჩენ სითხეს წრუპავენ. გოგონებს ვაცებივით გადახედავენ ხოლმე და აგდებულად ხუმრობენ, თუმცა სხეულში საამო ჟრუანტელი უვლით.

ივნისში საქმის კაცი „ელ სიუსა“ ან „მთავარ ანძაში“ შეივლის ლუდის დასალევად, მაგრამ ვისკიზეც არ იტყვის უარს, და ამ შუადღისას კარგა მაგრად გამოიბრუჭება. ჯერ ისევ შუადღეა, მაგრამ, აგერ, მტვერში ამოგანგლილ მანქანებსაც შენიშნავ – ჩუმად მიცოცავენ მილ სტრიტის განაპირას კენტად მდგარი ერთი უბადრუკი სახლისკენ, რომლის დარაბები დღენიადაგ გამოკეტილია. აქ ალისი, ქალაქის კახპა, ივნისის მზით აღზნებულ კაცებს ღებულობს და მათთან ერთად საშუადღეო პრობლემებსა წყვეტს. ზვირთსაქცევის გადაღმა კი ღუზაჩაშვებული ნავეები მთელი დღე ირყევიან და გახალისებული მამაკაცები და ქალები ზღვას სარჩოსა სთხოვენ.

ივნისი რემონტებისა და შენების, გეგმებისა და პროექტების თვეა. იშვიათად, რომ კაცს ცემენტის ბლოკები და სხვა მასალები არ შეჰქონდეს სახლში, და ძველი კონვერტების მეორე მხარეს ტაჯმაჰალისნაირ შენობებს არა ხატავდეს. ზღვის ნაპირას ასობით პატარ-პატარა ნავს ნახავ, პირქვე ჩაუმხვიათ და, ახალშედებილები, მზეზე ელვარებენ, პატრონები კი წელში ამაყად გამართულან და ღიმილით შესცქერიან თავიანთ ნამუშევარს. სკოლას ჯერ კიდევ მაგრად უჭირავს დაუოკებელი ბავშვები, მაგრამ თვის ბოლოს, როცა გამოცდები კარს მოადგება, ჯანყი თანდათანობით მძვინვარდება და მთელ ქალაქს, უეცრად, გაციების ეპიდემია მოედება – საშინელი სენი, რომელიც არდადეგების დაწყებისთანავე გაქრება ხოლმე.

ივნისში ზაფხულის ბედნიერი მარცვალი ღვივდება. „ოთხი ივლისი სად გავატაროთ?.. დროა, საზაფხულო აგარაკზე ვიფიქროთ“. ივნისი დაფარული პოტენციალის დედაა. იხვები მამაცურად დაცურავენ, წყალში ჩასაფრებულ კუთა ქარავანს არც კი ეპუებიან, სალათი გვალვის მოლოდინში განაბულა, კომიდორი ტანს იყრის, მახრას გამომწვევად უშვერს დამსხვილებულ ღეროებს, ოჯახის უფროსებს სილა და მზეზე გარუჯვა ელანდებათ და კოლოების სიმფონიებით გაყრუებული გრძელი, განაწამები ღამეები კი ავიწყდებათ. „წელს კი ნამდვილად უნდა დავისვენო. მეყო რაც შარშან გადავიქანცე. მორჩა, წელს მაინც არ

გადავაქცევინებ ბავშვებს იმ ორკვირიან შვებულებას ჯოჯოხეთად. მთელი წელიწადი თავი არ ამიღია“. დასვენების გეგმები მუქ მოგონებებს აქარწყლებენ და ამქვეყნიური ცხოვრება სანატრელი ხდება.

დიდხანს ეძინა ნიუ-ბეიტაუნს. ხალხი, რომელიც მას მართავდა, – პოლიტიკის, ზნეობის, ეკონომიკის თვალსაზრისით, – იმდენხანს შერჩა ამ მართვა-გამგეობას, რომ მათი შემოდებული კანონები სამარადჟამოდ დამკვიდრდა. მერი, მუნიციპალიტეტი, მოსამართლეები, პოლიციელები შეუცვლელელები იყვნენ. მერი უსარგებლო იარაღ-მოწყობილობასა ჰყიდდა ქალაქში, მსაჯულებმა გააუქმეს მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმა და იმდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, აღარც კი ახსოვდათ, რომ ამით კანონს ეწინააღმდეგებოდნენ. ნორმალური ხალხი იყო და ამიტომ თავიანთ მოქმედებაში ვერაფერ უწყესოს ვერა ხედავდნენ. ადამიანები ყველანი წესიერები არიან, მხოლოდ მათი მეზობლები არიან უწყესონი.

მზით გაბრწყინებულ დღეს ზაფხულის სუნთქვა მოჰქონდა. უკვე გამოჩნდნენ ადრეული მოაგარაკენი, უშვილძირო ხალხი, რომლებიც სკოლის დამთავრებას არ უცდიან, ადრე დაიძვრებიან ხოლმე. ქუჩაში გამოგრილდნენ საბმურგამობმული მანქანები, საბმურებზე პატარა ნავეები და მოტორები ეწყოთ. დუქანში შედიოდნენ და სულ ერთსა და იმავე საქონელს ყიდულობდნენ – გადამდნარი ყველი, ანტრეკოტი, კრეკერი და სარდინის კონსერვები; თვალდახუჭულიც რომ ყოფილიყო ითენი, ამ საქონლის მიხედვითაც შეატყობდა, ვინ იყვნენ მისი მუშტრები.

ჯოი მორფი ყელის გასაგრილებლად შევიდა – წესად ჰქონდა, როგორც კი დათბებოდა, ყოველ ნაშუადღევს შეივლიდა ხოლმე. ბოთლიანი ხელი მაცივრისკენ გაიშვირა და თქვა: – დროა, სატურატორიც დაიდგათ.

– მაშინ ოთხი ხელი უნდა გამოვიბა, ან, მუხუდოს პარკივით, ორ ნოქრად გავიყო. ნუ გავიწყდებათ, მეზობელო ჯოი, რომ მე ამ დუქნის პატრონი არა ვარ.

– უნდა იყოთ!

– გინდათ, სამეფო გვარის დაცემის სევდიანი ამბავი გიამბოთ?

– ვიცი თქვენი ამბავი. დავთარში კრედიტსა და დებეტს ვერ არჩევდით ერთმანეთისაგან. იძულებული გახდით ორმაგი ბულალტერიის მთელი სირთულე დაგემლიათ, მაგრამ ხომ დასძლიეთ!

– მერე რა ხეირი დამაყარა?

– ეს დუქანი რომ თქვენი საკუთრება იყოს, დიდ ფულს გააკეთებდით.

– საქმეც ეგ არის!

– გვერდზე რომ გახსნათ საკუთარი მაღაზია, მთელი მუშტრები თქვენკენ წამოვლენ.

- რატომ გგონიათ?
- მუშტარი მუდამ ნაცნობს ეტანება. ფირმის რეპუტაცია მეტი კი არაფერია. და კარგადაც ჭრის.
- ეტყობა ყოველთვის არა ჭრის. ადრეც ხომ მიცნობდნენ, მაგრამ მაინც გააკოტრდი.
- ეგ სულ სხვა საქმეა. მაშინ საქონლის შესყიდვა არ იცოდით.
- იქნებ, არც ახლა ვიცი.
- ახლა იცით. თვითონ ვერ ამჩნევთ, როგორ ისწავლეთ, მაგრამ გააკოტრებული კაცის გულგატეხილობა მაინც შეგრჩათ. ნუ იზამთ მაგას, მისტერ ჰოული. ასე არ ვარგა, ითენ.
- მადლობელი ვარ.
- მე თქვენი სიკეთე მინდა. მარულო როდის აპირებს იტალიაში?
- არ უთქვამს. ჯოი, ერთი ეს მითხარით... ძალიან მდიდარია? თუმცა ნუ მეტყვით. ვიცი, რომ კლიენტების საიდუმლოს გამხელა არ შეიძლება.
- მეგობრის ხატრით კანონის დარღვევა შეიძლება, ითენ. მის საქმეებს ყველას არ ვიცნობ, მაგრამ ჩვენი ანგარიშის მიხედვით, დიდი სიმდიდრის პატრონია. თანაც, რა საქმე გინდა, რომ ფული არ ჰქონდეს დაბანდებული! აქეთ უძრავი ქონება, იქით თავისუფალი მამულები, საზღვაო აგარაკებიო, და იმდენი საგირავნო ფურცელი, რომ ხელს ვერ შემოაწვდენ.
- თქვენ საიდან იცით?
- ჩვენთან ინახავს სეიფს. და ერთ–ერთი ყველაზე დიდი სეიფი მაგისია. როცა ადებს, ერთი გასაღები მე მიჭირავს და მეორე – მას. რაღა დაგიმალოთ და ზოგჯერ ჩავიჭყიტები ხოლმე. ცნობისმოყვარე კაცი ვარ.
- ისე, ხომ პატიოსანი გზით?.. ერთი სიტყვით, ამდენს რომ წერენ, ნარკოტიკებით ვაჭრობაო, ყალთაბანდობაო... ამისთანა რამეებში ხომ არ არის გარეული?
- რა მოგახსენო. ჩვენ ხომ არ გვეტყვის მაგას! ხან გააქვს ფული, ხან ისევ შემოაქვს. არ ვიცი, კიდევ რომელ ბანკში აქვს. ხომ ნახეთ, თანხა არ დამისახელებია.
- ეგ არც მიკითხავს.
- ლუდს ვერ დამალევენებთ?
- ლუდს აქ დასალევად არა ვხსნით, თუ გნებავთ, ქალაქის ჭიქაში დაგისხამთ.
- არ მინდა კანონი დაგარღვევინოთ.

– მოგცლიათ! – ითენმა თუნუქის კოლოფი გახვრიტა, – თუ ვინმე შემოვიდეს, დამალეთ.

– მაღლობელი ვარ. თქვენზე ხშირად ვფიქრობ, ითენ.

– რატომ?

– იქნებ იმიტომ, რომ არამკითხე ვარ. მარცხი სულიერ მდგომარეობაზე მოქმედებს ხოლმე. იმ ორმოებსა ჰგავს, ჭიანჭველების ლომი რომ თხრის სილაში. სულ ქვემოთ და ქვემოთ მიცურავ. ერთი მაგრად უნდა გაიწიო და ამოხტე. უსათუოდ უნდა ამოხტე, ით. როცა ამოხვალ, მიხვდები, რომ წარმატებაც მოქმედებს სულიერ მდგომარეობაზე.

– ეგეც ორმოა?

– ორმოა, მაგრამ უკეთესი.

– ვთქვათ, ერთი ამოხტა იმ ორმოდან, მეორე კი ჩავარდა?

– ერთი ღმერთი ხედავს, როგორ ცვივიან ხოლმე ბელურები, მაგრამ ვითომც არაფერიო.

– ნეტა გამაგებინა, რას მირჩევთ!

– მე თვითონ არ ვიცი. ჩემს თავს ვუშველიდი, რომ ვიცოდე. ბანკის მოლარე თავის დღეში ვერ გახდება პრეზიდენტი. ცოტა ფული თუ უჭყავის კაცს, შეიძლება გახდეს. მე თუ მკითხავ, როგორც კი რამე გამოჩნდება, მაშინვე უნდა წაავლო ხელი. მეტად იქნებ აღარც გამოჩნდეს.

– ნამდვილი ფილოსოფოსი ხართ, ჯოი, ფინანსისტი ფილოსოფოსი.

– ნავთს ნულარ გადაასხამთ! რაც არა გაქვს, სულ ის გელანდება; კაცი მარტო რომ დარჩება, მაშინ მიეცემა ხოლმე ფიქრს. ხალხის უმრავლესობა, მთელი ოთხმოცდაათი პროცენტი, წარსულით სულდგმულობს, შვიდი პროცენტი – აწმყოთი, და მხოლოდ იმ სამ პროცენტსლა დარჩა მომავალი. მოხუცმა სეტჩელ პეიჯმა თქვა ყველაზე ბრძნულად: „უკან ნუ მოიხედავ! ვინ იცის, ვინმე მოგდევსო!..“ ეკ, წავედი. მისტერ ბეიკერი ხვალ ნიუ–იორკში აპირებს რამდენიმე დღით. ქვეყნის საქმე აქვს.

– რა საქმე?

– მე საიდან მეცოდინება! მაგრამ ფოსტას ვარჩევ ხოლმე. სულ ოლბადიდან მოსდის წერილები.

– პოლიტიკის?

– მე ისე ვარჩევ, კი არ ვკითხულობ. სულ ასე დამშვიდებით ხართ?

– სამიდან ოთხამდე კი. ათ წუთში მოაწყდება ხალხი.

– ხომ ხედავთ, დაკვირვებიხართ. სანადლეოს ჩამოვალ, რომ მანამ გაკოტრდებოდით, ეგ არ იცოდით. ნახვამდის. ხელი უნდა გაანძრიოთ, ისე ვერაფერს გახდებით.

ხუთიდან ექვსამდე ვაჭრობა ისევ გახურდა. მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა ცაში. ქუჩებში კვლავ მზის სინათლე იღვრებოდა, როცა ითენმა ხილის ხონჩები დუქანში შეალაგა, ქუჩის კარები დაკეტა და მწვანე ფარდები ჩამოუშვა. მერე სიას ჩახედა და შინ წასაღები სანოვაგე დიდ ჩანთაში ჩააწყო. წინსაფარი მოიხსნა, პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, დახლს შემოაჯდა და თაროებზე თავის სამწყსოს ახედა.

– ქადაგება არ გვექნება, – თქვა მან, – ოღონდ სეტჩელ პეიჯის სიტყვებს ნუ დაივიწყებთ. ეტყობა, მეც უნდა შევიგნო ეს სიბრძნე – უკან აღარ უნდა მივიხედო.

საფულიდან ცალხაზიანი რვეულის ფურცლები ამოიღო და გასანთლული ქალაქის კონვერტში ჩადო, მერე მაცივრის თეთრი კარი გააღო, სრიალა კონვერტი კომპრესორის უკან ჩააგდო და კარი კვლავ მიხურა.

სალაროს ქვემოთ, თაროდან მტვრიანი და გაცვეთილი მანჰეტენის ტელეფონის წიგნი გამოიღო; ასო „შ“ – შეერთებული შტატები. იუსტიციის დეპარ... თითი ქვემოთ ჩააცურა, დაწესებულებათა დასახელების გრძელ სვეტს ჩაჰყვა... იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური 20 – BA 7 – 0300, ღამის სამ. შაბ. კვ. უქ. OL 6 – 5888: მერე ხმამაღლა წარმოთქვა: – OL 65888... – 5888, უნდა დარეკო, როცა დღე გავა, – და კონსერვებს მიმართა, ოღონდ იქითკენ არ გაუხედავს, – რიგიანპირიანად თუ გაკეთდა ყველაფერი, არავის არაფერი დაუშავდება.

ითენი უკანა კარიდან გამოვიდა და მაღაზია დაკეტა. ხელში სანოვაგის ჩანთა ეჭირა. ქუჩა გადასჭრა და „მთავარი ანძის“ სასტუმროსა და რესტორანს გაუპირდაპირდა. რესტორნიდან კოქტეილის მოყვარულთა ღრიანცელი გამოდიოდა, პატარა ვესტიბიულში კი, სადაც ტელეფონის ჯიხური იდგა, არავინ ჩანდა, პორტიეც კი სადღაც გასულიყო. მინის კარი მიიხურა, ჩანთა ძირს დასდო, ხურდა ფული ამოყარა, ათცენტისანი მოძებნა, მონეტის ჭრილში ჩაუშვა და აკრიფა.

– კომპუტატორი გისმენთ.

– ოჰ, კომპუტატორი ხართ? . ნიუ-იორკი მინდოდა.

– დარეკეთ.

და მან დარეკა.

სანოვაგით დატვირთული ითენი შინ დაბრუნდა. რა კარგია. ასე გვიან რომ ღამდება! გაზონები ისე წამოზრდილიყო და გაშლილიყო, რომ ნაფეხურები აჩნდებოდა. მერი გემრიელად ჩაკოცნა.

– ფისუნია, – უთხრა მან, – გაზონები სულ გადარეულა. რა იქნება, ალენს გადავაკრეჭინო.

– გამოცდები რომ აქვს! ხომ იცი რა დროა, დღეს–ხვალ არდადეგები დაეწყებათ.

– იმ ოთახში რა ჭყვიტინია?

– ხმას იყენებს, გამოსაშვებ საღამოზე უნდა გამოვიდეს.

– მაშ, მე თვითონ უნდა წავიდე და გავკრიჭო!

– რას იზამ, გენაცვალე. ხომ იცი, რა დღეში არიან.

– ჰო, ნელ–ნელა ვხვდები, რა დღეშიაც არიან.

– ცუდ გუნებაზე ხარ? ბევრი იმუშავე?

– რა ვიცი. არა, არც ისე. მაგრამ დილას აქეთ მუხლი არ მომიხრია. არც გაზონებში მანქანის ჩხაკუნის მხიბლავს მაინცდამაინც.

– მოტო–სასხლავი უნდა ვიშოვოთ, ჯონსონებს რომ აქვთ – დაჯდები და კრეჭავ.

– არც მეზაღე გვაწყენდა... კიდევ ერთი დამხმარე ბიჭი რომ მივუჩინოთ, მთლად კარგი იქნება. პაპაჩემისა არ იყოს, დაჯდები და კრეჭავ! დასაჯდომად რომ იყოს საქმე, ალენიც გაკრეჭდა.

– რას ჩააცივდი, თოთხმეტი წლის ბიჭია. მაგ ხნის ბავშვები...

– ნეტა ვინ მოიგონა ის სისულელე, ბავშვები ჩვენი სიხარულიაო!

– ნამდვილად ცუდ გუნებაზე ხარ.

– ვითომ? ჰო, მართალი ხარ. ამ ჭყვიტინმა კი ლამის გამაგიჟოს.

– ვარჯიშობს ბავშვი.

– ერთხელ აკი მითხარი.

– შენს უგუნებობას სხვაზე ნუ გადმოანთხევ.

– ვეცდები. თუმცა ახი იქნებოდა.

– ითენი სასტუმრო ოთახში გავიდა, ალენს ენაზე სასტვენნი დაეჭირა და რაღაც გაურკვეველ სიტყვებს ჭყვიტინებდა.

– რა მოგივიდა?

აღენმა სასტვენის ხელისგულზე გადმოაფურთხა.

შენ რომ პიკსი მომიტანე, იმას ვვარჯიშობ.

– პიკსი უკვე შეჭამე?

– არა. არ მიყვარს. უნდა ვივარჯიშო, მამა.

– ერთი წუთი მოიცადე, – ითენი სკამზე ჩამოჯდა, – მომავალზე რას ფიქრობ?

– ჰა?

– მომავალზე! სკოლაში ასეთ რამეებს არ გეუბნებიან? მომავალი შენს ხელთაა.

– ოთახში ელენი შეიძურწა და ტახტზე კატასავით მოიკუნტა. მერე დანასავით ქირქილი ამოუშვა.

– ტელევიზიაში აპირებს.

– ერთი ბიჭია, ცამეტი წლის არც კი იქნება, ტელევიქტორინაში ასოცდაათი ათასი დოლარი მოიგო.

– მერე გამოირკვა, რომ ყველაფერი ყალთაბანდურად იყო მოწყობილი, – შენიშნა ელენმა.

– ას ოცდაათი ათასი კი შერჩა და!...

ითენმა წყნარად მიმართა: – ეგ რომ უსინდისობაა, სულაც არ გაწუხებს?

– ამდენი ფული თუკი მოიგო!

– ესე იგი, არ მიგაჩნია უსინდისობად?

– ყველა ასე არ აკეთებს!

– იმისთანა ხალხის ამბავი თუ გაგიგონია, ვერცხლის ლანგარზე რომ სთავაზობენ თავს ყველას, მაგრამ კაციშვილს არ ეპიტნავენ? საბოლოოდ, აღარც სინდისი აქვთ, არც ფული.

– ეგ რისკის საქმეა... ღვეხელს რომ ჭრიან, ვისკენაც მეტი იფშვნება, მოგებულებს ის არის.

– მაშ დავშვნაზეა საქმე? – უთხრა ითენმა, – შენც დავშვნილივით ხარ, გასწორდი! დაგავიწყდა, რომ არსებობს სიტყვა „სერ“?

ბიჭი ერთბაშად შეცბა, მამას გახედა, ხომ არ ხუმრობსო და, განაწყენებული, გასწორდა.

– არა, სერ, – თქვა მან.

– სკოლაში როგორა გაქვს საქმე?

– მგონი, კარგად.

– შენ თხზულების დაწერას აპირებდი, ამერიკა როგორ მიყვარსო. მაგრამ რაკი ახლა დანგრევა გადაგიწყვეტია ამერიკისა, წერაზე ალბათ ხელს აიღებდი.

– დანგრევა რას ნიშნავს... სერ?

– აბა, შეიძლება, უპატიოსნო კაცს პატიოსნად უყვარდეს თავისი ქვეყანა?!

– კარგი, მამა, ყველა ასე არ არის!

– კარგია, მერე?

– მშვენივრად გრძნობენ თავს. მე დავამთავრე ჩემი თხზულება.

– მაჩვენე, წავიკითხავ.

– უკვე გავაგზავნე.

– ასლი გექნება.

– არა მაქვს, სერ.

– რომ დაიკარგოს?

– ეგ აღარ მიფიქრია. მამა, ბავშვები სულ ბანაკებში მიდიან, მეც მიინდა.

– მაგის ფული ვინ მოგვცა!... – ხელებზე დაიხედა და ნერწყვი გადაყლაპა.

ელენს თვალი მოექუტა და მმას მიშტერებოდა.

ითენიც გულმოდგინედ აკვირდებოდა შვილს.

– მაგას მოვახერხებთ.

– რას, სერ?

– ამ ზაფხულს დუქანში წაგამუშავებ.

– წამუშავება რას ქვია?

– ესე იგი, რაზე გამუშავებ? საქონელს შემოიტან, თაროებზე დააღაგებ, იატაკს დაგვი, და ფხას თუ გამოიჩენ, მუშტრებსაც მოემსახურები.

– მე ბანაკში წასვლა მინდა.

– შენ ასი ათასი დოლარის მოგებაც გინდა.

– იქნებ მივიღო კიდეც ჯილდო იმ თხზულებაში. ვაშინგტონში მაინც წავალ. სკოლის შემდეგ კარგია გასეირნება.

– ალენ! არსებობს ზრდილობის, პატიოსნების, ქცევის უცვლელი წესები. დროა, შეეჩვიო და ანგარიში გაუწიო. წელს მე შენ გამუშავებ.

ბიჭმა მამას ახედა.

– ვერ მამუშავებ.

– რაო?

– არასრულწლოვანების მუშაობა აკრძალულია. საგანგებო ნებართვასაც კი ვერ აიღებ, მანამ თექვსმეტისა შევსრულდებოდე. კანონი გინდა დამარღვევინო?

– შენ როგორ გგონია, ბავშვები რომ მშობლებს ეხმარებიან, მონები და ბოროტმოქმედები არიან?! – ისევე აშკარადა და დაუფარავად იცოდა ითენმა გაბრაზება, როგორც სიყვარული. ალენმა თვალი აარიდა.

– მე ეგ არ მითქვამს, სერ.

– მადლობა ღმერთს, ვერ იტყოდი... ვერც იტყვი. ჰოულებისა და ალენების ოცი თაობისა უნდა გრცხვენოდეს. ისინი პატიოსანი ხალხი იყო. როდესმე იქნებ შენც გახდე ღირსეული.

– დიახ, სერ. არ შეიძლება, ახლა ჩემს ოთახში ჩავიდე?

– ჩადი.

ალენი დინჯად გაემართა კიბისკენ.

გავიდა თუ არა ბიჭი ოთახიდან, ელენმა პროპელერით აასხმარტალა ფეხები, მაგრამ ხელადვე წამოჯდა და, ახალგაზრდა ლედივით, დარბაისლურად გაისწორა კაბა.

– მე ჰენრი კლეის[18] სიტყვები წავიკითხე. მართლაც კარგი ყოფილა.

– რა თქმა უნდა.

– გახსოვს?

– არც ისე. დიდი ხნის წინ წამიკითხავს.

– დიდებულია.

– მე კი მგონია, რომ მოსწავლეების საქმე არ არის.

– ნამდვილად დიდებულია.

ითენმა მთელი გრძელი დღის დაქანცულობა დასძლია და წამოდგა.

სამზარეულოში თვალეზღვრითლებული და გაბრაზებული მერი დახვდა.

– ყველაფერი გავიგონე, – უთხრა მან, – რას ჩააცივდი, დაფიქრდი მაინც. ჯერ პატარაა.

– ახლავე თუ არ დავიწყე, მერე გვიანდა იქნება, ჩემო საყვარელო.

– რაღა „საყვარელო“, მტარვალავით დაერიე ბავშვებს.

– მტარვალავით! ო, ღმერთო ჩემო!

– მოერიე პატარა ბავშვს?!

– მოუხდება. მგონი, მოუხდა კიდევ.

– არ ვიცი, რა ჭკუაზე ხარ. მატლივით გასრისე საწყალი ბავშვი.

– არა, გენაცვალე. მე ცხოვრება მინდა დავანახო, თორემ ძალიან ყალბად უყურებს ყველაფერს.

– შენ რა იცი ცხოვრებისა, რომ სხვას ასწავლო?!

ითენმა ცოლს ჩაუარა და კარისკენ გაემართა.

– საით მიდიხარ?

– გაზონებს გავკრეჭავ.

– აკი დაღლილი ვარო!

– ჰო... ვიყავი დაღლილი! – მერის გახედა, რომელიც სასტუმრო ოთახის კარებში იდგა. – ადამიანი მარტოა ამქვეყნად, – თქვა და წამით გაუცინა ცოლს, სანამ გავიდოდა.

მერის ბალიდან შემოესმა სასხლავი მანქანის ტკაცუნი.

ხმაური თანდათან მოუახლოვდა კარს და შეწყდა.

– მერი, მერი, – ამოსძახა ითენმა, – იცი, როგორ მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო! – და ისევ მაგრად ატკაცუნდა მანქანა.

თავი მეთორმეტე

მარჯი იანგ–ჰანტი მომხიბლავი ქალი იყო – ნაკითხი, ჭკვიანი, ისეთი ჭკვიანი, რომ მშვენივრად იცოდა, როდის და როგორ შეენიღბა თავისი ჭკუა. არც ერთმა ქორწინებამ არ გაუმართლა, ქმრებმა არ გაუმართლეს; ერთი ძაბუნი გამოადგა, მეორე – კიდევ უფრო უარესი ძაბუნი და მოკვდა კიდევ. სასიყვარულო ისტორიებშიც არ გაუღიმა ბედმა. ამ ისტორიებს თვითონვე აკოწიწებდა, შერყეულ მდგომარეობას ტელეფონების ხშირი რეკვით, წერილებით, მოკითხვის ბარათებითა და საგულდაგულოდ შემზადებული შემთხვევითი შეხვედრებით ამაგრებდა. ავადმყოფებისათვის შინ დამზადებული სუპი მიჰქონდა და დაბადების დღეებაც არ გამოეპარებოდა. ამით ხალხს თავს შეახსენებდა ხოლმე.

მთელ ნიუ–ბეიტაუნში მეორე ქალს ვერ ნახავდით, რომ მასავით შინებოდეს ღიპის წამოზრდისა; სახეც ყველაზე უფრო მას უზნინავდა და უპრიალებდა, კბილებიც სხვებზე უფრო უელავდა და იმასაც გულმოდგინედ უფრთხილდებოდა – ღაბაბი არ ჩამომეზარდოსო. შემოსავლის უდიდესი ნაწილი თმაზე, ფრჩხილებზე, მასაჟზე, კრემებსა და ნელსაცხებლებზე მისდიოდა. ქალები ხშირად იტყოდნენ ხოლმე – ბებიაჩემის ხნისაა, მაგრამ არ ეტყობაო.

როცა მისი მკერდის სიმკვრივეს ვეღარც კრემებმა უშველეს, ვერც მასაჟმა და ვერც ვარჯიშმა, ადგა და რაღაც საბურველი გაუკეთა – მომალლოდაც დააყენა და გამომწვევადაც. მის მორთვა–მოკაზმვას სულ უფრო და უფრო მეტი დრო სჭირდებოდა. თმა ისე უბრწყინავდა და უპრიალებდა, თანაც ისე კულულებად ედგა, რომ სატელევიზიო რეკლამასაც კი შემურდებოდა. საყვარელთან რომ იყო – სიცილიც შვენოდა, ცეკვაც, თამაშიც, და ისე მოხდენილად გახვევდა მამაკაცს წვრილად ნაქსოვ, მაგრამ მკვრივ ბადეში, ვინ იფიქრებდა ამას უკვე მერამდენედ იმეორებს ცივი გულითაო. კაი ხანი რომ გავიდოდა და ფულიც კარგა ბლომად დაიხარჯებოდა, – თან მიზანშეწონილადაც თუ ჩათვლიდა, – ლოგინში ჩაუგორდებოდა ხოლმე. მერე კი თავიდან დაიწყებოდა ახალი სასიყვარულო თავგადასავლის შეკოწიწება. ადრე იქნებოდა თუ გვიან, ეს საზიარო ლოგინი ხაფანგად უნდა ქცეულიყო და კეთილდღეობა და უზრუნველი ცხოვრება მოეტანა. მაგრამ ნანატრი ნადავლი მუდამ სხლტებოდა ხაფანგის მტკიცედ შემართული ყბებიდან. რაც დრო გადიოდა, მისი საყვარლები სულ უფრო და უფრო ხშირად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ცოლშვილიანები, ძაბუნები, ან მეტისმეტად ფრთხილები...

მარჯი კი ყველაზე კარგად გრძნობდა, რომ მისი დრო სწრაფად მიჰქროდა. კარტიც ვერაფერ სანუგეშოს ეუბნებოდა.

მარჯი ბევრ მამაკაცს იცნობდა, უმრავლესობა მათგანი თავს დამნაშავედ გრძნობდა, პატივმოყვარეობისა თუ განწირულების ჭია ღრღნიდა; ასე რომ პარაზიტების პროფესიონალი მხოცავების მსგავსად, მარჯისაც თანდათანობით განუვითარდა ზიზღი თავის მსხვერპლის მიმართ. რაკი ერთხელ აუღებდა ალღოს იმათ სიმხდალესა და პატივმოყვარეობას, ადვილად გააცურებდა ხოლმე. თვითონვე ისულელებდნენ თავს და ისე ადვილად წამოეგებოდნენ ანკესზე, გამარჯვების სიამაყეს ვეღარც კი გრძნობდა მარჯი, ზიზღნარევი სიბრაღულით უფრო განიმსჭვალებოდა. ესენი მისი მეგობრები და თანამზრახველები იყვნენ; ისე იბრალებდა მათ, რომ არც კი აგრძნობინებდა, თქვენი მეგობარი ვარო. ყველაზე საუკეთესოს იმათ აძლევდა, რადგან ისინი სხვას არაფერს მოითხოვდნენ მისგან. მათთან ურთიერთობას საიდუმლოდ ინახავდა, რადგან გულის სიღრმეში თვითონაც არ იყო კმაყოფილი თავის თავისა. ერთი იმათგანი, დენი ტეილორი იყო, მეორე – ალფიო მარულო, მესამე – პოლიციელი სტონუოლ ჯეკსონ სმითი, და სხვებიც. ესენი მარჯის ენდობოდნენ, მარჯი – მათ, და მათი საიდუმლო არსებობა ის სინდისის დამამშვიდებელი გარემოება იყო, რისი წყალობითაც ქალს მოსვენება და თავისთავთან განმარტოება და დასვენება შეეძლო. ეს მეგობრები გულახდილად და უშიშრად ელაპარაკებოდნენ, რადგან იგი მათთვის ანდერსენის ჭას წარმოადგენდა – გულისყურით მომსმენს, კეთილსა და მდუმარეს. ადამიანთა უმრავლესობას დაფარული მანკიერება აქვს. მარჯი იანგ-ჰანტი იდუმალ სათნოებას ფარავდა. ალბათ, სწორედ ამის წყალობით მან სხვებზე გაცილებით მეტი იცოდა ნიუ-ბეიტაუნისა და თვით უესექს კოუნტის ამბები; მაგრამ ბოროტად როდი სარგებლობდა ამ ცოდნით, რადგან სულაც არ უნდოდა (არც შეეძლო) იქიდან რაიმე გამორჩენა მიეღო. ითენ ალენ ჰოულის მფარველობის ამბავი შემთხვევით დაიწყო, რაკი სხვა არაფერი ჰქონდა საქმე. ნაწილობრივ მართალიც იყო ითენი, როცა ფიქრობდა, ალბათ თავისი ქალური ძალის გამოცდა სურს ჩემზეო. მარჯისთან სანუგეშოდა და გასამხნეველად მოსულ დანაღვლიანებულ მამაკაცთა უმრავლესობას უძღურება სტანჯავდა, სექსუალური ტრავმისაგან ვეღარ გათავისუფლებულიყვნენ და ამას მთელი მათი ცხოვრება მოეწამლა. ამათთან ურთიერთობა უფრო ადვილი იყო – ცოტაოდენი წალაქუცება, გამხნეება და ეს ხალხი უკვე მზად იყო მათრახმომარჯვებული ცოლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჯერ მერი ჰოული მოსწონდა გულწრფელად და უანგაროდ, მერის საშუალებით კი, თანდათანობით, ითენსაც გაეცნო, რომელსაც სულ სხვა ტრავმა სტანჯავდა, სოციალ-ეკონომიკური ბორკილი, რამაც ძალაც წაართვა და საკუთარი თავის რწმენაც დაუკარგა. რაკი საქმეც არაფერი ჰქონდა, არავინ უყვარდა, შვილები არ აწუხებდა, ქალი დაინტერესდა – ამ გულგატეხილ კაცს რამე შვებას თუ მოვუვლენ, ცხოვრების აზრს თუ გაუჭინო. ეს თამაში იყო, ერთგვარი თავსატეხი, გამოცდა, ამოცანა, რისი გადაწყვეტაც მან არა სათნოების გამო დაისახა მიზნად, არამედ ცნობისმოყვარეობისა და უსაქმურობის გამო. მის ნაცნობ მამაკაცთაგან

ითენი ყველაზე მაღლა იდგა. ამ კაცს თუ რამე მიზანს დაუსახავდა ცხოვრებაში, ეს მისი საკუთარი ძალის დადასტურებაც იქნებოდა, რაც მარჯის ძალიან სჭირდებოდა.

მარჯი ალბათ ერთადერთი იყო, რომელიც თვალნათლივ ხედავდა ითენის არსებაში მომხდარი ცვლილებების მთელ სიღრმეს, და ამის შეგნებამ ქალი დააფრთხო, რადგან იფიქრა – ეს სულ ჩემი საქმეაო. თავს ქეჩოზე ლომის ფაფარი წამოეზარდა. ქალი ხედავდა, როგორ თანდათანობით ჩაუდგა თვალეზში შეუბრალებლობა. ალბათ, ასეთივე გრძნობა ჰქონდა კეთილ აინშტაინსაც, როცა მისი ნალოლიავეები აზრი მატერიის არსის შესახებ, ცეცხლის ალად მოედო ჰიროსიმას.

მერი ჰოული ძალიანაც უყვარდა მარჯის, მაგრამ მის მიმართ ძალიან მცირე თანაგრძნობა ჰქონდა, ხოლო შებრალება – სულაც არა. უბედურებას ადვილად ინელებს ხოლმე ქალი, მით უმეტეს, როცა ეს უბედურება სხვა ქალს დაატყდება თავს.

ზედ ძველ ნავსადგურთან, ერთ პატარა, კოპწია სახლში, რომელიც გავერანებულ ბაღში იდგა, მარჯი ტუალეტის სარკეს მისჯდომოდა და გულმოდგინედ სინჯავდა თავის იარაღებს; კრემის, პუდრის, ქუთუთოების საღებავებისა და შავად გათხიპნილი წამწამების ქვეშ მისი თვალეზი ხედავდა შენიღბულ ნაოჭებს, მოჩვართულ კანს. წლები ისე მოსჯარებოდნენ, როგორც ტალღები მოადგება ხოლმე ხმელეთს ზღვის მოქცევის დროს და წყნარ ამინდშიაც კი გამეტებით ეხეთქება კლდოვან ნაპირს. სიმწიფეს, შუა ხნის ასაკს თავდასაცავი იარაღების თავისებური არსენალი აქვს, მაგრამ ეს განსაკუთრებულ წვრთნასა და ტექნიკას მოითხოვს, მარჯის კი ჯერ არა ჰქონია ათვისებული ასეთი ტექნიკა. ჩქარა უნდა შეითვისოს ეს, მანამ ახალგაზრდობისა და მგზნებარების დეკორაციები დაინგრეოდა და გაშიშვლებულს, საცოდავსა და სასაცილოს დატოვებდა! მისი წარმატება იმაზე იყო დაფუძნებული, რომ ერთი წუთითაც, სავსებით მარტო მყოფსაც კი თავი დამაბულად ეჭირა, არ მოეშვებოდა. ახლა, შესამოწმებლად, ტუჩები ცოტა ხნით თავის ნებაზე მიუშვა და არც ქუთუთოები დაუჭიმავს. ზეაწეული ნიკაპი დაუშვა და ხელად ნაოჭი გაუჩნდა, მოშვებული თოკივით სარკეში ერთბაშად ოცი წლით დაბერდა და იმის შეგრძნებაზე, თუ რა მოელოდა, ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. დიდხანს კი დააყოვნა ამ წუთის მოსვლა. ქალს თავისი ვიტრინა სჭირდებოდა, რომელშიც ის თანდათანობით უნდა ბერდებოდეს, თავისებური განათება და ბუტაფორია, შავი ხავერდი, დამშვიდებულად გაჭაღარავება და დასრულება. ხითხითი და თვალთმაქცობა, ბავშვები, სიყვარული, მზრუნველობა, გართობა, დარბაისელი და შემწყნარებელი ქმარი, ან არადა კიდევ უფრო დარბაისლური ნაანდერძევი ფული ბანკში. მარტოხელად დაბერებული ქალი უსარგებლო ჩვარია და მეტი არაფერი.

გულგვამში უცებ შიშის ცხელი ბურთი დაუტრიალდა. პირველ ქმართან ბედმა გაუღიმა. სუსტი კაცი იყო და ხელადვე აულო ქალმა ალღო. ისე უიმედოდ იყო ეს

კაცი შეყვარებული, რომ, როცა ქალმა გაყრა მოსთხოვა, ქმარს არც კი მოჰგონებია ალიმენტის შეწყვეტა გაეთვალისწინებინა, თუ ქალი მეორედ გათხოვდებოდა.

მეორე ქმარი დარწმუნებული იყო, რომ ქალს თავისი საკუთარი კაპიტალი ჰქონდა და არცა ცდებოდა. როცა მოკვდა, ბევრი არაფერი დაუტოვებია ცოლისათვის, მაგრამ პირველი ქმრის ალიმენტის წყალობით, მაინც არაფერს იკლებდა მარჯი – კარგად იცვამდა და თავის ნებაზე ცხოვრობდა. მაგრამ პირველი ქმარიც რომ მოკვდეს! აი საიდან გამოვარდა ის შიშის ცხელი ბურთი. დღისით თუ ღამით მაჯლაჯუნასავით აწვა ეს ფიქრი – რადგან ყოველი თვის ალიმენტი შეიძლებოდა უკანასკნელი ყოფილიყო.

იანვარში მედისონ ავენიუსა და ორმოცდამეჩვიდმეტე ქუჩის გზაჯვარედინზე შეხვდა. ჩამომხმარა, დაბერებულია. მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ქალს მოსვენებას უკარგავდა. უცებ რომ ფშვიკოს ამ ნაბუშარმა ფეხი, ფულსაც გამოეთხოვე! მთელ ქვეყანაზე მარჯი იყო ერთადერთი სულიერი, რომელიც იმ კაცის ჯანმრთელობას სასოებით შესთხოვდა ღმერთს.

სწორედ ამ კაცის ჩამომხმარმა, არაფრისმეტყველმა სახემ და უსიცოცხლო თვალებმა გაიღვეს ქალის მახსოვრობის ეკრანზე, და გულგვამში უცებ ცხელი ბურთი დაუტრიალდა. ეს ძალღის გაგდებული რომ მოკვდეს...

მარჯი კიდევ უფრო გადაიწია სარკისკენ, ცოტა ხანს ასე გაჩერდა, ნებისყოფა მოიკრიბა და ზუფანივით მოიქნია. ყელი კვლავ მოიღერა, თოკის ნაკვალევი ხელადვე გაქრა, თვალები აუციმციმდა, კანი მტკიცედ გადაეჭიმა შუბლზე, მხრები გაუსწორდა. წამოდგა და წითელ ხაოიან ნოხზე ვალსის ცეკვით დატრიალდა. შიშველ ფეხებზე ვარდისფრად შეღებილი ფრჩხილები უპრიალებდა. ჩქარა, ჩქარა, თორემ მერე ძალიან გვიან იქნება!

კარადის კარი გახსნა და გამოიღო რბილი, მიმზიდველი კაბა, რასაც ოთხი ივლისის დღესასწაულისათვის ინახავდა. სიფრიფანა წინდები, წაწვრილებულ ქუსლიანი ფეხსაცმელები. მოდუნება სავსებით გაქრა. ისეთი მონდომებით და სისწრაფით იცვამდა, როგორც ყასაბი ლესავს ხოლმე დანას, და დიდ კედლის სარკეშიაც მალიმალ იხედებოდა, როგორც ყასაბი უსინჯავს დანას ცერით ფხას. სწრაფად, მაგრამ არა ფაცხაფუცხით; კაცებს ლოდინი არ უყვართ. მერე კი ქათქათა ხელთათმანებს წამოიცვამს და მოჩვენებითი სიდინჯითა და კოპწიაობით, თავდაჯერებულად, მოხდენილად, პეწიანად წაბაკუნდება თავისი ჩამოქნილი ფეხებით. ერთი მამაკაცი არ შეხვედრია, რომ მისთვის არ მოეხედოს. „ძმები – მილერების“ ფირმის საბარგო მანქანის შოფერმა დაუსტვინა კიდევ, როცა ფიცრებით დატვირთული მანქანით ჩაუხრივინა, ხოლო ორმა უფროსკლასელმა ბიჭმა რუდოლფ ვალენტინოსნაირი ფართოჭრილიანი თვალები მიაშტერეს და, პირდაღებულებმა, ხარბად გადაყლაპეს ნერწყვი.

– რას იტყვი? - ჰკითხა ერთმა მეორეს.

– იფ!

– არ გინდა ერთი...

ქალი უსაქმოდ არ უნდა გამოეხეტოს - ნიუ-ბეიტაუნში მაინც. სადმე უნდა მიეშურებოდეს, რამე საქმეზე, თუნდაც სულ უმნიშვნელო და უბრალო საქმე იყოს. მიბაკუნობდა მთავარ ქუჩაზე, შემხვედრებს ესალმებოდა, თითო-ოროლა სიტყვას გადაუგდებდა და გონებაში, თავისდა უნებურად, შეფასებას აძლევდა ყოველ მათგანს

მისტერ ჰოლი - სულ ვალებშია, აგერ რამდენი ხანია.

სტონი - ჩასკვნილი ბიჭია, ნამდვილი მამაკაცი, მაგრამ რა ქალს უნდა ეყოს პოლიციელის ჯამაგირი იქნება თუ პენსია? თანაც, მეგობრობს მასთან.

ჰაროლდ ბეკი - საკუთარი მამულის პატრონია, კარგი მამულისაც, მაგრამ აფრენს. მის მეტმა ეს მთელმა ქვეყანამ იცის.

მაკდოუელი - „ძალიან მესიამოვნა თქვენი ნახვა, სერ. მილი როგორა გყავთ?“ აჰ, აუტანელია - შოტლანდიელი, წუწურაქი, ხეივანი ცოლის კალთაზე გამობმული (მაინც რა ცას გამოეკრა ის დედაკაცი!) თანაც გულჩახვეული! კაცმა არ იცის, რის პატრონია.

თვალმიზნედილი დონალდ რენდოლფი - სულ ტაბურეტზე რომაა შემომჯდარი ბარში; ნამდვილი ჯენტლმენი, სიმთვრალეშიაც კი , მაგრამ რად გინდა - ოჯახს ბარში ხომ არ გადაიტან?!

ჰაროლდ ლიუსი - ჟურნალ „თაიმის“ გამომცემლის ნათესავიაო, გამიგონია, მაგრამ ვინ მითხრა? თვითონ? ჩამოუშვია ცხვირი და ყველას ბრძენი ჰქონია, იმიტომ , რომ სულ გაჩუმებულია ბუსავით.

ედ უონტონერი - ქლესა, თაღლითი, ქურდი და წუწვი. ფული ბლომად უნდა ჰქონდეს, ცოლიც ჰა და ჰა , გაფშეკს ფეხს, მაგრამ უნდო კაცია, ძალიც კი ჯაჭვზე ჰყავს გამობმული და აყმუვლებს - არ გამექცესო, ეშინია.

პოლ სტრეიტი - რესპუბლიკურ პარტიაში დიდი სახელი აქვს. ცოლს ბატერფლაი ჰქვია, ბატერფლაი! ნამდვილად! ნათლობის სახელია, შერქმეული არ გეგონოთ. როცა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი რესპუბლიკელია, პოლის საქმეც კარგად მიდის. ქალაქის სანაგვე მაგისია - თითო კასრი ნაგვის გატანაში ოცდახუთ ცენტს ახდევინებს. ვირთაგვები რომ მომრავლდა სანაგვეზე და ქალაქს საშიშროება დაემუქრა, პოლმა თურმე ვირთაგვებზე ნადირობის ნებართვის გაყიდვა დაიწყო, ფარანსა და თოფსაც აქირავებდა - ოცდაორკალიბრიანს. ისე ჰგავდა ჩვენს პრეზიდენტს, რომ ზოგ-ზოგი აიკსაც[19] ეძახდა. მაგრამ დენი ტეილორმა

სიმთვრალეში პრუწა პოლი შეარქვა და შერჩა კიდეც ეს სახელი. ზურგს უკან სხვანაირად არც ახსენებენ.

მარულო - მთლად დაჩაჩანაკდა, გაყვითლდა, თვალებიც, - კაცს რომ ორმოცდახუთკალიბრიანი ვაზნა მოარტყა მუცელში, რა თვალები გაუხდება! - მარულოსაც სწორედ ისეთი თვალები აქვს. ისე ჩაუარა თავის საკუთარ დუქანს, რომ შიგ არც შეუხედავს. მარჯი უკანალის რხევით დუქანში შევიდა.

ითენი ვიღაც ახალგაზრდა, შავგვრემან კაცს ელაპარაკებოდა, რომელსაც მოდაზე შეკერილი შარვალი ეცვა და ვიწროფარფლიანი ქუდი ეხურა. ორმოცი წლის კაცი იქნებოდა, ჩასკვნილი, მკვრივი, საქმიანი. ისე გადაწოლილიყო დახლზე, თითქოს ითენს გლანდებს უსინჯავსო.

– გამარჯობათ! ეტყობა, არა გცალიათ. მერე შემოვივლი, - თქვა მარჯიმ.

რაც უნდა უსაქმური იყოს ქალი, ბანკში მაინც გაიჩენს რამე საქმეს. მარჯიმ ქუჩა გადაჭრა და მარმარილოსა და უჟანგავი ფოლადის თაღქვეშ შევიდა.

მის დანახვაზე ისე გაეზარდა სახე ჯოი მორფის, რომ სალაროს ლარტყულიც კი განათდა. რა ღიმილი აქვს, რა ხასიათი, პირდაპირ სულში ჩაგიძვრენს, მაგრამ რად გინდა - საქმროდ გამოუსადეგარია... მარჯიმ თავიდანვე კარგად გაუგო - მარტოხელობა დაბადებიდანვე დაჰყვა, მოკვდება და ცოლს არ შეირთავს. ორსაწოლიანი სამარე არ უწერია ჯოის.

– ქორფა, უმარილო ფული ხომ არ გექნებათ, სერ? - უთხრა მარჯიმ, – მომითმინეთ, ქალბატონო, ახლავე ვნახავ, მგონი, კი უნდა მქონდეს. მაინც რამდენი გნებავთ?

– ექვსიოდე უნციას წავიღებდი, მუსიე, - თეთრი ჩანთიდან ბანკის წიგნაკი ამოიღო და ოცი დოლარის ჩეკი გამოწერა.

ჯოის გაეცინა. მოსწონდა მარჯი. ზოგჯერ, არცთუ ისე ხშირად, სადილად დაპატიჟებდა და მერე გვერდზე მოიწვევდა. სიამოვნებდა მასთან მუსაიფიც, მისი ლალი ხასიათიც.

– მისის იანგ-ჰანტ, თქვენ მე ერთი მეგობარი გამახსენეთ, რომელიც პანჩო ვილასთან[20] ერთად იბრძოდა მექსიკაში. არ გაგონდებათ?

– ჩემს დღეში არ შევხვედრივარ.

– არა უშავს რა. ერთხელ ასეთი ამბავი მიაშო იმ კაცმა: პანჩო რომ ჩრდილოეთში მოხვდა, თურმე ფულის საბეჭდი მანქანა გააკეთა და თვითონვე უშვებდა ფულს, ოც-ოც პესოს. იმდენი დაბეჭდა, რომ ხალხი თვლას ვეღარ აუდიოდა, და მიანებეს კიდეც თავი - არც ეხერხებოდათ მაინცდამაინც თვლა. წონით მიჰქონდათ ხოლმე.

– თქვენი მოგონებები თუ არ გაგვიზიარეთ, ისე ხომ არ შეიძლება, ჯოი! - უთხრა მარჯიმ.

– რას ამბობთ, მისის იანგ-ჰანტ. მე მაშინ ხუთი წლის ბიჭი ვიქნებოდი. ეს მონაყოლი ამბავია. ერთ დღეს კაი ფუნთუშა ქალი მიადგა თურმე , ფერადკანიანი, მაგრამ ფუნთუშა, და ეუბნება: „გენერალო, შენ ქმარი დამიხვრიტე და დამაქვრივე, ხუთი ბავშვის ამარა დამტოვე... ეს არის თქვენი სახალხო რევოლუცია?..“ პანჩომ ერთი ახედ-ჩახედა მის აქტივებს, როგორც მე ვშვრები ახლა...

– თქვენ ხომ საგირავნო არა გაქვთ, ჯოი!

– ვიცი. მონაყოლი ამბავია. მერე ადიუტანტს მიუბრუნდა: „აუწონე ხუთი კილო ფული“. შეუკრეს საგულდაგულოდ მავთულით, მაგრამ იმხელა გამოვიდა, ძლივს წაათრია ქალმა. უცებ ლეიტენანტმა შემოირბინა, მხედრული სალამი მისცა და მოახსენა: „ბატონო გენერალო, მაგისი ქმარი ჩვენ არ დაგვიხვრეტია. გალემილი იყო. დილეგში ჩავაგდეთ“. პანჩოს კიდევ ვერ მოეშორებინა თვალი ქალისთვის, რომელიც ფულს მიათრევდა. უცებ შეჰყვირა: „ახლავე გამოიყვანეთ და დახვრიტეთ. ამ საწყალ ქალს ხომ ვერ მოვატყუებთ!“

– აუტანელი კაცი ხართ, ჯოი.

– ნამდვილი ამბავია. მე მჯერა, - ჩეკი ხელში შეატრიალა, - რა ფული გინდათ - ოციანები, ორმოცდაათიანები თუ ასიანები?

– ხუთდოლარიანები იყოს.

ესიამოვნათ ერთმანეთთან გამოლაპარაკება.

მისტერ ბეიკერმა თავისი კაბინეტის მქრქალი მინის კარიდან გამოიხედა.

აქაც შეიძლებოდა რამე გამომდნარიყო. ოდესღაც ბეიკერსაც გამოეჩინა ქალის მიმართ თითქოს სავსებით უანგარო, მაგრამ სინამდვილეში უფრო მრავალმნიშვნელოვანი თავაზიანობის ნიშნები. მისტერ ბეიკერი იგივე მისტერ ფული იყო. მართალია, ცოლი ჰყავდა, მაგრამ მარჯი მშვენივრად იცნობდა ამქვეყნიურ ბეიკერებს. ოღონდ კი რამე მოიწადინონ და ზნეობრივი გამართლების პოვნა არ გაუძნელდებათ. კიდევ კარგი, მაშინ ჩამოიცილა. ამის წყალობით ახლა ისევ სავარაუდო სათვალავში ჰყავდა ბეიკერი.

ჯოის მიცემული ხუთდოლარიანები საფულეში შეინახა და ის იყო ჭადარა ბანკირისკენ წასვლა დააპირა, რომ უცებ ბანკში აუჩქარებელი ნაბიჯით შემოვიდა ის კაცი, რომელიც ახლახან ითენს ელაპარაკებოდა; შემოვიდა, მარჯის წინ გაიარა და ბარათი ამოიღო; ხელადვე მისტერ ბეიკერის კაბინეტში შეიყვანეს და კარიც მაშინვე მიიხურა.

– ამას ჰქვია, ფეხები დამიკოცნეო[21], - უთხრა ქალმა ჯოის.

– მერე რა ფეხები - ულამაზესს რომ ვერ ნახავ მთელ უესექსის ოლქში! - მიუგო ჯოიმ,
- ერთად ხომ არ გაგვეტარებინა საღამო, ჰა? ვიცეკვებდით, ვისადილებდით და ყველაფერი!..

– არა მცალია, - უპასუხა ქალმა, - ეს ვინ იყო?

– პირველად ვხედავ. ისე ბანკის რევიზორის ტიპია. ასეთ დროს მუდამ იმას გავიფიქრებ ხოლმე - რა კარგია, პატიოსანი რომ ვარ და თან მიმატება-გამოკლებაც ვიცი-მეთქი.

– შენისთანა კაცს, ჯოი, უერთგულესი ცოლიც კი ვერ გაუჩერებოდა.

– მეც მაგის იმედით მიდგას სული, ქალბატონო.

– ნახვამდის.

ქალი გავიდა, ქუჩა გადაჭრა და კვლავ მარულოს დუქანში შევიდა.

– გამარჯობა, ით.

– ჰელოუ, მარჯი.

– ის კოხტა უცნობი ვინ იყო?

– თქვენი კრისტალის ბურთი რა უყავით?

– საიდუმლო აგენტია?

– უარესიც. ყველას რატომ ეშინია პოლიციისა, მარჯი? არაფერც რომ არ დამეშავებინოს, მაინც დავფეთდები ხოლმე.

– პოლიციის აგენტი ბრძანდება ეს თმადახუჭუჭებული ვაჟბატონი?

– არც რამე უკლია. ფედერალური ბიუროდან ვარო.

– ასეთი რა დააშავეთ, ითენ?

– დააშავეო? მე? რა უნდა დამეშავებინა?

– მაშ, რა უნდოდა?

– რა უნდოდა, არ ვიცი, მე მარტო ის ვიცი, რაც მკითხა.

– რა გკითხა?

– რამდენი ხანია ამ მაღაზიის პატრონს იცნობო. შენ გარდა კიდევ ვინ იცნობსო. ნიუ-ბეიტაუნში როდის ჩამოვიდაო.

– თქვენ რა უთხარით?

– ფრონტზე რომ წავედი, არ ვიცნობდი-მეთქი. რომ დავბრუნდი, აქ დამხვდა, ხოლო როცა გავკოტრდი, ეს მაღაზია შეიძინა და მეც ნოქრად ამიყვანა-მეთქი.

– თქვენ როგორ გგონიათ, ნეტავ რა უნდა?

– ეშმაკმა უწყის.

მარჯი თვალს მარიდებდა. თავს ისულებსო, ფიქრობდა, ნეტავ მართლა რა უნდოდა იმ ვაჟბატონსო.

– თქვენ ჩემი არ გჯერათ. ხომ დაკვირვებხართ, საერთოდ, არავისაც არა სჯერა სიმართლის, მარჯი.

ეს ისე წყნარად თქვა, რომ ქალს შეეშინდა კიდევ.

– სიმართლევ არის და სიმართლევ. ქათამი ხომ ქათამია, ით, მაგრამ როცა აქნი, ზოგი თეთრი ხორცი შეგხვდება და ზოგი შავი.

– მართალია. და ძალიანაც შეწუხებული ვარ, მარჯი, ალფიოს რომ რამე მოუვიდეს, ქუჩაში დავრჩები, უმუშევარი.

– თქვენ ხომ გამდიდრებას აპირებთ, დაგავიწყდათ?

– ძნელი დასაჯერებელია, მანამ მართლა გავმდიდრდებოდე.

– თუ გაგონდებათ, ითენ: გაზაფხულის დღე იყო, მგონი, ალდგომის კვირა. მე მაღაზიაში შემოვედი და თქვენ იერუსალიმის ასული მიწოდეთ.

– წითელ პარასკევს.

– გხსომებიათ. მერე გავიგე, მათეს სიტყვები ყოფილა. ისე, კარგი კია... ცოტა არ იყოს, შემზარავიც.

– ნამდვილად.

– საიდან აგეკვიატათ?

– სულ პაპიდა დებორას საქმეა. წელიწადში ერთხელ ჯვარს მაცვამდა ხოლმე. მას შემდეგ სულ ასე მომდის.

– ახლა ხუმრობთ, მაშინ არ ხუმრობდით.

– მართალია, არ ვხუმრობდი, არც ახლა ვხუმრობ.

– ხომ ატყობთ, რომ რაც გიმკითხავით, გიმართლდებათ? - მხიარულად ჰკითხა ქალმა.

– ვატყობ.

– მერე, ვალში არა ხართ?

– ვარ.

– როდის უნდა გადამიხადოთ?

– საწყობში ვერ შემომყვებით?

– არა მგონია, რამე გამოგივიდეთ.

– ვითომ?

– ეგ თქვენც ხომ მშვენივრად იცით, ითენ. როდის ყოფილა, სწორი გზიდან გადაგებხვით!

– იქნებ ახლა მოვახერხო.

– ძალიანაც რომ მოინდომოთ, მრუშობას მაინც ვერ მოახერხებთ.

– ვცდი მაინც.

– ეს ან სიყვარულმა უნდა შეგაძლებინოთ, ან სიძულვილმა. ერთსაც და მეორესაც ძალიან დიდი დრო და ხათაბალა სჭირდება.

– იქნებ მართალიც იყოთ, მაგრამ თქვენ საიდან იცით?

– ვიცი კი და საიდან ვიცი, ამას არ დავკვირვებივარ.

ითენმა მაცივრის კარი გამოაღო, კოკა-კოლა გამოიღო, რომელიც გარედან მაშინვე შეიორთქლა, გახსნა და ქალს მიაწოდა, მერე თავისთვისაც გაიხსნა მეორე ბოთლი.

– მაინც რა გინდათ ჩემგან?

– ჩემს დღეში არ შევხვედრივარ თქვენისთანა კაცს. ალბათ გამოვცადო მინდა - რა გრძნობა მოგიცავს, როცა ვინმეს ძალიან უყვარხარ ან ძალიან სძულხარ.

– თქვენ ხომ ჯადოქარი ხართ! დაუსტვინეთ და ქარი გამოიწვიეთ.

– სტვენა არ ვიცი. სხვა მამაკაცების გულში, იცოცხლე, ერთი წარბის აწევით დავატრიალებ პატარა ქარს. ოღონდ თქვენ როგორ წაგიკიდოთ ცეცხლი, ამას ვერ მივმხვდარვარ.

– იქნებ წაკიდებული მაქვს.

ითენმა გულმოდგინედ შეათვალიერა, არც კი მორიდებია.

– კაი აგურის შენობასავით ნაგები ! - თქვა მან, - რბილი, გლუვი, მკვრივი და გემრიელი!..

– საიდან იცით? ერთხელაც არ შეგივლიათ ხელი!

– მტრისას, ერთხელ თუ შეგავლეთ!

– ჩემო სიყვარულო!

– კარგი, გეყოფათ. არ მოტყუვდეთ. იმდენი პატივმოყვარეობა კი მაქვს, რომ ჩემი მიმზიდველობის ყადრი ვიცოდე. რა გნებავთ? დიდებული ქალი ხართ, მაგრამ ჭკვიანიც ... რა გინდათ?

– მე თქვენ გიმკითხავთ და მალე ყველაფერი აგიხდებათ.

– და თქვენც გინდათ გამომრჩეთ, არა?

– რატომაც არა.

– ახლა კი მიგიხვდით, -თვალეზი ზეადაპყრო, - მერი, ჩემო სულო და გულო, - თქვა მან, - ერთი შენს ქმარს შეხედე, შენს სიყვარულს, შენს ძვირფას მეგობარს. შენ დამიფარე სულში დაბუდებული ბოროტებისგანაც და გარეშე ვნებისგანაც. შენ უნდა მიხსნა, ჩემო მერი, რადგან მამაკაცის მოუსვენარი გული ყოვლად გაუმადლარია და დასაბამითვე ასე უწერია: ყველგან მიმოფანტოს თესლი თვისი. Ora pro mihi[22].

– დიდი ყალთაბანდი კაცი ხართ, ითენ.

– ვიცი, მაგრამ ხომ შეიძლება თვინიერიც ვიყო?

– ახლა რაღაც მეშინია თქვენი, ადრე არ მეშინოდა.

– ნეტა, რატომ?

კარტის გაშლის დროს რომ გამომეტყველება ჰქონდა, ახლაც ისე გამოიხედა, და კაცმა შენიშნა ეს.

– მარულო.

– მარულოს რა მოუვიდა?

– მე თქვენ გეკითხებით.

– ერთი წუთი მაძროვე... ოჰ, მისტერ ბეიკერ, რა მოგართვათ? ექვსი კვერცხი, ერთი ნაჭერი კარაქი, არა? ყავაზე რას იტყვით?

- ერთ ყავასაც წავიღებ. იყოს თაროზე, რას მიშავებს. ეს „ჰამდამი“ კარგი კონსერვია?
 - მე პირადად არ გამისინჯავს. ისე, აქებენ, ძალიან კარგიაო. ერთი წუთი, მისტერ ბეიკერ!.. მგონი, მისის ბეიკერმა წაიღო ეს ხორცის კონსერვი, არა?
 - არ ვიცი, ითენ. მე, რასაც მომართმევენ, იმას ვჭამ. მისის იანგ-ჰანტ, რაც დრო გადის სულ მშვენდებით და ლამაზდებით.
 - მაღლობელი ვარ ქათინაურისათვის, სერ.
 - ქათინაური არ გახლავთ, სინამდვილეა. თან... ლაზათიანადაც იცვამთ.
 - ჩემს სათქმელს მეუბნებით. ლამაზი ხართ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ შესანიშნავი თერძი გყოლიათ.
 - თერძს არა უშავს. ბევრსაც თხოულობს.
 - ვილაცას უთქვამს, თქვენ ხომ არ გახსოვთ - „კაცს საქმე ამშვენებსო“, ახლა შეიცვალა ეს გამოთქმა - „კაცს თერძი ამშვენებს“: როგორსაც ეტყვი, ისეთს გამოგიყვანს.
 - კარგად შეკერილ კოსტიუმს ერთი ნაკლი აქვს - დიდხანს არ ცვდება. ათი წელიწადია ეს კოსტიუმი მაცვია.
 - მაგას კი ვერ დავიჯერებ, მისტერ ბეიკერ. მისის ბეიკერი როგორ ბრძანდება?
 - ეტყობა, არა უშავს, რაკი არ წუწუნებს. ერთხელ მაინც მოინახულეთ, მისი იანგ-ჰანტ! მოწყენილია. ჩვენს დროში იშვიათად თუ შეხვდები კაცს, კარგი თანამოსაუბრე იყოს. ის გამოთქმა კი, კაცს საქმე ამშვენებსო, უიკჰემს[23] ეკუთვნის. უინჩესტერის კოლეჯის დევიზია.
- მარჯი ითენს მიუბრუნდა.
- ერთი სხვა ბანკირიც მომიძებნეთ მთელ ამერიკაში , ამდენი რამე რომ იცოდეს.
- მისტერ ბეიკერი წამოჭარხლდა.
- ცოლს „დიდი ავტორები“ აქვს გამოწერილი. სულ წიგნში აქვს თავი ჩარგული. მოინახულეთ ერთი.
 - სიამოვნებით. ესენი პარკში ჩამიწყვეთ, მისტერ ჰოული. მერე გამოვივლი და წავიღებ.
 - ახლავე, ქალბატონო.
 - საოცრად მომხიბლავი ქალია, – თქვა მისტერ ბეიკერმა.
 - მერისთან მეგობრობს.

– ითენ, ის მთავრობის კაცი აქაც იყო, არა?

– იყო, დიახ.

– რა მინდაო?

– რა ვიცი. მისტერ მარულოს ამბავი გამომკითხა. აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა.

მისტერ ბეიკერს აქამდე სულ მარჯის გამოსახულება ედგა თვალწინ, და ახლა როგორც იქნა, გათავისუფლდა ამ ხილვისაგან, როგორც ანემონი გამოწეწის ხოლმე კიბორჩხალას და ნიჟარას გადააგდებს.

– დენი ტეილორი არ გინახავს, ითენ?

– არა, არ მინახავს.

– არ იცი, სად არის?

– არა, არ ვიცი.

– უსათუოდ უნდა ვნახო. მაინც სად უნდა იყოს?

– აგერ... მაისს აქეთ აღარ მინახავს. სამკურნალოდ აპირებდა წასვლას.

– საით, მაინც?

– ეგ არ უთქვამს. მაგრამ ვიცი, რომ აპირებდა.

– სახელმწიფო საავადმყოფოში?

– არა, მგონია, სერ. ფული ჩემგან ისესხა.

– რაო?

– მე ვასესხე ცოტაოდენი ფული.

– რამდენი?

– რა ზრძანეთ, სერ?

– უკაცრავად, ითენ. თქვენ ხომ ძველი მეგობრები ხართ. სხვა ფულიც ჰქონდა?

– მე მგონი.

– რამდენი, მაინც?

– ეგ არ ვიცი, სერ. ისე მომეჩვენა, რომ კიდევ ჰქონდა ფული.

– ყური თუ მოჰკრა, სად არის, უსათუოდ მითხარი.

- თუ გავიგე, გეტყვით, მისტერ ბეიკერ. იქნებ მაგისტანა საავადმყოფოების მისამართები გაიგოთ და დაურეკოთ.
- ნაღდი ასესხეთ?
- დიახ.
- მაშ, არაფერი გამოვა. გვარს შეიცვლიდა.
- რატომ?
- კარგმა ოჯახიშვილებმა ასე იციან. მერის გამომართვი ფული, ითენ?
- დიახ.
- მერე, დაგროთო ნება?
- მერის არც კი გაუგია.
- ჭკვიანად მოქცეულხარ.
- თქვენგან ვისწავლე, სერ.
- ნუ დაივიწყებ, გამოგადგება.
- ნელ–ნელა ვვარდები ჭკუაში. უკვე იმას მივხვდი, რომ ძალიან ცოტა რამ მცოდნია ქვეყნად.
- ეგეც საქმეა. მერი როგორ გყავს?
- მერის რა უჭირს, ყოჩალი ქალია. მინდოდა სადმე წამეყვანა შვებულების დროს. რამდენი წელიწადია, ქალაქიდან ფეხი არ გაგვიდგამს.
- მაგასაც მოესწრებით, ითენ. მე მეინისკენ ვაპირებ, საოთხივლისოდ. ხმაურსა და აურზაურს უკვე ვეღარ ვიტან.
- ბედნიერი ხალხი ხართ ბანკირები. ამას წინათ ოლბანიშიაც იყავით, არა?
- საიდან მოიგონე?
- აღარ მახსოვს, ვინ მითხრა... ალბათ, სადმე მოვკარი ყური. იქნებ მისის ბეიკერმა უთხრა მერის.
- ვერ ეტყოდა. იმან თვითონ არ იცოდა. იქნებ გაიხსენო, ვინ გითხრა!
- ეგებ მე თვითონ მომეჩვენა.
- ითენ, ძალიან შემაწუხა მაგ საქმემ. სცადე, როგორმე გაიხსენე.

- ვერ გამიხსენებია, სერ. სულერთი არ არის, თუკი ტყუილია?
- საიდუმლოდ გეტყვი, ასე რამ შემაწუხა. ნამდვილად ვიყავი და იმიტომ. გუბერნატორმა დამიბარა. სერიოზული საქმეა. ნეტავ საიდან გამჟღავნდა!
- იქ ხომ არავის დაუნახიხართ?
- არა მგონია. გავფრინდი და გადმოვფრინდი. სერიოზული საქმეა. ახლავე გეტყვი რაღაცას. ესეც თუ გაიგეს, მეცოდინება მაინც, ვისგან მომდინარეობს.
- მაშინ ნუ მეტყვით.
- არა, რაკი ოლბანის ამბავი იცი, უსათუოდ უნდა გითხრა. შტატის მმართველობა ჩვენი ოლქისა და ჩვენი ქალაქის ამბებით დაინტერესდა.
- რა მოხდა?
- მე მგონი, რაღაც იყნოსეს ოლბანიში.
- პოლიტიკას ეხება?
- რაკი გუბერნატორი დაინტერესდა, პოლიტიკა იქნება.
- მისტერ ბეიკერ, რატომ არ შეიძლება ეს აშკარად ითქვას?
- მაგასაც გეტყვი. როგორღაც ეს ამბავი გახშიანდა და რევიზორებმა თითქმის ველარაფერი აღმოაჩინეს.
- ახლა კი გასაგებია. ნეტავ ჩემთვისაც არ გაგემხილათ. ყბედობა არ მიყვარს, მაგრამ სჯობდა, მაინც არ გეთქვათ.
- მაგაზე თუ მიდგა საქმე, ნეტავ არც მე მცოდნოდა, ითენ.
- არჩევნები შვიდ ივლისსაა დანიშნული. მანამდე გაიხსნება საქმე?
- არ ვიცი. შტატის მმართველობაზეა დამოკიდებული.
- თქვენ, როგორ გგონიათ, მარულოც ხომ არ იქნება გარეული? მეშინია, სამსახური არ დაგვკარგო.
- არა მგონია. ეს კაცი ფედერალური ბიუროდან იყო, იუსტიციის სამინისტროდან. საბუთები არ მოსთხოვე?
- არც მიფიქრია. მაჩვენა, მაგრამ არ გამისინჯავს.
- უნდა გაგესინჯა. უსათუოდ უნდა გაუსინჯო ხოლმე.
- ცუდ დროს მიემგზავრებით.

- აჰ, ეგ არაფერი. ოთხი ივლისი ისეთი დღეა, რომ არაფერი მოხდება. ტყუილად კი არ შეარჩიეს იაპონელებმა უქმე დღე პერლ–ჰარბორზე თავდასასხმელად. იცოდნენ, რომ კაციშვილი არ იქნებოდა ქალაქში.
- ნეტა, მერი წამაყვანინა სადმე.
- მოესწრები. ახლა ჭკუას ძალა დაატანე და ტეილორი მაპოვნინე.
- რა მოხდა? ასე ძალიან გჭირდებათ?
- ძალიან. ოღონდ ჯერ არ გეტყვი, რატომ.
- ნეტა, მართლა მაპოვნინა.
- რომ მოძებნიდე, იქნება ეს სამსახურიც აღარ დაგჭირდეს მერე.
- რაკი ასეა, ძალიან ვეცდები, რომ მოვძებნო, სერ.
- ყოჩალი ბიჭი იქნები, ითენ. შენი იმედი მაქვს. თუ სადმე წააწყდი, იმ წუთში დამირეკე, დღე იქნება თუ ღამე.

თავი მეცამეტე

იმ ხალხისა მიკვირს, ფიქრის დრო არა გვაქვსო, რომ ამბობენ. მე პირადად, დღე და ღამე შემიძლია ვიფიქრო. ბოსტნეულს ვწონი, მუშტრებს ველაპარაკები, მერის ვეჯუჯღუნები ან ვესიყვარულები თუ ბავშვებს ვტუქსავ, სულერთია, ხელს არაფერი მიშლის – მაინც ვფიქრობ, ვსჯი, ვვარაუდობ. დარწმუნებული ვარ, სხვებსაც ასე მოსდით. იქნებ, არ უნდათ იფიქრონ და იმიტომ ამბობენ, დრო არ გვაქვსო.

რაკი უცხო და სავსებით გამოუკვლეველ ქვეყანაში მოვხვდი, ალბათ, სხვა არჩევანი არცა მაქვს, უნდა ვიფიქრო. ათასნაირი კითხვა დუღდა და თუხთუხებდა, ყურადღებას მოითხოვდა. იმდენად უცხო იყო ჩემთვის ეს ქვეყანა, რომ თავგზა დამეკარგა. ისეთი უბრალო საქმის ასავალ–დასავალიც კი ვერ გამეგო, რაც იქაურებს, ალბათ, ბავშვობაშივე მოგვარებულ–გადაწყვეტილი ჰქონდათ.

ერთხელ რომ ჩავრთავ ჩარხს, მერე მორჩა–მეთქი, ვფიქრობდი, ჩემს ნებაზე ვატრიალებ და თან, როცა მომეგუნებება, მაშინვე გავაჩერებ–მეთქი. მაგრამ სულ უფრო და უფრო მომერია შიშისმომგვრელი რწმენა, რომ ეს ჩარხი შეიძლებოდა ჩემგან სავსებით დამოუკიდებელი გამხდარიყო, როგორც ცოცხალი არსება, რომელსაც საკუთარი აზრი და მისწრაფება აქვს და თავის შემქმნელზე სულაც არ არის დამოკიდებული. უცებ სხვა ფიქრიც ამეკვიატა. მართლა მე ჩავრთე ეს ძრავა თუ თავისით ბრუნავდა და ვერ დავუსხლტი, ძალით ჩამითრია?! ვთქვათ, პირველად

მართლაც მე ჩავრთე, მერე ხომ მის ნებაზე ვტრიალებ? თითქოს ამ დიდ გზაზე არც გზაჯვარედინებია, არც შუკები და ბილიკები, არჩევანი არა გაქვს.

არჩევანი თავიდან გქონდა. რას ნიშნავს ზნეობა? ფუჭი სიტყვაა? პატიოსანი მოქმედება შეიძლება დაერქვას მამაჩემის სისუსტით სარგებლობას? რომელიც თვითონ დიდსულოვანი კაცი იყო და საწყალს გულუბრყვილოდ ეჩვენებოდა, სხვებიც დიდსულოვანი არიანო? არა, კარგი ბიზნესი ძნელი დასათმობი გახდა და იმიტომ გაუთხარეს ორმო. თვითონვე ჩავარდა იმ ორმოში, ხელი არავის უკრავს. ის თუ იყო პატიოსანი მოქმედება, შიგ ჩავარდნილს რომ გახადეს და გაატიტვლეს? ალბათ, იყო.

ახლაც ალყაში აქცევენ ნიუ-ბეიტაუნს, დინჯად და ფრთხილად და მოალყეები სულ პატიოსანი ხალხია. თუ გაუმართლათ, ყალთაბანდები კი არ იქნებიან, ჭკვიან ხალხს შეარქმევენ. ვთქვათ, უცებ ისეთი რამე გამოუტყვრებათ, რაც გათვალისწინებული არ ჰქონდათ, მაშინ რაღა გამოვა – უზნეობა თუ უპატიოსნობა? მე მგონი, ეგეც იმაზეა დამოკიდებული, გაუმართლებთ საბოლოოდ თუ არა. ხალხის უმრავლესობა ასე სჯის – გაიმარჯვე, ესე იგი, მართალი ხარ! გამარჯვებული ჰიტლერი რომ შეუფერხებლად მიიწევდა წინ, მახსვოს, რამდენი პატიოსანი კაცი სათნოებად უთვლიდა ამას. მუსოლინიმ მატარებლების მტკიცე განრიგი დააწესა, ვიშის კოლაბორაციონისტები საფრანგეთის კეთილდღეობისთვის იღვწოდნენ; ხოლო სტალინი, რაც უნდა თქვა, ძლიერი კაცი იყო. ძალა და წარმატება ყოველგვარ ზნეობასა და კრიტიკაზე მაღლა დგას. როგორც ეტყობა, მთავარი ის კი არ არის, რას აკეთებ, არამედ როგორ აკეთებ და შენ თვითონ რას არქმევ ამ საქმეს. ისეთი შინაგანი ძალა თუ აქვს ადამიანს, რომ შეაჩეროს ან დასაჯოს? არა მგონია. მხოლოდ დამარცხებულს სჯიან. თუ არ დაიჭირეს ბოროტმოქმედი, თითქოს არც კი ჩაედინოს ბოროტმოქმედება. ნიუ-ბეიტაუნის საქმეში ზოგი დაზარალდება, ზოგი დაიღუპება კიდევ, მაგრამ საქმეს ეგ არ შეაფერხებს.

ვერ ვიტყვი, სინდისთან დიდი ბრძოლა მქონდა-მეთქი. რაკი ერთხელ წარმოვიდგინე გონებაში საქმე და რაღაც გზას დავადექი, ეს გზა ჩემთვის სავსებით ნათელი იყო, და ყოველგვარი საშიშროებაც – წინასწარ გათვალისწინებული. ყველაზე უფრო იმან გამაკვირვა, რომ მთელი გეგმა თავისით ყალიბდებოდა. ერთი საქმე მეორეზე წამოიზრდებოდა ხოლმე და ყველაფერი კარგად ერგებოდა ერთმანეთს. მე მხოლოდ თვალს ვადევნებდი ამ ჩამოყალიბებას და უფრო სწორად წარმართვისათვის ოდნავ თუ შევაშველებდი ხელს.

მთელი შეგნებით ვგრძნობდი, რომ რაც გადავწყვიტე და ნაწილობრივ გავაკეთე კიდევ, ჩემთვის სავსებით უცხო იყო, მაგრამ როგორც მაღალ ცხენზე შესაჯდომად უზანგში ფეხის შეყოფაა საჭირო, ისევე აუცილებლად მჭირდებოდა ახლა ეს. მერე კი, ცხენზე შეჯდომის შემდეგ, უზანგი აღარაფრის მაქნისი არ იქნებოდა. ჩართული ძრავის გაჩერება იქნებ ვეღარც კი მოვახერხო, მაგრამ ახლის ამუშავება აღარასოდეს დამჭირდება. რაღად მჭირდება და ანკი რად მინდა, ამ მყიფე და საშიშროებით

აღსავსე ქვეყნის მოქალაქე ვიყავი?! შვიდი ივლისის ტრაგედიასთან, რომელიც წინასწარვე მზადდება, მე არა მესაქმება რა. ეს ჩარხი მე არ დამიტრიალებია, მე მხოლოდ ვისარგებლებ და გამოვიყენებ მას.

ძველისძველი მითი არსებობს, რაც ბევრჯერ გაქარწყლებულია ხოლმე, კაცს თავისი ფიქრები და ზრახვები სახეზე აღებეჭდებაო, თვალები სულის სარკმელიაო. არაფერიც. სახეზე მარტო სნეულება აღიბეჭდება, ან მარცხი, ან განწირულება, რაც, აგრეთვე, თავისებური სნეულებაა. გამოერევა ხოლმე ხალხი, უფრო ღრმად რომ იხედება, ხელად იყნოსავს ადამიანის არსებაში მომხდარ ცვლილებას, მისი სმენა იღუმალ ნიშნებს იჭერს. მე მგონი, ჩემმა მერიმ შემატყო ცვლილება, მაგრამ სწორად ვერ ახსნა. მარჯი იანგ–ჰანტი კი, ჩემი აზრით, ყველაფერს მიხვდა, მაგრამ მარჯი კუდიანია და ეგ მაფიქრებს. თუმცა, ჯადოქრობის გარდა, მარტი ექვიანი ქალიც ჩანს და ეს კი თითქმის დამაფიქრებელია.

დარწმუნებული ვიყავი, რომ მისტერ ბეიკერი პარასკევ ნაშუადღევს გაემგზავრებოდა საოთხივლისოდ. ქარიშხალი დატრიალდებოდა პარასკევს ან შაბათს, იმ ვარაუდით, რომ არჩევნებისათვის ყველაფერი გარკვეული ყოფილიყო; სავსებით ბუნებრივია, რომ ქარიშხლის დროს მისტერ ბეიკერი მოშორებით ყოფნას არჩევდა. ჩემთვის ეს, რა თქმა უნდა, ბევრს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ თუ წინაღობით წავიდოდა, საჭირო გახდებოდა ხუთშაბათსვე მიმელო ზომები. შაბათის მოქმედების გეგმა ისე კარგად მქონდა აწონილ–დაწონილი, რომ ძილშიაც კი არ შემეშლებოდა. და თუ მაინც მეშინოდა, ეს უფრო მსახიობის შიშს ჰგავდა, სცენაზე გასვლის წინ.

ორშაბათს, ოცდაშვიდ ივნისს, გავაღე თუ არა მაღაზია, მარულოც შემომყვა. მოჰყვა წრიალს, ხან თაროებს მიაშტერდებოდა, ხან სალაროში ჩაიჭყიტებოდა, საწყობიც მიათვალაიერ–მოათვალაიერა. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდა, ყველაფერს პირველად ხედავსო.

– საოთხივლისოდ აპირებთ სადმე? – ვკითხე მე.

– რატომ მეკითხები?

– ყველა მიდის, ვისაც კი რაიმე სახსარი აქვს.

– ეჰ, სად უნდა წავიდე!

– სხვები სად მიდიან? კეტსკილზში, ანდა მონტოკშიაც კი, სათევზაოდ. უკვე თინუსიც შემოვიდოდა.

ოცდაათგირვანქიან თევზთან ბრძოლის მარტო გაფიქრებაზეც კი ართრიტმა წამოუარა და მხრები გაუკავა – ტკივილისაგან საშინლად დაიმანჭა.

კინაღამ ვკითხე, იტალიაში როდის მიემგზავრებით—მეთქი, მაგრამ მეტისმეტი იქნებოდა. მივუახლოვდი და მარჯვენა იდაყვში ამოვდე ხელი, ფრთხილად.

– ალფიო, – ვუთხარი, – ახირებული კაცი ხართ. რატომ ნიუ–იორკში არ წახვალთ და კარგ სპეციალისტებს არ გაესინჯებით? არ შეიძლება, რამე არ გიშველონ.

– არ მჯერა.

– რას დაკარგავთ! წადით, სინჯეთ.

– მერე შენ რა?

– არაფერი. მაგრამ ამდენი ხანი ვიღაც სულელ ძაღლის გაგდებულ იტალიელთან ვმუშაობ. ძაღლს რომ ვხედავდე ასე გაწამებულს, ისიც კი შემეცოდებოდა. შემოხვალთ და ისე საცოდავად კრუნჩხავთ მაგ მკლავებს, რომ მერე ნახევარ საათს გონს ვეღარ მოვდივარ.

– გეცოდებით?

– ეგლა მაკლია! გელაქუცებით, იქნებ ჯამაგირი მომიმატოს—მეთქი.

ძაღლივით მომაშტერდა, მაგრამ თვალები ისე დასწითლებოდა და ამღვრეოდა, რომ გუგა და გარსი თითქმის ერთმანეთში გათქვეფოდა. ეტყობოდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

– კარგი ბიჭი ხარ! – ესლა მითხრა.

– ტყუილად გგონიათ.

– კარგი ბიჭი! – ისე მგზნებარედ თქვა, რომ მერე თითქოს თვითონვე შერცხვა თავისი გრძნობების ასე გამომჟღავნებისა და დუქნიდან გავიდა.

მისის დევიდსონს ორ გირვანქა ლობიოს ვუწონიდი, როცა მარულო ისევ შემოვარდა და კარის ზღურბლიდანვე მომამახა: – ჩემი „პონტიაკი“ წაიყვანე.

– რაო?

– ჩემი მანქანით წადი—მეთქი სადმე ამ კვირას და ორშაბათს.

– მაგის ფული ვინ მომცა!

– ბავშვებსაც წაიყვან. გარაჟში უკვე გავაფრთხილე, ჩემს „პონტიაკს“ წაიყვანს—მეთქი. ბენზინსაც ჩაგისხამენ.

– ერთი წუთით მომიტმინეთ.

– ნულარ გადაიქაჩები. ბავშვებსაც წაიყვან.

პირში დაგორგოლავებული საღეჭი თუთუნით რაღაცა გადმოაგდო, პირდაპირ ლობიოში ჩავარდა. მისის დევიდსონმა თვალი გააყოლა მარულოს, რომელიც კვლავ ქუჩაში გავარდნილიყო. ლობიოდან ის პატარა მწვანე გორგოლა ამოვიღე და გავშალე – სამი ოც-ოცდოლარიანი აღმოვაჩინე.

– რა მოუვიდა?

– იტალიელებს ასე მოუვლით ხოლმე.

– ზედვე ეტყობა. აბა, ამ ფულს ასე ვინ გადაყრის!

მთელი კვირა აღარ გამოჩენილა. მით უკეთესი. აქამდე ერთხელაც არ წასულა სადმე, რომ არ გავეფრთხილებინე. ყველაფერი ისე აეწყო, თითქოს ალღუმს უყურებო – დგახარ, შესცქერი, წინასწარვე იცი, როდის რა ჩაივლის, მაგრამ თვალს მაინც ვერ ამორებ.

პონტიაკს კი არაფრით არ ველოდი. არასოდეს არავისთვის უთხოვებია მანქანა. უცნაურად დატრიალდა საქმე. თითქოს რაღაც გარეგანი ძალა თუ მისწრაფება წარმართავდა ყველაფერს და, როგორც ნახირს შერეკავენ ხოლმე საჩიხში, ისე ერთმანეთზე მიყარა ამ ძალამ ცალკეული შემთხვევები. ვიცი, პირიქითაც ხდება. ზოგჯერ ეს გარეგანი ძალა თუ მისწრაფება არღვევს და ანგრევს წინასწარ დაწყობილ გეგმებს, რაგინდ ღრმად და ფრთხილად იყოს მოფიქრებული ყველაფერი. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ჩვენ იღბლისა და უიღბლობის გვჯერა.

ხუთშაბათს, ოცდაათ ივნისს, ჩვეულებრივ, გამთენიისას გამედვიძა, როცა აღმოსავლეთი მარგალიტივით აელვარდება ხოლმე. შუა ზაფხული იყო და ადრე თენდებოდა. სკამი და მაგიდა მელნის ნალვენტეზივით ჩანდა, სურათები კი – ცოტა უფრო ნათელ ლაქებად. ფანჯრის თეთრი ფარდები ისე ირხეოდა, თითქოს სუნთქავდა, რადგან იშვიათად, რომ გამთენიისას ზღვიდან ნიავი არ უბერავდეს.

მანამ კარგად გამოვფხიზლდებოდი, ერთბაშად ორ სამყაროში მოვექეცი: სიზმრის სქელშრეებშემოხვეულ სასუფეველსა და ფხიზელი გონების ცნობიერებაში. ნებივრად გავიზმორე – დიდებული გრძნობაა. ღამით თითქოს კანი შეიკუმშა და ახლა დღის შესაფერად უნდა გაჭიმო, კუნთები კარგად გამობერო, სხეულში რაღაცნაირი სასიამოვნო ქავილი დაგივლის.

ჯერ ჩემს წუხანდელ სიზმრებს გადავხედე, როგორც გაზეთს გადაკრავ ხოლმე თვალს, იქნებ საინტერესო ან საყურადღებო რამეს წავაწყდეთ. მერე გონებაში ვივარაუდე, რა შეიძლებოდა დღეს ისეთი მომხდარიყო, რაც ჯერ არ მომხდარა. ბოლოს კი ერთი ჩემი ყველაზე საუკეთესო ოფიცრის მაგალითს მივყევი. ჩარლ ედვარდსი იყო მისი სახელი და გვარი, შუახნის მაიორი, ის კი არა, სამწყობრო სამსახურისთვის საკმაოდ შებერებულიც, მაგრამ კარგი ოფიცერი კი იყო. დიდი ოჯახი ჰყავდა ამ კაცს, ლამაზი ცოლი და ოთხი ერთმანეთზე პატარა ბავშვი. გული

იმათი სიყვარულითა და ნახვის სურვილით ელეოდა, თუკი მოიცლიდა მათზე ფიქრისათვის. თვითონვე უთქვამს ეს ჩემთვის, მაგრამ ომის საშინელებით მოცული, თავს ნებას არ აძლევდა ცოლ-შვილზე ფიქრით გაეფანტა და მოედუნებინა ყურადღება, და ამიტომ რაღაც ხერხი ჰქონდა მოგონილი. დილაობით - თუკი უცებ განგაშის სიგნალი არ წამოაგდებდა ლოგინიდან - გულსა და ფიქრებს ოჯახს გაუხსნიდა ხოლმე. ყოველ მათგანს მიაღერებდა სათითაოდ, ცოცხლად წარმოიდგენდა მათ სახეს, გამომეტყველებას, ეფერებოდა და ესიყვარულებოდა; თითქოს განძეულის სკივრთან დგას, თითო-თითოდ შეავლებს ხელს ყოველ ძვირფას ნივთს, ცქერით გულს იჯერებს, ეამბორება და თავისავე ადგილზე დებსო: ბოლოს გამოეთხოვება და კეტავს იმ სკივრს. ნახევარ საათს ანდომებდა ამ საქმეს - როცა კი მოახელთებდა - და მერე მთელი დღე თავისუფალი იყო, აღარ ფიქრობდა მათზე. შეეძლო მთელი ენერგიით მისცემოდა საქმეს, რისთვისაც მოწოდებული იყო - ხოცვა-ჟლეტას. მასზე უკეთეს ოფიცერს არ შევხვედრივარ. ვთხოვე, მეც გამოვიყენებ შენს ხერხს-მეთქი, და ნება დამრთო. მერე მოკლეს ის კაცი და რამდენს გავიხსენებდი, სულ შევნატროდი - რა კარგი და შინაარსიანი ცხოვრება ჰქონდა-მეთქი, არც სიამოვნებას იკლებდა თავისებურად, სიყვარულსაც ხარკს უხდიდა და ვალშიც არ დარჩენილა. ამის ნახევარსაც კი ვერ ახერხებს ხალხი.

განა მუდამ ვიყენებდი მაიორ ჩარლის ხერხს, მარტო ამისთანა დღეს თუ გავიხსენებდი, როგორც ეს ხუთშაბათი იყო, როცა მთელი გულისყური დამაბული უნდა მქონოდა; როგორც კი შეიღო განთიადის კარი, მაიორ ჩარლივით მეც ჩემს ოჯახს ვეწვიე.

ქრონოლოგიით მოვყევი და პირველად მამიდა დებორას მივესალმე. ისრაელიანთა მსაჯულის სახელი ერქვა - დებორა, ხოლო მე წიგნში წამეკითხა, რომ იმ დროს მსაჯული იგივე სარდალი იყო. სწორედ ზედგამოჭრილი სახელი შეხვედრია: პაპიდაჩემი დიდ ჯარებს გაუძღვებოდა, კარგი სპასპეტივით დამრავდა ხოლმე ფიქრთა ლაშქარს. მისგან გამომყვა სწავლისა და ცოდნის სიყვარული. პირქუში ქალი იყო, მაგრამ ცოდნას მოწყურებული, და ვინც ამ საქმეში არ ჰგავდა, იმისთანა ხალხს ვერც ეწყობოდა. პირველად მას ვეცი თაყვანი. მერე ფიქრში ძველი კაპიტანი ვადღეგრძელებ და თავი მამაჩემს დავუხარე. არც ის დაუსახლებელი ადგილი დამვიწყებია, რაც დედაჩემს ეკუთვნოდა. დედა არ მახსოვს. ადრე მოკვდა. და ის ადგილი ჩემს მეხსიერებაში, მას რომ უნდა სჭეროდა, მუდამ ცარიელი იყო.

ერთი რამე კი მაწუხებდა - პაპიდა დებორას, ძველი კაპიტანისა და მამაჩემის სახე მკაფიოდ ვერ წარმომედგინა. ფოტოგრაფიულად გამოკვეთილი ნაკვეთების მაგივრად რაღაც ბუნდოვანი და მკრთალი სილუეტები წარმომესახებოდა ხოლმე. ალბათ, მოგონებანიც ფერიტიპივით ხუნდება დროთა ვითარებაში და ფიგურები ფონში ირევა. ვეღარ შევინარჩუნე მათი სახეები.

ამის შემდეგ მერი მოდიოდა, მაგრამ ბოლოსთვის მოვიტოვე.

აღენი გამოვიდახე. ვერაფრით აღვიდგინე მისი პატარაობის სახე - სიხარულისა და მგზნებარების გამომეტყველება, რაც ადამიანის სრულყოფილების რწმენას მიმტკიცებდა ხოლმე. ახლანდელი აღენი წარმომიდგა - დაბღვერილი, გაფუყული, ღვარძლიანი, გაველურებული, სქესობრივი მომწიფების ტკივილითა და გაურკვევლობით არეული, როცა ხაფანგში გაბმული ძაღლივით იღრინება და იკბინება, ლამის საკუთარი თავიც შეჭამოს. ფიქრშიაც კი ვერ მოვახერხე რამე მეშველა და ამ უბადრუკი მღელვარებისაგან მეხსნა. მეც თავი მივანებე, ესლა ვუთხარი: „ვიცი, მე თვითონ გამომიცდია, რა საშინელებაც არის, მაგრამ ვერაფერს გიშველი, ვერავინაც ვერ გიშველის. მხოლოდ ეს შემიძლია გითხრა, რომ თავისით გაივლის, თუმცა შენ მაინც არ დამიჯერებ. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. არც ჩემი სიყვარული მოგაკლდება, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ერთმანეთს ვერ ვიტანთ. „

ელენის მოგონებამ გული სიამოვნებით ამიტოკა. ლამაზი ქალი დადგება, დედაზე უფრო ლამაზი, რადგან როცა საბოლოოდ დაულაგდება თავისი ლამაზი პატარა სახე, პაპიდა დებორას უფლებამოსილ სიზვიადესაც მიიღებს. მისი ფხუვიანობა სწორედ იმის უტყუარი ნიშანია, რომ მშვენიერი და საყვარელი ქალი დადგება. ეს დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რადგან აკი დავინახე, როგორ ჩაიხუტა ვარდისფერი თილისმა თავის პატარა გულში და რა დასრულებული ქალის სახე ჰქონდა. ეს თილისმა მისთვისაც ისეთივე მნიშვნელოვანი ჩანს, რაც ჩემთვის არის. იქნებ სწორედ ელენს უწერია, მიიღოს და შთამომავლობას გადასცეს ის, რაც ჩემში უკვდავია. გამომშვიდობებისას ხელი მოვხვიე და ჩავიხუტე. მანაც, თითქოს ხორცმესხმული არსებააო, ყურში მომიღიტინა და გადაიკისკისა. ჩემი ელენი. ჩემი გოგო.

ახლა მერისკენ მივაბრუნე თავი, რომელსაც ჩემს გვერდზე ემინა, მარჯვნივ, და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. ასე უყვარს წოლა, ჩემს მარჯვნივ და როცა კარგ გუნებაზეა, როცა არაფერი გვაწუხებს და ყველაფერი რიგიან-პირიანადაა, თავს მარჯვენა მხარზე მომადებს ხოლმე, მარცხენა ხელს კი თავისუფალს მიტოვებს, მოსაფერებლად.

ამ რამდენიმე დღის წინ სალოკი თითი ბანანის დანით გავიჭერი მაღაზიაში და თითის წვერზე ნაჭრილობევი გამაგრებული მქონდა. ამიტომ ავიღე და შუათითი გადავუსვი ყურის ძირიდან მოკიდებული მხრებამდე, არცთუ ძალიან მაგრად, რომ ძილში არ შემეშინებინა, არც ძალიან ნაზად, რომ არ მოღიტინებოდა. მერიმ ამოიხვნეშა - როგორც ყოველთვის, ტკბილად და ღრმად, თითქოს გაიღვიძა, მერი არ არის ასეთი ქალი. იგი ყოველთვის იმედიანად ხვდება დღეს, კარგის მოლოდინში. მე ვიცი ეს და ვცდილობ, არ გავუცრო იმედი, რაღაც პატარა საჩუქარი მაინც მოვუშზადო. ვცდილობ ასეთი შემთხვევისათვის შემოვინახო, თუკი რამე მაქვს გასახარელი, როგორც ახლა, ამჟამად.

ნელ-ნელა გააღო ძილით დანისლული თვალები.

– უკვე გათენდა? - იკითხა და ფანჯარას გახედა, რომ ენახა, რამდენად მოახლოებული იყო დღე. საწერი მაგიდის თავზე სურათი კიდია - ხეები და ტბა, ტბაში კი, ნაპირის მახლობლად, ძროხა შესულა. ლოგინიდანვე გავარჩიე ძროხის კუდი და მაშინვე მივხვდი, რომ უკვე გათენებული იყო.

– რაღაც უნდა გახარო, ჩემო ციყვუნია.

– გიჟი!

– ოდესმე მომიტყუებია?

– ვინ იცის!

– სულ გაიღვიძე? სასიხარულო ამბის მოსმენა შეგიძლია?

– არა.

– მაშინ ჯერ არ გეტყვი.

მარცხენა მხარზე გადმოწვა და თავის ნაზ კისერზე ნაოჭი დააჩნდა.

– სულ ხუმრობად იქეცი. იმის არ იყოს, გაზონებში ასფალტი უნდა დავაგოო. ახლაც თუ მაგისტანა...

– სულაც არა.

– თუ ჭრიჭინების მოშენებას აპირებ?

– არა. როგორ იმახსოვრებ ძველ სისულელებს?

– ახლაც ხუმრობ?

– არა, მაგრამ ისეთ უცნაურ და საოცარ რამეს გეტყვი, დაჯერება გაგიჭირდება.

სავსებით გამოფხიზლდა, თვალები სულ გაახილა და სასაცილო ამბის მოლოდინში ბაგე ოდნავ აუთრთოლდა.

– მითხარი.

ერთ იტალიელს თუ იცნობთ, გვარად მარულოს?

– გიჟი!.. დაიწყე შენებური?

მაგასაც ახლავე ნახავთ. ზემოხსენებული მარულო რამდენიმე ხნით ქალაქიდან გაემგზავრა.

– სად?

- ეგ არ უთქვამს.
- რამდენი ხნით?
- დამაცა, ნუ მიშლი, არც ეგ უთქვამს, მაგრამ მითხრა, - და მიბრძანა კიდეც, როცა უარის თქმა ვცადე, - სადღესასწაულოდ ჩემი მანქანა გამოიყენეთ და სადაც გნებავთ, გაისეირნეთო.
- ნუ მამასხარავებ.
- იმისთანა სიცრუეს როგორ გეტყვი, რომ მერე გული დაგწყვიტო?
- მაშ, რა დაესიზმრა?
- მაგას კი ვერ გეტყვი. მე მხოლოდ ერთი რამე შემიძლია გითხრა და დავიფიცებ კიდეც - გინდა ბოისკაუტების საფიცარით, გინდა პაპის ფიცით - რომ წმინდა ბენზინით სავსე წაულასფერზოლებიანი „პონტიაკი“ თქვენს ბრწყინვალეებას ელოდება.
- საით გავისეირნოთ?
- საითაც ჩემი კოკროჭინა ცოლი მოიგუნებებს. დღევანდელი დღე, ხვალინდელი და მთელი შაბათი შენს განკარგულებაშია. მოიფიქრე.
- ორშაბათიც ხომ უქმე დღეა, მაშ მთელი ორი დღე გვექონია თავისუფალი?
- ნამდვილად.
- მერე გვაქვს მაგისი თავი? ცალკე მოტელის ფული და ათასი ამისთანა რამე.
- გვაქვს თუ არა, მაინც წავალთ. მე საიდუმლო ქისას ვინახავ.
- ვიცი მე შენი ქისის ამბავი, ბედოვლათო. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეეღია მანქანას.
- მეც ვერ წარმომედგინა, მაგრამ ასეა.
- ახლა ის კანფეტები, სააღდგომოდ რომ მოიტანა!
- ალბათ, სიბერემ გამოაჩურჩუტა.
- ნეტავ გულში რა უდევს!
- რა ჩემი ცოლის საკადრისია მაგისთანა სიტყვები. ალბათ, თავს გვაყვარებს.
- ათასი რამე მაქვს გასაკეთებელი.

– გაქვს და გააკეთებ კიდეც, - ვგრძნობდი, რომ მისი ფიქრი ბულდოზურივით თხრიდა ჩვენს წინ გადაშლილ ყოველ შესაძლებელ პერსპექტივას. ვგრძნობდი, მაგრამ საბოლოოდ დავკარგე მისი ყურადღება და ეგ არ იყო ურიგო საქმე.

საუზმის დროს, სანამ მეორე ფინჯან ყავას დავლევდი, სულ გადაქეპა, რაც კი აღმოსავლეთ ამერიკაში გასართობი ადგილებია, მაგრამ ნახევარზე მეტი დაიწუნა. საწყალი ჩემი ცოლი, ამ უკანასკნელ წლებში გართობა და გასეირნება ვიღას მოჰგონებია!

– ქლოია, - ვუთხარი მე, - ვიცი, რომ ჩემთვის აღარ გცხელა, მაგრამ მაინც უნდა გითხრა რაღაც. სარფიან საქმეს მთავაზობენ. კიდეც უნდა მომცე შენი ფული. იმ პირველმა გამიმართლა.

– მისტერ ბეიკერმაც იცის?

– მისი იდეაა.

– მაშ წაილე. შენ თვითონ მოაწერე ჩეკს ხელი.

– რამდენი მინდა, აღარ მეკითხები?

– რა კითხვა უნდა.

– არც ის გაინტერესებს, რა საქმეა? ვადებიო, პროცენტებიო, ათასი დარიცხვაო და რა ვიცი.

– მაინც ვერაფერს გავუგებ.

– ისე გაუგებ, რომ შენი მოწონებული.

– არც მინდა გავუგო.

– რაღა გასაკვირია, რომ შენისთანებს უოლტ-სტრიტის ჭიჭყინა მელაძეას ეძახიან. ლამის დამაფეთოს ამ ცივმა და აღმასივით ბასრმა საქმოსნურმა ჭკუამ.

– მივდივართ სამოგზაუროდ, - თქვა მან, - მთელი ორი დღით მივდივართ!

– მოდი და ნუ შეიყვარებ ამისთანა ქალს, ნუ გააღმერთებ! „ნეტავ გამაგებინა, რა ქალია ეს მერი!“ - წავიმღერე მე, ცარიელი რძის ბოთლები მოვკრიფე და სამსახურში წავედი.

გულით მინდოდა, ჯოი მენახა, ისე, უბრალოდ შევხვედროდი, მაგრამ ან მე დავაგვიანე ცოტათი, ან ის აჩქარებულა. მთავარ ქუჩაზე რომ შევუხვიე, უკვე კაფეში შედიოდა. მეც შევყევი და მის გვერდით დავჯექი ტაბურეტზე.

– თქვენ დამაჩვიეთ, ჯოი.

- აჰ, მისტერ ჰოული! დიდებული ყავაა.
- ჩემს ძველ სკოლის ამხანაგს მივესალმე: – დილა მშვიდობისა, ანი.
- შენც ჩვენი მუშტარი ხდები, ით?
- ასე გამოდის. ერთი შავი ყავა.
- შავი არ არის!
- განწირულის თვალეზივით შავი.
- რაო?
- შავი-მეთქი.
- თუ ამ ფინჯანში თეთრს ხედავ რამეს, ახლავე შეგიცვლი, ით.
- როგორ მიდის საქმე, მორფი?
- ძველებურად, ცოტა უფრო უარესად.
- გინდათ, გავცვალოთ ადგილები?
- სიამოვნებით. მით უმეტეს ახლა, ამ უქმეების წინ.
- ხომ არ გგონიათ, მარტო თქვენ გიჭირთ! ხალხი სანოვაგეს იმარაგებს.
- მართალი ხართ, ეგ არც კი მომიფიქრებია.
- საპიკნიკო საჭმელ-სასმელი, მწნილები, ძეხვეული, ტკბილეულიც, რაღა თქმა უნდა. თქვენც მაგარი მუშაობა გაქვთ?
- ხუმრობთ? ოთხი ივლისისათვის და ისიც ამისთანა კარგ ამინდში! მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ყოვლისშემძლე ღმერთსაც მოუნდა მთებში დასვენება და გახალისება.
- მისტერ ბეიკერს?
- აბა, ჯეიმს ბლეინს?![24]
- ეგეც სანახავი მყავს. უსათუოდ უნდა ვნახო.
- სცადე ერთი, თუ ბიჭი ხარ, და ნახე. კვიცივით დახტის აქეთ-იქით.
- სენდვიჩები არ მოგიტანოთ, ჯოი, თქვენს საომარ ასპარეზზე?
- მე თვითონ უნდა მეთხოვა.

– ყავის ფულს მე ვიხდი დღეს, - ვთქვი მე.

– ოკეი.

ქუჩა გადავჭერთ და ხეივანში შევუხვით.

– რაღაც უგუნებოდ ხართ, ჯოი.

– გული გამიწვრილა სხვისი ფულების ანგარიშმა. ამ უქმეებზე პაემანი მქონდა დანიშნული ქალთან, მაგრამ მაგის თავიც აღარ მექნება, ალბათ, - კლიტის ჭუჭრუტანაში რეზინის საღეჭი შესჩარა, მშვიდობითო, თქვა, შევიდა და კარი მიიკეტა. მე მივაწეე კარს და შევაღე.

– ჯოი, ესე იგი, სენდვიჩი გინდათ დღეს, არა?

– არა, მადლობელი ვარ, - გამომძახა მან მასტიკის სუნით გაჟღენთილი, ჩაბნელებული შენობიდან, -პარასკევს იქნებ დამჭირდეს, შაბათს კი ნამდვილად.

– შუადღისას ხომ კეტავთ?

– აკი გითხარით - ბანკს აქვს შესვენება, მორფის - არა.

– მაინც შემომიარეთ.

– გმადლობთ... მადლობელი ვარ, მისტერ ჰოული.

იმ დილას სათქმელი არაფერი მქონდა თაროებზე ჩამწკრივებული ჩემი ჯარისთვის, მივესალმე მხოლოდ, „გამარჯობათ ბატონებო - თავისუფლად!“ ცხრას რამდენიმე წუთიღა აკლდა, როცა წინსაფარაკრული და ცოცხმომარჯვებული, ტროტუარს ვგვიდი.

მისტერ ბეიკერი ისეთი პუნქტუალური კაცია, გეგონება წიკწიკიც მესმისო - დარწმუნებული ვარ, მკერდში საათის მექანიზმი უღევს. რვა საათსა და ორმოცდათექვსმეტსა თუ ორმოცდაჩვიდმეტზე თელის ხეივანში გამოჩნდა, რვასა და ორმოცდათვრამეტზე - გადმოჭრა ხეივანი, რვასა და ორმოცდაცხრამეტზე მინის კარს გაუპირისპირდა. ცოცხი მხარზე გავიდე და გზა გადავუღობე.

– მისტერ ბეიკერ, რაღაც უნდა გითხრათ.

– დილა მშვიდობისა, ითენ. ერთი წუთით ვერ დაიცდი? მე გამომყევი.

შეყევი ბანკში და ჯოის სიტყვები სულ გამართლდა - სწორედ რომ რელიგიურ ცერემონიალს ჰგავდა. მიადგა თუ არა დიდი საათის ისარი ცხრას, მთელი თანამშრომლები სეიფის წინ გაინაბნენ. სეიფის დიდი ლითონის კარიდან რაღაცნაირი ჩხაკუნი და გუგუნო მოისმა. ჯოიმ მისტიკური ციფრები აკრიფა და კარის გორგოლაჭი გადაატრიალა. წმიდათაწმიდა საზეიმო სიდინჯით გაიხსნა და

მისტერ ბეიკერმა დასტეხად ჩამწკრივებული ფულების სალუტი მიიღო. მე ლარტყულს გადაღმა ვიდექი, საზიარებლად მისული კაცივით, და სასოებით ველოდი წმინდა ზიარებას.

მისტერ ბეიკერი მომიბრუნდა.

– რა გინდოდა, ითენ? რითი შემძლია დაგეხმარო?

მე ჩუმად ვუპასუხე: – ცალკე უნდა გითხრათ რაღაც, თან მაღაზიასაც ვერ მივატოვებ.

– გადაუდებელი საქმეა?

– დიახ.

– დამხმარე უნდა გყავდეს დუქანში.

– ვიცი.

– თუკი მოვიხელთე, მოვალ. ტეილორისა ხომ არაფერი გაგიგია?

– ჯერ არა, მაგრამ ისე კი დავყნოსე აქა-იქ.

– ვეცდები, მოვიდე.

– მაღლობელი ვარ, სერ, - ვიცოდი, რომ ნამდვილად მოვიდოდა.

და მოვიდა კიდეც. ერთი საათიც არ გასულა. ვიდრე მუშტრებს გავისტუმრებდი, იდგა და მიცდიდა.

– აბა, რა გინდოდა, ითენ?

– მისტერ ბეიკერ, ექიმი, ვექილი, მღვდელი ვალდებული არიან საიდუმლო შეინახონ... ბანკირიც თუ ემორჩილება ამ წესს?

მისტერ ბეიკერმა გაიღიმა.

– სადმე გაგიგონია, რომ ბანკირს თავისი კლიენტის საქმე საქვეყნოდ გამოეტანოს?

– არა.

– მაშ, სცადე ერთი, მკითხე, ეგეც არ იყოს, მე ხომ შენი მეგობარი ვარ, ითენ!

– ვიცი. ვატყობ, რომ განერვიულებული ვარ. რამდენი ხანია, ბედს არ გაუღიმიან ჩემთვის.

– ჰა?

– ახლავე ყველაფერს აგისხნით, მისტერ ბეიკერ. მარულოს საქმე ვერ არის კარგად.

უფრო ახლოს მოიწია ჩემკენ.

– მაინც?

– დანამდვილებით ვერ გეტყვით, სერ, მაგრამ, მგონი, არალეგალურად უნდა იყოს შემოპარული.

– ვინ გითხრა?

– თვითონვე მითხრა... კი არ მითხრა, მაგრძნობინა. მარულოს ამბავი ხომ იცით?!

თითქოს თვალნათლივ ვხედავდი, როგორ აუთამაშდა ტვინი, როგორ კრეფდა და აკოწიწებდა ცალკეულ ფაქტებს.

– მერე, მერე... თუ მართლა ასეა, მაშინ გასახლების ამბავი უნდა აიყოს.

– მეც ასე მგონია. მუდამ კარგად მექცეოდა, მისტერ ბეიკერ, არ მინდა ცუდი რამე გავუკეთო.

– შენს თავზეც უნდა იფიქრო, ითენ. რაო, რა შემოგთავაზა?

– პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ ისე ვხვდები მისი არეული ლაპარაკიდან. ხუთი ათასი რომ მქონდეს ნაღდი, მე მგონი, მაღაზია ჩემი გახდებოდა.

– მაშ, გაპარვას აპირებს. მაგრამ შენ ეს არ იცი!

– დანამდვილებით არაფერი ვიცი.

– მაშინ ვერც დაგწამებენ თანამზრახველობას. პირდაპირ არაფერი უთქვამს?

– არა, სერ.

– მაშ, ეს ხუთი ათასი საიდან მოიტანე?

– მაგას რა ბევრი რამე უნდა, სერ. მეტი არ ეღირება მთელი ჩვენი ავლადიდება.

– იქნებ ნაკლებად დაგითმოს!

– ვინ იცის.

მისტერ ბეიკერმა სწრაფად შეათვალიერა და შეაფასა მთელი მაღაზია.

– ვარაუდი თუ გაგიმართლდა, კარგად დატრიალდება შენი საქმე...

– არ მეხერხება ამისთანა საქმეები.

– შენც ხომ იცი, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი და საქმე არ მიყვარს. იქნებ პირდაპირ მოველაპარაკო.

- წასულია ქალაქიდან.
- როდის დაბრუნდება?
- არ ვიცი, სერ. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია. რატომღაც მომეჩვენა, ხუთი ათასი რომ მომცა, დამითმობს-მეთქი. ხომ იცით, როგორ ვუყვარვარ.
- ნამდვილად.
- მაგრამ არ მინდა, შემთხვევით ვისარგებლო.
- ხომ შეიძლება, სხვას მოელაპარაკოს. ათი ათასსაც თამამად მისცემენ.
- მაშ, სულ ფუჭი ყოფილა ჩემი იმედი.
- ასე ადვილად არ უნდა დათმო. ჯერ თავო და თავოო...
- ჯერ ცოლო - ეს ფული ხომ მერისაა.
- მერე რა! რას აპირებ მაინც?
- საბუთს რომ მომიზადებდეთ ისე, რომ არც თარიღი ეწეროს და არც თანხა!.. პარასკევს გამოვიტანდი ფულს.
- რატომ მაინცდამაინც პარასკევს?
- ეგეც ვარაუდია. რაღაცაზე ახსენა - უქმეებზე ქალაქი დაიცლებათ. ვიფიქრე, იქნებ სწორედ იმ დროისათვის ჩამოვიდეს-მეთქი. ფული ხომ თქვენთან აქვს!
- არა, ღმერთმანი! სულ გაიტანა ამ ცოტა ხნის წინ. აქციები უნდა ვიყიდოო. არც გამკვირვებია - ბევრჯერ გაუტანია და მერე უფრო მეტი შემოჰქონდა ხოლმე, - მაცივარზე ჭყეტელა ფერებით გამოსახულ ლამაზმანს მიაშტერდა, მაგრამ მისი გამომწვევი სიცილისათვის არ უპასუხია, - ვაითუ, სულ ჩავარდე! ეს არ გიფიქრია?
- როგორ თუ ჩავარდე?
- ჯერ ერთი, სხვა მუშტრებიც ბევრი ეყოლება, მეორე - ვინ იცის, იქნებ დაგირავებული ჰქონდეს.
- მაგას შტატის სამმართველოში შევამოწმებ. ისედაც რამდენი საქმე გაქვთ მისტერ ბეიკერ, და გაგაცდინეთ. ვიცი, რომ ჩემი ოჯახი გიყვართ და ამით ვსარგებლობ, ან ვის უნდა ვკითხო ამისთანა საქმეებში რჩევა!
- დაგირავების ამბავს ტომ უოტსონი გამიგებს. ეჰ, ცუდი დრო შეგხვდა, ითენ. ხვალ სალამოს მე თვითონ მივემგზავრები ცოტა ხნით. მართლა თუ ყალბაბანდი გამოდგა ის შენი მარულო, ცარიელზე დაგტოვებს, პირწმინდად გაგფცქნის.

– მოდი, სულ დავანებო თავი! მაგრამ ღმერთო, შეგცოდე, და, მომწყინდა ეს ნოქრობა, მისტერ ბეიკერ.

– თავი დაანებე-მეთქი, მე ეგ არ მითქვამს. მე ისე გაგაფრთხილე.

– ჰოი, როგორ გაიხარებს მერი, ეს დუქანი რომ ჩამაგდებინა ხელში, მაგრამ თქვენ მართალი ხართ. მერის ფულს საალალბედოდ ვერ გავხდი. მე მგონი, აჯობებს ფედერალურ ბიუროს მივმართო.

– მაშინ ველარაფერ ხეირს ნახავ.

– რატომ?

– გასახლება თუ მიუსაჯეს, ადგება და აგენტის მეშვეობით გაყიდის მთელ ქონებას - იმისთანა ფასს დაადებენ ამ დუქანს, რომ ველარ იყიდი. თან, დარწმუნებული ხომ არა ხარ, რომ ნამდვილად აპირებს გაპარვას! როგორღა ეტყვი, თუ დარწმუნებული არა ხარ! აღრიცხვაზე ჰყავთ თუ არა, ისიც კი არ იცი.

– მართალია.

– კაცმა რომ თქვას, სულაც არ იცი მისი ასავალ-დასავალი. რაც შენ მითხარი, ბუნდოვანი ეჭვებია და მეტი არაფერი. ხომ მართალს ვამბობ?

– ასეა.

– ამიტომ მოეშვი მაგას.

– უცნაური არ იქნება, ამდენი ფული გამოვიტანო და ზედ არ აღვნიშნო, რა საქმეზე გამომაქვს?

– რამეს დაწერ ჩეკზე... ვთქვათ, ასე: „ა. მარულოს საბაყლო მაღაზიის დასაფინანსებლად“. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, თავის გასამართლებლადაც გამოგადგება.

– თუ არაფერი გამოდნა?

– უკანვე შემოიტან ფულს.

– რისკის გაწევა ღირს?

– ურისკოდ არაფერი კეთდება, ითენ. ამდენი ფული რომ ნაღდად გამოგაქვს, თავისთავად ეგეც რისკია.

– გავუფრთხილდები.

– ნეტა, ქალაქიდან არ გავდიოდე.

– ჩემი ვარაუდები ახლაც გამართლდა: ამ ხნის განმავლობაში ერთი მუშტარიც არ შემოსულა. ბოლოს კი ერთბაშად შემოლაგდნენ - სამი ქალი, ერთი ბერიკაცი და ორი ბავშვი. მისტერ ბეიკერი ჩემკენ გადმოიხარა და ჩუმიად მითხრა.

– ასდოლარიანებს გაგიშვადებ და ნომრებსაც ჩავიწერ. თუ ჩაავლეს, შეგეძლება უკანვე გამოიტანო, - ქალებს მძიმედ დაუკრა თავი, ბერიკაცს გამოეხმაურა - „დილა მშვიდობისა, ჯორჯ!“, ბიჭებს კი ქოჩორზე მოუთათუნა ხელი. ჭკვიანი კაცია მისტერ ბეიკერი.

თავი მეთოთხმეტე

პირველი ივლისია. თითქოს თმა გაგიყვიაო შუაზე, ისე ორ თანაბარ ნაწილად იყოფა ამ დღეს წელიწადი. მეც სასაზღვრო ხაზად წარმომედგინა იგი - გუშინ სხვა ვიყავი, ხვალ კი სულ სხვა გავხდები. ისეთი რაღაცეები გავაკეთე, რისი უკან დაბრუნებაც აღარ შეიძლება. დროცა და შემთხვევებიც მხარში მედგნენ, თითქოს ჩემი თანამზრახველები ყოფილიყვნენ. არც კი ვცდილვარ, საკუთარი თავისთვის მაინც დამეფარა იმის ნამდვილი არსი, რასაც ვაკეთებდი. მე თვითონ ავირჩიე ეს გზა, არავის დაუძალეზია. კეთილდღეობის, ღირსების დაცვისა და ხვალინდელი დღის უზრუნველყოფის ხათრით დროებით გადავუხვიე ჩემს ჩვეულებასა და შეხედულებებს. სულ ადვილი იქნებოდა დამერწმუნებინა თავი იმაში, რომ ამას ჩემი ოჯახის გულისთვის ვაკეთებდი - ბოლოს და ბოლოს, მათი კეთილდღეობა და მომავლის უზრუნველყოფა ჩემივე ღირსების საქმეა. მაგრამ ჩემი მიზანი სავსებით ნათელი და განსაზღვრული იყო - მივალწევდი თუ არა საწადელს, კვლავ იმ ძველ ჩვეულებასა და შეხედულებებს უნდა დავბრუნებოდი. ვგრძნობდი, რომ ამას შევძლებდი კიდევ. ომმა ხომ მკვლელად მაქცია, მიუხედავად იმისა, რომ ხალხს ვხოცავდი ფრონტზე. მზვერავებს რომ ვგზავნიდი, წინასწარვე ვიცოდი, ზოგს მოკლავდნენ, მაგრამ სიხარულს როდი განვიცდიდი ამ მსხვერპლის გაღებით, როგორც სხვა ოფიცრებს მოსდიოდათ ხოლმე. არასდროს გავუხარებივარ ჩემს საბრძოლო საქმიანობას, არც თავის მართლება ჩამითვლია საჭიროდ, არც მიტევება. მთავარია იმ მიზნის ცოდნა, რისთვისაც ამა თუ იმ საქმეს აკეთებ, და მიზნის მიღწევის შემდეგ სწრაფადვე შეჩერება. ამას კი მხოლოდ მაშინ მოახერხებ, როცა წინასწარვე კარგად იცი, რას აკეთებ და თავს არ იტყუებ - ხვალინდელი დღის უზრუნველყოფა, საკუთარი ღირსების დაცვა... და მორჩა, მეტი არაფერი. ომის გამოცდილებით ვიცი, რომ ბრძოლის ველზე მოკლულები განსაზღვრული მიზნისა და მისწრაფების მსხვერპლნი არიან და არა გაგულისების, სიძულვილისა თუ სისასტიკისა. დარწმუნებული ვარ, განსაზღვრულ მომენტში გამარჯვებულსა და დამარცხებულს, მკვლელსა და მოკლულს შორის სიყვარულიც კი წარმოიშობა.

მაგრამ დენის ნაჯღაბნისა და მარულოს მადლიერების გრძნობით აღსავსე თვალების წარმოდგენაზე გული მწუხარებით მეწურებოდა.

ბრძოლის წინა ღამეს ხალხს ძილი არ ეკარებო, ამბობენ. მე არასდროს დამფრთხობია ძილი. მივწევი თუ არა, მაშინვე ჩამეძინა, ტკბილად და ღრმად. გათენებისას კი შვებით გავიღვიძე, მაშინვე წამოვხტი, თუმცა სხვა დროს, გაღვიძებულს, დიდ ხანს მიყვარდა სიბნელეში წოლა. ჩემს წარსულს უნდა ვწვეოდი. ჩუმად გამოვძვერი ლოგინიდან, სააბაზანოში ჩავიცვი და კიბეზე დავეშვი, ვცდილობდი კედელთან ახლოს ვყოფილიყავი. სულაც არ გამკვირვებია, როცა უცებ კარადის წინ აღმოვჩნდი. კარი გამოვადე და ხელის ცეცებით მივაგენი ვარდისფერ ბორცვს. ჯიბეში ჩავიდე და კარადის კარი გასაღებით დავკეტე. ჩემს დღეში არ გამიტანია ეს ქვა სახლიდან და იმ დილას თუ წავიღებდი, არც ეს მიფიქრია წინასწარ. გუმანით გავიკვლიე გზა ჩაბნელებულ სამზარეულოში, უკანა კარი გავიარე და რიჟრაჟით შენაცრისფერებულ ეზოში გავედი. ფოთლებით დაბურული თელების თაღოვანი ხეივანი ჩაშავებულ გამოქვაბულს დამსგავსებოდა. მარულოს „პონტიაკი“ რომ იქა მქონოდა, ჩავჯდებოდი და ნიუ-ბეიტაუნიდან გავიდოდი. ჩემი პირველი მოგონებების გამოღვიძებულ სამყაროსკენ გავიქროლები. თითებმა სხეულის ტემპერატურით შემთბარ თილისმაზე გამოკვეთილი დაუსრულებელი ხვეული მოძებნეს ჯიბეში.

პაპიდა დებორა, რომელიც ბავშვობაში გოლგოთაზე მგზავნიდა, სიტყვებს მანქანასავით ზუსტად ისროდა ხოლმე. აბდაუბდა ლაპარაკს ვერავისგან იტანდა და არც მე მანებებდა. მაინც რა ძალა ჰქონდა ამ მოხუც ქალს! უკვდავება რომ ნდომოდა, ჩემს წარმოდგენაში ჰქონდა კიდევ ეს უკვდავება. როცა დამინახა, ბორცვის მოყვანილობის ქვას თითს ვუსვამდი, მითხრა: – ითენ, ეს ცხრა მთას იქიდან მოტანილი ქვა იქნებ შენი თილისმა გახდეს.

– თილისმა რას ნიშნავს?

– რა აზრი აქვს, რომ გითხრა, ყურში მაინც არ შეუშვებ. წიგნში ჩაიხედე და ნახავ.

რამდენი სიტყვა შემითვისებია ასე იმის წყალობით, რომ პაპიდა დებორა ჯერ ინტერესს აღმიძრავდა, ხოლო შემდეგ მაიძულებდა, მე თვითონ გამომერკვია მისი მნიშვნელობა. მე, რა თქმა უნდა, ვუპასუხე: – ახლა ეგ მადარდე!

მაგრამ მშვენივრად იცოდა, რომ მაშინვე მივვარდებოდი ლექსიკონს, და ამიტომ დამარცვლით თქვა: „თი-ლის-მა“. დიდი მოწიწებით ექცეოდა ხოლმე სიტყვებს, ისევე ვერ იტანდა მათ დამახინჯებასა და დაუდევრად წარმოთქმას, როგორც რაიმე ძვირფასი ნივთის ტლანქ ხმარებას. ახლაც, ამდენი ხნის შემდეგაც, თითქოს წინ მედოს გადაშლილი ლექსიკონი და ვკითხულობდე - „თილისმა“. არაბული ჩემთვის რაღაც დაღვლარქნილ ხაზს წარმოადგენდა, რომელსაც ბოლოში პატარა ბურთულა ჰქონდა გამობმული. ბერძნულის წაკითხვას კი ვახერხებდი იმავე მოხუცი ქალის მეცადინეობით. „ქვა ან სხვა რამ საგანი, რომელზეც ამოტვიფრულია რაიმე

გამოსახულება ან სიტყვები. სწორედ ამ გამოსახულებას მიეწერება პლანეტების გავლენითა და ზოდიაქოს ნიშნებით გამოწვეული ოკულტური ძალები. ჩვეულებრივ, წარმოადგენს ბოროტისგან დამფარავ და ბედნიერების მომტან ავგაროზს“. ამის შემდეგ საჭირო გახდა მომეძებნა „ოკულტური“, „პლანეტები“, „ზოდიაქო“, ავგაროზი“. ასე იყო ხოლმე. ერთ სიტყვას მეორე მოჰყვებოდა, ჯაჭვის რგოლებივით.

კარგა ხნის შემდეგ რომ ვკითხე, გწამს კი თილისმა-მეთქი, ასე მიპასუხა: „ჩემი რწმენა თილისმასთან რა სახსენებელია“.

მერე ხელში ჩავუდე ქვა.

– ეს გამოსახულება რას ნიშნავს?

– ეს ხომ ჩემი თილისმა არ არის - შენია. რაც თვითონ გსურს, იმას ნიშნავს. ისევ განჯინაში შეინახე. გამოგადგება.

ახლა, თელების გადმობურულ ხეივანში რომ მივაბიჯებდი, კვლავ ცოცხლად წარმომიდგა პაპიდაჩემი და ნამდვილი უკვდავებაც ხომ ამას ჰქვია. სულ ერთმანეთში იყო გადახლართული ქვაზე ამოტვიფრული კლაკნილი ხაზი - ზემოთ, ქვემოთ, ირგვლივ, გარშემო, არც დასაწყისი ჰქონდა, არც დასასრული, თითქოს უთავო და უკუდო გველი ყოფილიყოს. პირველად გამოვიტანე სახლიდან ეს ნივთი - ბოროტის ასარიდებლად? თუ იმისთვის, რომ ბედნიერებას ვწეოდი? ბედის მკითხაობა არ მწამს და უკვდავებაც გულგატეხილი ხალხისთვის მოგონილ უბადრუკ ნუგეშად მიმაჩნია.

ელვარე სხივებით მოვარაყებული აღმოსავლეთი - ეს უკვე ივლისი იყო, რადგან ივნისი ღამითვე გაემგზავრა. ივნისის ოქრო ივლისში სპილენძად იქცევა ხოლმე, ივნისის ვერცხლი - ივლისში ტყვიაა. ივლისის ფოთლები მძიმეა, სქელი და დაბურული. ჩიტების გალობა ივლისში ერთი გაგრძელებული ჭყვილია, უგულო და თავის მომაბეზრებელი, რადგან ბუდეები ამ დროს ცარიელდება და ახალშემზობლული ბარტყები საცოდავად დაფართხალებენ. არა, არც იმედის თვეა ივლისი და არც დაკმაყოფილებული გულისწადილისა. ხილი კი მწიფდება, მაგრამ არც სიტკბო აქვს, არც ფერი, სიმინდის მწვანე ღერო ჯერ სულ ქორფაა, მაგრამ მოყვითალო ხაშარი მაინც გამოულია. გოგრას ჯერაც არ მოშორებია ჭიპლარივით მიმხმარი ყვავილი.

პორლოკზე გავედი, გამამდარსა და ნაპატიებ პორლოკზე. განთიადის სპილენძისფერ სხივებს კარგად გაენათებინა შებერებული ვარდების სიმძიმით წელში გაზნექილი ბუჩქები - თითქოს ქალებიაო, რომელთაც კორსეტი უკვე აღარ უფარავს წამობერილ მუცელს, თუმცა კანჭები ჩამოქნილი და ლამაზი შერჩენიათ. მივყიალობდი ჩემთვის და ვლულლულეებდი „მშვიდობით, მშვიდობით!“ „ნახვამდის“ კი არა - „მშვიდობით!“ „ნახვამდის“ ტკბილი სევდის იერი დაჰკრავს, „მშვიდობით“ კი მოკლეა და საბოლოო,

ალესილი კბილები აქვს, რომელიც წარსულისა და მომავლის დამაკავშირებელ ძაფს კვნიტს.

ძველ ნავსაყუდელს მივადექი. რას ვემშვიდობებოდი? არ ვიცი, აღარ მახსოვს. ალბათ, ჩემს თავშესაფარში შესვლა მინდოდა, მაგრამ ვინც ზღვისპირას ცხოვრობს, ყველამ იცის - ამ დროს ზღვის მოქცევაა და ჩემი თავშესაფარი შავი ტალღებით იქნება დაფარული. წუხელ ახალი მთვარე დავინახე, ოთხიოდე დღის თუ იქნება, მოღუნულ ქირურგიულ ნემსს ჰგავს, მაგრამ ძალა მაინც ეყო, ტალღები წამოექოჩრა და ჩემი გამოქვაბულის შესასვლელი ამოევსო.

დენის ქოხში შეხედვასაც აღარ ჰქონდა აზრი. განთიადის სინათლეზე უკვე კარგად ჩანდა, როგორ წამოზრდილიყო ბალახი იმ ადგილზე, სადაც ადრე დენის ფეხით გათელილი ბილიკი იყო.

ძველი ნავსაყუდელი საზაფხულო კარჭაპებს ჩაემუქებინა, აქა-იქ ადრიანად გამოსულ ხალხსაც შენიშნავდით - ანძებს მართავდნენ და ზღვაში გასასვლელად ემზადებოდნენ.

ახალ ნავსადგურში მეტი ფუსფუსი იდგა. მისადგომ ბაქანზე მიბმული ნავეები მგზავრებს ელოდებოდნენ, - თევზაობაზე გადაგებულ ხალხს, რომლებიც ფულს უხვად ფანტავენ და სადამო ხანს იმდენი თევზი დაუგროვდებათ ნავში, რომ დაბნეულებმა, აღარც კი იციან, რა უქნან. ტომრები და კალათები სულ გატენილი აქვთ, გემბანზე მთასავით დაუხვავებიათ ქორჭილა, კაპარჭინა, ქაშაყი; საცოდავად სხმარტალებენ თევზები, სულს ღაფავენ, მერე ისევ ზღვაში გადაუძახებენ და თოლიების კერძს გახდიან. თოლიები გუნდ-გუნდად გროვდებიან და ელიან, იცნობენ ამ მოხალისე მეთევზეებს, იციან, რომ მალე თვითონვე აერევათ გული ამდენი თევზით და გადაყრიან. მთელ ტომარა თევზს ვინ დაუჯდება და ვინ გამოწლავს ან ვინ აწონის? დაჭერა უფრო ადვილია თევზის, ვიდრე მისი თავიდან მოცილება.

სარკესავით გლუვ ზღვაზე სპილენძისფერი სინათლე იღვრებოდა. არხის სათავეში ტივტივები ირწეოდა და თითოეულის ქვეშ წყლის სარკეში მეორე ასეთივე ტივტივა ირეკლებოდა.

ფლაგმტოკისაკენ შევბრუნდი და ომის მონაწილეთა ობელისკზე, შინ დაბრუნებულ გამირთა შორის, ჩემი გვარიც ამოვიკითხე. ასოები ვერცხლით იყო ამოტვიფრული - კაპიტანი ი. ა. ჰოული, ქვემოთ კი ოქროთი ამოტვიფრული გვარები 18 ნიუ-ბეიტაუნელი ჭაბუკისა, რომლებიც შინ დაბრუნებას ვერ ეღირსნენ. უმრავლესობის გვარები კარგად მახსოვდა და ბევრს ვიცნობდი კიდეც - არაფრით განსხვავდებოდნენ სხვებისაგან; ახლა კი იმით განსხვავდებიან, რომ იმათი გვარები ოქროთია ამოკვეთილი. ერთი წუთით ვინატრე, ნეტავ მეც მათთან ვიყო-მეთქი, ოქროს ასოებით ამოკვეთილი კაპიტანი ი. ა. ჰოული, ქვემოთა სიაში - ლაჩრებსა და

სიმულიანტებს შორის, არამზადებსა და გმირებში; მარტო მამაცებს კი არ ხოცავენ ომში. ეს არის, რომ უფრო ხშირად მამაცები იღუპებიან.

გასიებული უილი მოვიდა მანქანით, ჩამოხტა და უკანა სავარძლიდან დროშა გადმოიღო.

– გამარჯობა, ით, - მითხრა მან, - მერე დროშის ყური სპილენძის რგოლში დაამაგრა და ნელ-ნელა აღმართა ფლაგშტოკის თავზე. მიგპიგით დაეკიდა დროშა, თითქოს ვინმე ჩამოუხრჩვიათო, - უკვე გადასაგდება, - ქოშინით თქვა უილიმ, - აბა, ერთი შეხედე, კიდევ ორი დღე და ახალი უნდა გამოვფინოთ.

– ორმოცდაათვარსკვლავიანი?

– კარგად მიმიხვდი. ნეილონის დროშა გვაქვს, უშველებელი, ორი ამხელა იქნება, მაგრამ ორჯერ უფრო მსუბუქი.

– ქვეყნის საქმე როგორ არის, უილი?

– დიდი სამდურავი არ მეთქმის, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ეს ოთხი ივლისის დღესასწაული თავზას გვირევს. მით უმეტეს, ორშაბათს თუ დაემთხვა. მაშინ იკითხე უბედური შემთხვევები, ჩხუბი, ლოთობა... განსაკუთრებით ქალაქგარეთ. ჩაჯექი, მაღაზიაში მიგიყვან.

– მადლობელი ვარ. ფოსტაში უნდა შევიარო, თან იქნებ ერთი ფინჯანი ყავაც დავლიო.

– ოკეი. ფოსტამდე მიგიყვან. ყავაზეც შემოგყვებოდით, მაგრამ სტონი ძალღივით იღრინება.

– რა ღმერთი გაუწყრა?

– რა ვიცი. ორი დღით იყო წასული და ძალღის გუნებაზე დაბრუნდა.

– სად იყო?

– ეგ არ უთქვამს, მაგრამ ძალღის გუნებაზე კი დაბრუნდა. შედი ფოსტაში, მე აქ დაგიცდი.

– ნუ შეწუხდები, უილი, წერილები მაქვს გასაგზავნი.

– შენი ნებაა, - უკანა სვლით წავიდა და მთავარი ქუჩისკენ შეუხვია.

ფოსტაში ჯერ ისევ ბინდ-ბუნდი იდგა. იატაკი ახლახან გაეპრიალებინათ და იქვე წარწერა გამოეკრათ: ფრთხილად, ფეხი არ დაგიცურდეთ!

რაც ეს ფოსტა ააშენეს, ჩვენ სულ შვიდი ნომერი სააბონენტო ყუთი გვაქვს. ავკრიფე G1/2R და დახვავებული ქაღალდები გამოვიღე - სულ გეგმები და რეკლამები, „აბონენტის“ სახელზე. მეტი არაფერი ყოფილა, მხოლოდ ეს, სანაგვე კალათში ჩასაყრელი ქაღალდები. მთავარ ქუჩას დავუყევი, ყავას დავლევთ-მეთქი, მაგრამ რესტორანს რომ გავუპირისპირდი, აღარ მომინდა ყავა, ან იქნებ ვინმესთან გამოლაპარაკებას მოვერიდე, ანდა... ერთი სიტყვით, არ ვიცი, რატომ, მაგრამ „მთავარი ანძის“ კაფეში შესვლა აღარ მომინდა. ღმერთო დიდებულო, რამდენნაირი გრძნობა ბორგავს ხოლმე კაცის გულში... ქალის გულშიაც, რა თქმა უნდა.

დუქნის წინ ტროტუარსა ვგვიდი, როცა თელის ქუჩაზე მისტერ ბეიკერი გამოჩნდა და ბანკში შევიდა, რათა წმინდა ცერემონიალი ჩაეტარებინა, ხოლო როცა ნესვებს უხალისოდ ვალაგებდი ხონჩაზე, ძველებური მწვანეჯავშნიანი მანქანა მოადგა ბანკის შესასვლელს. კომანდოსებრით შეიარაღებული ორი მცველი ძარიდან გადმოხტა და ნაცრისფერი ფულის ტომრები ბანკში შეიტანა. ათ წუთში უკან გამოვიდნენ, ჯავშნიან ციხე-სიმაგრეში აძვრნენ და დაიძრა კიდეც მანქანა. ალბათ, დაუცადეს, ვიდრე მორფი დაითვლიდა ფულს, მისტერ ბეიკერი კი შეამოწმებდა და ხელწერილს მისცემდა. ხათაბალაა ფულის ანგარიში. ზიზღსაც კი იგრძნობ, როცა სხვის ფულს ანგარიშობო, მორფიმ იცის თქმა. ტომრებს სიდიდეზე ეტყობოდა, რომ ამ სადღესასწაულოდ ბანკი დიდძალი ფულის გაცემას მოელოდა. მე რომ უბრალო მძარცველი ვიყო, სწორედ დღევანდელ დღეს შევარჩევდი ყველაზე შესაფერისად; მაგრამ უბრალო მძარცველი როდი ვარ - ჩემმა გულითაღმა მეგობარმა ჯოიმ დამომოდვრა. კაციშვილი ვერ შეედრება ამ საქმეში, თვითონვე რომ მოიწადინოს. მიკვირს კი, ერთხელ მაინც რატომ არა სცდის, თუნდაც თავის თეორიის შესამოწმებლად.

დილიდანვე გახურდა ვაჭრობა. რასაც ველოდი, იმაზე უარესი დღე დამადგა. მზემ დააჭირა და საშინლად იკბინებოდა, ნიავი ოდნავლა თუ იძვროდა, ამისთანა სიცხეში კაცს არჩევანის თავი აღარ აქვს - სადაც მოახერხებს, იქეთ გასწევს საზაფხულოდ. მაღაზიაში რიგი გაჩნდა. როგორადაც არ უნდა დატრიალებულიყო საქმე, ერთი რამ მტკიცედ გადავწყვიტე - უსათუოდ თანაშემწე უნდა გამეჩინა. თუ ალენი არ გამოდგება, ავდგები და სხვას მოვიყვან.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა დუქანში მისტერ ბეიკერი შემოვიდა. ძალიან ეჩქარებოდა და ამიტომ მუშტრები ცოტა ხნით მივატოვე. საწყობში გავიყვანე მისტერ ბეიკერი.

ხელში ორი კონვერტი მომაჩეჩა - ერთი დიდი და ერთი პატარა. ისე ეჩქარებოდა, რომ სტენოგრაფიული სიძუნწით მომაყარა სიტყვები: – ტომ უოტსონმა, წყალი არ გაუვა, დაგირავებაზე ვერაფერს გეტყვიო. მგონი, არ უნდა ჰქონდესო. აგერ საბუთები. სადაც დანიშნული მაქვს, ხელი მოაწერე. ნომრები გადაწერილი და ჩანიშნული მაქვს. ეს ჩეკიც შევსებულია: ხელის მოწერაღა უნდა. ბოდიში, მეჩქარება, არ მიყვარს ნაჩქარევი საქმე.

– მაშ, მართლა მირჩევთ? ვცადო?

– რა ღმერთი გიწყრება, ითენ, ამდენი მაწვალე და ახლა...

– უკაცრავად, სერ, უკაცრავად. მართალი ბრძანდებით, - ჩეკი შედედებული რძის კოლოფზე დავდე და ქიმიური ფანქრით მოვაწერე ხელი.

ახლა აღარ გამოუჩენია მისტერ ბეიკერს ისეთი სიჩქარე - გულმოდგინედ შეამოწმა ჩემი ხელმოწერა

– პირველად ორი ათასი შეამლიე და მერე ორას-ორასობით მოუმატე. ნუ დაგავიწყდება, რომ ბანკში ხუთასი დოლარიღა გრჩება: ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ დაგჭირდეს ფული.

– საქმე თუ კარგად წავიდა, მაშინ დუქნის დაგირავებითაც ხომ შემიძლია ფულის სესხება?

– რა თქმა უნდა, მაგრამ პროცენტები შეგჭამს.

– არ ვიცი, რითი გადაგიხდით მადლობას.

– ნუ მოლბები, ითენ. თავს ნუ შეაცოდებინებ. ვიცი, რომ სულ დატკბება და დაითაფლება. ასე იციან იტალიელებმა. ყველაზე წინ საკუთარი თავი უნდა დააყენო.

– დიდი მადლობელი ვარ.

– აბა, წავსულვარ, - თქვა მან, - მინდა გავასწრო მთავარ გზატკეცილზე, სანამ ყველა გამოეფინებოდეს, - ფეთიანივით გავარდა, კინალამ გადააყირავა ზღურბლზე მისის უილოუ, რომელიც უკვე მეორეჯერ სინჯავდა სათითაოდ ყველა ნესვს.

მთელი დღე შეუწელებელი ფუსფუსი იდგა. სიცხემ, ეტყობა, გადარია ხალხი, სულ დააცოფა და გააჭირვეულა. გეგონებოდა, სადღესასწაულოდ კი არ ემზადებიან, რამე უბედურებას მოელიანო. ძალიანაც რომ მომენდომებინა, იმის დროსაც კი ვერ მოვძებნიდი, რომ მორფისთვის სენდვიჩი გამეტანა.

მარტო ხალხის მომსახურება რომ ყოფილიყო, ვინ დაეძებდა; ისედაც უნდა მჭეროდა თვალი ფხიზლად. მუშტრების უმრავლესობა საზაფხულოდ ჩამოსული უცხოელები იყვნენ. თუ კარგად არ უყურე, თვალსა და ხელს შუა აგწაპნიან რამეს. თითქოს უნებურად გაეპარებათ ხელი. ზოგჯერ იმისთანა საქონელს გააცოცებენ, რომ ატყობ, მაინცდამაინც არც კი სჭირდებათ. განსაკუთრებით დელიკატესის ქილებზე კარგავენ ჭკუას - ბატის ღვიძლის პაშტეტი, ხიზილალა, ქორფა სოკოს კონსერვი! ამიტომაცაა, რომ ამ კონსერვებს მარულო ყოველთვის დახლის შიდა თაროებზე მადებინებს, სადაც მუშტარი ვერ მისწვდება. ქურდის დაჭერა დუქანში საქმისათვის არ ვარგაო, მარიგებდა ხოლმე. ყველას აადლევებს, რადგან ვინ იცის, თავის გუნებაში მაინც იქნებ ყველა სცოდავდესო, ამიტომ ჯობს ეს ზარალი სხვას აზღვევინოო. როცა

შევნიშნავ, ვინმე საეჭვოდ მიუცოცდება თაროს, წინასწარვე ვიჭერ თადარიგს - „ეს მწნილი სწორედ კოქტეილს მოუხდება-მეთქი“, ჩავულაპარაკებ. დავკვირვებივარ, ცივად მოშორდება მუშტარი, თითქოს მისი ფიქრები წამეკითხოს. რატომ უნდა დასწამო ცილი ადამიანს? არ მიყვარს უსაფუძვლო ეჭვი. გული მომდის ხოლმე - გამოდის, ერთმა ბევრი უნდა შეურაცხოს.

დრო ისე ზანტად მიიზღაზნებოდა, ლამის ყელში ამომივიდა ის დღე. ხუთი უკვე გასული იყო, როცა დუქანში მთავარი პოლიციელი სტონი შემოვიდა. ჩამომხმარი, უცხვირპირო, გაბოროტებული. ტელევიზორში რომ რეკლამას უკეთებენ, ის სანოვაგე იყიდა - სოფლური ბიფშტექსი, სტაფილო, კარტოფილის პიურე, - ყველაფერი შეკმაზული და გამზადებული, ალუმინის კოლოფში ჩაციებული.

– თითქოს მზეს დაუკრავსო, უფროსო, ისეთი სახე გაქვს! - ვუთხარი მე.

– არა, მშვენივრადა ვარ, - მართლაც, საცოდავი შესახედავი იყო.

– ორი სადილი?

– ერთი. ცოლი სტუმრადაა. პოლიციელისთვის დღესასწაული არ არსებობს.

– ვერ არის კარგი საქმე.

– იქნებ, ასე სჯობდეს. ამ არეულობის დროს შინ მაინც არ მოგიწევს ჯდომა.

– სადღაც ყოფილხარ.

– ვინ გითხრა?

– უილიმ.

– მაგას ურჩევნია, მაგრად მოკუმოს თავისი გაფლაშული პირი.

– ცუდი კი არაფერი ჰქონია გულში.

– ცუდსაც ვერ მოახერხებს მაგისი ჭკუის პატრონი. იმდენ ჭკუას მაინც გამოიჩინდეს, რომ ოთხ კედელში არ გამოკეტონ.

– მაგის ჭკუა ვის ექნება? - ეს განგებ ვთქვი და, არც ველოდი, ისე გამიმართლა.

– ვითომ რა, მაგით რისი თქმა გასურს, ითენ?

– იმდენი კანონი შემოიღეს, კაცს ამოსუნთქვისაც გეშინია, კანონის დარღვევა არ გამომივიდესო.

– მართალი ხარ. ყველაფერს ვერ დაიხსომებ.

– ერთი რაღაც უნდა მეკითხა, უფროსო... დუქანს რომ ვალაგებდი, რევოლვერს წავაწყედი, ძველი, დაჟანგული რევოლვერია. მარულო ამბობს, ჩემი არ არისო. ჩემი, მით უმეტეს, საიდან იქნება! რა უნდა ვუქნა ამ რევოლვერს?

– მე ჩამაბარე. ნებართვის აღებას თუ არ მოისურვებ.

– მაშ, ხვალ წამოვიღებ შინიდან. ნავთის თუნუქაში ჩავაგდე. რას შვრებით ხოლმე, სტონი, ასეთ დროს?

– ჯერ გავარკვევთ, ვისია, მოპარული ხომ არ არის, და მერე ოკეანეში გადავუძახებთ.

თითქოს ოდნავ მოსულიერდა, იმისთანა ცხელი და გრძელი დღე იყო, რომ გამიკვირდა კიდევ.

– გახსოვს, ამ ორი წლის წინ რაღაც პროცესი იყო - პოლიციელებს ასამართლებდნენ ჩამორთმეული იარაღის გაყიდვისათვის!

ალიგატორის ტკბილი და მიამიტი ღიმილი გადაეშალა სახეზე სტონის.

– ეს კვირა ჩემთვის მთელი ჯოჯოხეთი გახდა, ით, მთელი ჯოჯოხეთი. ასე რომ, ჩხვლეტას მოეშვი, რაღად გინდა, ისედაც ჯოჯოხეთი გამოვიარე.

– უკაცრავად, უფროსო. იქნებ წესიერი მოქალაქე გამოგადგეთ რამეში. ვთქვათ, დაგველია ერთად?

– ნეტა კი შემეძლოს! არაფერი ისე არ მინდა, როგორც ერთი მაგარი გამობრუჟვა.

– რა გიშლის მერე?

– მაშ, არაფერი გაგიგია? ანკი საიდან გეცოდინება! ნეტა, მე თვითონ გამაგებინა მაგისი თავი და ბოლო.

– ვერ მივხვდი, რას მელაპარაკები!

– არც გინდა, დაივიწყე, ით, თუმცა რატომ... ნუ დაივიწყებ. შენ მისტერ ბეიკერის მეგობარი ხარ. ახალი ხომ არაფერი წამოუწყია?

– არც ისეთი გულითადი მეგობარი ვარ, უფროსო, რომ ეგ ვიცოდე.

– მარულო? მარულო სად წავიდა?

– ნიუ იორკში. თავისი ართრიტი უნდა გაასინჯოს.

– ღმერთო დიდებულო! ველარაფერი გამიგია. სულ ამეზნა თავგზა. რამე კვალისთვის რომ მიმაგნებინა, მერე მე ვიცი.

– რა უთავბოლოდ ლაპარაკობ, სტონი!

– მართალი ხარ, ზედმეტიც წამოვროშე.

– ჭკუით მაინცდამაინც ვერ დავიკვებნი, მაგრამ თუ გამანდობ და შეიმსუბუქებ...

– აჰ, არა, არასდიდებით. იმას მაინც არავის ვათქმევინებ, საიდუმლოს ვერ ინახავსო. დაივიწყე, ით, ხომ ხედავ, რა გაწამებული ვარ.

– მე რომ გამანდო, ამით არაფერი დაშავდება. სტონი, რა მოხდა - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იყო?

– შენც გცოდნია?

– ცოტათი.

– ამის უკან რა იმალება?

– პროგრესი.

სტონი სულ ახლოს მოვიდა ჩემთან და მკლავზე ისე მომიჭირა თავისი რკინის ხელები, რომ გამამწარა.

– ითენ, - მკითხა გაცოფებით, - რას იტყვი, მე კარგი პოლიციელი ვარ?

– საუკეთესო.

– ვცდილობ, საუკეთესო ვიყო. გულით მინდა. ით, რას იტყვი - თავის გადასარჩენად რომ მეგობრების გაცემა გაიძულონ, სწორი იქნება?

– არა. არ მგონია.

– მეც ასე ვფიქრობ. მაგისტანა მთავრობა შევარცხვინე. იცი, რა მაშინებს, ით, თუკი ჩემ საქმეს პატივს ვერ ვცემ, როგორღა უნდა ვიყო კარგი პოლიციელი?

– რაზე ჩაგავლეს, უფროსო?

– შენი არ იყოს, იმდენი კანონი შემოიღეს, ერთი მაგრად რომ ამოისუნთქო, უკვე კანონის დარღვევა გამოდის, ოჰ, იესო მაცხოვარო! ჩემი მეგობრები მაინც არ ყოფილიყვნენ... მაგრამ არსად წამოგცდეს, ითენ!

– არასდიდებით. შენი სატელევიზიო სადილი დაგავიწყდა, უფროსო.

– ჰო, მივალ სახლში, ფეხთ გავიხდი და ტელევიზორში პოლიციელების საქმიანობას ვუყურებ. ხომ იცი, მარტოკა რომ ხარ, უფრო კარგად ისვენებ. ნახვამდის, ით.

კაი ბიჭი იყო სტონი. კაი პოლიციელი. ნეტავ გამაგებინა, კვალი სად მიიყვანს.

ის იყო, დუქანი უნდა დამეკეტა, დავიწყე კიდეც ხილის ხონჩების ალაგება, რომ ჯოი მორფი შემოვიყალიბა.

– ჩქარა! - შევძახე მე. კარი მოვხურე და მწვანე ფარდები ჩამოვუშვი, - ჩურჩულით ილაპარაკეთ.

– რა მოგივიდათ?

– კიდეც არ მოუნდეთ რამის ყიდვა?

– ეჰ! მიგიხვდით. ღმერთმა დასწყევლოს ეს გაჭიანურებული დღესასწაულები. რაც კი რამ ცუდი აქვს ადამიანს, არ იქნება, ასეთ დღეებში არ გამოამჟღავნოს. დილით ცოფიანივით გამოცვივდებიან ხოლმე, საღამოზე კი მოჩვართულ-მოთენთილები ბრუნდებიან შინ.

– ყელს არ გაისველებთ, მანამ აქაურობას მივალაგებდე?

– არ იქნება ურიგო. ცივი ლუდი გაქვთ?

– აქ დალევა არ შეიძლება.

– აქ არ დავლევ, თქვენ ოღონდ გამიხსენით.

ორი სამკუთხა ნახვრეტი გავუჭერი ხუფში და მორფიმ ხელადვე მოიყუდა, პირი დაალო და ჩაცალა.

– იფ! - თქვა მან და ქილა დახლზე დადო.

– ჩვენც მივემგზავრებით.

– საით, თქვე საცოდავებო?

– არ ვიცი, ჯერ არ დაგვირტყამს მაგ საგანზე ერთმანეთისათვის.

– რაღაც ხდება ჩვენ ირგვლივ. რა უნდა იყოს, არ იცით?

– იქნებ მიმახვედროთ?

– მე თვითონ არ ვიცი. ისე ვგრძნობ.

– კეფა მეფხანება. ეს კი უტყუარი ნიშანია. ცოტად თუ ბევრად, ყველა ამოვარდა კალაპოტიდან.

– იქნებ გეჩვენებათ.

– ვინ იცის, მაგრამ მისტერ ბეიკერი უქმეებზე ქალაქიდან არასოდეს გასულა. ახლა კი ერთი სული ჰქონდა, მანამ წავიდოდა. გამეცინა

– წიგნები არ გადაქექეთ?

– იცით რა, მართლა შევამოწმე.

– ხუმრობთ.

– ერთ ფოსტმაისტერს ვიცნობდი, პატარა ქალაქში. ვიღაც შტერი ბიჭი მუშაობდა მასთან, რაღფი ერქვა. - გამოხუნებული თმა, სათვალე, მოციცქნილი ნიკაპი, ჩიყვივით გამობერილი ადენოიდები. მარკების ქურდობაზე ჩაავლეს ამ რაღფს - კარგა ბლომად მოეპარა, ათას რვაასი დოლარისო, მგონი. ვერაფერს გახდა. შტერს რა უნდა მოჰკითხო!

– თქვენ ისე ამბობთ, თითქოს არ მოუპარავსო.

– რა მნიშვნელობა აქვს - მოიპარა, არ მოიპარა. მე მუდამ გაფაციცებული ვარ ხოლმე. ჩემზე თუ იქნა დამოკიდებული, არასოდეს ჩავვარდები.

– ცოლ-შვილსაც ამიტომ არ მოეკიდეთ, ხომ?

– ვინ იცის, ნაწილობრივ იქნებ ეგეც იყოს მიზეზი.

– წინსაფარი დაგვეცე და უჯრაში ჩავდე, სალაროს ქვეშ.

– რამდენი დრო და ხათაბალა დასჭირდება, ყველას რომ ეჭვით დაუწყოთ ცქერა, ჯოი. მე მაგისი დრო ვინ მომცა.

– ბანკში თუ მუშაობ, დროც უნდა გამოძებნო. ერთი რომ გამოგრჩეს, მორჩა. უბრალო გადაჩურჩულება კმარა.

– ვითომ ასეთი ეჭვიანი ხართ?

– ალლოთი ვგრძნობ. ოდნავ რომ გადაბრუნდეს საქმე, მაშინვე საგანგაშო სიგნალები ამიმოდრავდება.

– ამასაც ცხოვრება ჰქვია?! ხუმრობთ, ალბათ!

– ვხუმრობ, მართალი ხართ. ოღონდ, თუ რამეს მოჰკრათ ყური, უსათუოდ შემატყობინეთ. - მე თუ შემეხება, რა თქმა უნდა.

– თუკი რამე ვიცი, ყველას სიამოვნებით ვუამბობ. ალბათ, ამიტომაც, რომ მე არავინ არაფერს მიაბზობს. შინ მიდიხართ?

– არა. რესტორანში ვჭამ რამეს.

ვიტრინის სინათლე გამოვრთე.

– მოდი, ხეივანს დავუყვით. ხვალ დილიდანვე მოგიზადებთ სენდვიჩებს, მანამ ხალხი მოაწყდება. ერთი ლორით, ერთი ყველით ჭვავის პურზე, სალათი და მაიონეზი, ხომ ასეა, და ერთი ბოთლი რძე.

– ნამდვილი საბანკო კაცი ხართ, - მითხრა მან.

ხომ მარტოდმარტო ცხოვრობდა ეს კაცი, დარწმუნებული ვარ, სხვებზე მეტად მაინც არ გრძნობდა ამ მარტოობას. „მთავარი ანძის“ შესასვლელთან დავშორდით ერთმანეთს და ერთი წამით გულიც კი დამწყდა, ნეტავ მეც შემძლებოდა შეყოლა-მეთქი. წარმოვიდგინე, რა ალიაქოთი დამხვდებოდა შინ.

გამართლდა კიდევ ჩემი ვარაუდი. მერის უკვე დაეწყო ჩვენი მოგზაურობის გეგმა. მონტოკის კონცხის მახლობლად ერთი უბადრუკი რანჩოა - მოზრდილებისათვის გადაღებული კოვბოური ფილმები რომ გინახავთ, სწორედ იმ ყაიდაზე მორთულ-მოწყობილი. გემო იმაშია, რომ ეს გახლავთ მთელ ამერიკაში უძველესი რანჩო. ჯერ ტენასის ხსენება სად იყო, ეს რანჩო რომ არსებობდა. თავდაპირველად ჩარლზ მეორეს უბოძებია ამისი გუჯარი. რაც ნიუ-იორკს ხორცი სჭირდება, იმის საქონელს სულ აქ ამოვებდნენ ხოლმე, მწყემსებს კი, ნაფიცი მსაჯულების მსგავსად, წილისყრით ირჩევდნენ, განსაზღვრული ვადით. ახლა გულის გადასაყოლებლად არის ეს რანჩო, მაგრამ ნახირი ახლაც ძოვს მინდვრებში. კვირა ღამის სადმე სოფლის სასტუმროში გატარება მერის მომხიბლავ იდეად ესახებოდა.

ელენს ნიუ-იორკისკენ მიუწევდა გული, იქ სასტუმროში დაბინავება და თაიმს-სკვერზე ორი დღის გატარება სურდა. ალენს კი სულაც არ ეპიტნავებოდა შინიდან წასვლა. ასე იცის ხოლმე - რითიმე უნდა მიიქციოს ყურადღება და გაჩვენოს, მეც კაცი ვარო.

მთელი სახლი მღელვარებით ცახცახებდა. ელენი ჩუმ, მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა; გაგულისებულ მერის სახე წამოჭარხლებოდა და ერთიანად მოშლილიყო; გაბუსხული ალენი კუთხეში მიმჯდარიყო, თავისი პატარა რადიო მოემარჯვებინა და ვიღაც დედაკაცს უგდებდა ყურს, რომელიც გამწარებული კნავილით გაცრუებულ სიყვარულს მისჩხაოდა; „ერთგულებას რომ შემპირდი, ასე რად მიმატოვე, გული რისთვის გამისრისე, რისთვის ამითვალწუნე?!“

– ღამის ყველაფერს მივანებო თავი, - წამოიძახა მერიმ.

– ესენიც ვითომ გეხმარებიან!

– ესენი იმას ცდილობენ, რაც შეიძლება, გამამწარონ.

– არაფერი ჩემთვის არ შეიძლება, - სლუკუნებდა ელენი.

სასტუმრო ოთახში ალენმა რადიო ააღრიალა - „გული რისთვის გამისრისე“...

– ჩაკვეტოთ სარდაფში ესენი და ჩვენ თვითონ წავიდეთ, ჩემო სტაფილო.

– ახიც იქნება, - ყვირილით მიჰასუხა მერიმ, რომ „გასრესილი გულის“ ბლავილში როგორმე გამეგონა.

ერთბაშად ცოფმა მომიარა. მივტრიალდი და სასტუმრო ოთახისკენ გავემართე, რათა სულ დამეგლიჯა ჩემი ვაჟიშვილი და მისი „გასრესილი გული“ ფეხით გამეთელა. მაგრამ კარის ზღურბლს რომ გადავაბიჯე, მუსიკა შეწყდა. „ამით ვწყვეტ კონცერტს და გადმოგცემთ საგანგებო ინფორმაციას. დღეს ნიუ-ბეიტაუნისა და უესექსის ოლქის მმართველებმა უწყებები მიიღეს, რათა ნაფიცთა სასამართლოს წინაშე წარდგნენ და პასუხი აგონ მოძრაობის წესების დარღვევისათვის, ჯარიმის ფულის მითვისების, მექრთამეობისა, და სხვადასხვაგვარი გამოძალვის“...

გაებნენ - მერიც, მუნიციპალიტეტიც, მოსამართლეებიც. მთელი საქმე გაიხსნა. ვისმენდი და თითქოს არც მესმოდა, გულზე რაღაც დამაწვა და დამამძიმა. იქნება მართლაც მიუძღვით ეს დანაშაული, მაგრამ იმდენი ხანია ამას სჩადიან და ისე მიეჩვივნენ, რომ დანაშაულად აღარც მიაჩნიათ. თუნდაც არ იყვნენ დამნაშავენი, ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე თავის გამართლებას მაინც ვერ მოასწრებენ და ეგეც არ იყოს, თუნდაც სულ გამართლდეს ადამიანი, მისი პასუხისგებაში მიცემის ამბავი მაინც ყველას ახსოვს. მორჩა, გაძაგრეს. ალბათ, თვითონაც გრძნობენ ამას. სმენა გავამახვილე, იქნებ სტონის გვარიც გავიგონო-მეთქი, მაგრამ არ უხსენებიათ. ეტყობა მან გასცა, რათა თვითონ დაეძვრინა თავი. რაღა გასაკვირია, ისე აფორიაქებული და დამმარებული რომ იყო.

მერი კარში იდგა და ისმენდა.

– შეხედე, ერთი - თქვა მან, - რამდენი ხანია, ასეთი არაფერი მომხდარა ჩვენს ქალაქში, ვითომ მართალი იქნება, ითენ?

– მაგას რაღა მნიშვნელობა აქვს, - ვუთხარი მე, - განა მაგის გამოა წამოწყებული ეგ საქმე.

– ნეტავ მისტერ ბეიკერი რას ფიქრობს?

– ის სადღესასწაულოდ წავიდა. ნეტავ მართლა რას ფიქრობს? ალენი უკმაყოფილოდ აწრიალდა, მუსიკა რომ გაუწყვიტეს.

ამ ინფორმაციამ, სადილმა და ჭურჭლის რეცხვამ გამგზავრებაზე მოლაპარაკება გადადო, ხოლო შემდეგ უკვე მეტისმეტად გვიან იყო, რაიმე გადაწყვეტილება მიგველო, ან არადა ისევე ჩხუბი და ტირილი წამოგვეწყო.

ლოგინში რომ ჩავწექით, კანკალმა ამიტანა. ცივმა და უმოწყალო ულმოობლობამ სისხლი გამიყინა, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის თბილი ღამე იდგა.

– როგორ აგბურბგლა, გენაცვალე, - მითხრა მერიმ, - ვირუსული გრიპი ხომ არ შეგეყარა?

- არა, ჩემო ოცნებავ, რა დღეში იქნებიან-მეთქი, წარმოვიდგინე. ჯოჯოხეთი უტრიალებთ, ალბათ, გულში.
- კარგი, ითენ. ყველას უბედურებას ხომ ვერ მიიტან გულთან!
- ეტყობა, მიმაქვს.
- ნეტა, რა ბიზნესმენი უნდა დადგეს შენგან? მგრძნობიარე ხარ, ითენ. შენ რა ბრალი მიგიძღვის იმათ საქმეში!
- მე კიდევ იმას ვფიქრობდი, იქნებ ჩვენ ყველა დამნაშავენი ვიყოთ-მეთქი.
- ვერა გამიგია რა.
- მეც ვერაფერი გავიგე, ჩემო სულო და გულო.
- ვინმესთან დატოვება რომ შეიძლებოდეს!
- რაო, ჩემო კოლომბინა?
- როგორ მინდა, მე და შენ მარტო გავატაროთ ერთი დღესასწაული მაინც. რამდენი ხანია აღარ გვღირსებია.
- კარგი იქნებოდა, ვინმე მარტოხელა მოხუცი ნათესავი ქალი გვყოლოდა. აბა, ერთი დაფიქრდი. ცოტა ხნით რომ შეიძლებოდეს მაგათი დამარილება ან მწნილად ჩადება! იქნებ მოიფიქრო რამე, მერი, ჩემო მადონა. ისე მინდა სადმე უცხო ადგილას წავიდე შენთან ერთად! ვიყიალეზბდით დიუნებში, ღამით შიშვლები ვიცურავებდით და მერე სულ აგწეწავდი გვიმრის ლოგინში!
- ვიცი, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო. ვიცი, რა დღეში ხარ. შენ გგონია, ვერ ვხვდები?
- მოდი, უფრო მომეკარი, მოვიფიქროთ რამე.
- მცირა კიდევ და მცხელა კიდევ, სავსეც ვარ და სულგამოფიტულიც... გადავიღალე.
- მოვიფიქრებ რამეს. უსათუოდ. ბავშვები როგორ არ მიყვარს, მაგრამ...
- მესმის, მეც ჩემს წინწკლებიან ბაფთას გავიკეთებდი...
- ციხეში რომ ჩასვან?
- ნეტა, მართლა...
- იმ ხალხზე გეუბნები.

– არა. რაში სჭირდებათ. სასამართლოს იქითა სამშაბათამდე ვერ შეყრიან, ხუთშაბათს კი არჩევნებია. ყველაფერი გამოზომილი აქვთ.

– ეს რა ცინიზმია, ითენ! სულ არ გიხდება. უსათუოდ წავიდეთ, რაკი ასეთი ცინიკოსი გახდი - ეს შენ ხუმრობით არ გითქვამს, ზედვე გეტყობა. შენს ხუმრობას მაშინვე ვხვდები. ახლა სერიოზულად თქვი.

შიშმა შემიპყრო. მაშ, შემეტყო რამე? ეს არაფრის დიდებით არ შეიძლება.

– ჰა, პატარა თავუნია, ცოლად არ გამომყვები?

– ოჰო! - თქვა მერიმ.

მაგრად კი დავფეთდი - არაფერი შემეტყოს-მეთქი. თავი კარგა ხანია დავარწმუნე, რომ თვალები სრულებითაც არ არის სულის სარკე. რამდენი აშარი დედაკაცი მინახავს, სახე და თვალები ანგელოზისა ჰქონიათ. ისეთებიც გამოერევა, სულში რომ ჩაგხედავენ და შენს გულისნადებს ამოიკითხავენ, მაგრამ ძალიან ცოტა. ხალხის უმრავლესობას საკუთარი თავის მეტი არაფერი აინტერესებს. ერთხელ ერთი კანადელი გოგო რაღაც ამბავს მომიყვა, რასაც თურმე გულისხმაში ჩაეგდო და მეც დამაფიქრა. ეს გოგო წარმოშობით შოტლანდიელი იყო. როცა წამოვიჩიტეო, იმ გოგომ მითხრა, მეჩვენებოდა, თითქოს ყველა ამრეხით მიცქერდაო. თურმე სულ წითლდებოდა და ცრემლით იხრჩობოდა. ბოლოს თავისმა მთიელმა პაპამ რომ შენიშნა, როგორ იტანჯებოდა საწყალი გოგო, თურმე შეუტია, „ნეტავ რა გაწუხებს, მართლა თუ გგონია, რომ შენთვის სცხელა ვინმეს“. მაშინვე მოშვებოდა იმ გოგოს გულზე და მას შემდეგ მეც უფრო თვითდაჯერებული გავხდი, რადგან ეს მეც მენიშნა. მაგრამ მერი ხომ თავისივე დარგული ვარდების თალარში ცხოვრობს და ახლა რაღაც ენიშნა, რაღაც ეუცნაურა. ეს კი საშიში იყო, რადგან ხვალინდელი დღე ჯერ წინ მედო.

ერთბაშად რომ მომსვლოდა ეს ჩემი გეგმა თავში - უკვე დამუშავებული და მომზადებული - ალბათ, მაშინვე უარვყოფდი, როგორც სისულელეს. აბა, ამისთანა საქმეს ვინ გააკეთებს, თამაშით კი ხშირად თამაშობენ ხოლმე საიდუმლო თამაშს. ეს ჩემი თამაში მაშინ დაიწყო, როცა ჯოიმ ბანკის გაქურდვის ხერხები მასწავლა. ჩემი მუშაობით გულგაწყალებული ამ თამაშით ვერთობოდი ცოტას და ყველაფერი უწყობდა ხელს თამაშს - ალენი და მისი თავის ნილაბი, ტუალეტის მოშლილი ავზი, დაჟანგული რევილვერი, მოახლოებული დღესასწაულები, ჯოიმ რომ ქაღალდით დაამაგრა კარი, ისიც. ჩავები ამ თამაშში და თან დროს ვითვლიდი, ვვარჯიშობდი, ვეჩვეოდი. ბოლოს და ბოლოს, ყაჩაღებიც ხომ თავის დროზე ბავშვები ყოფილან, პატარაობიდანვე შესჩვევიან სათამაშო დამბაჩის სროლას და ისე დახელოვნებულან, რომ ხელი რევილვერისკენ გაურბით.

ვერ ვიტყვი, როდის დაკარგა ამ ჩემმა თამაშმა თამაშის ხასიათი. ეგებ მაშინვე, როცა დავრწმუნდი, მაღაზიის ყიდვა იქნებოდა შესაძლებელი და ამისთვის კი ფული

დამჭირდებოდა. ეგეც რომ არ იყოს, ძნელია, ასე უნაკლოდ დაწყობილი გეგმა გადაადგო და ნამდვილ საქმეზე არ გამოსცადო. უსინდისობას თუ ვიტყვით - ბოლოს და ბოლოს, ეს ბოროტმოქმედება ფულის მიმართ არის და არა ადამიანებისა. არავის არაფერი დაუშავდება. ფული დაზღვეულია. დანაშაული ის არის, რაც ადამიანების წინააღმდეგ იყო მიმართული - დენისა და მარულოს წინააღმდეგ. ისე თუ გამომივიდა ყველაფერი, როგორც მინდა, ქურდობა რა სახსენებელია. მით უმეტეს, რომ ეს დროებითია. აღარასოდეს განმეორდება. თანაც, მანამდე მქონდა ყველაფერი აწონილ-დაწონილი და გამოანგარიშებული, სანამ მივხვდებოდი, რომ ეს უკვე თამაში აღარ იყო. სათამაშო დამბაჩამომარჯვებულმა ბიჭმა უცებ იგრძნო, რომ ხელში ნამდვილი რევოლვერი ეჭირა.

ხიფათს ვინ დაემალემა. ქუჩას რომ ჰრი ან ხის ქვეშ რომ გაივლი, მაშინაც კი მოსალოდნელია ხიფათი. არა მგონია, შიში მქონდეს. იმდენი ვივარჯიშე, რომ შიში სულ გამიქრა; ღელვით კი ვღელავდი, როგორც მსახიობი პრემიერაზე ფარდის ახდის წინ. და როგორც ნამდვილი თამაშის დროს, ახლაც ყოველგვარი მარცხი თუ დაბრკოლება წინასწარვე მქონდა გათვალისწინებული.

არ მეგონა, ასეთ ღელვაში თუ დამეძინებოდა, მაგრამ დამეძინა და კარგა მაგრადაც, მგონი, სიზმრებსაც არ შევუწუხებვიარ და ჩვეულებრივზე უფრო გვიან გამეღვიძა. განთიადის ბინდბუნდს ნერვების დამამშვიდებელ ოცნებაში გავატარებ-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ თვალი რომ გავახილე, ძროხის კუდი ისე გარკვევით გავარჩიე ტბაზე, ეტყობოდა, ნახევარი საათის გათენებული მაინც იქნებოდა. ისე წამოვვარდი ლოგინიდან, გეგონებოდა, საშინელი აფეთქების ტალღა დამრულაო. ასეთი უეცარი გაღვიძების დროს ადამიანს შეიძლება ძარღვები დაეჭიმოს. მერიც კი გავაღვიძე, ისე შეინჯღრა ლოგინი.

– რა მოხდა?

– დამაგვიანდა.

– სისულელეა, ჯერ ადრეა.

– არა, ჩემო აბლატიუსო. ჯოჯობხეთური დღე მელის. ყველას დღეს მოუნდება საბაყლო მაღაზია. შენ იწევი.

– კარგად უნდა ისაუზმო.

– იცი, რას ვიზამ? „მთავარი ანძიდან“ მუყაოს ფინჯნით ყავას წავიღებ და მარულოს თაროებს მგელივით დავაცხრები.

– ნამდვილად?

– შენ მოისვენე, პატარა თაგუნია, და იმაზე იფიქრე, ჩვენს საყვარელ ბავშვებს თავი როგორ დავაღწიოთ. ეს უსათუოდ საჭიროა. არ გეხუმრები.

– ვიცი, რამეს მოვიფიქრებ.

სანამ კიდევ მოასწრებდა ჩემთვისვე საკეთილდღეო რჩევა-დარიგების მოცემას, მე ჩავიცვი და შინიდან გამოვედი.

ჯოი უკვე კაფეში იჯდა და რომ დამინახა, გვერდით სკამზე დაატყაპუნა ხელი, მიმიწვია.

– არ შემიძლია, მორფი. დამაგვიანდა. ანი, იქნებ მუყაოს დიდი ბოთლით გამატანო ყავა.

– ორ პინტს გაგატან, თუ გინდა, ით!

– ორი პინტი იყოს. მით უკეთესი.

ყავა მუყაოს პატარა ბოთლებში ჩამისხა და ქალაღის პარკში ჩამილაგა. ამასობაში ჯოიმაც გაათავა ყავა და ერთად გამოვედით.

– დღეს უეპისკოპოსოდ მოგიწევთ წირვა.

– ასე გამოდის.

– ახალი ამბები როგორ მოგწონთ?

– ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს.

– გახსოვთ, რაღაცის სუნი მომდის-მეთქი, რომ გითხარით?

– რადიოს რომ ვისმენდი, მაშინვე თქვენ გამახსენდით. ძალიან მგრძნობიარე ცხვირი გქონიათ.

– ჩემი ხელობის ხალხს ასე მოსდგამს. ახლა კი დამშვიდებით დაბრუნდება ბეიკერი. თუ დაბრუნდა.

– თუ დაბრუნდა?

– არაფერი გენიშნათ?

უმწეოდ შევხედე.

– ვგრძნობ, რომ რაღაც ხდება, მაგრამ რა უნდა იყოს, ვერ მივმხვდარვარ.

– ღმერთო დიდებულო!

– უნდა ვხვდებოდე, ხომ?

– რა თქმა უნდა. კლანჭების კანონი ჯერ არ გაუქმებულა.

– ო, ღმერთო ჩემო, რამდენი რამე არ ვიცი ამ ქვეყანაზე. თქვენ, მგონი, სალათიც გიყვართ და მაიონეზიც არა?

– ისიც და ისიც, - სიგარეტს ცელოფანის ქაღალდი შემოახვია, დაჭმუჭნა და კლიტის ჭრილში შედო.

– წავედი, - ვთქვი მე, - დღეს ჩაის საგანგებო ვაჭრობაა დანიშნული, კოლოფის ხუფს ჩააბარებ და საჩუქრად ბავშვს მიიღებ! ქალები არავინ გყავთ ნაცნობი?

– კი მყავს, მაგრამ მაგისტანა საჩუქარი ყელში ამოსდით. სენდვიჩებს ნუ მომიტანთ, ნუ შეწუხდებით, მე თვითონ გადმოვალ.

კარი მიიხურა, მაგრამ დაკეტვის ხმა არ გამიგონია. ჯოი, ალბათ ვერასოდეს გაიგებს, რომ მისთანა მასწავლებელი მე არასოდეს მყოლია. გამა მარტო თეორიულად მასწავლიდა, საქმიანად მაჩვენებდა და თან გზასაც მიხსნიდა.

ვინც კი ამისთანა საქმეში ერკვევა - ნამდვილი მცოდნე და გამოცდილი ხალხი - ერთხმად გაიძახის, ფულმა ფული იცისო. ყველაზე საუკეთესო გზა - ყველაზე უბრალოა ხოლმე. ჩემი გეგმის მთელი ძალა მისი საოცარი უბრალოება იყო. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ოცნება ოცნებადვე დარჩებოდა, რომ მარულო თავისივე წინდაუხედაობით უფსკრულის პირას არ აღმოჩენილიყო. მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა ჩემი ძალა მოფარფატე ოცნება მიწაზე, როდესაც დავრწმუნდი, რომ სულაც არ იყო შეუძლებელი, მაღაზია ჩემი საკუთრება გამხდარიყო. თითქოს ბუნებრივი, მაგრამ სინამდვილეში უსაფუძვლო შეკითხვა შეიძლება დაებადოს ადამიანს: თუკი მაღაზიას ჩაიგდებ ხელში, ფული რაღად გინდაო? მისტერ ბეიკერს არ დაებადებოდა ასეთი კითხვა, არც ჯოის და, ამ შემთხვევაში, არც მარულოს. საბრუნავი კაპიტალი თუ არა გაქვს, ისე მაღაზიის ქონას არქონა ჯობს. გაკოტრების აპიური გზა სულ ღარიბ და მფარველობას მოკლებულ საქმოსანთა საფლავეებით არის მოფენილი. ერთი საფლავი უკვე მეცა მაქვს იქ. ყოვლად უგუნური სარდალიც კი არ მიაყრის მთელ თავის ძალასა და რესურსებს გარღვევაზე, თუ მარაგში არც სამარქაფო ჯარი ჰყავს და არც ნაღმმტყორცნებისა თუ სხვა იარაღების ხელუხლებელი ფონდი. მართალია, შარვლის უკანა ჯიბე მერის ფულით მაქვს გამოტენილი, მაგრამ ამას ხომ მარულო წაიღებს, რამდენსაც მოახერხებს. აგერ იმ თვის პირველიც ახლოვდება. საბითუმო ფირმები მაინცდამაინც ხელგაშლილად როდი აწვდიან საქონელს ისეთ სავაჭროებს, რომელთაც ჯერ ნდობა არ დაუმსახურებიათ. ამიტომ მჭირდებოდა ფული და ის იმ ჩხაკუნა რკინის კარის უკან მელოდებოდა. ამ ფულის მოპოვების ხერხი და საშუალება აქამდე თუ მხოლოდ ოცნებაში მესახებოდა, ახლა უკვე რეალური და ხელშესახები გახდა. მარცვა რომ კანონის დარღვევაა, ეგ იმდენად როდი მაწუხებდა. არც მარულოს ბედს შევუწუხებვიარ დიდად: ახლა კი მსხვერპლი გახდა, მაგრამ სხვა დროს თვითონაც ასეთ გეგმას დააწყობდა. დენი არ მაძლევდა მოსვენებას, თუმცა კარგად ვიცოდი, რომ მისი საქმე უკვე გათავებული იყო. რაც მისტერ ბეიკერმა სცადა და ვერ მოახერხა, მხოლოდ ის გავუკეთე მე დენის და ეს

თითქოს ამართლებდა ჩემს მოქმედებას, სხვებს ამდენი საბაბიც არ დასჭირდებოდათ. მაგრამ დენის გახსენება მაინც გულგვამს მიწვავდა. ეს ისეთი ტკივილი იყო, როგორც მოგებულ ბრძოლაში მიღებული ჭრილობა. ამ ჭრილობით უნდა ვიცოცხლო, იქნებ თანდათანობით განიკურნოს კიდეც, ან დავიწყების საბურველში გაეხვიოს, როგორც ნაღმის ნამსხვრევს შემოეხვევა ხოლმე ხრტილი.

ახლა ფულის შოვნა იყო ჩემი გადაუდებელი საქმე და აქაც ყველაფერი გულმოდგინედ მქონდა აწონ-დაწონილი და გამოანგარიშებული, როგორც ელექტრო-მექანიზმი.

მორფის კანონები კარგი გამოდგა, კარგადაც შევითვისე, ის კი არა და ერთი კანონი მეც წავუმატე. პირველი კანონი? არაფერი ჩირქისმომცხები არ უნდა გქონდეს წარსულში. არც მაქვს. მეორე: არც თანამონაწილე, არც შენი საიდუმლოს მცოდნე ვინმე! დანამდვილებით შემიდლია ვთქვა, რომ არც ერთი მყავს და არც მეორე. ქალის სახსენებელიც არ უნდა იყოს! კაცმა რომ თქვას, ჩემს ნაცნობ ქალთაგან მხოლოდ მარჯი იანგ-ჰანტი შეიძლება ასეთ ქალად მივიჩნიოთ, მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს შამპანიური მისი ფაჩუჩებით დავლიო. მეოთხე: ფულით ბაქიაობას არ უნდა მოჰყვე! ან რაში მჭირდება?! გამოვიზოგავ და საბითუმო ვაჭრობისთვის ვიხმარ ხოლმე ცოტ-ცოტაობით. შესანახი ადგილი მომეპოვება. ტამრელი რაინდების ქუდი რომ მაქვს, იმის ყუთში ფსკერზე ხავერდია გადაჭიმული, სწორედ ჩემი თავის სიდიდისა და ფორმის. მოვამძრე ფსკერი ამ ყუთს და გავამზადე, ნაპირები კი ცემენტით ამოვუგლისე, რომ რა წუთშიც დამჭირდება, თავის ადგილზე მოვათავსო.

რომ მიცნონ? მიკი მაუსის ნიღაბს გავიკეთებ. მარულოს ძველ საწვიმარს ჩავიცვამ - ეს ყავისფერი საწვიმრები სულ ერთმანეთს ჰგავს - ხელებზე ცელოფნის ხელთათმანებს წამოვიცვამ, რა წუთშიაც მოვინდება, წაიძრობ. ნიღაბი ამ რამდენიმე დღის წინ გამოვჭერი. ნიჩბის ყუთი და კორნფლეკსი კი ტუალეტში ჩავუმახე, მერე ნიღაბსა და ხელთათმანებსაც მათ მივაყოლებ. ძველი მოვერცხლილი „აივორ ჯონსონი“ ლამპის ბოლით გავმურე. ტუალეტში ქილით საპოხი ზეთი მიდგას. ჯერ იმ ზეთში ჩავუშვებ, მერე კი, როცა მოვახერხებ, სტონის ჩავაბარებ.

დასასრულ, ერთი ჩემი საკუთარი კანონიც დავუმატე: ნუ იღორებ! ბევრს ნუ მოხვეტ და მსხვილი ფულის წამოღებასაც ერიდე. ექვსიდან ათი ათასამდე, ათ და ოც-დოლარიანები თავზე საყრელად გეყოფა. კარგადაც დამალავ და არც მოხმარება გაგიჭირდება. ტორტის კოლოფი, აგერ მაცივარზე რომ დგას, ხელის მოსანაცვლებლად გამოდგება, ხელადვე გაიცვლება, ტორტი ჩაიდება და ისევ თავის ადგილზე გაჩნდება. იმ საშინელი ლერწმის მილით ვცადე ხმის შეცვლა, მაგრამ მერე გადავიფიქრე. უხმოდ - ჟესტებით მოქმედება ვარჩიე. ერთი სიტყვით, ყველაფერი მოფიქრებული და გამზადებული მქონდა.

თითქმის მწყინდა კიდეც, რომ მისტერ ბეიკერი წასული იყო. მარტო მორფი, ჰარი რობიტი და ედით ოლდენი იქნებიან. ყველაფერი წამობით მქონდა

გამოანგარიშებული. ცხრას რომ ხუთი დააკლდება, ცოცხს შესასვლელში დავდებ... ვიმეორებდი და ვიმეორებდი მთელი მოქმედების გეგმას. წინსაფრის კალთების ამოკაპიწება, ტუალეტის ჯაჭვზე საწონის დამაგრება, რათა წყალმა გამუდმებით იდინოს. ვინც არ უნდა შემოვიდეს, ჩხრიალს გაიგონებს და სათანადო დასკვნას გამოიტანს. საწვიმარი, ნილაბი, ტორტის კოლოფი, რევილოვერი, ხელთათმანები. დარეკავს თუ არა ცხრა, ქუჩას გადავჭრი, გვერდითა კარს შევალე, ნილაბს ავიკრავ და როცა საათის გუგუნის მიწყდება და ჯოი სეიფს გააღებს, შევვარდები. რევილოვერს მოვიმარჯვებ და სამივეს ძირს განრთხმას ვუბრძანებ. თავს არ გამოიდევენ. აკი ჯოიმ თვითონვე თქვა, ფული დაზღვეულია, მე კი არაო. ფულს გამოვიღებ, ტორტის კოლოფში ჩავყრი, ქუჩას გადმოვჭრი, ხელთათმანებსა და ნილაბს ტუალეტში ჩავუძახებ, რევილოვერს ნავთში ჩავუშვებ, საწვიმარს გავიხდი, წინსაფრის კალთებს ჩამოვუშვებ, ფულს ქუდის კოლოფში შევინახავ, ცოცხს ავიღებ და ტროტუარის დაგვას მოვყვები; განგაშს რომ ატეხენ, ყველას დასანახად ქუჩის ხვეტაში ვიქნები გართული. ერთი წუთი და ორმოცი წამი სჭირდება მთელ ამ საქმეს; ეს გამოანგარიშებული და ათასჯერ შემოწმებული მქონდა. მაინც ვლელავდი და სუნთქვა მეკვროდა. ქუჩის კარის გაღებამდე დუქანს ვგვიდი. გუშინდელი წინსაფარი ავიფარე, რომ ახალგაუთოებული წინსაფრის ნაკეცი თვალში არავის სცემოდა.

და წარმოგიდგენიათ - დროის დინება შეჩერდა, თითქოს ახალი ისუ გამოჩენილიყოს და მზე ერთ ადგილას გაექვავებინოს. მამაჩემის დიდ საათს წუთების ისარი გაეჩხირა და აღარ დაიდრა.

დიდი ხანია, ჩემი ხალხისთვის სიტყვით არ მიმემართა და ახლა მივმართე. ალბათ, ძალიან ვლელავდი და ამიტომ.

– მეგობრებო, - ვთქვი მე, - რასაც თქვენ ახლა იხილავთ, საიდუმლოდ უნდა დარჩეს. თქვენი იმედი მაქვს, ვიცი, რომ კრინტს არ დამრავთ. თუ რომელიმე თქვენგანს გული გეთანაღრებათ ზნეობრივ საკითხებზე, გთხოვთ, და მოგიწოდებთ, დატოვოთ აქაურობა, - ცოტა ხანს შევისვენებ, - საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ? ძალიან კარგი, მაგრამ ყური რომ მოვკრა, რომელიმე ხამანწკის ქილამ ან კომბოსტოს კონსერვმა უცხო ქალაქში სალაპარაკოდ გახადა ეს საქმეო, სიკვდილით დავსჯი, ჩანგლით მოვუღებ ბოლოს.

თან მადლობაც მინდა გადაგიხადოთ. აქამდე ჩვენ სხვის ზვარში ვმუშაობდით მორჩილად და მეც ისეთივე მსახური ვიყავი, როგორც თქვენ ყველანი. ამიერიდან იცვლება მდგომარეობა. ახლა მე უნდა ვიყო ამ ზვრების ბატონ-პატრონი, მაგრამ სიტყვას გაძლევთ, ავკარგიანი და გამგები პატრონი ვიქნები. დრო ახლოვდება, მეგობრებო, ფარდა იხსნება... მშვიდობით, - მაგრამ წინკარს რომ მივუახლოვდი, ცოცხმომარჯვებული, ჩემივე ხმა შემომესმა, ვყვიროდი: „დენი, დენი! მომეშვი, გულგვამს ნუ მიჯიჯგნი!“ ისე ამაცახცახა, რომ კარის გაღებაც ვეღარ მოვახერხე, ცოცხს დავყერდენი.

მამაჩემის საათის მოკლე ისარი ცხრას უზვენებდა, გრძელი, წვრილი ისარი კი ექვსი წუთით იყო დამორებული ცხრას. ხელში მეჭირა საათი და ვგრძნობდი, როგორ უცემდა გული.

თავი მეთხუთმეტე

ისე არ ჰგავდა ის დღე სხვა დღეებს, როგორც ძაღლები არ ჰგვანან კატებს; ან ორივენი ერთად – ქრიზანთემებს, ან ზღვის მოქცევას, ან არადა, ქუნთრუშას. ბევრ შტატშია დაკანონებული და ჩვენსაში – მით უმეტეს, რომ დღესასწაულებზე უსათუოდ წვიმა უნდა დაუშვას – აბა, ისე როგორ გინდა გაწუწო და გაამწარო ხალხი?! ივლისის მზემ მედიდურად გაირეკა პატარ–პატარა შებუმბლული ღრუბლის ქულები, მაგრამ დასავლეთით, ჰუდონის ველიდან ელვა–ქუხილით შეიარაღებული მრისხანე საწვიმარი ღრუბლები დაიდრა, შორიდანვე ისმოდა მათი ბუტბუტი. თუ დაემორჩილა კანონს ყველაფერი, ჯერ არ უნდა გაწვიმდეს; ჭიანჭველებივით რომ გამოეფინება საზაფხულოდ მორთული და ზაფხულივით გახალისებული ხალხი ქუჩებსა და პლაჟებზე, მაშინ უნდა დაუშვას.

მაღაზიების უმრავლესობა ათის ნახევრამდე არ იღება, მაგრამ მარულომ გადაწყვიტა, ცოტა ზედმეტს გამოვრჩებიო და ნახევარი საათით ადრე მიწევდა წამოხტომა. უნდა შევცვალოთ ეგ წესი, ტყუილად, სხვა მაღაზიების პატრონები უნდა გავანაწყენო და სარგებლობას კი იმდენს არაფერს მომცემს. მარულოს ფეხებზე ეკიდა, კიდეც რომ მიმხვდარიყო ამას. უცხოეთიდან მოთრეულია, უბადრუკი იტალიელი, მტარვალი, ბოროტმოქმედი, ღარიბი ხალხის მყვლეფავი, ნაბუშარი და ძაღლის გაგდებული. ამის შემდეგ, რაც ასე დავლუპე, ბუნებრივია, მისი დანაშაული და შეცოდებანი სავსებით თვალსაჩინო გახდა ჩემთვის.

მამაჩემის საათის გრძელი, ძველი ისარი აუჩქარებლად მოძრაობდა ციფერბლატზე და ერთბაშად შევნიშნე, დაჭიმული კუნთებით როგორ გამწარებით ვგვიდი ფილაქანს. იმ წუთს ველოდი, როცა ჩემი განზრახვის შესასრულებლად სწრაფი და გამოზომილი მოქმედება უნდა დამეწყოს. პირით ვსუნთქავდი, კუჭი პირდაპირ ფილტვებს ეკვროდა, მახსოვს შეტევის მოლოდინში მომდიოდა ხოლმე ასე. ფრონტზე.

ქუჩაში კანტიკუნტად ვხედავდი ხალხს. შაბათ დილით, და ისიც საოთხივლისოდ, გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო. ვიღაც უცნობი ბერიკაცი სათევზაოდ გამოსულიყო – ხელში ანკესის ჯოხი და მწვანე პლასტმასის ყუთი ეჭირა. უნდა მივიდეს ეხლა ქალაქის ზვირთსაქცევთან, წყალში ანკესის ძუა ჩაუშვას და მთელი დღე იყურყუტოს. თავი არც კი აუწევია, მაგრამ მაინც მოვახედე.

- ღმერთმა ხელი მოგიმართოს, დიდი ღლავი დაგეჭიროს.
- ჩემს დღეში არაფერი დამიჭერია.
- ზოგჯერ ქორჭილა წამოეგება ხოლმე
- მე კი არა მჯერა და...

თავადაკლული ოპტიმისტი! მაგრამ ეს კი მაინც ვქენი, რომ მის მეხსიერებას წამოვდე ანკესი.

აგერ ჯენი სინგლი მიგორავს ტროტუარზე. ისე მოდის, თითქოს ფეხების მაგივრად გორგოლაჭები მოუბამსო. ამაზე ნაკლებსაიმედო მოწმეს, ალბათ, ვერც ნახავ ნიუ-ბეიტაუნში.

ერთხელ გაზის ღუმელი გახსნა თურმე და ანთება კი დაავიწყდა. იცოცხლე, მთელ სახურავს გაანგრევდა და გაფრინდებოდა, მაგრამ ბედზე ასანთიც ვეღარ ნახა, – არ გაახსენდა, სად ჰქონდა დადებული.

- დილა მშვიდობისა, მის ჯენი.
- დილა მშვიდობისა, დენი.
- მე ითენი ვარ.
- აბა, ვინ უნდა იყო, ნამცხვარი მინდა გამოვაცხო.

ვცადე, მაგარი ხაზი გამევლო მის ტვინში

- რა ნამცხვარი?.
- თვითონაც არ ვიცი. მგონი, ფანი ფარმერის რეცეპტითაა, ოღონდ შეკრულას იარლიყი მოსძრობია.

ამან რა მოწმეობა უნდა გამიწიოს, მოწმე რომ დამჭირდეს? „დენი“ რატომ დამიძახა?

ფოლგის ნაგლეჯი ვერასდიდებით ვერ მოვაყოლე ცოცხს. იძულებული გავხდი, დავხრილიყავი და ფრჩხილით მომეფხიკა. ბანკის თავგები მთლად გალალდნენ, რაკი კატა-ბეიკერი გაიგულეს. სწორედ ეგენი კი მჭირდებოდა ახლა. ცხრას ერთი წუთი აკლდა, როდესაც კაფედან გამოცვივდნენ და ბანკისკენ მოუსვეს.

- ჩქარა!.. ჩქარა!... ჩქარა. - გავძახე მე. დარცხვენით გაიჭყანეს და ბანკის კარი შეაღეს.

უკვე დროა. ერთბაშად კი არ უნდა ვიფიქრო ყველაფერზე – ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივყვე, როგორც ვვარჯიშობდი ხოლმე. ჩემი ნერვიული კუჭი იქ დავუშვი, სადაც საჭირო იყო. მერე ცოცხი კართან მივავუდე, ყველას დასანახად. სწრაფად კი ვირჯებოდი, მაგრამ თავისუფლად, არ ვფაციფუცობდი.

მოსახვევში მანქანას მოვკარი თვალი, ისე, რომ იქით არც კი გამიხედავს. ამ მანქანამაც ჩაიაროს—მეთქი, გადავწყვიტე.

– მისტერ ჰოული!

კუთხეში მიმწყვდეულ განგსტერებს რომ მოსდით ხოლმე კინოში, ისე დავბზრიალდი. მტვერში ამოგანგლული მწვანე „შევროლეს“ გამოსრიალდა, ღმერთო დიდებულო! ის ნიუ-იორკელი აგენტი არ გადმოხტა! წყალში რომ აკანკალდება ხოლმე გამოსახულება, ისე შემერყა ფეხქვეშ მიწა. დამბლადაცემულივით ვიდექი და შევყურებდი, როგორ მოდიოდა ჩემკენ. საუკუნეებმა ჩაიარა—მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ სინამდვილეში ერთი წამიც არ გასულა. დიდი ხნის დამარხული გვამი რომ დაიშლება ჰაერის შეხებით, ისე ერთბაშად დაიშალა ჩემი ამდენი ხნის ნაგები და ნალოლიავები შენობა. ერთი პირობა ვიფიქრე, ტუალეტში შევვარდები და როგორც მოფიქრებული მქონდა, ყველაფერს ისე გავაკეთებ—მეთქი. მაგრამ მორჩა, აღარაფერი ეშველება. მორფის კანონს მე ვერ გავაუქმებდი. ასეთ დროს ფიქრი ელვისებურად მოდის. ძნელი გასამეტებელი კია ამდენი ხნის გულმოდგინედ დაწყობილი გეგმა, ათასჯერ გამეორებული, რომ ნამდვილი შესრულებაც ერთ—ერთ რეპეტიციად შეგიძლია ჩათვალო. მაგრამ მაინც გავიმეტე, გადავაგდე, მოვიშორე. არჩევანი არც მქონია. თავში ასეთმა ფიქრმა გამიელვა: „მადლობა, ღმერთს, რომ ახლა გამოჩნდა და არა ერთი წუთით გვიან. სწორედ ეს იქნებოდა ის საბედისწერო შემთხვევა, დეტექტიურ მოთხრობებში რომ წერენ ხოლმე“.

ამასობაში ყმაწვილმა კაცმა სულ ოთხი ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ, გახვევულივით მოდიოდა.

ეტყობა, რაღაც შემნიშნა.

– რა მოგივიდათ, მისტერ ჰოული? ავად ხართ?

– მუცელმა წამომიარა, – ვუპასუხე; – ეს ვის არ მოსვლია. გაიქცით, გაიქცით, მე აქ დაგიცდით.

ტუალეტში შევვარდი, კარი ჩავიკეტე და ჯაჭვი ჩამოვწიე. რათა წყალს ჩხრიალი დაეწყო. სინათლე არ ჩამირთავს. სიბნელეში ვიჯექი. ჩემმა აფართხალებულმა მუცელმა მართლაც თავისი ქნა. იმავე წუთში მომინდა და გავთავისუფლდი კიდეც. ძალუმი ფართხალი თანდათან დამიცხრა. მორფის კოდექსს ერთი ახალშემუშავებული კანონი დაემატა: თუ საჭიროება მოითხოვს, გეგმა უნდა შეცვალო – დაუყოვნებლივ.

ადრეც მომსვლია – საშინელი განსაცდელისა თუ უბედურების დროს განზე გავდგები ხოლმე და გარეშე კაცის ცნობისმოყვარე თვალთ შევცქერო ჩემივე თავს, ჩემს საქციელსა და მოქმედებას. სულაც აღარ ვდელავ, არხეინად ვარ. ვიჯექი სიბნელეში და შევყურებდი, როგორ დაკეცა იმ კაცმა თავისი უნაკლო გეგმა, როგორ

ჩადო ყუთში, თავი როგორ დაახურა, და არა მარტო თვალიდან მოიშორა, არამედ თავიდანაც ამოიგდო. ერთი სიტყვით, ნელა წამოვდექი იმ სიბნელეში, შარვალი შევიკარი, წინსაფარი გავისწორე და ტუალეტის სიფრიფანა კარს მოვკიდე ხელი: კვლავ საბაყლო დუქნის ნოქრად ვიქეცი, რომელიც გაწამაწია დღისთვის ემზადება. განა თავს ვინილბავდი. ნამდვილად ასე იყო. ნეტავ ამ კაცს რა უნდა–მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ შიში იმდენად აღარ მაწუხებდა, და ესეც პოლიციის ძველისძველი შიში იყო.

– ბოდიშს ვიხდი, დიდხანს გალოდინეთ, – ვუთხარი მე, – ველარ მომიგონია, რა ვჭამე ასეთი!

– ვირუსია ირგვლივ მოდებული, – თქვა მან, – ჩემს ცოლსაც ასე მოუვიდა ამასწინათ.

თოფი ჰქონია ხელში მაგ ვირუსს. ძლივს მივასწარი, რას ინებებთ?

– რაღაცნაირად დაიბნა, გაიჭყანა, თითქოს დაირცხვინა კიდეც.

– ზოგჯერ რას არ იზამს ხოლმე კაცი, – თქვა მან.

ენაზე მომადგა სიტყვები, „ასეა–მეთქი“ და კიდეც კარგი, თავი შევიკავე, რადგან მაშინვე დასძინა: – ჩემი ხელობის კაცი რას არ შეხვდება!

დახლში შევედი და ქუდის კოლოფის ხუფს ფეხი წავკარი, დავახურე, იდაყვებით დახლს დავეყრდენი.

უცნაურია. ხუთიოდე წუთის წინ ჩემს თავს სხვისი თვალებით შევყურებდი. ასე იყო საჭირო. უნდა გამეგო, სხვები რას ფიქრობდნენ ჩემზე. ეს კაცი რომ გამოჩნდა ქუჩაში, ზორზოხა ჩანდა, პირქუში და უბედური ვინმე, მტერი და კაციჭამია. მაგრამ რაკილა ჩემი გეგმა ჩემგან მოშორებული და სადღაც კუთხეში მიმალული აღმოჩნდა, ამ კაცს უკვე სულ სხვა თვალთ შევხედე– არც სიკეთით იყო ჩემთან დაკავშირებული და არც ბოროტებით. ჩემი ხნის ჩანდა, მაგრამ სკოლაში თავისებურად გამოწრთობილ–გამოკვეთილი; ხმელი პირისახე, გულმოდგინედ გადაკრეჭილი თმა, ტილოს თეთრი პერანგი, საყელოზე ღილები, ცოლის შერჩეული ყელსახვევი, ეჭვი არ არის, მანვე საგულდაგულოდ გაუსწორა და ხელი გადაუსვა, სანამ ქმარი შინიდან გამოვიდოდა. თავისფერი კოსტიუმი ეცვა, ფრჩხილები შინ ჰქონდა დაჭრილი, ოღონდ საგულდაგულოდ, მარცხენა ხელზე მსხვილი საქორწინო ბეჭედი ეკეთა, მკერდზე პაწაწინა ბაფთა მიეკრა, ორდენის ნიშანი, რასაც იგი არ ატარებდა, პირი და ლურჯი თვალები, საერთოდ, სიმტკიცეს გამოხატავდნენ. ასე ჰქონდა მიჩვეული და მით უფრო საოცარი იყო, რომ ახლა არავითარი სიმტკიცე არ ეცხო. სულაც არ ჰგავდა იმ კაცს, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინ ისე მაყრიდა კითხვებს, თითქოს ფოლადის კამათლებს თანაბარი შუალედებით ისვრისო.

– თქვენ აქ ადრეც იყავით, – ვუთხარი მე, – სად მსახურობთ?

– იუსტიციის სამინისტროში.

– სამართალს ემსახურებით?

გაილიმა.

– დიახ. ვცდილობ, ყოველ შემთხვევაში. მაგრამ დღეს სამსახურის დავალებით არ მოვსულვარ... ალბათ, არც ესიამოვნებათ, რომ გაიგონ ჩემი აქ მოსვლა, მაგრამ დღეს ვისვენებ.

– რით შემიძლია გემსახუროთ?

– ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა. არც კი ვიცი, რით დავიწყო. უჩვეულო ამბავია. თორმეტი წელიწადია ვმსახურობ, ჰოული, და ამისთანა რამეს ჯერაც არ შევხვედრილვარ.

– რომ მეტყოდეთ, იქნებ დაგეხმაროთ

გამილიმა.

– აზრი ვეღარ დამილაგებია, სამი საათი სულ საჭეს ვეჯექი, რაც ნიუ–იორკიდან გამოვედი. ახლა სამი საათი იქით და ისიც უქმე დღეს, ამისთანა მოძრაობაში.

– ძნელი საქმეა.

– ნამდვილად.

– თქვენი გვარი, მგონი, უოლდერი უნდა იყოს, არა?

– რიჩარდ უოლდერი.

სადაცაა მუშტრები დამესევინან, მისტერ უოლდერ, მიკვირს, აქამდე არ გამოჩნდნენ. სოსისი და მდოგვია დიდ გასავალში. ბარემ მითხარით, ცუდი ხომ არაფერი მელის?

ისეთი სამსახური მაქვს, ვის არ გადაეყრები! ბანდიტი, თაღლითი, ყალთაბანდი, მოძალადე, სულელი, ჭკვიანი! გაგიჟდები, სანამ ენას გამონახავდე და საქმეს გაარიგებდე, მიმიხვდით?

– ვერაფერსაც ვერ მივხვდი. ამდენი წილადობილა რაში გჭირდებათ, უოლდერ? მთლად გამოთაყვანებული კი ნუ გგონივართ, მე ბეიკერსაც ველაპარაკე ბანკში. თქვენ მისტერ მარულოს დასდევთ, ჩემს უფროსს.

– ჩავავლე კიდეც, – თქვა მან წყნარად.

– რისთვის?

– უნებართვოდ შემოპარულა. მე პატარა კაცი ვარ. დავალებას მომცემენ და უნდა შევასრულო. არც ვასამართლებ და არც ვუსჯი რამეს.

– გაასახლებენ?

– უსათუოდ.

– არაფერი შეუძლია იღონოს? იქნებ, მე დავეხმარო?!

– არა. არც კი ცდილობს. აღიარა თავისი დანაშაული. ახლა წასვლას აპირებს.

– ეჰ, ღმერთმა დასწყევლოს!

მუშტრები შემოვიდნენ, ექვსი თუ რვა ერთბაშად.

– აკი გითხარით! – მუშტრებს მივხედე, საქონლის არჩევაში ვშველოდი. მადლობა ღმერთს, წინასწარვე დავუკვეთე და ახლა სოსისებისა და ფუნთუშების გორები მედგა.

უოლდერმა გადმომძახა: – მწნილი რა ღირს თქვენთან?

– ეტიკეტზე აწერია.

– ოცდაცხრამეტი ცენტი, ქალბატონო, – უთხრა მან და ისიც საქმეში ჩაება – წონიდა, ახვევდა, ალაგებდა, ანგარიშობდა. ხელი გადმოაწვდინა და სალაროში ჩეკი გამოწერა. ზედ ჩემ ცხვირწინ. ცოტა რომ დამშორდა, ქალაქის პარკი მოვიმარჯვე, უჯრა გამოვადე, ძველი რევოლვერი პარკითვე ავიღე და ტუალეტში გავიტანე, საგანგებოდ ამ საქმისთვის გამზადებულ ზეთიან ქილაში ჩავუშვი.

– ნოქრადაც გამოდგებით, – ვუთხარი მე, როცა მაღაზიაში შევბრუნდი.

– სკოლა რომ დავამთავრე, ერთხანს ნოქართან ვმუშაობდი. ვშველოდი ხოლმე.

– ზედვე გეტყობათ.

– თქვენ არავინ გყავთ დამხმარე?

– ჩემი ბიჭი უნდა მოვიყვანო.

– მუშტრები მუდამ ჯგროდ შემოდიან ხოლმე. ცალ–ცალკე თავის დღეში არ შემოვლენ. ახალი ნაკადის მოსვლამდე ნოქარი ცოტას ამოისუნთქებს. კიდევ ერთი რამე შეინიშნება – ორი კაცი რომ ერთად მუშაობს და ერთ საქმეს აკეთებს, თანდათანობით ერთმანეთს ემსგავსებიან, თითქოს ერთნაირადვე ფიქრობენ და აზროვნებენ. ჯარში ცხადი გახდა, როცა თეთრები და შავები საერთო მტერს ებრძვიან, ერთმანეთს უკვე აღარ ეკინკლავებიან. როგორც კი უოლდერმა ერთი

გირვანქა პამიდორი აწონა და პარკზე ციფრები ჩამოწერა, პოლიციის ქვეცნობიერი შიში ხელადვე გამიქრა.

მუშტრების პირველი ნაკადი გავისტუმრეთ.

– ბარემ მითხარით, რა გინდათ, – ვთქვი მე.

– მარულოს შევპირდი, შევივლი–მეთქი, თქვენთვის უნდა მაღაზიის გადმოცემა.

– გაგიჟდით! უკაცრავად ქალბატონო, ჩემს მეგობარს ველაპარაკებოდი.

– ო, არა უშავს. მივხვდი, სულ ხუთი სული ვართ – სამი ბავშვი - რამდენი სოსისი დაგვჭირდება?

– ბავშვებს ხუთ–ხუთი ცალი, თქვენს ქმარს - სამი, ორიც თქვენ, სულ ოცი გამოდის.

– ხუთ–ხუთს მოერევიან ვითომ?

– ვითომ კი არა, ნამდვილად მოერევიან. საპიკნიკოდ გჭირდებათ?

– აჰა.

– მაშინ ხუთი ცალი ზედმეტი უნდა წაიღოთ. შეწვის დროს ცეცხლში ჩაგიცვივით.

– წყლის ბაკის საცობი სადა გაქვთ?

– უკან, სადაც ნიშადური და სარეცხის ფხვნილია.

ასე კანტიკუნტად ვესროდით ხოლმე ერთმანეთს სიტყვებს. მუშტრების ლაპარაკს თუ გამოვრიცხავთ, ჩვენი საუბარი ასეთი იყო: – აქამდე გონს ვერ მოვეგე, ისეთი სამსახური მაქვს, რომ უმთავრესად თაღლითებსა და ყალბაბანდებს ვხვდები. სულ ამნაირ ხალხთან რომ გაქვს ურთიერთობა, პატიოსან კაცთან შეხვედრა, რაღა თქმა უნდა, გაგაოგნებს.

– პატიოსანს რას ეძახით? ჩემი ბატონი ისეთი გაქნილი ვინმე გახლავთ, ქვას წვენს გამოადენს.

– ვიცი. ჩვენი ბრალია, ჩვენ ვაიძულეთ ასე. თვითონვე მითხრა და მჯერა. სანამ აქ ჩამოვიდოდა, კარგად დაუსწავლია თავისუფლების ქანდაკების პოსტამენტზე ამოკვეთილი სიტყვები. დამოუკიდებლობის დეკლარაცია სულ ზეპირად დაიმახსოვრა. უფლებათა ბილში ყოველი სიტყვა სულ ცეცხლივით ენთო და ამ ყველაფრის შემდეგ მაინც არ შემოუშვეს. ადგა და შემოიპარა. ვიღაც კეთილმა კაცმა უშველა – რაც კი რამ ებადა, სულ გაფცქვნა და ნაპირთან ახლოს წყალში გადაუძახა, ზღვის მოქცევაა და შენ თვითონ უშველე თავსო. პირველად ვერ ხვდებოდა, რას ნიშნავდა ამერიკული ცხოვრების წესი, მაგრამ თანდათან შეისწავლა და მიხვდა:

„კაცი იმისთვისაა გაჩენილი, რომ ფული იშოვოს! ჯერ თავო და თავოო!“ ისწავლა. ერთი სიტყვით, შტერი კი არ არის. მართლაც საკუთარ თავს მიხედა.

ამ ფრაზებს დაულაგებლად წამოისროდა ხოლმე, მუმტრებსა და მუმტრებს შორის, ამიტომ დრამატული სიმძაფრე აკლდა, უბრალო ჩამოთვლასა ჰგავდა.

– ამიტომაც არა სტკენია დიდად გული, როცა დააბეზღეს.

– დააბეზღეს?

– მაშ, არა და... მაგასაც რომ ბევრი რამე უნდა – ტელეფონი და მისი ჯანი.

– მაინც ვინ დარეკა?

– რას გაიგებ, ჩვენი დაწესებულება მანქანასავითაა. ერთს რომ დააჭერ, ავტომატური სამრეცხაო მექანიზმივით თავისით აკეთებს ყველაფერს.

– რატომ თავს არ უშველა?

– დაიღალა, აღარაფრის თავი აღარ აქვს. ყველაფერი გულს ურევს. ფული აქვს. ავდგები და სიცილიაში წავალო, გადაწყვიტა.

– მაღაზიაზე რა თქვაო? კარგად ვერ გავიგე.

– ჩემნაირი კაცია, თაღლითებს მე, იცოცხლე, კარგად ვუვლი. ასეთი ხელობა მაქვს, მაგრამ პატიოსანი კაცი თავგზას ამირევს ხოლმე. მაგასაც ასე მოუვიდა. ერთი კაცი შეხვდა ცხოვრებაში, რომელსაც არ მოუტყუებია, არც მოუპარავს, არც მოუღორებია და არც წუწუნით გაუწყალებია გული; სცადა, ესწავლებინა ამ სულელისათვის, როგორ უნდა საკუთარი თავის პატივისცემა ამ თავისუფლების ქვეყანაში, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მაინც ვერაფერი ისწავლა იმ საწყალმა. დიდხანს ეშინოდა თქვენი, სულ იმას ცდილობდა, გაეგო, რა იყო თქვენი რეკეტი და ბოლოსდა მიხვდა, რომ ეს პატიოსნება იყო.

– ვთქვათ, ცდება?

– არა მგონიაო, უნდა რომ ძეგლად გაგხადოთ, იმის ძეგლად, რისიც თვითონვე სჯეროდა ერთ დროს. მაღაზიის გადმოცემის ქალაქები თანვე მაქვს, მანქანაში. თქვენი ხელმოწერაღა სჭირდება.

– ვერა გამიგია რა.

– მე თვითონაც არ ვიცი, გავიგე რამე თუ არა. ხომ მოგეხსენებათ მისი აზდაუბდა ლაპარაკი. მე ახლა იმასლა ვცდილობ, ცოტა აზრიანად ვთარგმნო, რის ახსნასაც ის შეეცადა. ადამიანი ისეა შექმნილი, რომ რაღაც განსაკუთრებულ მიმართულებას მისდის და განსაკუთრებული საქმე აკეთოს. თუ შეიცვალა ეს მიმართულება, რაღაც უბედურება დატრიალდება, მექანიზმი მოიშლება, აირევა საქმე. ეს იმას ჰგავს...

როგორ გითხრა, ვთქვამთ, შენ თვითონვე იწერ სინათლის გადასახადს. აურევ და მერე თავსატეხი გაგიხდება. რომ არ გამოგიტოვონ სინათლე, წინასწარვე გიჯობს გადახდა. თქვენ მისი წინასწარ გადახდილი საფასური ხართ, ერთგვარი ავანსი, რომ მერე სინათლე არ ჩაქრეს.

– აქ რამ მოგიყვანათ?

– მე თვითონ არ ვიცი ხეირიანად. რაღაცამ მაიძულა... იქნებ იმის სურვილმა, რომ სინათლე მართლაც არ ჩაქრეს.

– ო, ღმერთო ჩემო!

დუქანი ჭყიპინა ბავშვებითა და ოფლში გახვითქული დედაკაცებით გაივსო. მორჩა, ნაშუადღევამდე ერთი წუთი მოსვენება აღარ მექნება.

უოლდერი თავის მანქანასთან მივიდა, მალევე მობრუნდა, საზაფხულო ფაციფუცით აწრიალებული ქალების ტალღა გამოარღვია და დახლს მოადგა. წინ თასმით შეკრული სქელი კონვერტი დამიდო.

– მე წავედი. ისეთი მოძრაობაა, რომ ოთხ საათსაც მოვუნდები. ცოლი გაგიჟებული დავტოვე. მოიცდის ეგ საქმეო, მაგრამ ამისთანა საქმის გადადება არ შეიძლებოდა.

– მისტერ, ათი წუთია ვდგავარ და გელოდებით.

– ახლავე, ქალბატონო.

– რა გადავცე–მეთქი, ვკითხე და მომიკითხეო, ასე დამაბარა. თქვენ არაფერს დამაბარებთ?

– ჩემგანაც მოკითხვა გადაეცით.

კვლავ შემოვიზღუდე უხეიროდ გამოკრული მუცლების ზვირთებით და მით უკეთესი ჩემთვის. კონვერტი სალაროს უჯრაში ჩავაგდე და ნაღველიც მას მივაყოლე.

თავი მეთექვსმეტე

დრო სწრაფად გადიოდა, მაგრამ იმ დღეს მაინც არ უჩანდა ბოლო. როდის იყო, დუქანი რომ გავაღე – დამავიწყდა კიდევ – და დაკეტვის დრო კი მაინც არ მოდიოდა. ის იყო, ქუჩის კარის დაკეტვას ვაპირებდი, რომ ჯოი შემოვიდა. არც კი მიკითხავს, ისე გავუხსენი ლუდის ქილა და მივაწოდე, მეორე ქილა ჩემთვის გავხსენი – ადრე ჩემს დღეში არ გამიკეთებია ამისთანა რამე. მარულოსა და

მაღაზიაზე მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ ვერ მოვახერხე; ის ამბავიც კი ვერ ვუთხარი, რაც სინამდვილის მაგივრად მქონდა მოგონილი.

– დაღლილი ხართ, – მითხრა მან.

– აბა, რა მომივიდოდა. ერთი ამ თაროებს შეხედე, სულ დაიცალა. უნდათ, არ უნდათ, მაინც ყიდულობენ. სალარო ტილოს პარკში მოვაპირქვავე, მისტერ ბეიკერის მოტანილი ფულიც დავუმატე, ზემოდან ის სქელი კონვერტი დავადე და პარკს კანაფით მოვუკარი პირი.

– ამის აქ დატოვება როგორ იქნება!

– მართალი ხართ, მაგრამ დავმაღავ. კიდევ გინდათ ლუდი?

– კარგი იქნებოდა.

– მეც დავლევ.

– თქვენ მეტისმეტად კარგი მსმენელი ხართ, – მითხრა მან, – ლამის ჩემი საკუთარი მონაჩმახიც ვირწმუნო.

– მაინც?

– ჩემს საზღაპრო ალლოზე გეუბნები, ამ დილითაც გამოვცადე. ალბათ, მეზმანა და გამოღვიძებულს თვალნათლივ წარმომიდგა ყველაფერი, ისე ცხადი ჩანდა, რომ თმა ყალყზე დამიდგა. განა, ეჭვით ვგრძნობდი, რომ დღეს ბანკს დაესხმოდნენ თავს. დანამდვილებით ვიცოდი, ლოგინში ვიწექი და ცხადად ვხედავდი. იატაკში, საგანგაშო სიგნალებთან, პატარა სოლები გვაქვს დატანებული, რომ უნებურად ფეხი არ დავადგათ. მივედი თუ არა დღეს სამსახურში, ეს სოლები დავაძრე, ისე ვიყავი დარწმუნებული და მომზადებული. თქვენ რითი ახსნიდით ამას?

– იქნებ მართლაც აპირებდა ვინმე ბანკის გაქურდვას, თქვენ კი მისი განზრახვა ამოიკითხეთ, და მანაც გადაიფიქრა.

– კარგია, კაცს უადვილებთ თავის შეცდომას, გინდათ, სუფთად გამოიყვანოთ.

– თქვენ მაინც რა გგონიათ?

– ღმერთმა იცის. ალბათ, ისე ყოვლისმცოდნედ მოგაჩვენეთ თავი, რომ მერე მე თვითონაც დავრწმუნდი ამაში. მაგრამ კი შევფუცხუნდი.

– ისე დავიღალე, მორფი, რომ დავგის თავიც აღარა მაქვს.

– ფულს აქ ნუ დატოვებთ. შინ წაიღეთ.

– ოკეი, რაკი ასე გულით მირჩევთ.

– მაინც ისეთი წინათგრძნობა მაქვს, თითქოს რაღაც ხდებოდეს.

ტყავის კოლოფი გავხსენი, რომელშიც ფრთიანი ქუდი მედო, ფული ჩავდე და მერე შევკარი. ჯოი მე მიყურებდა.

– ჩავალ ნიუ–იორკში, სასტუმროში ნომერს დავიჭერ, ფეხზე გავიხდი და ამ ორ დღეს ჩანჩქერის ცქერით დავტკბები, ტაიმს-სკვერზე, – თქვა მან.

– თქვენს გოგოსთან ერთად?

– ის უკვე მივატოვე. დავუკვეთ ერთ ბოთლ ვისკისა და ქალს. არც ერთთან არის საჭირო ბევრი ლაქლაქი და არც მეორესთან.

– იქნება, ჩვენც წავიდეთ სადმე... გითხარით კიდეც.

– ძალიანაც კარგს იზამთ. უმაგისობა არ გარგიათ. მოემზადეთ?

– ცოტა რაღაც კიდეც დამრჩა მოსაგვარებელი. მართლა უნდა წახვიდეთ, ჯოი, გაიხდით ამ ფეხსაცმელს და ცოტას მოისვენებთ.

პირველ რიგში მერისთვის უნდა დამერეკა და გამეფრთხილებინა, შემავიანდემა–მეთქი.

– კარგი, მაგრამ ბევრს ნუ დაიგვიანებ. მალე მოდი, მალე, მალე. რაღაც უნდა გახარო, გახარო უნდა რაღაც.

– ახლა ვერ მეტყვი, ჩემო საყვარელო?

– არა. შენი სახე უნდა ვნახო.

მიკი-მაუსის ნიღაბი სალაროზე ჩამოვკიდე, რომ ციფრების მაჩვენებელი პატარა სარკმელი დაეფარა. მერე პალტო ჩავიცვი, ქუდი დავიხურე, სინათლე ყველგან ჩავაქრე, დახლზე შემოვჯექი და ფეხები დაბლა ჩავკიდე. ცალ მხარეს ბანანის შავ, გატიტვლებულ ღეროს ვეხებოდი, მარცხენა მხრით კი თვით სალაროზე ვიყავი მიყრდნობილი. ფარდები აწეული იყო და ზაფხულის ჩამავალი მზე ფანჯრების ჯვარედინა გისოსში შემოდიოდა. იდგა საოცარი სიწყნარე, გუგუნის მსგავსი სიწყნარე, და მეც სწორედ ეს მჭირდებოდა ახლა. მარჯვენა ჯიბეში მოვიფათურე ხელი, რაღაც მაწუხებდა. თილისმა! ორივე ხელით დავიჭრე და დავამტერდი. გუშინ მჭირდებოდა ეს თილისმა. დამავიწყდა თავის ადგილას დადება, თუ შემთხვევით არ მომხდარა, ახლა რომ ჯიბეში მაქვს?

ხელი გადავუსვი ხვეულს და, როგორც ყოველთვის, ახლაც მომაჯადოვა. შუადღისას ვარდისფერი იყო, ახლა უფრო გამუქებულა, ჩაწითლებულა, თითქოს სისხლი ჩასდგომიაო.

ფიქრი ახლა სულაც არ მიზიდავდა, გადახალისება მინდოდა, ახალი გეგმების დაწყობა, თითქოს ისეთ ბაღში მოვხვდი, საიდანაც სახლი წუხელ აუღიათ და გაუქრიათ. სანამ ახალ სახლს ავაშენებდე, რამე თავშესაფარი უნდა გამოვძებნო. მუშაობაში გავერთე და ახალ მოვლენებს საშუალება მივეცი, უფრო ნელა შემოსულიყო, რათა უფრო რიგიანად დაკვირვებოდი და ამეწონ–დამეწონა. თაროები მთელი დღის თავდასხმას გაენადგურებინა და ის ადგილები, რაც მშვიერი ურდოების შემოსევისაგან ვერ დაეფარათ, პირდაფჩენილები შემომცქეროდნენ, კბილები თითქოს სულ ჩაემტვრიათ, გალავანშემოვლებულ ქალაქს დამსგავსებოდა, რომელსაც არტილერიის ცეცხლით უტევდნენ.

– ჩვენს წასულ მეგობრებზე ვილოცოთ, – ვთქვი მე, – წითელმუნდირიან კეტჩუპების შეთხელებულ მწკრივებზე, ჩვენს მამაც მწნილებსა და სანელებლებზე, ძმრიან პატარა ბოთლებზე. ჩვენ არ ძალგვიძს საკადრისი პატივი მივაგოთ მათ... არა, ასე არა. „ჩვენ ცოცხლად შთენილთ გვმართებს[25]... არც ასე. ალფიო! ბედნიერებას გისურვებ. ტკივილს მეტად აღარ შეეწუხებინე. მწარედ შეცდი, რაღა თქმა უნდა, მაგრამ დე, ეს შეცდომა მომავალში სალბუნად გამოგდგომოდეს. თვითონ მსხვერპლი გახდი და მხოლოდ მას შემდეგ გაიღე მსხვერპლი...

ქუჩაში გამვლელი ხალხის ჩრდილები დუქანში დალიცლიცებდა. უფრო ღრმად ჩავყურყურებოდი იმ დღის მოვლენებში, უოლდერის სიტყვებს ვეძებდი, და მის სახეს, როცა ეს წარმოთქვა: „აურევ რამეს და მერე თავსატეხი გაგიხდება. რომ არ გამოგითიშონ სინათლე, წინასწარვე სჯობს გადახდა. შენ მისი წინასწარ გადახდილი საფასური ხარ, ერთგვარი ავანსი, რომ მერე სინათლე არ ჩაქრეს“. სწორედ ასე თქვა.

სინათლე რომ არ ჩაქრეს! ნეტა, მართლა ასე თქვა ალფიომ? უოლდერს მისი სიტყვები კარგად არ ახსოვდა, მაგრამ ეს კი იგრძნო, რომ სწორედ ამისი თქმა უნდოდა. თითი ჩემს თილისმაზე გამოსახულ გველს გავაყოლე და დასაწყისშივე მივედი, რაც ბოლოსაც წარმოადგენდა. ეს ძველისძველი სინათლე იყო. სამი ათასი წლის წინათ, ლუპერკუსის დღეს, მარულოს წინაპრები პალატინის მთაზე ავიდნენ, რათა პანისთვის, რომელიც მათ საქონელს მგლებისგან იცავდა, მსხვერპლი შეეწირათ. ეს სინათლე დღემდე არ ჩამქრალა. მარულომაც, ამ უბადრუკმა და ჩერჩეტმა იტალიელმა იმავე ღვთაებას მიართვა მსხვერპლი და იგივე სთხოვა.

თვალწინ დამიდგა მისი თავი ჩასუქებული კისერზე, მისი კეთილი სახე, მტკივანი მკლავები, ანთებული თვალები... და ჩაუმქრალი ცეცხლი. და უცებ გამკრა თავში – ნეტა, რამდენის შეტანა მომიწევს, ან როდის უნდა შევიტანო? ეს თილისმა რომ წავილო და ძველ ნავსადგურთან ზღვაში ჩავუშვა, საკმარისი იქნება, ნეტავი?

ფარდები არ ჩამომიშვია დუქანში. დღესასწაულების დროს ასე ვტოვებთ ხოლმე, რათა პოლიციელებმა შეიჭყიტონ. საწყობში ბნელოდა. უკანა კარი დაგვეტე და ქუჩაში გავედი. უცებ ქუდის კოლოფი გამახსენდა, რომელიც იატაკზე დაგვტოვე, დახლში, მაგრამ აღარ შევბრუნებულვარ. საოცარია, რატომ არ შევბრუნდი. შაბათ

სადამოს, როგორც მოსალოდნელი იყო, სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარმა დაუბერა და ღრუბლები წამოშალა, რათა კარგად გაეწუწა სადღესასწაულოდ ქალაქიდან გასული ხალხი. გადავწყვიტე, სამშაბათ დილას კარში რძე გამომედგა და ის დიდი რუხი კატა საწყობში მიმეპატიჟებინა.

თავი მეჩვიდმეტე

ვერ ვიტყვი, სხვა ადამიანების სულში რა ხდება – ჩვენ სულ განსხვავებულები ვართ და თან ძალიან ვგავართ ერთმანეთს. მხოლოდ დაახლოებით თუ ვივარაუდებთ. ეს კი დანამდვილებით შემოდლია ვთქვა, მე თვითონ როგორ ვიგრიხები და ვსხმარტალებ, რათა მწარე სინამდვილეს დავუსხლტე, ხოლო, როცა საშველი აღარ არის, ვცდილობ როგორმე სხვა დროისთვის მაინც გადავდო – იქნებ მერე თავისით დამეხსნას–მეთქი. სხვები იქნებ ასე ამბობენ: „ამას ხვალ მოვიფიქრებ, ცოტას დავისვენებ მანამდე“, მერე ფიქრში სასურველ მომავალს ან შელამაზებულ წარსულს გაჰყვებიან და როგორც ბავშვი ახანგრძლივებს ხოლმე განგებ თამაშს, იქნებ ძილის დრო ცოტათი გადამიდონო, მათაც ისე ემართებათ.

ქეშმარიტების დანადგული მინდვრით მივყიალებდი შინისკენ. ურჩხულების ამოწვერილი კბილებით იყო მოფენილი მომავალი და რაღა გასაკვირია, რომ ისევ წარსულის ნავსაყუდელს შევაფარე თავი, მაგრამ გზაზე წამოიძარტა პაპიდა დებორა, რომელიც სიცრუის გუნდებს ისრებით ცხრილავს ხოლმე, – თვალები კითხვის ნიშნებივით ანთებოდა. საიუველირო მაღაზიის ვიტრინასთან შევდექი და სათვალის ჩარჩოებსა და საათის სამაჯურებს დავუწყე თვალთვლება. ვიდექი, სანამ ძალიან უხერხულად არ მომეჩვენა ამდენ ხანს დგომა. სადამოს ნესტიან ქარს ჭექა–ქუხილი მოჰქონდა.

გასული საუკუნის დასაწყისში პაპიდა დებორას მსგავსს ბევრს შეხვდებოდით – ცოდნისმოყვარეობისა და სიბრძნის განსახიერებას. არ ვიცი, რატომ, იქნებ იმიტომ, რომ მოწყვეტილნი იყვნენ დიდ სამყაროს, ან იქნებ იმის გამო, რომ დაუსრულებლად, ზოგჯერ სამ–სამი წლობით, ზოგჯერ სამუდამოდაც უხდებოდით ზღვაში ვეშაპებზე სანადიროდ გასული გემების ლოდინი, ისინი დღენიადღე წიგნებს ჩაჰკირკიტებდნენ – იმ წიგნებს, რითაც ახლა ჩვენი სხვენია გამოტენილი. ყველაზე დიდი მათ შორის პაპიდაჩემი იყო, – სიბილა, პითია, რომელმაც ასე გულმოდგინედ შემასწავლა რაღაც უაზრო სიტყვების ჯადო.

„მე ბესვაკ ფორ ორმ ტრა ფეგირნ ვურ“ , – იტყოდა ხოლმე ის რაღაცნაირი საბედისწერო ხმით, ანდა – „სეო ლეო გიფ ჰეო ბლადეს ონბირით აბით ერესტ ჰირე ლადტოუ!“ მართლაც ჯადოსნური სიტყვები ყოფილა, რაკი აქამდე დამამახსოვრდა.

ნიუ-ბეიტაუნის მერმა ჩაიჩინდრიკა, თავი ჩაქინდრული ჰქონდა და ჩემს მისალმებაზე მანაც სადამო მშვიდობისა მისურვა.

შორიდანვე ვიგრძენი ჩემი სახლის, ჰოულების ძველი სახლის სითბო. წუხელ სევდის აბლაბუდა ჰქონდა მას შემოხვეული, დღეს კი, ამ ჭექა-ქუხილით დატვირთულ სადამოს, სიხარულის მღელვარებით ბრწყინავდა. სახლი ოპალს ჰგავს, დღეში რამდენჯერმე იცვლის ფერს. მერიმ გაიგონა ჩემი ფეხის ხმა და ცეცხლის ალივით გაილევა კარში.

– ვერასდიდებით ვერ გამოიცნობ! – მომამახა მან და ხელები წინ ისე გამოსწია, თითქოს რაღაც უჭირავსო.

მე ისევ თავში მიტრიალებდა ის სიტყვები და ვუთხარი: – სეო, ლეო გიფ, ჰეო ბლადეს ონბირით აბით ერესტ ჰირე ლადტეუ.

– თითქოს მიხვდი, მაგრამ მაინც სხვა რამეა.

– ვილაც უცნობმა თაყვანისმცემელმა დინოზავრი მოგვართვა.

– არაფერიც. მაგრამ მართლაც ისეთი საოცრებაა. ჯერ დაიბანე და მერე გეტყვი, სუფთა უნდა იყო, რომ ასეთი რამე მოისმინო.

– ჯერ მარტო უკანალჩაწითლებული პავიანის სასიყვარულო ჰანგები მესმის, – მართლაც ასე იყო – სასტუმრო ოთახში ალენი გამწარებით აწრიპინებდა: „მე ხელს ვთავაზობ, გულანაჩქროლი, ის კი მიმტკიცებს, არ გიყვარვარო“.

– ჩემო ზეციურო ანგელოზო, მივალ, ერთიანად ამოვბუგავ.

– არა, როგორ იქნება. ჯერ ჩემი სათქმელი მოისმინე.

– ასე ჭუჭყიანს არ მეტყვი?

– არა.

სასტუმრო ოთახში შევედი, კევით პირგამოტენილი კაცი რომ მოგესალმება, ისე მიპასუხა სალამზე ჩემმა ვაჟიშვილმა.

– აქამდე არ მოხვეტეს ეს შენი დამსხვრეული გული?

– ჰა?

– „ჰა“ კი არა – „რას მიბრძანებთ?“ ამას წინათ აკი ფეხით გათელეს?!

– ყველაზე უკეთესი რამეა, – თქვა მან, – მთელ ამერიკაში ყველაზე უკეთესი ფირფიტაა. სულ რაღაც ორ კვირაში მილიონი გასაღდა.

– დიდებულია, რაღა გიჭირს, კარგად ყოფილა შენი საქმეც! – კიბეზე რომ ავდიოდი, მეც წავიდილინე: „შენ რომ გიყურებ, ტანში მაჭრუოლებს, შენ კი მიმტკიცებ, არ გიყვარვარო“.

ელენი ჩემკენ გამოემართა, ხელში წიგნი ეჭირა, გადაკეცილ ფურცლებში თითი ჩაედო. ვიცი ელენის ხასიათი: ჯერ რამეს მკითხავს, ისეთ რამეს, რაც მისი აზრით, ძალიან მაინტერესებს, შემდეგ კი, ვითომც არაფერიო, იმ ამბავს მომახლის, რაც მერის უნდა ეთქვა. სხვებს თუ დაასწრო რამის თქმა, ეს ელენისთვის დღესასწაულია; ენაჭარტალაა–მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ არც ბევრი აკლია. მე გადაჯვარედინებული თითები ვაჩვენე.

– ჩუმად.

– იცი, მამა...

– ჩუმად–მეთქი, ქალბატონო, სათბურში გამოყვანილო რევანდო, – კარი გავიჯახუნე და შევძახე: – „ეს ჩემი აბაზანაა, ჩემი ციხესიმაგრე!“ – ელენის სიცილი შემომესმა. არ მჯერა ხოლმე ბავშვებისა, ჩემს ხუმრობაზე რომ გაიცინებენ, ისე შევიძშრალე სახე, სულ გადავიტყავე. კბილებიც ისე გამწარებით გავიხეხე, რომ ღრძილებიდან სისხლი ვიდიინე, მერე გავიპარსე, სუფთა პერანგი ჩავიცვი და პროტესტის ნიშნად ჩემს გოგოს რომ სძულს, ის ყელსახვევი გავიკეთე.

ჩემი მერი სულ ცახცახებდა მოუთმენლობისაგან.

– არც კი დაიჯერებ.

– სეო ლეო გიფ ბლადეს ონზირით. თქვი.

– მარჯისტანა მეგობარი ჯერ არავინ მყოლია.

– მომისმინე: – „... კაცი, რომელმაც გუგულის საათი მოიგონა, გარდაიცვალა. ეს ახალი ამბავი არ არის, მაგრამ მაინც სასიამოვნო მოსასმენია!“

– ვერასდიდებით ვერ გამოიცნობ... ბავშვებს მარჯი იტოვებს. ასე რომ, შეგვიძლია წავიდეთ!

– რამე ოინს ხომ არ გვიპირებს?

– მე არც კი მითხოვია, თვითონვე მითხრა.

– ცოცხლად შეჭამენ ჩვენი ბავშვები.

– მარჯიზე ჭკუას კარგავენ. კვირას ნიუ–იორკში წაიყვანს მატარებლით, ვიღაც ნაცნობი ჰყოლია, იმასთან გაათევენ ღამეს, ორშაბათს კი ორმოცდაათვარსკვლავიანი ახალი დროშის აღმართვას დაესწრებიან როკფელერ–ცენტრზე, მერე ალლუმსაც ნახავენ და ყველაფერი.

– რაღაც არ მჯერა

– ხომ კარგია?

– უკეთესი რომ არ შეიძლება. ჩვენ კი ავდგეთ და მონტოკისკენ მოვუსვით, ქალბატონო თავუნია.

– მე უკვე დავრეკე და დავიბევე ოთახი.

– თითქოს სიზმარში ვარ, სადაცაა გავსკდები. თითქოს სულ უფრო და უფრო ვიბერები და ვიბერები.

დუქნის ამბის თქმა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე, ერთბაშად ამდენ სიხარულს ვერ მოინელებს. ჯობს, დავიცადო და მონტოკს რომ ჩავალთ, მაშინ ვუთხრა.

სამზარეულოში ელენი შემოცუნცულდა.

– მამი, ის ვარდისფერი ქვა აღარ არის კარადაში.

– მე მაქვს აგერ, ჯიბეში. აჰა, წაიღე და ისევ კარადაში დადე.

– აკი შინიდან გატანა არ შეიძლებაო.

– არც შეიძლება – ვინც გაიტანს, სიკვდილი არ ასცდება.

თითქოს მთელი სიხარბით გამომტაცა ხელიდან, ორივე ხელში ჩაბლუჯა და სასტუმრო ოთახისაკენ გააქანა.

მერიმ პირქუშად მომაშტერა თვალი.

– რაში დაგჭირდა, ითენ, მაგისი წაღება?

– ბედნიერების მოსატანად, ჩემო სიყვარულო, და გასჭრა კიდეც.

თავი მეთვრამეტე

კვირას, სამ ივლისს, როგორც წესი, კოკისპირულად წვიმდა და მსხვილი წვეთები თითქოს ჩვეულებრივზე უფრო სველი ჩანდა. ჩვენ წვიმაში ამოლუმპული მანქანების ჭიყელასავით დაკლავნილ ნაკადში მივიკვლევდით გზას. თან ამაყად გვეჭირა თავი, თან კი, ცოტა არ იყოს, უმწეობასა და დაბნეულობას ვგრძნობდით, როგორც გალიიდან გაშვებული ჩიტები, რომელთაც თავისუფლება ერთბაშად ბასრ კბილებს უჩვენებს და დააფრთხობს ხოლმე. მერი გამართული იჯდა და ახლადგაუთოებული ტილოს სუნი ასდიოდა.

– ხომ კარგია... ხომ გიხარია?

– ჩემი გულსყური ისევ ბავშვებთანაა.

– ვიცი. პაპიდა დებორა ამას ბედნიერ სევდას ეძახდა. გაფრინდი, გაფრინდი, ჩემო ჩიტო. ეს გრძელი ფურჩალები, მხრებზე რომ გაქვს მოკერებული, შენი ფრთებია, შე ჩერჩეტო.

გაიღიმა და უფრო მომეკრა.

– ძალიან გახარებული ვარ, მაგრამ გულსყური ისევ ბავშვებთანაა. ნეტავ ახლა რას აკეთებენ?

– რასაც გინდა... ოღონდ ჩვენზე ნამდვილად არ ფიქრობენ

– მართალი ხარ, სულაც არ აინტერესებთ ჩვენი ამბავი.

– მოდი, ჩვენც გავეჯიბროთ. როგორც კი ვიხილე შენი კარჭაპი, ო, ნილოსის ასპიტო, მაშინვე მივხვდი, რომ ჩვენი დღეც გათენდა. ოქტავიანელები ამაღამ პურსა სთხოვენ ვიღაც ბერძენ მწყემსს.

– ისევ აურიე? ალენი ისე დადის, თავის დღეში წინ არ გაიხედავს. შუენიშანს ზედაც არ უყურებს, პირდაპირ გადააბოტებს ხოლმე.

– ვიცი. საწყალი ჩვენი ფეხებმოჩვართული ელენი! გული, იცოცხლე, კეთილი აქვს, ისედაც ლამაზია. მაინც გამოჩნდება, ალბათ, ვინმე, შეიყვარებს და იმ ფეხებს მოჰკვეთს.

– დამაცადე, ცოტა მაინც ვილეღვო. ასე უფრო კარგად ვგრძნობ თავს.

– მასე კარგად ჯერ არავის გამოუთქვამს ეს. მოდი, ყველა მოსალოდნელი უბედურება წარმოვიდგინოთ.

– შენც ხომ იცი, მე რას ვგულისხმობ

– ვიცი, მაგრამ სულ შენი ბრალია, შენო უმაღლესობავ, შენგან სჭირს ეს მთელ ოჯახს. ჰემოფილია ქალებისაგან გადმოდის მემკვიდრეობით. შენ თვითონ გააჩინე ეს ორი პატარა ჰემოფილი.

– შენისთანა მოსიყვარულე მამა ჯერაც არ გაჩენილა.

– ათი კაცი ვერ მოახერხებს ამდენი დანაშაულის ჩადენას. წასულია ჩემი საქმე.

– როგორ მიყვარხარ!

– ასეთი მღელვარება მწამს! აბა, ერთი შეხედე, ეს კურდღლისცოცხა და მანანა როგორ გადალობვია სილას, მაგრამ სილა მაინც ახერხებს პატარ–პატარა მკვრივ

ტალღებად გამოჭრას. წვიმის წვეთები მიწას ეცემა და შხეფები მერე ნისლივით იშლება. ისეთი გრძნობა მაქვს, ეს ადგილი დარტმურსა და ექსმურს ჰგავს-მეთქი, თუმცა ერთიცა და მეორეც მხოლოდ სურათზე მინახავს. დევონის ხანის კაცი აქ, ალბათ, ისე იგრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში. ნეტა, მოჩვენებები თუ დადის აქა?

– თუ არ დადის, ადექი და შენ იარე.

– უგულო ქათინაურებს რა ფასი აქვს.

– რა დროს ეგაა. გზას დააკვირდი. სადღაც აქ უნდა ეწეროს „მურკროფტი“.

მართლაც მალე გამოჩნდა „მურკროფტის“ წარწერა. ამ თითისტარივით წაგრძელებულ ადგილს, რომელიც ლონგ-აილენდის ბოლოს წარმოადგენს, ერთი კარგი თვისება სჭირს, წვიმას ისრუტავს და ტალახი არ დგება.

ეერთი კოჰწია სახლი დაგვახვედრეს, თოჯინების სახლივით სუფთა და სულ ჩითებით მორთული. წყვილი საქვეყნოდ რეკლამირებული, ფუნთუშასავით რბილი ლოგინი გაეშალათ.

ეს საწოლები არ მომწონს.

სულელო! ერთად დგას, ადვილად გადაწვდები.

– რაღა დროს ჩემი გადაწვდომაა, კახპა.

გემრიელად ვისადილეთ. მაღიანად შევექეცით მენის ასთაკვებს, ზედ თეთრი ღვინოც დავაყოლეთ, – იმდენი თეთრი ღვინო, რომ მერის თვალები აუციმციმდა, მერე კიდევ ვერაგულად კონიაკსაც ვუს ხამდი და ვაპარებდი, სანამ თვითონვე არ დარეტანდა. მან თვითონვე არ დავრეტანდი, მან მოიგონა ჩვენი თოჯინა-სახლის ნომერი და გასაღების კლიტეზე მორგებაც მხოლოდ მან შეძლო.

კაცმა რომ თქვას, არც ისე დარეტანებული ვიყავი, რამე ვერ მომეხერხებინოს, მაგრამ ეს კია – თვითონვე რომ არ მოეწადინებინა, ადვილად დააღწევდა თავს ყველაფერს.

მერე, რულმორეულმა, თავი მარჯვენა მკლავზე მომადო, გაიღიმა და სიამოვნების ზმუკუნით გაიზმორა.

– რამე გაწუხებს?

– საიდან მოიტანე? ჯერ არ დაგიძინია და უკვე სიზმრებს ხედავ.

– რამდენს წვალობ, რომ მე ბედნიერება მომანიჭო. ნეტა, რა მოგდის... გაწუხებს რამე?

რა უცნაური და ყოვლისმხედველი დროა ძილის პირველი ნაბიჯები!

– ჰო, მაწუხებს. ახლა? მოისვენე? კი ნუ გაიმეორებ და, ცა ჩამოინგრა და მისი ერთი ნაჭერი კუდზე დამეცა.

ტკბილად ჩაემინა, ისე რომ თავისი ჩვეული პანის ღიმილი სახეზე შერჩა. მე ფრთხილად გამოვაცურე მკლავი, წამოვდექი და საწოლებს შორის დავდექი. წვიმას გადაეღო და ახლა სახურავებიდანღა წვეთავდა, მეოთხედი მთვარე მილიონობით წვეთში ირეკლებოდა. *Beaux reves*[26], ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო. ოღონდ ეს ცა ნუ დაგვეცემა როგორმე.

ჩემი ლოგინი გრილი და ძალიან რბილი იყო. ვხედავდი, მთვარე როგორ მისრიალებდა ზღვისკენ გადაჭიმულ ღრუბლებში. საიდანღაც ზღვის ბულის კვილი შემომესმა. თითები გადავაჯვარედინე. განვედ, განვედ ჩვენგან, ცოტა ხნით მაინც. მე ხომ სულ პატარა ნამცეცი დამეცა კუდზე.

საშინელი ჭექა-ქუხილითაც რომ მოსულიყო განთიადი, მე მაინც ვერაფერს გავიგონებდი. როცა გავიღვიძე, მზე უკვე ოქროსფრად ავარაყებდა მწვანე ბალახსა და ხეებს, მანანის ბუჩქები უფრო ჩამუქებული ჩანდა, ჩადუნას გაცრეცილი ფერი ედო, წვიმით გაჟღენთილ დიუნის ყვითელ სილას კი მზეზე მოწითალო იერი დაჰკრავდა, ხოლო იქვე, მახლობლად, ატლანტის ოკეანე ვერცხლისფრად ელვარებდა. ჩვენი სახლის გვერდით მდგარ ერთ დაკოჟრილ მუხას შეეფარებინა კარგა მოზრდილი ბალიშისხელა ირმისხავსა, რომელსაც ტალღებად დანაოჭებული რტოები მონაცრისფრო მარგალიტივით უბრწყინავდა. ხრემით დაფარული, დაკლავნილი ბილიკი თოჯინების პატარა ქალაქს გასდევდა და თხელსახურავიან ბუნგალოსკენ მიემართებოდა, რომლის ირგვლივ ჩაყუჟული პაწაწინა სახლები მის გამოჩეკილებსა ჰგავდა. აქ იყო კანტორა, ღია ბარათები, სუვენირები, მარკები და აგრეთვე სასადილო; მაგიდებზე ჩვენთვის, თოჯინებისათვის, ლურჯი, უჯრულა სუფრები გადაეფარებინათ.

მეპატრონე თავის კანტორაში იჯდა და რაღაც ანგარიშებს ამოწმებდა. რეგისტრაციაში რომ გვატარებდა, მაშინ დავაკვირდი ამ კაცს - ერთი-ორი ღერი თმა ჰქონდა და ისეთი წვერი, რომ შეეძლო ძალიან იშვიათად შეეწუხებინა თავი გაპარსვით. ერთსა და იმავე დროს გულდახშული კაციც მოგეჩვენებოდა და გულღიაც. ასე მხიარულად რომ დავგინახა, იმედი მიეცა, შეყვარებულები იქნებიანო, და ცოტას გაწყდა, დავთარში არ ჩავაწერინე - „ჯონ სმითი მეუღლითურთ“, რათა უფრო დიდი სიამოვნება მიმენიჭებინა. ყოველგვარ ცოდვას, ეტყობოდა, ცხვირით იყნოსავდა. ის კი არა და, თხუნელასი არ იყოს, მგონი, ესეც თავისი გრძელი ცხვირით ხედავდა ყველაფერს.

– დილა მშვიდობისა, - ვუთხარი მე.

ცხვირი მომაშვირა.

– კარგად გეძინათ?

– დიდებულად. არ შეიძლება, ცოლს ლანგრით მივუტანო ოთახში საუზმე?

– ჩვენ მარტო რესტორანში ვემსახურებით ხალხს, რვის ნახევრიდან ათის ნახევრამდე.

– მე თვითონ წავუღებდი...

– წესის დარღვევა გამოვა.

– დავარღვიოთ ამ ერთხელ. ხომ იცით... - ეს ორი სიტყვა განგებ გადავუგდე, მისი ვარაუდის გასამართლებლად.

მართლაც ძალიან გაიხარა. თვალები დაენამა და ცხვირი შეუტოკდა.

– ცოტა დარცხვენილია, ჰა? ერიდება!

– თქვენც ხომ იცით ...

– თქვენ თვითონ სთხოვეთ და უთხარით , რომ ერთი დოლარი წვიპზეა ჩამოკიდებული.

მზარეული ბერძენი გამოდგა და დოლარმა მართლაც მოხიბლა. ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ გასულა, რომ ხრეშიან ბილიკს მივყვებოდი და ხელსახოცადაფარებული ვეება ლანგარი მიმქონდა. გზაზე შევდექი, ლანგარი ტლანქად გამოჩორკნილ ხის სკამზე ჩამოვდე და პაწაწკინტელა ყვავილების კრეფას შევუდექი, რათა ჩემი საყვარელი ცოლის მეფური საუზმე თაიგულით დამემშვენებინა.

იქნებ ეღვიძა კიდეც, მაგრამ თვალები ახლა გაახილა და თქვა: – ყავის სუნი მომდის ოჰ, ოჰ, რა ქმარი მყავს!.. ეს რაა - ყვავილებიც?! თითქოს არაფერიო, მაგრამ ამისთანა უბრალო რამეებსაც თავისი სურნელი ახლავს.

ვისაუზმეთ, ვხვრიპეთ და ვხვრიპეთ ყავა. ჩემი მერი ლოგინში წამოსკუპულიყო და თავისივე ქალიშვილზე უფრო ახალგაზრდა და უმანკო ჩანდა. დიდი ამბითა და მოწიწებით ვლაპარაკობდით იმაზე, თუ რა ტკბილად გვეძინა წუხელ.

უკვე დადგა ჩემი დრო.

– კარგად მოეწყვე. რაღაც უნდა გითხრა - საწყენიც და გასახარელიც.

– აგრე იყოს . ოკეანე იყიდე?

– მარულო გაება.

– რაო?

– ამერიკაში უნებართვოდ შემოპარულა დიდი ხნის წინ.

– მერე?

– უკანვე აბრუნებენ.

– ასახლებენ?

– ჰო.

– რა საშინელებაა!

– ვერ არის კარგი საქმე

– ჩვენ რაღა გვეშველება? შენ რაღა გვეშველება?

– ღლაბუცმა მოგჭამა ჭირი. მე მომყიდა თავისი მაღაზია, უფრო სწორად, შე მოგყიდა. ფული ხომ შენია! ახლა მთელი ქონება ფულად უნდა აქციოს, მე კარგი თვალთ მიყურებს. კაცმა რომ თქვას, ჩუქება გამოდის - სამი ათას დოლარად მამლევს.

– რა ამბობ მაშ, შენ... მაშ, შენია მაღაზია?

– რატომაც არა.

– მაშ, ნოქარი აღარ ხარ! ნოქარი არა ხარ!

სახე ბალიშში ჩარგო და ატირდა, აქვითინდა, გული ამოისკვნა იმ მონის მსგავსად, რომელსაც კისერზე მონობის რგოლს შემოამტვრევენ.

თოჯინების პარმაღზე გამოვედი და მზეზე დავჯექი, დაველოდე სანამ მერი მოემზადებოდა. მან პირი დაიბანა, თმა დაივარცხნა, ხალათი ჩაიცვა, კარი გამოაღო და დამიძახა. სულ შეცვლილიყო და ასეთივე შეცვლილი დარჩება მუდამ. ეს სიტყვის უთქმელადაც იგრძნობოდა. ყელის მოღერებაზე შეატყობდით, ახლა უკვე შეეძლო ღირსეულად აეწია თავი. კვლავ კეთილშობილ ხალხად ვიქეცი.

– ვერაფერს ვუშველიდით მისტერ მარულოს?

– საეჭვოა.

– როგორ მოხდა მაინც? ვინ აღმოაჩინა?

– რა ვიცი.

– რა კარგი კაცია! ასე არ უნდა მოჰქცეოდნენ?! თავი როგორ უჭირავს!

– ღირსეულად, როგორც პატიოსან კაცს შეშვენის.

ზღვის ნაპირს დავუყევით. სწორედ ისე, როგორც ადრე ვოცნებობდით. სილაში ჩავსხედით, ბრჭყვიალა ნიჟარებს ვაგროვებდით და, როგორც წესი, ერთმანეთს ვუჩვენებდით. საერთო ჩვეულებას არც ჩვენ ვარღვევდით და აღფრთოვანებულ ხოტბას ვასხამდით ბუნებას - ზღვას, ჰაერს, სინათლეს, მზის მცხუნვარებას, გამაგრებულ ნიავეს, თითქოს შემოქმედის გასაგონად ვაფრქვევდით ქათინაურებს.

მერი გონებადაფანტული ჩანდა. მგონი, გული ისევ შინისკენ მიუწევდა, რათა იქ შეჰკუებოდა თავის ახალ ყოფას, ჩქარა ენახა, როგორ სულ სხვა თვალებით დაუწყებდნენ ქალები ცქერას, როგორ სხვანაირად მიესალმებოდნენ ნიუ-ბეიტაუნის მთავარ ქუჩაზე. მე მგონი, ნატამალიც აღარ დარჩა იმ „საწყალი მერი ჰოულისა, წელებზე ფეხებს რომ იდგამს“. იგი უკვე მისის ითენ აღენ ჰოული გახდა და მუდამაც ასე დარჩება, ყველაფერი უნდა ვიღონო, რომ ასე დარჩეს. ის დღე მაინც იქ გაატარა, რადგან თავიდან ხომ ასე გადავწყვიტეთ და ფულიც წინასწარ გვექონდა გადახდილი; მაგრამ ნიჟარებს რომ არჩევდა, განა მათ ელვარებას აკვირდებოდა - სინამდვილეში ნათელ დღეებს ხედავდა, მომავლის დღეებს.

ლურჯ, უჯრულა ხაზებით მოხატულ რესტორანში ვისადილეთ, მერის ღირსეული თავდაჭერა და თავდაჯერებული მანერები ისე მოულოდნელი აღმოჩნდა ბატონი თხუნელასათვის, რომ სახტად დარჩა. მისი მგრძობიარე ცხვირი, - ყოველგვარი ცოდვის დაყნოსვაზე მხიარულად რომ შეტოკდებოდა ხოლმე, - ახლა განზე მიიღრცა. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, როცა იძულებული გახდა ჩვენს მაგიდასთან მოსულიყო და მოეხსენებინა, მისის ჰოულის ტელეფონთან სთხოვენო, მთლად გაუცრუვდა იმედი.

ვინ უნდა იცოდეს ჩვენი ადგილსამყოფელი?

– მარჯიმ, რა თქმა უნდა. მე დავუბარე, ბავშვების გამო. ო, ღმერთმა ნუ ქნას... გვერდზეც კი არ გაიხედავს, ისე დააბოტებს.

რომ მობრუნდა, სულ ვარსკვლავივით თრთოდა.

– ვერასოდეს გამოიცნობ, რა მითხრა. ვერასდიდებით ვერ გამოიცნობ.

– გამოვიცანი და ეგ არის - კარგი რაღაც გითხრა.

– ახალი ამბავი თუ გაიგეთო? რადიოს თუ მოუსმინეთო? ხმაზე შევატყვე, რომ ცუდი ამბავი არ უნდა ყოფილიყო.

– ჯერ სათქმელი მითხარი, მისი ხმის გახსენებას მერეც მოასწრებ.

– ვერაფრით დამიჯერებია.

– სცადე ერთი, იქნება მე დავიჯერო.

– აღენს სამახსოვრო სიგელი მიუღია.

– რაო? ალენსო? კარგი ერთი!

– საკონკურსო თხზულებაში... მთელი ქვეყანა მონაწილეობდა... სამახსოვრო სიგელი!

– არა! ნამდვილად, სულ ხუთი ქების სიგელი დაურიგებიათ - თანაც საათი საჩუქრად და ტელევიზორში გამოსვლა. წარმოგიდგენია? ასეთი ბრწყინვალე შვილი!

– ვერ წარმომიდგენია. მაშ, მაგისი დოკლამპობა სულ მოჩვენებითი ყოფილა. რა არტისტია! ეტყობა, სულაც არ ყოფილა მაგისი გული ფეხით გათელილი.

– ნუ დასცინი. წარმოგიდგენია? - ჩვენი შვილი მთელი შეერთებული შტატების ბავშვთა ხუთეულში მოხვდა, სამახსოვრო სიგელი მიიღო და ახლა ტელევიზიაშიც უნდა გამოიყვანონ.

– საათი დაგავიწყდა! ნეტა, დროის ცნობა თუ იცის.

– ითენ, მოეშვი მაგ დაცინვას, თორემ ხალხი იფიქრებს, საკუთარი შვილისა შურსო.

– გონს ვერ მოვსულვარ. მე მეგონა, მაგასაც დაახლოებით გენერალ ეიზენჰაუერივით შეეძლო წერა. უჩინმაჩინები ხომ არ უწერენ ჩვენს ალენს?!

– გიცნობ, რა შვილიც ბრძანდები, ითენ. თითქოს ასე მასხრად და აბუჩად იგდებ, მაგრამ სინამდვილეში შენ ანებივრებ და აფუჭებ მაგათ. მიგიხვდი ეშმაკობას. ახლა სიმართლე მითხარი, შენ ხომ არ დაეხმარე თხზულების შედგენაში?

– დავეხმარეო? ჩემთვის არც კი უჩვენებია.

– მით უკეთესი. მაგას რაღა ჯობს, თორემ შენს ცხვირის აბზეკას ვილა გაუძლებდა მერე.

– გაოგნებული ვარ. ეტყობა, ხეირიანად ვერ ვიცნობთ ჩვენს შვილებს. ნეტა, ელენი რა გუნებაზეა?

– ფარშევანგივით იქნება გაბლენძილი. ისე ადელვებული ჩანდა მარჯი, რომ ძლივს იღებდა ხმას. დაესევინა გაზეთებიდან ინტერვიუს მისაღებად... ახლა ტელევიზორშიც გამოიყვანენ. წარმოგიდგენია, ჩვენ ტელევიზორიც არა გვაქვს, რომ ვუყუროთ. მარჯიმ, ჩემთან უყურეთო. ხედავ, რა ბრწყინვალე შვილი გვყავს! ითენ, უსათუოდ უნდა ვიყიდოთ ტელევიზორი.

– ვიყიდოთ. ხვალ დილასვე ვიყიდი. ან არადა დავუკვეთოთ და თვითონ მოგვიტანენ.

– გვაქვს მაგისი თავი? სულ დამავიწყდა ითენ, რომ საკუთარი მაღაზია გვაქვს, აღარ გამახსენდა. წარმოგიდგენია? ასეთი ბრწყინვალე შვილი!

- იმედია, მაინც მოვახერხებთ ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას.
 - გაუშვი, გაიხაროს. ახლავე უნდა გავწიოთ შინისაკენ. ისინი შვიდსა და თვრამეტზე ჩამოვლენ. უნდა ჩავუსწროთ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შევხვდეთ!
 - ნამცხვარიც დავახვედროთ.
 - გამოვაცხოზ.
 - ქალაღდის გირღანდებიც გამოვკიღლოთ.
 - გშურს, ხომ? გამოტყდი.
 - რას ამბობ, გონს ვერ მოვსულვარ. გირღანდები ნამღვიღად კარგი იქნება. მთელ სახლს შემოვარტყათ.
 - გარედან არა. მეტისმეტი არ მოგივიღდეს. მარჯი ამბობს, ვითომ არაფერი გაგიღიათ და თვითონვე ათქმევინეთო.
 - აჰ, არასღიღებით. ეწყინება. სულაც არ ენაღვღებათო, იფიქრებს. არა, ყიჟინითა და ზარ-ზეიღით დავხვედეთ, ნამცხვარიც დავახვედროთ, შუმხუნებსაც ვიყიღდი, მაღაზიები რომ ღია იყოს.
 - იქნებ კიოსკში...
 - ჰო, მართღა. უკან დაბრუნებისას, გზაზე... თუ შერჩათ რამე.
- მერიმ თავი ჩაქინღრა, თითქოს ლოცვას ამბობსო.
- შენ მაღაზიის პატრონი გახღდი, აღენი - გამოჩენიღლი აღამიღანი. ვინ იფიქრებსღა, რომ ასე ერთბაშად მოხღდებოღდა ყვეღაფერი. ახლავე უნდა წავიღდეთ, ითენ. შინ უნდა დავხვედეთ, რას გაშტერიღდი?
 - ერთბაშად გამიღღვა თავში, - სულ არ ვიციღნობთ ხაღხს. ლამის ჩამწყღდეს გული. მახსოვს, საშობაღოდ, სიხარულით ფეხზე არ უნდა ვიღღვე, მე კიღღვე - „უეღშ რეტ“[27].
 - „რეტი“ რაღაა?
 - პაპიღდა დებორა მეტყოღდა ხოღმე - „ვეღშმერიცი!“ მე კიღღვე „უეღშ რეტ“ -ს ვიღმეორებსღდი.
 - „ვეღშმერიცი“ რაღას ნიშნავს?
 - საფღავზე რომ ბატები გაღდაგივღღიღან.
 - ა-ა! ეგ არის! ღმერთმა დავგიფაროს. ამისთანა დღე ჯერ ჩვენ არ გაგვთენებია. დიღდი უმაღღურობა იქნება, რომ არ დავაფასოთ. გახსენი შუბღლი, ითენ, გაღააღღღე ეგ შენი

„უელშ რეტი“. სასაცილო კია - „უელშ რეტი!“ შენ ფული გადაიხადე, მე წავალ და ჩავალაგებ.

ანგარიში გავასწორე (იმ ფულით, კვადრატულად რომ მქონდა დაკეცილი და შეკრული) და მისტერ თხუნელას ვკითხე: – შუმხუნები ხომ არ დაგრჩათ კიოსკში?

– მგონი უნდა გვქონდეს, ვნახო... მქონია. რამდენი გნებავთ?

– სულ წავიღებ, რაც გაქვთ, - ვუთხარი მე, - ჩვენი შვილი გამოჩენილი კაცი გახდა.

– მართლა? მაინც რა გზით?

– გზა მხოლოდ ერთი არსებობს.

– დიკ კლარკისა?[28]

– თუ ჩესმენის, ან იქნებ დილინგერის?!

– თქვენ ხუმრობთ.

– ტელევიზორშიც უნდა გამოვიდეს.

– რომელი სადგურით? როდის?

– არ ვიცი... ჯერჯერობით.

– უსათუოდ ვნახავ, სახელს ვერ მეტყვით?

– ერთი სახელი გვაქვს - ითენ ალენ ჰოული, შინ ალენს ვეძახით

– ჩემთვის დიდი პატივია, მისის ალენი და თქვენ რომ მესტუმრეთ.

– მისის ჰოული.

– დიახ, დიახ, იმედი მაქვს, კიდევ გვეწვევით, რამდენი გამოჩენილი ხალხი ყოფილა ჩვენთან. ყველას იზიდავს ეს... მყუდროება.

ვბრუნდებოდით შინისკენ, დინჯად მივყვებოდით მანქანების გველივით დაკლაკნილ ნაკადს და ამ ოქროს გზაზე მერი ამაყად და ყელმოღერებით იჯდა.

– მთელი ყუთი შუმხუნა ვიყიდე. ასზე მეტი იქნება.

– ახლა კი ნამდვილად ითენი ხარ, ჩემო კარგო. ნეტა, ბეიკერები თუ დაბრუნდნენ.

თავი მეცხრამეტე

ჩემს ვაჟიშვილს კარგად ეჭირა თავი. გულმოწყალებად და კეთილად იქცეოდა. არც შური უძიებია, არც დავუსჯივართ. საპატიო ჯილდო და ჩვენი მილოცვები ჩინებულად შეიფერა. არც მეტისმეტად გაბღენძილა და არც თავმდაბლობით მოუკლავს თავი. ჩვენი ასი შუშხუნის ბოლომდე დაწვას არც მოუცადა, თავის სკამთან მივიდა, სასტუმრო ოთახში, და რადიო ჩართო. აშკარად ეტყობოდა, ყოველგვარი შეცოდებანი მოგვიტევა. პირველად ვხედავდი, ცინგლიან ბიჭს ასე შეეფერებინოს დიდება.

ის ღამე მართლაც რომ საოცრებათა ღამედ იქცა. ალენის ასე იოლმა ცად ასვლამ თუ გაგვაკვირვა და გაგვაოგნა, ელენის საქციელი რაღას გვიზამდა! აგერ რამდენიმე წელია გულმოდგინე და საფუძვლიანი დაკვირვების მიხედვით, მის ელენი ახლა შურით გულზე უნდა გახეთქილიყო და ყველაფერი შემოეგლიჯა, ყოველნაირად ცდილიყო, ძმის განდიდება როგორმე დაემცირებინა, მაგრამ გამაცურა. პირველი მადიდებელი ძმისა ის გახდა. სწორედ ელენმა გვიამბო, მომაჯადოებელი საღამოს შემდეგ როგორ ისხდნენ დიდებულად მორთულ ბინაში, სამოცდამეშვიდე ქუჩაზე, და უგულოდ ისმენდნენ ტელევიზიის უკანასკნელ ცნობათა გადმოცემას, როცა მოულოდნელად ალენის გამარჯვების ამბავი ამცნეს ქვეყნიერებას. სწორედ მან გვიამბო, ვისზე როგორ იმოქმედა ამ ცნობამ, ვინ რა თქვა, სუნთქვა როგორ შეეკრათ. ალენი კუთხეში მიმჯდარიყო მშვიდად და ელენს უსმენდა. ელენი კი გატაცებით ჰყვებოდა, როგორ გამოვიდოდა თავისი ძმა ოთხ სხვასთან ერთად ტელევიზორში და მილიონობით ხალხის მოსასმენად და შესახედად საკუთარ თბზულებას წაიკითხავდა. ცოტა ხნით ლაპარაკი რომ მიწყდებოდა, მერის ბედნიერი კისკისი გაისმოდა ხოლმე. მე მარჯი იანგ-ჰანტს გავხედე.

ისე გასუსულიყო, როგორც მკითხაობის დროს. წყნარი ბინდ-ბუნდი შეუმჩნევლად შემოცოცდა სახლში.

– ამას მაინც ვერ გავექცევით, - ვთქვი მე, - ჩაციებული ლუდი უნდა ჩამორიგდეს.

– ელენი მოიტანს. სად არის ელენი? კვამლივით დამგრება აქეთ-იქით.

მარჯი იანგ-ჰანტი ნერვიულად წამოდგა.

– თქვენ საოჯახო ზეიმი გაქვთ. მე წავალ.

– ვერც თქვენ გამოაკლდებით, მარჯი. ელენი სად დაიკარგა?

– მერი, რატომ გინდა მაინცდამაინც მათქმევინო, არაქათი გამომელია-მეთქი?

– ანკი რა გასაკვირია, გენაცვალე. სულ დამავიწყდა, ჩვენ კი ისე დავისვენეთ, ვერც კი წარმოიდგენ... და სულ თქვენი წყალობით.

– ძალიან სასიამოვნოა. ძალიან მიხარია.

წასვლა მოუნდა, ვეღარ მოისვენა. მოისმინა ჩვენი მადლობა, ალენის მადლობაც და გავარდა.

– მაღაზიის ამბავი აღარ ვუთხარით, - თქვა მერიმ ჩუმად.

– მაგასაც მოვესწრებით. დღეს ამ ჩვენს ვარდისფერ ბრწყინვალეებას ნუ გავძარცვავთ. მაგისი დღე იყოს. ელენი სად წავიდა?

– დაიძინა, - თქვა მერიმ, - მართალი ხარ, ჩემო ძვირფასო, ჭკვიანური მოსაზრებაა. ალენ, დღეს რამდენი რამე გამოიარე! ბარემ შენც დაიძინე.

– ცოტა ხანს დავრჩები, - გულმოწყალებდ თქვა ალენმა.

– დასვენება გინდა.

– ასეც ვისვენებ.

მერიმ მე გადმომხედა, შველას მთხოვდა.

– ეს ადამიანის სულიერი სიძლიერის გამოცდის დროა - ან უნდა მივტყიპოთ, ან ნება უნდა მივცეთ, რომ ჩვენზე გამარჯვება იზეიმოს.

– ჯერ ბავშვია. დასვენება სჭირდება.

– ბევრი რამეც სჭირდება, მაგრამ დასვენება არა.

– საქვეყნოდ არის ცნობილი, რომ ბავშვებს დასვენება სჭირდება.

– რაც საქვეყნოდაა ცნობილი, მეტწილად მცდარია ხოლმე, სად გინახავს, ბავშვი ზედმეტი გადაღლისაგან მომკვდარიყოს. არა - დიდები კვდებიან. ბავშვებს მაგისტანა რამეში ჭკუას ვერ ასწავლი. როცა ნამდვილად სჭირდებათ, მაშინ ისვენებენ.

– შუალამე გადავიდა.

– მერე რა მოხდა, გენაცვალე, ეს ხვალ შუაღამედ იძინებს. ჩვენ კი ექვს საათზე უნდა წამოვხტეთ.

– შენ დაიძინებ და ამას აქ დატოვებ?

– მაგან შური უნდა იძიოს ჩვენზე, რომ გავაჩინეთ.

– აღარ მესმის შენი. ნეტა, რა შურისძიებაზე ლაპარაკობ?!

– მოდი, სანამღეოს ჩამოვიდეთ, თორემ გატყობ, ბრაზდები.

– მართლაც გული მომდის, სულ გამოთაყვანდი.

– ჩვენ რომ დავწვებით, ნახევარ საათში თუ არ წამოდგეს და თავის ბუდეში არ შეძვრეს, მზადა ვარ გადაგიხადო ორმოცდაშვიდი მილიონ რვაას ოცდაექვსი დოლარი და ოთხმოცი ცენტი.

– ვაგლახ, წავაგე. და უნდა გადავუხადო მერის. ჩვენ რომ ღამე მშვიდობისა ვუსურვეთ, იმის შემდეგ ოცდათხუთმეტი წუთი გავიდა, რომ კიბემ მისი ბრწყინვალეების ფეხქვეშ ჭრაჭუნის დაიწყო.

– მძულხარ ხოლმე, მართალი რომ გამოდგები, - მითხრა ჩემმა მერიმ. ისე შეემზადა, რომ ეგონა, მთელი ღამე მოუწევდა ლოდინი.

– ახლა შემეშალა, გენაცვალე. ხუთმა წუთმა წამაგებინა.

მერის მაშინვე ჩაეძინა. არ გაუგონია, როგორ ჩაცოცდა ელენი კიბეზე. მე - გავიგონე: ვიწექი და სიბნელეში მოსრიალე ჩემს წითელ ბურთულეებს შევცქეროდი. აღარ გავყევი ელენს, რადგან მალე შემომესმა სპილენძის გასაღების სუსტი ჩხაკუნის და მივხვდი, რომ ჩემი ქალიშვილი თავის ბატარეას მუხტავდა.

ჩემი წითელი ლაქები უფრო სწრაფად ამოდრავდნენ. აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ, ხოლო როცა ერთ-ერთ მათგანზე მოვინდომებდი თვალის შეჩერებას, სულაც ქრებოდა. ძველი კაპიტანი რაღაც გამირბოდა. რამდენი ხანია, აღარ მომჩვენებია?... ჰო, აღდგომის მერე. განა დეიდა ჰარიეტს ჰგავს - „რომელი არს ცათაშინა“ - დაკვირვებული ვარ, მე რომ ავუხირდები ხოლმე საკუთარ თავს, ძველი კაპიტანიც დამეკარგება და აღარ ჩანს. ერთგვარი საზომი გახდა ჩემთვის - საკუთარ თავთან ურთიერთობას ამითი ვზომავ.

იმ ღამეს ვაიძულე, რომ მოსულიყო. საწოლის კიდეზე ვიწექი, გაჭიმული და განაბული. მთელი კუნთები დავძაბე, განსაკუთრებით კისრისა და ყბის კუნთები, ხელები დავმჯიღე, მუცელზე დავიწყვე და ვაიძულე მოსულიყო. გამოჩნდა მისი პატარა, ცივი თვალები, ჭადარა, წაწვრილებული უღვაში, წინ გადმოზნექილი მხრები - ნიშანი იმისა, რომ ოდესღაც დიდი ღონის პატრონი იყო და არც ზოგავდა ამ ღონეს. ის კი არა და, თავისი ლურჯი ქუდის დახურვაც ვაიძულე, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად თუ დაიხურავდა ქუდს. ქუდის მოელვარე წინაფრაზე ოქროს H ჰქონდა ამოკვეთილი, როგორც ორი ღუზის გამოსახულება. ერთი პირობა, გამიჯიუტდა ბერიკაცი, მაგრამ მაინც ვაიძულე მოსულიყო და ჩემი თავშესაფრის მახლობლად, ძველი ნავსადგურის ჩამონგრეულ კედელზე ჩამომჯდარიყო. ბალასტის გროვაზე დავსვი და მომუჭული ხელები ნარვალის ჯოხზე დავადებინე. ამ ჯოხით სპილოს დასცემდა ძირს.

– უნდა შევიძულო რაღაც. სიბრალული და თანაგრძნობა თავის მოტყუებაა. რაღაც უნდა შევიძულო და ამით მოვიშორო ეს მწველი გრძნობა.

მოგონება ხიზილალასავით მრავლდება: ერთი პატარა რამე თუ მოიგონე, მორჩა, ბოლო აღარ აქვს, კინოსავით წავა და მერე გინდა წინ ატრიალე და გინდა უკან.

ძველი კაპიტანი გამოცოცხლდა. თავისი ჯოხით მანიშნა.

– ამ ზვირთსაქცევის გადაღმა მესამე შვერილიდან გამოავლე ხაზი, პორტის კონცხამდე, სადაც ყველაზე მაღლა სცემს მოქცევის დროს წყალი. მანდედან ნახევარი კაბელის სიგრძეზეა... ის სადღა იქნება... მისი ნარჩენები.

– ნახევარი კაბელი რამდენიღა იქნება, სერ?

– რამდენი იქნება? რამდენი და სამასი ფუტი. ღუზაზე გვედგა, მოქცევა რომ დაიწყო. ორი ბედნავსი წელი. ქონის კასრები ნახევრად დაცარიელებული იყო. შუაღამეს იყო მიტანებული, ცეცხლი რომ გაუჩნდა, მე ნაპირზე ვიყავი. ქონს რომ მოეკიდა, დღესავით გაანათა მთელი ქალაქი. ოსპრის კონცხამდე უწევდა ალი. ნაპირისკენ ვერ დავძარით, დოკებს არ წაეკიდოსო, ერთ საათში დაიწვა. კილი და ფალშკილი ახლა იქვეა, სავსებით უვნებელი, მუხისა იყო, ბელტერ-აილენდიდან ჩამოტანილი. კნიცაც მუხისა ჰქონდა.

– როგორ წაეკიდა?

– მაგას რას წარმოვიდგენდი, ნაპირზე ვიყავი.

– მაინც ვის რაში დასჭირდა გემის დაწვა?

– ვის დასჭირდებოდა? - პატრონებს.

– თქვენი არ იყო?

– სანახევროდ. მე რა დამაწვევინებდა გემს! ნეტა, ერთხელ კიდევ შემავლებინა თვალი იმ შპანჰოტელებისათვის... ნეტა მანახა, რა მოუვიდათ, რას დაემსგავსნენ.

– ახლა შეგიძლიათ წაბრძანდეთ, სერ, კაპიტანო.

– სიძულვილისთვის ეგ არ გეყოფა.

– სულ არარაობას მაინც ხომ სჯობს. ერთი კი გავმდიდრდე და იმ კილს უსათუოდ ამოვიღებ. არ დაგწყვეტ გულს - მესამე შვერილიდან გავავლებ ხაზს პორტის კონცხამდე, და იქიდან სამას ფუტს გადავზომავ.

არ მეძინა. ხელეები კვლავ დაჭიმული მქონდა და მუცელზე მეწყო, რომ ძველი კაპიტანი არ გამპარვოდა. როცა გავუშვი, მაშინვე ჩამეძინა.

ფარაონმა რომ ნახა სიზმარი, მცოდნე ხალხს მოუხმო და იმათ აუხსნეს, სამეფო რა დღეში იყო და რა მოელოდა. ასეც იყო საჭირო, რადგან თვითონვე იყო მთელი სამეფო. ვინმე ჩვენგანი რომ ნახავს სიზმარს, ჩვენც მცოდნე ხალხს მივმართავთ

ხოლმე და ისინი აგვიხსნიან, რა უნდა მოხდეს იმ ქვეყანაში, რასაც ჩვენ თვითონვე წარმოვადგენთ. ჩვენს სიზმარს ამხსნელი არ სჭირდება. თანამედროვეთა უმრავლესობის მსგავსად, წინასწარმეტყველებისა და ჯადოქრობისა მეც არაფერი მწამს, თუმცა ნახევარ დროს სწორედ ამ საქმეს ვანდომებ ხოლმე.

გაზაფხულზე ალენი, როგორღაც მოეშვა, დადარდიანდა, ადგა და თავისივე მშობლებისა და ღვთის გამოჯიბრებით, ათეისტი ვარო, გამოაცხადა. ძალიანაც ნუ გადაიქაჩები-მეთქი, ვუთხარი, თორემ ათეისტს აღარ დაგშვენდება ახალი მთვარისათვის შენი ნატვრა-სურვილების განდობა, კიბის ქვეშ გავლის შიში ან შავი კატის დანახვაზე გადაპურჭყება და ცერის პირში ტაკება!

– ვისაც ძალიან ეშინია სიზმრებისა, თავს იმშვიდებს ხოლმე, სიზმარს სულაც არ ვნახულობო. ჩემი სიზმრის ახსნა ადვილად შემიძლია, მაგრამ ამით ნაკლებ საშიში კი არ გახდება.

არ ვიცი, როგორ და რანაირად, მაგრამ დენის დანაბარები გადმომცეს. სადღაც წასულა თვითმფრინავით და მე მითვლიდა ზოგიერთი საქმე მომიგვარეო. ქუდის ჩუქება სურდა მერისთვის. მუქი ყავისფერი იყოსო, გარედან ნატისა, შიგნით კი მატყლისაო. ძველი ფაჩუჩები მაქვს სწორედ ამნაირი, ჭვინტწაგრძელებული, როგორ ბეისბოლის ქუდი. ამას გარდა, ქარმზომიც სდომებია, ისეთი კი არა, ლითონის პატარა ფიალები რომ ახლავს - შინნაკეთი, საფოსტო ბარათების მუყაოსგან გამოჭრილი და ბამბუკის ჯოხზე დამაგრებული. გამგზავრების წინ უსათუოდ მნახოსო, ეგეც დაებარებინა. მე ძველი კაპიტნის ჯოხი ავიღე, ნარვალის ჯოხი, სპილოს ფეხში რომ გვიდევს, ქოლგასთან ერთად, ჰოლში.

ეს სპილოს ფეხი რომ გვაჩუქეს, მის ვეებერთელა მოყვითალო ფრჩხილებს დავხედე და ბავშვები გავაფრთხილე - ვინც პირველი გაბედავს ამ ფრჩხილების შეღებვას, მაგრად მოხვდება-მეთქი. როგორღაც დამიჯერეს და იძულებული შევიქენი, მე თვითონ შემეღება. მერის საპარემო მაგიდიდან წითელი ლაქი ამოვიღე და იმით შევღებე.

მარულოს „პონტიაკში“ ჩავჯექი და დენის შესახვედრად წავედი. აეროდრომი - ნიუ-ბეიტაუნის ფოსტა იყო. მანქანა დავაყენე და ის იყო, ნარვალის ჯოხი უკანა სავარძელზე უნდა დამედო, რომ პოლიციის მანქანა მოგრიალდა და ორმა საძაგელმა პოლიციელმა გამაფრთხილა: – სავარძელზე დადება არ შეიძლება.

– კანონს ეწინააღმდეგება?

– ჭკუის კოლოფი გაგვიხდი?!

– არა, მე მართლა გეკითხებით.

– ჰოდა, სავარძელზე დადება არ შეიძლება.

დენი ფოსტის უკანა ოთახში ამანათებს არჩევდა. ნატის ქუდი ეხურა და მუყაოს ქარმზომს ატრიალებდა. სახე ჩამოხმობოდა. ტუჩები დასკდომოდა; ხელები კი რუმბივით ჰქონდა, გეგონებოდა, ფუტკარს დაუკბენიაო.

წამოდგა, ხელი გამომიწოდა და ჩემი მარჯვენა ხელი თბილ, რეზინისებურ მასაში მოხვდა. რაღაც ჩამიდო ყელში - პატარა, მძიმე და ცივი, გასაღებისოდენა, მაგრამ გასაღები არ ყოფილა, ლითონის ნივთი იყო, გაპრიალებული და ნაპირებწამახვილებული. ვერ მივხვდი რა უნდა ყოფილიყო, რადგან არ დამიხედავს, ისე მეჭირა ხელში. ახლოს მივიწიე და ტუჩებში ვაკოცე. მაშინ ვიგრძენი, რა გამხმარი და დამსკდარი ტუჩები ჰქონდა. უცებ გამელვინა, მციოდა და მაჭრჟოლებდა. თენდებოდა. ტბას კი ვხედავდი, მაგრამ ძროხა ვერ გავარჩიე, კვლავ იმ გამხმარ და დამსკდარ ტუჩებს ვგრძნობდი. მინდოდა ეს სიზმარი როგორმე მომეშორებინა და ხელად წამოვხტი. ყავა არ ამიდულებია, მაშინვე სპილოს ფეხს მივევარდი და ვნახე, რომ ის საშინელი კეტი, ჩვენ რომ ჯოხს ვემახდით, იქვე იყო.

განთიადი ფარფატით მოდიოდა. ჯერ დილის ნიავი არ ამოჭრილიყო და ამიტომ ჰაერში სიცხე და სინესტე იდგა. ქუჩის სირუხეს ვერცხლისფერი შერეოდა, ტროტუარები დანაგვიანებული იყო. „მთავარი ანძა“ ჯერ არ გაეღოთ, მაგრამ არც მინდოდა ყავა. ხეივანს დავუყევი, უკანა კარი გავაღე, მაღაზიაში შევიხედე და დახლში ყავის კოლოფი დავინახე. მერე ყავის კოლოფი გავხსენი და ყავა სანაგვე ყუთში ჩავასხი. შედედებული რძის ქილა ავიღე, ორგან გავხვრიტე და ყავის კოლოფში გადავასხი, უკანა კარი შევაღე და რძე გავდგი. კატა, რა თქმა უნდა, იქვე წრიალებდა, მაგრამ მანამ მაღაზიაში არ შევბრუნდი, არ მიჰკარებია. მაღაზიიდან ვხედავდი, როგორ სვლეპდა ნაცრისფერი კატა ამ განაცრისფერებულ ქუჩაში რძეს. თავი რომ აიღო, სულ რძით ჰქონდა ულვაში მოთხუპნული. ჩაცუცქდა და თათების ლოკვასა და პირის ბანვას მოჰყვა.

ქუდის კოლოფი გავხსენი და შაბათის ჩეკები ამოვიღე, მავთულის სამაგრებით ერთმანეთზე მიმაგრებული. მერე ბანკის ყავისფერი კონვერტიდან სამი ათასი დოლარი ამოვიღე, ორი ათასი კი იქვე დავტოვე. ეს სამი ათასი მარაგად მექნება, სანამ შემოსავალ-გასავლის ანგარიშს გავაწონასწორებდე და მოგებას დავაგროვებდე. ორი ათასი ისევ მერის ანგარიშზე უნდა შევიტანო და როგორც კი მოვახერხებ, იმ სამი ათასსაც დავუმატებ. ოცდაათი დოლარი ჩემს ახალ საფულეში ჩავდე და უკანა ჯიბეში შევინახე - ძალიან გამომიბერა ჯიბე. მერე საწყობიდან ყუთები და კოლოფები გამოვიტანე, გავხსენი და საქონელი დაცარიელებულ თაროებზე დავალაგე, იქვე ქალაღი მოვამზადე, დასაკვეთ საქონელს ცალკე ვინიშნავდი. დაცარიელებული ყუთები და კოლოფები ქუჩაში გავყარე - საბარგო მანქანა გამოივლის და წაიღებს, - ყავის კოლოფი ისევ შევავსე რძით, მაგრამ კატა აღარ გამოჩენილა. ან გაძღა, ან მარტო მოპარული ჰგვრიდა სიამოვნებას.

როგორც ერთი დღე არ ჰგავს მეორეს, ისევე წელიწადებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან - ამინდით, კლიმატით, განწყობილებით. ეს 1960 წელი

ცვლილებათა წელი გამოდგა; ისეთი წელი, როცა მიჩქმალული შიში საამკარაოზე გამოდის, როცა უკმაყოფილება პასიური პროტესტიდან თანდათან მრისხანებად იქცევა ხოლმე. მარტო მე კი არ მიგრძენია ეს ცვლილება, არც მარტო ნიუ-ბეიტაუნს. პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდებოდა და უკმაყოფილებით დამუხტული ჰაერი მრისხანებად იქცეოდა, მრისხანებას კი მღელვარებაც მოსდევს. არც მარტო ჩვენს ქვეყანას განუცდია ეს, მთელი ქვეყნიერება ბორგავდა. ვერ მოესვენა და ვერ დამშვიდებულიყო, უკმაყოფილება მრისხანებად იქცა, მრისხანება ბორგავდა და გამოსავალს მოქმედებაში ეძებდა: რაც უფრო მძვინვარე იყო მრისხანება, ბორგავც მით უფრო გაძლიერდა - აფრიკა, კუბა, სამხრეთ ამერიკა, ევროპა, აზია და ახლო აღმოსავლეთი -ბორგავდნენ, წრიალებდნენ, როგორც ბარიერების გადასალახად გამოყვანილი ცხენები.

წინასწარვე ვიცოდი, რომ სამშაბათი, ხუთი ივლისი, ყველაზე დიდი დღე იქნებოდა მთელ წელიწადში; თითქმის იმასაც წინასწარ ვგრძნობდი, რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ რაკი მართლა ისე მოხდა ყველაფერი, უკვე აღარ შემიძლია დაბეჯითებით თქმა, სწორედ ასე ვფიქრობდი-მეთქი.

თითქოს წინასწარვე ვგრძნობდი, რომ ჩვიდმეტი ძვირფასი ქვით გაწყობილი და მომართული მისტერ ბეიკერი, რომელიც წიკწიკით ზომავს ხოლმე დროს, ბანკის გაღებამდე ერთი საათით ადრე მოვიდოდა და კარზე დამიკაკუნებდა. ჯერ არც გამელო მაღაზია, რომ მართლაც მოვიდა. შემოვუშვი და კარი ჩაკვეტე.

– რა საშინელება მომხდარა! - თქვა მან, - წასული ვიყავი, მაგრამ როგორც კი გავიგე, მაშინვე ჩამოვედი.

– რა არის საშინელება, სერ?

– სასკანდალო საქმეა! სულ ჩემი მეგობრები არიან, ძველისძველი მეგობრები. უნდა ვილონოთ რამე.

– არჩევნებამდე დაკითხვას არც კი დაიწყებენ. მარტო ბრალდებას წაუყენებენ.

– ვიცი. რა იქნება, რომ ოფიციალურად განვაცხადოთ მათი უდანაშაულობა?! ის კი არა და, თუ საჭიროა ფასიანი განცხადებაც გამოვაქვეყნოთ გაზეთში.

– რომელ გაზეთში, სერ? „ბეი ჰარბორ მესენჯერი“ ხუთშაბათამდე არ გამოვა.

– რამე მაინც უნდა ვქნათ.

– მართალია.

ასეთი ოფიციალური იყო ჩვენი შეხვედრა. ალბათ, გრძნობდა, რომ მე ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ მაინც მისწორებდა თვალს და გულწრფელად შეწუხებული ჩანდა.

– თუ რამე არ ვიღონეთ, არჩევნებზე წყალში ჩაგვეყრება ყველაფერი. ახალი კანდიდატები უნდა წამოვაყენოთ. სხვა გზა არა გვაქვს. საშინელებაა ძველი მეგობრების ამისთანა დღეში მიტოვება, მაგრამ მაგათზე კარგად ვინ უნდა გაგვიგოს, რომ ყველა ვიგინდარას ვერ მოვითმენთ.

– რატომ არ გინდათ, მოელაპარაკოთ?

– ცოფიანებივით არიან, ჭკუას კარგავენ. დრო აღარ დარჩათ, რომ ყველაფერი აეწონდაეწონათ. მარულო ჩამოვიდა?

– ვილაც მეგობარი გამოგზავნა. სამი ათასად შევისყიდე მაღაზია.

– ყოჩაღ! მუქთად ჩაგიგდია. ქალაქები ხელთა გაქვს?

– დიახ.

– რამე თუ აურია, კუპიურები ჩანიშნული მაქვს.

– რაღას აურევს! თვითონვე სურს წასვლა. გაბეზრდა კაცი.

– მუდამ უნდო კაცად მეჩვენებოდა. ვერასოდეს გაუგებ, სად რას აკეთებს.

– ვითომ ყალბაბანდობდა?

– დიდი გაიძვერა კაცი იყო, თვალსა და ხელს შუა მოგატყუებდა. თუ მოახერხა მთელი ქონების გაყიდვა, დიდი სიმდიდრე შერჩება, მაგრამ სამი ათასი - მუქთია.

– მე მწყალობდა.

– ეტყობა.

– ვინ გამოგიგზავნა, მაფიის წევრი?

– მთავრობის მოხელე. ჩემი დიდი ნდობა ჰქონდა მარულოს.

მისტერ ბეიკერმა შუბლზე იტკიცა ხელი, უჩვეულო იყო მისგან ასეთი მოქმედება.

– რატომ ადრე არ გამახსენდა?! შენ ახლა ნამდვილად საამისო კაცი ხარ. კარგი ოჯახის შვილი, სასურველი, მაღაზიის პატრონი, ბიზნესმენი, პატივცემული, მთელ ქალაქში ერთი მტერი არ მოგემბნება. სწორედ შენზეა ზედგამოჭრილი.

– რაა?

– ქალაქის მმართველობა.

– მე მხოლოდ შაბათიდან გავხდი ბიზნესმენი!

- შენც კარგად გესმის, რას ვამბობ. ირგვლივ სულ ახალ, პატივსაცემ ხალხს დაგახვევთ. რას ამბობ, დიდებული საქმე იქნება!
- მედუქნეობიდან ერთბაშად მერობას წავეპოტინო?
- არც არავის სჯეროდა ჰოულის მედუქნეობა.
- მე მჯეროდა. მერის სჯეროდა.
- ახლა ხომ აღარ ხარ მედუქნე! დღესვე მოვდებთ ქვეყანას, სანამ ვიღაც ვიგინდარები გამოძრომას მოასწრებდნენ.
- ჯერ მოვიფიქრო, თორემ უფსკრულიდან უცბად ცაში აჭრას ეხუმრებით?
- ფიქრის დრო არ არის.
- ადრე ვისზე ფიქრობდით?
- როგორ თუ ადრე?
- მანამ მუნიციპალიტეტი დაიწვებოდა. მერე მოგელაპარაკებით. შაბათს დიდი ვაჭრობა მქონდა, ლამის სასწორიც იყიდეს.
- ამ მაღაზიით დიდი საქმის დატრიალება შეგიძლია, ითენ. მე თუ მკითხავ, ჯერ კარგად უნდა დააყენო ფეხზე და მერე გაყიდო. იმისთანა მომავალი გაქვს, მუშტრებთან ტრიალი რა შენი საქმეა. დენისა რა ისმის?
- არაფერი. ჯერ ვერაფერი გავიგე.
- არ უნდა მიგეცა ის ფული.
- ასე გამოდის. მე მეგონა, სიკეთეს ვუშვრებოდი.
- სიკეთეც იყო. ნამდვილი სიკეთე.
- მისტერ ბეიკერ, სერ... რა მოუვიდა მაინც იმ ჩვენს „ბელ ადერს“?
- როგორ თუ რა მოუვიდა? დაიწვა.
- ნავსადგურში... ცეცხლი როგორ გაუჩნდა?
- რაღა დროს „ბელ ადერია“. მე რა მეხსომება, ბავშვი ვიყავი. ისე გამიგონია. ძველი ხომალდები სულ ვეშაპის ქონითაა გაჟღენთილი. ალბათ, ასანთი მოიქნია ვინმე მეზღვაურმა. პაპაშენი კაპიტანი იყო, მაგრამ მაშინ, მგონი, ნაპირზე უნდა ყოფილიყო, მგზავრობიდან ახალდაბრუნებული.
- მგონი, არ გაუმართლათ იმ მგზავრობამ.

- მეც ასე გამიგონია.
 - დაზღვევის ფულის აღება გაჭირდა?
 - გამორკვევით მუდამ ირკვევენ ხოლმე ასეთ დროს. არა, როგორც მახსოვს, ერთხანს კი ალოდინეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მიიღეს თავისი - ჰოულებმაც და ბეიკერებმაც.
 - პაპაჩემს კიდეც, განგებ დაწვესო, ეჭვი ეპარებოდა.
 - ვის რაში დასჭირდა?
 - ფულის მისაღებად. ვეშაპებზე ნადირობის საქმე სულ უკან-უკან მიდიოდა.
 - პირველად მესმის, რომ პაპაშენს ასეთი ეჭვი ჰქონოდა.
 - მართლა არ გაგიგონიათ?
 - ითენ... რაში დაგჭირდა?.. ეს ძველისძველი ამბავი რას გამოქექე?
 - საშინელებაა გემის დაწვა. მკვლელობას უდრის... როცა იქნება, უნდა ამოვიღო ის ჩადირული კილი.
 - იმ გემის კილი?
 - ვიცი, სადაც არის, ნაპირიდან ნახევარი კაბელის დაშორებით.
 - რად გინდა?
 - ვნახავ, ხომ არ დამპალა. შელტერ აილენდის მუხა იყო. კილი თუ ცოცხალი აღმოჩნდა, გამოდის, გემიც არ მომკვდარა. თქვენი წასვლის დროც არის - სეიფის დალოცვა თუ გინდათ, გაღების წინ. მეც გავაღებ ჩემს დუქანს.
- უცებ აუმუშავდა გამაწონასწორებელი ბორბლები და ბანკისკენ წაწიკწიკდა.
- ამის შემდეგ კი, ალბათ, ბიგერსს ველოდი. სულ გარეთ უნდა იყურყუტოს საწყალმა. ახლაც დგას, ალბათ, სადმე კუთხეში და მისტერ ბეიკერის წასვლას ელოდება.
- იმედი მაქვს, ახლა მაინც არ მწვდებით ყელში.
 - რატომ უნდა გწვდეთ?
 - მივხვდი, რატომ გამიცხარდით მაშინ. ეტყობა, საკმაო... დიპლომატია ვერ გამოვიჩინე.
 - ადვილი შესაძლებელია.
 - რა ქენით, დაუფიქრდით ჩემს სიტყვას?

- დიახ.
 - რას იტყვით?
 - მე მგონი, ექვსი პროცენტი აჯობებს.
 - არა მგონია, ჩვენი ფირმა მაგას დასთანხმდეს.
 - მათი ნებაა.
 - ხუთ-ნახევარზე იქნებ დაგვყვნენ.
 - ის ნახევარიც თქვენ მიუმატეთ.
 - იესო მაცხოვარო, მე კიდევ მიამიტი ბიჭი მეგონეთ! ძალიან შორს შეტოპეთ.
 - გნებავთ, მიიღეთ, გნებავთ, ნუ მიიღებთ.
 - მაინც რას დაგვიკვეთავთ?
 - აგერ სალაროზე დევს ზოგიერთი საქონლის სია.
- გულმოდგინედ გადაიკითხა.
- ეტყობა, წამოვეგე და ვერც წამივა საქმე კარგად. სრულ სიას ვერ მომცემთ დღეს?
 - ხვალ აჯობებს, უფრო სრული იქნება.
 - ოღონდ ყველაფერი ჩვენ უნდა დაგვიკვეთოთ.
 - თუ კარგად მოვრიგდით!..
 - თქვენ, ჩემო ძმაო, ხელში გქონიათ პატრონის სული! გაგივათ?
 - ვნახოთ.
 - ეჰ, წავიდე, ვცადო. იქნებ კომივოიაჟორის მეგობარსაც შევუარო. თქვენ, ჩემო ძმაო, ყინულის გული გდებიათ მაგ მკერდში. სიმართლეს ვერ დავფარავ და დიდებული ვინმეა ეს ქალი.
 - ჩემი ცოლის მეგობარია.
 - აჰ! ვიცი! ყველაფერს ვხვდები. ოჯახის სიახლოვეს ვერ გაინავარდებ. ჭკვიანი კაცი ყოფილხართ. ადრე ვერ მივხვდი და ახლა ყველაფერს ვხედავ. ექვსი პროცენტი! იესო მაცხოვარო! მაშ, ხვალ დილით.
 - იქნებ დღესაც მოვასწრო, ნაშუადღევისთვის.
 - ხვალ დილით იყოს.

შაბათს ჯგროდ შემოდიოდა ხალხი. სამშაბათისთვის სულ სხვა ტემპით წარიმართა ვაჭრობა. აგრერიგად აღარ ჩქარობდნენ. ყველას იმ სკანდალის ამბავი ეკერა პირზე. ცუდი ამბავიაო, საშინელება დატრიალდაო, სამარცხვინო საქმე მოხდაო... მაგრამ ძალიან კი ერთობოდნენ ამაზე ლაპარაკით. რას გაუშვებდნენ - რამდენი ხანია ქალაქში ამისთანა სკანდალი არ მომხდარა. აბა, ლოს-ანჯელესის დემოკრატიული პარტიის მომავალი ყრილობა კი არავის გახსენებია, ერთხელაც არ დასცდენიათ ამაზე სიტყვა: მართალია, ნიუ-ბეიტაუნი რესპუბლიკური ქალაქია, მაგრამ საკუთარი საქმე უფრო ახლოს მიაქვს ხოლმე გულთან. მშვენივრად ვიცნობდით იმ ხალხს, რომელთა საფლავებზედაც ახლა ვცეკვავდით.

შუადღისას დუქანში მთავარი პოლიციელი ჯექსონ სტონუოლი შემოვიდა. დაღლილი და დაღონებული ჩანდა.

ზეთის ქილა დახლზე შემოვდე და მავთულებით რევოლვერი ამოვიღე.

– აჰა, უფროსო, იქნებ მომაშორო, ნერვებს მიშლის...

– იქნებ რითიმე გაგეწმინდა! შეხედე ერთი. „აივორ ჯონსონი“ ყოფილა, ამას ორდოლარიან რევოლვერს ეძახდნენ. დამხმარე არავინ გყავს, დუქანში რომ დატოვო?

– არა, არავინ.

– მარულო რა იქნა?

– წასულია ქალაქიდან.

– მაშინ, ცოტა ხნით დაკეტვა მოგიწევს.

– რატომ, უფროსო?

– რატომ და ჩარლი პრაიორის ბიჭი გაქცეულა ამ დილით შინიდან. ჩაციებული არაფერი გაქვს, კაცმა რომ დალიოს?

– როგორ არა მაქვს. ფორთოხლის წვენი, კრემ-სოდა, ლიმონათი, კოკა-კოლა!

– ლიმონათი იყოს. ახირებული კაცია ეს ჩარლი. მაგისი ბიჭი, ტომი, რვა წლისაა. მთელი ქვეყანა ჩემს წინააღმდეგ ამხედრებულაო, გადაუწყვეტია, და გაქცეულა. მეკობრე უნდა გავხდეო. ვინც უნდა ყოფილიყო ჩარლის ადგილზე, ყველა გაასილაქებდა, მაგრამ ჩარლი - გამიგონია?! აღარ გამიხსნი მაგ ლიმონათს?

– უკაცრავად. ინებეთ. ჩემთან რა უნდა მერე ჩარლის? ისე, ძალიან კი მიყვარს.

– ჩარლი სულ სხვა კაცი გახლავთ, სხვებს არა ჰგავს. უნდა დავეხმარო, დაუჟინია, ყველაზე კარგი წამალი ეს იქნებაო. ასე რომ, ნასაუზმევს აიკრეს გუდა-ნაზადი, კარგა ბლომად ხორავი მოიმზადეს და მიდიან. ტომს იაპონური ხმლის წაღება უნდოდა

თავის დასაცავად, მაგრამ გრძელია და ფეხებში ებლანდება. ისევ ხიშტი არჩია, ჩასვა ჩარლიმ მანქანაში და ქალაქგარეთ გაიყვანა, იქიდან გაემგზავრეთ. ტეილორების მინდორზე წაიყვანა. ტეილორების ძველი სახლი ხომ გახსოვს? ეს ცხრა საათზე მოხდა, ამ დილას. ჩარლი შორიდან უთვალთვალედა. უპირველეს ყოვლისა, დაბრძანდა ის ვაჟბატონი და ექვსი სენდვიჩი და ორი მოხარშული კვერცხი მიირთვა. მერე თავისი ბარგი-ბარხანა მოიკიდა, ხიშტი ხელში მოიმარჯვა და მინდორს დაუყვა, ჩარლი კი უკან გამობრუნდა.

აჰა! ვიცოდი, ველოდი და ლამის გულზე მომეშვა.

– თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა ეს ვაჟბატონი აღრიალებული გამოვარდა გზაზე და რაღაც მანქანას გამოჰყვა შინისკენ.

– მგონი, ვხვდები, სტონი... დენის...

– რა გაეწყობა. იმ ძველი სახლის სარდაფში. მთელი ყუთი ვისკი, მარტო ორი ბოთლის დაცლა მოუსწრია, და ძილის მომგვრელი წამალი... ბოდიშს კი ვიხდი, რომ შენ მოგმართე. ეტყობა, დიდხანს ყოფილა ასე და სახეზე რაღაც მოსვლია... ალბათ, კატამ... რამე გეხსომება მისი - ან ნაიარევი ექნებოდა, ან რამე ნიშანი.

– მე ნუ შემახედებ, სტონი.

– ვის ესიამოვნება ახლა მისი ნახვა! ჰქონდა მაინც ნაიარევი?

– მარცხენა ბარძაყზე ჰქონდა, მუხლს ზემოთ, კბილანა მავთულს შეახია და, კიდევ, - სახელო ავიწიე, - ასეთივე სვირინგი გულზე. ერთად გავიკეთეთ ბავშვობაში. სამართებლით გავიჭერით და მელანი ჩავისხით. ახლაც კარგად აჩნია, ხედავ?

– ეს კარგია. კიდევ?

– გვერდზე აქვს დიდი ნაჭრილობევი. მარცხენა ილიასთან, ნეკნი რომ ამოაცალეს. პლევრიტი ჰქონდა, ახლანდელი წამლები არ იყო მაშინ და სადრენაჟო მილაკი ჩაუდგეს.

– ნეკნი თუ აქვს ამოცლილი, მეტი ნიშანი აღარც უნდა. მეც აღარ წავალ, კორონერი წაბრძანდეს, ზედმეტი ჯდომით დაებეჭება უკანალი. შენ ფიცის დადება მოგიწევს, რომ სწორედ ეს ნიშნები აქვს.

– ფიცს დავდებ, ოღონდ ნუ შემახედებ, სტონი. ჩემი... შენც, ხომ იცი, ჩემი მეგობარი იყო.

– როგორ არ ვიცი, ით! მოიხედე, მართალია, ქალაქის მერად უნდა აირჩიონო, ყური მოვკარი?

– პირველად მესმის. ორ წუთს ვერ დამიცდი აქ, უფროსო?

– მეჩქარება.

– ორად ორი წუთი, მანამ გადავირბენდე და რამეს დავლევდე.

– ჰოო. კი, ბატონო, გასაგებია... წაბრძანდი, ახალ მერს ცოტა უნდა წაელაქუცო.

დავლიე და ერთი პინტი თან წამოვიღე კიდეც. სტონი რომ წავიდა, ქალაღზე დავწერე - „დავბრუნდები ორზე“. კარი ჩავკეტე და ფარდები ჩამოვუშვი.

ქუდის კოლოფზე ჩამოვჯექი, ჩემს საკუთარ დუქანში, ჩემს დახლთან, და დიდხანს ვიყავი ასე მწვანედ ჩამოწოლილ ბინდ-ბუნდში.

თავი მეოცე

სამს ათი წუთი აკლდა, როცა უკანა კარიდან გამოვედი; ხეივანში მოვუხვიე და ბანკის სადარბაზო შესასვლელში შევედი. ბრინჯაოს გალიაში მჯდომმა მორფიმ სარკმელში გამომართვა ფული, ჩეკები, ყავისფერი კონვერტი და ანგარიშები. ბანკის პატარა დავთრები გაშალა, ფურცლები თითებით დაიჭირა და წრიპინა ლითონის კალმით წვრილი, ოთხკუთხა ციფრების ჩაწერას შეუდგა. მერე დავთრები ჩემსკენ გამოსწია, დანისლული და ფრთხილი თვალებით შემომხედა.

– ამაზე აღარაფერს გეტყვით, ითენ. ვიცი, რა მეგობრებიც იყავით.

– მადლობელი ვარ.

– თუ არ იჩქარეთ, ჭკუის კოლოფს ვერ გაასწრებთ.

მაინც ვერ გავასწარი. მორფის ამბავი რომ ვიცი, იქნებ თვითონვე მისცა ნიშანი. მქრქალი მინის კარი გაიღო, გამოვიდა ფაქიზად ჩაცმული, ხმელ-ხმელი, ჭალარა მისტერ ბეიკერი და მშვიდად მითხრა: – ერთი წუთით ვერ შემოხვალ, ითენ?

– გადადებას რაღა აზრი ჰქონდა? შევედი მის დანისლულ სენაკში და მისტერ ბეიკერმა ისე წყნარად მიიხურა კარი, საკეტის ჩხაკუნიც არ გამიგონია. მაგიდაზე მინა ეფარა, მინის ქვეშ კი ტელეფონის ნომრების სია იდო. მისი მაღალი სავარძლის მახლობლად, ტყუპი ხბოებივით, ორი სკამი იდგა კლიენტებისთვის. მარჯვე დასაჯდომი სკამები იყო, მაგრამ სავარძელზე ოდნავ დაბლები. როცა დავჯექი, მისტერ ბეიკერისთვის ქვემოდან ზემოთ უნდა მეყურებინა და ეს ისეთ იერს მაძლევდა, თითქოს რაღაცას ვეხვეწებო.

– სამწუხარო ამბავი მოხდა.

- დიახ.
- მაგრამ მთლად შენი ბრალიც არ არის. ალბათ, მაინც ასე მოხდებოდა.
- ალბათ.
- დარწმუნებული ვარ, კარგი გინდოდა მისთვის.
- მეგონა, რამე გამოუვიდოდა.
- რა თქმა უნდა, ასე ფიქრობდი, ალბათ.

მძულვარება ნაღველივით მომაწვა ყელში და ბრაზს არ ვგრძნობდი იმდენად, რამდენადაც გულისამრევ ზიზღს.

- ადამიანურ ცოდვა-ბრალსა და უაზრო დაღუპვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ისედაც გართულებულია მდგომარეობა. თუ იცი, ნათესავი ხომ არავინ დარჩენია?
- არა მგონია.
- ფულიან კაცს ნათესავს რა გამოუღევს.
- ფული სად ჰქონდა?!
- სამაგიეროდ, ტეილორების მინდორი ჰქონდა, დაუგირავებელი და თავისუფალი.
- მართლა? ჰო, მინდორი და სორო...

– ითენ, მე შენ ერთხელ უკვე გითხარი, აეროდრომის მოწყობას ვაპირებთ-მეთქი, რომელიც მთელ ოლქს მოემსახურება. ის მინდორი მთლად გლუვია. ეგ თუ ვერ ჩავიგდეთ, გორაკების ბულდოზერებით გადასწორებას მილიონობით ფული დასჭირდება. ახლა რა გამოდის, მემკვიდრეებიც რომ არ აღმოჩნდნენ, მაინც სასამართლოში უნდა აღიძრას საქმე. თვეები დასჭირდება.

– ვიცი.

თავი ველარ შეიკავა და იფეთქა: – რაში გეტყობა, რომ, იცი! შენი სათნო სურვილებით ლამის ცაში ავარდეს მაგ მინდვრის ფასი. ზოგჯერ ვიფიქრებ ხოლმე, ყველაზე საშიში ხალხი სწორედ ეს ქველმოქმედები არიან-მეთქი.

- ალბათ, ასეა. მე დუქანს უნდა მივხედო.
- დუქანი ხომ შენი საკუთრება გახდა!
- ეგ კი მართალია, ველარ შევეჩვიე, მავიწყდება.

– საქმეც ეგ არის, რომ გავიწყდება. იმას რომ ფული აჩუქე, ის მერის ფული იყო. მორჩა, ველარ ეღირსება მერი მაგ ფულის ნახვას. აიღე და გადაყარე.

– დენის ისე უყვარდა მერი. იცოდა კიდეც, რომ ეს მერის ფული იყო.

– ეს ვერაფერი ნუგეშია. მე მეგონა, მეხუმრებოდა. აი, რა მომცა.

გულის ჯიბიდან ორი ფურცელი ცალხაზიანი ქაღალდი ამოვიღე. ვგრძნობდი, რომ სწორედ ამისთანა დროს დამჭირდებოდა.

მისტერ ბეიკერმა ქაღალდები მაგიდის მინაზე გაასწორა. კითხვა რომ დაიწყო, ისე შეუტოკდა მარჯვენა ყურის ქვეშ კუნთი, რომ ყურმა კანკალი დაუწყო. გადაიკითხა და ისევ თავიდან ჩაუკირკიტა, შარის მოსაღებ რამეს ეძებდა, მე რომ შემომხედა ძაღლის გაგდებულმა, თვალებში შიში ჩასდგომოდა. მის წინაშე იდგა კაცი, რომლის არსებობა მას აქამდე არც კი სცოდნია. სულ ერთი წუთი დასჭირდა, რომ ამ უცნობს შეჰგუებოდა და, ბარაქალა, კარგადაც გამოუვიდა.

– რამდენს თხოულობ?

– ორმოცდათერთმეტ პროცენტს.

– რისას?

– კორპორაციისას ან ამხანაგობისას, არ ვიცი, რა გექნებათ.

– წარმოუდგენელია.

– თქვენ აეროდრომი გინდათ. ამ საქმისათვის ერთადერთი შესაფერისი მინდორი მე მეკუთვნის.

სათვალე გულმოდგინედ გაწმინდა ქაღალდის ცხვირსახოცი და ისევ გაიკეთა, მაგრამ ჩემთვის აღარ შემოუხედავს. ჩემ ირგვლივ იყურებოდა სადღაც, მაგრამ მე არ მიცქერდა. ბოლოს მკითხა: – იცოდი მაინც, რას აკეთებდი, ითენ?

– ვიცოდი.

– მერე, რას გრძნობ ახლა?

– ალბათ, იმასვე, რასაც ის კაცი გრძნობდა, რომელმაც ერთი ბოთლი ვისკი მიუტანა და ყოველნაირად ცდილობდა, ქაღალდზე ხელი მოეწერილებინა.

– მან გითხრა ეს?

– ჰო.

– მატყუარა კაცი იყო.

– თვითონვე ამბობდა, მატყუარა ვარო.

– წინასწარ გამაფრთხილა, იქნებ ამ ქალაქებშიაც რამე ოინი იყოს.

მშვიდად ავაცალე ქალაქები და ცალ-ცალკე დავკვიცე.

– მაინც ოინი გამოდის, ითენ, ამ ქალაქებს წყალი არ გაუვა - ზუსტი თარიღი, შემოწმებული და ყველაფერი! ხომ არ სძულდი? მისი ოინი ის ხომ არ არის, რომ მორალურად გაეხრწენი?

– მისტერ ბეიკერ, არც ერთ ჩემიანს გემი არ დაუწვავს.

– კიდევ მოვილაპარაკოთ, ითენ, საქმე გავარიგოთ, ფული გავაკეთოთ. იმ მინდვრის გარშემო, გორაკებზე, პატარა ქალაქი გაშენდება. ახლა კი ნამდვილად მერობა გელის.

– არა, მაგისი თავი არა მაქვს, სერ. ეს ინტერესების შეჯახებას გამოიწვევს. ინტერესების შეჯახება კი ახლა მოდური აღარ არისო, ასე ამბობს ზოგიერთი, თავისი მწარე გამოცდილებით.

ამოიხვნემა - ფრთხილად ამოიხვნემა, თითქოს შიშობს, ხახაში არაფერი გააღვიძოსო.

წამოვდექი და ხელი მთხოვნელის სკამის მოჩუქურთმებულ საზურგეზე ჩამოვდე.

– თავს ცოტა უკეთ იგრძნობთ, სერ, როცა იმ აზრს მიეჩვევით, რომ მე სულაც არა ვარ ის სიმპათიური შტერი, როგორც ჰგონიათ.

– რატომ შენი საიდუმლო არ გამანდე?

– თანამზრახველები საშიში ხალხია.

– გამოდის, რომ თავი ბოროტმოქმედად მიგაჩნია.

– არა. ბოროტმოქმედება ისეთი რამ არის, რასაც ყოველთვის სხვები სჩადიან. დუქანს უნდა მივხედო. რა ვუყოთ, რომ ჩემი საკუთრებაა!

ხელები უკვე კარის სახელურზე მქონდა, როცა მკითხა: – მარულო ვინ გასცა?

– მე მგონია, თქვენ გაეცით, სერ.

ერთბაშად წამოხტა, მაგრამ მე უკვე გამოვიხურე კარი და ჩემი დუქნისკენ გავემართე.

თავი ოცდამეერთე

როცა საქმე სტუმრების გამასპინძლებას ან დღესასწაულის გადახდას ეხება, ქვეყნად არავის ძალუმს ისეთი შარავანდით შემოსვა, როგორც ჩემს მერის. მარგალიტივით ელავს ხოლმე - თვითონ იღებს ამ დღესასწაულისგან სიამოვნებას და იმიტომ, განა აძლევს რამეს! თვალები უციმციმებს, მოღიმარი ბაგე სულ გასაცინებლად აქვს გამზადებული და რაგინდ უბადრუკი ხუმრობა ითქვას, მისი მხიარული კისკისი მუდამ ძალასა და დამაჯერებლობას მატებს. მერი რომ გაიელვებს კარში, სტუმართაგან ყველას უფრო ჭკვიანი და მიმზიდველი წარმოუდგენია თავი და მართლაც, ემატებათ მომხიბლაობაცა და ჭკუაც. ამაზე მეტი ან კი რა უნდა მისცეს და გაიღოს მერიმ.

შინ რომ მივედი, ჰოულების მთელი სახლი სადღესასწაულოდ ელვარებდა. ფერად-ფერადი პატარა ალმების გირლანდები ჭაღიდან ლავგარდანებამდე გადაეჭიმათ, ასეთივე ფერადი ალმები პარმალის ბალუსტრადებსა და კიბეებზედაც გამოეკიდათ.

– არც კი დაიჯერებ! - მომძახა მერიმ, - ეს ალმები ელენმა სტანდარდ-ოილის სადგურში იშოვა, ჯორჯ რენდაუმ ათხოვა.

– რას დღესასწაულობთ?

– ყველაფერს. ხომ დიდებულია!

არ ვიცი, გაიგო თუ არა მერიმ დენი ტეილორის ამბავი, იქნებ გაიგო და უკანვე გააბრუნა. რაღა თქმა უნდა, არც მე მომიწვევია სახლში ქეიფზე, ისე კი თვითონ გარეთ დადიოდა, ჩვენი სახლის წინ. ვიცოდი, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა გავსულიყავი და შევხვედროდი, მაგრამ შინ მაინც არ მოვიწვიე.

კაცი იფიქრებს, ელენმა მიიღო ეს საპატიო ჯილდო, - თქვა მერიმ, - მართლა თვითონ რომ გამხდარიყო ასეთი გამოჩენილი, ამნაირად არ იამაყებდა. ნახე, რა ნამცხვარი გამოაცხო, ზემოდან „გმირი“ ეწერა, წითელი, მწვანე, ყვითელი და ლურჯი ასოებით გამოყვანილი, - შემწვარი წიწილები გვექნება თავისი საწებლით, კუჭმაჭი, კარტოფილის პიურე.

– დიდებულია, ჩემო საყვარელო, დიდებული. ჩვენი სახელგანთქმული ყმაწვილი სადღა ბრძანდება?

– იცი, უცებ შეცვალა ამ ამბავმა! ახლა ბანაობს და სადილისთვის ტანსაცმელი უნდა გამოიცვალოს.

– რა შესანიშნავი დღეა, ჩემო სიბილა. ნახე, თუ ჯორმა კვიცი არ მოიგოს და ცაშიაც ახალი კომეტა არ გამოჩნდეს! წარმოგიდგენია, სადილის წინ ბანაობა!

– მე მეგონა, შენც გამოიცვლიდი ტანსაცმელს. ღვინო მაქვს ერთი ბოთლი და ვიფიქრე, ცოტას ისე ვისადილებთ-მეთქი - სადღეგრძელოებითა და სიტყვებით; მერე რა მოხდა, რომ მარტო ჩვენა ვართ და სტუმარი არავინ გვყავს! - მთელი სახლი ასეთი

სადღესასწაულო განწყობილებით ააღელვა. აგერ, მეც გამწარებით ავრბივარ მაღლა, რომ ვიბანაო და ამ დღესასწაულში მონაწილეობა მივიღო.

ალენის კარს რომ ჩავუარე, დავაკაკუნე, ზმუკუნე გავიგონე და შევედი.

სარკესთან იდგა, ხელში პატარა სარკე ეჭირა და პროფილს ისინჯავდა. რაღაც შავი საღებავით, იქნებ მერის მასკარათი, ტუჩებზე ულვაშები მიეხატა, წარბებიც გაემუქებინა და ბოლოები სატანასავით ზემოთ აეგრინა. მე რომ შევედი, საქვეყნოდ დაბრძენებული კაცის ცინიზმით უღიმოდა თავის თავს სარკეში. ჩემი ლურჯი, დაწინწკლული ბაფთა გაეკეთებინა. სულაც არ შეწუხებულა იმაზე, რომ ამისთანა ვითარებაში წაასწრეს.

– რეპეტიციას გავდივარ, - თქვა მან და ხელის სარკე დადო.

– ამ ფაციფუცში, მგონი, ვერ მოვასწარი, შვილო, თქმა - როგორ ვამაყოფ შენით.

– ჯერ... ჯერ სადა ხარ!

– მართალი თუ გინდა, პრეზიდენტზე უკეთ თუ შეგეძლო წერა, არ მეგონა. მიკვირს და მიხარია. როდისღა უნდა წაუკითხო მთელ ქვეყანას შენი ესეი?

– კვირას, ოთხსა და ოცდაათზე, ყველა სადგურით გადასცემენ. ნიუ-იორკში უნდა ჩავიდე. თვითმფრინავს გამომიგზავნიან, საგანგებოდ.

– კარგად მოემზადე?

– ო, ეგ ჩემთვის არაა! ჯერ სადა ხარ!

– ეხუმრები - სულ ხუთი ჯილდო დარიგდა ამხელა ქვეყანაში და იმ ხუთიდან ერთი შენ გერგო!

ყველა სადგურით გადასცემენ, - გაიმეორა მან და ულვაში ბამბით მოიშორა. სახტად დავრჩი - მთელი კოსმეტიკა აღმოაჩნდა: წამწამების სათხიპნი, პომადა, კოლდკრემი.

როგორ ერთბაშად გაგვეხსნა ცა მთელ ოჯახს! მაღაზია რომ ვიყიდე, გაიგე?

– ჰო, მითხრეს!

– ამ აღმებსა და გირლანდებს რომ ჩამოხსნიან, შენი დახმარება დამჭირდება.

– მაინც?

– აკი გითხარი ერთხელაც, მაღაზიაში უნდა წამაშველო ხელი.

მაგას ვერ ვიზამ, - თქვა მან და კბილების თვალიერებას შეუდგა ხელის სარკეში.

– რას ვერ იზამ?

ათასი გადაცემა მელის, ჯერ, „სტუმრად რადიოში“, შემდეგ - „ჩემი მიზნები“, „იდუმალი სტუმარი“... მერე ვიქტორინას დაიწყებენ - „აბა, გამოიცანი!!!“ იქნებ უცხოეთისთვისაც მოინდომონ ეს გადაცემა!.. ხომ ხედავ, მოცლა არ მექნება, - პატარა შუშიდან ხელზე რაღაც წებოვანი სითხე გადმოსხა და თმაზე წაითხიპნდა.

– მაშ, შენი კარიერა დაწყებულია და ეგ არის.

– აკი გითხარი, ჯერ სადა ხარ-მეთქი.

– დღეს არ მინდა ძაღლები ავუშვა და მოგისიო, სხვა დროს ვილაპარაკოთ.

– ე.რ.კ.[29] -დან გირეკავდა დღეს ვიღაც. იქნებ კონტრაქტის დადება უნდოდათ, მე ხომ ჯერ უწლოვნად ვითვლები.

– სკოლაზე არ იფიქრე, შვილო?

– კონტრაქტი თუ დამიდეს, სკოლა ვის რად უნდა?!

სწრაფად გამოვედი ოთახიდან, კარი გამოვიხურე, სააბაზანოში შევევარდი, ცივი წყალი მოვუშვი და დიდხანს ვივლებდი, რათა სიცივეს ღრმად შეეღწია სხეულში და ჩემი გაღვიძებული რისხვა ცოტათი დაეცხრო, ხოლო იქიდან რომ გამოვბრუნდი - სუფთა, გახალისებული და მერის ნელსაცხებელნაკურები, - ისევ დამიბრუნდა სიმშვიდე და თავის შეკავების უნარი. სადილამდე რამდენიმე წუთით ადრე ელენი სავარძლის სახელურზე ჩამომიჯდა, მერე იქიდან კალთაზე ჩამომიგორდა და მკლავები შემომაჭდო.

იცი, როგორ მიყვარხარ! - მითხრა მან, - რა სასიხარულო ამბავი მოხდა, არა? ხომ კაი ბიჭია ალენი? თითქოს ასეთივე დაიბადაო! - და ამ გოგოზე ვფიქრობდი მე, შურიანი და გულნამცეცაა-მეთქი!

ნამცხვარზე გადასვლის წინ მე ახალგაზრდა გმირი ვადღეგრძელებ და ყოველივე კარგი ვუსურვე. ჩემი სიტყვები ასე დავამთავრე: - „აგერ შესცვალა იორკის ძემ მბრწყინავ ზაფხულად ზამთარი ჩვენი უთანხმოება-მღელვარებისა“.

– ეს შექსპირია[30], - თქვა ალენმა.

– მართალი ბრძანდები, ბენტერა, მაგრამ, აბა, იმასაც თუ იტყვი, რომელი პიესიდან, ვინ წარმოთქვამს და რა ადგილას?

– მე საიდან მეცოდინება, - განაცხადა ალენმა, - ეგ მზეთუნახავების საქმეა.

თეფშების ალაგებაში მეც მივეშველე მერის. იგი კვლავ წელანდებურად ბრწყინავდა.

– ნუ გეშინია, - მითხრა მერიმ, - თავის გზას მოძებნის. გამოსწორდება, ცოტა უფრო მოთმინებით მოეპყარი მაგ ბიჭს.

– შენ სიტყვაზე იყოს, ჩემო მწყერო.

– ნიუ-იორკიდან გირეკავდა ვიღაცა. ალბათ, ალენის საქმეზე. ხომ დიდებულია - თვითმფრინავი უნდა გამოუგზავნონ. ვერასდობებით ვერ შევეჩვიე იმ აზრს, რომ მაღაზია ახლა შენია. ისიც გავიგე, მთელი ქალაქი ამას ლაპარაკობს, რომ მალე ქალაქის მერიც გახდები.

– არაფერიც.

– ყველას ეს აკერია პირზე.

– მე ისეთი საქმე გამიჩნდება, რომ მაგ თანამდებობას ვერ შეუთავსდება. ცოტა ხნით უნდა წავიდე, გენაცვალე. კაცს უნდა შევხვდე.

– ვაითუ, სანატრელი გამიხდა შენი ნოქრობა. სადამოობით სულ შინ იჯექი ხოლმე. კიდევ თუ დარეკა იმ კაცმა, რა ვუთხრა?

– დაიცდის.

– ეტყობა, ეჩქარება. გვიან დაბრუნდები?

– რა ვიცი, საქმეებს გააჩნია.

– რა საწყენია დენი ტეილორის ამბავი! საწვიმარი არ დაგავიწყდეს.

– მართლაც საწყენია.

ჰოლში რომ გამოვედი, ქუდი დავიხურე და თვითონვე არ ვიცი, რატომ, სპილოს ფეხიდან ძველი კაპიტნის ჯოხი ამოვიღე. უცებ ელენი ამომიდგა გვერდში.

– მეც წამიყვანე, რა!

– ამაღამ არა.

– იცი, როგორ მიყვარხარ!

ღრმად ჩავხედე თვალებში ჩემ გოგოს.

– მეც მიყვარხარ, - ვუთხარი, - მარგალიტის მძივს მოგიტან. შენ რა გიყვარს ყველაზე უფრო?

წაიკისკისა.

– ჯოხიც მიგაქვს?

– თავის დასაცავად, - ხმალივით მოვიმარჯვე ეს სპილოს ძვლის ჯოხი და ფეხი წინ წავდგი, თითქოს ვინმეს ვუღერებდი.

– დიდი ხნით მიდიხარ?

– არა.

– მაშ, ჯოხი რად გინდა?

– სილამაზისთვის, თავის მოსაწონებლად, ვინმეს შესაშინებლად... შთამომავლობით გადმომყვა იარაღის ტარების სიყვარული.

– მე კიდევ დაგიცდი. შეიძლება, ვარდისფერი ქვა ავილო?

– აჰ, ნუ დამიცდი, ჩემო პატარა ნეხვის ყვავილო. ვარდისფერი ქვა? თილისმაზე ამბობ? როგორ არ შეიძლება!

– თილისმა რას ნიშნავს?

– ლექსიკონში ნახე, ხომ იცი, როგორ იწერება?

– თ-ი-ლ-ე-ს-მ-ა.

– არა. თ-ი-ლ-ი-ს-მ-ა.

– ბარემ შენ მითხარი.

– ლექსიკონში რომ ჩაიხედავ, უფრო კარგად დაგამახსოვრდება.

ხელები მომხვია, გულზე მიმიკრა და ხელადვე გამიშვა.

ბნელსა და ნესტიან ღამეში გავეხვით ერთბაშად. ჰაერი იყო ტენიანი და სქელი, როგორც ქათმის ბულიონი. თელის სქლად შეფოთლილ ტოტებში მიმალული ფარნები მქრქალ, ნესტიან და ხაოიან სინათლეს ასხივებდა.

მოსამსახურე კაცი იშვიათად ხედავს ხოლმე დღის სინათლით განათებულ ქვეყანას. რაღა გასაკვირია, რომ ახალ ამბებსა თუ მოვლენათა მსვლელობას ცოლისგან იგებდეს. ქალმა ყველაფერი იცის - სად რა მოხდა, ვინ რა თქვა, მაგრამ ამას ყველაფერს თავისებურად, ქალურად გადახარშავს. ასე რომ მოსამსახურე მამაკაცთა უმრავლესობა დღის შუქით განათებულ ქვეყანას ქალის თვალებით ხედავს. ღამით კი, როცა დუქანს დაკეტავს ან სამსახურს დაამთავრებს, მისი, მამაკაცის ნამდვილი სამყარო იწყება, თუმცა ცოტა ხნით.

სპილოს ძვლის დაგრეხილი ჯოხი და მისი მძიმე ვერცხლის ბუნიკი, რომელიც ხშირი ხმარებისაგან ძველ კაპიტანს ერთიანად გაეპრიალებინა, მსიამოვნებდა ხელში.

ძველად, დიდი ხნის წინ, დღის შუქით განათებულ სამყაროში რომ ვცხოვრობდი, როცა ეს ქვეყანა მომყირჭდებოდა, ავდგებოდი და ბალახს მივაშურებდი.

ჩვეულებრივი ხოლმე, ბალახის მწვანე ყლორტებს მივეკვრებოდი და მეც ჭიანჭველებს, ბუგრებსა და პაწაწინა ხოჭოებში გავითქვიფებოდი. ველური ბალახის ჯუნგლებში თავდავიწყებას მივეცემოდი და სულიერ სიმშვიდესაც მეტი არაფერი უნდა.

ახლაც, ამ დამით, ძველი ნავსადგურისა და ჩემი თავშესაფრისკენ გამიწია გულმა, სადაც ცხოვრებისა და ზღვის გამუდმებული მიქცევისა და მოქცევის ორომტრიალი ჩემს აფორიაქებულ არსებას დაამშვიდებდა.

მთავარ ქუჩაზე ჩქარი ნაბიჯით გავედი. ვიტრინებზე მწვანე ფარდაჩამოფარებულ ჩემს მაღაზიას ცერად გავხედე და „მთავარ ანძას“ ჩავუარე. სახანძრო რაზმის საგუშაგოს წინ, პოლიციის მანქანაში გასიებული უილი იჯდა, დაჟღაჟა სახეზე ოფლი ესხა ღორივით.

– ისევ სანადიროდ, ით?

– ჰო.

– გული ჩამწყვიტა დენი ტეილორის ამბავმა, კაი ბიჭი იყო.

– საშინელებაა, - ვთქვი და ფეხი ავაჩქარე.

მანქანებმა ჩამიქროლეს და ქუჩაში ნიავი დააყენეს. კაცის ჭაჭანება არ იყო. ოფლში გასახვითქად ვინ გაიმეტებდა თავს?!

ობელისკთან შევუხვიე და ძველი ნავსადგურისკენ გავემართე. გამოჩნდა ღუზაჩაშვებული იახტებისა და სათევზაო ნავების სინათლეები. პორლოკის ქუჩიდან ვიღაც გამოვიდა და ჩემკენ გამოემართა, სიარულსა და მოყვანილობაზე ვიცანი - მარჯი იანგ-ჰანტი იყო.

შეჩერდა და გზა გადამიღობა. არიან ქალები - ცხელ დამეშიაც კი სიგრილეს მოგვგრიან. ალბათ, მისი ჩითის კაბის ფრიალი მესიამოვნა.

– მე დამეძებდით, ხომ? - თქვა მან და თმა გაისწორა, თუმცა მშვენივრად ედგა.

– რატომ გგონიათ?

მობრუნდა, ხელი გამომდო, თითები დამაჭირა და მაიძულა, გავყოლოდი.

– სულ ამისთანებს უნდა გადავეყარო. „მთავარ ანძაში“ ვიჯექი, ჩავლილი დაგინახეთ და ვიფიქრე, ალბათ, მე დამეძებს-მეთქი. ირგვლივ მოვუარე და გზა გადაგიჭერით.

– რა იცოდით, რომ აქეთ წამოვიდოდი?

– არ ვიცოდი. ისე ვგრძნობდი. ჭრიჭინობელების ხმა გესმით? სიცხის ნიშანია. სულ გაჩერდება ჰაერი. ნუ გეშინიათ, ითენ, ახლავე ჩრდილში შევალთ. თუ გინდათ,

ჩემთან წავიდეთ. დაგაღვიძებთ... არ გესიამოვნებათ - გრილი სასმელი მაღალი ჭიქით, მაღალი და ცხელი ქალის მოწოდებული?

მივყევი მისი თითების მოძრაობას და ცხრატყავას ბუჩქების კარავში შემოიყვანა. რაღაც ყვავილები ამ სიბნელეში ყვითლად ენთო მიწაზე.

– აჰა, ჩემი სახლიც - გარაჟის თავზე წამოდგმული სასიამოვნო გუმბათი.

– რატომ გგონიათ, რომ თქვენ გეძებდით?

– ან მე მეძებდით, ან ჩემისთანა ვინმეს. ხარების ბრძოლა თუ გინახავთ, ითენ?

– მინახავს ერთხელ, არღმე, ომი რომ დამთავრდა. ჩემს მეორე ქმარს დავყავდი ხოლმე. ძალიან უყვარდა. ხარების ბრძოლა, მგონი, იმისთანა მამაკაცებისთვის არის მოგონილი, რომელთაც სიმამაცე მაინცდამაინც არ გადასდით თავს და უნდათ კი, რომ მამაკაცები იყვნენ. ნანახი თუ გაქვთ, მიმიხვდებით. დაკვირვებისხართ, მოსასხამის ფრიალს რომ დაამთავრებს მატადორი, ხარი გამწარებული ცდილობს რქაზე წამოაგოს ის, რაც სინამდვილეში სულაც არ უდგას წინ?

– მართალია.

– ხომ გახსოვთ, როგორ დაიბნევა, აწრიალდება, ზოგჯერ გაშეშდება და თითქოს პასუხს ელის! მაშინ ცხენი უნდა გამოუყვანონ, თორემ გული გაუსკდება, რამეს თუ არ გაუყარა რქა, მოეშვება და სულით დაეცემა. მეც სწორედ ამისთანა ცხენი ვარ და ამისთანა მამაკაცები მარგუნა ბედმა - დაბნეულები და არეულები. თუ მოახერხეს და რქა გამირჭკვეს როგორმე, ეგეც ერთგვარი გამარჯვებაა. მერე ისევ მულეტსა და ესპადას მიუბრუნდებიან.

– მარჯი!

– დამიცადეთ! გასაღები მოვძებნო. თქვენ მანამდე ცხრატყავას სურნელით დატკბით.

– ჰო, მაგრამ, მე ხომ გამარჯვებას მივალწიე!

– უკვე? მოსასხამი გამოსდეთ რამეს?.. მერე ფეხითაც გათელეთ?

– თქვენ საიდან იცით?

– ვიცი. როცა მამაკაცები ჩემს, ან ვინმე ჩემისთანა მარჯის, ძებნას დაიწყებენ... ფრთხილად, ვიწრო კიბეა! ჭერს თავი არ აარტყათ! აგერ, ჩამრთველიც... ხომ ხედავთ? ხომ სასიამოვნო გუმბათია - ოდნავ განათებული, მუშკის სურნელით გაჟღენთილი... ზღვაში შეჭრილი, სადაც მზე სულაც არ შეგაწუხებს!..

– ნამდვილი ჯადოქარი ხართ.

– თქვენც რომ ახალ ამბავს მეუბნებით! საბრალო, გაუბედურებულ პატარა ქალაქში მიგდებული ჯადოქარი. აგერ დაჯექით, ფანჯარასთან. ახლავე ნიავს გამოვუშვებ. მერე კი გავალ და, როგორც იტყვიან ხოლმე, „შილიფად მოვირთვები“. მაღალი ჭიქით გრილ სასმელსაც მოგიტანთ, ტვინის შესაჭიკჭიკებლად.

– სად გაიგონეთ ეს გამოთქმა?

– თქვენც მშვენივრად იცით, სადაც გავიგონებდი.

– კარგად იცნობდით?

– ნაწილობრივ. იმ ნაწილს ვიცნობდი მისას, რისი ცნობაც ქალს ევალემა. ზოგჯერ სწორედ ეს ნაწილი გამოდგება ყველაზე კარგი მამაკაცის მთელ არსებაში. მაგრამ არცთუ ისე ხშირად. დენიც ასე იყო. იგი მენდობოდა ხოლმე.

ეს ოთახი თითქოს სხვა ოთახების მოგონებათა ალბომი იყო. სხვადასხვა სიცოცხლეთა ნაგლეჯები თუ ნაკუწები, როგორც შენიშვნები წიგნის ყოველ გვერდზე. ფანჯარაში გამოდგმული ვენტილატორი ჩუმად ხრიალებდა.

მარჯი მალე შემობრუნდა - გრძელი, შილიფი და ფარფაშა ლურჯი კაბა ჩაეცვა. შემოვიდა და ნელსაცხებლის ჯანლი შემოჰყვა. როცა შევიყნოსე ეს სურნელი, მითხრა: – ფიქრი ნუ გაქვთ, მერიმ არ იცის, ამ ნელსაცხებელს თუ ვხმარობ. აჰა, სასმელიც - ჯინი და ტონიკი. ტონიკი ოდნავ გამოვავლე ჭიქას. ეს ჯინია, ნამდვილი ჯინი. ყინული თუ ააჩხაკუნეთ ჭიქაში, ისეთი გრძნობა გექნებათ, თითქოს ცივი იყოს.

სულმოუთქმელად გადავკარი, ლუდივით, და ერთბაშად მშრალმა მხურვალეობამ დამიარა, მხრებში მეცა, მერე მკლავებში წამოვიდა და კანი ამიბურღლა.

– ხომ კარგად მივმხვდარვარ - საჭირო ყოფილა, არა?

– ეტყობა.

– მამაცი ხარი უნდა გახდეთ - ცოტას გაგიძლიანდებით, რომ თავი უფრო გამარჯვებულად წარმოიდგინოთ. ხარისთვის ეგ აუცილებელია.

ხელებზე დავიხედე. ყუთების ხსნისგან სულ დაკაწრულ-დაჩხვლეტილი მქონდა, ფრჩხილებიც კარგა ბინძური ჩანდა.

მარჯიმ ტახტიდან ჩემი ჯოხი აიღო, როცა შევედი, ტახტზე დავაგდე ჯოხი.

– იმედია, თავის წასაქეზებლად და შემოსაკრავად არ დაგჭირდებათ!

– მტერი ხართ ჩემი?

– მე გადაგვიდებით მტრად - ნიუ-ბეიტაუნის „ანცი გოგონა“?

იმდენხანს აღარ გამიღია ხმა, რომ შევატყვე, მოუსვენრად აწრიალდა.

– საშური არაფერია, - მითხრა მან, - პასუხის დრო ბევრი გაქვთ - მთელი თქვენი სიცოცხლე. კიდევ დალიეთ.

გაპიპინებული ჭიქა გამოვართვი და ისე გამშრალი მქონდა პირი და ტუჩები, რომ მანამ რამეს ვიტყოდი, ცოტა მოვსვი. მერეც კი, ხმა რომ ამოვიღე, ყელში თითქოს ღენჭეპო გამჩხეროდეს.

– რა გინდათ?

– სიყვარულმა წამომიარა.

– რა სიყვარულს სთხოვთ კაცს, რომელსაც ცოლი უყვარს?

– მერი? თქვენ არც კი იცნობთ მერის.

– როგორ არ ვიცნობ - ისეთი ნაზია, ტკბილი და , ცოტა არ იყოს, უმწეო.

– უმწეო? ქვის გული აქვს. თქვენი ძრავა რომ სულ ნაწილ-ნაწილ დაიშლება, ის მას შემდეგაც კიდევ დიდხანს იმუშავებს. თოლიას ჰგავს, ქარში ტყუილუბრალოდ ფრთას არ შემოჰკრავს და არ დაიღლებს, ქარის დინებას მიჰყვება.

– არა ხართ მართალი .

– დიდი გასაჭირი რომ შეგხვდეთ, ის მაშინვე გაილალება, თქვენ კი იქვე გამოიბუგებით.

– მაინც რა გინდათ?

– ჩემთან დროის გატარებას არ აპირებთ? რაც გულში სიძულვილი გაქვთ, არ გინდათ სულ ამ კეთილ მარჯიზე ამობერტყოთ?

ნახევრად დაცლილი ჭიქა პატარა მაგიდაზე დავდე. მარჯი გველის სისწრაფით მივარდა, აიღო, საფერფლეზე დადო და მაგიდაზე დარჩენილი სველი წრე ხელით გადაწმინდა.

– მარჯი... მე მინდა გავიგო, ვინ ხართ და რა ხართ!

– ნუ ბავშვობთ. ის გინდათ, გაიგოთ, თქვენს საგმირო საქმეებზე რა აზრისა ვარ.

– თქვენი ვინაობა თუ არ გავიგე, ისე ვერ მივხვდები, ჩემგან რა გინდათ.

– ეტყობა, მართლაც სერიოზულად დაინტერესებულხართ. ერთი ტური - ერთი დოლარი. მარჯი იანგ-ჰანტზე გასეირნება თოფითა და ფოტოაპარატით. პატარა ცქრიალა გოგონა ვიყავი, ჭკვიანი გოგონა. საკმაოდ უხეირო მოცეკვავე. ვიღაცას გადავეყარე, როგორც იტყვიან ხოლმე, ხანში შესულ კაცს, და ცოლად გავყევი,

უბრალოდ კი არ ვუყვარდი, ჩემით სულდგმულობდა. პატარა ჭკვიანი გოგონასათვის ეს დიდი ბედნიერებაა. ცეკვაზე მაინცდამაინც არ ვკარგავდი ჭკუას, მუშაობა კი ჭირის დღესავით მძულდა. მერე, როცა მოვიშორე ის კაცი, ისე გაოგნებული დარჩა, რომ ისიც ვეღარ მოიფიქრა, გაყრის ქალაქში მეორედ დაქორწინების პუნქტი შეეტანა. მეორეს გავყევი და ისევ ჩავიძირეთ ამქვეყნიურ სიამტკბილობაში, რომ ვეღარ გამიძლო, ფეხი გაფშოკა. აგერ ოცი წელიწადია, ყოველი თვის პირველ რიცხვში ჩეკი მომდის. ოცი წელი გადის, ხელი არ გამინძრევია, გარდა იმისა, რომ თაყვანისმცემლებს ზოგჯერ საჩუქარს ჩამოვართმევ. არ გინდა, დაიჯერო, რომ ოცი წელი გავიდა, მაგრამ სად გაექცევი! ახლა უკვე აღარა ვარ ის პატარა, კარგი გოგონა.

მოცუცქნულ სამზარეულოში გავიდა, ხელით გამოიტანა სამი პატარა ყინულის ნატეხი, თავის ჭიქაში ჩაყარა და ზევიდან ჯინი დაასხა. ფანჯარაში მოდულუნე ვენტილატორმა ზღვის მოქცევისაგან გატიტვლებული მეჩეჩის სუნი შემოიტანა.

– ფული ჩეჩივით გექნებათ, ითენ, - მითხრა მან წყნარად.

– თქვენც გაიგეთ?

– ძალიან კეთილშობილი რომაელებიც კი თაღლითები არიან.

– მერე?

ხელი ისე მოიქნია, თითქოს რაღაცის მოხვეტას აპირებდნო, ჭიქას მოხვდა და კედელს მიანარცხა. ყინულის ნატეხები კამათლებივით გადმოცვივდა.

– ჩემს მოტრფიალეს დამბლა დაეცა გასულ კვირას. სულ რომ გაცივდება, ჩეკებიც შეწყდება. შევბერდი უკვე, სიზარმაცეს შევეჩვიე და ახლა შეშინებული ვარ. თქვენ მყავდით მარაგში, მაგრამ ვერ გენდობით. ადვილად დაარღვევთ კანონებს. ერთბაშად იქნებ პატიოსანი გახდეთ. აკი გეუბნებით, შეშინებული ვარ-მეთქი.

წამოვდექი და უცებ ვიგრძენი, რომ ფეხები დამძიმებოდა. კი არ მეკეცებოდა, დამძიმებული მქონდა, თითქოს მოეშორებინათ და სადღაც წაელოთ.

– ჩემგან რას გამოელით?

– მარულოც ჩემი მეგობარი იყო.

– ვიცი.

– არ გინდათ, ჩემთან დაწვეთ? იცით, რა კარგი ვარ! ყველა ამას მეუბნება.

– რომ არ მძულხართ?

– ამიტომაც ვერ გენდობით.

- იქნებ მოვიფიქროთ რამე. მე ბეიკერი მძულს, იქნებ იმას ჩაავლოთ!
 - რა ლაპარაკია! სასმელი არ გეკიდებათ?
 - მოსვენებული როცა ვარ, მაშინ მეკიდება.
 - ბეიკერმა თუ იცის, დენის რა უყავით?
 - იცის.
 - რაო, მერე?
 - არაფერი, მაგრამ ზურგი მაინც ვერ შევაქციე. .
 - ალფიოს უნდა შეექცია თქვენთვის ზურგი.
 - ვითომ, რას გულისხმობთ?...
 - რას და, რასაც ვხვდები და რაზედაც ვამყარებდი იმედებს. ფიქრი ნუ გაქვთ, არ ვეტყვი. მარულო ჩემი მეგობარია.
 - მგონი, მიგიხვდით. თქვენ გინდათ სიმულვილით განიმსჭვალეთ, რომ მერე მახვილის მოქნევა შეგეძლოთ. რეზინისაა ეგ თქვენი მახვილი, მარჯი.
 - თქვენ გგონიათ, მე კი არ ვიცი, ით? მაგრამ მე სულ ასე გუმანით ვცხოვრობ.
 - იქნებ მეც მითხრათ?
 - რატომაც არა. სანამდღოს ჩამოვალ, რომ მთელი ათი თაობა ჰოულებისა სულ თქვენს ცემა-ტყეპაში იქნება, ხოლო როცა მოსწყინდებათ, თქვენ თვითონ აიღებთ სველ თოკს საკუთარი თავის საგვემად, ჭრილობებზე კი მარილს დაიყრით.
 - თუ მართლა ასეა, თქვენ რა შუაში ხართ?
 - თქვენ მეგობარი დაგჭირდებათ გამოსალაპარაკებლად, მე კი ერთადერთი ვარ ქვეყანაზე, ამისთანა საქმეებში გამოსადეგი. საიდუმლო გულს საშინლად ამძიმებს, ითენ. არც ძვირი დაგიჯდებათ, სულ რამდენიმე პროცენტი.
 - მგონი, წასვლა სჯობს.
 - დაცალეთ ბარემ ეგ ჭიქა.
 - არ მინდა.
 - კიბეზე ფრთხილად, ითენ, ჭერს თავი არ მიარტყათ.
- შუა კიბეზე დამეწია.

– ჯოხი განგებ დამიტოვებ?

– ღმერთმა დამიფაროს.

– აჰა. მე ვიფიქრე, იქნებ მსხვერპლის გაღებასავით იყო-მეთქი.

წვიმდა, ცხრატყავა კი ღამით წვიმაში განსაკუთრებულ სურნელს აფრქვევს. ფეხები ისე მეკვეცებოდა, რომ ნარვალის ჯოხი მართლაც საჭირო გამოდგა.

გასიებულ უილის ქაღალდის ხელსახოცები ელაგა სავარძელზე, მანქანაში, ოფლს იწმენდა ხოლმე სახეზე.

– თუნდაც სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ვიცნობ იმ ქალს.

– ვიცი, რომ მოიგებ.

– ით, ვილაც გეძებდა, ხომ იცი... მშვენიერ „კრაისლერში“ ზის, მძღოლიც ახლავს.

– რა მინდაო?

– არ ვიცი. ხომ არ დაგინახავსო. მეც რას ვეტყვოდი.

– საშობაო საჩუქარი ჩემზე იყოს, უილი.

– ფეხებზე რა მოგივიდა, ით?

– პოკერს ვთამაშობდი. დამიბუჟდა.

– ო-ო! ასე ისიც. კიდევ თუ შემხვდა, რა ვუთხრა? შინ წავიდა-მეთქი?

– დუქანში მოვიდეს ხვალ.

– „კრაისლერ იმპერიალი“. ძაღლის გაგდებული - საბარგო ვაგონივით გაგრძელებულია!

„მთვარის ანძის“ წინ ჯოი-ბოი იდგა ტროტუარზე, მოჩვარული და მობუზული.

– მე ნიუ-იორკში მეგულებოდი ჩაციებული ღვინის დასაღევად.

– ძალიან დაცხა. სუნთქვა ჭირს. შევიდეთ, დავლიოთ, ითენ, გული მომეწურა.

– ისე მცხელა, რომ დაღვეის თავიც აღარ მაქვს, მორფი.

– ლუდსაც არ დაღვევ?

– ლუდი უფრო მახურებს ხოლმე.

– ამასაც თუ ცხოვრება ჰქვია. მიაღაგებ სამსახურის საქმეებს და აღარ იცი, სად წახვიდე. კაცს ვერ ნახავ, რომ გამოელაპარაკო.

– ცოლი უნდა შეირთო.

– მაშინ სულაც ვედარავის გამოელაპარაკები.

– იქნებ მართალიც იყო.

– მართალი ვარ, აბა, რა. ცოლიან კაცზე ეული ვინ არის?!

– თქვენ საიდან იცით?

– ვხედავ. ერთი მათგანი ახლაც წინ მიდგას და შევყურებ. ეჰ, წავიღებ ჩაციებულ ლუდს და მარჯი იანგ-ჰანტს მივადგები, გუნებაზე თუ იქნა. გვიანობამდე არ იძინებს.

– არა მგონია, ქალაქში იყოს, მორფი. ჩემს ცოლს უთხრა, თუ არ ვცდები, მანამ ასეთი სიცხეებია, მენში წავალო.

– ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია. რა გაეწყობა, - რაც მაგას დააკლდება, ბარმენს შეემატოს. წავალ და ბარმენს მოვუყვები ერთი დაღუპული კაცის ამბავს, თუმცა არც ის მომისმენს. ნახვამდის, ით. ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ასე იციან ხოლმე დალოცვა მექსიკაში.

ნარვალის ჯოხი ქვაფენილზე მიბაკუნობდა და ჩემს ფიქრებს სიმძაფრეს მატებდა - რაში დამჭირდა ჯოხის მოტყუება?! მარჯის მაინც არაფერი წამოსცდებოდა. რად გაიფუჭებს თავის საქმეს?! გაფაციცებით უჭირავს ხოლმე ხელი ჭურვის დილაკზე, არ ვიცი, რატომ.

მთავარი ქუჩიდან თელის ხეივნისკენ შევუხვებ და ზედ ჰოულების ძველი სახლის წინ „კრაისლერი“ დავინახე, შავ კატაფალკას უფრო ჰგავდა, ვიდრე საბარგო ვაგონს - ისე ამოგანგლულიყო წვიმაში, რომ სულ არ პრიალებდა.

ეტყობა, ძალიან გვიან იყო, მიძინებული სახლებიდან ერთი სინათლეც კი არ გამოკრთოდა მთელ თელის ქუჩაზე. მთლად გალუმპული ვიყავი და სადღაც წუმპეშიაც ჩავკარი ფეხი. ჩემს ფეხსაცმელებს ჭყაპუნი გაჰქონდა.

დანისლული მინის იქით კაცი გავარჩიე, მძლოლის ქუდი ეხურა. მივადექი ამ ურჩხულისნაირ მანქანას და სარკმელზე დავაკაკუნე. ელექტრონის ზუზუნით მინა დაბლა ჩაცურდა. სახეში კონდენსირებული ჰაერი მეცა.

– მე ითენ ჰოული ვარ. ჩემი ნახვა გინდოდათ?

მანქანის სიბნელეში კბილები დავინახე, ქუჩის ფარნის სინათლეზე აელვარებული კბილები.

კარი თავისით გაიღო და მანქანიდან ხმელ-ხმელი, კოხტად ჩაცმული კაცი გადმოვიდა.

– ტელევიზიიდან გახლავართ, დანსკამ-ბროკ-შინის სატელევიზიო სადგურიდან. თქვენთან მაქვს საქმე, - მძლოლს გადახედა, - ოღონდ აქ არა. სახლში შეიძლება?

– რა გაეწყობა. ალბათ, სძინავს ყველას. ხმადაბლა თუ ილაპარაკებთ...

ატალახებულ გაზონებს შორის გაყვანილი მოკირწყლული ბილიკით შევუძეხი ეზოში. ჰოლში საღამური სინათლე ენთო. შევედით თუ არა, ნარვალის ჯოხი სპილოს ფეხში ჩავდე.

მერე ჩემს დიდ სავარძელთან მივედი და წიგნის საკითხავად საგანგებოდ იქ დამაგრებული ნათურა ავანთე.

სახლში სიჩუმე იდგა, მაგრამ რაღაც უსიამოვნო, მოუსვენარ სიჩუმედ მომეჩვენა. კიბეებს ავხედე ზევით, საწოლი ოთახის კარი შევათვალიერე.

– სერიოზული საქმე ჩანს, ასე გვიან რომ წამოსულხართ.

– ნამდვილად.

ახლა უფრო კარგად შევათვალიერე. კბილები იყო მისი სულის გამომხატველი, ხოლო დაქანცული, მაგრამ გაფაციცებული თვალები არავითარ დახმარებას არ უწევდა მათ ამ საქმეში.

– ეს ამბავი საიდუმლოდ უნდა დარჩეს. უკუღმართი წელი დაგვიდგა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ჯერ იყო და ვიქტორინის სკანდალმა შეგვირყია საფუძველი, ახლა კიდევ ეს კონგრესის კომისიები. დიდი სიფრთხილე გვმართებს. საშინელ დროში ვცხოვრობთ.

– იქნება მითხრათ, ჩემგან რა გინდათ!

– თქვენი შვილის ესე თუ წაიკითხეთ - „მე მიყვარს ამერიკა“?

– არა. არ წამიკითხავს. სიურპრიზს მიმზადებდა.

– გაგიმზადათ კიდევ. დღემდე ვერ მივმხვდარვარ, რატომ მაშინვე ვერ შევნიშნეთ. მაგრამ ფაქტია, რომ ვერ შევნიშნეთ, - ლურჯი კონვერტი გამომიწოდა, - ხაზგასმული ადგილები წაიკითხეთ.

სავარძელში ჩავჯექი და გავხსენი. ვერ ვიტყვი, საბეჭდ მანქანაზე იყო დაბეჭდილი თუ სასტამბოზე ასეთივე შრიფტით, ოღონდ მინდვრები, ორივე, შავი მსხვილი ფანქრით დაეხაზათ.

მე მიყვარს ამერიკა

ითენ ალენ ჰოული II-ისა

„რას წარმოადგენს ადამიანის პიროვნება? ატომს, უხილავ ატომს, რომელსაც გამადიდებელი შუშის მოუმარჯვებლად ვერც კი დაინახავ; სამყაროს ზედაპირზე წაცხებულ პატარა ლაქას; წამის უმნიშვნელო ნაწილს, რომელსაც დაუსაბამო და დაუსრულებელ მარადისობას ვერც კი შეადარებ; ვრცელ ზღვაში ჩავარდნილ წყლის წვეთს, რომელიც ხელად ორთქლდება და ქარს მიაქვს; მიწის პაწაწინა ნამცეცს, რომელიც ხელად თავისივე წარმოქმნილ მიწას უერთდება. ნუთუ ასეთი არსება - ასე პატარა, უბადრუკი და წარმავალი - წინ აღუდგება დიდი ერის ძლევამოსილ სვლას, რაც საუკუნეებიდან საუკუნეებში გრძელდება, წინ აღუდგება ჩვენივე წარმოქმნილი შთამომავლობის იმ გრძელ ხაზს, რომელიც მანამ ქვეყნიერება არსებობს, არ გადაშენდება?! თვალი გადავავლოთ ჩვენს ქვეყანას, უანგარო და უმწიკვლო პატრიოტიზმის დონემდე ავმალდეთ და ჩვენი ქვეყანა ყოველგვარი მოსალოდნელი უბედურებისგან ვიხსნათ. რას წარმოვადგენთ ჩვენ - რას წარმოადგენს რომელიც გინდა ადამიანი - თუკი ხალისით არ შევწირავთ თავს სამშობლოს?!“

მთელი რვეული გადავფურცლე, ყველგან შავ ხაზებს ვნახულობდი.

– ვერ იცანით?

– ვერა. წამიკითხავს კი. გასული საუკუნის რაღაც უნდა იყოს.

– მართალი ხართ. ჰენრი კლეის სიტყვაა, 1850 წელს წარმოთქმული.

– დანარჩენი? სულ კლეია?

– არა... სულ ნაკუწ-ნაკუწ არის ამოგლეჯილი - ზოგი დანიელ უებსტერის, ზოგი ჯეფერსონის, ის კი არადა, ღმერთო, შენ მიშველე. ლინკოლნის მეორე შესავალი სიტყვებიდანაც ამოუღია. ახლაც მიკვირს, როგორ გაგვეპარა. ალბათ, იმიტომ, რომ ათასობით თხზულება შემოვიდა. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ დროზე შევნიშნეთ... ვან დორენის საქმის შემდეგ კიდევ ეს გვჭირდებოდა?!

– ზედვე ეტყობა, რომ ბავშვის ნაწერი არ არის.

– არ ვიცი, როგორ მოხდა. ის ბარათი რომ არ მოგვსვლოდა, გაგვეპარებოდა კიდევ.

– ბარათი?

– დიახ, სურათიანი ბარათი, ზედ ემპაირ-სტეიტ ბილდინგია გამოხატული.

– ვისი ბარათია?

– ანონიმურია.

– საიდან არის?

– ნიუ-იორკიდან.

– არ შეიძლება, ვნახო?

– სეიფში გვაქვს შენახული. რამე სკანდალი რომ ატყდეს. იმედია, თქვენ არ ატეხთ სკანდალს!

– ჩემგან რა გინდათ?

– მე მინდა, რომ ყველაფერი დაივიწყოთ. ჩვენც ასე ვაპირებთ, ყველაფრის დავიწყებას... თქვენი სურვილიც თუ იქნება.

– დავიწყება არც ისე ადვილია.

– პირი გქონდეთ მოკუმბული, მეტს კი არაფერს გთხოვთ... მეტი უსიამოვნება რომ აღარ შეგვხვდეს. უკუღმართი წელიწადი დაგვიდგა... პრეზიდენტის არჩევნების წინ, ხომ იცით, ყველაფერს გამოგიქეჩავენ.

ის ლურჯი კონვერტი კვლავ დავკეცე და უკანვე დავუბრუნე.

– მე არავითარ უსიამოვნებას არ მოგაყენებთ.

კბილებმა ორ ძაფზე აცმული მარგალიტებივით გაუელვა.

– წინასწარ ვგრძნობდი ამას. ვუთხარი კიდევ ჩვენებს, თქვენი ამბავი მივიკითხ-მოვიკითხე. კარგი სახელი გქონიათ, კარგი ოჯახიშვილი ყოფილხართ.

– წასვლას აღარ აპირებთ?

– დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი მდგომარეობა კარგად მესმის.

– მადლობელი ვარ. მეც მესმის თქვენი მდგომარეობა. რისი დაფარვაც შეიძლება - თითქოს არც მომხდარა.

– არ მინდა, ასე გაბრაზებული დაგტოვოთ. მე ინფორმაციის განყოფილებაში ვმუშაობ. რამეს ვიღონებთ. იქნებ, სტიპენდია მოვახერხოთ, ან ასეთი რამე... ღირსეული და შესაფერი.

– ცოდვამ გაფიცვა გამოაცხადა? ხელფასის მომატებას თხოულობს? არა, ყველაფერს ჯობს, ახლა წახვიდეთ და დამტოვოთ.

– რამეს ვიღონებთ.

– დარწმუნებული ვარ.

გავისტუმრე, ისევ სავარძელში ჩავჯექი, სინათლე ჩავაქრე და ჩემს სახლს დავუგდე ყური. გულივით ფეთქავდა. იქნებ მართლაც ჩემი გული იყო, ან ძველი სახლის გუგუნნი. კარადიდან თილისმას გამოვიღებ-მეთქი, ვიფიქრე და წამოვდექი.

უცებ ტკაცუნის შემომესმა, რასაც დაფეთებული კვიცივით ჭიხვინი მოჰყვა, მერე ვილაცამ გაირბინა და ისევ მიჩუმდა ყველაფერი. კიბეზე ჩემი ფეხსაცმელი აჭყაპუნდა. ელენის ოთახში შევედი და სინათლე ავანთე. ზეწარში გახვეული იწვა, თავი ბალიშის ქვეშ შეეყო. ბალიშის ალება რომ მოვიხდომე, ჩაეჭიდა და იძულებული გავხდი, ძალით ამეგლიჯა. პირიდან სისხლის ვიწრო ზოლი გადმოსდიოდა.

– ფეხი გამიცურდა, სააბაზანოში.

– ვხედავ, ძალიან იტკინე?

– არც ისე.

– ერთი სიტყვით, რა ჩემი საქმეა ხომ?

– არ მინდოდა ციხეში ჩაესვათ.

აღენი თავის ლოგინზე ჩამომჯდარიყო, ტრუსების ამარა. თვალები... კუთხეში მიმწყვდებული თავი გამახსენდა, საბრძოლველად გამზადებული.

– საზიზღარი მამბეზღარა!

– ყველაფერი გაიგონე?

– მე ის გავიგე, რაც ამ დამპალმა ჩამშვებმა გააკეთა!

– შენი საკუთარი გმრობა თუ გაიგე?

მიმწყვდებული თავი შეტევაზე გადმოვიდა: – მაგას ვინ უყურებს?! ყველა ასე არ აკეთებს?!

– და შენ გჯერა ეგ, ხომ?

– გაზეთებს მიაწვ არ კითხულობ? ზევიდან დაწყებული, ყველა ასე აკეთებს... წაიკითხე გაზეთები და ნახავ. ასე წმინდანივით რომ წარმოგიდგენია ყველაფერი, გაზეთები წაიკითხე! ის კი არადა, შენც გექნება ასეთი რამე გაკეთებული თავის დროზე, იმიტომ, რომ ყველა ასე აკეთებს. ყველამ თავის თავს მიხედოს. ფეხებზე არ მკიდია! ერთი ამ ჩამშვებისთვის გამასწორებინა ანგარიში!

მერი ძნელად თუ გაიღვიძებს ხოლმე, მაგრამ ახლა გაიღვიძა. იქნებ სულაც არ დაუძინია. ელენის ოთახში ლოგინზე ჩამომჯდარიყო. ქუჩის ფარანი ანათებდა, სახეზე კი ფოთლების ჩრდილი უთამაშებდა. კლდესავით იყო, სალ კლდესავით, და ზვირთების ცემას მედგრად უმკლავდებოდა. მართლაც ქვის გული აქვს. შეუდრეკელი და უშიშარია.

– დაწოლას არ აპირებ, ითენ?

მაშ, ამასაც გაუგონია ყველაფერი.

– ჯერ არა, ჩემო საყვარელო.

– კიდევ უნდა წახვიდე სადმე?

– ჰო... გავივლი.

– დაიძინე. გარეთ წვიმს. უსათუოდ უნდა წახვიდე?

– ჰო. ერთი ადგილია და იქ უნდა მივიდე.

– საწვიმარი წაილე. კიდევ არ დაგავიწყდეს.

– წავიღებ, ჩემო საყვარელო.

ამჯერად არ მივკონია. როგორ უნდა მეკონა, როცა გვერდით ზეწარში მოკუნტული ელენი ეწვა. მხარზე დავადე ხელი, სახეზედაც მოვუთათუნე - მართლაც ქვასავით იყო.

ერთი წუთით სააბაზანოში შევედი, სამართებლის ასაღებად.

ისევ ჰოლში ვიდექი, საწვიმარს ვეძებდი, მერიმ რომ მითხრა, და უეცრად რაღაც ჯაჯგურის ხმა შემომესმა, მოვიხედე - ელენი გამორბის. მომვარდა და ჩამომეკიდა, გულამოსკვნილი ზღუქუნებდა, გასისხლიანებული ცხვირი მკერდში ჩამირგო და მკლავები მომხვია, ჩემი იდაყვები გვერდებს მიეკრა. პატარა სხეული ერთიანად უცახცახებდა.

კულულებში მოვკიდე ხელი და თავი გადავუწიე. სახეს ჰოლის საღამური სინათლე უნათებდა.

– მეც წამოგყვები.

– სად წამომყვები, სულელო! აგერ, სამზარეულოში შევიდეთ, სახეს მოგბან.

– წამოგყვები. შენ უკან დაბრუნებას აღარ აპირებ.

– რას სულელობ? როგორ არ დავბრუნდები? როდის არ დავბრუნებულვარ! შენ წადი და დაწექი. დამშვიდდები.

– არ წამიყვან?

– შენ იქ არ შეგიშვებენ, სადაც მე მივდივარ. ქუჩაში ხომ არ გაჩერდები ამ ღამის პერანგით?!

– არ გაბედო!

ისევ ჩამეკრა და მკლავებზე გადამისვა ხელი, მხრებზე მომეალერსა. მერე ჯიბეში ჩამიყო მუშტები. შემეშინდა კიდევ - სამართებელს არ წააწყდეს-მეთქი. მუდამ ასეთი ლაქუცა იყო: მოვა, მოგეფერება; გაგიკვირდება, ისეთ რამეს იზამს. უცებ ხელი მიშვა და უკან დაიწია. თავი მაღლა ასწია, თვალეში ცრემლები ამოშრობოდა. პატარა მოთხუპნულ ლოყაზე ვაკოცე. პირში გამხმარი სისხლის გემო ვიგრძენი. მერე მოვბრუნდი და კარისკენ გავემართე.

– ჯოხი არ გინდა?

– არა, ელენ. ამაღამ არ მინდა. დაწექი, გენაცვალე, დაიძინე.

სწრაფად გამოვვარდი სახლიდან. ალბათ, ელენსა და მერის გამოვექეცი. გავიგონე, როგორ მოზომილი ნაბიჯით ეშვებოდა მერი კიბეზე.

თავი ოცდამეორე

ზღვის მოქცევა დაწყებულიყო. შევტოპე თბილ წყალში და დიდი გაჭირვებით გავიკვლიე გზა ჩემი თავშესაფრისკენ. ნელი ზვირთები მღვიმის შესასვლელს აწყდებოდა, შარვლის ტოტებში მცემდა. დიდი საფულე შარვლის უკანა ჯიბეში ჯერ გამომებერა, მერე კი ჩემი სიმძიმის გავლენით თანდათან დაიჩუტა. ზაფხულის ზღვა ხურტკმელისოდენა პატარა მედუზებით გატენილიყო. მედუზებს საცეცები გაეშალათ და წყალში თავისუფლად ირწეოდნენ; წვივებსა და მუცელზე რომ მომხვდებოდნენ, ისე ამეჩავებოდა, თითქოს ცეცხლის ალი მომდებოდეს; ნელი ტალღები კი მძიმედ სუნთქავდნენ - შედიოდნენ მღვიმეში და ხელად უკანვე გამოდიოდნენ. წვიმა თხელ ბურუსად იქცა, ვარსკვლავები და ქალაქის სინათლეები ამ ბურუსში გაითქვიფა და ახლა თანაბარ, მკრთალად მოციმციმე შუქს გამოსცემდა. ზვირთსაქცევის გადაღმა კარგად ვხედავდი მესამე შვერილს, მაგრამ ჩემი თავშესაფრიდან რომ გავყურებდი, ისე მეჩვენებოდა, თითქოს ერთ ხაზზე არ უნდა ყოფილიყო იმ ადგილიდან, სადაც „ბელ ადერის“ კილი ეგდო ზღვის ფსკერზე. მაგრამ ტალღამ ფეხი გამომიშალა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სხეულს სავსებით მოსცილებოდეს ფეხები. საიდანღაც ძლიერმა ქარმა წამოუბერა და ცხვრის ფარასავით დაირეკა ნისლი. მერე ვარსკვლავსაც მოვკარი თვალი, რომელიც გვიან, ძალიან გვიან აენტო ცისკიდურზე. შორიახლო რაღაც გემმა ჩაიარა ქოთქოთით. ისეთი ნელი და თანაბარი გუგუნე გაუდიოდა, რომ ეტყობოდა, პატარა იალქნიანი გემი იყო. ზვირთსაქცევის დაკბილულ გალავანს ზემოთ ანძის ნათურას მოვკარი თვალი, ხოლო წითელსა და მწვანე სინათლეს ვერ ვხედავდი.

მედუზებმა ერთიანად ამიწვეს კანი. ღუზის ჩაყურყუმელაგების ხმა გავიგონე და ანძის ნათურაც ჩაქრა.

მარულოს სინათლე ისევ ენთო, ძველი კაპიტნის სინათლევ. პაპიდა დებორასიც.

სულ ტყუილია, თითქოს საერთო სინათლე არსებობდეს, მთელი სამყაროს ერთიანი ცეცხლი. ყველას თავისი სინათლე აქვს, საკუთარი კენტად მბჟუტავი სინათლე.

პატარა ჩხრიალა თევზების ქარავანმა ჩაუარა ნაპირს.

ჩემი სინათლე ჩაქრა. არაფერია გადამწვარ პატრუქზე უფრო შავი და ბნელი.

გულში ვთქვი, - შინ წასვლა მინდა. არა, შინ კი არა, შინის მეორე მხარეს, სადაც სინათლეს იძლევიან ხოლმე.

სინათლე რომ ჩაქრება, ერთბაშად ისეთი წყვილი ჩამოწვება, რომ იფიქრებ, ნეტავ სულაც არ ანთებულებო. ქვეყანა დაღუპული ხალხითაა სავსე. დაჰკრავს ჟამი, როცა ადამიანი უნდა აღესრულოს, ღირსეულად წავიდეს ამ ქვეყნიდან - არავითარი დრამები, არავითარი დასჯა არც საკუთარი თავისა, არც ოჯახისა. და ყველაზე საუკეთესო საშუალებაა ამ დროს (ეს კარგად იცოდნენ მარულოს იმ წინაპრებმა, რომლებიც ძველ რომში ცხოვრობდნენ): თქვი „მშვიდობით“ და თბილ აბაჯანში ვენები გადაიხსენი, ან თბილი ზღვა და სამართებელი.

მომძლავრებული ტალღები წივილით შემოიჭრნენ მღვიმეში, ფეხი გამომიშალეს და გვერდზე მიმაგდეს. ჩემი დაკეცილი საწვიმარი კი თან წაიღეს.

ცალ გვერდზე გადავწექი, სამართებლისათვის ჯიბეში ხელი ჩავიყავი და მკვრივ ბურთს წავაწყდი, სახტად დავრჩი, და ერთბაშად ის ალერსიანი, დამამშვიდებელი ხელები მომაგონდა, რომელთაც სინათლე მოაქვთ ხოლმე. გამიძნელდა მისი ამოღება სველი ჯიბიდან. როცა ამოვიღე, ვნახე, რომ მთელი სინათლე მასში მოგროვებულიყო და მუქ-წითელ ფერს გამოსცემდა.

შემოვარდა ძლიერი ტალღა და ჩემი თავშესაფრის კედელს მიმახეთქა. ზღვა უფრო და უფრო ბორგავდა, ტალღებთან ბრძოლა დამჭირდა უკან დასაბრუნებლად, მაგრამ უსათუოდ უნდა გამოვსულიყავი. მაგორავებდა, აქეთ-იქით მახეთქებდა, მკერდამდე წყალში ძლივს მივიკვლევდი გზას, აზვირთებული ტალღები გზას მილობავდნენ.

უსათუოდ უნდა გამომეღწია აქედან, თილისმა თავისი ახალი მფლობელისათვის დამებრუნებინა.

რათა კიდევ ერთი სინათლე არ ჩამქრალიყო.

სქოლიო

[1] იგულისხმება ინგლისელი არქიტექტორი რობერტ ადამი (მე-18 საუკუნე) და მისი ძმები, რომელთაც განსაკუთრებული სტილი შექმნეს არქიტექტურაში და მიმდევრებიც გაიჩინეს. თავად განიცდიდნენ რომაული არქიტექტურის დიდ გავლენას.

[2] ითენ ალენი - ცნობილი ამერიკელი ოფიცერი, ე. წ. რევოლუციური ომის მონაწილე.

[3] უოპი და დეიგოუ - ამ სიტყვებით ამერიკელები სამხრეთევროპელ (განსაკუთრებით კი იტალიელ) ემიგრანტებს მიმართავენ ხოლმე და დასცინიან.

[4] წინაპრები (იტალ.) [5] „სტონუოლ ჯეკსონს“ (ანუ ქვის გალავანივით მაგარ ჯეკსონს) გენერალ თომას ჯონათან ჯეკსონს ეძახდნენ.

[6] პლიმუთროკი - კლდეა პლიმუთში, მასაჩუსეტსის შტატში, სადაც გადმოცემის მიხედვით, 1620 წელს გადასხდნენ „მამა პილიგრიმები“, რომლებიც ინგლისიდან გემ „მეიფლაუერი“ ჩავიდნენ“

[7] თომას მელორიმ (XV ს.) დაამუშავა შუასაუკუნეობრივი თქმულება „არტურის სიკვდილი“, (Morte d'Arthur).

[8] იმპერატორი, განდევილი, ფორანი, სამართალი, ანბა, ეშმაკი (ფრანგ.) [9] ეოსტრე - გაზაფხულის ქალღმერთი ტევტონური წარმოშობისა. მის დღესასწაულს მართავენ ალდგომის დღეებში.

[10] ქრისტოფერ რენი (1632-1722) - ინგლისელი არქიტექტორი. მას ეკუთვნის წმინდა პავლეს კათედრალის არქიტექტურა. წიგნში ნახსენები ეკლესია სწორედ ამ კათედრალის მიხედვით უნდა იყოს აშენებული.

[11] ნაგულისხმევია ესპანეთ-ამერიკის ომი 1898 წელს.

[12] „ბოსტონის ჩაის ისტორია“ – 1773 წელს გადასახადებით მეტისმეტად შევიწროებულმა ბოსტონელებმა პროტესტის ნიშნად ზღვაში გადაყარეს ინგლისური გემებით ჩამოტანილი ჩაი.

[13] There is the rub - ცნობილი გამოთქმა „ჰამლეტიდან“ (მე-3 მოქმედების I სურათი)

[14] ხელოვნების დაფარვა თავად ხელოვნებაა (ლათ.) [15] რისი დამტკიცებაც გვინდოდა (ლათ.) [16] მე მჯერა შენი (იტალ.) [17] შექსპირი, „რიჩარდ III“

[18] ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე და ორატორი (XIX საუკუნე) [19] იგულისხმება აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, რომელსაც მეტსახელად აიკს ეძახდნენ.

[20] მექსიკის გლეხთა პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი (მე-20 ს.) [21] ასეთი გამოთქმა არსებობს, როცა რაიმე საქმეზე დაგიგვიანდება.

[22] ილოცე ჩემთვის (ლათ.) [23] უიკჰემი (Wykeham) - უინჩესტერის ეპისკოპოსი (XIV ს.), რომელმაც დააარსა ცნობილი კოლეჯი და პრაქტიკულად ახორციელებდა აღზრდის საკუთარ სისტემას .

[24] ჯეიმს ბლეინი - ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე (XIX საუკუნე.) [25] ამოღებულია ლინკოლნის სიტყვიდან.

[26] ტკბილ სიზმრებს გისურვებ (ფრანგ.) [27] „უელშ რეტ“ - Welsh rat - სიტყვასიტყვით „უელსურ ვირთაგვას“ ნიშნავს და ამ კონტექსტში აზრი არ აქვს, ისეა ხუმრობით გარითმული „Welshmerz“-თან, რაც გერმანულად „სოფლის სევდას“ ნიშნავს (მთარგმ. შენიშვნა) [28] მუსიკალური რადიოგადაცემების ცნობილი ამერიკელი კომენტატორი, რომელსაც ქრთამის აღებაში დასდეს ბრალი.

[29] ეროვნული რადიოკომპანია

[30] შექსპირს აქვს „By this sun of York“, ე. ი. „იორკის მზემო“. აქ შეცვლილია - „By this son of York“, ე. ი. „იორკის ძემ, შვილმაო“. Sun - მზე და -son - ძე ფონეტიკურად ერთნაირად გამოითქმის (მთარგმ. შენიშვნა)

